სკოლა

1981

ეროვნული
ბიბლიოთეკა

7

ISSN 0134-9848



ნ. ლაფარი. ვაფა



სუნჯე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა მთავარი სარედაქციო კოლეგია

შინაარსი

მიხაილ გულგაკოვი. თეთრი გვარდია. რომანი. დასაწყისი. თარგმნა გივი კიკილაშვილმა 4

ოლდოს ჰაქსლი. პატარა არქიმედე. მოთხრობა. თარგმნა მანანა ხელაიამ 181

ფიოდორ დოსტოევსკი. სასაცილო კაცის სიზმარი. ფანტასტიკური მოთხრობა. თარგმნა გივი ცქიტიშვილმა 154

ფრანსუაზ საგანი. მზის ნამცვრევი ცივ წყალში. რომანი. ფრანგულიდან თარგმნა ეუჟენა მაისურაძემ 169

ფრანგული ნოველები. ფრანგულიდან თარგმნა იროდიონ ქავჟარაძემ 271

მთავარი რედაქტორი შოთა ნიშნიანიძე

სარედაქციო კოლეგია: მზია ბაძრაძე, ბაჩანა ბრეგვაძე, გურამ გოგიაშვილი, ნანა ჯარჩია (პ. ზ. მდივანი), მაგალი თოდუა, ნოდარ კაკაბაძე, მიხეილ კვესელავა, ზურაბ კიკნაძე, ვახუშტი კოტეტიშვილი, რომან მიქინოშვილი, ოთარ ნოდია, ნიკო ყიასაშვილი, თამაზ ჩხენკელი, ლევან ფარჯიანი.

2 1981
(41)

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს მწერალთა კავშირი მსოფლიო ლიტერატურის ორთვიური ალმანახი

შინაარსი

ესტონური პოეზია. ესტონურიდან თარგმნა ამირან კალაძემ 285

საადუ ჰედაიათი. ისფაჰანი ნახევარი მსოფლიოა.
სპარსულიდან თარგმნა თენგიზ კეშელავამ 296

თომას მანი. ხელოვანი და საზოგადოება.
გერმანულიდან თარგმნა ლია თაკვარელიამ 306

ნუგზარ წერეთელი. მთარგმნელობითი საქმის ოსტატი 318

«САУНДЖЕ»
ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ АЛЬМАНАХ
НА ГРУЗИНСКОМ ЯЗЫКЕ № 2 1981
ГЛАВНАЯ РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ
ХУДОЖЕСТВЕННОГО ПЕРЕВОДА И ЛИТЕРАТУРНЫХ ВЗАИМОСВЯЗЕЙ
ТБИЛИСИ, УЛИЦА ШАЛВЫ ДАДИАНИ, 2

მიხაილ ბულგაკოვი
თეთრი გვარდია

ეძღვნება
ლიუბოვ ევგენიევნა ბელოზერსკაიას

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რომანი

რუსულიდან თარგმნა გივი კიკილაშვილმა

ნაწილი პირველი

ჯერ წვრილი თოვლი წამოაყარა, მერე მსხვილ-მსხვილი ფარტელები წამოუშინა. ქარი აღმუვლდა: ატყდა ქარბუქი. ქუფრი ცა მეყსეულად თოვლის ზღვის შეერია. ქოველივე გაქრა.

— ეჰე, ბატონო, — შესძახა მეეტლემ, — ვერ არის კარგი ამბავი: ქარბუქია.

1

ადიდი და შემზარავი იყო წელი 1918 ქრისტეს შობიდან, ხოლო რევოლუციის დაწყებიდან წელი მეორე. ზაფხულს არ აკლდა სიუხვე მზისა, ზამთარს — თოვლისა, ცაზე კი უჩვეულოდ მაღლა იდგა ორი ვარსკვლავი: მწყემსთა მნათობი — ვენერა და მეწამული, მთრთოლარე მარსი.

მაგრამ დღეები მშვიდობიანსა და სისხლიან წლებშიც ისრებივით მიისწრაფიან და ახალგაზრდა ტურბინებმა ვერც შეამჩნიეს, თოშითა და სუსხით როგორ შემოდგა თეორქურქიანი დეკემბერი. ო, ჩვენო თოვლის ბაბავ, ფიფქებითა და ბედნიერებით გაბრწყინებულო! დედაჩემო, სხივნათელო დედოფალო, ნეტავ სადა ხარ?

როცა ერთი წელი მიიწურა, რაც ელენა ტურბინა კაპიტან სერგეი ივანოვიჩ ტალბერგზე დაქორწინდა, მას შემდეგ კი, რაც უფროსი ვაჟი ალექსეი ვასილიევიჩ ტურბინი ლაშქრობებსა და სამსახურში ვადატანილი ჭირ-ვარამის შემდეგ უკრაინაში, თავის ქალაქს, მშობლიურ ბუდეს დაუბრუნდა, ჯერ ერთი კვირაც არ იყო გასული, თეთრ კუბოში ჩასვენებული დედა ალექსეევის ცი-

ეალმართზე ჩაატარეს და პოდოლის ნიკოლოზ კეთილის პატარა გვლე-
ბიაში დაასვენეს, ვზვიზზე რომაა.

როცა დედას წესს უგებდნენ, მაისი იდგა, ისრისებრი სარკმლები ერთია-
ნად ალუბლებსა და აკაციებს დაებურა. დამწუხრებული და შეცბუნებული ჭაბა
ალექსანდრე ბორძიკოლიდა, მისი სამოსელი ოქროისფერ შუქზე ბრწყინავდა
და ლიელიებდა, ჭრაჭუნა ჩექმის ჭვინტებამდე მოოქროულ-მოოჭვილი, თავ-კი-
ლერგალურჯებული დიაკონი კი შეილებს გაწმორებული დედის თავთან კუბ-
ტად, ბუბუნით წარმოთქვამდა სულთათანას.

ძველი, ყავისფერი წმინდა ნიკოლოზის ფეხებთან იდგნენ ალექსეი, ელე-
ხა, ტალბერგი, ტურბინების ოჯახში გაზრდილი ანიუტა და დედის სიკვდილით
გაოგნებული, მარჯვენა წარბზე ქოჩორჩამოშლილი ნიკოლკა. მისი გრძელი,
ხისკარტივით ცხვირის აქეთ-იქით ჩაისხდარი ცისფერი თვალებიდან დაბნეუ
ლობა და გულმოკლულობა გამოსჭვიოდა. ხანდახან თვალების ხამხამით კან-
ველსა და ბინდბუნდში ჩაძირული საკურთხევლის თაღს მიაჩერდებოდა. საიდა-
�აც მწუხარე, იდუმალებით მოცული მახეული ღმერთი იცქირებოდა. ასე რა-
ტომ უნდა დაიჩაგრონ? რა უსამართლობაა? რატომ წაართვეს დედა, როცა
ყველამ თავი მოიყარა, როცა ცოტა შვება ივრძნეს?

შავი, დაბზარული ცისკენ გაფრენილ ღმერთი პასუხს არ იძლეოდა, თა-
ვად ნიკოლკამ კი ჯერ არ იცოდა, რომ რაც ხდება, ყველაფერი ისე ხდება, რო-
გორც საჭირო და უმჯობესია.

წესის აგება დასრულდა, ჯარიბეჭის ნოგუგუნე ფილაქანი გაიარეს, დედა
მთელ უზარმაზარ ქალაქზე გაატარეს და სასაფლაოზე მიაცილეს, სადაც შავი
მარმარილოს ჯვრის ქვეშ რა ხანია მამა განისვენებდა. დედაც დაჰარხეს.

ეჰ... ეჰ...

* *

დედის სიკვდილამდე მრავალ წელს ალექსეევის დალმართზე № 13 სა-
ლში შორენკეცებიანი ლუმელი ათბობდა პატარა ელენკას, უთროს ალექსეისა
და ციცქნა ნიკოლკას. გავარკვარებულ შორენკეცებიან ლუმელთან ხშირად კით-
ხულობდნენ „საარდამელ დურგალს“, საათი გავოტს უკრავდა, ხოლო დეკემ-
ბრის მიწურულს მუდამ წიწვის სუნი იდგა და მწკანე შტოებზე ნაირფერი
აარაფინის სანთლები ენთო. როცა დედის, ამჟამად ელენას საწოლ ოთახში
ბრინჯაოს საათი გავოტს უკრავდა, სასადილო ოთახიდან კედლის შავი საათი
კომკისებური რეკვით ბანს აძლევდა. ეს საათები მამამ დიდი ხნის წინ იყიდა
როცა ქალები სასაცილო, მხრებთან აბუშტულ სახელოებს ატარებდნენ. ასეთი
სახელოები გაქრა, დრომ ნაბერწკალივით გაიელვა. პროფესორი მამა გარდაიც-
ვალა, ყველანი დაიზარდნენ, საათი კი ისეთივე დარჩა და ისევ კომკისებურად
რეკავდა. საათს ისე მიეჩვივნენ, რაღაც სასწაულით კედლიდან რომ გამქრა-
ლიყო, ყველა დაღონდებოდა, თითქოს მშობლიური ხმა გაქრა და ცარიელ
ადგილს ვერაფერი შეავსებსო. ჭაგრამ, საბედნიეროდ, საათი ცოცდავია, უკ-
ვდავია საარდამელი დურგალიცა და ჰოლანდიური შორენკეციც, ბრძენ კლდე-
საით გაჭირვების ჟამს მაცოცხლებელი და მხურვალე.

აი, ეს შორენკეული, ძველებური წითელი ხავერდის ავეჯი, მოელვარე ბუ-
ნიკებიანი საწოლები, გაცრეცილი ხალიჩები, ჭრელი და ოქროსფერი, ერთზე
ალექსეი მიხაილოვიჩი რომ იყო გამოსახული ხელზე დასმული შავარდნით, მე-
ორეზე სამოთხის ბაღში ხავერდოვანი ტბის პირას მონებივრე ლუი XIV, თურ-
ქული ნოხები აღმოსავლურ ფონზე საოცარი ხვეულებით, ჭაღი, ნიკოლაკ-
რომ ეზმანებოდა, როცა ქუნთრუშაშეყრილს აბოდებდა, აბაჟურიანი ბრინჯაოს
ლამპა, ამქვეყნად საუკეთესო წიგნებიანი კარადები, ძველებური შოკოლადის
იდუმალი სურნელი რომ ასდიოდა, წიგნები ნატაშა როსტოვაზე და კაპიტანის
ქალიშვილზე, მოოქრული ფინჯნები, ვერცხლეული, სურათები, ფარდები —
ახალგაზრდა ტურბინების გამომზრდელი მტვრიანი და ავეჯით გამოჭედილი
შვიდი ოთახი — ყოველივე ეს ყველაზე ძნელ ჟამს, დედამ შვილებს დაუტოვა.
უკვე სულშეხუთულმა და ძალამილეულმა. ატირებულ ელენას მელავს ჩაჭიდ-
ებულმა, ძლივსღა ამოთქვა:

— მეგობრულად... იცხოვრეთ.

* *

მაგრამ როგორ, როგორ იცხოვრონ?

ალექსეი ტურბინს — ახალგაზრდა ექიმს — ოცდარვა წელი შეუსრულ-
და, ელენა ოცდათხისაა, მისი ქმარი, კაპიტანი ტალბერგი ოცდათერთმეტის,
ხოლო ნიკოლკა ჩვიდმეტნახევრისა. ცხოვრებამ სწორედ გაიჟღოაუზე უმუხთ-
ლათ. რა ხანია ჩრდილოეთიდან ქარიშხალმა დაჭროლა, ქრის, ქრის, აღარ
ჩერდება და, რაც ხანი გადის, უფრო და უფრო ძალას იკრებს. უფროსი ტურ-
ბინი მშობლიურ ქალაქში მას მერე დაბრუნდა, რაც პირველმა ზათქმა დნევ-
რისპირა მთები შეძრა. ფიქრობდა, ქვეყნიერება დაწყნარდება და ის ცხოვ-
რება დაიწყება, შოკოლადისსურნელიან წიგნებში რომ არის აღწერილი, მაგ-
რამ იმგვარი ცხოვრება არათუ არ იწყებოდა, ირგვლივ ყოველივე სულ უფრო
შემზარავი ხდებოდა. ჩრდილოეთში ქარიშხალი ბობოქრობდა და ბობოქრობ-
და, აქ კი ფეხქვეშ ყრუდ გუგუნებდა და ბუბუნებდა დედამიწის შეშფოთე-
ბული წიალი. თვრამეტი წელი დასასრულისკენ მიექანებოდა, დღითიდღე სულ
უფრო შმაგდებოდა და იეკლებოდა.

* *

დაემხობა კედლები, დამფრთხალი შავარდენი თეთრ ხელთათმანს მოსწყდე-
ება და გაფრინდება, ბრინჯაოს ლამპის შუქი ჩაქრება, ხოლო „კაპიტანის ქალი-
შვილს“ ღუმელში ჩაწვავენ.

დედამ შვილებს უთხრა, იცხოვრეთო...

ისინი კი უნდა იტანჯონ და დაიხოცონ.

ერთხელ შებინდებისას, დედის დასაფლავებიდან ორიოდე დღის შემდეგ,
ალექსეი ტურბინი მამა ალექსანდრესთან მივიდა და უთხრა:

— გულმოკლულები ვართ, მამაო ალექსანდრე. დედის დავიწყება არ ძალ-
ვიძს, თანაც ასეთი საშინელი დროა... რაც მთავარია, ახლახან დავბრუნდი,
ვფიქრობდი, ცხოვრებას ავაწყობთ-მეთქი და ხედავთ...

იგი დადუმდა და ჩაფიქრდა მაგიდასთან მჯდარი. ბინდბუნდში სადღაც
შორს იცქირებოდა. ხეთა ტოტები ეკლესიის ეზოში მდგარ მღვდლის პატარა

სახლს ჩამოფარებოდა. გეგონებოდათ, რომ წიგნებით გამოტვინილი, ვიწრო კაბინეტის კედელს მიღმა გაზაფხულზე შტოაყრილი, იდუმალებით მოცული, დაბურული ტყე იწყებოდა. ქალაქი საღამოსებურად, ყრუდ გუგუნებდა, ერგვლივ იასამნის სურნელება იფრქვეოდა.

— რას იზამ, რას იზამ, — დარცხვენით ჩაიბუტბუტა მღვდელმა (მას ყოველთვის სიმორცხვე ეუფლებოდა, როცა ვინმეს ესაუბრებოდა. [illegible] ნებაა.

— იქნებ ყოველივე როდისმე დამთავრდეს? იქნებ მერე უკეთესობა იყოს? — თავისთვის ჩაილაპარაკა ტურბინმა.

მღვდელი საკარძელში შეირხა.

— ძნელი, ძნელი დრო დაგვიდგა, რაღა სათქმელია, — ჩაიბუტბუტა მან,— ეგრამ სასოწარკვეთას არ უნდა მივეცეთ...

მერე ანაზდად ანათორის შავი სახელოდან თეთრი ხელი გამოწია, წიგნების დასტას დააყრდნო და ზედა წიგნი იმ გვერდზე გადაშალა, სადაც ფერადი, ნაქარგი სანიშნი იყო ჩადებული.

— სასოწარკვეთის უფლება თავს არ უნდა მივცეთ, — დარცხვენით, ეგრამ როგორღაც ძალზე დამაჯერებლად ჩაილაპარაკა მან. — სასოწარკვეთა დიდი ცოდვაა... თუმცა მგონია, რომ განსაცდელი კიდევ მოგველის. უთუოდ, უთუოდ დიდი განსაცდელი. —იგი სულ უფრო დამაჯერებლად ლაპარაკობდა,— იცით რა, ამ ბოლო ხანს სულ წიგნებს ვუწერავ, რა თქმა უნდა, უმეტესად საღვთო წიგნებს...

მან წიგნი ისე აწია, რომ სარკმლიდან შემოჭრილი უკანასკნელი შუქი გადაშლილ გვერდს დასცემოდა, და წაიკითხა:

— „და მესამემან ანგელოზმან ლანჯნაი თვისი დასთხია მდინარეთა ზედა და წყაროთა ზედა წყალთასა, და გარდაიქცეს სისხლად“.

2

მაშ ასე, იდგა ოცეთრქურქიანი დეკემბერი. შუა თვე სწრაფად ახლოვდებოდა. დათოვლილ ქუჩებში უკვე იგრძნობოდა შობის ანარეკლი. თვრამეტი წელი მალე გასრულდებოდა.

საუცხოოდ ნაგები № 13 ორსართულიანი სახლის ზემოთ (ტურბინების ბინა ქუჩიდან მეორე სართულზე იყო, ხოლო პატარა, დაფერდებული წყნარი ეზოს მხრიდან — პირველ სართულზე) ციცაბო მთის ძირას ჩიდეულ ბაღში ხეებს შტოები თათებივით ჩამოეშვათ. მთა მიინამქრა, ეზოში მდგარი ფარდულები ჩამოიბარდნა და უზარმაზარ შაქრის თავებს დაემსგავსა. სახლს თეთრი გენერლის ქუდი ჩამოეფხატა, ქვედა სართულში (ქუჩის მხრიდან პირველში, ეზოს მხრიდან, ტურბინების აივნის ქვეშ — სარდაფში) მოყვითალო, სუსტი შუქი აანთეს ინჟინერმა და ლაჩარმა, ბურჟუამ და ესიამო ქაცმა, ვასილ ივანოვიჩ ლისოვიჩმა, ზედა სართულზე კი მძლავრად და მხიარულად გაჩახჩახდა ტურბინების ფანჯრები.

შებინდებისას ალექსეი და ნიკოლაი ფარდულიდან შეშის გამოსატანად წავიდნენ.

— ეჰ, ეჰ, რა ცოტა შეშა გვაქვს. დღესაც მოუბარავთ. შესედე.

ნიკოლკას ელექტროფარნიდან ცისფერი კორესი გამოიჭრა და ამ კორესში გამოჩნდა, რომ კედლიდან ფიცრები ამჯარად ეგლიჯათ და ბორეულ სახელდახელოდ მიეკრათ.

— ახი არ იქნება, რომ მივხვრიტოთ ის ეშმაკის ძერები! ღმერთმანი! იცი რა? მოდი, ამალამ ჩავუსაფრდეთ! ვიცი, მეწაღლეები არიან თერთმეტი ნომრიდან. ოჰ, ეს არამზადები! არადა, ჩვენზე მეტი შეშა აქვთ.

— ერთი იმათი... წამო, წავიდეთ.

ჩაქანგული ბოქლომი აღრჭიალდა, ძმებს მტვერი დაეყარა. შეშა გაათრიეს. ღამის ცხრა საათზე საარდამულ შორენკეცებს ხელს ვეღარ ჩიაკარებდი.

მშვენიერი ღუმლის თვალისმომჭრელ ზედაპირს ამშვენებდა შემდეგი ისტორიული ჩანაწერები და ნახატები, ნიკოლკას ხელით თვრამეტი წლის სხვადასხვა დროს ტუშით შესრულებული, ღრმაზე ღრმა აზრითა და ენიშვნელობით აღსავსე:

თუ გითხრეს, რომ მოკავშირეები ჩვენს სახსნელად მოისწრაფიან, — არ დაიჯერო. მოკავშირეები ნაძირალები არიან.

ვაჟბატონი ბოლშევიკებს ითანაუგრძნობს.

ნახატი: მომუსის სიდათი.
წარწერა:

„ულანი ლეონიდ იურევიჩი".

დაირხა მრისხანე, საზარი ხმები.
შემოგვესევიან წითელი ბანდები!

სალებავებით ნახატი: ლურჯფოჩა ფაფახიანი თავი, ჩამოყრილი ულვაშები.
წარწერა:

„დასცხე პეტლურას!"

ტურბინთა ბავშვობის ძველი, გულითადი მეგობრებისა და ელენას ხელით ზოგან სალებავით, ზოგან ტუშით, მელნითა თუ ალუბლის წვენით წაწერილია:

ელენა ვასილიევნას ძალიან ვუყვარვართ.
ვინ — ძი, ვინ — არა.

ლენოჩკა, აიდაზე ბილეთი ავიღე.
ბელეტაჟი № 8, მარჯვენა მხარე.

1918 წლის 12 მაისიდან შეყვარებული ვარ.
ოქვენ მსუქანი და ულამაზო ხართ.

ეგ სიტყვები თავს მომაკვლევინებს.

დახატულია ბრაუნინგი, ძალზე მიმგვანებული.

გაუმარჯოს რუსეთს!
გაუმარჯოს თვითმპყრობელობას!

ენინისი. ბოლშევიკოლა.

და ბოროდინოს დღე საკვირველი
მთელ რუსეთს მარად ეგზისოვრებას!

ნიკოლაკას ხელით, ბეჭდური ასოებით:

მე მაინც ვბრძანებ, ყოველი ამხანაგის დახვრეტისა და უდღეგზოთ ჩამოტოვებ-ვის მუქარით, ღუმელზე გარეშე რიღაცების წაწერა აიკრძალოს, ბოდოლის რაიკომ-ის კომისარი. მანდილოსნების, მამაკაცებისა და ქალების თერძი ბრამ ბრუკინერი.

1918 წელი. 30 იანვარი.

მოხატული შორეულ-ეცები ვარვარებს შავი საათი ისევე ტაკ-ტაკებს, რიო-ორც ოცდაათი წლის წინათ: ტაკ-ტუკ ქერათმიანი, წვერგაპარსული, 191 წლის 25 ოქტომბრის მერე მობერებული და მიღუშული ეფროსი ტურბინი საეარძელში ჩვეულებისამებრ ფეხებაკეცილი მოკალათებულა, უზარმაზარ-ჯიბეებიანი ფრენჩი, ლურჯი რეიტუზი და ახალი, რბილი ფეხსაცმელი აცვია. ძის ფეხებთან პატარა სკამზე თმაქოჩორა ნიკოლკა ზის, ფეხები თითქმის ბე-ფეტამდე გაუწვდენია — სასადილო ოთახი პატარაა. ფეხზე ამბინდებიანი ჩექმა აცვია. ნიკოლკას მეგობარი გიტარა ნაზად და ყრუდ ჟღერს: ტამ... გა-ერკვეველად: ტამ... რადგან ჯერჯერობით ხომ რიგიანად არაფერია ცნობილი. ქალაქს ბუნდოვანი, ავის მომასწავებელი წინათგრძნობა დაუფლებია.

ნიკოლკას მხრებზე უნტერ-ოფიცრის თეთრზოლიანი სამხრეები აკერია, ბარცხენა სახელოზე კი მახვილკუთხა სამფეროვანი შევრონი (პირველი ქვეი-ი ლაშქარი, მესამე განყოფილება. წარმოქმნილ ვითარებათა გამო მეოთხე დღეა ყალიბდება).

მაგრამ ამ ვითარებათა მიუხედავად სასადილო ოთახში ყოველნა, მართალი რომ ითქვას, საამოა. ცხელა, სიმყუდროვეა, კრემისფერი ფარდები ჩამოფარე-ბულია. ძმებს ღუმელის სიმხურვალე ათბობს და ეხთაგს.

ეფროსმა ძმამ წიგნი დააგდო, გაეხმორა

— აბა, „აგვგმეა" დაუკარი..

ტამ-ტა-ტამ... ტამ-ტა-ტამ...

ჩექმა ფასონური,
ქუდიც ფასონური,
ილნერ-ინეინრები მოდიან!

ეფროსმა ძმამ ხმა ააყოლა. კუშტად იმზირება, მაგრამ თვალებში უკვე ცეცხლი უკრთის, ძარღვებში სისხლი ეღეულს. თუმცა ბმადაბლა, ბატონებო. ხმადაბლა, ხმადაბლა.

სალამი აგარაკებს...
სალამი აგარაკებს...

ღელეს გიტარის ბარში. სიმებიდან ასეული მოისწრაფის. ინეინრები მო-დიან — ერთი, ერთი! ნიკოლკას თვალები იხსენებენ.

ალექსანდრეს სასწავლებლის ჩამოლადრული სვეტები, ქვემეხები. იუნკ-ოები ერთი ფანჯრიდან მეორისკენ მუცელზე გაწოლილნი მიხოხავენ, მომხდუ-ოებს სროლით იგერიებენ. ფანჯრებში ტყვიამფრქვევებია.

სასწავლებელს ჯარისკაცთა ალყა ერტყმელივით, მართლაც ერტყმელივით

შემოგრაგნია. რას იზამ, შეშინდა გენერალი ბოვორიდიცკი და ეანებდა, იუნკრებიანად დანებდა. ვაი, სირცხვილი...

სალამი აგარაკებს,
სალამი აგარაკებს,
აგეგმეა რა ხანია დავიწყეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიკოლკას თვალები ენისლება.

უკრაინის ოქროსფერ ველებს ალმური სვეტ-სვეტად ასდის. მტვერში მიაბიჯებენ იუნკერთა დამტვერილი ასეულები. იყო ყოველივე ეს, იყო და აღარ არის. რა თავის მოჭრაა! რა უაზრობა!

ელენამ ფარდა გადასწია და შავ ჭრილში მისი ოქროსფერი თმა გამოჩნდა. ძმებს ალერსიანი, საათს კი შეშფოთებული, ძალზე შეშფოთებული მზერა მიაპყრო. გასაგებიცაა. მართლაცდა, სად არის ტალბერგი? ელენა ღელავს.

დააპირა ძმებისთვის ხმა ეყოლებინა, რათა მღელვარება დაემალა. მაგრამ უცებ შეჩერდა და თითი მაღლა ასწია.

— მოიცათ, გესმით?

ასეულმა ნაბიჯი შვიდივე სიმზე შეაჩერა: სდე-ექ! სამივემ ყური მიუგდო. დარწმუნდნენ — ქვეშეხებია! მძიმედ, შორს და ყრუდ ისვრიან. აი, კიდევ — ბუ-უმ... ნიკოლკამ გიტარა დადო და სწრაფად წამოდგა. ხეზეშით წამოიმართა ალექსეიც.

სასტუმრო-მისაღებში სრულიად ბნელა. ნიკოლკა სკამს დაეჯახა. ფანჯრებში ჭეშმარიტად ოპერა „შობა ღამეა“ — თოვლი და მოცახცახე, მოციმციმე შუქი. ნიკოლკა ფანჯარას მიეკრა. თვალთაგან გაქრა ალმურის სვეტები და სასწავლებელი... ყურთასმენად იქცა. საიდან ისმის? უნტერ-ოფიცრული მხრები შეარხია.

— ეშმაკმა უწყის, ასე მგონია, თითქოს სვიატოშინოსთან ისვრიან. საკვირველია, ასე ახლოს არ უნდა ისროდნენ.

ალექსეი სიბნელეშია, ელენა კი ფანჯარასთან ახლოს დგას და ჩანს, რომ თვალები შიშისგან ჩამუქებია. ეს რას ნიშნავს, ტალბერგი აქამდე რომ არ მოდის? უფროსი ქმა მის მღელვარებას გრძნობს და ამიტომ არაფეოს ამბობს, თუმცა ძალიან კი უნდა ოღაც თქვას. სროლის ხმა სვიატოშინოდან მოდის. საეჭვოც არ არის, რომ ასეა. ქალაქიდან არა უმეტეს თორმეტ ვერსზე ისვრიან. რა ხდება?

ნიკოლკამ ცალი ხელი შპინგალეტს ჩასჭიდა, ცალით კი მინას ისე მიაწვა, თითქოს უნდა გაამტვრიოს და გარეთ გავარდეს. ცხვირიც ზედ მიაჭყლიტა.

— ერთი იქ მიმიყვანა და გამაგებინა. რა ხდება...

— ჰო, შენღა აკლიხარ... — უთხრა ნიკოლკას ელენამ.

ხმაზე შეშფოთება ეტყობა. ეს რა უბედურებაა. მისი ქმარი ყველაზე გვიან, გესმით, — ყველაზე გვიან. დღეს სამ საათზე უნდა დაბრუნებულიყო. ახლა კი უკვე ათი საათია.

სასადილო ოთახში მდუმარედ დაბრუნდნენ. გიტარა კუშტად დუმს. ნიკოლკას სამზარეულოდან სამოვარი შემოაქვს. სამოვარი ავბედითად წივის. იფურთხება, მაგიდაზე ჩამორიგებული ფინჯნები გარედან ნაზი ყვავილებითაა ფოხატული, შიგნიდან კი ოქროთია ღაფერილი, მოჩუქურთმებული სვეტის მოყვანილობისა. დედის, ანა ვლადიმიროვნას სიცოცხლეში ეს ოჯახის სადღესასწაულო სერვიზი იყო, ახლა კი შვილებმა საყოველდღეოდ აქციეს. თუმცა

ქვემეხები გრუხუნებს, თუმცა უილჯობა, მშთოთვარება და არეულობა სუფევს, სუფრა მაინც გაქათქათებული და გახამებულია. ეს ელენას წყალობითაა, სხვაგვარად მოქცევა რომ არ შეუძლია, ეს ტურბინების ოჯახში გაზრდილი ანაუტას წყალობითაა. იატაკი პრიალებს და ახლაც, დეკემბერში, მაგიდაზე მჭრქალი ფერის ასვეტილ ლარნაკში ცისფერი ჰორტენზიები და ორი უკარება. ელვარე ვარდი აწყვია სილამაზისა და სიცოცხლის ურყევობის [illegible]. თუმცა ქალაქის მისადგომებთან მზაკვარი მტერია, რომელსაც ქალუმს [illegible] ლილი მშვენიერი ქალაქი დააქციოს და სიმშვიდის ნამსხვრევები ფეხით გათელოს. ყვავილები ელენას ერთგული თაყვანისმცემლის, გვარდიის პოლუჩიკ ლეონიდ იურიევიჩ შერვინსკის მორთმეულია — სახელგანთქმულ საკანფეტე „მარიზასა“ და მყუდრო საყვავილე მაღაზია „ნიცას ფლორის“ გაძყიდველი ქალების მეგობრისა. ჰორტენზიის ჩრდილქვეშ ლურჯნაყშიან თეფშზე ძეხვის რამდენიმე ნაჭერი აწყვია, გამჭვირვალე საკარაქეში კარაქია, სანამცხვრეში ბილა-ფრაქე და მოგრძო თეთრი პური. გემრიელად წაისაუზმებდნენ და ჩაის დალევდნენ, ეს უკულმართი ვითარება რომ არ ყოფილიყო... ეჰ.. ეჰ...

ჩიდანზე ღაზლის ჭრელი მამალი ამხედრებულა, ხოლო საპოვრის მოელვარე ფერდზე ტურბინების სამი დამახინჯებული სახე ირეკლება და ამ ანარეკლში ნიკოლკას ლოყები მომუსს მიუგავს.

ელენას თვალებში სევდა ჩასდგომია. ოქროსფერი კულულები მჭმუნვარედ ჩამოშლია.

ტალბერგი საღამოც ჩარჩა ჰეტმანის მატარებელთან და ფეულთან ერთად და საღამო ჩაუმწარა. ეშმაკმა უწყის, ხიფათს ხომ არ გაეყარა?.. ძმები უხალისოდ ლეჭენ ბუტერბროდებს. ელენას წინ ფინჯანი და „სანფრანცისკელი ბატონი“ უდევს, ჩაი უცივდება. დანისლული თვალები ვერაფერს ხედავენ, ისე დასცქერენ სიტყვებს:

...უკუნეთი, ოკეანე, ქარიშხალი.

ელენა არ კითხულობს.

ნიკოლკამ თავი ველარ შეიკავა:

— ნეტა ვიცოდე, ასე ახლოს რატომ ისვრიან? ხომ შეუძლებელია, რომ...

სიტყვა თვითონვე გაწყვიტა, შეირხა და საპოვარზე მისი ანარეკლი დაბინჯდა. სიჩუმე ჩამოვარდა. ისარი მეათე წუთს გადასცდა. ტიკ-ტაკ — თერმეტის თხუთმეტ წუთს უახლოვდება.

— იმიტომ ისვრიან, რომ გერმანელები არამზადები არიან, — მოულოდნელად ჩაიბუზღუნა უფროსმა ძმამ.

ელენამ თავი ასწია, საათს შეხედა და იკითხა:

— ნუთუ ბედის ანაბარას მიგვატოვებენ?

ხმა ნაღვლიანი აქვს

ძმებმა თავი ერთდროულად ისე შეატრიალეს, თითქოს ბრძანება ესმოთ, დის მოტყუებას მოჰყვნენ.

— არაფერი უწყის, — თქვა ნიკოლკამ და ბუტერბროდი მოკბიჩა.

— ეს ისე ვთქვი. ჰმ... საკვარაუდოდ. ჭორია.

— არა. ჭორი არ არის, — ჯიუტად უპასუხა ელენამ, — ჭორი კი არა. სიმართლეა. დღეს შაბლონია შემხვდა და მითხრა, ბოროდიანკიდან გერმანელების ორი პოლკი დაებრუნესო

— სისულელეა.

— აბა, თავად დაფიქრდი. — წამოიწყო უფროსმა ძმამ, — განა შესაძლებელია გერმანელებმა ის ნაძირალა ქალაქთან მიუშვანო? ეს, — აფიქრდი. მე თავად ვერც წარმომიდგენია, რომ ეგენი იმის ერთი წუთით მაინც შეეგუოს, რა სისულელეა, გერმანელები და პეტლურა. თვითონაც ხომ [illegible] ეძახიან. სასაცილოა.

— ეჰ, რას ამბობ. ახლა კი ვიცი, გერმანელები რანიც არიან. საკუთარი თვალით ვნახე რამდენიმე, წითელი ბაფთა რომ ეკეთათ, მთვრალი უნტერ-ოფიცერი კი ვიღაც ქალთან ერთად მოდიოდა. ქალიც მთვრალი იყო.

— რა მოხდა მერე? გახარწნის ცალკეული შემთხვევები შესაძლოა გერმანელების ჯარშიაც კი იყოს.

— მაშ, თქვენი აზრით პეტლურა ქალაქში ვერ შემოვა?

— ჰმ... მე მგონი, ეს შეუძლებელია.

— აპსოლუტურ[1], გეთაყვა, ერთი ჭიქა ჩაი კიდევ დამისხი. ნუ ღელავ. როგორც ოტყვიან, გული საგულეს იქონიე.

— ღმერთო ჩემო, მაშ სერგეი რა იქნა? ნამდვილად იმათ მატარებელს თავს დაესხნენ და...

— აბა, რას ამბობ? რაღას არ მოიგონებ! რკინიგზა ხომ სრულიად თავისუფალია.

— მაშ რატომ არა ჩანს?

— ღმერთო ჩემო! ხომ აკი, მატარებლები როგორ დადის? ყოველ საღამოს ბურზე ალბათ ოთხ-ოთხი საათი დგანან.

— რევოლუციურად დადიან. ერთ საათს იელიან, ორ საათს დგანან.

ელენამ მძიმედ ამოიოხრა, საათს შეხედა, ცოტა ხანს ჩუმად იჯდა და მერე თქვა:

— ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! გერმანელები უსინდისოდ რომ არ მოქცეულიყვნენ, ყველაფერი საუცხოოდ იქნებოდა. ცალთი ორი პოლკიც იკმარებდა, რომ ეგ თქვენი პეტლურა ბუზივით გაესრისათ. არა, ვგრძნობ, რომ გერმანელები მზაკვრულად ორპირობენ. სად არიან ნაქებ-ნადიდები მოკავშირეები? უ-უჰ, ის არამზადები, გვპირდებოდნენ, გვპირდებოდნენ და...

სამოვარი, აქამდე რომ დუმდა, მოულოდნელად ამღერდა. დანავლებული ნაკვერჩხლები ლანგარზე გადმოცვივდა. ძმებმა უნებურად ღუმელს გახედეს. ეი პასუხი. იხილეთ:

მოკავშირეები ნაძირალები არიან.

ისარი თხუთმეტ წუთზე შეჩერდა, საათმა დაიხრიგინა და ერთხელ ჩამოჰკრა. იმავე წამს საათს შემოსასვლელში, ჭერქვემოთ, გაბმული წკრიალი აჰყვა.

— მადლობა ღმერთს, სერგეიც მოვიდა, — თქვა გახარებულმა უფროსმა ძმამ.

— ტალბერგია, — დაუმოწმა ნიკოლკამ და კარის გასაღებად გაიქცა.

ელენა წამოწითლდა, წამოდგა.

[1] უსათუოდ (ფრანგულიდან absolument).

* *

თურმე ტალბერგი არ ყოფილიყო. სამი კარი გაჯახუნდა და კიბეზე ყრუდ გასმა განცვიფრებული ნიკოლკას ხმა. შემდეგ ვიღაცის ხმა. ამ ხმებს მოყვა კიბეზე დანალული ჩექმებისა და კონდახის ბრაგუნი. წინკარში სიცივე შემოიჭრა და ალექსეისა და ელენას წინაშე მაღალი, მხარბეჭიანი, კოტეტამდე ჩაშვებული მაზარით შემოსილი კაცი წარსდგა. ხაკისფერ სამხრეულებზე ძმარეული ფანქრით პორუჩიკის სამი ვარსკვლავი ეხატა. ყაბალახი შეჭირხლოდა, ყაისფერხიშტიანი ძძიმე შაშხანა მთელ შემოსასვლელში გახირულიყო.

— გამარჯობათ, — ჩახრინწული ტენორით წაიმღერა ძისელმა და გაყინულ თითები ყაბალახს ჩასჭიდა.

— ვიტია!

ნიკოლკა სტუმარს ნასკვის გახსნაში მიეხმარა. ყაბალახი ჩასრიალდა, ყაბალახს ოფიცრის ჩაშუქებულკოკარდიანი ბრგვალი ქუდი მიჰყვა და უზარმაზარი მხარბეჭის ზემოთ პორუჩიკ კოტორ ვიქტოროვიჩ მიშლაევსკის თავი გამოიკვეთა — ძალიან ლამაზი, უცნაური, სევდიანი და მიმზიდველი სილამაზის ქონე თავი, მაუწყებელი ბედისა. წმინდა ჯიშისა, გადაგვარება რომ უწერია. ლამაზი იყო მისი სხვადასხვაფერი, სიმამაცით აღსავსე თვალები და გრძელი წამწამები. ცხვირი კეხიანი, ტუჩები გორგოზი, შუბლი თეთრი და გადატკეცილი, განსაკუთრებული ნიშნების უქონელი. ტუჩების ერთი კუთხე ნაღვლიანად ჰქონდა ჩამოწეული, ხოლო ნიკაპი ირიბად წაკვეთილი, თითქოს მოქახდაეს ამ კეთილშობილი თავის გამოძერწვისას შლეგური ფანტაზია აღძვრია, თითია ფენა წაუთლია და ვაჟკაცური სახისთვის პატარა, ქალური ნიკაპი დაუტოვებია.

— საიდან მოდიხარ?

— საიდან?

— ნელა. — სუსტი ხმით უპასუხა მიშლაევსკიმ, — არ გატეხო. მახდ არაყის ბოთლია.

ნიკოლკამ ფრთხილად ჩამოკიდა ძძიმე მაზარა, რომლის ჯიბიდან გაზეთის ნაგლეჯში შეხვეული ბოთლის ყელი მოჩანდა. მერე ხისბუდიანი ძძიმე მაუზერი ჩამოკიდა, რამაც ირმისრქიანი საკიდი შეარყია. მიშლაევსკი ელენას ახლოდა ბიუბრუნდა, ხელზე აკოცა და უთხრა:

— წითელ დუქანთან ვიყავით. ლენა, ღამე გამათევინე. შინაბდე მისელის თავი აღარ მაქვს.

— ოჰ, ღმერთო ჩემო, რა თქმა უნდა.

მიშლაევსკიმ უცებ დაიკვნესა. შეეცალა, ხელებზე დაეორთქლებინა. მაგრამ ტუჩები არ დაემორჩილა. თეთრმა წარბებმა და ჭირხლით გაჭაღარავებულმა შეკრეჭილი ულვაშების ბავერდოვანმა ყითანმა დნობა იწყო და სახე დაუსველა. უფროსმა ტურბინმა ფრენჩი გაუხსნა, ნაკერზე თითი ჩააჭარა და ჭუჭყიანი ბერანგი ამოუჩაჩა.

— რა თქმა უნდა... საესეა, ფუთფუთებენ.

— აბა, ჩქარა! — შეშინებული ელენა დაფაცურდა, ტალბერგი წაბილ გადააგიწყდა. — ნიკოლკა, სამზარეულოში შეშა ყრია. გაიქეცი, ჭურა შეანთე. ხელტავი ანიუტა არ გამეშვა. ალექსეი, სწრაფად, ფრენჩი გახადე.

სასადილო ოთახში შორეულ ოთახებთან, მიშლაევსკი სკამზე დაეკვეთა და კვნე-

სით გული მოიოხა. ელენა აქეთ-იქით დარბოდა გასალებების ჩხაკუნით. ტურბინმა და ნიკოლკამ ჩაიჩოქეს და მიშლაევსკის წვივებზე აბზინდით დამაგრებული ვიწრო, კოხტა ჩექმები გაიძრეს.

— მომეშვა... უჰ, მომეშვა...

მოხსნეს მყრალი, დალაქული ფეხსაცმლები. გამოჩნდა [illegible] შეების წინდები. ნიკოლკამ ფრენჩი უშალ გაყინულ აივანზე [illegible] ტილები დახოცილიყვნენ. ძალზე ჭუჭყიანი ბატისტის პერანგის, გადაჯვარედინებული შავი აჭიმებისა და ბაჭანაკიანი ლურჯი ბრიჯისაძარა დარჩენილი მიშლაევსკი თითქოს დაპატარავდა. ავადმყოფური და შესაბრალისი შესახედაობა ძიეცა. გალურჯებული ხელები შორენკეცებზე ატყაპუნდა და ათამაშდა.

...დაირბ. მრისხ...

შემოგვ... ბანდა...

შეყვარებული... მაისიდან...

— რა უნამუსობაა! — დაიყვირა ტურბინმა. — ნუთუ არ შეეძლოთ თექის ჩექმები და ჯუბაჩები მოეცათ?

— თექის ჩექ... მები, — ტირილის ხმაზე გამოაჯავრა მიშლაევსკიმ, — თექის ჩექ...

სითბოზე ხელ-ფეხში აუტანელმა ტკივილმა დაუარა. როცა გაიგონა, ელენას ფეხის ხმა სამზარეულოში მიწყდაო, გაალმასებულმა ცრემლნარევი ხმით შეჰყვირა:

— დუქანია!

ხმა ჩაეხრინწა, სკამზე მოკრუნჩხული მიეგდო, თითი წინდებისკენ გაიშვირა და დაიკვნესა:

— გამხადეთ, გამხადეთ, გამხადეთ...

დენატურატის საძაგელი სუნი დადგა, ტაშტში თოვლის გორა დნებოდა, პორუჩიკმა მიშლაევსკიმ არაყი ღვინის ჭიქით გადაჭრა და უცაბედად დათვრა, თვალები აემღვრა.

— ნუთუ მოსაკვეთია? ღმერთო ჩემო... — სავარძელში გაშწარებით შეტოკდა.

— მოიცა, რას ამბობ. არაფერია... მაშ ასე. ცერი თითი ცოტა მოგყინვია. ჰო... გაგივლის. ეს თითიც მოგირჩება.

ნიკოლკა ჩაცუცქდა და მიშლაევსკის სუფთა შავი წინდები ჩააცვა. მიშლაევსკიმ კი გაშეშებული ხელები ხალიანი საბანაო ხალათის სახელოებში შეაცურა. შემთბარს ლოყები ალისფრად აუფორეჯდა. გაყინული პორუჩიკი მიშლაევსკი სუფთა საცვლებსა და ხალათში მოიბლუნძა, შეთბა და გამოცოცხლდა. მრისხანე, უწმაწური სიტყვები ოთახში ისე აგრიალდა, როგორც სეტყვა ფანჯრის რაფაზე. თვალებდაელმებული მიშლაევსკი უშველი სიტყვებით ლანძღავდა პირველი კლასის ვაგონებში მოკალათებულ შტაბს, ვიღაც პოლკოვნიკ შჩოტკინს, ყინვას, პეტლურას, გერმანელებს, ჭარბუქს, ბოლოს თვით სრულიად უკრაინის ჰეტმანიც უბინძურესი ქუჩური სიტყვებით შეამკო.

ალექსეი და ნიკოლკა უცქეროდნენ, შემთბარი პორუჩიკი ბილებს როგორ აკრაჭუნებდა, და დროდადრო შესძახებდნენ:

— ო-ჰო-ჰო!

— ჰეტმანი, ჰა? უჰ, იმისი დედა! — ღმუოდა მიშლაევსკი. — კავალერ-

გარდი? სასახლეში? ჰა? ჩვენ კი, როგორც გვეცვა, ისე გაგვრეკეს. ჰა? ერთი დღე და ღამე თოვლსა და ყინვაში გვაბყოფეს... ღმერთო ჩემო! .. მეგონა, ყველანი გავწყდებით-შეთქი... უჰ, იმათი დედა! ას-ას საჟენზე თითო ოფიცერი დაგვაყენეს.... განა ამას მწკრივი ჰქვია? კინაღამ ქათმებივით გაგვაუეს!

— მოიცა, — უთხრა ამ ლანძღვა-გინებით გაოგნებულმა ტურბინმა, — მითხარ, წითელ დუქანთან ვინ არიან?

— უ-უჰ! — მიშლაევსკიმ ხელი ჩაიქნია. — რას გაიგებ! იცი, რამდენი ვიყავით წითელ დუქანთან? ორ-მო-ცი კაცი. მობრძანდა ის რეგვენი — პოლკოვნიკი შჩოტკინი და გვითხრა (მიშლაევსკიმ სახე მოღრიცა, რომ საძულველ პოლკოვნიკ შჩოტკინისთვის-მიებაძა და საიაგელი, წვრილი ხმით აჩიფჩიფდა): „ბატონო ოფიცრებო, მთელი ქალაქი თქვენს იმედზეა. გაამართლეთ რუსეთის ქალაქთა დედის, დასალუპად განწირული დედის ნდობა. თუ მტერი გამოჩნდა, შეტევაზე გადადით! ღმერთია ჩვენი შემწე! ექვსი საათის მერე ცვლას გამოგიგზავნით. მაგრამ გთხოვთ, ვაზნები დაზოგოთ...“ (მიშლაევსკიმ საკუთარი ხმით განაგრძო) — ჰოდა, მინქანით გაიძურწა თავის ადიუტანტთან ერთად. როგორც პ...ში, ისე ბნელოდა! ციოდა! ყინვა ნემსებივით გვჩხვლეტდა.

— ვინ არიან იქ, ღმერთო ჩემო! ხომ შეუძლებელია, პეტლურა წითელ დუქანთან იყოს?

— ეშმაკმა უწყის! დამიჯერე, გათენებამდე ლაბის ჭკუაზე შევცდით. ედგავართ შუაღამისას, ცვლას ველით. ხელი ჩვენი აღარ არის და ფეხი. ცვლა კი არსად ჩანს. რაღა თქმა უნდა, ვერც ბოცონს ვანთებთ, სოფელი ორ ვერსზეა, დუქანი ერთ ვერსზე. ღამით გეჩვენება: მინდორი ტოკავს. თითქოს მოცოცავენ.. ეფიქრობთ, რა ვქნათ? რა? შაშხანას მოიმარჯვებ და აღარ იცი, ესროლო თუ არა? გაცდუნებს ყაცს. ვიდექით, მგლებივით ვყმუოდით. დაიყვირებ, მწკრივში ვიღაც გამოგეპასუხება. ბოლოს თოვლში ჩავძვერი, კონდახით ყუბო გავითხარე, ვზიეარ და ვცდილობ არ დავიძინო: დაიძინებ და ფეხებს გაფშეკ კიდეც. გათენებისას ველარ გავუძელ, ვგრძნობ, თვლემა მერევა. იცი, რამ გადამარჩინა? ტყვიამფრქვეველებმა. ალიონზე ჩამესმა, სამიოდე ვერსის იქით ააკაკანეს! მაგრამ, წარმოიდგინე, წამოდგომა აღარ მინდოდა. ახლა ქვემეხმაც დაიქუხა. წამოვდექ, ფეხები თითქოს თითო ფუთი გამხდომია. ვფიქრობ: „მოგილოცავს, პეტლურა მობრძანებულა“. მწკრივი შევამჭიდროეთ, ერთმანეთს გადავძახეთ. გადავწყვიტეთ: თუ გაგვიჭირდა, შეექუჩდეთ და სროლა-სროლით ქალაქისკენ დავიხიოთ, დაგვხოცავენ და დაგვხოცონ, ერთად ბაინც ვიქნებითო. ჰოდა, წარმოიდგინე, სროლა მიწყდა. დილით სამ-სამი კაცი წითელ დუქანში გავრბოდით გასათბობად. თუ იცი, ცვლა როდის მოვიდა? დღეს ორ საათზე. პირველი ლაშქრის ორასი იუნკერი. ჰოდა, ბატონი ბრძანდებით, მშვენივრად იყვნენ ჩაცმულნი — ფაფახები ეხურათ, თექის ჩექმები ეცვათ, ძეტყვიამფრქვეველთა რაზმი ახლდათ, პოლკოვნიკმა ნაი-ტურსმა მოიყვანა.

— ოჰო! ჩვენია. ჩვენი! — შესძახა ნიკოლკამ.

— მოიცა, ბელგრადელი ჰუსარი ხომ არ არის? — ჰკითხა ტურბინმა.

— ჰო, ჰო, ჰუსარია... გესმის, ჩვენს დანახვაზე ელდა ეცათ. გვითხრეს, ჩვენ გვეგონა, აქ ორი ასეული იყავით, ტყვიამფრქვეველები გქონდათ, ნეტა როგორ გაძელითო?

თურმე ტყვიამფრქვეველების ხმა რომ გვესმოდა, სერებრიანკას გათენებისას თავს დასხმიან. ათასკაციანი ბანდა ყოფილა. შეტევაზე გადმოსულან. საბედ-

ნიერლოდ, არ იცოდნენ, რომ იქაც ჩვენნაირი მწკრივი იყო, თორემ, ხომ წარმოგიდგენია, მთელი ის ხროვა, შესაძლოა ქალაქსაც სწვეოდა. ბევრი, რომ იმათ პოსტ-ვოლინსკთან კავშირი ჰქონდათ და შეატყობინეს. იქიდან რომელიღაცა ბატარეამ შრაპნელი დაუშინა. ჰოდა, იმ ხროვას ბრძოლის ეინი გაუნელდა, ბესმის, შეტევას თავი ანებეს და საღლაც ჯანდაბას გადაეკარგნენ.

— მაინც ვინ იყვნენ? ნუთუ პეტლურა? შეუძლებელია!

— ეშმაკმა უწყის იმათი თავი. მე მგონი, იქაური გლეხუქები იყვნენ. დოსტოევსკის ღვთისმტვირთველნი! უ-უჰ... იმათი დედა!

— ღმერთო ჩემო!

— ჰო-ო, — ხრიალებდა მიშლაევსკი და თან პაპიროსს ეწაჩებოდა. — ღვთის მადლით, როგორც იქნა, შეგვცვალეს. დავითვალეთ: ოცდათვრამეტნი ვართ. მომილოცავს, ორნი გაყინულან, უჰ, იმათი!.. ორნი კი წამოვიყვანეთ. ფეხებს მოჰკვეთენ...

— როგორ! მთლიანად?

— მაშ რა გგონია? ერთი იუნკერია, ერთიც — ოფიცერი. ჰოპელიუხაში კი, წითელ დუქანთან უფრო კარგ ამბავს გადავეყარეთ. მე და პოდპორუჩიკი კრასინი იქ მარხილისთვის მიკეკლით, რომ ფეხმოყინულები წამოგვეყვანა. თითქოს სოფელი ერთიანად ამოწყვეტილაო, ძეხორციელი არსად ჩანდა. ბოლოს, როგორც იქნა, ერთი ტყაპუჭიანი, ყავარჯნიანი ბერიკაცი გამოჩლახუნდა. წარმოგიდგენია, ჩვენი დანახვა გაუხარდა. მაშინვე ეიგრძენ, სასიკეთო არაფერი იქნებოდა. „ბიჭებო, ბიჭებო..." — მხიარულად გამოგვძახა. გავიფიქრე, რა ამბავია, ამ გადაღრძუებულ ღვთისმტვირთველს რა უხარია-მეთქი. დაყვავებით ვეუბნები: „გამარჯობა, პაპილო. ჩქარა მარხილი მოგვეცი". იმან კი მიპასუხა: „სადა გვაქვს, ოფიცრებმა ყველა მარხილი პოსტისკენ გარეკეს". მე კრასინს თვალი ჩავუკარი და ბერიკაცს ვკითხე: „ოფიცრებმა? ჰოო. თქვენი ბიჭები სადღა არიან?" „ყველანი პეტლურასთან გაიქცნენ", — წამოაყრანტალა ბერიკაცმა. ჰა? როგორ მოგწონს? ეტყობა, თვალი არ უჭრიდა, ვერ დაინახა, რომ ყაბალახების ქვეშ სამხრეები ვვეკეთა, და პეტლურელები ვეგონეთ. მაშინ კი, ხომ იცი, ველარ მოვითმინე... ყინავდა... ცოფი მოჰერია. ბერიკაცს გულისპირში ისე ვწვდი, კინაღამ სული გააცხო, და დავუყვირე: „მაშ პეტლურასთან გაიქცნენ? ამ წუთას მიგახვრეტ და მაშინ გაიგებ, პეტლურასთან გაქცევა როგორ უნდა! ახლავე საიქიოს გაგაქცევ. შე მძორო!" მაშინ კი, მოგეხსენებათ, უშალ გონს მოეგო წმინდა მიწისმხვნელი, მთესველი და ქვეყნის მარჩენალი (მიშლაევსკიმ საშინელი ლანძღვა-გინება ზვავივით ჩამოაგრიალა), რა თქმა უნდა, ფეხებში ჩამივარდა და აღრიალდა: „ო, თქვენო მაღალკეთილშობილებავ, ბაბატიეთ, ერთი გამოთაყვანებული, ბრუტიანი ბერიკაცი ვარ, სიბრიყვით მომიყვიდა, ცხენებს მოგართმევთ, ახლავე მოგართმევთ, ოღონდ არ მომკლათ!" ცხენებიც გამოინახა და მარხილიც.

— ჰოდა, პოსტზე დაბინდებისას მივედით. იქ რა ხდება, კაცი თაესა და ბოლოს ვერ გაუგებს. ლიანდაგზე ოთხი ბატარეა დავითვალე, ბრეზენტგადაეხდელნი დგანან. თურმე ჭურვები არ ჰქონიათ. შტაბებს კი სათვალავი არ აქვს. მოგეხსენებათ, არავინ არაფერი უწყის. რაც მთავარია, არ ვიცით, ბაკდრებს რა ვუყოთ! ბოლოს, როგორც იქნა, მოძრავი ლაზარეთი ვიპოვეთ, მკვდრები ძალით მივაჩეჩეთ, არ იბარებდნენ: ქალაქში წაასვენეთო. მაშინ კი გავცოფდით. კრასინმა ვიღაც შტაბელი კინაღამ მიახვრიტა. იმან უთხრა, ეგ

პეტლურასეული ფანდებიაო, და გაიძურწა. შჩოტკინის ვაგონს საღამოსღა მივაგნეთ. პირველი კლასის ვაგონი იყო, ელექტროშუქით გაჩირაღდნებული! ჰოდა, რა გგონია? დგას ერთი ტუტუცი. დენშჩიკი თუ ვიღაცა, და ისევ არ გვიშვებს. ჰა? მის მაღალკეთილშობილებას სძინავს, ნაბრძანები მაქვს, არავინ შევუშვაო. ვაგონის კედელს კონდახი დავცხე, ჩვენები ყველანი ავყარეთ და ერთი ბაგა-ბუგი ატეხეს. ყველა კუპედან მუხუდოს მარცვლებივით გამოცვივდნენ. შჩოტკინიც გამოვიდა და ქლესაობას მოჰყვა: ოჰ, ღმერთო ჩემო, რა თქმა უნდა. ახლავე. ჰეი, შიკრიკებო, ავახშმეთ, კონიაკი დაალევინეთ, ახლავე ყველას დაგაბინავებთ. რიგიანად დაისვენეთ. ეს ხომ გმირობაა. ეჰ, რა ბიჭები დავკარგეთ. რას იზამ — მსხვერპლი უნდა გავიღოთ, ოჰ, როგორ გავწამდიო... კონიაკის სუნს კი ერთ ვერსზე აფრქვევს. ა-ა-ა! — მიშლაევსკიმ უცებ დაამთქნარა და თავი ჩაჰკიდა. ისე აბუტბუტდა, თითქოს აბოდებსო.

— რაზმს თბილანა ვაგონი და ღუმელი მისცეს... ოო! მე კი აქ წამოსვლა შომიწია. როგორც ჩანს, იმ ბაგაბუგის გამო შჩოტკინმა გადაწყვიტა თავიდან მოვეშორებინე: პორუჩიკო, ქალაქში უნდა მიგაღწიოთ გენერალ კარტუზოვის შტაბში, ყველაფერი იქ მოახსენეთო. ე-ე-ე! ორთქლმავლით წამოვედი... გავითოშე... თამარის კოშკი... არაყი...

მიშლაევსკის პაპიროსი პირიდან გაუვარდა, საიარაღეზე გადაწვა და უძალ ხვრინვა ამოუშვა.

— კარგი ამბავია, ხომ იცი! — თქვა დაბნეულმა ნიკოლკამ.

— ელენა სად არის? — იკითხა შეწუხებულმა უფროსმა ტურბინმა. — ზეწარი გამოუტანოს. შენ საბანაოდ წაიყვანე.

ელენა კი ამ დროს სამზარეულოს გვერდითა ოთახში ტიროდა, სადაც ჩითის ფარდის იქით, თუთიის აბაზანის გვერდით, ქურაში არყის ხმელი შეშის ალი ბრიალებდა. სამზარეულოს ხრინწიანმა საათმა თერთმეტჯერ ჩამორეკა. ელენას თვალწინ მოკლული ტალბერგი წარმოუდგა. რა თქმა უნდა, მატარებელს თავს დაესხნენ, ბადრაგი გაექცეს და თოვლზე სისხლი და ტვინია დანთხეული. ელენა ჩაბნელებულ ოთახში იჯდა, ჩაშოშლილ თმის გვირგვინს ცეცხლის ალი უნათებდა, ლოყებზე ცრემლი ჩამოსდიოდა. მოკლეს. მოკლეს...

უცებ ზარის წკრიალი მთელ ბინას მოეფინა. ელენამ სამზარეულოსა და ჩაბნელებულ წიგნების ოთახში ქარიანთ ჩაიქროლა და სასადილო ოთახში შევარდა. შუქმა იმატა, შავმა საათმა ჩამორეკა და მერე ისევ ტაკუნი განაგრძო.

ნიკოლკას და უფროს ტურბინს მალე გაუნელდათ პირველი სიხარული. თანაც ელენას გამო უფრო გაუხარდათ. ტალბერგის მხრებზე დაკერებული ჰეტმანის სამხედრო სამინისტროს სოლისებური სამხრეები ძმებს გუნებას უფუჭებდა, თუმცა სამხრეებამდეც. ელენას ქორწინების თითქმის პირველივე დღიდან, ტურბინთა ცხოვრების თასს ბზარი გაუჩნდა და ამ ბზარიდან მაცოცხლებელი წყალი შეუმჩნევლად იპარებოდა. თასი დაშრა. იქნებ ეს უფრო გენერალური შტაბის კაპიტან ტალბერგის ორფენოვანი თვალების ბრალი იყო.

ეჰ... ეჰ... ასეა თუ ისე, პირველი ფენის ამოკითხვა ახლა ცხადად შეიძლებოდა. ზედა ფენიდან გამოსჭვიოდა უბრალო ადამიანური სიხარული, რასაც სითბო, სინათლე და უმიშროება ბადებდა. უფრო ღრმად კი ამკარა შეშფოთება ჩაბუდებულიყო, ტალბერგმა ამჟამად თან რომ მოიყოლა. ყველაზე ღრმად რაც იყო ჩამალული, როგორც ყოველთვის, რა თქმა უნდა, არ ჩანდა. ყოველ შემთხვევაში, სერგეი ივანოვიჩს გარეგნულად არაფერი ეტყობოდა.

ბრტყელი ქაბარი მაგრად შემოერტყა, ორივე ნიშანი — აკადემიისა და უნივერსიტეტისა — თეთრად კრიალებდა. ხმელ-ხმელი ტანი შაი საათის ქვემოთ ავტომატიკით ტრიალებდა. ტალბერგი თუმცა ძალზე გათოშილი იყო, ყველას მაინც გულმოწყალედ ეღიმოდა. მაგრამ შეშფოთება ამ გულმოწყალებაშიც იგრძნობოდა. ეს პირველად ნიკოლკამ შეამჩნია და გრძელ[illegible] ტალბერგი ტკეპნა-ტკეპნით, მხიარულად ჰყვებოდა, რაც [illegible] ბელს, რომლითაც პროვინციაში ფული მიჰქონდათ და რომლის ბადრაგსაც ტალბერგი მეთაუროობდა. პოროდიანკასთან, ქალაქიდან ორმოცი ვერსზე თავს დაესხნენ. არავინ იცის, ვინ იყვნენ! შეირწუნებული ელენა თვალებს ჭუტავდა, თეთრ ნიშნებს ეკვროდა, ძმები ისევ ო-ჰო-ჰო! — იძახდნენ, მიშლაევსკის კი მკვდარივით ეძინა, ხვრინავდა და საბი ოქროს კბილი მოუჭანდა.

— მაინც ვინ იყვნენ? პეტლურა?

— ეჰ, პეტლურა რომ ყოფილიყო, — თან მოწყალედ, თანაც შეშფოთებით გაიღიმა და ისე წარმოთქვა ტალბერგმა, — ერა მგონია, ახლა აქ... ე... თქვენთან მესაუბრა. რა ვიცი, ვინ იყვნენ. შესაძლოა, დაქსაქსული სერდიუკების ხროვა იყო. ვაგონებში შემოცვივდნენ, შაშხანებს იქნევდნენ და ყვიროდნენ. ბადრაგი ვისიაო? მე ვუპასუხე, სერდიუკები ვართ-მეთქი. ერთხანს იტრიალეს, მერე კი ბრძანება გავიგონე: „ჩავიდეთ, ბიჭებო!“ და ყველანი გაუჩინარდნენ. შე მგონი, ოფიცრებს დაეძებდნენ, ალბათ ეგონათ, ბადრაგი უკრაინელებისა კი არა, ოფიცრებისა იყო, — ტალბერგმა მრავლისმეტყველად გადახედა ნიკოლკას შევრონს, საათს შეხედა და მოულოდნელად დაუმატა: — ელენა, წამოდი, რაღაც უნდა გითხრა...

ელენა სწრაფად გაჰყვა უკან. ისინი ტალბერგების სამყოფელში, საწოლ ოთახში გავიდნენ, სადაც კედელზე, საწოლს ზემოთ, თეთრ ხელთათმანზე შალარდენი იჯდა, ელენას საწერ მაგიდაზე მუუდროდ ენთო მწვანე ლამპა, ხოლო წითელი ხის ტუმბაზე საათი იდგა, ფრონტონს ბრინჯაოს მწყემსები რომ უმშვენებდა და სამ საათში ერთხელ გავოტს უკრავდა.

ნიკოლკამ მიშლაევსკი რის ვაივაგლახით გაიღვიძა. იგი საბაზანოსკენ ბარბაცით წავიდა, ორჯერ კარს გამოედო და ააჯახუნა, მერე კი აბაზანაში ჩაეძინა. ნიკოლკა გვერდით ეჯდა, უდარაჯებდა, არ დაიხრჩოსო. უფროსი ტურბინი კი ჩაბნელებულ სასტუმრო ოთახში გავიდა, თავადაც არ იცოდა, ფანჯარას რატომ მიეყრდნო და ყური მიუგდო: შორს ქვლავ ყრუდ, თითქოს ბაძბაში, უწყინრად ბუხუნებდნენ ქვემეხები. ბუხუნებდნენ შორს და იშვიათად.

ოქროსთმიანი ელენა უცებ მობერდა და დაუშნოვდა. თვალები ჩასწითლებოდა, ხელები ჩამოეშვა და ტალბერგს დაღვრემილი უსმენდა. ის კი, თითქოს შტაბშიაო, ისე გაჯგიმული, თავს დასდგომოდა და უმოწყალოდ ეუბნებოდა:

— ელენა, სხვაგვარად მოქცევა არ შემიძლია.

ელენასაც სხვა გზა ალარ ჰქონდა, გარდუვალობას დანებდა და ტალბერგს უთხრა:

— ჰო, გასაგებია, რა თქმა უნდა, მართალი ხარ. მაშ ხუთი-ექვსი დღის შემდეგ, ხომ? იქნებ მდგომარეობა კიდევ გამოსწორდეს?

ახლა კი გასაჭირში ჩავარდა ტალბერგი. მუდმივი, პატენტოვანი ღიმილიც კი მოიშორა. თითქოს, მობერდა, მისი სახის ყოველი წერტილი ურყევ გადა-

წყვეტილებას გამოხატავდა. ელენა... ელენა... ეჰ, მცდარო, ეუწყო იმედი... ხუთი-ექვსი დღე...

ტალბერგმა თქვა:

— ახლავე უნდა წავიდე. მატარებელი ღამის პირველ საათზე გადის...

...ნახევარი საათის შემდეგ შეეარდნიან ოთახში ყველაფერი ადგილზე დადგა. ჩემოდანი იატაკზე იდო; მისი შიდა, მეზღვაურული სახურავი [illegible] შეეფარებოდა. გამხდარი, შუბლშეკრული, ტუჩებთან ნაოჭგაჩენილი ელენა ჩემოდანში მდუმარედ ალაგებდა პერანგებს, ქვედა საცვლებს, ზეწრებს. კარადასთან დაჩოქილ ტალბერგს ქვედა უჯრის გაღება უნდოდა და გასალების მორგებას ცდილობდა. მერე კი... მერე ოთახი ისეთი ამაზრზენი სანახავი შეიქნა, როგორც ყველა ოთახი, სადაც ბარგის ჩალაგების რია-რიაა; კიდევ უარესი, თუ ლამპასაც აბაჟური მოაძრეს. ლამპას აბაჟური არასოდეს, არასოდეს მოაძროთ! აბაჟური წმიდათაწმიდაა. საფრთხეს უგზოუკეღლოდ ნურასოდეს გაექცევით ვირთხასავით. აბაჟურთან ჩათვლიმეთ, წიგნი იკითხეთ, — დაე, იღმუვლოს ქარბუქმა — უცადეთ, სანამ კარზე თავად მოგადგებოდნენ.

ტალბერგი კი გარბოდა. ივი ჩაკეტილ, მძიმე ჩემოდანთან ასვეტილიყო. ჭალალდის ნახევებს ფეხით სრესდა, გრძელკალთებიან მაზარაზე ხმალი ჰქონდა შემორტყმული, პეწიან, ყურებიან ქუდზე ჰეტმანის ოფიცრის მორუხო-მოცისფრო კოკარდა ეკეთა.

ქალაქის I სამგზავრო ვაგზლის ვანსირა ლიანდაგზე უკვე დგას მატარებელი — ჭერ ორთქლმავალშეუბმელი, უთავო შუხლუხის მსგავსი. ივი თვალისმომჭრელი თეთრი ელექტროშუქით გაჩირაღდნებული ცხრა ვაგონისგან შედგება. ამ მატარებლით გენერალ ფონ ბუსოვის შტაბი ღამის პირველ საათზე გერმანიაში მიემგზავრება. ტალბერგი მიჰყავთ — შტაბში ნაცნობები გამოძებნა... ჰეტმანის სამინისტრო სულელური და უხამსი ოპერეტია (ტალბერგს გაცვეთილი, მაგრამ მაგარი გამოთქმები უყვარდა, ისევე როგორც თავად ჰეტმანი, მით უფრო უხამსი, რადგან...

— გაიგე (ჩურჩულით), გერმანელები ჰეტმანს ბედის ანაბარას ტოვებენ, და სულ. სულ ოღლი შესაძლებელია ქალაქში პეტლურა შემოვიდეს... ეს კი ნამ იცი...

ო, ელენამ იცოდა! ელენამ კარგად იცოდა, 1917 წლის მარტში ტალბერგი პირველი, — გესმით, პირველი, — მიეიდა სამხედრო სასწავლებელში მკლავზე ფართო, წითელი ლენტით. ეს იყო მარტის პირველ რიცხვებში, როცა ქალაქში მყოფ ოფიცრებს პეტერბურგიდან მოსული ამბების გავლენებაზე მიწისქვეშა ედებოდათ და სადღაც, ბნელი დერეფნებისკენ მიიჩქაროდნენ, რომ ალარაფერი მოესმინათ. სხვა ვინმემ კი არა, სწორედ ტალბერგმა, როგორც სამხედრო რევოლუციური კომიტეტის წევრმა, დააპატიმრა სახელგანთქმული გენერალი პეტროვი. ხოლო როცა სახელოვანი წლის მიწურულს ქალაქში ბევრი საოცარი და უცნაური ამბავი დატრიალდა, როცა გამოჩნდნენ ვიღაც უხეიქმოხი, ჯარისკაცური რუხი მაზარების ქვემოდან ფარფარა შარვლები რომ მოუჩანდათ და განაცხადეს, ქალაქიდან ფრონტზე არაფრის დიდებით არ წავალთ, რადგან ფრონტზე არაფერი გვესაქმება და აქ, ქალაქში დავრჩებითო, ტალბერგი გალიზიანდა და ცივად თქვა, ეს ის არ არის, რაც საჭიროა, ეს უხამსი ოპერეტაა, ჰოდა, ერთგვარად მართალიც აღმოჩნდა: მართლაც ოპერეტა გამოდგა. მაგრამ უბრალო კი არა, დიდი სისხლისღვრა რომ ახლდა: ფარფარაშარვლიანები

ქალაქიდან თვალის დახამხამებაში გადევნეს რუხმა, დაქსაქსულმა პოლკებმა, რომელნიც საიდანღაც, მოსკოვის მხარეს გაჭიმული ტყე-ველებიდან მოვიდნენ. ტალბერგმა თქვა, ფარფარაშარვლიანები ავანტიურისტები არიან, მათ ფესვები მოსკოვში აქვთ და ეს ფესვები ბოლშევიკურია.

მაგრამ ერთხელ, მარტში, ქალაქში გერმანელთა რუხი მწკრივები შემოლაგდა, მოსულებს თავზე ელალი ფერის ტაშტები ჩამოეფხეკათ — მოაბნელის ტყვიებისგან დასაცავად, ხოლო ჰუსარებს ისეთი ფაფახები ეხურათ და ისეთ ცხენებზე ისხდნენ, მათ დანახვაზე ტალბერგი უმალ მიხვდა, ფესვები სადაც იყო. ქალაქის მისადგომებთან გერმანული ქვემეხების რაბდენიმე ძლავრი ბათქის შემდეგ მოსკოველები სადღაც იისფერი ტყეების მიღმა მძორის საჭმელად გადაიხვეწნენ, ხოლო ფარფარაშარვლიანები უკანვე შემობარგდნენ გერმანელთა კვალდაკვალ. ეს დიდი სიურპრიზი გახლდათ. ტალბერგი დაბნეული ილიმებოდა, მაგრამ აღარ კი ეშინოდა, რადგან გერმანელთა იქ ყოფნისას ფარფარაშარვლიანები ძალზე თვინიერნი შეიქნენ, ვერავის მოკვლავს ვერ ბედავდნენ, ის კი არა, თავადაც ქუჩაში, ცოტა არ იყოს, დაფეთებულნი დადიოდნენ და ისეთი იერი ჰქონდათ, თითქოს მოკრძალებული სტუმრები არიანო. ტალბერგმა თქვა, ამათ ფესვები არა აქვთო. და ორ თვეს არსად უმსახურია. ნიკოლკა ტურბინს ერთხელ გაეღიმა, როცა ტალბერგის ოთახში შევიდა. იგი იჯდა და ქალალდის დიდ ფურცელზე რაღაც გრამატიკულ სავარჯიშოებს წერდა, ხოლო წინ იაფფასიან ნაცრისფერ ქალალდზე დაბეჭდილი თხელი წიგნი ედო.

„იგნატი პერპილო — უკრაინული გრამატიკა“.

თვრამეტი წლის აპრილში, აღდგომა დღეს, ცირკში მხიარულად ზუზუნებდა მჭრქალი ელექტრობურთები, ხოლო დარბაზი გუმბათამდე ხალხს გადაეშავებინა, არენაზე მხიარული, მხედრულად შემართული ტალბერგი იდგა და აწეულ ხელებს ითვლიდა — ფარფარაშარვლიანებს ბოლო მოეღოთ, იქნება უკრაინა, მაგრამ „ჰეტმანის“ უკრაინა, — ირჩევდნენ „სრულიად უკრაინის ჰეტმანს“.

— ჩვენ მოსკოვის სისხლიანი ოპერეტიდან გამიჯნულნი ვართ. — ამბობდა ტალბერგი და შინ, ძველი, თვალმეჩვეული შპალერის ფონზე ჰეტმანის ოფიცრის უცნაურ სამოსს აელვარებდა. საათი ზიზღით ხიხინებდა. ტაკ-ტუკ... ჰოდა, წყალი თასიდან გადმოიქცა. ნიკოლკას და ალექსეის ტალბერგთან სალაპარაკო არაფერი ჰქონდათ. თუნდაც ჰქონოდათ, ლაპარაკი ძალზე გაუძნელდებოდათ, რადგან ტალბერგი პოლიტიკაზე საუბრისას ძალიან ბრაზობდა, მეტადრე მაშინ, როცა ნიკოლკა სრულიად უტაქტოდ წამოიწყებდა: „სერიოჟა. მარტში რას ამბობდი?...“ ტალბერგი უმალ გამოაჩენდა ზედა მეჩხერ, მაგრამ მსხვილ და თეთრ კბილებს, თვალებში მოყვითალო ნაპერწკლები გაუელვებდა და მღელვარება ეუფლებოდა. ისე რომ საუბარი მოლიდან თავისთავად გამოვიდა.

დიახ, ოპერეტი... ელენამ იცოდა, შეშუპებელ ბალტიისპირულ ბაგეთაგან წარმოთქმული ეს სიტყვა რასაც ნიშნავდა. მაგრამ ოპერეტი ახლა ფარფარაშარვლიანებს, მოსკოველებს, ვიღაც ივან ივანოვიჩს კი არ უგებდა მახეს, თვით სერგეი ივანოვიჩ ტალბერგს ემუქრებოდა. ყოველ ადამიანს თავისი ბედის ვარსკვლავი აქვს. შუა საუკუნეებში სამეფო კარის ვარსკვლავთმისნები ტყუილად კი არ ადგენდნენ ჰოროსკოპებს და მომავალს წინასწარმეტყველებდნენ. ჰოი, რა ბრძენი ხალხი იყო მაშინ! ჰოდა, ტალბერგი, სერგეი ივანოვიჩი, შეუფერებელ, ცუდ ვარსკვლავზე იყო დაბადებული. ტალბერგი კარგად

იქნებოდა. ყველაფერი სწორი. ერთი განსაზღვრული ხაზით რომ წარმართულიყო. მაგრამ ამ დროს ქალაქში ამბები სწორი ხაზით კი არ ვითარდებოდა. უცნაურ ბიგზაგებს ხლართავდა და სერგეი ივანოვიჩი ამაოდ ცდილობდა გაეგო, მერე რა მოხდებოდა ვერც გამოიცნო. ჯერ მიხის, ქალაქიდან ასორმოცდაათ, შესაძლოა ორას ვერსზე თეთრი შუქით გაჩერებულ ლიანდაგზე დგას სალონ-ვაგონი. ვაგონში, როგორც პარკში მეჩხერ ადამიანს დახტის წვერგაპარსული კაცი და თავის გადამწერლებსა და ადიუტანტებს რაღაცას უკარნახებს. ვაი ტალბერგს, თუ ეს კაცი ქალაქში შემოვიდა. ის კი შესაძლოა შემოვიდეს! ვაი მის დღეს! გაზეთ „ცნობების" ნომერი ყველასთვის ცნობილია. ჰეტმანის ამომრჩევ კაპიტან ტალბერგის სახელიც აგრეთვე ყველამ იცის. გაზეთში სტატიაა, სერგეი ივანოვიჩის კალამს რომ ეკუთვნის. სტატიაში კი სიტყვებია:

ავანტიურისტი პეტლურა თავისი ოპერეტით ქვეყანას დაღუპვას ეპარება...

ელენა, თავადაც ხომ იცი. შენი წაყვანა არ შემიძლია. ვინ იცის, საც ძომიხდება ხეტიალი. ხომ ასეა?

ელენას კრინტიც არ დაუძრავს, რადგან ამაყი იყო.

— მე მგონი, რუმინეთიდან დაუბრკოლებლად ჩავიღწევ ყირიმში და დონზე. ფონ ბუსოვი მხარდაჭერას შემპირდა. მე მაფასებენ. გერმანელნი ოკუპაციას ოპერეტად გადაიქცა. გერმანელები უკვე მიდიან. (ჩუურჩულით) პეტლურაც ჩემი ანგარიშით, მალე დაემხობა. ნაძდეილი ძალა დონიდან მოვმაოთება. ხომ იცი. რომ შეუძლებელია მე იქ არ ვიყო, სადაც საძართლიანობისა და წესრიგის დამამყარებელი ჯარი ყალიბდება. იქ თუ არ ვიქნები, ეს კარიერის დაღუპვას ნიშნავს. ხომ იცი, რომ დენიკინი ჩემი დიდების მეთაური იყო. მე მწამს, რომ სამი თვეც არ გავა. ყველაზე უკვიანეს, მაისში მაინც ქალაქში შემოვალთ. ნურაფერისა გეშინია. არაფრის დიდებით ხელს არ გახლებენ. უკიდეურეს შემთხვევაში, პასპორტი ქალიშვილობის გვარზე ხომა გაქვს. ალექსეის ვთხოვ. შენი თავი არავის დაეჩაგვრინოს.

ელენა გამოეხიზლდა.

— მოიცა, — უთხრა ტალბერგს, — ჩემი ძმები ხომ ახლავე უნდა გავაფრთხილოთ, გერმანელები რომ გვღალატობენ?

ტალბერგს სახე ერთიანად წამოეწითლდა.

— რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, ესათუოდ... თუმცა შენ ოვეიოონ ეთხარი. ეს კია. ამით არაფერი შეიცვლება.

ელენას უცნაურმა გრძნობამ გაჰკრა. მაგრამ დაფიქრების დრო ახლა არ აქვნდა: ტალბერგი ოოლს უკვე ჰოცნიდა და ერთ წამს მისი ორსართულიანი თვალებიდან მხოლოდ ერთი რამ — სინაზე გამოსჭვიოდა. ელენამ თავი ვერ ვერ შეიკავა და წამოიტირა. მაგრამ ხმადაბლა, ხმადაბლა, — ძლიერი ქალი იყო, ანა ვლადიმირეოვნას შვილი ტყუილად კი არ გახლდათ. მერე სასადილოთანაბში ძმებთან გამომშვიდობების ჟამიც დადგა. ბრანჯოს ლაბაში ვარდისფერმა შუქმა იფეთქა და მთელი კუთხე გაანირალდა. პიანინომ მუდროების ალმაცერელი თეთრი კბილები და ფაუსტის პარტიტურა გამოაჩინა იქ, სადაც შავი სანოტო ალუქები შავ, მჭიდრო რიგებად მიეკვეთა ერთმანეთს და მრავალფერი ალეწერა ვალენტინი მღერის.

გემუდარები, დაი ჩემი
რომ არ გაწირო, არ გაწიროთ!
ო, დაიფარე დაი ჩემი.

ტალბერგსაც კი, ვისოვისაც ყოველგვარი სანტიმენტალური გრძნობა უცხო იყო, იმ წუთას დაამახსოვრდა შავი აკორდიბიც და უკვდავებაშესული ფაუსტის დაძენძილი ფურცლებიც. ეჰ, ეჰ... ტალბერგი ვეღარ მოისმენს ფაუსტინას ჯოვლისშემძლე ღმერთზე, ვეღარ მოისმენს შერვინსკის სიმღერას და ელენას აკომპანიმენტს! თუმცა გაეა ქამი, ამჭვეყნად აღარ იქნებიან აღარც ტურბინები და აღარც ტალბერგი, კლავიშები კი ისევ აელერდება. რამპასთან მრავალფერი ვალენტინი გამოვა, ლოჟებში სუნამოს სურნელება დაიფრქვევა, შუქით გასხივოსნებული ქალები შინ აკომპანიმენტს შეასრულებენ, რადგან ფაუსტი საარდიმელი დურგალივით უკვდავია.

ტალბერგმა იქვე, პიანინოსთან, ყველაფერი თქვა. ძმები თავგანწირულად დუმდნენ. ცდილობდნენ წარბიც არ შეეხარათ. უმცროსი სიამაყის გამო, უფროსი კი იმიტომ, რომ დუნე იყო. ტალბერგს ხმა გაებზარა.

— ელენას გაუფრთხილდით, — ტალბერგის თვალთა პირველი ფენა მუდარას და შეშფოთებას გამოხატავდა. ივი შეიშმუშნა, ჯიბის საათს დაბნეულმა დახედა და სწრაფად თქვა: — დროა.

ელენამ ქმარს კისერზე ხელები მოჰხვია და მიიზიდა, ჯვარი აჩქარებით, მრუდედ გადასახა და აკოცა. ტალბერგმა ორივე ძმა შავი, შეკრეჭილი ულვაშების ნემსებით დაჩხვლიტა. საფულეში ჩაიხედა, საბუთების დასტა ხელდახელ შეამოწმა, თხელ უბეში ჩაწყობილი უკრაინული ფული და გერმანული მარკები გადათვალა. ღიმილით, დაძაბული ღიმილით შეტრიალდა და კარისკენ გაემართა. ძინ... ძინ... შემოსასვლელში შუქი ზემოდან დაეფრქვია, მერე კიბეზე ნელმოდნის ბრაგუნი გაისმა. ელენა მოაჯირს გადაეკიდა და წოწოლა ყაბალახის წვეტი უკანასკნელად დაინახა.

ღ მის პირველ საათზე წყვდიადში ჩაძირული ბეხუთე ლიანდაგიდან ცარიელ საკვირთო ვაგონთა სასაფლაოს დიდი სისწრაფით, რახრახით, საჰაეროდან წითელი ალის გიზგიზით მოსწყდა ჯოჯოხეთივით რუხი ჯავშნოსანი და ველურად შეკუმკუვლა. რვა ვერსი შიდა წუთში გაირბინა, ღრიალით, ჭახანით, რახრახით, ფარანთა ბრიალით შეგრიალდა პოსტ-ვოლინსკში, მოთახთახე ისრებთან შეუჩერებლად. მთავარი ხაზიდან განზე გაუხვია, თბილანა ვაგონებში თავშეფარებულ თუ იქვე პოსტთან მწკრივებად მდგარ, გათოშილ, აბუზულ იუნკრებსა და ოფიცრებს გულში ბუნდოვანი იმედი და სიამაყე აღუძრა და მედგრად, უშიშრად გასწია გერმანიის საზღვრისკენ. მის კვალდაკვალ ათი წუთის შემდეგ პოსტზე ჩაიარა უზარმაზარ ორთქლმავალზე გამობმულმა, ფანჯრებგაჩირაღდნებულმა სამგზავრო მატარებელმა. ბაქნებზე გაიელვეს ტუმბებივით დაყუდებულმა ჩასკვნილმა, თვალებამდე შეფუთნულმა გერმანელმა გუშაგებმა, გაიელვა მათმა შავმა, ფართოპირიანმა ხიშტებმა. ყინვისგან სულშეხუთული მეისრეები ხედავდნენ, პირაპირებთან როგორ ირყეოდა გრძელი პუღამანები; ფანჯრებიდან მეისრეებს ბლუჯა-ბლუჯა შუქი ეფრქვეოდა. მერე ყოველივე გაქრა და იუნკრებს გული შურით, ბრაზითა და შეშფოთებით აღევსოთ.

— უჰ... არამზადები! — გაისმა სადღაც ისართან და თბილანა ვაგონებს მსუსხავი ქარბუქი ეძგერა. იმ ღამით პოსტი ნამქერში გაეხვია.

ხოლო ტალბერგი ორთქლმავლის ბომბდევნო მესამე ვაგონში, ხოლიანი შალითებით დაფარულ კუპეში გერმანელი ლეიტენანტის პირდაპირ იჯდა, თავაზიანად, პირფერულად უღიმოდა და გერმანულად ელაპარაკებოდა.

— O, ja, — დროდადრო გაწელავდა ჩასუქებული ლეიტენანტი და სიგარას ღეჭავდა.

როცა ლეიტენანტმა დაიძინა, ყველა კუპეს კარი ჩაიკეტა და თბილმა კრიალა ვაგონმა ერთფეროვანი, სამგზავრო დუდუნი გააბა, ტალბერგი დერეფანში გავიდა და გახუნებული ფარდა გადაწია, რომელსაც გამჭვირვალე ასოები „ს.-დ. რკ. გ." ეწერა. წყვდიადს დიდხანს გასცქეროდა. იქ უწესრიგოდ ხტოდა ნაპერწკლები, ირეოდა თოვლის ფანტელები, წინ კი ორთქლმავალი მიქროლდა და ისე შემზარავად, ისე უსიამოდ გაჰკიოდა, ტალბერგსაც კი გული აეძღვრა.

II

ამ ღამეს, ქვედა სართულზე, სახლის მეპატრონის, იხეიხერ ვასილი ივანოვიჩ ლისოვიჩის ბინაში სრული სიჩუმე სუფევდა. მყუდროებას დროდადრო მხოლოდ თაგვი აოცებდა პატარა სასადილო ოთახში. იგი ბუფეტში ლრღნიდა ყველის გამხმარ ქერქს, ლრღნიდა ჯიუტად და საქმიანად, თან ინჟინრის მეუღლის ვანდა მიხაილოვნას სიძუნწეს წყევლიდა. თაგვისგან დაწყეტილ, გაძვალტყაეებულ, ეჭვიან ვანდას კი ლრმა ძილით ეძინა გრილი და ნესტიანი ბინის პატარა, ბნელ საწოლ ოთახში. თავად ინჟინერს არ ეძინა. იგი ავეჯით ჩახერგილ, ფარდაჩამოფარებულ, წიგნებით გამოტენილ და ამიტომაც ფრიად მყუდრო, პატარა კაბინეტში იმყოფებოდა. ყვავილებით მოჩითული შწვანე ჭოლგით მოჩრდილული დასადგმელი ლამპა, ეგვიპტის დედოფალს რომ გაძოსახავდა, მთელ ოთახს ნაზად და იდუმალად აფერადებდა. ტყავის ლრმა საყარძელში მჯდარი ინჟინერი თავადაც იდუმალებით იყო მოცული. არეულ-დარეული დროის იდუმალებასა და ორჭოფობას უწინარეს ყოვლისა, ისიც გამოხატავდა, რომ საყარძელში მჯდარი კაცი ვასილი ივანოვიჩ ლისოვიჩი კი არა, ვასილისა გახლდათ... არა, თავად ის საკუთარ თავს ლისოვიჩს უწოდებდა, ვისთანაც საქმე ჰქონდა, ვისაც ხვდებოდა. ისინიც ვასილი ივანოვიჩს უძახდნენ, მაგრამ მხოლოდ პირში. პირს უკან კი, მესამე პირში, ყველა ვასილისას უძახდა, სხვაგვარად არავინ იხსენიებდა. ეს იმიტომ მოხდა, რომ 1918 წლის იანვრიდან, როცა ქალაქში უკვე სრულიად აშკარა სასწაულები დაიწყო, სახლის მეპატრონემ გამართული ხელწერა შეიცვალა და გარკვეული „ვ. ლისოვიჩის" ნაცვლად მომავალი პასუხისმგებლობის შიშით, ანკეტებში, ცნობებში, მოწმობებში, ორდერებსა და ბარათებში ხელს ასე აწერდა: „ვას. ლის."

ვასილი ივანოვიჩის მიცემული ბარათით შაქრის ასაღებად წასულ ნიკოლკას თვრამეტი წლის თვრამეტ იანვარს კრეშჩატიკზე შაქრის ნაცვლად ზურგში საშინელი ძალით გამონასროლი ქვა მოხვდა და ორი დღე სისხლს აფურთხებდა (ჭეშმარიტ სწორედ შაქრის რიგში მდგარ უშიშარ ადამიანთა თავს ზემოთ გასკდა). შინ დაბრუნებული, გაფითრებული ნიკოლკა თავის შესამაგრებლად კედელს ეჭიდებოდა, მაგრამ მაინც იღიმებოდა, ელენა არ შევაშინოო, მთელი ტაშტი სისხლიანი ფურთხით გაავსო და, როცა ელენამ შეჰკივლა:

— ღმერთო ჩემო! ეს რა არის?

უპასუხა:

— ეს ვასილისას შაქარია, ეშმაკსაც წაუღია! — მერე ფეხზე მთლად დაკარგა და გვერდზე დაენარცხა. ჩიკოლკა ორი დღის მერე წამოდგა, ვასილი ივანოვიჩ ლისოვიჩი კი აღარ არსებობდა. ინჟინერს ჯერ ცამეტ ნომერ სახლის ეზოში, ხოლო შემდეგ მთელ ქალაქშიც ვასილისა შეერქვა. შარიფ თავად ქალის სახელის მქონე ამბობდა, საბინაო კომიტეტის თავჯდომარე ლისოვიჩი გახლავართო.

როცა დარწმუნდა, რომ ქუჩა მთლად მიაუჩდა, იშვიათად ჩავლილ მარხილთა ღრჭიალიც მიწყდა, როცა საწოლ ოთახში ცოლის ფშვინვას მიაყურადა, ვასილისა დერეფანში მაშინლა გავიდა, გულდასმით შეამოწმა ურდულები, ჭანჭიკი, ჯაჭვი, კაკვი და კაბინეტშივე დაბრუნდა. თავისი დიდი მაგიდის უჯრიდან ოთხი პრიალა ინგლისური ქინძისთავი ამოიღო, მერე სიბნელეში ფეხაკრეფით სადღაც გავიდა და ზეწარი და პლედი შემოიტანა. კიდევ მიაყურადა, ტუჩებზე თითიც კი მიიდო, პიჯაკი გაიხადა, სახელოები დაიკაპიწა, თაროდან წებოს ქილა, ფაქიზად დახვეული შპალერის ნაჭერი და მაკრატელი ჩამოიღო. მერე ფანჯარას მიეკრა, ხელისგული მოიფარა და ქუჩას დააკვირდა. მარცხენა ფანჯარას სანახევროდ ზეწარი ჩაეფარა, მარჯვენას პლედი და ინგლისური ქინძისთავებით დაამაგრა. გულდასმით გაასწორა, რომ ღრიჭოები არ დარჩენილიყო. სკამი დაიდგა, ზედ შედგა, ზედა ფარეზზე ჩარიგებული წიკნების ზემოთ ხელით რალაც მოსინჯა, შპალერს ზემოდან ქვემოთ, ვერტიკალურად დანა ჩაიოესვა, მერე მართკუთხად გვერდზე გაუსვა. ჭრილში დანის წვერი შეყო და პატარა, ფაქიზად გამოჭრილი ორი აგურისხელა სამალავი გამოაჩინა, წინა ღამეს თვითონვე რომ გაამზადა. სამალავის კარი—თუთიის თხელი ფირფიტა — განზე გასწია, სკამიდან ჩამოვიდა. ფანჯარას შეშინებულმა შეხედა, ზეწარი ხელით მოსინჯა. მერე გასალები ჩხაკუნით ორჯერ გადაატრიალა, მაგიდის ქვედა უჯრა გამოიღო და მისი სიღრმიდან გაზეთის ქაღალდში გახვეული, ზონრით გარდიგარდმო კოხტად შეკრული დაბეჭდილი პაკეტი ამოაძვრინა. ვასილისამ ეს პაკეტი სამალავში შეინახა და კარი დახურა. წითელმაუდგადაკრულ მაგიდაზე დიდხანს ზომავდა და ჭრიდა შპალერის ზოლებს, სანამ ისე მიუყენებდა, როგორც საჭირო იყო ბუბკოწასმული ზოლები ჭრილს ისე ზუსტად მოარგო უკეთესს ვერც ინატრებდა: ნახევარი თაიგული ნახევარ თაიგულს, კვადრატი კვადრატს მიუყენა. როცა ინჟინერი სკამიდან ჩამოვიდა და დარწმუნდა, რომ კედელს სამალავის ოდნავი კვალიც არ ეტყობოდა, ხელები ალკოთოვანებით მოიფშვნიტა, შპალერის ნარჩენები უმალ მოქმუჭნა, ღუმელში დაწვა, ფერფლი გაფანტა და წებო შეინახა.

ჩაშაქებულ, უკაცრიელ ქუჩაში მგლისებური, დაძონძილი, ოუხი ლანდი უხმაუროდ ჩამოხტა აკაციის ტოტიდან, სადაც ნახევარი საათი იჯდა და ყინვაში იტანჯებოდა, მაგრამ ზეწრის ზედა კუთხესთან დარჩენილი მუხანათი ღრიჭოდან ხარბად ადევნებდა თვალს ინჟინრის საქმიანობას. ვინც უბედურებას სწორედ ამ ზეწრის გამო, მწვანედ შეღებილ ფანჯარაში ჩამოფარებული ზეწრის გამო გადაეყარა. ლანდი ნამქერში მარჯვედ ჩახტა, ქუჩას ზემოთ აუყვა, მერე მგლური ძუნძულით შესახვევებს შეერია და სადღაც ვაუჩინარდა. ქარბუქმა, წყვდიადმა, ნამქერმა ისიც ჩაყლაპა და მისი ნაკვალევიც ერთიანად წაშალა.

ღამეა. ვასილისა საკარძელში ზის. მწვანე ჩრდილში ნაღდი ტირას ბულბაა.

გაფანჩული ულვაშები ჩამოუშვია — ეშმაკმა დალახვროს, სადაური ვასილისაა! — ეს ხომ ვაჟკაცია. ყუთში ნაზი შარიშური გაისმა და ვასილისას წინ, წითელ მაუდზე მწვანედ დაწინწკლული ბანქოს ქალალდისნაირი მოგრძო დასტები გაჩნდა:

Знак державної скарбниці
50 карбованців
Хедит нарівні з кредитовими білетами[1]

ქალალდზე ულვაშჩამოშვებული, ნიჩაბმომარჯვებული სოფლელია გამოსახული, აგრეთვე ნამგლიანი სოფლელი ქალი. უკანა ძალიზე, ოვალურ ჩარჩოში, იმავე სოფლელი ქალისა და ქალის ვადიდებული, ლაღლაჟა სახეები. აქაც უკრაინულად ჩამოშვებული ულვაშები. ზემოდან გამაფრთხილებელი წარწერა გასდევს:

За фальшування карається тюрьмою[2].

დამაჯერებელი ხელმოწერა:

Директор державної скарбниці Лебідь-Юрчик[3].

სპილენძის ცხენზე ამხედრებული, თუჯის აწეწილი ბაკენბარდებით სახეშემობურული ალექსანდრე II ლებიდ-იურჩიკის მხატვრულ ქმნილებას ცერად, ბრაზიანად, ხოლო ლამპა-დედოფალს ალერსიანად დასცქეროდა. ქედლიდან ქალალდებს შეძრწუნებული დაჰყურებდა სტანისლავით მკერდდაბშვენებული მოხელე — ვასილისას ზეთით დახატული წინაპარი.

მწვანე შუქზე სათუთად ელვარებდა გონჩაროვის და დოსტოევსკის ყუები და ბროკჰაუზ-ევფრონის ოქროსფერ-შავი მხედრულ-გვარდიული მძლავრი მწკრივი. სიმყუდროვე სუფევდა.

ხუთპროცენტიანი საგულდაგულოდაა დამალული შპალერის ქვეშ სამალავში. იქვეა თხუთმეტი „კატერინკა“, ცხრა „პეტრე“, ათი „ნიკოლოზ პირველი“; სამი ბრილიანტისთვლიანი ბეჭედი, გულის ქანძისთავი, ანა და ორი სტანისლავი.

№ 2 სამალავში — ოცი „კატერინკა“, ათი „პეტრე“, ოცდახუთი ვერცხლის კოვზი, ძეწკვიანი ოქროს საათი, სამი პორტსიგარი („ძვირფას თანამშრომელს“, თუმცა ვასილისა არ ეწეოდა), ორმოცდაათი ოქროს თუმნიანი, სამარილეები, კოლოფში ჩაწყობილი ექვსი წყვილი ვერცხლის დანა-ჩანგალი, ვერცხლისავე საწური (დიდი სამალავი შეშის ფარდულშია, კარიდან ორი ნაბიჯი პირდაპირ, მერე ერთი ნაბიჯი მარცხნივ, კიდევ ერთი ნაბიჯი კარცით ნიშანდასმული კედლის ძელიდან. ყველაფერი ეინემის ნამცხვრის ყუთებშია ჩაწყობილი, მუშამბაშია შეხვეული, ხოლო ნაკერები თისითაა ამოგლესილი, ორი არშინის სიღრმეზე ჩაფლული).

მესამე სამალავი სხვენზეა: საკვამური მილიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით ორ ჩარექზე, კოჭის ქვეშ, თიხაში. იქ არის შაქრის მაშა, ას ოთხმოცდასამი ოქროს თუმნიანი, ოცდახუთი ათასის პროცენტიანი ქალალდები.

---

[1] სახელმწიფო ხაზინის ნიშანი. 50 მანეთი. იხმარება საკრედიტო ბილეთების თანაბრად (უკრ.)

[2] ყალბი ფულის კეთება ისჯება პატიმრობით (უკრ.).

[3] სახელმწიფო ხაზინის დირექტორი ლებიდ-იურჩიკი. (უკრ.).

ლებიდ-იურჩიკი ყოველდღიური ხარჯებისთვისაა გადადებული.

ვასილისამ მიმოიხედა, როგორც ყოველთვის იცოდა, როცა ფულს ითვლიდა და ნერწყვით ქაღალდი დაასველა, სახე ზეშთაგონებული გრუხდა. მერე უცაბედად გაფითრდა.

— ყალბია, ყალბია, — ბრაზით ჩაიბუზღუნა და ფეხზე გადაქნია, — ეს რა უბედურებაა, ჰა?

ვასილისას ცისფერი თვალები სასიკვდილოდ განწირულივით დაუნაღვლიანდა. მესამე ათეულში ერთი, მეოთხე ათეულში ორი, მეექვსეში ორი, მეცხრეში კი ზედიზედ სამი ფული აღმოჩნდა ნამდვილად ისეთი, რაზედაც ლებიდ-იურჩიკი დაპატიმრებით იმუქრებოდა. ეს ცამეტ ცალში, ბატონი ბრძანდებით, რვა აშკარად ყალბია. სოფლელი, ცოტა არ იყოს, დაღვრემილია, მხიარული კი უნდა იყოს, ძნასთან არ ჩანს საიდუმლო, უტყუარი, გადაბრუნებული მძიმე და ორი წერტილი, ქაღალდიც ლებიდის ქაღალდზე უკეთესია. ვასილისამ სინათლეზე გახედა. ლებიდს სიყალბე უკანა მხრიდან აშკარად ეტყობოდა.

— ერთს ხვალ საღამოს მეეტლეს მივცემ, — უთხრა საკუთარ თავს ვასილისამ, — ისედაც უნდა დამექირავებინა. დანარჩენს, რა თქმა უნდა, ბაზარზე გავასაღებ.

მეეტლისა და ბაზრისთვის განკუთვნილი ყალბი ფულები ცალკე გადააწყო, დასტა კი უჯრაში შეინახა და ჩხაკუნა გასაღებით ჩაკეტა. შეკრთა. თავს ზემოთ, ჭერზე ვიღაცამ გაირბინა და სამარისებური სიჩუმე სიცილმა და გაურკვეველმა ხმებმა გაკვეთა.

— ხომ ხედავთ, მოსვენება სულ დაკარგული გვაქვს... — უთხრა ვასილისამ ალექსანდრე მეორეს.

ზემოთ ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. ვასილისამ დაამთქნარა, ნეჭვით ულვაშზე ხელი ჩამოისვა, ფანჯრებიდან პლედი და ზეწარი ჩამოხსნა და სასტუმროოთახში, სადაც გრამოფონის რუპორი მჭრქალად ბზინავდა, პატარა ლამპა აანთო. ათი წუთის შემდეგ ბინას სრული სიბნელე დაეუფლა. ვასილისას ნესტიან საწოლ ოთახში ცოლის გვერდით ეძინა. იდგა თაგვისა და ობის სუნი, გამეფებულიყო ძილი და მოწყენილობა. და, აი, ვასილისას სიზმარში გამოეცხადა ამხედრებული ლებიდ-იურჩიკი ... ვიღაც ტუშინოელმა ქურდებმა სიმალაი გააღეს. გულის ვალეტი სკამზე შეხტა, ვასილისას ულვაშზე დააფურთხა და ტყვია დაახალა. ცივ ოფლში გაღვარულმა ვასილისამ ყვირილით გაიღვიძა. ჯერ სასაღილო ოთახიდან ჩრამუნი გაიგონა: თაგვების მთელი ოჯახი ორცხობილას პარკს მისდგომოდა და ილხენდა. მერე კი ზემოდან, ჭერსა და ხალიჩებში გიტარის ნაზმა ეღერამ და სიცილმა ჩამოატანა.

ჭერს ზემოთ საოცრად მძლავრი და მგზნებარე ხმა დაირბა და ამ ხმას გიტარაც აჰყვა.

— შეტი გზა არა მაქვს, ბინის მიქირავებაზე უარი უნდა ვუთხრა, — ზეწრებში აცახცახდა ვასილისა, — რა ჯანდაბაა, არც დღე და არც ღამე მოსვენება ალარ გვაქვს.

მოდიან, მოიმღერიან
გვარდიელი იუნკრები...

— თუმცა, რა იცი, რა მოხდება... მართლაცდა საშინელი დროა. სხვას რომ მივაქირავო ბინა, ვინ იცის. რა ხალხი გამოდგეს. ესენი კი, რაც არ უნდა

იყოს, ოფიცრები არიან. რამე რომ მოხდეს, გამოგვესარჩლებიან... აცხა! — დაუყვირა ვასილისამ გაშმაგებულ თაგვს...

გიტარა... გიტარა... გიტარა...

* *

სასადილო ოთახის ჭალში ოთხი ალი ბრიალებს. ლურჯი კვაძლი ალმებივით ირხევა. შემინულ აივანს ერთიანად კრემისფერი ფარდები ფარავს. საათის ხმა არ ისმის. გაქათქათებულ სუფრაზე მოჩანს სათბურის ვარდების ახალთახალი თაიგული, სამი ბოთლი არაყი, თეთრი ღვინის გერმანული ვიწრო ბოთლები, ღვინის ჭიქები, წაბნაგებმოელვარე ცაზებში ჩაწყობილი ვამლები, ლიმონის პატარ-პატარა ნაჭრები, ნამცეცები, ჩაი...

სავარძელზე იუმორისტული გაზეთის „ეშმაკის ტიკინის" დაჭმუჭნული ფურცელი გდია. სუფრასთან მსხდომთა თავებში ბურუსი ირხევა. ხან უმიზეზო სიხარულის ოქროს კუნძულისკენ მიაქანებს, ხან შეშფოთების მღვრიე ტალღაზე შეაგდებს. ბურუსს კვეთს უწმაწური სიტყვები:

შიშველი პროფილით ხლარბს ვერ დააჯდები!

— ი ჭკუამხიარული არამზადები... ქვემეხები კი დადუმდა. რა მოსწრებულადაა ნათქვამი, ეშმაკმა დალახვროს! არაყი, არაყი და ბურუსი. არ-რა-ტა-ტამ! გიტარა.

საზამთრო საბნად არ [illegible]რშება,
ამერიკელები გაიმარჯვებენ.

სადღაც კვამლის ფარდის მიღმა მიშლაევსკიმ გაიცინა. იგი მთვრალია.

ბრეიტმანს ნეტა რა ეზუმრება,
მითხარით ერთი, რა დამართვია!
სენეგალელთა ასეულები
საით წასულია, სად დაჰკარგვია?

— სად არიან? მართლა სად არიან? სად? — ბუტბუტებს გონებაშიბინდული მიშლაევსკი.

ცხვრები ბატკნებს აჩენენ,
როძიანკოს პრეზიდენტად აირჩევენ.

— ნიჭიერები არიან ეს არამზადები, ვერაფერს იტყვი!

ტალბერგის წასვლის მერე ელენას გონს მოსვლა აღარ აცალეს... თეთრი ღვინო ტკივილს განა აჭრობს, მხოლოდ აყუჩებს. ელენა სათამადო ადგილას ხის, მაგიდის ვიწრო მხარეს სავარძელში. მოპირდაპირე მხარეს მიშლაევსკი. თეთრი, ხაოიანი ხალათი აცვია, სმისა და საშინელი დაღლილობისგან სახე აფორეჯებია. თვალებზე წითელი რკალები შემორტყმია — ყინვის, განცდილი შიშის, არაყის, გაანჩხლების შედეგად. მაგიდის გრძელ კიდეს ერთი მხრიდან ალექსეი და ნიკოლკა უსხედან, მეორიდან — ლეონიდ იურიევიჩ შერვინსკი ზის, ყოფილ ულანთა ლეიბ-გვარდიელი პოლკის პორუჩიკი, ამჟამად თავად ბელორუკოვის შტაბის ადიუტანტი. ხოლო მის გვერდით პოდპოლკოვნიკი ფიოდორ ნიკოლაევიჩ სტეპანოვი, არტილერისტი. იგივე კარჩხანა, ალექსანდრეს გიმნაზიიდან მეტსახელად რომ გამოჰყვა.

პატარა, ტანსრული, მართლაც პირწავარდნილი კარჩხანა ტალბერგის წასვლიდან ოცი წუთის შემდეგ ტურბინების სადარბაზოსთან შერვინსკის შეეფეთა. ორივეს ბოთლები მოჰქონდა. შერვინსკის ოთხი ბოთლი ფუთრი ღვინო, კარჩხანას — ორი ბოთლი არაყი. ამას გარდა, შერვინსკის ქალალდში საშპირად საგულდაგულოდ შეფუთული ეზარმაზარი თაიგული ეჭირა. — რაღა თქმა უნდა, ელენა ვასილიევნასთვის მისართმევი ვარდები. კარჩხანამ — შერვინსკის იქვე, სადარბაზოსთან აუწყა ახალი ამბავი: სამხრეებზე ... ქვემეხები უკეთია, — მეტის მოთმენა აღარ შეიძლება. ყველა საომრად უნდა წავიდეს, უნივერსიტეტში მეცადინეობას აზრი არა აქვს, ხოლო თუ პეტლურა ქალაქში შემოძვრა — მით უმეტეს არ ექნება. ყველანი უნდა წავიდნენ, არტილერისტები კი უსათუოდ სამორტირო დივიზიონში. მეთაურია პოლკოვნიკი ბალიშევი, დივიზიონი საუცხოოა, ასედაც ჰქვია — სტუდენტური. კარჩხანა სასოწარკვეთილია, მიშლაევსკი იმ ბრიყვულ რაზმში რომ ჩაეწერა. რა სისულელე ქნა. გმირობა მოინდომა, აჩქარდა. ეშმაკმა უწყის, ახლა საღ არის. იქნებ მოკლეს კიდეც ქალაქის მისადგომებთან...

არადა, მიშლაევსკი თურმე აქ, ზემოთ ყოფილა! ოქროსფერმა ელენამ ჩაბნელებულ საწოლ ოთახში, ვერცხლისფოთლებიანი, ოვალური ჩარჩოს წინ საჩქაროდ სახე შეიპუდრა და ვარდების გამოსართმევად გამოვიდა. ვა-შა! ყველანი აქ არიან. კარჩხანას დასრესილ სამხრეებზე დამაგრებული ოქროსფერი ქვემეხები შერვინსკის მკრთალ კავალერიულ სამხრეებსა და დაუთოებულ ბრიჯთან შედარებით სწორედ რომ არარაობა გახლდათ. ტალბერგის გაუჩინარების ამბავი როცა შეიტყო, ტანმორჩილ შერვინსკის თავხედურ თვალებში სიბრაზული ბურთებივით აუთამაშდა. პატარა ულანმა უძალ იგრძნო, რომ მის ხმას ასეთი ძალა არასოდეს ჰქონია, და ვარდისფერი სასტუმრო ოთახი მართლაც ბგერათა ქარტეხილმა გააკლო: შერვინსკი ჰიმენე ღმერთს ეპითალამას უმღეროდა და მერე როგორ უმღეროდა! დიახაც, ამქვეყნად ყოველივე უაზრობაა ისეთი ხმის გარდა, შერვინსკის რომ აქვს. რა თქმა უნდა. ახლა შტაბებია, ეს სულელური ომი, ბოლშევიკები, პეტლურა, მოვალეობა, მაგრამ მერე, როცა ყველაფერი მოწესრიგდება, სამხედრო სამსახურს ძიატოვებს, თუმცა პეტერბურგში ისეთი ნაცნობობა ჰყავს, ხომ იცით, რა ნაცნობობაც ჰყავს... ო-ჰო-ჰო... და სცენას მიაშურებს. ლა სკალაში და მოსკოვის დიდ თეატრში იმღერებს, როცა ბოლშევიკებს მოსკოვში თეატრალური მოედნის ფარნებზე ჩამოახრჩობენ. ემერინკაში იგი გრაფინია ლენდრიკოვას შეუყვარდა, იმიტომ, რომ, როცა ეპითალამას მღეროდა, Fa-ს მაგიერ La აიღო და ხუთი ტაქტი გაჭიმა. ხუთიო, თქვა შერვინსკიმ, თავი ოდნავ დახარა და ირგვლივ ისე დაბნეულმა მიმოიხედა, თითქოს ამ ამბავს სხვა ჰყვებოდა, თავად კი უსმენდა.

— მაშ, მაშ, ხუთი. ჰო, კარგი, ახლა ეივახშმოთ.

კვამლის ალმები კვლავ დაირხა...

— რა იქნა სენეგალელთა ასეულები? გვიპასუხე, შტაბელო, გვიპასუხე. ლენოჩკა, ღვინო დალიე. მარგალიტო, ჯალიე. ყველაფერი კარგად იქნება. ძალიან კარგადაც მოიქცა, რომ წაკიდა. დონზე გაიღწევს და იქიდან დენიკინის ჯარს შემოჰყვება.

— მოვლენ! — დაიქუხა შერვინსკიმ — მოვლენ! ნება მიბოძეთ, საყურადღებო რამ გაუწყოთ: დღეს კრემჩატიკზე საკუთარი თვალით ენახე სერბი კვარ-

ტირიერები და ზეგ, დიდი-დიდი ორი დღის შემდეგ, ქალაქში სერბთა ორი პოლკი შემოვა.

— მოიცა, ეს მართალია?

შერვინსკის სახე წამოლეჭარხლდა.

— ჰმ. უცნაურია რაკი ვამბობ, საკუთარი თვალით ვნახე-მეთქი. ეს შეკითხვა უადგილოდ მიმაჩნია.

— ორი პოლკი... ორი პოლკი რა ბედენაა...

კარგი, მაშ ცეთილი ინებეთ და მომისმინეთ. დღეს თვითონ თავადმა მითხრა, ოდესის ნავსადგურში სატრანსპორტო გემების გადმოტვირთვას ნუ უდგნენო. ბერძნები ჩამოვიდნენ. სენეგალელთა ორი დივიზიაც ჩამოსულა. ვრთ კვირას თუ გავუძელით — მიგვიფურთხებია გერმანელებისთვის.

— მოღალატეები!

— თუ ეს მართალია, მაშინ პეტლურა უნდა დაიჭიროთ და ჩამოახრჩოთ! უნდა ჩამოახრჩოთ!

— საკუთარი ხელით დავცხრილავ

— აბა, თითოც გადავკრათ. თქვენი სადღეგრძელო იყოს, ბატონო ოფიცრებო!

თითოც და ყოველივე საბოლოოდ მიინისლა! მიინისლა, ბატონებო. ნიკოლკამ სამი ჭიქა დალია. თავისი ოთახისკენ ცხვირსახოცის თეის გაიქცა და შემოსასვლელში (როცა არავინ გიყურებს, შეგიძლია თავი აღარ შეიკავო) საკიდს მიეკრა. შერვინსკის მოკაკული ხმლის სახელური ოქროსფრად ელავდა. სპარსელი პრინცის ნაჩუქარია. დამასკური ფოლადია. თუმცა არც პრინცის ნაჩუქარია და არც დამასკური ფოლადია, მაგრამ რაც მართალია, ძართალია — ლამაზი და ძვირფასია. ღვედებიან ბუდეში ჩადებულ პირქუშ მაუზერს, კარჩხანას „ტეიერს“ — ყორნისფერი ლულა აქვს. ნიკოლკა ცივ ხის ბუდეს მიეკრა, მაუზერის მრისხანე ცხვირს თითები მოუთათუნა და მღელვარეებისგან კინალამ ატირდა. მოუნდა მაშინვე, იმწუთისავე წასულიყო სომრად, იქ, პოსტ-ეოლინსკის იქით, დათოვლილ ველზე. რა სირცხვილია! აქ არაყია და სითბო, იქ კი წყვდიადი, ქარაშოტი, ჭარბუქი, იუნკრები ითოშებიან. იქ, შტაბში, ნეტა რას ჯიქრობენ? ეჰ, რაზმი ჯერ მზად არ არის, სტუდენტები გაუწვრთნელნი არიან, სენეგალელები კი არა და არ ჩანან; ალბათ ჩექმებივით შავები იქნებიან... აქ ხომ გაითოშებიან და სული ამოსძერებათ? ისინი ხომ ცხელ ჰაერს არიან მიჩვეულნი?

— მე თქვენს ჰეტმანს, — ყვიროდა უფროსი ტურბინი, — ყველაზე უწინ ჩამოვახრჩობდი! ნახევარი წელია ყველას სასაცილოდ გვიგდებს. რუსული ჯარის ჩამოყალიბება ვინ აკრძალა? ჰეტმანმა. ახლა კი, როცა ბოლო აეწვათ, ხომ დაიწყეს რუსული ჯარის ჩამოყალიბება? ბტერი ორ ნაბიჯზეა, ესენი კი ლაშქრებიო, შტაბებიო! თვალი გაახილეთ, გაახილეთ!

— ხალხს ნუ აფრთხობ, — ცივად უთხრა კარჩხანამ.

ტურბინი გაცეცხლდა.

— მე ვაფრთხობ? თქვენ ჩემი ნათქვამი არ ეინდათ გაიგოთ. კი არ ვაფრთხობ, რაც გულში მაქვს დაგუბებული. ყველაფერი მინდა გადმოვანთხიო. ვაფრთხობ? ფიქრი ნუ გაქვს. უკვე გადავწყვიტე; ხვალ სწორედ იმ დივიზიონში მივდივარ და, თუ თქვენი მალიშევი ექიმად არ მიმიღებს, რიგით ჯარისკაცად ჩავირიცხები. უკვე მომბეზრდა! ვაფრთხობ კი არა, — ტურბინს ყელში კიტ-

რის ნაგლეჯი გაეხეთქა, ხველა აუტყდა და სული შეუგუბდა. ნიკოლკამ ზურგზე ხელის ტყაპუნი დაუწყო.

— სწორია! — ყვერი დაუკრა კარჩხანამ და მაგიდას მუშტი დაკრა. — რიგითი ჯარისკაცობა რა ეშმაკად გინდა, ექიმად მოგიწყობო.

— ბვალ ყველანი ერთად წავალთ. —ბუტბუტებდა მთვრალი მიშლაევსკი. — ყველანი ერთად, მოელი იმპერატორ ალექსანდრეს-მინისტრეს ვაშა!

— ნაძირალაა, — სიძულვილით განაგრძობდა ტურბინი, — ამ ენაზე ხომ თავადაც არ ლაპარაკობს! ჰა? გუშინწინ იმ მეფრეგეს, ექიმ კურიცკის ვეკითხები — გასული წლის ნოემბრის მერე, წარმოგიდგენიათ, რუსული გადაავიწყდა! კურიცკი იყო, ახლა კურიწკი გახლავთ... ჰოდა, ვეკითხები: უკრაინულად კატას რა ჰქვია-მეთქი? კიტიო, მეუბნება. მაშ ვეშაპს[1] რაღა ჰქვია-მეთქი? შეიეზდა, თვალები დაჭყიტა და კრინტი არ დაძრა. ახლა კი აღარ მესალმება.

ნიკოლკა გულიანად ახარხარდა და თქვა:

— სიტყვა „ვეშაპი" მაგათ არც შეიძლება ჰქონდეთ, რადგან უკრაინაში ვეშაპები არ არიან, რუსეთში კი ყველაფერი ბევრია. თეთრ ხღეაში ვეშაპები არიან...

— მობილიზაცია, — გესლიანად განაგრძობდა ტურბინი, — ვაი, რომ არ ეინახავთ, გუშინ უბრებში რა ხდებოდა. მობილიზაციის ამბავი ბრძანების გამოცხადებამდე სამი დღით ადრე ყველა მევალუტემ იცოდა. როგორ მოგწონთ? ჰოდა, ყველას თიაქარი, ყველას მარჯვენა ფილტვის დაჩრდილვა აღმოაჩნდა. ხოლო ვისაც არაფერი სჭირდა, საერთოდ სადღაც გაქრა, თითქოს მიწამ პირი უყოთ. ეს კი, ჩემო ძმაო, ავის მომასწავებელია. თუ მობილიზაციის წინ ყავახანებში ჩურჩულებენ და არც ერთი არ ცხადდება — წასულია საქმე! ოჰ, ის გაიძვერა, ის გაიძვერა! აპრილში რომ დაეწყო ოფიცერთა კორპუსების ჩამოყალიბება, ახლა მოსკოვს ავიღებდით. გარწმუნებთ, აქ, ქალაქში, ორმოცდაათიათასიან ჯარს შეკრებდა, თანაც როგორ ჯარს! რჩეულს, საუკეთესოს, იმიტომ რომ ყველა იუნკერი, ყველა სტუდენტი, გიმნაზისტი და ოფიცერი, ისინი კი ქალაქში ათასობით არიან, ყველა სიხარულით წავიდოდა. უკრაინაში ხომ ჰეტეურას სახსენებელი აღარ იქნებოდა და ტროიკისაც მოსკოვში ბუზივით გავსრესდით. სწორედ შესაფერი დროა: ამბობენ, იქ კატებს ჭამენო. ეს მამაძაღლი რუსეთს იხსნიდა.

ტურბინს სახე აუფორეჯდა, სიტყვებთან ერთად პირიდან ნერწყვის წვრილწვრილი შხეფები სცვიოდა, თვალები უელავდა.

— შენ... შენ... იცი რა, შენ ექიმი კი არა, თავდაცვის მინისტრი უსდა იყო ნამდვილად, — უთხრა ტურბინს კარჩხანამ. იგი დამცინავად იღიმებოდა, თუმცა ტურბინის ნათქვამი მოსწონდა და მასაც ცეცხლს უგზნებდა.

— ალექსეის მიტინგზე ბადალი არ ეყოლება, ორატორია, — თქვა ნიკოლკამ.

— ნიკოლკა, უკვე ორჯერ გითხარი, იხუნჯობა არ შეგიძლია-მეთქი, — უპასუხა ტურბინმა, — გირჩევნია, ღვინო დალიო.

— ნუთუ არ გესმის, — წამოიწყო კარჩხანამ, — რომ გერმანელები ჯარის ჩამოყალიბების ნებას არ მოგვცემდნენ. მათ ჩვენი ჯარისა ეშინიათ.

— ტყუილია! — წვრილი ხმით შეჰყვირა ტურბინმა. — მხრებზე თავი

[1] რუსული და უკრაინული სიტყვების თამაშია (КОТ-КИТ).

რომ ჰბმოდათ, ჰეტმანთან მორიგების ყოველთვის შეძლებდნენ. გერმანელებისთვის უნდა აეხსნათ, რომ ჩვენ მათთვის საშიშნი არა ვართ. რა თქმა უნდა, ომი წავაგეთ! ახლა ჩვენ სხვა რამ, უფრო საშინელი, ომზე, გერმანელებზე, ამქვეყნად ყველაფერზე უფრო საშინელი რამ გვემუქრება. ეს ტროცკი გახლავთ! აი, გერმანელებისთვის რა უნდა ეთქვათ: შაქარი გინდათ? პური გინდათ? წაიღეთ, მოხვეტეთ, ჩაახეთქეთ თქვენს ჯარისკაცებს, ~~[illegible]~~ ამოუყოლეთ, ოღონდაც დაგვეხმარეთ. ჯარი ჩამოგვაყალიბებინეთ, ეს ხომ თქვენთვისაც უმჯობესი იქნება. ჩვენ უკრაინაში წესრიგის დამყარებაში დაგეხმარებით, რათა ჩვენს ღვთისმტვირთველ გლახაკებს მოსკოვური სენი არ შეეყაროთ. ახლა ქალაქში რუსული ჯარი რომ იდგეს, მოსკოვს რკინის კედლით გავემიჯნებოდით. პეტლურას კი... კ-ხ... — ტურბინს საშინელი ხველა აუტყდა.

— მოიცა, — წამოდგა შერვინსკი. — მოიცა. ჰეტმანის დასაცავად რაღაც უნდა ვთქვა. მართალია, ზოგ რამეში ცდებოდა, მაგრამ სწორი გეგმა ჰქონდა. ოო, ის დიპლომატია. ეს მხარე უკრაინულია... ხოლო შემდგომში ჰეტმანიც იმას იზამდა, რასაც შენ ამბობ: რუსული ჯარი, მორჩა და გათავდა. სხვა რაღა გნებავთ? — შერვინსკიმ ხელი საზეიმოდ საითლაც გაიშვირა.— ვლადიმირის ქუჩაზე უკვე სამფეროვანი დროშები ფრიალებს.

— დროშების ფრიალი გვიანლაა!

— ჰმ. ჰო, ეს მართალია. ცოტა გვიანაა, მაგრამ თავადს სწამს, რომ შეცდომის გამოსწორება შეიძლება.

— ეიმერთმა ინებოს, გულწრფელად მსურს, — ტურბინმა კუთხეში მდგარ ღვთისმშობლის ხატისკენ გაიხედა და პირჯვარი გადაისახა.

— გეგმა კი ასეთი იყო. — მჭექარე ხმით, საზეიმოდ თქვა შერვინსკიმ,— როცა ომი დამთავრდებოდა, გერმანელები ძალას მოიკრებდნენ და ბოლშევიკებთან ბრძოლაში დაგვეხმარებოდნენ. მოსკოვის დაკავების შემდეგ ჰეტმანი უკრაინას ფეხთით გაუშლიდა მის იმპერატორულ უდიდებულესობას, ხელმწიფე იმპერატორს, ნიკოლაი ალექსანდროვიჩს.

ამ განცხადების შემდეგ სასადილო ოთახში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ნიკოლკა სიმწრისგან გაფითრდა.

— იმპერატორი მოკლეს, — ჩაიჩურჩულა მან.

— რომელ ნიკოლაი ალექსანდროვიჩს? — ჰკითხა შერვინსკის გაოგნებულმა ტურბინმა. მიშლაევსკი კი შეტოკდა და მეზობლის ჭიქას ცერად გახედა. აშკარაა: თავს იმაგრებდა, იმაგრებდა და ბოლოს უგონოდ დათვრა.

ხელისგულებზე თავჩამოდებულმა ელენამ ულანს შიშნარევი მზერა მიაპყრო.

მაგრამ შერვინსკი არც ისე მთვრალი იყო. მან ხელი აღმართა და მძლავრი ხმით თქვა:

— ნუ აჩქარდებით. მისმინეთ. მაგრამ ბატონ ოფიცრებს ვთხოვ (ნიკოლკა ჯერ გაწითლდა, მერე გაფითრდა), არსად თქვან, რასაც გაცნობებთ. ჰოო, იცით თუ არა, რა მოხდა იმპერატორის სასახლეში, როცა მას ჰეტმანის ამალა წარუდგინეს?

— წარმოდგენაც არა გვაქვს, — ცნობისმოყვარედ თქვა კარჩხანამ.

— ჰო-ო, მე კი ვიცი.

— ოო, ამან ყველაფერი იცის, — გაიოცა მიშლაევსკიმ. — შენ ხომ იქ არ ყოფილ...

— ბატონებო! აცადეთ, თქვას.

— იმპერატორი ვილჰელმი ამალას მოწყალედ ესაუბრა და მერე თქვა: „ახლა მე დაგემშვიდობებით, ბატონებო, ხოლო შემდგომ ამბებზე გესაუბრებათ...“ ფარდა გაიწია და დარბაზში თურმე ჩვენი ხელმწიფე შემოვიდა. მან თქვა: ბატონო ოფიცრებო, უკრაინაში გაემგზავრეთ და ჩვენი ნაწილები ჩამოაყალიბეთ. როცა დრო დადგება, ჯარს სათავეში თავად მე ჩავუდგები და რუსეთის გულისკენ — მოსკოვისკენ წარვუძღვებიო, — და ცრემლი მოერია.

შერვინსკიმ გაბრწყინებული თვალები მთელ საზოგადოებას ნოავლო, ღვინით სავსე ჭიქა ერთბაშად გამოცალა და მერე თვალები მოჭუტა. მას ათი თვალი მიაჩერდა და ვიდრე იგი დაჯდებოდა და ღვინოს შაშხს დააყოლებდა, ოთახში სიჩუმე მეფობდა.

— იცი რა... ეს ლეგენდაა, — უთხრა შერვინსკის მწუხარედ შუბლშეჭმუხნულმა ტურბინმა. —ეგ მე აქამდეც მქონდა გაგონილი.

— ყველანი დახოცეს, — თქვა მიშლაევსკიმ, — ხელმწიფეც, დედოფალიც და ტახტის მემკვიდრეც.

შერვინსკიმ ღუმელს ცერად გახედა, ჰაერი ღრმად შეისუნთქა და წარმოთქვა:

— ტყუილად არ იჯერებთ. მისი იმპერატორული უდიდებულესობის სიკვდილის ამბავი...

— რამდენადმე გაზვიადებულია, — იოხუნჯა შემთვრალმა მიშლაევსკიმ. ელენა აღშფოთებით შეირხა და ბურუსიდან გამოკრთა.

— ვიტია, გრაჩვენოდეს. ოფიცერი ხარ.

მიშლაევსკი ბურუსში ჩაიძირა.

— ...თავად ბოლშევიკების შეთხზულია. ხელმწიფემ თავს უშველა თავისი ერთგული გუვერნიორის... უკაცრავად, ტახტის მემკვიდრის გუვერნიორის, მოსიე ჟილიარის და რამდენიმე ოფიცრის დახმარებით, რომელთაც იგი გაიყვანეს... ე-ე... აზიაში. იქიდან ისინი სინგაპურში გადავიდნენ და მერე ზღვით ევროპაში ჩავიდნენ. ჰოდა. ჩვენი ხელმწიფე ამჟამად იმპერატორ ვილჰელმის სტუმარი გახლავთ.

— კი მაგრამ ვილჰელმიც რომ ჩამოაგდეს? — წამოიწყო კარჩხანამ.

— ორივენი დანიაში არიან სტუმრად. მათთანვეა ხელმწიფის უფროსი დედა, მარია ფეოდოროვნა. თუ ჩემი არ გჯერათ, მოგახსენებთ: ეს ყოველივე თვით თავადმა მაცნობა.

ნიკოლკას აჩქროლებული გული უკვნესოდა. სურდა, რომ დაეჯერებინა.

— თუ ეს ასეა, —უცებ აღფრთოვანებით წამოიძახა მან და წამოხტა, თან შუბლიდან ოფლი მოიწმინდა, — მაშ სადღეგრძელოს გთავაზობთ. გაუმარჯოს მის იმპერატორულ უდიდებულესობას! — ჭიქა მაღლა ასწია და წახნაგოვანმა ოქროსფერმა ისრებმა გერმანული თეთრი ღვინო კამკაკეალა. დეზები სკამზე აწკარუნდა. მიშლაევსკი ქანაობით წამოიმართა და მაგიდას მოეჭიდა. ელენა წამოდგა, ოქროსფერი ნამგალი გაეშალა და კულულები საფეთქლებზე ჩამოეყარა.

— დაე! დაე. თუნდაც მოკლული იყოს, — გაბზარული, ჩახლეჩილი ხმით შესძახა მან. — სულ ერთია. მაინც შევსვამ. მაინც შევსვამ.

— მას არასოდეს. არასოდეს ეპატიება, დნოს საფეხურზე ტახტიდან რომ გადადგა. არასოდეს. მაგრამ სულ ერთია, ჩვენ ახლა მწარე გამოცდილებით

ბკუა ნასწავლი გვაქვს და ვიცით, რომ რუსეთს მხოლოდ მონარქია იხსნის, ამიტომ, თუ იმპერატორი მკვდარია, გაუმარჯოს იმპერატორს! — ტურბინმა შეჰ-ავირა და ჭიქა ასწია.

— ვა-შა! ვა-შა! ვა-შა! — სამჯერ იქუხა სასადილო ოთახში.

ქვემოთ ვასილისა წამოხტა და ცივმა ოფლმა დაასხა. ნაბეჭდ[illegible] შეშხარავი ხმით შეჰბღავლა და ვანდა მიხაილოვნა გააღვიძა.

— ღმერთო ჩემო... ღმერ.. ღმერ... — ბუტბუტებდა ვანდა და ვასილისას ბერანგზე ებღაუჭებოდა.

— რა ამბავია? ღამის სამი საათია! — ცრემლნარევი ხმით შეეკითხა ვასილისამ და შავ ჭერს მიაშტერდა. — ბოლოს და ბოლოს ვიჩიენლებ!

ვანდა აფშლუკუნდა. უეცრად ორივე გაშეშდა. ჭერიდან მკაფიოდ ჩამოიღვარა ხმების სქელი ტალღა და ამ ტალღის ქეჩოზე აბვირთებული მძლავრი, ზარივით მოგუგუნე ბარიტონი:

...ძლი-ერო, მპყრობელო,
განაგე დიდებით

ვასილისას გული გაუჩერდა და ლოგინში ფეხებიც კი ოფლმა დაუსველა. იგი ენას ძლივს აბრიალებდა და ბუტბუტებდა:

— არა... ნამდვილად სულით ავადმყოფები არიან... მაგათ ბიჭ შეუძლიათ ასეთ უბედურებაში გაგვხვიონ, თავი ველარ ვიხსნიოთ. ჰიმნი ხომ აკრძალულია! ღმერთო ჩემო, რას სჩადიან? ქუჩაში, ქუჩაში ხომ ისმის!!

მაგრამ ვანდა ყურადღებით მიეგდო და კვლავ ჩაიძინა. ვასილისა კი მაშინღა დაწვა, როცა ზემოთ უკანასკნელი აკორდი განიბნა ბუნდოვან ბრაგაბრუგსა და შეაბილებში.

— რუსეთში მხოლოდ ერთი რამ შეიძლება: მართლმადიდებლური რწმენა და თვითმპყრობელური ძალაუფლება! — აქეთ-იქით ქანაობდა და ისე ყვიროდა მიშლაევსკი.

— მართალია!

— მე... „პაელე პირველზე" ვიყავი... ერთი კვირის წინ... — ენის ბორძიკით ბუტბუტებდა მიშლაევსკი. — და როცა მსახიობმა ეს სიტყვები წარმოთქვა, თავი ველარ შევიკავე და შევძახე: „მართა-ლია!" — ბოდა. რა გგონიათ, ოგვლივ ტაში დასცხეს. მხოლოდ ვილაც რეგვენმა იარუსიდან დაიყვირა, იდიოტო!

— ურიები! — კუშტად შესძახა სიმთვრალემორეულმა კაჩხანამ.

ბურუსია. ბურუსი. ტაკ-ტუკ... ტაკ-ტუკ... ორაყის სმას უკვე აზრი აღარა აქვს, აზრი აღარა აქვს ღვინის სმასაც, ჩადის სულში და უკანვე ბრუნდება. ხეკიეით ვიწრო პატარა საპირფარეშოში, სადაც ჭერზე ლამპა მოჯდოებულივით ხტუნავდა და ცეკვავდა, ყველაფერი ინჯღრეოდა და ზანზარებდა. გაფითრებული, განაწამები მიშლაევსკი საშინლად არწყევდა. თავადაც მთვრალ, საზარელ შესახედავ, ლოყებაცახცახებულ, შუბლზე თმამიწებებულ უფროს ტურბინს მიშლაევსკი ხელით ეკავა.

— აა...

მიშლაევსკი კვნესით აშორდა ნიჟარას, სხიესმიმჭრალი თვალები ტანჯულად ვადაატრიალა და ტურბინს მკლავებზე დაბერტყილი ტომარასავით ჩამოეკიდა.

— ნი-კოლკა. — კვამლის შავ ზოლებში გაისმა ვილაცის ხმა და ტურ-

ბინი მხოლოდ რამდენიმე წამის შემდეგ მიხვდა, რომ ეს მისი საკუთარი ხმა იყო. — ნი-კოლკა! — კიმეორა მან. სპირტფარეშოს თეთრი კედელი შექანდა და გაშწვანდა. — ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რა საზიზღრობაა, რა საძაგლობაა. ვფიცავ, არაყსა და ღვინოს აღარასოდეს ავუღებ, ნიკოლ...

— აა. — დაიხრიალა მიშლაევსკიმ და იატაკზე ჩაეფეთქა.

შავი ჭრილი გაფართოვდა და ნიკოლკას თავი ლ[illegible] ამოჩნდა.

— ნიკოლ... ჭოშეხმარე. წაიყვანე. ხელი, აი, ასე. იღლიაში ამოსდე.

— ა... ა... ა... ეჰ, ეჰ, — ბუტბუტებდა ნიკოლკა, თავს შებრალებით აქნევდა და იძაბებოდა. ცოცხალმკვდარი მიშლაევსკი ყანყალებდა, ათრეული ფეხები აქეთ-იქით ეფარჩხებოდა, უსიცოცხლო თავი თითქოს ძაფზე დაკიდებოდა. ტაკ-ტუკ! საათი კედლიდან ქვემოთ მოცოცავდა და თავის ადგილასვე ბრუნდებოდა. ფინჯნებზე ყვავილები თაიგულებად აცოცდა. ელენას სახე ალაგ-ალაგ წამონთებოდა, ერთი კულული მარცხენა წარბს ზემოთ უთამაშებდა.

— ასე დააწვინე.

— ბალათი მაინც გაფაფარე, უხერხულია. მე აქ ვარ. უჰ, თქვენ ეშმაკის ყერძებო. სმის შნო არა გაქვთ. ვიტკა! ვიტკა! რა დაგემართა? კიტ...

— მოეშვი. ეგ არ უშველის. ნიკოლკა, მისმინე. ჩემს კაბინეტში... თაროზე შუშაა: ზედ აწერია Liquor ammonii. კუთხე მოხეული აქვს. გესმის... ნიშადურის სპირტი. სუნი აქვს.

— ახლავე... ახლავე... ეჰ-ეჰ.

— შენც კარგადა ხარ. ეჭიმო...

— ჰო, კარგი, კარგი.

— რა? ვოჯა არ უცემს?

— არაფერია. გაუვლის.

— ტაშტი! ტაშტი!

— ტაშტი ინებეთ.

— ა-ა-ა...

— უჰ, თქვენ...

ნიშადურის სპირტის სუნმ მძაფრად სცემს კარჩხანამ და ელენამ მიშლაევსკის პირი გაუღეს. ნიკოლკამ ოავი დაუქირა, ტურბინმა კი ამღვრეული თეთრი წყალი პირში ორჯერ ჩაასხა.

— ა... ხრ... უ-უხ... ტფ... ფუ...

— თოკლი, თოკლი.

— ღმერთო ჩემო, ესღა გვაკლდა.

მიშლაევსკის შუბლზე სველი ტილო აფენია, ზეწარზე წყალი ჩამოწვეთილა. ტილოს ქვემოთ შემუპებული ქუთუთოები და გადატრიალებულ თვალთა აწითლებული გარსი მოჩანს, ხოლო გაოხელებულ ცხვირთან მოღიერჯო ჩრდილები გაწოლილა.

დამარცხებულ ოფიცერს თხუთმეტი წუთი თავს დასტრიალებდნენ. ერთმანეთს იღაყვებს ჭკრავდნენ. ფიცურობდნენ, სანამ მან თვალი არ გაახილა და არ ამოიხრიალა.

— უჰ... გამიშვით...

— ასე-ე, კმარა, აქეე დაიძინოს.

ყველა ოთახში შუქი აინთო. გადი-გამოდიოდნენ. ლოგინებს შლიდნენ.

— ლეონიდ იურიევიჩ, აქ დაწექით, ნიკოლკასთან.

— ნება თქვენია.

შერვინსკის სახე სპილენძისფრად ალანძოდა, მაგრამ ცდილობდა ძხნეობა არ დაკარგა, დეზები აწკარუნა, თავი დახარა და შუაზე გაყოფილი თმა გამოაჩინა. ელენამ დივანზე დაწყობილი ბალიშები თეთრი ხელებით აიბეგურთავა.

— ხუ შეწუხდებით... მე თვითონ.

— იქით გაიწით, ბალიში ყურით რას დაიორიეთ? თქვენი დახმარება არ მჭირდება.

— ნება მომეცით, ხელზე გაკოცოთ...

— რა მიზეზით?

— მზრუნველობისთვის.

შეკოცნელადაც არა მიშავს... ნიკოლკა, შენ შენს საწოლზე დაწექი. როგორ არის?

— არა უშავს, გაუარა, გამოიძინებს.

ნიკოლკას ოთახის წინა ოთახშიც ორ საწოლს თეთრი ზეწრები გადაეფარეს ერთმანეთთან მჭიდროდ მიდგმული, წიგნებით გამოტენილი ორი კარადის უკან. პროფესორის ბინაში ამ ოთახს ასედაც ეძახდნენ — წიგნების ოთახი.

* *

ჩაქრა ნათურები. ჩაქრა წიგნების ოთახშიც, ნიკოლკასთანაც, სასადილო ოთახშიც. ფარდის კალთებს შუა დარჩენილ ვიწრო ჭრილში ელენას საწოლი ოთახიდან სასადილო ოთახისკენ მუქი წითელი ზოლი გამოსხლტა. ელენას შუქი აწუხებდა, ამიტომ საწოლის გვერდით ტუმბაზე მდგარ ნათურას მუქი წითელი სათეატრო კაპორი ჩამოეფარა. ოდესღაც ელენა საღამოობით ამ კაპორს იხურავდა და თეატრში მიდიოდა. მაშინ, ხელებს, ბეწვეულს, ბაგეს სუნამოს სუნი ასდიოდა, სახეც თხლად, ნაზად ჰქონდა შეპუდრული, ხოლო კოლოფისსაირი კაპორიდან ელენა „პიკის ქალის“ ლიზასავით იყურებოდა. მაგრამ კაპორი ამ უკანასკნელ ერთ წელიწადში უცნაურად და სწრაფად დაძველდა, ნაოჭები გაუჩნდა და დაერღვა, ლენტები გაეცრიცა. ხალათშემოცმული, ოქროსფერიანი ელენა „პიკის ქალის“ ლიზასავით მუხლებზე ხელებჩამოშვებული იჯდა გაშლილ ლოგინზე. შიშველი ფეხები დაძველებულ, გაფხეკილ დათვის ტყავზე ედგა, შეთრობამ მთლად გაუარა, შავი, უკიდეგანო ნაღველი კაპორივით ჩამოებურა. მეზობელი ოთახის კარადამიდგმულ კარს მიღმა ნიკოლკას წყნარი ფშვენა და შერვინსკის მძნე ხვრინვა ყრუდ გაისმოდა, ხოლო წიგნების ოთახში, სადაც მიმკვდარებული მიშლაევსკი და კარჩხანა იწვნენ, მდუმარება სუფევდა. ელენა მარტო იყო და ამიტომ თავს არ იკავებდა. შუქით გავსილ კაპორსა და ფანჯრების ორ შავ ლაქას ხან ხმადაბლა, ხან ეხმოდ, ტუჩების ოდნავი ცმაცუნით ებაასებოდა.

— წავიდა...

ჩაიბუტბუტა, გამშრალი თვალები მოჭუტა და ჩაფიქრდა. საკუთარ ფიქრთა ასავალ-დასავალი თავადაც ვერ გაეგო. წავიდა. თანაც ასეთ დროს. რა ბრძანებაა, ძალიან მოსაბრეზელი კაცია და კარგადაც მოიქცა, ოთხ წავიდა... ეს უკეთესიცაა.

— მაგრამ ასეთ დროს... — ბუტბუტებდა ელენა და ხმამაღლა ოხრავდა.

— მაინც რა კაცია? — ელენას თითქოს შეუყვარდა. თითქოს შეეთვისა კიდეც. ახლა კი სიმარტოვის უსაზღვრო სევდა ეუფლება ამ ოთახში, ამ ფანჯრებთან, დღეს თითქოს კუბოს რომ დამსგავსებია. მაგრამ არც ახლა, არც მთელი წელიწად-ნახევრის მანძილზე, რაც ამ კაცთან გაატარა, მის სულს არ დაუფლებია ის, რაც უმთავრესია, ურომლისოდაც ეგრეთწოდებულ ასეთი ბრწყინვალე ქორწინებაც კი, როგორიც ლიმაზი, ქერათმიანი, ოქროსფერი ელენას და გენერალური შტაბის კარიერისტის ქორწინება იყო. კაპორებიანი, სუნამოიანი, დეზებიანი, შკილის უყოლობით შემსუბუქებული ქორწინება გენერალურ შტაბში მომუშავე, ფრთხილ, ბალტიისპირელ კაცთან. მაინც რა კაცია? რა არის ის მთავარი, ურომლისოდაც სული გამოცარიელებული გაქვს?

— ვიცი, ვიცი, — უთხრა საკუთარ თავს ელენამ. — პატივისცემა არა მაქვს. იცი რა, სერიოჟა. შენი პატივისცემა არა მაქვს. — დიდმნიშვნელოვნად უთხრა წითელ კაბორს და თითი აღმართა. მერე თვითონვე შეეშინდა თავისი ნათქვამისა, შეეშინდა მარტოობისა და მოესურვა, რომ იგი ამწუთასვე მასთან ყოფილიყო. პატივისცემის გარეშე, იმ უმთავრესის გარეშე, მაგრამ ამ ძნელ წამს მასთან ყოფილიყო. წავიდა. ძმებმა აკოცეს. ნუთუ ასეა საჭირო? თუმცა მოიცა, რას ვამბობ? მაშ რა უნდა ექნათ? არ უნდა გაეშვათ? არაფრის გულისთვის. უმჯობესია, ასეთ ძნელ ყაბს აქ არ იყოს. არ არის საჭირო, ოღონდაც ნუ შეაჩერებდნენ. არაფრის გულისთვის. დაე, წავიდეს, კოცნით კი აკოცეს, მაგრამ გულის სიღრმეში ხომ სძულთ. ღმერთმანი, ასეა. თავს სულ იტყუებ, იტყუებ, მაგრამ დაფიქრდები და ყოველივე აშკარა ხდება — სძულთ. ნიკოლაკ გულკეთილი მაინცაა, უფროსი კი... თუმცა არა. ალიოშაც კეთილია, მაგრამ რატომღაც იმას უფრო სძულს. ღმერთო ჩემო, რაებს ვფიქრობ? სერიოჟა, ეს რაებს ვფიქრობ შენზე? ვაითუ ერთმანეთს მოგვწყვიტონ... ის იქ დარჩეს, მე კი აქ...

— ჩემი ქმარი, — ოხვრით თქვა ელენამ და ხალათის ღილების გახსნა დაიწყო. — ჩემი ქმარი...

კაპორი გულისყურით უსმენდა, ლოყები მსუყე წითელი შეღებით გაჩიოალინებოდა და ელენას ეკითხებოდა:

— რა კაცია შენი ქმარი?

* *

— არამზადაა და მეტი არაფერი! — უთხრა საკუთარ თავს ელენამ. — ბატონ ალექსანდრ ალექსანდრეს ... ...

რა. ელენას ეძინა, ეძინა მის ფიქრებსაც. ტურბინი კი თავის პატარა ოთახში, შომცრო საწერ მაგიდასთან იჯდა და კიდევ დიდხანს იტანჯებოდა. არაყმა და გერმანულმა ღვინომ ცუდი სამსახური გაუწია. იგი ჩაწითლებული თვალებით ჩასცქეროდა გადაშლილ წიგნს, რაც ხელში პირველად მოხვდა. კითხულობდა და ერთსა და იმავეს უაზროდ უბრუნდებოდა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსი კაცისთვის ღირსება ხედმეტი ბარგია...

მხოლოდ გათენებისას გაიხადა ტანთ და დაიძინა. სიზმარში ტანმორჩილი, მსხვილუჯრედებიანი მარვლით შემოსილი კოშმარი გამოეცხადა და დამცინავად უთხრა:

— შიშველი პროფილით ზღარბს ვერ დააჯდები!.. წმინდა რუსეთი ფიცრული, ღატაკი და... საშიში ქვეყანაა. რუსი კაცისთვის კი ღირსება ზედმეტი ბარგია.

— უჰ, შენი! — ძილში შეჰყვირა ტურბინმა, — შე მურდალო, მე შენ გიჩვენებ. — მძინარე ტურბინმა მაგიდის უჯრაში ხელი მოაფათურა ბრაუნინგის მოსაძებნად, ძილ-ბურანში ამოიღო, უნდოდა კოშმარისთვის ესროლა, გაედევნა... და კოშმარი გაქრა.

მღვრიე, ქუფრმა, უსიზმრო ძილმა ორ საათს გასტანა. ხოლო როცა შემინულ აივანზე გამავალ ფანჯრებს მიღმა მჭრქალად და ნიბად ინათა, ტურბინს ქალაქი ესიზმრა.

*

ქალაქი მრავალსართულიან ფიჭასავით ბოლავდა, გუგუნებდა და ცხოვრობდა, მშვენიერი ყინვასა და ბურუსში, დნეპრის პირას გორაკებზე შეფენილი, უამრავი საკვამურიდან კვამლი მთელ დღეს ცისკენ მიიკლაკნებოდა. ქუჩებს ნისლი ასდიოდა და გატკეპნილ თოვლს ხრაშუნი გაუდიოდა. ხუთსართულიანი, ექვსსართულიანი, შვიდსართულიანი სახლები ერთმანეთს მისჯროდა. დღისით მათი ფანჯრები შავად იმზირებოდა, ღამით კი მუქლურჯ წყვდიადში მწკრივ-მწკრივად ენთო. სადამდეც თვალი მისწვდებოდა, ძეწვებზე ასხმული პატიოსანი თვლებივით ელავდა აწოწილი, რუხი ბოძების კავებზე ჩამოკიდებული ელექტრობურთები. დღისით საამო, ნარნარი გუგუნით დაქროლავენ უცხოურ ყაიდაზე ყვითელი, რბილი ჩალის სკამებით გაწყობილი ტრამვაის ვაგონები. დაღმართიდან დაღმართზე კიჟინით მიქროდნენ მეეტლეები, ხოლო ვერცხლისფერი და შავი ბეწვეულის საყელოები ქალებს იდუმალ იერს აძლევდა და მშვენიერებას მატებდა.

მდუმარება და სიმშვიდე დაუფლებოდა თეთრი, სპეტაკი თოვლით დამძიმებულ ბაღებს. ამდენი ბაღი მსოფლიოს არც ერთ ქალაქში არ იქნებოდა. ყოველ მხარეს, როგორც ვეება ლაქები, ისე გაშლილიყო თავისი ხეივნებით, წაბლებით, ხრამებით, ნეკერჩხლებითა და ცაცხვებით.

ბაღები ამშვენებდა დნეპრის პირას აღმართულ თვალწარმტაც გორებს, საფეხურებად მიემართებოდა მაღლა, მხრებს შლიდა. ხან მილიონობით მზის სხივთა ათინათებით აჭრელებული, ხან ნაზ ბინდბუნდში ჩაძირული, ყოველივეზე ყაბატონებული, უკვდავი სამეფო ბაღი. მოაჯირის ძველისძველი, დაყანდე-

ბული შავი ძელები გზას აღარავის უღობავდა ხაჩადაღებული ხრამებისკენ. ქარბუქით მინამქრული ფრიალო კლდეები შორს, ქვედა ტერასებზე ეშვებოდა. ხოლო ეს ტერასები კიდევ უფრო შორს. უფრო განივრად იშლებოდა და წყლისპირა ჭალებს უერთდებოდა დიადი მდინარის გასწვრივ გაკლაკნილ გზასთან. ბურუსში გახვეული, მუქი, შებორკილი წყლის ზოლი კი იქით მიემართებოდა, სადაც კაცის თვალი ქალაქის მაღლობებიდანაც ვერ მიწვდებოდა, სადაც ჭაღარა მეჩეჩებია, ზაპოროჟიეს სეჩი, ხერსონესი და შორეული ზღვა.

ზამთრობით, ისე როგორც მსოფლიოს არც ერთ ქალაქში, მყუდროება დაეუფლებოდა ქუჩებსა და შესახვევებს გორაკებზე შეფენილ ზემო ქალაქშიაც და გაყინული დნეპრის მოსახვევებთან გაშლილ ქვემო ქალაქშიც, ჭანქანების გუგუნი ქვითკირის შენობების შიგნით ინთქმებოდა და ყრუდღა მოისმოდა. ქალაქის მთელი ენერგია, დაგროვილი მზიან და ჭექა-ქუხილიან ზაფხულში, შექად იფრქვეოდა. შუქი უკვე დღის ოთხი საათიდან ბდღვრიალებდა სახლების ფანჯრებში, მრგვალ ელექტრობურთებში, გაზის ფარნებში, ცეცხლოვანი ნომრებით მოკიაფე სახლების ფარნებში, კაცობრიობის შემზარავ, შფოთიან, ელექტრულ მომავალზე ფიქრის აღმძვრელი ელექტროსადგურების მთლიანი მინით შემინულ ფანჯრებში. ამ ფართო ფანჯრებში მოჩანდა მანქანები, მოუღალავად რომ ატრიალებდა თავდაუზოგავ ბორბლებს და ძირით-ძირობამდე არყევდა თვით ფუძეს დედამიწისას. ქალაქში მთელ ღამეს გათენებამდე შუქი თამაშობდა, ბზინავდა, ბრწყინავდა, ცეკვავდა, ციმციმებდა, დილას კი ქრებოდა და ქალაქი კვამლითა და ბურუსით იმოსებოდა.

მაგრამ ყველაზე უფრო მეტად ბრწყინავდა ელექტროშუქურით გაჩირაღდნებული თეთრი ჯვარი ვლადიმირის გორაზე მდგარი უზარმაზარი ვლადიმირის ხელში. იგი შორიდანვე ჩანდა. ზაფხულობით, კუნაპეტ ბურუსში ბებერი მდინარის დახლართული ყურეებისა და მოსახვევების ტირიფნარებში გზააბნეული ნავებიდან ამ ჯვარს ხედავდნენ და მისი შუქის ციალზე იგნებდნენ ხოლმე გზას ქალაქისა და მისი ნავმისადგომებისკენ. ზამთრობით ჯვარი შავად ჩამობურული ცის წიაღში ბრწყინავდა და ცივად, მშვიდად დასცქეროდა მოსკოვის სანაპიროს ციალხ, დამრეც სივრცეებს, საიდანაც ორი უზარმაზარი ხიდი იყო გადმოტყორცნილი, ერთი ჯაჭვისებრ მბიმე, ნიკოლოზის ხიდი, ქალაქს წყალგაღმა დაბასთან რომ აერთებდა, მეორე — მაღალზე მაღალი, ისრისებური. ამ ხიდზე მოქროლდნენ მატარებლები იქიდან, სადაც ძალზე, ძალზე შორს გადაჭიმულიყო იდუმალი, ჭრელბოხოხა მოსკოვი.

* *

1918 წლის ზამთარში ქალაქი უცნაური, არაბუნებრივი ცხოვრებით ცხოვრობდა, რაც შესაძლოა მეოცე საუკუნეში აღარც განმეორდეს. ქვითკირის კედლებს შიგნით არც ერთ ბინაში ტევა არ იყო. ამ ბინების ისედაც შევიწროებული ძველი ბინადარნი ძალაუნებურად უფრო და უფრო ვიწროვდებოდნენ, რათა შეესახლებინათ ახალ-ახალი სტუმრები, ქალაქისკენ რომ მოისწრაფოდნენ. ეს სტუმრები სწორედ იმ ისრისებური ხიდით მოდიოდნენ იქიდან, სადაც იდუმალებით მოკუღი, იისფერი კვამლი იბოლქვებოდა.

გამორბოდნენ ჭაღარა ბინკირები ცოლებთან ერთად, გამორბოდნენ ნიჭიერი საქმოსნები, მოსკოვში სანდო თანაშემწეები რომ დაეტოვებინათ, რომელ-

თაც დავალებული ჰქონდათ, კავშირი არ გაეწყვიტათ მოსკოვის სამეფოში ჩასახულ ახალ სამყაროსთან, ბინათმფლობელები, რომელთაც ბინები ერთგული, საიდუმლო ზედამხედველებისთვის ჩაებარებინათ, მრეწველები, ვაჭრები, ვექილები, საზოგადო მოღვაწენი. გამორბოდნენ ჟურნალისტები, მოსკოველნი და პეტერბურგელნი, ვერაგები, ხარბები, მხდალები. გამორბოდნენ ახალგაზრდა, დიდგვაროვანი პატიოსანი ქალები, მათი ნაზი ქალიშვილები, ჭიაფრად ტუჩშეღებილი, ფერმკრთალი პეტერბურგელი მრუშები. გამორბოდნენ დეპარტამენტების დირექტორთა მდივნები, ნორჩი პასიური პედერასტები. გამორბოდნენ თავადიშვილები და მეჭრთამეები, პოეტები და მევახშეები, ჟანდარმები და საიმპერატორო თეატრის მსახიობი ქალები. ამოდენა ნიაღვარი ხვრელებში მოძვრებოდა და ქალაქისკენ მოემართებოდა.

მთელი გაზაფხული, მას შემდეგ, რაც ჰეტმანი აირჩიეს, ქალაქი ხიზნებით ივსებოდა და ივსებოდა. ბინებში ტახტებზე და სკამებზე ეძინათ. მდიდართა ოჯახებში სუფრასთან თავს იყრიდა მრავალრიცხოვანი საზოგადოება. გაიხსნა ურიცხვი სასაუზმე-საპაშტეტე დუქნები, გვიან ღამემდე რომ არ იკეტებოდა, კაფეები, სადაც ყავას შეექცეოდნენ და ქალებით ეაჭრობდნენ, მინიატურების ახალი თეატრები, რომელთა სცენას აესებდნენ და მანჭვა-გრეხით ხალხს აცინებდნენ ორი დედაქალაქიდან გადმოხვეწილი, ყველაზე უფრო ცნობილი მსახიობები. გაიხსნა სახელგანთქმული თეატრი „ლილისფერი ზანგი“ და დიდებული კლუბი „ფერფლი“ (პოეტები — რეჟისორები — მსახიობები — მხატვრები) ნიკოლოზის ქუჩაზე. სადაც გათენებამდე გაისმოდა თეფშების წკრიალი. უმაღლ გამოვიდა ახალი გაზეთები და რუსეთის საუკეთესო ჟურნალისტებმა ამ გაზეთებში ფელეტონების ბეჭდვა იწყეს, სადაც ბოლშევიკებს თათხავდნენ. მეეტლეებს მგზავრები მთელ დღეს რესტორანიდან რესტორანში დაჰყავდათ. კაბარეებში ღამით სიმებიანი ორკესტრი უკრავდა და თამბაქოს კვამლში არამიწიერი სილამაზით ელვარებდა თეთრი, ქანცმილეული, კოკაინით გაბრუებული ახალგაზრდა ქალების სახეები.

ალაქი იბერებოდა, ფართოვდებოდა. ნაპირებიდან გადმოსვლას ლამობდა, როგორც აფუარი ჭოთნიდან. ბანქოს სათამაშო კლუბებში გათენებამდე ბანქოს შრიალი გაისმოდა, თამაშობდნენ პეტერბურგელი და კიეველი პატიოსანი კვამები, თამაშობდნენ მედიდური, გორიოზი გერმანელი ლეიტენანტები და მაიორები, ვისაც რუსებს ეშინოდათ და რიდი ჰქონდათ. თამაშობდნენ მოსკოვის კლუბებში გამოქექილი თაღლითები და უკრაინელ-რუსი მემამულეები, რომელთა ბედიც უკვე ბეწვზე ეკიდა. კაფე „მაქსიმში“ ვიოლინოს ბულბულივით აკვნესებდა მომხიბლავი, ფუნჩულა რუმინელი, მშვენიერი, სევდიანი. მოლურჯო გარსიანი მუქი თვალები და ხავერდივით თმა რომ ჰქონდა. ბოშური შალით შემოგრაგნილი ლამპები ორნაირ შუქს აფრქვევდა— ქვემოთ თეთრ ელექტროშუქს, გარშემო და ზემოთ — ნარინჯისფერს. ჭერი ცისფერი, შტვრიანი აბრეშუმის ვარსკვლავად გადაშლილიყო, ცისფერ ლოჟებში მსხვილი ბრილიანტები ბრწყინავდა და ციმბირული ქოალი ბეწვეული ბზინავდა. იდგა მოხალული ყავის, ოფლის, სპირტისა და ფრანგული სუნამოების სუნი. თვრამეტი წლის მთელ ზაფხულს ნიკოლოზის ქუჩაზე დაატლაშუნებდნენ გაპოხილხიფთანიანი, გაფუყული მეეტლეები და ალიონამდე მიჯრით ენთო მანქანათა კონუსები. მაღაზიების ფანჯრებში მოჩანდა ყვავილთა ტევრი, ძორებივით ეკიდა

ოქროსფერი ქონით გაბზინებული ზურგიელები, არწივებსა და ბეჭდებს მჭრეალად აელვარებდა საუცხოო შამპანური ღვინის „აბრაუს“ ბოთლები.

მთელი ზაფხული, მთელი ზაფხული მოედინებოდნენ და მოედინებოდნენ ახალ-ახალი ხიზნები. გამოჩნდნენ პრიალა ლაქის შტიბლეტებიანი, თავხედურად მომზირალი, ხვინჭისფერ-თეთრგვრემანი ტენორი სულელებიანი, გაპარსულ ლოყებზე ნაცრისფერი რომ ადადაჭკრავდათ, სახელმწიფო ... პენსნეიანი წევრები, ცნობილი ბანკირების მქონე ბ... ბილიარდის მოთამაშენი... ქახაპები მალაზიაში შეჰყავდათ ტუჩების საღებავების. გვერდებზე უართოდ ჩაჭრილი ბატისტის ქვედა საცვლებისა და ლაქის საყიდლად.

წერილებს აგზავნიდნენ ერთადერთ სულისმოსათქმელ ადგილას, მშფოთვარე პოლონეთის გზით (თუმცაღა ეშმაკმაც არ უწყოდა, იქ რა ხდებოდა, ანდა რა იყო ეს ახალი ქვეყანა — პოლონეთი) გერმანიაში, პატიოსანი ტევტონების დიად ქვეყანაში. ვიზებს ითხოვდნენ, ფულს გზავნიდნენ, ალლოთი გრძნობდნენ, რომ შესაძლოა სულ უფრო შორს და შორს წასვლა დასჭირებოდათ, იქით, სადაც ვერაფრის დიდებით ვერ მიაღწევდა საზარელი ზათქი და გრგვინვა ბოლშევიკთა მებრძოლი პოლკებისა. ოცნებობდნენ საფრანგეთზე, პარიზზე, გული უწუხდათ იმის გაფიქრებაზე, რომ იქ წასვლა ძალზე ძნელი, თითქმის შეუძლებელი იყო. უფრო მეტი გულისწუხილი ეუფლებოდათ, როცა სხვის დივანზე ღამეს ათევდნენ და ძილგამფრთხალებს უცებ შემზარავი, არცთუ ისე ცხადი ფიქრები ეწვეოდათ.

— ვაითუ? ვაითუ? ვაითუ? გაირღვეს ეს რკინის კორდონი... და რუხფაჯაღიანები შემოზავთდნენ. ოჰ, რა საშინელებაა.

ასეთი ფიქრები მაბიბ ეწვეოდათ ზოლმე, როცა შორს, შორს ქვემეხები რბილად დაიქუხებდა — ქალაქის მისადგომებთან რატომღაც მთელი ბრწყინვალე, მცხუნვარე ზაფხულის მანძილზე ისროდნენ, როცა ყველგან სიმშვიდეს იცავდნენ თავჩაჩქნიანი გერმანელები, თავად ქალაქის გარეუბნებში კი გამუდმებით გაისმოდა სროლის ყრუ ხმა: პა-პა-პახ.

ვინ ვის ესროდა, არავინ იცოდა. ეს ღამღამობით იყო. დღისით კი მშვიდებოდნენ, როცა დროდადრო კრემშატიკზე, მთავარ ტუჩაზე, ანდა ვლადიმირის ტუჩაზე გერმანელ ჰუსართა პოლკი ჩაივლიდა. მერედა რა პოლკი! ფაფახებს ქვემოთ მოჩანდა მედიდური სახეები, ქიცვოვანი ღვედები შემოსილტოდა ქვისგან ნათალ ნიკაპებს, ყლალი ულვაშები ისრებივით აღმართულიყო. ესკადრონებში ერთიმეორეს მიჰყვებოდნენ ზორბა, თაფლა ცხენები, მორუხო-მოყისფრო ფრენჩები კი ეჭვსას მხედარს ტანზე ისე შემოტმასნოდა, როგორც ბრინჯაოს მუნდირები მათ ზორზოხა გერმანელ ბელადებს ქანდაკებებზე ქალაქ ბერლინში.

მათი დანახვით გახარებულნი და დამშვიდებულნი ბოლშევიკებს ამ სიშორიდან, სასაზღვრო ეკლიან მავთულხლართს მიღმა კბილთა ღრჭენითა და ნიშნის მოგებით გასძახოდნენ:

— აბა, ერთი ცხვირი შემოყავით!

ბოლშევიკები სძულდათ. მაგრამ არა ჯიქური სიძულვილით. როცა მოდულეს ბრძოლაში ჩაბმა და მტრის ხოცვა სწყურია, არამედ ლაჩრულად, როცა სიბნელეში მიმალულს, სისინის გარდა არაფერი შეუძლია. სძულდათ ღამით, როცა ბუნდოვანი შიშით გულგათანგულებს ჩაეძინებოდათ. სძულდათ დღისით, როცა რესტორანებში გაზეთებს კითხულობდნენ. სადაც ეწერა, ბოლ-

შევიკრები მაუზერს კეფაში როგორ ახლიდნენ ოფიცრებსა და ბანკირებს და მოსკოვში მედუქნეები ქოთაოშეყრილი ცხენის ხორცს როგორ ყიდდნენ. სძულდათ ყველას — ვაჭრებს, ბანკირებს, მრეწველებს, ვექილებს, მსაჯლობუებს, ბინათმფლობელებს, კახპებს, სახელმწიფო სათათბიროს წევრებს, ინჟინრებს, ექიმებსა და მწერლებს...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იყვნენ ოფიცრები, ჩრდილოეთიდან რომ გამორბოდნენ. გამორბოდნენ დასავლეთიდანაც — ყოფილი ფრონტიდან. ყველანი ქალაქისკენ მოემართებოდნენ: უამრავნი იყვნენ და სულ უფრო და უფრო მრავლდებოდნენ. მეტწილად ჯიბეგაფხეკილებს ყალბი საბუთების შოვნა და საზღვარზე გადმოსვლა ყველაზე მეტად უჭირდათ, რადგან თავიანთი ხელობის უცილობელი დალი ესვათ, მაგრამ თავი მაინც გაწირეს, თვალდაფეთებულებმა, ტილიანებმა, წვერგაუპარსავებმა, სამხრეებმოღეულებმა ქალაქში ჩამოაღწიეს და ახლა ცდილობდნენ აქაურობას შეჰგუებოდნენ, რათა საზრდო ეშოვათ და ეცხოვრათ. მათ შორის ამ ქალაქის ძველი მკვიდრნიც იყვნენ, ომიდან თავიანთ ბუდეს ალექსეი ტურბინივით რომ დაუბრუნდნენ იმ განზრახვით, დავისვენოთ, სულ მოვითქვათ და ხელახლა, მხედრული კი არა, ჩვეულებრივი, ადამიანური ცხოვრება მოვიწყოთო. მაგრამ იყვნენ ასობით და ათასობით უცხონიც, რომელნიც ვერ დარჩებოდნენ ვერც პეტერბურგსა და ვერც მოსკოვში. მათი ერთი ნაწილი — კირასირები, კავალერგარდები, ცხენოსანი გვარდიელები და გვარდიელი ჰუსარები — შიშმორეული ქალაქის მღვრიე ქაფში იოლად ამოტივტივდნენ. ჰეტმანის ბადრაგს ფანტასტიკური სამხრეები ეკეთა, ხოლო ჰეტმანის სუფრას ორასამდე პრიალა თმაგაყოფილი კაცი უჯდა, ოქროსპლომბიან, ჩაყვითლებულ, ჭიან კბილებს რომ აჩენდნენ. ვინც ბადრაგმა ვერ დაიტია, თავისსაყელოიანმა ძვირფასმა ქურქებმა და სანახევროდ ჩაბნელებულმა, მოჩუქურთმებული მუხით მოპირკეთებულმა ბინებმა დაიტია ქალაქის საუკეთესო უბანში — ლიპკაში, დაიტია რესტორანებმა და სასტუმროს ნომრებმა...

სხვებს — ჯარის შტაბს-კაპიტნებს დაშლილ-განადგურებული პოლკებისა, ბებრძოლი ჯარების ჰუსარებს, პოლკოვნიკ ნაი-ტურსისნაირთ, ასობით პრაპორშჩიკებსა და პოდპორუჩიკებს, სტეპანოე-კარჩხანასავით ყოფილ სტუდენტებს ომისა და რევოლუციისგან ცხოვრების კალაპოტიდან ამოვარდნილთ, პორუჩიკებს, ვიქტორ მიშლაევსკივით აგრეთვე ყოფილ სტუდენტებს, უნივერსიტეტს სამუდამოდ რომ გამოსთხოვებოდნენ, გაცვეთილი რუხი მაუზარები ეცვათ, ჭრილობები ჯერ არ მოშუშებოდათ, მხრებზე მოძრობილი სამხრეების ნაკვალევი ატყობოდათ. ისინი ქალაქში ან საკუთარ ოჯახებს უბრუნდებოდნენ, ან სხვის ოჯახებში სტუმრად მოდიოდნენ, სკამებზე მაზარაწახურულებს ეძინათ. არაყს სვამდნენ, დარბოდნენ, დათუსთუსებდნენ და ბოლშევიკებს ლაბის ჯული გასკდომოდათ. აი, ამათ კი ბოლშევიკები მძაფრი, ჯიქური სიძულვილით სძულდათ, იმ სიძულვილით, მოძულეს ბრიოლის წყურვილს რომ აღუძრავს.

იყვნენ იუნკრები. რევოლუციის დაწყებისას ქალაქში იუნკერთა ოთხი სასწავლებელი იყო — საინჟინრო, საარტილერიო და ორიც ქვეითი. ოთხივე სასწავლებელი ჯარისკაცთა შაშხანების ბათქაბუთქმა დაშალა, გაანადგურა და ქუჩაში გაჩოყარა ბედგამრეულებული, ახლახან სწავლადასრულებული გიმნაზიე-

ლები, ახლახან გასტუდენტებული ყმაწვილები. ალარც ბავშვები და არც ვაჟკაცები, არც სამხედროები და არც სამოქალაქოები, არამედ ისეთები, როგორიც ჩვიდმეტი წლის ნიკოლკა ტურბინი იყო...

* *

— ეს ყოველივე რა თქმა უნდა, ძალიან კარგია. ჰეტმანი ყოველისა და ყველაფრის მბრძანებელი, მაგრამ, ღმერთმანი, აქამდე არ ვიცი და ალბათ ისე მოვკვდები, არც მეცოდინება. რას წარმოადგენს ეს არნახული მბრძანებელი, ვისი წოდებაც მეჩვიდმეტე საუკუნეს უფრო შეეფერება, ვიდრე მეოცეს.

— მართლაც ვინ არის, ალექსეი ვასილიევიჩ?

— კავალერგარდი, გენერალი, თავად მდიდარი, მსხვილი შემამულე, პაველ პეტროვიჩი ჰქვია...

იმ ღირსსახსოვარი წლის აპრილში მისი არჩევა ბედისა და ისტორიის უცნაური დაცინვით ცირკში მოხდა. მომავალ ისტორიკოსებს ამის გამო ალბათ დაცინვისთვის მასალა არ გამოელევათ, მაგრამ მოქალაქეებს, განსაკუთრებით კი ქალაქში დამკვიდრებულებს, ვინც ძმათა შორის სისხლისღვრის პირველი იფეთქება უკვე გამოსცადა, დაცინვისთვის კი არა, საერთოდ არაფერზე ფიქრისთვის არა სცხელოდათ. არჩევა თავბრუდამხვევი სისწრაფით მოხდა — და მადლობა ღმერთს, რომ ასე მოხდა. ჰეტმანი ტახტზე ავიდა — ჰოდა, ძალიანაც კარგი, ოღონდაც ბაზარზე ხორცი და პური იყოს, ქუჩაში ალარ ისროდნენ. ღვთის წყალობით, ბოლშევიკები ნუ შემოვლენ და მდაბიო ხალხმაც მძარცველობას თავი ანებოს. ჰოდა, ასე თუ ისე, ჰეტმანის ხელში ეს ყოველივე მუტად თუ ნაკლებად, უნდა ითქვას, მნიშვნელოვან წილადაც კი ალსრულდა. ყოველ შემთხვევაში, შემოხიზნული მოსკოველები, პეტერბურგელები და მოქალაქეთა უმრავლესობა ჰეტმანის ამ უცნაურ საგამგებლო ქვეყანას თუმცა დასცინოდნენ, კაპიტან ტალბერგის მსგავსად ოპერეტას, თოჯინების სამეფოს ეძახდნენ, მაგრამ ჰეტმანს გულწრფელად ასხამდნენ ხოტბას... და... ღმერთს ემუდარებოდნენ, ყველაფერი სამუდამოდ ასე დარჩესო.

მაგრამ ყველაფერი სამუდამოდ ასე დარჩებოდა თუ არა, ამის თქმა არავის შეეძლო, თვით ჰეტმანსაც კი. დიახ.

საქმე ის არის, რომ ქალაქი ქალაქია: იქ პოლიციაც იყო — ვარტა, სამინისტროც, ჯარიც კი. მრავალგვარი სახელწოდების გაზეთებიც, მაგრამ ის კი არავინ იცოდა, რა ხდებოდა ირგვლივ, ნამდვილ უკრაინაში, სიდიდით საფრანგეთს რომ აღემატებოდა, და სადაც ათეულობით მილიონი ხალხი ცხოვრობდა. ეს კი არავინ იცოდა. არ იცოდნენ, არაფერი იცოდნენ, რა ხდებოდა არა მარტო შორეულ მხარეებში, არამედ — სასაცილოც კია — იმ სოფლებშიც, ქალაქს სულ ორმოცდაათიოდე ვერსით რომ იყო დაშორებული. არ იცოდნენ, მაგრამ მთელი სულითა და გულით კი სძულდათ. და როცა იმ იდუმალი სურუსით მოცული კუთხეებიდან, სოფელი რომ ჰქვია, ბუნდოვანი ხმები მოდიოდა, გერმანელები გლეხებს ძარცვავენ და უმოწყალოდ სჯიან, ტყვიამფრქვეველებით ცხრილავენო, უკრაინელი გლეხების დასაცავად არათუ კაცმშვილს ხმა არ დაუძრავს აღშფოთების გამოსახატავად, არამედ სასტუმრო ოთახებში, აბრეშუმის აბაჟურის ქვეშ კბილები მგლურად არაერთხელ გაუკრაჭუნებიათ და ჩაუბურტყუნებიათ:

— ახია მაგათზე! ახია; ეგეც ცოტაა! მე უარეს დღეში ჩავყრიდი. კარგად დაამახსოვრდებათ რევოლუცია! გერმანელები ასწავლიან ჭკუას — საკუთარი პატრონი არ ინდომეს, ახლა სხვის წკეპლას გაუსინჯონ გემო!

— ოჰ, რა უგუნურად ლაპარაკობთ, რა უგუნურად ლაპარაკობთ.

— რას ამბობთ, ალექსეი ვასილიევიჩ!.. ის არამზადები ხომ ნამდვილი ტყის ნადირები არიან. მაგრამ გერმანელები აჩვენებენ სერგეევიჩ!

გერმანელები!!

გერმანელები!!

ყველგან

გერმანელები!!!

გერმანელები!!

დიახ! აქ გერმანელები არიან, იქ კი, შორეულ კორდონს იქით, სადაც იისფერი ტყეებია, ბოლშევიკები. მხოლოდ ორი ძალაა.

5

და აი, ჭადრაკის უზარმაზარ დაფაზე მოულოდნელად მესამე ძალა გამოჩნდა. ასე იქცევა ცუდი და უჭკუო მოთამაშე, საშიშ მეტოქეს პაიკთაწყობით რომ გაემიჯნება (სიტყვამ მოიტანა და, პაიკები ძალიან ჰგვანან თავზეტაშტაშამომხობილ გერმანელებს) და თავის ოფიცრებს სათამაშო მეფის ირგვლივ აჯგუფებს. მაგრამ მეტოქის მზაკვარი ლაზიერი უეცრად, სადღაც გვერდიდან გზას იპოვის, ზურგში შემოიჭრება და პაიკებისა და მხედრების განადგურებას და საშიში ქიშების გამოცხადებას იწყებს; ლაზიერს კვალდაკვალ მოჰყვება ფიცხი, მსუბუქი კუ — ოფიცერი, მზაკვრული ზიგზაგებით მოისწრაფვიან მხედრები. ჰოდა, იღუპება სუსტი და უხეირო მოთამაშე — მის ხისგან გამოთლილ მეფეს შამათს უცხადებენ.

ეს ყველაფერი უცებ მოხდა, მაგრამ არცთუ მოულოდნელად, რადგან წინ უსწრებდა ზოგიერთი მაუწყებელი ნიშანი.

ერთხელ, მაისში, როცა ქალაქმა გაიღვიძა, ფირუზში ჩასმული მარგალიტივით მოელვარემ, მზე ამოგორდა და პეტერბურგის სამფლობელო გაანათა, როცა მოქალაქეები ჭიანჭველებივით აფუსფუსდნენ და თავ-თავიანთ საქმეებზე გაეშურნენ. ნამძინარევმა ნოქრებმა კი მაღაზიებში ხმაურით იწყეს ფარდების გაწევ-გამოწევა, ქალაქში შემზარავმა ავის მომასწავებელმა ხმამ გადაიგრგვინა. ხმა უჩვეულო იყო — არც ქვემეხისა, არც ქუხილისა, — მაგრამ ისეთი ძლიერი, რომ ბევრი სარკმელი თავისით გაიღო და ყველა მინა აზრიალდა. შერე ხმა განმეორდა, ხელახლა გადაურა მთელ ზემო ქალაქს, ტალღებად ჩაგორდა ქვემო ქალაქში —პოდოლში, მშვენიერ, ცისფერ დნეპრს გაუყვა და მოსკოვის შორეული სივრცეებისკენ გაემართა. მოქალაქეებმა გაიღვიძეს, ქუჩებში ჩოჩქოლი ატყდა. ამ ჩოჩქოლმა უცებ იმატა, როცა ნახეს, რომ ზემო ქალაქიდან — პეჩორსკიდან ყვირილითა და ბღავილით გამორბოდა ტანსაცმელშემოფლეთილი, დასისხლიანებული ხალხი. ამასობაში ხმამ მესამედაც გადაიგრგვინა, თანაც ისეთი ძალით, რომ პეჩორსკის სახლების მინებმა ზრიალით იწყო ჩამომსხვრევა, ხოლო ფეხქვეშ ნიადაგი შეირყა.

ბევრმა ნახა ქალები, ჰერანგისამარა რომ გამორბოდნენ და საშინელი

ხმით გაჰკიოდნენ. მალე შეიტყვეს, ეს ხმა საიდანაც მოდიოდა. იჭექა ქალაქგარეთ, ქაჩალ გორაზე, დნეპრის პირას, სადაც ჭურვებისა და ბომბების წამლის უზარმაზარი საწყობები იყო განლაგებული. ქაჩალ გორაზე აფეთქება მომხდარიყო.

ამის შემდეგ ხუთ დღეს ქალაქი შიშისგან ძრწოდა, ქაჩალ გორიდან შხამიანი ვაზები წამოვიო. მაგრამ გრგვინვა შეწყდა, ვაზები არ წამოსულა, გასისხლიანებული ხალხი გაქრა და ქალაქის ყველა მხარემ მშვიდობიანი იერი მიიღო. პეჩორსკის პატარა კუთხის გარდა, სადაც რამდენიმე სახლი დაინგრა. თქმა არ უნდა, რომ გერმანელთა სარდლობამ მკაცრი გამოძიება ჩაატარა და, თქმა არ უნდა, რომ ქალაქმა აფეთქების მიზეზების თაობაზე ვერაფერი შეიტყო. ხან რას ამბობდნენ და ხან რას.

— აფეთქება ფრანგმა ჯაშუშებმა მოაწყვეს.

— არა, აფეთქება ბოლშევიკების ჯაშუშებმა მოაწყვეს.

ყველაფერი იმით დასრულდა, რომ აფეთქება საერთოდ მიავიწყდათ.

მეორე მაუწყებელი ნიშანი ზაფხულში მოევლინა სიმწვანეში ჩაფლულ, დამტვერილ, მოგუგუნე, მოზიმზიმე ქალაქს, როცა გერმანელი ლეიტენანტები ზღვა სოდიან წყალს სვამდნენ. მეორე ნიშანი მართლაც რომ შემზარავი გახლდათ!

დღისით, მზისით, ნიკოლოზის ქუჩაზე სწორედ იქ, სადაც მეეტლეები იდგნენ, სხვა ვინმე კი არა, თავად ფელდმარშალი ეიხგორნი მოკლეს, უკრაინაში გერმანელთა არმიის მთავარსარდალი, ხელშეუხებელი და ამაყი გენერალი, ფრიად უფლებამოსილი, თვით იმპერატორ ვილჰელმის მოადგილე, ვისი სახელიც ყველას შიშის ზარს სცემდა. რაღა თქმა უნდა, იგი მუშამ და, რაღა თქმა უნდა, სოციალისტმა მოკლა. გერმანელი გენერლის მოკვლიდან ოცდათხი საათის შემდეგ გერმანელებმა მარტო მკვლელი კი არა, ის მეეტლეც ამოიხრჩეს, ვინც იგი დანაშაულის ადგილას მიიყვანა. თუმცა ამან სახელგანთქმული გენერალი მკვდრეთით მაინც ვერ აღადგინა. სამაგიეროდ, ჭკვიან ხალხს მიამხდარი ამბების თაობაზე განსაცვიფრებელი აზრები აღუძრა.

ასე, მაგალითად, გამოლაბულ ფანჯარასთან საღამო ხანს მჯდარი, სიცხისგან სულშეხუთული ვასილისა ჩესუჩის პერანგის ღილებს იხსნიდა, ლიმონიან ჩაის შეექცეოდა და ალექსეი ტურბინს საიდუმლოდ ეჩურჩულებოდა:

— როცა ამ ამბებს ერთმანეთს ვუფარდებ, იმ დასკვნამდე მივდივარ, რომ ჩვენი ცხოვრება სიმყარეს მოკლებულია. მე მგონი, გერმანელების ფეხქვეშ რაღაც (ვასილისამ მოკლე თითები ჰაერში შეათამაშა) ირყევა. თავად განსაჯეთ... ეიხგორნი... თანაც სად? ჰა? (ვასილისამ თვალები შიშით დააცეცა).

ტურბინმა პირქუშად მოუსმინა, ლოყა მოღრიცა და წაიდა.

ალევ ერთი ავის მომასწავებელი ნიშანი მეორე დილასვე უშუალოდ თვით ვასილისას მოევლინა. ღილაადრიანად, როცა მზემ მხიარული სხივი მრუმე მიწისქვეშეთში ჩაუშვა, ეზოდან ვასილისას ბინისკენ რომ მიემართებოდა, ვასილისამ გარეთ გაიხედა და ამ სხივში ციური ნიშანი იხილა. ეს იყო ოცდაათი ყლის, უბადლოდ ლამაზი, თეხშიშველა, კანჭმაღალი მოჩვენება, ეკატერინე დედოფლისებურ ყელზე შანიაკი რომ უკიაფებდა, მკერდი უთიმთიმებდა, კბილები ბროლივით უელავდა. ხოლო ლოყებზე წამწამთა ლილისფერი ჩრდილი ეთინა.

— დღეს ორმოცდაათი უნდა, — სირინოზის ხმაზე თქვა მოჩვენებამ და რძის ბიდონზე მიუთითა.

— რას ამბობ, იავდოხა? — შესაბრალისად შესძახა ვასილისამ. — ღმერთისა მაინც არ გეშინია? გუშინწინ ორმოცი გამოგვართვი, გუშინ ორმოცდახუთი, დღეს ორმოცდაათს ითხოვ. ასე როგორ შეიძლება?

— მე რა ვქნა? ყველაფერი ძვირია, — უპასუხა სირინოზმა, — ბაზარში ამბობენ, ასიც გახდებაო.

მისმა კბილებმა ისევ იელვა. ვასილისას წამით მიავიწყდა ორმოცდაათიც, ასიც. მიავიწყდა ყველაფერი და მუცელში ტკბილმა ერეოლამ დაუარა, იმ ტკბილმა ერეოლამ, ვასილისას ყოველთვის რომ დაუვლიდა ხოლმე, როცა მზის სხივებში გახვეული მოჩვენება მოევლინებოდა (ვასილისა თავის მეუღლეზე ადრე დგებოდა). ყველაფერი მიავიწყდა და რატომღაც თვალწინ ტყის მდელო წარმოუდგა წიწვის სუნიც კი ეფრქვია ეპ, ეპ...

— ფრთხილად, იავდოხა, — უთხრა ვასილისამ მოჩვენებას, ტუჩები გაიღოკა და გვერდზე ცერად გაიხედა (ცოლი არ გამოვიდესო), — ამ რევოლუციის მერე თავს ძალიან გაგივიდათ. მოიცათ, გერმანელები ჭკუას გასწავლიან.

„მზარზე ხელი მოვუთათუნო თუ არა?“ — ეს ფიქრი აწამებდა ვასილისას, მაგრამ ვერ კი გაბედა.

აკუბასტრისფერი რძის ფართო ნაკადი ქოთანში ჩასრიალდა და აქაფდა.

— ან ისინი გვასწავლიან, ან ჩვენ ვასწავლით, — უცებ უპასუხა მოჩვენებამ, ერთხელაც შეაფრქვია ელვარება, ბიდონი ააჯახუნა, მხრეული შეარხია და, როგორც სხივმა სხივში, მიწისქვეშეთიდან მზით გაბრწყინებულ ეზოში ააბიჯა. „რა ფეხები აქვს... ო-ოჰ!!“ — კვნესასავით გაურბინა გონებაში ვასილისას.

ამ დროს მეუღლის ხმა შემოესმა, შეტრიალდა და ცოლს შეეფეთა.

— ვის ელაპარაკებოდი? — ჰკითხა მეუღლემ და თვალები ზემოთ სწრაფად მიატარ-მოატარა.

— იავდოხას, — გულგრილად უპასუხა ვასილისამ, — წარმოგიდგენია, დღეს რძეში ორმოცდაათი გამომართვა.

— რაო? — შეპყვირა ვანდა მიხაილოვნამ. — რა უმსგავსობაა! რა თავხედობა! გლეხები მთლად გაცოფდნენ... იავდოხა! იავდოხა! — დაიყვირა მან და თავი ფანჯარაში გაყო. — იავდოხა!

მაგრამ მოჩვენება გაქრა და აღარ დაბრუნებულა.

ვასილისამ ცოლის დაგრეხილი ტანი, ყვითელი თმა, გაძვალტყავებული იდაყვები, ჩამომხმარი ფეხები შეათვალიერა და ამქვეყნად ყოფნა უცებ ისე შესძულდა, ვანდას კინაღამ კაბის კალთაზე მიაფურთხა. მაგრამ თავი შეიკავა, ამოიოხრა და გრილი ოთახების სიბნელეს შეეფარა, თავადაც არ იცოდა, გული ასე მაინც რამ დაუმძიმა, ან ვანდამ — უცებ თვალწინ დაუდგა ცოლი, მისი შეკრული ხელნასავით გამოჩხერილი ყვითელი ლავიწები, — ანდა ტკბილი მოჩვენების უშნოდ ნათქვამმა რაღაც სიტყვამ.

— ვასწავლითო? ჰა? როგორ მოგწონთ? — თავისთვის ბუტბუტებდა ვასილისა. — ოჰ, ამ ბაზრებმა თავი მომაძულა! არა, ამაზე რის იტყვით? თუ ამათ ჯერ მანელების შიში გაუქრათ... წასული საქმე და ესაა. ვასწავლითო? ჰა? კბილები კი მარგალიტებივითა აქვს...

უცებ სიბნელეში იავდოხა თვალწინ მთაზე გადმომდგარი ალქაჯიეთ შინ-ველი წარმოუდგა.

— რა თავხედობაა... ვასწავლითო!.. მკერდი კი...

ეს ისეთი ჭკუის შემარყეველი რაღაც იყო, რომ ვასილისა რუდად შეიქნა და პირზე ცივი წყლის შესასხმელად წავიდა.

შემოდგომა, როგორც ყოველთვის, შეუმჩნეველად შემოეპარა ოქტომბერსა, ოქტოსფერ აგვისტოს ნათელი და მტკრიანი სექტემბერი [illegible] ნათელი სექ-ტემბერში ავის მაუწყებელი ნიშანი კი არა, უკვე ამბავიც მოხდა, თუმცა ერთი შეხედვით ეს ამბავი სრულიად უმნიშვნელო გახლდათ.

დიახ, სექტემბრის ერთ ნათელ საღამოს ქალაქის ცენტრში მოვიდა ჰეტმანის სათანადო ხელისუფალთა მიერ ხელმოწერილი ქაღალდი, სადაც ნაბრძანები იყო, № 666 საკნიდან გამოეშვათ აღნიშნულ საკანში მყოფი პატიმარი. ეს იყო და ეს.

დიახ, ეს იყო და ეს! მაგრამ ამ ქაღალდის გამო, — ნამდვილად მის გამო! — იმდენი უბედურება და დავიდარაბა მოხდა, ამას ისეთი ბრძოლები, სისხლის-ღვრა, ხანძარი და დარბევა, სასოწარკვეთა და საწინელება მოჰყვა... ოჰ, ოჰ, ოჰ!

ციხიდან გათავისუფლებულ პატიმარს ყოვლად უბრალო და უმნიშვნელო სახელი და გვარი ჰქონდა — სემიონ ვასილიევიჩ პეტლურა. თავად იგი საკუ-თარ თავს, აგრეთვე ქალაქის ზოგიერთი გაზეთი 1918 წლის დეკემბრიდან 1919 წლის თებერვლამდე, ფრანგულ ყაიდაზე სიმონს უწოდებდა. სიმონის წარსული წყვდიადით იყო მოცული, ამბობდნენ, თითქოს ბულალტერი ყოფილიყო.

— არა, მოანგარიშე.

— არა, სტუდენტი.

კრეშჩატიკისა და ნიკოლოზის ქუჩების კუთხეში თამბაქოს ნაწარმის დიდი და კოხტა მაღაზია იყო. მაღაზიის მოგრძო ფირნიშზე ლამაზად დაეხატათ ყა-ვისფერი, ფესკიანი, პირში ყალიონგაჩრილი თურქი. თურქს ფეხზე ჭვინტიანი ყვითელი წუღები ეცვა.

ჰოდა, აღმოჩნდა ისეთი ხალხი, ვინც ფიცულობდა, სულ ცოტა ხნის წინ სიმონი სწორედ ამ მაღაზიაში გამოწკეპილი იდგა დახლთან და სოლომონ კო-გენის ფაბრიკის გამოშვებულ თამბაქოს ნაწარმს ყიდდათ. მაგრამ იყვნენ ისეთ-ნიც, იქვე რომ ამბობდნენ:

— როგორ გეკადრებათ, ის ქალაქთა კავშირის რწმუნებული იყო.

— ქალაქთა კავშირისა კი არა, საერობო კავშირისა, — ამბობდნენ შე-სამენი, — ნამდვილი საერობო ჰუსარია.

შეოთხენი (ჩამოსულნი) თვალებს მოხუჭავდნენ, რომ უკეთ გაეხსენები-ნათ, და ბუტბუტებდნენ:

— მოიცათ... მოიცათ...

და მოჰყვებოდნენ. თითქოს ათი წლის წინათ... უკაცრავად... თერთმეტი წლის წინათ... სიმონი მოსკოვში ენახათ, მალაია ბრონნაიას ქუჩაზე. საღამო-თი რომ მიდიოდა, თანაც შაე კოლენკორში გახვეული გიტარა იღლიაში ამო-ეჩარა. იმასაც უმატებდნენ, თანამემამულეებთან წვეულებაზე მიდიოდა და შაე კოლენკორში გახვეული გიტარა ამიტომ მიაქანდათ. ამბობდნენ, დიდებულ, საინტერესო წვეულებაზე მიდიოდა, სადაც იქნებოდნენ მისი თანამემამულე-

მხიარული, ლოყებლაჟღაჟა ჟურნალისტი გოგონები, იქნებოდა ბარაქიანი უკრაინიდან ჩამოტანილი ქლიავის ნაყენი, სიმღერა და იქნებოდა საკვირველი გრიცი...

...ოჰ, ნუ წახვალ...

მერე დაბნეულად აღწერდნენ მის გარეგნობას, ურევდნენ თარიღებს, ადგილ-სამყოფელს...

— მაშ ამბობთ, წვერგაპარსულიაო?

— არა, მგონი... მგონი... მოკლედ შეკრეჭილი წვერი აქვს...

— მოიცათ... განა მოსკოველია?

— არა, იქ სტუდენტობისას იყო...

— რასა ბრძანებთ. ივან ივანოვიჩი იცნობს. ტარაშჩაში ახალგაზრდა მასწავლებლად მუშაობდა...

ფუი, ეშმაკმა დალახვროს... იქნებ ბრონნაიაზე არც მიდიოდა. მოსკოვი დიდი ქალაქია, ბრონნაიაზე ბურუსია, ჭირხლი, ჩრდილები. რაღაც გიტარაა.. თურქი მზეზეო... ყალიონიო... გიტარა — ტა-ტამ.. გაუგებარია, ბუნდოვანია... ოჰ, რა ბუნდოვანი და შემზარავია ირგვლივ ყველაფერი..

...სიმღერით მოდიან იუნკრები...

მოდიან და მოდიან სისხლით მოსვრილი აჩრდილები, მორბიან მოჩვენებები, თმაგაწეწილი ქალიშვილები... საპატიმროები, სროლა, ყინვა და შუალამისას ვლადიმირის ჯვარი.

მოდიან, მოიმღერიან,
გვარდიელი იუნკრები.
გუგუნებენ საყვირები,
თეფშები და დაფდაფები!

ჰქქენ ტორბანები, უსტვენს ბულბული ფოლადის ხმაზე, ზუმბების ცემით ბალხს სულსა ხდიან, მოდის, მოქრის ცხენოსანთა რაზმი, შავბოხოხიანი მხედრები ფიცხ ბელაურებს მოაგელვებენ.

გრგვინავს გულთმისნური სიზმარი, მოგორავს ალექსეი ტურბინის საწოლისკენ. ფერმიხდილ ტურბინს სძინავს. სითბოში თმის ბლუჯა დასცვარვია. ცარდისფერი ლამპა ანთია. სძინავს მთელ სახლს. წიგნების ოთახიდან კარჩხახას ხვრინვა მოისმის, ნიკოლკას ოთახიდან შერვინსკის ეშვენა... ბურუსი... ლამე... ალექსეის საწოლთან, იატაკზე, ჩაუკითხავი დოსტოევსკი გდია, „ეშმაკნი“ (მცინავად გაიძახიან საზარელ სიტყვებს.. წყნარად სძინავს ელენას.

— იცით, რას გეტყვით, არაფერიც არ ყოფილა. არ ყოფილა! ის სიმობილ ამქვეყნად საერთოდ არ ყოფილა. არც თურქი, არც გიტარა ყოფილა ჩუქურთმიანი ფარნის ქვეშ ბრონნაიაზე, არც საერობო კავშირი... არაფერი. უბრალოდ, იყო მითი, უკრაინაში რომ წარმოიშვა საშინელი თვრამეტი წლის ბურუსში.

...და იყო სხვა რაც — მძვინვარე სიბულვილი. იყო ოთხასი ათასი გერმანელი, ხოლო მათ ირგვლივ დაუოკებელი სიძულვილით გულანთებული ორმოცჯერ ოთხასი ათასი გლეხი. ო, ბევრი, ბევრი რამ დაგუბდა ამ გულებში. თავ-პირზე აწიეულებული ლეიტენანტის მათრახიც, ურჩი სოფლებისთვის დაშენილი შრაპნელიც. ჰეტმანის სერდიუკებისგან ზუმბებით აჭრელებული ზურგე-

ბიც, გერმანელთა ჯარის მაიორებისა და ლეიტენანტების ხელით ქალალდის ნაგლეჯებზე ნაჯღაბნი ხელწერილებიც:

„მიეცეს რუს ლორს მისგან ნაყიდი ლორის საფასური, 25 მარტა".

დამცინავი ხორხოცი იმათ მიმართ, ვისაც ასეთი ხელწერილები ქალაქში, გერმანელთა შტაბში მიჰქონდა.

რეკვიზირებული ცხენებიც, ჩამორთმეული პური, ...ეფროს თავის მამულებში დაბრუნებული, სახედამრგვალებული მემამულეებიც, სიძულვილის კანკალიც სიტყვა „ოფიცრების" გაგონებაზე.

აი, რა იყო.

ამას გარდა ხმები მიწის რეფორმაზე, რომლის ჩატარებასაც პან ჰეტმანი აპირებდა.

ვაგლახ, ვაგლახ! ჭკვიანი ხალხი, მათ შორის ვასილისაც, მხოლოდ თვრამეტი წლის ნოემბერში მიხვდა. როცა ქალაქის მისადგომებთან ჭვემეხთა გრიალი გაისმა, რომ გლეხებს სწორედ ეს პან ჰეტმანი ცოფიანი ძაღლივით სძულდათ. მაშინღა მიხვდნენ გლეხთა გულისნადებს, რომ მათ სულაც არ სჭირდებოდათ პანების არამზადული რეფორმა, არამედ უნდოდათ სამარადჟამო, საუკეთესო გლეხური რეფორმა:

— მთელი მიწა გლეხებს.

— თითოეულს ასი დესეტინა.

— მემამულეთა სახლებელიც ალარ უნდა იყოს არსად.

— ყოველ ას დესეტინა მიწაზე უნდა გაიცეს საიმედო, ლერბიანი, ბეჭედასმული ქალალდი — დამადასტურებელი სამუდამო, საშემკვიდრეო მფლობელობისა, პაპიდან მამაზე, მამიდან შვილზე, შვილიშვილზე და ასე შემდეგ.

— ქალაქიდან სოფელში პურის მოსათხოვად ფეხი არ უნდა ჩამოდგას არც ერთმა ნაძირალამ. მთელი პური გლეხობისაა, არავის არ მისცემენ, რასაც ვერ შეჭამენ, მიწაში ჩაფლავენ.

— ქალაქიდან ნავთი უნდა მოჰქონდეთ.

— არა, ასეთ რეფორმას სათაყვანებელი ჰეტმანი ვერ გამოსცემდა. ვერც ჰეტმანი და ვერც ვერავითარი ეშმაკი.

გაისმოდა ნაღვლიანი ხმები, ჰეტმანისა და გერმანელების ჭირსა და უბედურებას მარტო ბოლშევიკები თუ მოუვლიანო. მაგრამ ბოლშევიკებსაც თავისი ჭირი და უბედურება ჰქონდათ:

ურიები და კომისრები.

— ვაი უკრაინელი გლეხების უბედურ თავს!

საშველი არსაიდანაა!

იყო ათიათასობით ომიდან დაბრუნებული, ვისაც სროლა შეეძლო...

— მათ ხომ სროლა თვით ოფიცრებმა ასწავლეს უფროსთა ბრძანებით!

იუმცა გერმანელთა სახელდახელო სამხედრო-საველე სასამართლოებს, ზუმბაებით გაწკეპვლას და შრაპნელის დაშენას ბოლო არ უჩანდა, მიწაში ჩაფლული, ფარდულებსა და საბძლებში გადამალული ასიათასობით შაშხანა მაინც ჩაუბარებელი რჩებოდა, მიწაშივე იყო ჩაფლული მილიონობით ვაზნა, ყოველ შეხუთე სოფელში სამდუიმიანი ქვემეხი იდგა, ყოველ მეორე სოფელში ტყვიამფრქვევი, ყოველ პატარა ქალაქში ჭურვების საწყობი, ბაზარებითა და ფაფახებით სავსე ცეიხჰაუზები.

ამავე ქალაქებში იყვნენ სახალხო მასწავლებლები, ფერშლები, ცალმოგ-

ეი აზნაურები, უკრაინელი სემინარიელები, ბედის განგებით პროპორშჩიკებად
რომ ქცეულიყვნენ, მეფუტკრეების ზორბა ვაჟიშვილები, უკრაინელი გვარის
მქონე შტაბს-კაპიტნები... ყველა უკრაინულად ლაპარაკობდა, ყველას უყვარდა
მომჯადოებელი, ოცნებით წარმოსახული უკრაინა, პანებისა და მისკოველი
ოფიცრების გარეშე. ამათ გარდა ათასობით იყვნენ გალიციიდან დაბრუნებუ-
ლი, ნატყვევარი უკრაინელები.

აბა, ესეც მიუმატეთ იმ ათი ათასობით ვლეხს! ო-ჰო-ჰო!

ეი ეს იყო. ხოლო პატიმარი... გიტლერა...

დაირხა მრისხანე, სიზარი ხმები...
შემოგვესევიან.

ტამ... ტა-ტამ... ეჰ, ეჰ, ნიკოლკა.

თურქი, საეროპო ჰუსარი, სიმონი, არა, არ ყოფილა, არ ყოფილა. დიახ,
სისულელეა, ლეგენდა, მირაჟი.

ბრძენი ვასილისა იმ ღირსსახსოვარ ნოემბერში თავზე ხელს ამაოდ, სულ
ამაოდ იტაცებდა ხოლმე და შესძახებდა: „Quos vult perdere dementat"[1], —
ამაოდ წყევლიდა ჰეტმანს იმის გამო, რომ მან პეტლურა ქალაქის ბინძური სა-
ატიმროდან გამოუშვა.

— სისულელეა ეს ყველაფერი. ის თუ არა, მეორე იქნებოდა, მეორე თუ
არა — მესამე.

ასე რომ დასრულდა ავის მომასწავებელ ნიშანთა რიგი და დაიწყო ამ-
ბები... მეორე ამბავი ისეთი უმნიშვნელო ალარ გახლავთ, როგორც საპატიმრო-
დან ვილაც მითური კაცის გამოშვება, — ო, არა! ეს ისეთი დიდებული რამ იყო,
რომ კაცობრიობა უთუოდ ას წელს მაინც კიდევ ილაპარაკებს ამ ამბავზე... წი-
თელშარვლიანი გალელი მამლები ევროპის შორეულ დასავლეთში ჩასქელე-
ბულ, შეჯავშნულ გერმანელებს მომაკვდინებლად კორტნიდნენ. ეს იყო შემ-
ხარავი სანახაობა: ფრიგიულჩაჩქნიანი მამლები ღაღანით მიესივნენ შეჯავშ-
ნულ ტევტონებს და ხორცს ჯავშანთან ერთად აგლეჯდნენ. გერმანელები თავ-
განწირვით იბრძოდნენ, ფართო ხიშტებს შებუმბლულ მკერდში უკრიდნენ,
კბილებით ღრღნიდნენ, მაგრამ ვერ გაუძლეს. — და გერმანელებმა! დიახ, გერ-
მანელებმა! — მოწყალება ითხოვეს.

შემდგომი ამბავი ამასთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული და მისგან გა-
მომდინარეობდა, როგორც შედეგი მიზეზისგან. შეძრწუნებულმა და თავზარ-
დაცემულმა ქვეყნიერებამ შეიტყო, რომ ის კაცი, ვისი სახელიც და დაგრეხი-
ლი, ექვსდუიმიანი ლურსმნისებური ულვაშებიც ცნობილი გახლდათ მთელი
მსოფლიოსთვის, ვინც თავად, უეჭველია, ერთიანად ლითონისა იყო და ხისა
ხატამალიც არ ერია, ახლა დაემხო, დაემხო და გაცამტვერდა — იმპერატო-
რობას გამოეთხოვა. მერე შავბნელმა შიშმა ქალაქში ყველას გონებას ჭარიშ-
ხალივით დაურბინა: ნახეს, საკუთარი თვალით ნახეს, ნელ-ნელა როგორ გაი-
ქუცნენ გერმანელი ლეიტენანტები და მათი მორუხო-მოცისფრო მუნდირების
საო უსახურ, გაცრეცილ ნეჭად როგორ გადაიქცა. და ეს ხდებოდა იქვე,
თვალდათვალ. რამდენიმე საათში ლეიტენანტებს თვალები გაუხუნდათ, მო-
ნოკლის სარკმელთა მიღმა ჩაქრა ცხოველი შუქი და მინის ფართო დისკოები-
დან ახლა ძალამიღეული სიღატაკე იცქირებოდა.

[1] ვის დაღუპვასაც (ღმერთი) მოისურვებს, გონს წაართმევს (ლათ.).

აი, მაშინ კი თავში დაჰკრა ყველაზე ჭკვიანებს მათ შორის, ვინც ყვითელი, მკვიდრი ჩემოდნებისა და ფუნჩულა ქალების თანხლებით ბოლშევიკთა ექლიან ბანაკს დაუსხლტა და ქალაქში შემოაღწია. მიხვდნენ, რომ ბედმა ისინი დამარცხებულებთან დააკავშირა. მიხვდნენ ამას და გული მიშისვენ გაელიათ.

— გერმანელები დამარცხდნენ, — თქვეს ნაძირალებმა.

— ჩვენ დავმარცხდით, — თქვეს ჭკვიანმა ნაძირალებმა.

ამასვე მიხვდნენ ქალაქელებიც.

ოჰ, ვინც თავად დამარცხებულა, მხოლოდ იმან იცის, რასაც ნიშნავს ეს სიტყვა! ის ჰგავს სალაშოს, იმ სახლში, სადაც ელექტროგანათება გაფუჭდა. ის ჰგავს ოთახს, სადაც შპალერს სნების მწვანე ობი მოსდებია. ის ჰგავს ბავშვთა რაქიტიან დემონებს, ამძაღებულ ზეთს, სიბნელეში ქალის ხმით წარმოთქმულ დედის გინებას. მოკლედ, იგი ჰგავს სიკვდილს.

დასრულდა. გერმანელები უკრაინიდან მიდიან. მაშასადამე, მაშასადამე, ერთნი უნდა გაიქცნენ, მეორენი კი ქალაქში დახვდნენ ახალ, საკვირველ, დაუპატიჟებელ სტუმრებს. მაშასადამე, ვიღაცას სიკვდილი მოელის, ვინც გარბის. ისინი არ დაიხოცებიან. მაშ ვის მოელის სიკვდილი?

— სიკვდილი თვალხუჭობანას თამაში აღ აღის, — უცებ ენის ბორძიკით თქვა მძინარე ალექსეი ტურბინის წინაშე საიდანღაც მოვლენილმა პოლკოვნიკმა ნაი-ტურსმა.

მას უცნაური ფორმა ეცვა: თავზე გასხიოსნებული მუზარადი ეხურა, აბჯარი ემოსა და იმსიგრძე მახვილზე იყო დაყრდნობილი, ჯვაროსნულ ლაშქრობათა შემდგომ არც ერთ ომში რომ აღარ ყოფილა. სამოთხის შარავანდედი ღრუბელივით თან დაჰყვებოდა.

— პოლკოვნიკო, სამოთხეში ხართ? — ჰკითხა მას ტურბინმა და ისეთმა საამო თრთოლამ დაუარა, კაცი ცხადში ვერასოდეს რომ ვერ იგრძნობს.

— სამოთხეში ვაღ, — უპასუხა ნაი-ტურსმა ქალაქის ტყეებში მომდინარე ხაკადულივით კამკამა, წკრიალა ხმით.

— რა საოცარია, რა საოცარია, — თქვა ტურბინმა, — მე კი სამოთხე მხოლოდ... ადამიანის ნაოცნებარი მეგონა თანაც რა უცნაური ფორმა გაცვიათ. პოლკოვნიკო, ნება მიბოძეთ გკითხოთ, სამოთხეშიც ოფიცერი ხართ?

— ახლა ჯვაროსნების ბრიგადაში ბრძანდება, ბატონო ექიმო, — უპასუხა ვახმისტრმა ჟილინმა, 1916 წელს ვილნოს მისადგომებთან ტუჯიამფრქვევის ცეცხლით ნამდვილად რომ მოცელეს ბელგრადელ ჰუსართა ესკადრონთან ერთად.

ბუმბერაზი რაინდივით აღმართული ვახმისტრის აბჯარი შუქს აფრქვევდა. ექიმმა ტურბინმა ჟილინს სასიკვდილო ჭრილობა მაშინ საკუთარი ხელით შეუხვია და მისი სახის უხეში ნაკვთები კარგად ახსოვდა, მაგრამ ველარ სცნობდა, ხოლო თვალები ვახმისტრს ახლა სულ ნაი-ტურსისნაირი ჰქონდა — კრიალა, უძირო, შიგნიდან განათებული.

ალექსეი ტურბინის მჭმუხვარე სული ამქვეყნად ყველაზე მეტად ქალის თვალებს ელტვოდა. ქალის თვალები — ეს რა საოცრება შექმნა განგებამ!.. მაგრამ ქალის თვალები ვახმისტრის თვალებთან სად მოვიდოდა!

— ეგ როგორაა? — ჰკითხა ვახმისტრს ცნობისმოყვარეობითა და შეუცნობელი სიხარულით აღსავსე ექიმმა ტურბინმა, — ჩექმიანები, დეზებიანები

სამოთხეში რანაირად ხართ? თქვენ ხომ ცხენები გყავთ, რაც უნდა იყოს, ალალი, შუბები?

— დამიჯერეთ, ბატონო ექიმო, — ვიოლოწჩელიევით დაიგუგუნა ვახმისტრმა ქილინმა. იგი ტურბინს თვალებში ჩასცქეროდა და ეს ცისფერი მზერა ექიმს გულს უთბობდა. — სამოთხეს მთელი ესკადრონი ისევე ამხედრებულნი მივადექით, თანაც გარმონიკა უკრავდა. მართლა უხვეულ-ყო... იქ, ძოგეხსენებათ, სისუფთავეა, ისეთი იატაკებია, როგორც ტაძარში.

— მართლა? — შეეკითხა გაოცებული ტურბინი.

— ჰოდა, პეტრე მოციქული გამოჩნდა. სამოქალაქო ბერიკაცია, მაგრამ დარბაისელი, თავაზიანი. მე, რა თქმა უნდა, მოვახსენე: ასე და ასე, ბელგრადელ პუსართა მეორე ესკადრონმა სამოთხეს მშვიდობიანად მოაღწია, სად გვიბრძანებთ, რომ დავდგეთ-მეთქი. მოხსენებით კი მოვახსენე, მაგრამ, — ვახმისტრმა მლეშაში მორიდებით ჩაახველა, — თან ვფიქრობ, ნეტა პეტრე მოციქული რას გვიბრძანებს, იქნებ გვიბრძანოს, გასწით აქედან, ჯანდაბამდე ვზა გქონიათო.. იმიტომ რომ, თავადაც მოგეხსენებათ. მივადექით ცხენებით და... (ვახმისტრმა ქეჩო მოტეხვად მოიქექა) დედაკაცებით. საიდუმლოდ გეტყვით, გზაში ვიღაც ჭალები აგვეკიდნენ. მოციქულს თან ამას ვეუბნები, თანაც ოცეულს თვალით ვანიშნებ. დედაკაცები ცოტა ხნით აქაურობას მოაშორეთ, მერე გამოჩნდება, როგორ მოვიქცეთ. სანამ ყველაფერი გაირკვეოდეს, ღრუბლებს მიეფარონ-მეთქი. პეტრე მოციქული კი, თუმცა თავისნება კაცია, მაგრამ, რომ იცოდეთ, დინჯი და დარბაისელია. თკალი ერთი კი გააპარა და შევატყვე, რომ ოთხთვალაზე მსხდარი დედაკაცები დაინახა. ხომ იცით, თავზე ჭრელი ხილაბანდები აქვთ წაკრული, ერთ ვერსზე მოჩანს. ვიფიქრე, მორჩა ჩვენი საქმე, მთელი ესკადრონი ხათაბალაში გაეხვია-მეთქი...

— ეჰე, რაო, დედაკაცები მოგიყვანიათო? — მითხრა და თავი გააქნია.

— დიახ-მეთქი, — ვუთხარი. მაგრამ თან ვეუბნები, — ფიქრი ნუ გაქვთ, ბატონო მოციქულო, მაგათ ახლა სულ კისრისტეხით გავყრით-მეთქი.

— აბა, აბაო, — მეუბნება, — აქ მაგ თქვენებურ მუშტი-კრივს თავი ანებეთო.

ჰო? რა ვქნათ ახლა, როგორ ნოვიქცეთ? გულკეთილი ბერიკაცია. თავადაც ხომ მოგეხსენებათ, ბატონო ექიმო, ესკადრონი ლაშქრობაში უდედაკაცოდ არ ვარგა.

და ვახმისტრმა ტურბინს თვალი ეშმაკურად ჩაუკრა.

— ეს კი მართალია, — იძულებული იყო დათანხმებოდა ალექსეი ტურბინი და თვალები დახარა. სიზმრის წყვდიადში ბუნდოვნად იელვა ვიღაცის შავზე უშავესმა თვალებმა და მარჯვენა ფერმკრთალ ლოყაზე ხალებმა. ტურბინმა დარცხვენით ამოიოხრა, ვახმისტრმა კი განაგრძო:

— მეუბნება, მოიცა, ამ ამბავს ახლავე მოვახსენებო. წავიდა, დაბრუნდა და მითხრა: კარგი, მოვაწყობთო. ისეთი სიხარული შევვიდგა, ვერ აგიწერთ ოღონდ ცოტა კი შევფერხდით. პეტრე მოციქულმა გვითხრა, ცოტა ხანს მოცდა მოგიწევთო. მაგრამ ერთ წუთზე მეტი არ გვიცდია. ვხედავ,— ვახმისტრმა მდუმარე ნაი-ტურსზე მიუთითა, სიზმრიდან შეუცნობელი წყვდიადისკენ მედიდურად რომ მიემართებოდა და უჩინარდებოდა. — ბატონმა ესკადრონის მეთაურმა ტუშინოელი ქურდი მოაჭენა. ცოტა ხნის მერე კი მეთაურს ვიღაც ქვეყნიერ უმაწვილი იუნკერი მოჰყვა, — ვახმისტრმა ტურბინს ირიბად გადახედა და

წამით თვალები დახარა, თითქოს ექიმს რაღაც უნდა დაუძალოს, მაგრამ სამწუხარო კი არა, პირიქით, სასიხარულო, დიდებული საიდუმლოთ. მერე თავი ასწია და განაგრძო: — პეტრემ ხელი თვალებთან მიიტანა, მოსულებს გახედა და თქვა: აბა, ახლა კი მორჩაო! უმალვე ჭიშკარი ფართოდ გაიღო და, მარჯვნივ სამ-სამნი შემოდითო, გვითხრა.

დუნკა, დუნკა, დუნკა მე!
დუნია, შენი ჭირიმე! —

უცებ, როგორც სიზმარში, იჭექა გუნდმა და მჭახე ხმებს იტალიური გარმონიკაც აჰყვა.

— ფეხებთან! — სხვადასხვა ხმაზე შეჰყვირეს ოცმეთაურებმა.

ეეჰ, დუნია, დუნია, დუნია!
შემიყვარე, დუნია, დუნია, —

გუნდის ხმა შორს მიწყდა.

— ასევე ქალებიანად შეხვედით? — გაიკვირვა ტურბინმა.

ვახმისტრმა გულიანად გაიცინა და ხელები მხიარულად გაშალა.

— ღმერთო ჩემო, ბატონო ექიმო. იქ ხომ იმოდენა, იმოდენა ადგილია, თვალი ვერ გასწვდება. იქაურობა დაკრიალებულია... თვალის ერთი შევლებით ხუთი კორპუსი კიდევ დაეტევა, სათადარიგო ესკადრონებიანად, ხუთი რა არის — ათიც დაეტევა! იქვე სასახლეები დგას, ღმერთო დიდებულო, ჭერს თვალი ვერ შესწვდება! პეტრე მოციქულს ვეუბნები: ნება მიბოძეთ გკითხოთ, ეს სასახლეები ვისთვის არის-მეთქი? რადგან ორიგინალური რამ გახლდათ: წითელი ვარსკვლავები, წითელი ლრუბლები ჩვენი შარვლებისფრად ელვარებს. ეს ბოლშევიკებისთვის არისო, — მითხრა პეტრე მოციქულმა, — პერეკოპიდან მოსულებისთვისო.

— რომელი პერეკოპიდან? — ჰკითხა ტურბინმა და სუსტი, მიწიერი გონება დაძაბა.

— რომლიდან და, თქვენო მაღალკეთილშობილებავ, იმათ ხომ ყველაფერი წინასწარ იციან. ოც წელში, პერეკოპის აღებისას, ბოლშევიკები ხომ უთვალავზე უთვალავი მიაწვინეს. და, იმათ მისაღებად შენობებიც გაამზადეს.

— ბოლშევიკები? — გული აუფორიაქდა ტურბინს. — რაღაცას ურევთ, ჟილინო, ეს შეუძლებელია. იმათ იქ არ შეუშვებენ.

— ბატონო ექიმო, მეც ასე მეგონა. დიახ... შევცდი და ღმერთს ვეკითხები...

— ღმერთს? — ოჰ, ჟილინო!

— ნუ გეეჭვებათ, ბატონო ექიმო, მართალს გეუბნებით. მოსატყუარი რა მაქვს, ღმერთთან რამდენჯერ მილაპარაკია.

— ღმერთი როგორია?

ჟილინის თვალებიდან სხივები გამოკრთა, სახის ნაკვთები ამაყად დაეხვეწა.

— თუნდაც მომკალით, ვერ აგიხსნით. სახე გასხივოსნებული აქვს, მაგრამ როგორია, ვერ მიხვდები... ზოგჯერ შეხედავ და სისხლი გაგეყინება. გეგონება, რომ თავად შენა გგავს. ისეთი შიში აგიტანს, იფიქრებ, ეს რა მემართებაო. მაგრამ მერე არაფერი, გაგიელის. სხვადასხვასახოვანია. მაგრამ როცა ლაპარაკობს, ისეთი სიხარული გეუფლება, ისეთი სიხარული... გარემოს უმალ ცისფერი შუქი მოეფინება... ჰმ... არა, ცისფერი კი არა (ვახმისტრი ჩაფიქრდა).

არ ვიცი. ათას ვერსზე ანათებს და შენც გაგჭოლავს. ჰოდა, მოვახსენე. ეგ როგორ არის-მეთქი. ვეუბნები, უფალო, შენი ხუცები რომ ამბობენ, ბუნებრივიკები ჯოჯოხეთში ჩაცვივიანო? ეს როგორი ამბავია? იმათ შენ არ სწამთ, შენ კი, ნახე, მათთვის როგორი ყაბარიმები გაგიმართავს-მეთქი.

მაშ არ ვწამვარო? — მეკითხება.

ჭეშმარიტ ღმერთს გეფიცები! — ვეუბნები, მაგრამ გულში, რომ იცოდეთ, მეშინია, გაგონილა, ღმერთს ასე ელაპარაკო! მაგრამ ეხედავ, იღიმება. ვფიქრობ. განა სულელი არა ვარ, ამას რომ მოვახსენებ, როცა ყველაფერი ჩემზე უკეთ იცის-მეთქი. მაგრამ საინტერესოა. ერთი რას იტყვის. ის კი მეუბნება:

— თუ არ ვწამვარ, რა გაეწყობა. ნება იმათია. ამით ხომ მე არც არაფერი მაკლდება და არც არაფერი მემატება? ასევე შენცა და იმათაც, რომ იცოდე. იმიტომ რომ თქვენი რწმენა მე არც არას მარგებს და არც არას მავნებს. ერთს ვწამვარ, მეორეს არ ვწამვარ, ყველანი კი ერთნაირად იქცევით. ერთმანეთს უმალ ყელში სწვდებით. ამ ყაბარმების ამბავი კი, ჟილინო, აი, ასე უნდა გაიგო: თქვენ ყველანი, ჟილინო, ჩემთვის ერთნი ხართ — ბრძოლის ველზე დახოცილნი. ამას, ჟილინო, მიხვედრა უნდა, ყველა კი ვერ მიხვდება! შენ კი, საერთოდ, ჟილინო, — მეუბნება, — ამეებით თავს ნუ შეიწუხებ, იყავი შენთვის, დრო ატარეო.

კარგად განმიმარტა. ბატონო ექიმო, არა? ხუცები-მეთქი, — ვეუბნები. ამაზე ხელი ჩაიქნია: — ჟილინო, სჯობია, ხუცები ალარ გამახსენო. ალარ ვიცი, რა ვუყო. თქვენი ხუცებისთანა ბრიყვი ამქვეყნად არავინ იქნება. საიდუმლოდ გეტყვი, ჟილინო, ხუცები კი არა, თაღლაფდასხმულნი არიანო.

შენც ყველანი უკლებლივ დაითხოვე, უფალო! რა ძალა გაქვს, იმ უქნარებს პურს რომ აჭმევ-მეთქი.

— მეცოდებიან, ჟილინო, და რა ვუყოო. — მითხრა.

ჟილინის ირგვლივ შარავანდედი გაციისფერდა და მძიხარესაც გული შეუცნობელი სიხარულით აევსო. მან შუქმფენი ვახმისტრისკენ ხელები გაიწოდა და ძილში დაიკვნესა:

— ჟილინო, ჟილინო, არ შეიძლება თქვენს ბრიგადაში როგორმე ექიმად მოვეწყო?

ჟილინმა გამოსამშვიდობებლად ხელი დაუქნია და დასტურის ნიშნად თავი ალერსიანად დახარა. მერე უკან-უკან დაიხია და ალექსეი ტურბინს განშორდა. ტურბინმა გაიღვიძა და ნახა, რომ მის წინ ჟილინის ნაცვლად რიყრაყზე ოდნავ გაფერმკრთალებული ფანჯრის კვადრატი მოჩანდა. ექიმმა სახეზე ხელი მოისვა და იგრძნო, რომ ლოყები ცრემლებით დასველებოდა. იგი დილის ბინდბუნდში დიდხანს იხრავდა, მაგრამ მალე ისევ ჩაეძინა. ახლა უკვე მშვიდად ეძინა და აღარაფერი ეზმანებოდა...

დიახ, სიკვდილს არ დაუხახებია. შემოდგომაზე, შემდეგ კი, ზამთარში, როცა მშრალი თოვლის ფანტელები წამოაყარა, უკრაინის გზებს გაუყვა. წარაფებში ტყვიამფრქვევებს აკაკანებდა. თავად არ ჩანდა, მაგრამ წინ თვალნათლივ მიუძღოდა გლეხობის დაკოჟრილი მძვინვარება. ქალამნებშემოცვეთილი, გაბურძგნული, თავშიშველა, თმაში ბზეგაჩრილი, გარბოდა ქარბუქსა და ყინვაში და ღმუოდა. ხელში უზარმაზარი კეტი ეჭირა, ეროვნულისოდაც რუსეთში არაფერი არ დაწყებულა, აფრთქიალდნენ ფრთამალი წითელი მაძლები — ალის ენები. მერე შეწამულ, ჩამავალ მზეზე გამოჩნდა სასქესო ორგანოთი ჩამოკიდებული

მიკიტანი ებრაელი. ხოლო პოლონეთის მშვენიერ დედაქალაქში, ვარშავაში, აჩრდილი გამოჩნდა: ჰენრიკ სენკევიჩი ღრუბლებში იდგა და ფსალიანად იცინოდა. მერე კი ყველაფერი დომხალივით აირია, აქაფდა და აიბუშტა. ხუცები ზარებს აგუგუნებდნენ მწვანეგუმბათიან, აფორიაქებულ საყდრებში, ხოლო გვერდით, შაშხანის ტყვიებით ფანჯრებჩალეწილი სკოლის შენობებში რევოლუციურ სიმღერებს მღეროდნენ.

არა, ასეთ ქვეყანაში, ასეთ დროს სული ამოგხდება. ეშმაკსაც წაუღია! მითია, მითი პეტლურა. საერთოდ არ არსებულა. ისეთივე საუცხოო მითი გახლავთ, როგორიცაა მითი არასდროს არ არსებულ ნაპოლეონზე, თუმცა გაცილებით ულამაზო. მოხდა სხვა რამ. საჭირო იყო სწორედ ეს მრისხანება გლეხობისა ერთ რომელიმე გზაზე გაეტყუებინათ, რადგან ამქვეყნად ყოველივე ისე ჯადოსნურად არის მოწყობილი, რომ ამ მრისხანებამ რამდენიც არ უნდა ირბინოს, ყოველთვის გარდაუვლად ერთსა და იმავე გზაჯვარედინზე აღმოჩნდება.

ეს ძალზე უბრალოდ ხდება. ალიაქოთი იყოს თორემ, ხალხი გამოჩნდება.

ჰოდა, საიდანღაც გამოჩნდა პოლკოვნიკი ტოროპეცი. თურმე იგი, არც მეტი არც ნაკლები, ავსტრიის ჯარიდან იყო მოსული...

— აბა, რას ბრძანებთ?

— მერწმუნეთ.

მერე გამოჩნდა მწერალი ვინინჩენკო, რომელმაც სახელი ორი რამით გაითქვა — თავისი რომანებითა და იმით, რომ თვრამეტი წლის დასაწყისშივე, როგორც კი ჯადოსნურმა ტალღამ იგი უკრაინის ბობოქარი ზღვის ზედაპირზე ამოაგდო, ქალაქ სანკტ-პეტერბურგის სატირულმა ჟურნალებმა წამიც არ დააყოვნეს და მოღალატედ მოხათლეს.

- ახიცაა...

— ეგ მე არ ვიცი.

მერე კი ის იდუმალი პატიმარიც გამოჩნდა, ქალაქის ციხიდან რომ გამოუშვეს.

ჯერ კიდევ სექტემბერში მთელ ქალაქში წარმოდგენაც არ ჰქონდა არავის, რის გაკეთებას შეძლებდა სამი კაცი, ვისაც უნარი აქვს თავის დროზე გამოჩნდეს თუნდაც ისეთ უმნიშვნელო ადგილას, როგორიც ბელაია ცერკოვია. ოქტომბერში კი ამ ამბავს უკვე საკმაოდ კარგად მიხვდნენ და ქალაქის I სამგზავრო ეაგზლიდან ახლადმოვლენილი პოლონეთისა და გერმანიისკენ ახალი, ჯერ კიდევ ფართო გასასვლელით დაიძრა ასობით ნათურით გაჩირაღდნებული მატარებლები. გაფრინდა დეპეშები, ბრილიანტები, ფულები. მიიჩქაროდნენ თვალდაცეცებულნი, თმაგაყოფილნი, მიეშურებოდნენ აგრეთვე სამხრეთისკენ, ზღვისპირა ქალაქ ოდესისკენ. ნოემბერში, ეჰ! ყველამ უკვე საკმაოდ გარკვევით იცოდა სიტყვა

— პეტლურა!

— პეტლურა!!

— პეტლურა! —

აცეკვდა, ათამაშდა კედლებზე, რუხი ფერის სატელეგრაფო ცნობებში, დილით გაზეთის ფურცლებიდან ყავაში წვეთავდა და ღეთიურ ტროპიკულ სასმელს პირში უმალ უგემურზე უგემურ ნარეცხად აქცევდა. ეს სახელი ,ყველას ენაზე ეკერა, მორზე აპარატებში კაკუნობდა ტელეგრაფისტთა თითებქვეშ. ქალაქში

სასწაული სასწაულს მოჰყვა ამ იდუმალ სიტყვასთან დაკავშირებით, გერმანელები თავისებურად რომ წარმოთქვამდნენ:

— პეტურრა.

ღამღამობით იკარგებოდა ზოგიერთი გერმანელი ჯარისკაცი, ვისაც ქალაქის გარეუბნებში ხეტიალის უხვირო ჩვევა დასჩემებოდა. ღამით იკარგებოდნენ, დღისით კი გამოირკვეოდა, თურმე დაეხოცათ. ამიტომ ღამღამობით თავზე დალაქის ტაშტჩამომხობილ გერმანელთა პატრულები დადიოდნენ. დადიოდნენ და ფარნებს აელვარებდნენ — ჭკუით იყავითო! მაგრამ ვერაფითარი ფარანი ვერ გაფანტავდა ადამიანთა თავებში აზავთებულ მღვრიე დომხალს.

ვილჰელმი, ვილჰელმი. გუშინ სამი გერმანელი მოუკლავთ. ღმერთო ჩემო, გერმანელები მიდიან, გაიგეთ? მოსკოვში მუშებს ტროცკი დაუპატიმრებიათ!! ვიღაც მამაძაღლებს ბოროდიანკასთან მატარებელი გაუჩერებიათ და მთლიანად გაუძარცვავთ. პეტლურას პარიზში დესპანები გაუგზავნია. ისევ ვილჰელმი. შავი სენეგალელები ოდესაში ჩამოსულან... უცნობი, იდუმალებით მოცული სახელი — კონსული ენო. ოდესა. ოდესა. გენერალი დენიკინი. ისევ ვილჰელმი. გერმანელები წავლენ, ფრანგები მოვლენ.

— ბოლშევიკები მოვლენ, ძამიკო!

— ენა მოგტყდეს, ბიძიკო!

გერმანელებს ერთნაირი ისრიანი ხელსაწყო ჰქონიათ, — მიწაზე დადგამენ და ისარი აჩვენებს, იარაღი სად არის ჩაფლული. მაგარი რამეა. პეტლურას ბოლშევიკებთან დესპანი გაუგზავნია. ეს უფრო მაგარი რამეა. პეტლურა. პეტლურა. პეტლურა. პეტლურა. პეტლურა. პეტურრა.

* *

კაციშვილმა არ იცოდა, მაინც რას აპირებდა ეს პეტურრა, რის გაკეთება ჰქონდა განზრახული უკრაინაში, მაგრამ უკლებლივ ყველამ უკვე იცოდა, რომ მას, იდუმალებით მოცულსა და უსახოს

(თუმცა გაზეთები დროდადრო აქვეყნებდნენ კათოლიკე პრელატის პირველივე სურათს, რაც რედაქციაში მოხვდებოდა, ოღონდ ყოველთვის სხვადასხვას და ქვემოთ წააწერდნენ — სიმონ პეტლურა).

სურდა რომ უკრაინას დაუფლებოდა და, რათა მას დაუფლებოდა, ქალაქის ასაღებად მოდიოდა.

*

მადამ ანეუს მაღაზია „პარიზულ პეწს" ქალაქის ცენტრში, ოპერის თეატრის უკან, თეატრალურ ქუჩაზე ალმართული უზარმაზარი, მრავალსართულიანი სახლის პირველი სართული ეჭირა. ქუჩიდან მაღაზიის მინის კარამდე სამსაფეხურიანი კიბე ადიოდა, ხოლო მინის კარის აქეთ-იქით ორ ფანჯარას ტიულის მტვრიანი ფარდები ჰქონდა ჩამოფარებული. არავინ იცოდა, სად გაქრა თავად მადამ ანეუ, ანდა მის მაღაზიას ისეთი მიზნებისათვის რატომ იყენებდნენ, რასაც ეაჭრობასთან საერთო არაფერი ჰქონდა. მარცხენა ფანჯარაზე ქალის ფერადი ქუდი ეხატა და ზედ ოქროს ასოებით ეწერა: „შიკ პარიზიენ". ხოლო მარჯვე-

ნა ფანჯრის უკან ყვითელი მუყაოს უზარმაზარი პლაკატი მოჩანდა. ზედ ეხატა ორი ერთმანეთზე გადაჯვარედინებული სევასტოპოლური ქვემეხი, ისე როგორც არტილერისტებს აქვთ სამხრეებზე, ზემოთ კი ეწერა:

„შეგიძლია გმირი არ იყო, მოხალისე კი უნდა იყო, მოვალე ხარ.“

ქვემეხების ქვემოთ ეწერა:

„მოხალისეების ჩაწერა სარდლის სახელობის სამორტირო დივიზიონში.“

მაღაზიის შესასვლელთან გამურული, დანჯღრეული, ნავიანი მოტოციკლეტი იდგა. ზამბარიანი კარი წამდაუწუმ ჯახუნობდა და ყოველ გაღებაზე კარის თავზე ზარი საამურად წკრიალებდა — ძინ-ძინ... და მისი ხმა მადამ ანჟუს ცოტა ხნის წინანდელ, ბედნიერ დროებას გაგახსენებდათ.

ნამთვრალევი ტურბინი, მიშლაევსკი და კარჩხანა თითქმის ერთდროულად ადგნენ, თავისდა გასაოცრად, სრულიად გამოფხიზლებულნი, მაგრამ საკმაოდ გვიან კი— ასე შუადღისას. ნიკოლკა და შერვინსკი შინ აღარ ჩანდნენ. ნიკოლკამ დილაადრიან რაღაც წითელი ბოხჩა ოხვრით გამოკრა და თავისი ლაშქრისაკენ გასწია, ხოლო შერვინსკი სულ ცოტა ხნის წინ წასულიყო სამსახურში, სარდლის შტაბში.

მიშლაევსკი წელამდე გაშიშვლდა ანიუტას სანუკვარ ოთახში, სამზარეულოს გვერდით, სადაც ფარდის იქით ქურა და აბაზანა იდგა, ყინულივით ცივი წყლის ჭაელს კისერი, ზურგი და თავი შეუშვირა, თანაც შიშითა და აღფრთოვანებით ყვიროდა:

—უჰ! უჰ! რა კარგია! — ირგვლივ ორ არშინზე ყველაფერი გაწუწა. შერე ხაოიანი ზეწრით ტანი გაიმშრალა, ჩაიცვა, თავზე ბრიოლინი წაისვა, თმა დაივარცხნა და ტურბინს უთხრა:

— ალიოშა, ჰმმ... თუ ძმა ხარ, შენი დეზები მათხოვე. შინ აღარ შევიღლი, უდეზებოდ მისვლა კი არ მინდა.

— აიღე, კაბინეტშია, მაგიდის მარჯვენა უჯრაში.

მიშლაევსკი კაბინეტში შევიდა, უჯრაში ხელები მოაფათურა და დეზების წკარუნით გამოვიდა. დეიდამისთან სტუმრად წასული შავთვალა ანიუტა დილას დაბრუნებულიყო და მამლის ბუმბულების ცოცხით სავარძლებს წმენდდა. მიშლაევსკიმ ჩაახველა, კარს ცერად გახედა, გეზი იცვალა, სავარძლებს შემოუარა, ანიუტას წინ დაუდგა და უთხრა:

— გამარჯობა, ანიუტოჩკა...

— ელენა ვასილიევნას ვეტყვი, — უმალ, მექანიკურად, დაუფიქრებლად წაიჩურჩულა ანიუტამ და თვალები დახუჭა, როგორც სასიკვდილოდ განწირულმა, ვისაც ჯალათმა დანა უკვე მოუღერა.

— სულელო...

მოულოდნელად კარიდან ტურბინმა შემოიხედა და სახეზე გესლიანი გამომეტყველება აესახა.

— ვიტია, ცოცხს ათვალიერებ? ჰო, ლამაზია. იქნებ ჯობდა, შენი გზით წასულიყავ. ჰა? შენ კი, ანიუტა, იცოდე, თუ მაგან გითხრას, ცოლად შეგირთავო, ნუ დაუჯერებ, არ შეგირთავს.

— რა მოხდა, ღმერთო ჩემო, ადამიანს რომ მივესალმო, არ შეიძლება?

მიშლაევსკი დაუმსახურებელი წყენისაგან წამოჭარხლდა, გაიჯგიმა და სას-

ტუმრო ოთახიდან დეზების წკარუნით გავიდა, სასადილო ოთახში ოქროსთმიან, მედიდურ ელენასთან მივიდა. თვალებს მოუსვენრად აცეცებდა.

— გამარჯობა, ლენა, ჩემო სინათლევ, დილა მშვიდობისა. ჰმ... (მიშლაევსკის ყელიდან მკლერი ტენორის ნაცვლად ჩახლეჩილი, დაბალი ბარიტონი ამოსდიოდა.) ლენა, ჩემო სინათლევ, — შესძახა გრძნობაჩუმრეულმა, — ნუ გამირისხდები. მიყვარხარ და შენც გიყვარდე. გუშინ [illegible] მაგრამ გულთან ნუ მიიტან. ლენა, ვილაც არამზადა ხომ არ გგონიეარ?

თქვა ეს, ელენას მოეხვია და ორივე ლოყა დაუკოცნა. სასტუმრო ოთახში მამლის ბუმბულის ცოცხი რბილი ბრაგუნით დაეცა. როგორც კი ტურბინების ბინაში პორუჩიკი მიშლაევსკი გამოჩნდებოდა, ანიუტას უცხაური რაღაც ემართებოდა, ყველაფერი ხელიდან უვარდებოდა. თუ სამზარეულოში იყო, დანები იატაკზე ცვიოდა, ბუფეტის თაროდან თეფშები მოზრიალებდა. დაბნეული ანუშკა დერეფანში უსაქმოდ გარბოდა, კალოშებს აილებდა და ჩერით იქამდე აპრიალებდა, სანამ მოკლე, ქუსლებამდე დაშეებული დეზების წკარუნს არ გაიგონებდა და წაკვეთილი ნიკაპი, კვადრატული ბეჭები და ლურჯი ბრიჯი არ გამოჩნდებოდა. მაშინ ანუშკა თვალებს დახუჭავდა და ვიწრო, მზაკვარი დერეფნიდან გვერდულად გასხლტებოდა. ახლაც სასტუმრო ოთახში ცოცხი ხელიდან გაუვარდა, ჩაფიქრებული ერთ ადგილას გაშეშდა და სადღაც შორს, ნაყშიანი ფარდების მიღმა, ნაცრისფერ, მოლრუბლულ ცას მიაჩერდა.

— ვიტკა, ვიტკა, — ეუბნებოდა ელენა მიშლაევსკის და თავს აქნევდა, ელვარე თეატრალურ გვირგვინს რომ მოგაგონებდათ, — ალბა რომ შეგხედოს, ჯანიანი ბიჭი ხარ. რა მოგვიდა, გუშინ რანაირად მოეშვი, დაჯექი, ჩაი დალიე, იქნებ გიშველოს.

— შენ კი, ლენოჩკა, ღმერთმანი, დღეს ისეთი მშვენიერი ხარ. კაპიტიც გიხდება. სინდისს გეფიცები, — ელაციცებოდა მიშლაევსკი ელენას და თან სარკეებიანი ბუფეტის წიაღისაკენ მზერას მალიმალ აპარებდა, — კარჩხანა, შეხედე ერთი, რა კაპიტია. მთლად მწვანე. არა, მართლა რა ლამაზია.

— ელენა ვასილიევნა ძალიან ლამაზია, — დარბაისლურად, გულწრფელად უპასუხა კარჩხანამ.

— მწვანე კი არა, ღია ლურჯია. — განმარტა ელენამ, — შენ კი, ვიტენკა, ბარემ პირდაპირ თქვი, რა გინდა.

— იცი, რა, ელენა, ჩემო სინათლევ, გუშინდელი დავიდარაბის მერე შეიძლება შაიკმა წამომიაროს და მერე ველარაფერს ვუშველი...

— ჰო, კარგი, ბუფეტშია.

— ასე, ასე... მხოლოდ ერთ ჭიქას დავლევ... ყოველგვარ პირამიდოხს სჯობია.

მიშლაევსკიმ სახე დამანჭა, ორი ჭიქა არაყი ზედიზედ გადაჭრა და გუშინდელი, დარბილებული კიტრი დააყოლა. მერე განაცხადა, ასე მგონია, ხელახლა დავიბადეო, და სურვილი გამოთქვა, ლიმონიან ჩაისაც დავლევო.

— ლენოჩკა, — ამბობდა ხმაჩახლეჩილი ტურბინი, — ნუ იღელვებ და ლოდინით გულს ნუ გაიწყალებ. მივალ, ჩავეწერები და შინ დავბრუნდები. საომარ მოქმედებას რაც შეეხება, დარდი ნუ გექნება, ჩვენ ქალაქში ვისხდებით და საყვარელ პრეზიდენტს მოვიგერიებთ, იმ არამზადას.

— ვაითუ სადმე გაგგზავნონ?

კარჩხანამ ხელი დამამშვიდებლად ჩაიქნია.

— ნუ იდარდებთ, ელენა ვასილიევნა. ჯერ ერთი, უნდა მოგახსენოთ, რომ დივიზიონი ორ კვირაზე ადრე ვერანაირად ვერ მოემზადება. არც ცხენები ჩანს და არც ჭურვები. ხოლო როცა მოემზადება, მაშინაც უეჭველად ქალაქში დავრჩებით. მთელი ჯარი, რომელიც ახლა ყალიბდება, უსათუოდ ქალაქის გარნიზონი იქნება. მხოლოდ შემდგომში, თუკი მოსკოვისკენ [illegible]...

— ეჰ, ეგ როდის იქნება... ჰმ..

— მანამდე დენიკინს უნდა შევუერთდეთ...

— ბატონებო, ტყუილად ნუ ირჯებით, ნუ მაშშვიდებთ. მე არაფრისა შეშინია, პირიქით, თქვენი განზრახვა მოძწონს.

ელენა მართლაც ყოჩაღად ლაპარაკობდა და თვალებში უკვე ყოველდღიურ საზრუნავზე ფიქრი უჩანდა. „კმა არს დღესა მისთვის სიბოროტე თავისი.“

— ანიუტა, — გასძახა მან ანუშკას, — ძვირფასო, გარეთ, აივანზე, ვიქტორ ვიქტოროვიჩის საცვლებია. აიღე, გენაცვალე, ჯერ ჯაგრისით კარგად გაწმინდე და მერე სასწრაფოდ გარეცხე.

ყველაზე უფრო დამამშვიდებლად ელენაზე პატარა, ტახსრული, ცისფერთვალა კარჩხანა მოქმედებდა. საკუთარ თავში დარწმუნებული, ელალფრენჩიანი კარჩხანა თამბაქოს ეწეოდა და თვალებს გულგრილად ჭუტავდა.

წინკარში ერთმანეთს გამოემშვიდობნენ.

— ღმერთი იყოს თქვენი მფარველი, — გოროზად თქვა ელენამ და ტურბინს ჯვარი გადასახა. ასევე გადასახა ჯვარი მიშლაევსკისაც და კარჩხანასაც, მაზარის გარედან მსხვილ წელზე ქამარი მჭიდროდ რომ შემოეჭირა. მიშლაევსკი ელენას გადაეხვია, ხოლო კარჩხანა წამოწითლდა და ორივე ხელი ნაზად დაუკოცნა.

* *

— ბატონო პოლკოვნიკო, — თქვა კარჩხანამ. დეზები მსუბუქად ააწკარუნა და ხელი ქუდთან მიიტანა, — ნებას მომცემთ, მოგახსენოთ?

ბატონი პოლკოვნიკი მაღაზიის მარჯვენა მხარეს, ესტრადასაკით შემაღლებულ ადგილას, პატარა საწერ მაგიდასთან ბუდუარის დაბალ, მომწვანო საკარძელში იჯდა. მის უკან ზვინებად მდგარი მუყაოს მოცისფრო ყუთები, რომელსაც ეწერა „მადამ ანჟუ. ქალის ქუდები“, ნაყშიანი ტიულის ფარდებჩამოფარებული, დამტვერილი ფანჯრებიდან მომავალ შუქს ცოტათი ამკრთალებდა. ბატონ პოლკოვნიკს ხელში კალამი ეჭირა და ნამდვილად პოლკოვნიკი კი არა პოდპოლკოვნიკი გახლდათ, ოქროსფერ ფართო სამხრეებზე ორი ზოლი გასდევდა, ზედ სამი ვარსკვლავი და გადაჯვარედინებული, ოქროსფერი ქვემეხები ჰქონდა დამაგრებული. ბატონი პოლკოვნიკი ტურბინზე ცოტათი უფროსი თუ იქნებოდა — ასე ოცდათი წლის, ბევრი-ბევრი ოცდათორმეტისა. ნაპატივებ და სუფთად გაპარსულ სახეს ამერიკულ ყაიდაზე შეკრეჭილი შავი ულვაში უმშვენებდა. ძალზე ცოცხალი და აზრიანი თვალები აშკარად მოქანცულად, მაგრამ დაკვირვებით იმზირებოდნენ.

პოლკოვნიკის ირგვლივ ნამდვილი ქაოსი სუფევდა. მისგან ორ ნაბიჯზე პატარა შავ ღუმელში ცეცხლი გუზგუზებდა, მუხლებიანი მილებიდან, ტიხარს იქით რომ გადიოდა და მაღაზიის წიაღში იკარგებოდა, ხანგამოშვებით შავი წუნწუხი წვეთავდა. აქა-იქ ჩაღრმავებული იატაკი, როგორც ესტრადაზე, ასევე მთელ მაღაზიაში წითელი და მწვანე ქსოვილის ნაკუწებით და დაფხრეწილი ქა-

ღალდებით იყო მოფენილი. მაღლა, ზედ პოლკოვნიკის თავთან საწერ მანქანას მოუსვენარი ჩიტივით კაკუნი გაჰქონდა. ტურბინმა თავი ასწია და დაინახა, რომ მანქანა თითქმის ჭერთან დაკიდული მოაჯირის მიღმა კაკუნებდა. მოაჯირს იქით ვიღაცის ლურჯრეიტუზიანი ფეხები და უკანალი გახიდულიყო, თავი კი არ ჩანდა, რადგან ჭერს წაეკვეთა. მეორე მანქანა მალაზიის [illegible] ეხარეს, იატაკქვემოთა ქვაბულში კაკუნებდა; სადაც მოხალისე [illegible] ბრჭყვიალა სამხრეები და თეთრი თავი მოჩანდა, ხელები და ფეხები კი არსად იყო.

პოლკოვნიკის ირგვლივ უამრავი ხალხი ირეოდა, ელავდა სამხრეების ოქროსფერი ქვემეხები, იდგა ყვითელი ყუთი ზედ აჩხორიალი ტელეფონის ყურმილებითა და მავთულებით, მუყაოს ყუთების გვერდით კი გროვა-გროვა ეყარა ხისსახელურიანი, კონსერვის ქილების მსგავსი ხელყუმბარები და ტყვიამფრქვევის ლენტების რამდენიმე რგოლი. ბატონი პოლკოვნიკის მარცხენა იდაყვთან ფეხის საკერავი მანქანა იდგა, ხოლო მარჯვენა ფეხთან დრუნჩი გამოეყო ტყვიამფრქვევს. სადღაც სიღრმეში, ბრჭყვიალა ლითონის წნელზე ჩამოკიდებული ფარდის იქით, სადაც ბნელოდა, ვიღაც, ალბათ ტელეფონში, ხმის ჩახლეჩამდე ჩასძახოდა: „დიახ... დიახ... მისმინეთ. მისმინეთ. დიახ, დიახ, მისმინეთ.“ ძინ-ძინ, — დაიწკრიალა ზარმა... პი-უ — წაიმღერა ხმაწკრიალა ჩიტმა სადღაც ქვაბულში და იქ ახალგაზრდა კაცის ბანმა ჩაიბუბუნა:

— დივიზიონია... გისმენთ... დიახ. დიახ.

— გისმენთ, — უთხრა კარჩხანას პოლკოვნიკმა.

— ბატონო პოლკოვნიკო, ნება მიბოძეთ წარმოგიდგინოთ პორუჩიკი ვიქტორ მიშლაევსკი და ექიმი ტურბინი. პორუჩიკი მიშლაევსკი ამჟამად რიგით ჯარისკაცადაა მეორე ქვეით ლაშქარში და სურს, რომ თქვენდამი მინდობილ დივიზიონში გადმოვიდეს თავის სპეციალობაზე. ექიმი ტურბინი დივიზიონის ექიმად დანიშვნას ითხოვს.

თქვა ეს კარჩხანამ და ხელი ძირს დაუშვა, ხოლო მიშლაევსკიმ ქუდთან ხელი მიიტანა და პოლკოვნიკს მიესალმა. „ფუ ეშმაკს... ფორმა მალე უნდა ჩავიცვა“. — სინანულით გაიფიქრა ტურბინმა, უქუდოდ თავს უხერხულად გრძნობდა. გულში გაკრა. კრაველის საყელოიანი შავი პალტო ალბათ ვიღაც ყეყეჩს მამგვანებსო. პოლკოვნიკმა ექიმს თვალი სწრაფად შეავლო და მზერა მიშლაევსკის მაზარასა და სახეზე გადაიტანა.

— ასე, — თქვა მან, — კარგი იქნება. პორუჩიკო, სად ხართ ნამსახური?

— მძიმე № დივიზიონში, ბატონო პოლკოვნიკო, — უპასუხა მიშლაევსკიმ. ამგვარად ამცნო, გერმანიასთან ომის დროს რას საქმიანობდა.

— მძიმეში? ეს ძალიან კარგია. ეშმაკმა უწყის რას სჩადიან: არტილერიის ოფიცრებს ქვეით ჯარში თავი უკრეს. რა დომხალია!

— სრულიადაც არა, ბატონო პოლკოვნიკო, — უპასუხა მიშლაევსკიმ და ოდნავ ჩაახველა, რომ ხმა ჩაეწმინდა. — მე ჩემი ნება-სურვილით ვითხოვე, რადგან პოსტ-ვოლინსკისკენ სასწრაფოდ იყო საჭირო რაზმის გაგზავნა მაგრამ ახლა, როცა ლაშქარი თითქმის ჩამოყალიბებულია...

— უალრესად მომწონს თქვენი განზრახვა... კეთილი, — უთხრა პოლკოვნიკმა მიშლაევსკის და თვალებში მართლაც დიდი მოწონებით ჩააცქერდა, — მოხარული ვარ, რომ გაგიცანით... მაშ ასე... პო. ექიმო? თქვენც გსურთ ჩვენთან სამსახური? ეჰ

მიხაილ

გან და შესაძლოა ბოლშევიკებისგან. მერე კი, მერე საქმე გამოაჩენს... ექიმო, ნება მიბოძეთ გკითხოთ, აქამდე სად მსახურობდით?

— ათას ცხრაას თხუთმეტ წელს, უნივერსიტეტის ექსტერნად დამთავრების შემდეგ, ვენეროლოგიურ კლინიკაში, მერე ბელგრადელ ჰუსართა პოლკში უმცროს ექიმად, შემდეგ კი მძიმე, სამჯერად ჰოსპიტალში [illegible]. ამქამად დემობილიზებული გახლავართ და კერძო პრაქტიკას [illegible]

— იუნკერო! — გასძახა პოლკოვნიკმა. — უფროს ოფიცერს სთხოვეთ, ჩემთან მოვიდეს.

ვილაცის თავი ქვაბულში გაუჩინარდა, შემდეგ კი პოლკოვნიკის წინაშე ახალგაზრდა, შავგვრემანი, მკვირცხლი ოფიცერი წარსდგა. ოფიცერს კრაველის მრგვალი, ყოლოსფერციანი, ყაითანგადაჯვარედინებული ქუდი ეხურა, რუხ, გრძელკალთებიან, მიშლაევსკისთახა მაზარაზე ქამარი მაგრად შემოეჭირა და ზედ რევოლვერი ეკიდა. დასრესილი ოქროსფერი სამხრეები იტყობინებოდა, რომ შტაბს-კაპიტანი გახლდათ.

— კაპიტანო სტუძინსკი, — მიმართა მას პოლკოვნიკმა, — გეთაყვა, საღლის შტაბში მიმართეთ გაგზავნეთ, რომ დაუყოვნებლივ ჩემთან გადმოიყვანონ პორუჩიკი... ე-ე...

— მიშლაევსკი, — თქვა მიშლაევსკიმ და ხელი ქუდთან მიიტანა.

...მიშლაევსკი, თავის სპეციალობაზე, მეორე ლამჭრიდან. იქვე გაგზავნეთ მიმართვა, რომ ექიმი... ე-ე?

— ტურბინი...

— ტურბინი აუცილებლად მესაჭიროება დივიზიონის ექიმად. ვითხოვთ, დაუყოვნებლივ დანიშნონ.

— არის, ბატონო პოლკოვნიკო. — უპასუხა ოფიცერმა და ხელი ქუდთან მიიტანა. გამოთქმაზე ეტყობოდა, რუსი არ უნდა ყოფილიყო.

„პოლონელია", — გაიფიქრა ტურბინმა.

— პორუჩიკო, შეგიძლიათ ლამჭარში აღარ დაბრუნდეთ (ეს მიშლაევსკის). პორუჩიკი მეოთხე ოცეულს ჩაიბარებს (ოფიცერს).

— არის ბატონო პოლკოვნიკო.

— არის, ბატონო პოლკოვნიკო.

— თქვენ კი, ექიმო, ამ წუთიდან სამსახურში ითვლებით. გთხოვთ, დღეს, ერთი საათის შემდეგ, ალექსანდრეს გიმნაზიის მოედანზე გამოცხადდეთ.

— არის, ბატონო პოლკოვნიკო.

— ექიმს დაუყოვნებლივ მიეცით ტანსაცმელი.

— არის.

— გისმენთ, გისმენთ! — გაიძახოდა ბანი ქვაბულში.

— მისმენთ? არა. გეუბნებით: არა... არა-მეთქი, — ყვიროდა ვილაც ტიხარს მიღმა.

ძინ-ძინ... პი...პი-უ, — მღეროდა ჩიტი ქვაბულში.

— მისმენთ?

* *

— „თავისუფალი ცნობები"! „თავისუფალი ცნობები"! ახალი ყოველდღიური გაზეთი „თავისუფალი ცნობები"! — ყვიროდა გაზეთის გამყიდველი ბი-

ჭი, ქუდს ზემოდან ქალის თავშალი რომ წაეკრა. — პეტლურას ბანდა გაიხრწნა. ოდესაში შავი ჯარები ჩამოვიდნენ. „თავისუფალი ცნობები"!

ტურბინმა ერთ საათში შინ შერბენა მოასწრო. სასტუმრო [illegible]ის მომიჯნავე პატარა კაბინეტში მდგარი საწერი მაგიდის უჯრიდან ამოღებული ვერცხლისფერი სამხრეები დღის სინათლეზე აბზინდა. ტურბ[illegible] კაბინეტიდან ეივანზე შემინული კარი გადიოდა. კარს თეთრი ფარდა ჰქონდა [illegible]ული. საწერ მაგიდაზე წიგნები და საწერი მოწყობილობა ეწყო, თაროებზე — წაძლის შუშები და ხელსაწყოები. ტახტზე სუფთა ზეწარი იყო გადაფარებული. ლარიბულად მოწყობილ კაბინეტს სიხალვათე აკლდა. მაგრამ მყუდრო კი იყო.

— ლენოჩკა, თუ რაიმე მიზეზით დავიგვიანე და ვინმე მოვიდა, ეთხარი, დღეს ვერავის მიიღებს-თქო. მუდმივი ავადმყოფები არა მყავს... ცოტა დაუჩქარე. გენაცვალე.

ელენამ გიმნასტიორის საყელო გადასწია და სამხრეები ფაცაფუცით მიაკერა... მეორე წყვილი, ხაკისფერი, შავზოლებიანი სამხრეები კი მაზარას დააკერა.

რამდენიმე წუთის შემდეგ ტურბინი სადარბაზო შესასვლელიდან სირბილით გამოვიდა და თეთრ დაფას შეხედა:

ექიმი ა. ვ. ტურბინი.
ვენერიული სნეულებანი და სიფილისი.
606-914
მიღება 4 ს-დან 6 ს-მდე.

ზემოდან დააწება „5 ს-დან 7 ს-მდე" და ალექსეევის ალმართს სირბილით აუყვა.

— „თავისუფალი ცნობები"!

ტურბინი შეჩერდა, ბიჭისგან გაზეთი იყიდა და გზადაგზა გაშალა:

უპარტიო დემოკრატიული გაზეთი.
გამოდის ყოველდღიურად.
1918 წლის 13 დეკემბერი.
საგარეო ვაჭრობისა და, კერძოდ, გერმანიასთან ვაჭრობის საკითხები გვაიძულებს...

მოიცა, სად წერია?.. ხელები დაბაზრა.

როგორც ჩვენი კორესპონდენტი გვატყობინებს, ოდესაში მიმდინარეობს მოლაპარაკება შავი კოლონიური ჯარების ორი დივიზიის გადმოსხმის თაობაზე. კონსულ ენოს შეუძლებლად მიაჩნია, რომ პეტლურა...

— ეჰ, ის ლაწირაკი მამაძაღლი!

გუშინ პოსტ-ვოლინსკში, ჩვენი სარდლობის შტაბში გამოქცეული პეტლურელები მოვიდნენ და აგვაცნობეს, რომ პეტლურას ბანდები სულ უფრო და უფრო იხრწნება. სამი დღის წინ კოროსტენის რაიონში ცხენოსანთა პოლკმა ცეცხლი დაუშინა სეჩელ მსროლელთა ჭეკვით პოლკს. პეტლურას ბანდებში დაზეკებისკენ დიდი მისწრაფება შეიმჩნევა, როგორც ჩანს, პეტლურას ავანტიურის კრახი ახლოვდება. იმავე გამოქცეულმა გვაცნობა, რომ პეტლურას წინააღმდეგ აშბობე-

ბული პოლკოვნიკი ბოლბოტუნი გაურკვეველი მიმართულებით წავიდა თავის პოლკთან ერთად და ოთხი ქვემეხიც გაიყოლა. ბოლბოტუნი პეტმანის ორიენტაციისკენ იხრება.

ბლეხები პეტლურა სძულთ რეკოიზიციის გამო. მის მიერ სოფლებში გამოცხადებულ მობილიზაციას არავითარი წარმატება არა აქვს. ბლეხები მასობრივად თავს არიდებენ მობილიზაციას და ტყეებში იმალებიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვთქვათ, ეს ასეა... უჰ, როგორ ყინავს... ბოდიში.
— გეთაყვა, ზედ ნუ შემდექით! გაზეთები შინ უნდა იკითხოთ...
— ბოდიში...

ჩვენ ყოველთვის ვამტკიცებდით, რომ პეტლურას ავანტიურა...

— უჰ შე არამზადა! უჰ, თქვე არამზადებო...

თუ ხარ ვაჟკაცი, არ ხარ ნადირი,
მოხალისედაც წახვალ ნამდვილად...

— ივან ივანოვიჩ, დღეს რაღაც ვერა ხართ გუნებაზე!
— ეჰ, ცოლმა საქმე გამიპეტლურა. დილას აქეთ აბოლბოტუნებს...
ტურბინს ამ ხუმრობაზე სახეც კი დაემანჭა, გაზეთი ბრაზიანად დაჭმუჭნა და ტროტუარზე დააგდო. მერე გუგუნს ყური მიუგდო.
ბუ-უჰ, — მღეროდნენ ქვემეხები. უ-უუჰ, — თითქოს მიწის გული გმინავდა სადღაც, ქალაქგარეთ.
— ეს რა ჯანდაბაა?

ტურბინი სწრაფად შეტრიალდა. დაჭმუჭნული გაზეთი აიღო, გაასწორა და პირველ გვერდზე ხელახლა, დაკვირვებით წაიკითხა.

ირპენის რაიონში ჩვენი მზვერავების შეტაკებები პეტლურას ბანდიტთა ცალკეულ ჯგუფებთან.
სერებრიანკას მიმართულებით სიმშვიდეა.
წითელ დუჭანში ცვლილება არ მომხდარა.
ბოიარკის მიმართულებით პეტმანის სერდიუკთა პოლკმა მძლავრი შეტევით გაფანტა ათასხუთასკაციანი ბანდა. ორი ქაცი ტყვედ წამოიყვანეს.

— გუ... გუ... გუ... ბუჰ... ბუჰ... ბუჰ... — გუგუნებდა ზამთარმოძალებული ლეგა სივრცე სადღაც სამხრეთ-დასავლეთით. ტურბინმა უცებ პირი დააღო და გაფითრდა. გაზეთი ჯიბეში უნებურად ჩაიტენა. ბულვარიდან ვლადიმირის ქუჩაზე ხალხის შავი ნაკადი მოედინებოდა. პირდაპირ ქვაფენილზე უამრავი შავპალტოიანი ქაცი მოდიოდა... ტროტუარზე აქა-იქ ქალებიც მოჩანდნენ. სახელმწიფო ვარტის რაზმელი მხედარი წინამძღოლივით მოემართებოდა... ზორბა ცხენი ყურებს აქნევდა. თვალებს აცეცებდა, გვერდულად მოაბიჯებდა. მხედარს სიფთაზე დაბნეულობა ეხატებოდა, ხანდახან რაღაცას წამოიყვირებდა, წესრიგის დასაცავად მათრახს იქნევდა, მაგრამ მის ყვირილს ყურს არავინ უგდებდა. მომავალი ხალხის წინა რიგებში აქა-იქ მღვდლების ოქრომკერდით ნაქარგი შესამოსელი და გრძელი წვერი მოჩანდა. აფრიალდა დროშა. ყოველი მხრიდან ბიჭები გამორბოდნენ

— „ამბები“! — შეჰყვირა გაზეთის გამყიდველმა და ხალხისკენ გაეშურა.

თეთრი ჩაჩებით თავშებურვილი მზარეული ბიჭები რესტორან „მეტროპოლის“ ჯურღმულიდან ამოცვივდნენ. ბრბო თოვლზე ისე გაიდინა, როგორც მელანი ქაღალდზე.

ხალხის თავზე გრძელი, ყვითელი ყუთები ირხეოდა. „ეროვანი“ ყუთი მოახლოვდა, ტურბინმა ფერდზე თვალი მოჰკრა ნახშირბადიანი ფერფლით მინაწერს:

„პრაპორშჩიკი იუცევიჩი.“

მეორე ყუთზე:

„პრაპორშჩიკი ივანოვი.“

მესამეზე:

„პრაპორშჩიკი ორლოვი.“

უცებ ხალხში კივილი გაისმა. ჭაღარა ქალს ქუდი კეფაზე გადაუვარდა, წაბორძიკდა, ქაღალდში შეხვეული რაღაცები მიწაზე დაუცვივდა. ტროტუარიდან გაექანა და ხალხში შეიჭრა.

— რა ამბავია ჩემს თავს? ვანია?! — აკივლდა იგი. ვიღაც გაფითრდა, განზე გავარდა. ვიღაც ქალი აწივლდა, მას მეორეც აჰყვა.

— უფალო იესო ქრისტე! — აბუტბუტდნენ ტურბინის უკან, ვიღაც ზურგში აწვებოდა და კისერში ასუნთქავდა.

— ღმერთო ჩემო... ქვეყნის აღსასრული დადგა... ხალხს როგორ ჟლეტენ?.. რა ამბავია...

— ნეტავი თვალები დამვსებოდა და ეს არ მეხილა!

— რა? რა? რა? რა მოხდა? ვის მარხავენ?

— ვანია! — ისმოდა კივილი ხალხში.

— პოპელიუხაში დახოცილ ოფიცრებს, — სწრაფად ალაქლაქდა ვიღაცა. სულის მოსათქმელად ველარ იცლიდა, ისე სურდა, ყველასთვის დაესწრო, — პოპელიუხაში ჩასული რაზმი დასაძინებლად დაწოლილა. ღამით კი გლეხებს პეტლურელებთან ერთად ალყა შემოერტყამთ და ერთიანად ამოუჟლეტიათ, ერთიანად... თვალები დაუთხრიათ, მხრებზე სამხრეები ამოუკვეთავთ, საშინლად ოაუსახიჩრებიათ.

— რას ამბობთ?.. ოჰ, ოჰ, ოჰ...

„პრაპორშჩიკი კოროვინი“,
„პრაპორშჩიკი გერდტი,“ —

მიცურაედა ყვითელი კუბოები.

— რას მოვესწარით... ხედავთ...

— ძმათა სისხლისღვრაა.

— მაშ რა არის?..

— ამბობენ, სძინებიათო...

— ახია მაგათზე... — წაიფშუტუნა ვიღაცამ ავი ხმით ხალხში, ტურბინის ზურგს უკან. ტურბინს თვალებზე სიმწვანე გადაეკრა, სახეები და ქუდები ერთ წამში შეათვალიერა, მერე ხელი ორ კისერს შუა გაყო და იმ ხმის პატრონს

შავი პალტოს სახელოზე თითები ჭანგებივით ჩასჭიდა. ის შემოტრიალდა და შიშის ზარი დაეცა.

— რა თქვით? — სისინით ჰკითხა ტურბინმა და უმალ მოლბა.

— რას ბრძანებთ, ბატონო ოფიცერო, — უპასუხა შიშით აკანკალებულმა ყაცმა, — მე არაფერი მითქვამს. ხმაც არ ამომიღია. რას ამბობთ? — იგი კანკალებდა.

იხვისებურ ცხვირს მიწისფერი დაედო და ტურბინი მიხვდა, რომ შეცდა, ის არ დაუჭერია, ვინც უნდა დაეჭირა. იხვისებურ-კრავისებური ცხვირის ქვემოდან უსაზღვროდ ყეთილგანწყობილი დრუნჩი წამოშვერილიყო. მას არაფრის თქმა არ შეეძლო, მრგვალი თვალები შიშისგან გადმოკარკლოდა. ტურბინმა სახელოს ხელი უშვა და გაშმაგებულმა იწყო თვალების ცეცება ირგვლივ. მოზღვავებულ ქუდებს, კისრებსა და საყელოებს ათვალიერებდა. მარცხენა ხელი მზად იყო ვინმეს სწვდომოდა, მარჯვენა კი ჯიბეში ბრაუნინგის ტარს ჩასჭიდებოდა. წინ მღვდლების მუმუნვარე გალობა მიცურავდა, გვერდით თავსაფრიანი დედაკაცი ხმის ჩახლეჩამდე გაჰკიოდა. არა, აქ ვერავის სწვდებოდა, იმ ხმის პატრონი სადღაც გაქრა, თითქოს მიწამ პირი უყოო. გაცურდა უკნასკნელი კუბო.

„პრაპორშჩიკი მორსკოი".

გაიქროლა რომელიღაც ძარხილმა.

—„ცნობები"! — უცებ ტურბინის ყურთან აწივლდა ხრინწიანი ხმა. ტურბინმა ჯიბიდან გაზეთი ამოიღო, თავი ველარ შეიკავა და ბიჭს ცხვირ-პირში მიაჭმუჭნა, თან კბილების კრაჭუნით დააყოლა:

— აი შენი ცნობები. აი შენა! აი შენი ცნობები, შე არამზადავ!

ამით ჯავრი იყარა და სიშმაგემაც გაუარა. ბიჭს გაზეთები ხელიდან გაუცვივდა. ფეხი აუსხლტა და ნამქერში ჩაჯდა. სახე უმალ დაემანჭა ნაძალადევი ტირილისაგან, ხოლო თვალები ნაძალადევი კი არა, უსაზღვრო სიძულვილით აევსო.

— მე რა... მე რა... რატო... რატო? — ადუდღუნდა იგი, უკვე აღრიალებას აპირებდა, ხელებს თოვლში აფათურებდა. ვიღაცა გაოცებით მიაშტერდა ტურბინს, მაგრამ ვერაფრის თქმა ვერ გაუბედა. ტურბინს ამ სულელური, უაზრო საქციელისა შერცხვა, თავი მხრებში ჩარგო, სწრაფად შეტრიალდა, ჩაუარა გაზის ფარანს, მუზეუმის ვეებერთელა მრგვალი შენობის თეთრ კედელს, აჩიჩქნილ ორმოებს, თოვლით წაფერფლილ აგურებს და ალექსანდრეს გიმნაზიის ბაღის ნაცნობ, უზარმაზარ მოედანზე სირბილით გაეიდა.

— „ცნობები"! „ყოველდღიური დემოკრატიული გაზეთი"! — მოისმა ქუჩიდან.

* *

მოედანს გარს ერტყა ტურბინის მშობლიური გიმნაზიის ასოთხმოცფანჯრიანი, ოთხსართულიანი უზარმაზარი შენობა. აქ გაატარა ტურბინმა რვა წელი. რვა წლის განმავლობაში გაზაფხულობით, შესვენებაზე, ამ მოედანზე დარბოდა, ხოლო ზამთრობით, როცა მოედანზე მთელი ზამთრის სასწავლო წლის მანძილზე მედიდურად იდო ცივი თოვლი, ამ მოედანს ჩამტვერილი, ჩახუთული კლასის ფანჯრიდან გასცქეროდა. აგურის პალატები რვა წლის განმავლობაში

ზრდიდა და წვრთნიდა ტურბინსა და მის უმცროს მეგობრებს — კარჩხანასა და მიშლაევსკის.

ზუსტად რვა წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ტურბინმა გიმნაზიის ბაღი უკანასკნელად ნახა. გული რატომღაც შიშით შეეკუმშა. უცებ მოეჩვენა, რომ ცაზე შავი ღრუბელი წამოიგრაგნა. გრიგალი მოვარდა და მთელი ცხოვრება წალეკა, როგორც საშინელი ტალღა ნავმისადგომს წალეკავს ხოლმე. ო, მოწაფეობის რვა წელო! რამდენი უაზრო მწუხარება და სასოწარკვეთილება განაცდევინა ბიჭის სულს ამ რვა წელმა, მაგრამ რამდენი იყო სიხარულიც. ნაცრისფერი დღე, ნაცრისფერი დღე, ნაცრისფერი დღე. უტ კონსეკუტივუმ, გაიუს იულიუს კეისარი, ერთიანი კოსმოგრაფიაში და ასტრონომიის სამუდამო სიძულვილი ამ ერთიანი შემდეგ. სამაგიეროდ — გაზაფხული, გაზაფხული და მოგუგუნე დარბაზები, ბულვარებში მწვანეწინსაფრიანი გიმნაზიელი გოგოები, წაბლები და მაისი... და თავიდათავი წინ, ვით მუდმივი შუქურა — უნივერსიტეტი, ესე იგი თავისუფალი ცხოვრება. იცით კი, რა არის უნივერსიტეტი? ჩამავალი მზის ცქერა დნეპრზე, თავისუფლება, ფული, ძალა, სახელი.

და აი, ყოველივეს ეს უკან დარჩა. მუდამ ამოუცნობი მზერა მასწავლებლებისა, შემზარავი აუზები, აქამდე კიდევ რომ ესიზმრება, აუზები, საიდანაც წყალი სულ გადის, მაგრამ არა და არ იცლება, ტვინის ჭყლეტა იმაზე, თუ ლენსკი რით განსხვავდება ონეგინისაგან: რა მახინჯია სოკრატე, როდის დაარსდა იეზუიტთა ორდენი, როდის ილაშქრა პომპეუსმა, როდის ილაშქრეს კიდევ სხვებმა, ილაშქრეს და ლაშქრობდნენ ორი ათასი წლის მანძილზე...

ამას გარდა, გიმნაზიაში გატარებული რვა წლის შემდეგ, ყოველგვარი აუზების გარეშე, ანატომიური თეატრის გვამები, თეთრი პალატები, შემინული საოპერაციოების მდუმარება, მერე კი სამი წელი უნაგირზე ყანყალი, ხხვათა ჭრილობები, დამცირება და ტანჯვა, — ო, წყეულო ომის აუზი... და აი, აქვე დაბრუნდა, ამ მოედანზე, ამავე ბაღში. მოედანზე საკმაოდ ჯანმორყეული და ძარღვებმოშლილი გარბოდა, ბრაუნინგის ტარს ჯიბეში ხელს უჭერდა. ეშმაკმა უწყის, სად და რატომ გარბოდა. შესაძლოა მომავალი ცხოვრების დასაცავად, იმ მომავალი ცხოვრებისა, რისთვისაც თავი გააწამებინა აუზებსა და წყეულ მგზავრებს, რომელთაგან ერთი „ა“ სადგურიდან გამოდიოდა, მეორე კი მის შესახვედრად „ბ“ სადგურიდან ქოემართებოდა.

შავ ფანჯრებს სრული და უყმური სიმშვიდე დაუფლებოდა. ერთი შეხედვითვე აშკარა იყო, რომ ეს მკვდარი სიმშვიდე გახლდათ. უცხაურია, ქალაქის ცენტრში, ამ რღვევა-ნგრევასა, ალიაქოთსა და ორომტრიალში უსიცოცხლოდ რომ იდგა ეს ოთხიარუსიანი მკვდარი ხომალდი, რომელსაც ოდესღაც ღია ზღვაში ათი ათასობით არსება გაჰყავდა; ეტყობოდა, რომ მას ახლა აღარავინ იცავდა. არც რაიმე ხმა, არც მოძრაობა არ იმჩნეოდა არც ფანჯრებში და არც ნიკოლოზისდროინდელი ყვითელი საღებავით დაფარულ კედლებთან. სპეტაკი თოვლი ხელუხლებლად იდო სახურავებზე, ქუდებივით ჩამოფხატოდა წაბლის ხეებს, თანაბრად ეფინა მოედანს. მხოლოდ რამდენიმე ბილიკი სერავდა თოვლს და ნაკვალევზე ეტყობოდა, რომ ახლახან გაეტკეპნათ.

რაც მთავარია: არათუ არავინ იცოდა, არც არავის აინტერესებდა, სად გაქრა ყოველივე. ვინ სწავლობდა ახლა ამ ხომალდში? თუ არ სწავლობდა, რატომ არ სწავლობდა? რა იქნენ დარაჯები? საზარელი, ბლაგვდრუნჩა მორტირები, რატომ გაჯგიმულიყვნენ წაბლების ხეივანში, მესერთან, რომელიც შიდა

ბილის მიჯნაზე გადიოდა შიდა სადარბაზო შესასვლელთან? გიმნაზიაში ცეიხაუზს რა უნდოდა? ვისია? ვინ? რატომ?

ეს არავინ იცოდა, ისევე როგორც არავინ იცოდა, რა იქნა მადამ ანჟუ, ანდა მალაზიაში მუყაოს ცარიელი ყუთების გვერდით ხელყუმბარები რატომ ელაგა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გააგორე-ეთ! — გაისმა შეძახილი. მორტირები შეირხნენ და გაცოცდნენ. ორასიოდე კაცი უზარმაზარ ნაჭედ ბორბლებთან ტრიალებდა: გარბიგამორბოდნენ, ხან ჩაცუცქდებოდნენ და ხან წამოხტებოდნენ. ბუნდად გაკრთებოდა ყვითელი ჯუბაჩები, რუხი მაზარები და ფაფახები, მხედრული — — ხაკისფერი, ხოლო ლურჯი — სტუდენტური ქუდები.

როცა ტურბინმა უზარმაზარი მოედანი გადასერა, ოთხი მორტირი ერთ რიგზე ჩამწკრივდა და მისკენ ხახა შემოაბრუნა. მორტირებთან სახელდახელო მეცადინეობა დასრულდა და ახალწვეულთა დივიზიონის ჭრელი მწყობრი ორ მწკრივად მოეწყო.

— ბატონო კა-პი-ტა-ნო, — წაიმღერა მიშლაევსკიმ, — ოცეული მზადაა.

სტუძინსკი მწკრივების წინ გამოვიდა, ნაბიჯით უკან დაიხია და შესძახა:

— მარცხენა მხარით წინ, ნაბიჯით იარ!

მწყობრი შეირხა და ფეხშეუწყობლად, თოვლის ხრაშუნითა და ტკეპნით დაიძრა.

ტურბინის თვალწინ ბევრმა ნაცნობმა, ტიპურმა სტუდენტურმა სახემ გაიელვა. მესამე ოცეულს წინ კარჩხანა მიუძღოდა. ტურბინი ოცეულს თოვლის ხრაშუნით აედევნა, თუმცა ჯერ არ იცოდა, სად და რისთვის მიდიოდა.

კარჩხანა მწყობრიდან გამოსხლტა, შეწუხებული იერით ოცეულს ახლა ზურგუკუღმა გაუძღვა და თან ითვლიდა:

— მარცხენა. მარცხენა. ერთი ერთი.

მწყობრი გველივით შეცურდა გიმნაზიის სარდაფის შესასვლელის შავ ხახაში, რომელიც რიგს რიგზე ყლაპავდა.

გიმნაზიის შიგნით ყოველივე კიდევ უფრო უსიცოცხლო და პირქუში იყო, ვიდრე გარეთ. მხედრულმა ხაბიჯებმა მიტოვებული შენობის გაქვავებული სიჩუმე და ბინდბუნდი ხელდახელ გამოაღვიძა. თალებქვეშ ისეთი ხმები გაისმა, თითქოს დემონებმა გაიღვიძესო. მძიმე ნაბიჯებს შარიშური და წრიპინი აჰყვა — დამფრთხალი ვირთაგვები ბნელი კუნჭულებისკენ გარბოდნენ. მწყობრმა სარდაფის უსასრულო, ჩაშაქებული, აგურის ფილებით მოკირწყლული დერეფნები გაიარა და უზარმაზარ დარბაზში შევიდა, სადაც მკვდარი აბლაბუდით გაბლანდული გისოსიანი ფანჯრების ვიწრო ჭრილებიდან შუქი ძუნწად იპარებოდა.

სიჩუმე ჩაქუჩების ჯოჯოხეთურმა ბრაგუნმა დაამსხვერია. ვაზნებით სავსე ფიცრის ყუთებს რკინის სალტეებს აგლეჯდნენ და სახურავებს ხდიდნენ. ილებდნენ გრძელ-გრძელ ლენტებს და ტორტივით მრგვალ დისკოებს ლუისის ტყვიამფრქვევებისათვის. გამოაგორეს შავი და ნაცრისფერი ტყვიამფრქვევები, გაავებულ კოლოებს რომ ჰგავდნენ. აჩხაკუნდა ქანჩები, მარწუხები ლურსმნებს გლეჯდა. კუთხეში ხერხი რაღაცას სტვენით ჭრიდა. იუნკრებმა ამოალაგეს დიდი ხნის ხელშეუკარები, გაფშეკილ-გათოშილი ფაფახების დასტები, ნაკეცებზე

გაშეშებული მაზარები, გახევებული ქამრები, ჩანთები და მაუდისბუდიანი მათარები.

— ცო-ო-ცხლად, — გაისმა სტუძინსკის ხმა.

ექვსი ოფიცერი, გაცრეცილი, ოქროსფერი სამხრეები რომ ეკიდათ, ისე დატრიალდა, წყალზე კატითათა რომ დატრიალდება ხოლმე. მიშლაევსკი გამოჯანსაღებული ტენორით რაღაცას გაიძახოდა.

— ბატონო ექიმო! — სიბნელიდან დაიყვირა სტუძინსკიმ, — გვთავაზეა, ფერშლების რაზმი ჩაიბარეთ და ინსტრუქციები მიეცით.

ტურბინთან უმალვე გაჩნდა ორი სტუდენტი. ერთ მათგანს, ტანდაბალსა და აღელვებულს, სტუდენტური მაზარის სახელოზე წითელი ჯვარი ეკერა, მეორეს, რუხმაზარიანს, ფაფახი თვალებზე ეფარებოდა, ამიტომ მალიმალ თითებით ისწორებდა.

— იქ წამლების ყუთებია, — უთხრა მათ ტურბინმა, — ამოიღეთ მხარზე გადასაკიდი ჩანთები, მე კი ექიმის ჩანთა მოვიტანეთ. ყოველ არტილერისტს ორ-ორი ინდივიდუალური პაკეტი ჩამოურიგეთ და ახლავე აუხსენით, როგორ გახსნან, როცა დასჭირდებათ.

მოფუსფუსე რუხი საკრებულოს ზემოთ მიშლაევსკის თავი ამოიზიდა. იგი ყუთზე შედგა, შაშხანა მოიმარჯვა, საკეტი გააჩხაკუნა, მჭიდე ტკაცანით ჩადო, მერე ფანჯარას დაუმიზნა. უმიზნებდა და აჩხაკუნებდა. აჩხაკუნებდა და უმიზნებდა. იუნკრებს თავზე ჰილზები აცვიოდათ. ამის შემდეგ სარდაფში ისეთი ჩხაკუნი ატყდა, როგორც ფაბრიკაში. იუნკრები შაშხანებს ჩხაკაჩხუკით ტენიდნენ.

— ვინც არ იცის, იფრთხილოს, იუნკრე-ბო, — მღეროდა მიშლაევსკი, — სტუდენტებს აუხსენით.

ყველამ თავზემოდან ჩამოიცვა ჩანთაჩამოკიდებული ქამრები და მათარები.

მოხდა სასწაული. სხვადასხვა ჯურის ხალხი ერთგვაროვან ფენად იქცა, რომლის ზემოთ არეულ-დარეული ხიშტები აჯაგრულიყო.

— ბატონ ოფიცრებს ვთხოვ, ჩემთან მოვიდნენ, — საიდანღაც დაიძახა სტუძინსკიმ.

დერეფნის სიბნელეში დეზერტირის საამური წკარუნი გაისმა და სტუძინსკიმ ხმადაბლა თქვა:

— აბა, რას იტყვით?

დეზებმა გაიწკარუნა, მიშლაევსკიმ თითის წვერები ქუდის არშიასთან დაუდევრად და მარჯვედ მიიტანა, შტაბს-კაპიტანს მიუახლოვდა და უთხრა:

— ჩემს ოცეულში თხუთმეტ კაცს შაშხანაზე წარმოდგენაც არა აქვს. საქმე გაჭირდება.

სტუძინსკიმ შთაგონებით აიხედა საღამოს ზემოთ, სარკმლისაკენ. საიდანაც მორცხვად იჭრებოდა უკანასკნელი მოროუხო სუსტი შუქი და თქვა:

— განწყობილება?

ისევ მიშლაევსკიმ წამოიწყო:

— ჰმ... ჰმ... კუბოებმა საქმე წაახდინა. სტუდენტები შეცბუნდნენ. იმათზე ცუდად იმოქმედა, გისოსიდან დაინახეს.

სტუძინსკიმ შავი, გამჭრიახი თვალები მიაპყრო.

— შეეცადეთ განწყობილება გამოუკეთოთ.

ოფიცრები დეზების წკარუნით გაიფანტნენ.

— იუნკერო პავლოვსკი! — დაიგრგვინა ცეიხჰაუზში მიშლაევსკიმ, როგორც რადამესმა „აიდაში“.

— პავლოვსკი... კი!.. კი!.. კი!! — გაისმა პასუხად ცეიხჰაუზის ქვეს თაღთა ექო და იუნკრების ხმათა გუგუნი.

— ვარ!

— ალექსეის სასწავლებლიდან ხარ?

— გახლვართ, ბატონო პორუჩიკო.

— აბა, ერთი სიმღერა ჰქქე, ისე რომ პეტლურას სული გასძვრეს, იმისი დედის სულიც...

ქვის თაღებქვეშ მაღალი, წკრიალა ხმა დაირხა:

არტილერისტად დაეიბადე...

ტენორები საიდანლაც ხიშტთა ტევრიდან ამოყვნენ:

ფინდიხის სეტყვაში მოხვეულელი.

სტუდენტთა მთელი კრებული უმალ შეირხა, ჰანგი ერთი ყურმოკვრით აიტაცა და უცებ ბანების სტიქიურმა ქორალმა მთელი ცეიხჰაუზი ააგუგუნა. ექო ქვემეზთა ზათქიანით ჰქქდა:

ბრი-ვა-დის ოჯახში გავიზარდე
ცეცხლის ჩავერდით მო-ყაზ-მუ-უ-ულ-ი,
ბრი-ვა-ა-ა-დის...

ზრიალმა შეძრა ყურები, ვაზნის ყუთები, ჩაჟამებული ძინები. ფანჯრის დაფერდებულ რაფებზე ოდესლაც შეწყობილი და ძიეიწყებული მტვრიანი ჭიქები ერთმანეთს ეხლებოდა და წკარუნი გაჰქონდა...

სტუდინსკიმ მაზარების, ხიშტებისა და ტყვიამფრქვევების ტევრიდან ორი ვარდისფერი პრაპორშჩიკი გამოიყვანა და სწრაფი ჩურჩულით უბრძანა:

— ვესტიბიულისკენ გასწიეთ... მარშაში ჩამოგლიჯეთ... ცოცხლად...

პრაპორშჩიკები უმალ გაცვივდნენ.

მოდიან, მოიმღერიან
გვარდიელი იუნკრები...
გუგუნებენ საყვირები,
თეფშები და დაფდაფები!!

გიმნაზიის ცარიელი ქვის ყუთი ახლა მარშის ხმაზე გუგუნებდა და გრიალებდა. დაფეთებული ვირთაგვები ღრმა სოროებში მიყუჟულიყვნენ.

— ერთი... ერთი!.. — კვეთდა ამ გუგუნს კარჩხანას გამკივანი ხმა.

— მხიარულად!.. — ჩაწმენდილი ხმით ყვიროდა მიშლაევსკი. — ალექსეელებო, ვისა მარხავთ?

დერეფანში გაწელილი რუხი მუხლუხი კი არა,

იუნკრებს თვალს აყოლებენ
ჭაბარეული გოგოები,
მსაბურები, გადიები,
თერძები და მრეცხავები.

წვეტიანი ხიშტებით აჯაგრული მწკრივი მიექანებოდა. ფეხთა ქვეშ იატაკი იზნიქებოდა. მუხლუხმა უსასრულო დერეფანი გაიარა, მეორე სართულზე ავიდა და მინის გუმბათიდან ჩამომავალი შუქით გაბრწყინებულ, უზარმაზარ ვესტიბიულში ჯიქურ შეიჭრა. შეიჭრა და წინა რიგები ლამის გადაირიენენ.

არტილერისტებს შემოეგება ვენზელებიანი სამეფო ასალით მოსილ, ყალყზე შემდგარ წმინდა სისხლის ბედაურზე ამხედრებულმა, ლიმილით სახეგაბრწყინებული, სხივმომფინე ალექსანდრე. შემელოტებულ თავზე ფარფლებჩატეხილი, თეთრი ჯიღით დამშვენებული სამკუთხა ქუდი ეხურა, იუნკრებს მზაკვრული მომხიბვლელობით აღსავსე ღიმილს ღიმილზე უგზავნიდა, მახვილს იქნევდა და მისი წვერით ბოროდინოს პოლკებისკენ უთითებდა. ორსაენიან ტილოზე ბოროდინოს ველი ჭურვებიდან ავარდნილი კვამლის ბოლქვებით იმოსებოდა და შორეთს ხიშტთა შავი ღრუბელი ფარავდა.

...ხომ იყო მაშინ
ბრძოლა ფიცხელი?!

— რომლის სადარი... — რეკდა პავლოვსკი.

რომლის სადარი არ იპოვება!!! —

გუგუნებდნენ ბანები.

და ბოროდინოს დღე საკვირველი
მთელ რუსეთს მარად ემახსოვრება!!

თვალისმომჭრელი ალექსანდრე ცისკენ მიილტვოდა, ჩამოგლეჯილი მარმაში კი, რომელიც მთელ წელიწადს ფარავდა, მისი ცხენის ფეხებთან ტალლასავით გართხმულიყო.

— კურთხეული იმპერატორი ალექსანდრე არ გინახავთ თუ რა არის? გამართულად, გამართულად! ერთი, ერთი, მარცხენა, მარცხენა! — ყვიროდა მიშლაევსკი და მუხლუხი კიბეზე ალექსანდრესეულ ქვეითთა მძიმე ნაბიჯით ადიოდა. დივიზიონმა ნაპოლეონის მძლეველს მარცხენა მხრიდან ჩაუარა და უშველებელ სააქტო დარბაზში შევიდა. რომელსაც ფანჯრების ორი რიგი ჩასდევდა. იუნკრებმა სიმღერა შეწყვიტეს და ხიშტების რხევით მჭიდრო მწკრივებად ოდგნენ. დარბაზს უფერული, ბუნდოვანი შუქი ეფინა და იატაკალებზე სულიხდილ, მკრთალ ლაქებად მოჩანდა უკანასკნელ მეფეთა უზარმაზარი, თავით ოლომდე ფარდაჩამოფარებული სურათები.

სტუძინსკიმ უკან დაიხია და მაჯის საათს დახედა. ამ დროს იუნკერმა შემოირბინა და რაღაც ჩასჩურჩულა.

— დივიზიონის მეთაური, — გაიგონეს ახლოს მდგომებმა.

სტუძინსკიმ ოფიცრებს ხელი აუქნია. მათ მწკრივებს შორის ჩაირბინეს და რიგი რიგს გაუსწორეს. სტუძინსკი დერეფანში გავიდა მეთაურის შესახვედრად.

პოლკოვნიკი მალიშევი კიბეზე დეზების წკარუნით ამოდიოდა, შეტრიალდებოდა, ალექსანდრეს ცერად გახედავდა და კვლავ დარბაზის შესასვლელისკენ გასწევდა. ალუბლისფერფუნჯიანი, მოღუნული კავკასიური ხმალი მარცხენა თეძოზე ეხლებოდა. თავზე გრძელბუსუსიანი შავი ხავერდის ქუდი ეხურა, უკან ღრმად ჩაჭრილი გრძელი მაზარა ეცვა. სახეზე შეშფოთება ეხატებოდა. სტუძინსკი პოლკოვნიკთან სწრაფად მივიდა, შეჩერდა და მხედრულად მიესალმა.

მალიშევმა ჰკითხა:

— ჩააცვით?

— დიახ. ყველა ბრძანება შესრულებულია.

— განწყობილება როგორია?

— იბრძოლებენ. მაგრამ ძალზე გამოუცდელნი არიან, ის ოც იუნკერზე ოთხმოცი სტუდენტია; ხელში შაშხანის დაჭერაც არ იციან.

მალიშევს სახეზე ჩრდილმა გადაურბინა. დადუმდა.

— ბედი, რომ კარგი ოფიცრები გამოგვადგა, — განაგრძობდა სტუძინსკი, — განსაკუთრებით ეს ახალი. მიშლაევსკი. როგორმე ყველაფერს მოვაგვარებთ.

— ასე. ახლა მისმინეთ: მას შემდეგ, როცა მე დივიზიონს დავათვალიერებ, აქ დატოვებთ მხოლოდ ოფიცრებს და სამოც იუნკერს, ყველაზე საუკეთესოებსა და გამოცდილებს. იუნკრებს ქვემეხების, ცეიხჰაუზისა და შენობის მცველებად დააყენებთ. დანარჩენებს შინ გაუშვებთ და უბრძანებთ, რომ დილას უკანვე დაბრუნდნენ. დილის შვიდ საათზე მთელი დივიზიონი თავმოყრილი უნდა იყოს.

სტუძინსკის უსაზღვრო გაოცება დაეუფლა, ბატონ პოლკოვნიკს თვალები მოურიდებლად შეაჭყიტა და პირი დააღო.

— ბატონო პოლკოვნიკო... — სტუძინსკი აღელვებისაგან ყველა მახვილს ბოლოსწინა მარცვალზე სვამდა: — ნება მომეცით, მოგახსენოთ. ეს შეუძლებელია. თუ გვინდა დივიზიონის ბრძოლისუნარიანობა რამდენადმე შევინარჩუნოთ, ამისთვის ერთადერთი საშუალება ის გაბლავთ, ამაღამ აქ დავტოვოთ.

ბატონმა პოლკოვნიკმა მაშინვე, თანაც ძალზე სწრაფად, ახალი თვისება გამოავლინა. თურმე გაბრაზება დიდებულად სცოდნოდა. კისერი და ლოყები წამოუჭარხლდა, თვალები აენთო.

— კაპიტანო, — წამოიწყო მან არასასიამოვნო ხმით. — ვუბრძანებ, უწყისში ხელფასი გამოგიწეროთ არა როგორც უფროს ოფიცერს, არამედ როგორც ლექტორს, დივიზიონის მეთაურებს ლექციებს რომ უკითხავს. ეს კი სიამოვნებას არ მომანიჭებს, რადგან მეგონა, რომ თქვენი სახით გამოცდილი უფროსი ოფიცერი შეყვარებოდა და არა მოჭალაქე პროფესორი. ისე რომ იცოდეთ: მე ლექციები არ მჭირდება, გთხოვთ, რჩევას ნულარ მომცემთ! მისმინეთ, დაიხსომეთ და როცა დაიხსომებთ, შეასრულეთ!

ისინი ერთმანეთს მიაჩერდნენ.

სტუძინსკის კისერსა და ლოყებზე ალმურმა აჰკრა, ტუჩები აუთრთოლდა. ყელში როგორღაც ჩაიწრიპინა და წარმოთქვა:

— გისმენთ, ბატონო პოლკოვნიკო.

— დიახ, მისმინეთ. შინ გაუშვით. უბრძანეთ გამოიძინონ. თანაც უიარაღოდ გაუშვით. ხვალ კი შვიდ საათზე გამოცხადდნენ. თანაც გაუშვით პატარა-პატარა ჯგუფებად და არა მთელ ოცეულებად. სამხრეები მოახსნევინეთ, რომ თავიანთი დიდებულებით უქნარების ყურადღება არ მიიპყრონ.

სტუძინსკის თვალებზე დაეტყო, რომ პოლკოვნიკს მიუხვდა, და წყენამაც გაუარა.

— არის, ბატონო პოლკოვნიკო.

ბატონი პოლკოვნიკი უმალ სრულიად შეიცვალა.

— ალექსანდრ ბრონისლავოვიჩ, დღეს ხომ არ გაგიცანით. ვიცი, რომ გამოცდილი მებრძოლი ოფიცერი ხართ. მაგრამ თქვენც ხომ მიცნობთ? მა-

შასადამე, ნაწყენი არ იქნებით. რა დროს ახლა განაწყენებაა! უსიამოვნოდ რაც გითხარით, დაივიწყეთ. თავად თქვენც ხომ...

სტუდინსკის სახე ძალზე წამოუწითლდა.

— მართალს ბრძანებთ, ბატონო პოლკოვნიკო, დამნაშავე ვარ.

— ჰოდა, ძალიან კარგი. დროს ნუ დავკარგავთ, რომ იუნკერებს ცეცხლი არ გავუნელოთ. მოკლედ, ყველაფერი ხვალისთვის გადავდოთ. ხვალ უკეთ გამოჩნდება. ყოველ შემთხვევაში, წინასწარ გეტყვით: ქვემეხებზე ბელე უნდა ჩავიქნიოთ — იცოდეთ, არც ცხენები გვეყოლება და არც ჭურვები გვექნება. მაშასადამე, ხვალ დილიდანვე შაშხანის სროლა, სროლა და სროლა. ისე უნდა იმარჯვოთ, ხომ ხვალ შუადღისას დივიზიონი საპრიზო პოლკივით ისროდეს. ყველა გამოცდილ იუნკერს ხელყუმბარები დაურიგეთ. გასაგებია?

სტუდინსკის სახე მოექუშა. იგი მალიშევს დაძაბულად უსმენდა.

— ბატონო პოლკოვნიკო, ნებას მომცემთ შეგეკითხოთ?

—ვიცი, რაც უნდა მკითხოთ. შეგიძლიათ არ შემეკითხოთ. თავად გიპასუხებთ — საქმე საძაგლადაა. უარესიც ხდება, მაგრამ იშვიათად. ახლა გასაგებია?

— გასაგებია!

— მაშასადამე, — მალიშევმა ხმა ძალზე დაიდაბლა, — გასაგებია, რომ არ მინდა ასეთ საეჭვო ღამეს ამ ქვის ტომარაში დავრჩეთ. ვაითუ ეს ორასი ყმაწვილი აქ დაგველუპოს, თანაც ას ოცმა სროლაც არ იცის!

სტუდინსკი დუმდა.

— ჰოდა, ასე. დანარჩენი კი ამ საღამოსთვის გადავდოთ. ყველაფერს მოვასწრებთ. წავიდეთ დივიზიონისკენ.

ისინი დარბაზში შევიდნენ.

— სმ-ე-ნა. ბატო-ნო ოფიცრებო! — შესძახა სტუდინსკიმ.

— გამარჯობათ, არტილერისტებო!

სტუდინსკიმ მალიშევის ზურგს უკან ხელი მოუსვენარი რეჟისორივით აიქნია და რუხმა, აჯაგრულმა კედელმა ისე იჭექა, ფანჯრის მინები აზრიალდა.

— ჯანმრთ-გისრ-ბატნ... პოლკოვნიკო...

მალიშევმა მწკრივებს მხიარულად გადახედა, ქუდიდან ხელი ჩამოიღო და წამოიწყო:

— დიდებულია... არტილერისტებო! ბევრ ლაილაის არ მოვყვები, ლაპარაკი არ შემიძლია, რადგან მიტინგებზე არ გამოვდიოდი, ამიტომ მოკლედ გეტყვით. პეტლურას დავცხებთ, იმ მამაძაღლს, და, არხეინად იყავით, გავანადგურებთ კიდევაც. თქვენ შორის არიან ვლადიმირელები, კონსტანტინელები, ალექსეელები. მათ არწივებს ჯერ სირცხვილი არ უჭამიათ. ბევრი თქვენგანი კი ამ სახელოვანი გიმნაზიის აღზრდილია. მისი ბებერი კედლები თქვენ შემოგცქერიან. და იმედი მაქვს, რომ თქვენ გამო გაწითლება არ მოუწევთ, სამორტირო დივიზიონის არტილერისტებო! დავიცვათ დიადი ქალაქი ბანდიტთა ალყის ჟამს. თუ ჩვენ იმ ძვირფას პრეზიდენტს ექვსდუიმიანით დავცხებთ, რაც საკუთარ ნიფხვად მოეჩვენება, იმისი დედ-მამის სულიც!!!

— ჰა-ა-ა... ჰა-ა... — უპასუხა ბატონი პოლკოვნიკის გულიანი შეკურთხებით გაოგნებულმა აჯაგრულმა ტევრმა.

— აბა, თქვენ იცით, არტილერისტებო!

სტუდინსკიმ, როგორც რეჟისორმა კულისებიდან, ხელი კვლავ შეშინებუ-

ლმა აიქნია და ტევრმა მტვერი კვლავ ფენა-ფენა აშალა მქუხარე ექოთი გამეორებული შეძახილით:

— ვეც... დებ... ით!!!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ათი წუთის შემდეგ სააქტო დარბაზში, როგორც ბოროდინის ველზე, ასობით შაშხანა ჯოჯგინებად იდგა. მტვრიანი პარკეტის ველზე აჯაგრულ ხიშტთა ტევრის თავსა და ბოლოში ორი მცველი შავად ამსვეტა. სადღაც შორს, ქვემოთ, აჩქარებული ფეხის ხმა გაისმოდა. ახლადმოვლენილი არტილერისტები ბრძანების მიხედვით სასწრაფოდ იშლებოდნენ. დერეფნებში ისეთი ბრაგუნ-კაკუნის ხმა იდგა, თითქოს რაღაცას ჭედავენო. გაისმოდა ოფიცერთა შეძახილები — სტუძინსკი გუშაგებს თვითონ აგზავნიდა. მერე დერეფანში უეცრად საყვირის ხმა გაისმა. ჟღრიალა, დიდი ხნის ნაგუბარი ხმა მთელ გიმნაზიას მოედო, მაგრამ ამ ხმას რისხვა დაჰკარგვოდა და მის ჟღრიალს აშკარა შეშფოთება და სიყალბე ემჩნეოდა. ზემოთა დერეფანში, ვესტიბიულისკენ მიმავალი ორი კიბე ჩარჩოებივით რომ შემოვლებოდა, იუნკერი იდგა და ლოყებს ბერავდა. ჩაშავებულ სპილენძის საყვირზე გაცვეთილი გიორგიანელი ლენტები ეკიდა. ფარგალივით ფეხებგაფარჩხული მიშლაევსკი მესაყვირეს წინ ედგა, თან ასწავლიდა და თან ავარჯიშებდა.

— ბოლომდე არ მიგაქვთ... ახლა ასე, ასე. ჩაბერეთ, ჩაბერეთ. დიდხანს გდებულა უქმად. აბა, ახლა განგაში.

„ტა-ტა-ტამ-ტა-ტამ“, — ამღერებდა მესაყვირე და დამფრთხალ ვირთაგვებს გულს უღონებდა.

ფანჯრების ორი რიგიდან დარბაზში საღამოს ბინდი სწრაფად იჭრებოდა. ჯოჯგინებით დაფარული ველის კიდესთან მალიშევი და ტურბინი დარჩნენ. მალიშევმა ექიმს ჯერ მოლუშვით შეხედა. მაგრამ სახეზე უმალ თავაზიანი ღიმილი გამოისახა.

— აბა, ექიმო ,საქმე როგორ გაქვთ? სანიტარული ნაწილი მოაწესრიგეთ?

— დიახ, ბატონო პოლკოვნიკო.

— ექიმო, თქვენ შეგიძლიათ შინ წახვიდეთ, ფერშლებიც გაუშვით. ასე მოიქეცით: ფერშლები ხვალ დილის შვიდ საათზე მოვიდნენ, სხვებთან ერთად... თქვენ კი... (მალიშევი დაფიქრდა, თვალები მოჭუტა.) თქვენ გთხოვთ, ხვალ აქ მოხვიდეთ დღის ორ საათზე. მანამდე თავისუფალი ხართ. (მალიშევი ისევ დაფიქრდა.) ჰო, კიდევ აი, რა: შეგიძლიათ, სამხრეები ჯერ არ გაიკეთოთ. (მალიშევი შეიშმუშნა.) ჩვენ ხელს არ გვაძლევს, განსაკუთრებული ყურადღება რომ მივიქციოთ. ერთი სიტყვით, გთხოვთ, ხვალ ორ საათზე აქ მოხვიდეთ.

— არის, ბატონო პოლკოვნიკო.

ტურბინმა ფეხი მოინაცვლა. მალიშევმა პორტსიგარი ამოიღო და პაპიროსი შესთავაზა. ტურბინმა ასანთი გაჰკრა. ორი წითელი ვარსკვლავი აკიაფდა და უმალ აშკარა შეიქნა, რომ საკმაოდ ჩამობნელებულიყო. მალიშევმა მოუსვენრად აიხედა მაღლა, სადაც მკრთალად ქათქათებდა რკალური ბურთები, და მერე დერეფანში გავიდა.

— პორუჩიკო მიშლაევსკი, აქ მობრძანდით. აი, რა: შენობის ელექტროგანათებას მთლიანად თქვენ გაბარებთ. შეეცადეთ უმოკლეს დროში შუქის საქმე მოაგვაროთ. გთხოვთ, ისე გაიწაფოთ, რომ შეგეძლოთ, რა წამსაც საჭირო იქნება, ყველგან არა მარტო აანთოთ, არამედ ჩააქროთ კიდეც. განათებაზე პასუხისმგებლობა მთლიანად თქვენ გეკისრებათ.

მიშლაევსკიმ ქუდთან ხელი მიიტანა და სწრაფად შეტრიალდა. მესაყვირემ საყვირი დააწრიპინა და დაკვრა შეწყვიტა. მიშლაევსკი დეზების წკარუნით ისე სწრაფად დაექანა სადარბაზო კიბეზე, თითქოს ციგურებით მისრიალებსო. ერთი წუთის შემდეგ სადღაც ქვემოთ გაისმა მისი მუშტების ბრაგუნი და მბრძანებლური ყვირილი. პასუხად სადარბაზო შესასვლელში, სადაც ვრცელი ორფერდა ვესტიბიული გადიოდა, შუქმა იელვა და აელქსანდრეს სურათზე სუსტად ანრეკლა. მალიშევმა სიამოვნებისგან პირიც კი დააღო და ტურბინს მიუბრუნდა:

— არა, ეშმაკმა დალახვროს... ნამდვილი ოფიცერია. ნახეთ? — ქვემოთ, კიბეზე ვიღაცა გამოჩნდა და საფეხურებს ნელა ამოუყვა. როცა მან პირველ ბაქანზე შემოუხვია, მალიშევიც და ტურბინიც მოაჯირს გადაეკიდნენ და დააცქერდნენ. ის ვიღაცა დაუძლურებულ ფეხებს გან-გან მოათრევდა, ჭალარა თავი უცახცახებდა, ვერცხლისფერებიანი და ფერადი, მწვანეკილოებიანი განიერი ქურთუკი ეცვა, აცახცახებულ ხელებში უზარმაზარი გასაღები ეჭირა. უკან მიშლაევსკი მოჰყვებოდა და დროგამოშვებით შეუყვირებდა:

— ცოცხლად, ცოცხლად, ბებრუხუნავ, ტილიკით რას მიღოღავ?

— თქვენო... თქვენო... — ჩიფჩიფებდა და ფეხებს მოაფრატუნებდა ბერიკაცი. წყვდიადიდან ბაქანზე კარჩხანამ ამოყვინთა ,მას მეორე, მაღალი ოფიცერი მოჰყვა, მერე ორი იუნკერი გამოჩნდა და ბოლოს წვრილდრუნჩა ტყვიამფრქვევი გამოგორდა. შეშინებული ბერიკაცი დაბარბაცდა, მოიკაკვა, მოიკუზა და ტყვიამფრქვევის წინაშე თავი წელამდე დახარა.

— თქვენო მაღალკეთილშობილებავ, — ბუტბუტებდა იგი.

ზემოთ ბერიკაცმა სიბნელეში აკანკალებული ხელების ფათურით გააღო კედელზე მიმაგრებული მოგრძო ყუთი. შიგნით თეთრი ლაქა გამოჩნდა. ბერიკაცმა ხელი სადღაც შეყო, რაღაც გააჩხაკუნა და ვესტიბიულის ზემოთა ბაქანი, ააქტო დარბაზის შესასვლელი და დერეფანი უმალ გაჩირაღნდა.

წყვდიადი მოიბღუნძა და დერეფნის ბოლოსკენ გაიძურწა. მიშლაევსკი გასაღებს მყისვე დაეუფლა, ყუთში ხელი შეყო და სახელურები ააჩხაკუნა. თვალისმომჭრელი, ლაჟის ვარდისფერი შუქი ხან ინთებოდა, ხან ქრებოდა. დარბაზში ელექტრობურთები განათდა და ისევ ჩაქრა. დერეფნის თავსა და ბოლოში ანაზდად ორი ბურთი გაჩახჩახდა, წყვდიადი კი ყირა-ყირა გასხლტა და ერთიანად გაქრა.

— როგორაა? ჰეი! — ყვიროდა მიშლაევსკი.

— ჩაქრა, — მოიამოდა ხმები დაბლიდან, ვესტიბიულის სიღრმიდან.

— არის! ანთია! — ყვიროდნენ ქვემოდან.

მიშლაევსკიმ თამაშით გული იჯერა, დარბაზი და დერეფანი საბოლოოდ გაანათა, ალექსანდრეს ზემოთ რეფლექტორი გააჩახჩახა, ყუთი ჩაკეტა და გასაღები ჯიბეში ჩაიდო.

— ბებრუხანავ, გასწი, დაიძინე. — თქვა მან ლმობიერად, — ყველაფერი რიგზეა.

ბერიკაცმა ჩინმილეული თვალები დამნაშავესავით ააბამბამა:

— გასაღები? გასაღები... თქვენო მაღალეთილშობილებავ.. ეგ როგორ? თქვენ გექნებათ?

გასაღები მე მექნება. დიახ.

ბერიკაცი ცოტა ხანს კიდევ იდგა და ცახცახებდა. მერე ნელა წავიდა.

— იუნკერო!

სახელაჟღაჟა. ჩასუქებულმა იუნკერმა ყუთთან შაშხანის კონდახი დააბრაგუნა და ერთ ადგილას გაშეშდა.

— ყუთთან დაუბრკოლებლად მიგვიშვებთ დივიზიონის მეთაურს, უფროს ოფიცერს და მე. სხვას არავის. თუ საჭირო იქნება, ერთ-ერთი ჩვენგანის ბრძანებით ყუთს გატეხავთ, მაგრამ ფრთხილად, იცოდეთ, დაფა არ უნდა დააზიანოთ.

— არის, ბატონო პორუჩიკო.

მიშლაევსკი ტურბინს მიუახლოვდა და წასჩურჩულა:

მაქსიმი იყო... ნახე?

— ღმერთო ჩემო... ვნახე, ვნახე, — ჩაიჩურჩულა ტურბინმა.

დივიზიონის მეთაური სააქტო დარბაზის შესასვლელთან შეჩერდა. მისი ხმლის მოვერცხლილი ქარქაშის ჩუქურთმას სხივები დასთამაშებდა. მან მიშლაევსკი მიიხმო და უთხრა:

— პორუჩიკო, კმაყოფილი ვარ, ჩვენს დივიზიონში რომ მოხვდით. ყოჩაღ!

— მოხარული ვარ, ბატონო პოლკოვნიკო.

— ახლა ამ დარბაზის გათბობაც მოაგვარეთ, რომ იუნკრები მორიგეობის შემდეგ გათბნენ ხოლმე. დანარჩენზე თავად მე ვიზრუნებ. გაჭმევთ და ცოტაოდენ არაყსაც გიშოვით, იმდენს მაინც, შესახურებლად კმაროდეს.

მიშლაევსკიმ ბატონ პოლკოვნიკს საამოდ გაეღიმა და მრავლისმეტყველად ჩაახველა:

— ჰმ... ჰმ..

ტურბინი ალარ უსმენდა. იგი მოაჯირზე გადახრილიყო და თეთრთავა ლანდს მანამდე ჩაჰყურებდა, სანამ იგი ქვემოთ არ გაუჩინარდა. ტურბინის გულს სევდა დაეუფლა. იქვე, იმ ცივ მოაჯირთან, თვალწინ არაჩვეულებრივი სიცხადით გაუელვა წარსულის სურათმა.

... უმცროს და უფროს გიმნაზიელთა გუნდი უსაზღვრო აღტაცებით მოთოხარიკობდა სწორედ ამ დერეფანში. უფროსი შიკრიკი, ჩაფსკვნილი მაქსიმი ორ შავტანსაცმლიან ბიჭს ფიცხლად მოათრევდა და ამ უცნაურ პროცესიას წინ მოუძღოდა.

— კარგია, კარგია, კარგია, კარგია, — ბუტბუტებდა იგი, — ბატონი მზრუნველის სასიხარულო სტუმრობის აღნიშვნაც ასე უნდა. დაე, ბატონი ინსპექტორი დატკბეს ბატონი ტურბინისა და ბატონი მიშლაევსკის ცქერით, ძალიან ისიამოვნებს. გულით გაიხარებს, თქვენ რომ შეგხვედავთ!

უნდა ვიფიქროთ, რომ მაქსიმმა ბოლო სიტყვები უმწარესი დაცინვით თქვა. ბატონი ტურბინისა და ბატონი მიშლაევსკის დანახვა სიამოვნებას მხოლოდ წამხდარი გემოვნების მქონე კაცს მიანიჭებდა, თანაც მზრუნველის მობრძანების სასიხარულო წუთებში.

მაქსიმის მარცხენა ხელში მომწყვდეულ ბატონ მიშლაევსკის ზედა ტუჩი ირიბად ჰქონდა გახეთქილი, მარცხენა სახელო კი ძაფზე ეკიდა. ბატონ ტურბინს,

მაქსიმი მარჯვენა ხელით რომ მოათრევდა, ქამარი არ ეკეთა, ხოლო ღილები არა მარტო ხალათზე, არამედ შარვალზეც აწყვეტოდა და ბატონი ტურბინის სხეული და საცვალი მხახველთა წინაშე სამარცხვინოდ გამოეჩინა.

— გაგვიშვით რა, საყვარელო მაქსიმ, გაგვიშვით რა, ძვირფასო მაქსიმ, — ემუდარებოდნენ მაქსიმს ტურბინი და მიშლაევსკი, თან ხან ერთმანეთს შეაყურებდა დასისხლიანებულ სახეს და მიმქრალ მზერას, ხან მეორე.

— ვაშა! წაათრიე ეგენი, ღირსეულო მაქს! — უკანიდან მიჰკიჟინებდნენ აღელვებული გიმნაზიელები. — რომელ კანონში წერია, რომ მეორეკლასელები დაუსჯელად დაასახიჩრონ!

ოჰ, ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! მაშინ მზე ანათებდა, ხმაური და ჟრიამული იდგა. არც მაქსიმი იყო ასეთი, როგორიც ახლაა, — მთლად გაჭალარავებული, გასაცოდავებული და დამშეული. მაშინ მაქსიმს თმა შეწყლის შავ ჯაგრისს უგავდა, მხოლოდ აქა-იქ გამორეოდა ჭალარა. ხელების ნაცვლად რკინის ჭანგები ჰქონდა, გულზე კი ეტლის ბორბლის ოდენა მედალი ეკიდა... ეჰ, ბორბალი. ბორბალი, ერთთავად სოფელ „ბ"-დან მოდიოდი, № ბრუნვას ასრულებდი, და აი, ამ ქვის სიცარიელეში მოხვედი. ღმერთო, რა სიცივეა. ახლა უნდა დაიცვან... კი მაგრამ რა დაიცვან? სიცარიელე? ნაბიჯების გუგუნი?.. იქნებ შენ, შენ უშველო, ალექსანდრე, ბოროდინოს პოლკებით უშველო დასალუპავად განწირულ სახლს? გააცოცხლე ეგ პოლკები, ტილოდან ჩამოიყვანე! ეგენი დააშარცხებენ პეტლურას.

ტურბინი ფეხებმა ქვემოთ თავისით წაიყვანა. „მაქსიმ!" — უხდოდა დაეყვირა, მერე ნაბიჯი შეანელა და ბოლოს სულ შეჩერდა. წარმოიდგინა მაქსიმი დაბლა, სარდაფის სადგომში, სადაც დარაჯები ცხოვრობდნენ. ალბათ აკანკალებული ზის ახლა ღუმელთან, აღარაფერი აღარ ახსოვს და იქნებ ატირდეს კიდეც. ეჰ, დარდი ისედაც ყელამდეა. ჯობია, ყველაფერს მიაფურთხოს, კმარა მგრძნობიაროობა. მთელი ცხოვრება მგრძნობიარედ გაატარა. კმარა, კმარა...

* *

და მაინც ფერშლების გასტუმრების მერე ტურბინი ცარიელ, ჩაბნელებულ კლასში შევიდა. კედლებიდან დაფები ხახვირის ლაქებივით იცქირებოდა. მერხებიც მწკრივად იდგა. ტურბინმა თავი ველარ შეიკავა, მერხის კალთა ასწია და ჩამოჯდა. იქ ყოფნა უჭირდა, უმძიმდა, ეუხერხულებოდა. რა ახლოს იყო შავი დაფა. დიახ, ვფიცავ, ვფიცავ, ნამდვილად ის კლასია, ანდა მეზობელი კლასი, რადგან ფანჯრიდან ქალაქი ისეთნაირადვე მოჩანს. აგერ უზარმაზარი, ჩაშავებული, ჩამკვდარი შენობა უნივერსიტეტისა, ბულვარის თეთრად განათებული ისარი, კოლოფებივით ჩამწკრივებული სახლები, წყვდიადში ჩაფლული ადგილები, კედლები, ზეცის თაღი...

ფანჯრებში კი ნამდვილი ოპერა „შობა ღამეა", თოვლი და მოცახცახე, მოციმციმე შუქები... „ნეტავი ვიცოდე, სვიატოშინოში რატომ ისვრიან?" უწყინრად და შორს, თითქოს ბამბაში, ისე ბუხუნებენ ქვემეხები: ბუ-უჰ... ბუ-უჰ...

— კმარა.

ტურბინმა მერხის კალთა ჩამოუშვა, დერეფანში გუშაგებს ჩაუარა და ვესტიბიულიდან ქუჩაში გავიდა. სადარბაზო შესასვლელში ტყვიამფრქვევი იდ-

გა. ქუჩაში ხალხი კანტიკუნტად მიმოდიოდა და მსხვილ-მსხვილი თოვლის ფიფქები ცვიოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბატონმა პოლკოვნიკმა მთელი ღამე გაწამაწიაში გაატარა. გიმნაზიაა და მადამ ანჟუს მაღაზიას შორის ორიოდე ნაბიჯი თუ იქნებოდა, მაგრამ ეს მანძილი მრავალგზის გაიარა. შუალამისას მანქანა უკვე კარგად, მთელი სიჩქარეთი მუშაობდა. გიმნაზიაში ფანრების ვარვარა ბურთები ხმადაბლა ზუზუნებდა და ვარდისფერ შუქს აფრქვევდა. დარბაზში საკმაოდ დათბა, რადგან დარბაზის ჩაყოლებაზე, ბიბლიოთეკის ეკვედერთა ძველებულ ღუმლებში მთელი საღამო და მერე მთელი ღამე ცეცხლი გუზგუზებდა.

იუნკრებმა მიშლაევსკის წინამძღოლობით თეთრი ღუმლები „ოტეჩესტვენნიე ზაპისკისა“ და „საკითხავი ბიბლიოთეკის“ 1863 წლის გამოშვებით გააჩალეს, მერე მთელი ღამე განუწყვეტლივ ნახახებს აბაგუნებდნენ, ძველ მერხებს ჩეხდნენ და ღუმლებში უკეთებდნენ. სტუძინსკიმ და მიშლაევსკიმ ორ-ორი ჭიქა სპირტი გადახუხეს (ბატონმა პოლკოვნიკმა დაპირება შეასრულა და შესახურებლად საკმარისი სპირტი იშოვა, სწორედ ნახევარი ვედრო), შენაცვლებით მორიგეობდნენ, ორ-ორი საათი ეძინათ ღუმელთან, მაზარებზე მიყრილ იუნკრებთან ერთად, და სახეზე მეწამული შუქი და ჩრდილები დასთამაშებდათ. მერე წამოდგებოდნენ და საგუშაგოებს ჩამოუვლიდნენ. ასე დადიოდნენ მთელ ღამეს საგუშაგოდან საგუშაგომდე. კარჩხანაც მუტკვიამფრქვეველ იუნკერებთან ერთად ბაღში გასასვლელთან მორიგეობდა. მსხვილდრუნჩიან მორტირებთანაც ყოველ საათში ახალი ცელა, ცხვრისქურქიანი ოთხი იუნკერი დგებოდა.

მადამ ანჟუსთან ღუმელი ჯოჯოხეთურად ვარვარებდა, საკვამლე მილებს ზრიალი გაჰქონდა. ერთი იუნკერი კართან იდგა გუშაგად და სადარბაზო შესასვლელთან მდგარ მოტოციკლეტს თვალს არ აცილებდა. მაღაზიის იატაკზე დაფენილ მაზარებზე გაშოტილ ზუთ იუნკერს მკვდარივით ეძინა. ღამის პირველ საათზე ბატონი პოლკოვნიკი მადამ ანჟუს მაღაზიაში საბოლოოდ დამკვიდრდა, ამთქნარებდა, მაგრამ დასაძინებლად არ წვებოდა, ვიღაცას ერთთავად ტელეფონით ელაპარაკებოდა. ღამის ორ საათზე მაღაზიასთან სტეენით მოგრიალდა მოტოციკლეტი და იქიდან რუხმაზარიანი სამხედრო კაცი გადმოვიდა.

— შემოუშვით. ჩემთანაა.

მოსულმა პოლკოვნიკს ზეწარში გახვეული და ჯვარედინად თოკგადაჭერილი, მოზრდილი ფუთა მოუტანა. ბატონმა პოლკოვნიკმა ფუთა საკუთარი ხელით შეინახა მაღაზიის ეკვდერში მოთავსებულ პატარა საკანში და საკნის კარს კლიტე დაადო. რუხმაზარიანი კაცი მოტოციკლეტით უკანვე გაბრუნდა, ხოლო ბატონი პოლკოვნიკი გალერეაში გავიდა, მაზარა დაიფინა, თავქვეშ ბოლჩად შეკრული ნაკუწები ამოიდო, მორიგე იუნკერს უბრძანა, ზუსტად შვიდის ნახევარზე გამაღვიძეო, დაწვა და დაიძინა.

2

ამქვეყნად ყველაზე დიდებული ადგილის — ვლადიმირის გორის ტერასები შუალამის კუპრისფერ წყვდიადში ჩაინთქა. ყვავილით მოხრეშილი ბილიკები და

ხეივნები ფეხდაუკარებელი ფაფუკი თოვლის უსასრულო საბურველს დაეფარა.

მრავალსართულიან გორაზე ქალაქიდან ზამთარში ძეხლოცელი/ არ ადიოდა, იქაურობას ფეხს არავინ აკარებდა. ანდა გორაზე ასეული ლამით, თანაც ასეთ დროს ვის მოეპრიანებოდა? მართლაცდა საშიშია! გულადი ბიჭიც [illegible] ეა. ან რისთვის უნდა ავიდეს? მხოლოდ ერთი ადგილია განათებული: შეეზარეე, მძიმე ქვარცხლბეკზე უკვე ალი წელია სამსაეენიანი ჯვრით ხელში დგას თუჯის შავი ვლადიმირი. ყოველ საღამოს, როგორც კი ნამზღელლეკვებს, ფერდობებს და ტერასებს ბინდი გადაეფარება, ჯვარი გაჩირაღდნება და მთელ ღამეს ანთია. შორიდანვე მოჩანს, ორმოცი ვერსიდანაც კი მოჩანს, მოსკოვისკენ გადაჭიმული, ჩაშავებული სივრცეებიდან. აქ კი ერთი ბეწო ადგილს ანათებს, ქვარცხლბეკის მოშწვანოამოშავო კუთხეზე ასხლეტილი მკრთალი ელექტროშუქი ძირს ეშვება და ბნელეთიდან იტაცებს მოაჯირისა და შუა ტერასის ირგვლივ შემორტყმული მესრის ნაწილს, მეტს არაფერს. იმას იქით კი, იქით კი!.. სრული წყვდიადია. წყვდიადში დგანან ხეები. უცნაურნი, როგორც მარმაშშემოხვეული ჭაღები. თოვლის ქუდები ახურავთ. ირგვლივ კი ნამქერია, ნამქერია ყელამდე. კაცს შიშის ზარს მოჰგვრის.

რაღა თქმა უნდა, აქ კაციშვილი ფეხს არ ამოდგამს. ყველაზე მამაციც კი. რაც მთავარია, არც არაფერი ესაქმება ვინმეს. სულ სხვა ამბავია ქალაქში. იქ ღამე შფოთიანია, ომიანობის ჟამის მედიდური ღამე. ფარნები მძივებივით ანთია. გერმანელებს სძინავთ, მაგრამ ძილფხიზლობენ. ყველაზე ჩაბნელებულ ჩიხში უცებ საიდანღაც გაკრთება ცისფერი კონუსი.

— Halt!

ხრაშ... ხრუშ... შუა ქუჩაში მიღოღავენ ტაშტჩამოფხატული პაიკები. შავი საყურისები უკეთიათ... ხრაშ... შაშხანები მხარზე კი არ ჰკიდიათ, ხელში უჭირავთ. გერმანელებთან ხუმრობა არ შეიძლება. ჯერჯეროობით... რაც უნდა იყოს გერმანელები არიან. ნეხვის ჭიებსა ჰგვანან.

— საბუთი!

— Halt!

ფარნის კონუსი. ეჰეი!

აგერ მძიმე, შავი, ვალაქული მანქანა გამოჩნდა, წინ ოთხი თვალი უელავს. უბრალო მანქანა არ უნდა იყოს, რადგან გასარკულ კაპოტას ხელი ჩორთით კვალდაკვალ ბიდრაგი — რვა მხედარი მოჰყვება. მაგრამ გერმანელებისთვის ეს სულ ერთია. მანქანასაც შეუძახეს:

— Halt!

— საით? ვინ? რატომ?

— სარდალი გახლავთ, კავალერიის გენერალი ბელორუკოვი.

ეს, რა თქმა უნდა, სხვა ამბავია. შეუძლია მიბრძანდეს: კარეტის მინებს იქით, სილრმეში, ფერმკრთალი სახე და ულვაში მოჩანს. გენერლის მაზარის სამხრეები მჭრქალად ელავს. და გერმანული ტაშტებიც ესალმებიან. თუმცა გულის სილრმეში მათთვის სულ ერთია. ამ უბადრუკ ქვეყანაში ვინდ მთავარსარდალი ბელორუკოვი ყოფილა, ვინდ პეტლურა და ვინდაც ზულუსების ბელადი. მაგრამ მაინც... სადაც წახვალ, იქაური ქუდი დაიხურეო... მიესალმნენ გერმანული ტაშტები. საერთაშორისო ზრდილობა გახლავთ, როგორც იტყვიან.

* *

ომიანობის ჟამის შედიდური ღამეა. მადამ ანეტს ფანჯრებიდან შუქი გამოკრთის. შუქში მოჩანს ქალის ჭუდები, კორსეტები. საცვლები და სევასტოპოლური ქვემეხები. ქანქარასავით მიდი-მოდის იუნკერი, ფიფქებგაჭაღარავებული ხიშტით ხაზავს იმპერატორის ვენზელს. იქაც, ალექსანდრეს გიმნაზიაში, ბუტრთები, როგორც მეჯლისში, ისე გაჩახჩახებული. არყით საკმარისად შეხურებული მიშლაევსკი ერთ ადგილს ვერ ისვენებს, ხან კურთხეულ ალექსანდრეს შეხედავს, ხან ამომრთველების ყუთს ათვალიერებს... გიმნაზიაში საკმაო მხიარულებაა და საქმეც არ არის ურიგოდ. საგუშაგოზე, ასეა თუ ისე, რვა ტყვიამფრქვევია და თანაც იუნკრები დგანან — სტუდენტები კი არ გახლავან!.. ისინი, რომ იცოდეთ, იბრძოლებენ. მიშლაევსკის თვალები ბოცვერს მიუგავს — ჩასწითლებია. რამდენი ღამის. უძინარია, არაყს ბევრსა სვამს და ბღელვარებაც არ აკლია. თუმცა ქალაქში მღელვარებას ჯერჯეროობით ოლად მოევლება. თუ მართალი კაცი ხარ, ისეირნე, როგორც მოგესურვება. თუმცა ერთი ხუთჯერ მაინც გაგაჩერებენ. მაგრამ საბუთები თუ რიგზე გაქვს, წადი, იარე შენს გზაზე საკვირველი კია, ღამით რომ დახეტიალობ, მაგრამ წადი... იარე...

გორაზე კი ვინ აბობღდება? აბა რა სისულელეა. თანაც იქ, წვეროებზე ქარი ქრის... მინამქრულ ხეივნებში რომ დაიქროლებს, ავსულის ხმა მოგელანდება. თუ მაინც აეიდა ვინმე, მაშ სრულიად ბედკრული ყოფილა, ვინც მთელი ქვეყნიერების ყოველგვარი ხელისუფლების ხელში ადამიანთა შორის თავს ისე გრძნობს, როგორც მგელი ძაღლების ხროვაში. ყოველგნით განკიცხული, ჰიუგო რომ აღწერს ხოლმე, ისეთი, ვინც ქალაქში გამოჩენას ვერც გაბედავს და, თუ გაბედავს, მერე საკუთარ თავს დააბრალოს. თუ პატრულებს შორის გასხლტება. ომერთმა ხელი მოუმართოს, თუ ვერ გასხლტება. ნურავის დაემდურება. ასეთი კაცი გორაზე თუნდაც იყოს. გულწრფელად უნდა შეგებრალოს, თუ ადამიანის შვილი ხარ...

იქ გასაგდებად ძაღლსაც ვერ გაიმეტებ. სუსხიანი ქარი ქრის. ხუთ წუთსაც ვერ გაუძლებ და შინ გაქცევა მოგინდება.

— ალბათ ხუთი საათი იქნება? ეჰ... ეჰ... გავიყინებით!..

რაც მთავარია, ზემო ქალაქში გასასხლტომიც არსად არის პანორამასა და წყალსაწნევ კოშკს შორის. იქ, მოგეხსენებათ, მიხეილის შესახვევში, მონასტრის შენობაში, თავად ბელორუკოვის შტაბია. ყოველ წუთას ხან ბადრაგიანი მანქანები გამოჩნდება, ხან ტყვიამფრქვევებიანი მანქანები, ხანაც...

— ოფიცრებო, უჰ, თქვენი სულიც არ იყოს, ჭირსაც წაულიხართ!

პატრულები, პატრულები, პატრულები.

ხოლო ტერასებიდან ქვემო ქალაქში — პოდოლში ჩასვლაზე ფიქრიც შეუძლებელია, რადგან ალექსანდრეს ქუჩაზე, გორის ძირას რომ მიიკლაკნება. ჯერ ერთი, ფარნების მწკრივია, და მეორეც, გერმანელები არიან, ჯანდაბას იძათი თავი! პატრული პატრულს მიჰყვება! ვათენებისას თუ მოახერხებ რამეს. მაგრამ გათენებამდე ხომ გაიყინები. გამყინავი ქარია — უ-უ... — ხეივანში ჩაიქროლებს და გეჩვენება, რომ მესერთან, ნამქერში ვიღაცები ჩურჩულებენ.

გავიყინებით, ყირპატი!

— გაუძელ, ნემოლიაკა, გაუძელ. პატრულები დილამდე ივლიან და დაიძინებენ. ვზვოზზე გავსხლტებით, სიჩიხასთან გავთბებით.

მესრის გასწვრივ წყვდიადი შეირხევა და მოგეჩვენება, რომ პატაპეტს სამი შავზე შავი ლანდი აჰკვრია, წინ გადახრილან, ქვემოთ იცქირებიან, სადაც ხელისგულივით მოჩანს ალექსანდრეს ქუჩა. დუმს ქუჩა, ცარიელია, მაგრამ უცებ ორი მოცისფრო კონუსი გაირბენს — გერმანული მანქანები ჩაიქროლებენ, ანდა ლავაშივით ბრტყელი შავი ტაშტები და მათი მოკლე. წამახული ირდილები გამოჩნდება... და ისე ჩანს, როგორც ხელისგულზე...

გორაზე ერთი ლანდი განცალკევდება და ჩახლეჩილი, მგლისებური, მჭახე ხმა გაისმის:

— ეჰ... ნემოლიაკა... გავბედოთ! წავიდეთ. იქნება გავსხლტეთ...

ცუდ დღეში არიან გორაზე.

* *

მაგრამ, წარმოიდგინეთ, არც სასახლეში არიან კარგ დღეში. რაღაც უცნაური, ღამისთვის შეუფერებელი უსიამო ფუსფუსია. დარბაზში, სადაც მოოქრული, უხეში და ულაზათო სკამები იდგა, პრიალა პარკეტზე თაგვივით გაირბინა ბაკენბარდიანმა მოხუცმა ლაქიამ. სადღაც შორს ელექტროზარის წყვეტილი ხმა გაისმა და ვიღაც დეზების წკარუნით შემოვიდა. საწოლი ოთახის მჭრეალჩარჩოიან, გვირგვინებიან სარკეებში არაბუნებრივი სურათი ირეკლებოდა. ხმელ-ხმელი, შეჭაღარავებული, ულვაშშეკრეჭილი, წვერგაპარსული კაცი, მელიისნაირ სახეზე პერგამენტივით ყვითელი ფერი რომ ედო და ვერცხლისმასრებიანი ძვირფასი ჩოხა ეცვა, სარკეებთან წრიალებდა მის ირგვლივ სამი გერმანელი და ორი რუსი ოფიცერი ფუსფუსებდა. ერთ მათგანს ჩოხა ეცვა, როგორც თვით მთავარ კაცს, მეორე ფრენჩსა და რეიტუზში იყო გამოწყობილი. ჩაცმულობაზე ეტყობოდათ, კავალერგარდები უნდა ყოფილიყვნენ. მაგრამ ორივეს ჰეტმანისეული სოლისებური სამჩრეები ეკერა. ისინი მელიისსახიან კაცს ტანსაცმლის გამოცვლაში ეხმარებოდნენ. გახადეს ჩოხა, ფარფარა შარვალი, გალაქული ჩექმები, გერმანელი მაიორის ფორმაში გამოაწყვეს და იგი ახლა ასობით სხვა მაიორისთანა შეიქნა, მათზე არც უკეთესი იყო და არც უარესი. მერე კარი გაიღო, მტვრიანი ფარდები გადაიწია და დარბაზში კიდევ ერთი კაცი შევიდა, გერმანული ჯარის სამხედრო ექიმის ფორმა რომ ეცვა. ექიმმა პაკეტების მთელი დასტა შემოიტანა, გახსნა და ახალშობილ მაიორს გაწაფული ხელით თავი მარლით ისე შეუხვია, რომ მას მხოლოდ მარჯვენა, მელიისნაირი თვალი, თხელი ტუჩები და ოდნავ გაღებულ პირში მოელვარე ოქროს და პლატინის კბილები მოუჩანდა.

სასახლეში ღამისთვის შეუფერებელმა ფუსფუსმა ერთხანს კიდევ გასტანა. საწოლი ოთახიდან გამოსულმა გერმანელმა ულაზათო სკამებიან დარბაზსა და მის მეზობელ დარბაზში თაიმოყრილ ვიღაც ოფიცრებს გერმანულად უამბო, მაიორი ფონ შრატი რევოლვერიდან ვაზნას იღებდა, შემთხვევით კისერში ტყვია მოიხვედრა და ახლაე სასწრაფოდ გერმანულ ჰოსპიტალში უნდა გაიგზავნოსო. სადღაც ტელეფონი რეკდა, სადღაც ჩიტი უსტვენდა — პიუ! მერე ისრისებურ, მოჩუქურთმებულ ჭიშკარში შემოვიდა და სასახლის გვერდითა შესასვლელს მიადგა წითელჯვრიანი უხმაურო გერმანული მანქანა. მარლით თავ-

შეხვეული, მაზარაში შეფუთნული, იდუმალებით მოცული მაიორი ფონ შრატი საკაცით გამოიტანეს, საგანგებო მანქანის გვერდი გადახსნეს და საკაცე შიგ შედგეს. მანქანა დაიძრა და როცა ჭიშკრიდან გადიოდა, მოსახვევში ერთხელ დაიღმუვლა.

სასახლეში კი დილამდე გრძელდებოდა ფუსფუსი და ალიაქოთი. შუქი ენთო სურათებით მორთულ და მოოქრულ დარბაზებშიც. [illegible] რეკდა ტელეფონი, ლაქიებს სახეზე თითქოს თავხედური გამომეტყველება ეხატებოდათ, ხოლო თვალებში მხიარული ნაპერწკლები უბრწყინავდათ...

სასახლის პირველ სართულზე, პატარა ციწრო ოთახში, ტელეფონის აპარატთან არტილერიის პოლკოვნიკის ფორმიანი კაცი მივიდა. მან ფრთხილად მიხურა კარი პატარა, შეთეთრებული საპარატე ოთახისა, სასახლისას ოდნავადაც რომ არ ჰგავდა, და ყურმილს ხელი მეორეთ მოჰკიდა. მან სადგურში მყოფ უძინარ ქალიშვილს სთხოვა, 212 ნომერი მომეცით. „მერსი", — უთხრა თავაზიანად, მერე წარბები მკაცრად და შეშფოთებით შეიკრა და ყურმილში ერუ ხმით, შინაურულად ჩასძახა:

— სამორტირო დივიზიონის შტაბია?

* *

ვაგლახ, ვაგლახ! პოლკოვნიკ მალიშევს შვიდის ნახევრამდე ძილი არ დასცალდა, როგორც აპირებდა. ღამის ოთხ საათზე მადამ ანჟუს მაღაზიაში ჩიტმა მეტისმეტი დაეინებით გაიბა სტვენა და მორიგე იუნკერი იძულებული შეიქნა ბატონი პოლკოვნიკი გაეღვიძებინა. ბატონმა პოლკოვნიკმა შესაბური სისწრაფით გაიღვიძა და გონება მყის ისე გამალებით აამუშავა, თითქოს სულაც არ სძინებიათ. თანაც არ ეტყობოდა, რომ იუნკერზე განაწყენებული ყოფილიყო, ძილი რად გამიფრთხეო. ღამის ოთხ საათზე მოტოციკლეტმა იგი სადღაც გაიქანა, ხოლო ხუთი საათისთვის უკანვე, მადამ ანჟუსთან დააბრუნა. მოქუშულსა და ჩაფიქრებულს წარბები ახლა ისევ შეშფოთებით და მკაცრად ჰქონდა შეკრული, როგორც იმ პოლკოვნიკს, რომელმაც სასახლის საპარატიდან სამორტირო დივიზიონი გამოიძახა.

* *

შვიდ საათზე ვარდისფერი ბურთებით განათებულ ბოროდინოს ველზე ალიონის სიცივისგან აბუზული იდგა იგივე გაწელილი მუხლუხი, გუშინ კიბეზე რომ ადიოდა ალექსანდრეს სურათთან. იუნკრებსა და სტუდენტებს ისეთი ლაპარაკი გაებათ, დარბაზში ბუბუნ-ზუზუნი ვაისმოდა. შტაბს-კაპიტანი სტუძინსკი მოშორებით იდგა ოფიცერთა ჯგუფში და დუმდა. საოცარი კია და მასაც თვალებში შეშფოთების ისეთივე ალმაცერი ანარეკლი უელავდა, როგორც პოლკოვნიკ მალიშევს ღამის ოთხი საათის შემდეგ. მაგრამ ყველა, ვინც კი იმ ღირსსახსოვარ ღამეს პოლკოვნიკსა და შტაბს-კაპიტანს ნახავდა, უმალ დაბეჯითებით იტყოდა, რაშიც იყო განსხვავება: სტუძინსკის თვალებს წინათგრძნობით გამოწვეული შეშფოთება ეტყობოდა, მალიშევს კი ეჭვგაუფრეველი შეშფოთება, როცა ყველაფერი უკვე სრულიად აშკარა და გარკვეულია, როცა ყველაფერი საძაგლადაა. სტუძინსკის მაზარის ყოშიდან დივიზიონის არტი-

ლერისტთა გრძელი სია მოუჩანდა. მან ეს სია ახლახან ამოიკითხა და ნახა, რომ ოცი კაცი აკლდა. ამიტომაც სიას შტაბს-კაპიტნის თითთა მოუსვენარი მოძრაობის ნაკვალევი აჩნდა: ფურცელი დაჭმუჭნული გახლდათ.

გათოშილ დარბაზში კვამლი მიიკლაკნებოდა — ოფიცერთა ჯგუფში თამბაქოს ეწეოდნენ.

პოლკოვნიკ მალიშევს ერთი წუთიც არ დაუგვიანია, ზუსტად შვიდ საათზე მწყობრის წინ აღიმართა და, როგორც წინა დღეს, დარბაზში ახლაც მისალმების შეძახილმა იქუხა. ბატონ პოლკოვნიკს გუშინდელივით მოვერცხლილი ხმალი ჰქონდა შემორტყმული, მაგრამ რალაც მიზეზთა გამო ვერცხლის ჩუქურთმას სხივები ალარ დასთამაშებდა. პოლკოვნიკს მარჯვენა თეძოზე ბუდეში ჩადებული რევოლვერი ეკიდა. მაგრამ, ალბათ გულმავიწყობის გამო, რაც პოლკოვნიკ მალიშევს არ სჩვეოდა, ბუდე გახსნილი ჰქონდა.

პოლკოვნიკი დივიზიონის წინაშე წარსდგა, მარცხენა ხელთათმნიანი ხელი ხმლის ეიდას დააყრდნო, მარჯვენა, უხელთათმნო ხელი კი რევოლვერის ბუდეს წახად დაადო და ეს სიტყვები წარმოთქვა:

— სამხრეთის დივიზიონის ბატონ ოფიცრებსა და არტილერისტებს ვუბრძანებ ყურადღებით მოისმინონ, რასაც ვეტყვი! წუხელ ჩვენი მდგომარეობა, ჯარის მდგომარეობა და, მე ვიტყოდი, სახელმწიფო მდგომარეობა უკრაინაში ეცვალა მკვეთრად შეიცვალა. ამიტომ გიცხადებთ, რომ დივიზიონი დაშლილია! ყოველ თქვენგანს მოგმართავთ, ყოველგვარი წარჩინების ნიშანი მიიხსნათ, ცეიხჰაუზიდან წაიღოთ, ვინც რას მოისურვებთ და რასაც შეძლებთ, შინ წახვიდეთ, იქ დაიმალოთ, თავი არ ვაამყოფინოთ და ელოდოთ, ჩელახლა როდის მოგიხმობთ.

იგი გაჩერდა და ამან თითქოს უფრო მეტად წარმოაჩინა დარბაზში გამეფებული სამარისებური სიჩუმე. ფარნების ზუზუნიც კი მიწყდა. ოფიცერთა ჯგუფისა და ყოველი არტილერისტის მზერა მთელ დარბაზში ახლა ერთი წერტილისკენ, ბატონი პოლკოვნიკის შეკრეჭილი ულვაშისკენ იყო მიპყრობილი.

მან კვლავ წამოიწყო:

— ხოლო მე დაუყოვნებლივ მოვიხმობთ, როგორც კი რაიმე ცვლილება მოხდება. მაგრამ უნდა გითხრათ, რომ ამის იმედი ნაკლებად უნდა გვქონდეს. ამჟამად თავად მეც არ ვიცი, რა ვითარება შეიქმნება, მაგრამ ვფიქრობ, რომ ყველაზე უკეთესი, რის იმედიც შეიძლება იქონიოს თქვენ შორის ყოველმა... ეე... (პოლკოვნიკმა უცებ წამოიყვირა შემდგომი სიტყვა! საუკეთესო! — ეს ლონზე წასვლა იქნება. მაშ ასე. ვუბრძანებ მთელ დივიზიონს, ბატონი ოფიცრებისა და იმ იუნკრების გამოკლებით, ვინც წუხელ ჯუშაგად იდგა, დაუყოვნებლივ დაიშალოს და შინ წავიდეს!

— ჰა?! ა! ა-ა-ა! — გაიშრიალა მთელ მწყობრში და ხიშტები თითქოს დადაბლდა. არტილერისტებს სახეზე დაბნეულობა ალებეჭდათ, აქა-იქ მწკრივებში კი თითქოს რამდენიმე გახარებული მზერაც გამოკრთა...

ოფიცერთა ჯგუფს თვალებდაელმებული გამოეყო ძალზე გავითრებული შტაბს-კაპიტანი სტუძინსკი, პოლკოვნიკ მალიშევისკენ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და მერე ოფიცრებისკენ მიიხედა. მიშლაევსკის სტუძინსკისთვის არ შეუხედავს. იგი კვლავ პოლკოვნიკ მალიშევის ულვაშებს აკვირდებოდა, თანაც ისეთი გამომეტყველებით, თითქოს თავისებურად უწმაწურად შეგინებას აპი-

რებსო. კარჩხანას დოინჯი უაზროდ შემოეყარა და თვალებს ახამხამებდა. ახალგაზრდა პრაპორშჩიკთა განცალკევებულ ჯგუფში კი უცებ ჩამრიალდა უმარილებულო, გულის გამგმირავი სიტყვა „დაპატიმრება“!...

— რაო? რაო? — სადღაც იუნკერთა მწკრივში ჩაიბუბუნა ვიღაცამ.

— დაპატიმრება!..

— ღალატი!!

სტუძინსკიმ მოულოდნელად თავი მაღლა ასწია, გაჩირაღდნებულ ბურთს თვალები შთაგონებით მიაპყრო, მერე რევოლვერის ბუდეს ცერად დახედა და შესძახა:

— ჰეი, პირველო ოცეულო!

წინა რიგი გვერდიდან გაიპო, რუხმაზარიანები გამოცალკევდნენ და უცნაურად აწრიალდნენ

— ბატონო პოლკოვნიკო! — მთლად ჩახრინწული ხმით წარმოთქვა სტუძინსკიმ. — თქვენ დაპატიმრებული ხართ.

— დავაპატიმროთ!! — უცებ ისტერიკულად, მჭახედ შეკივლა ერთმა პრაპორშჩიკმა და პოლკოვნიკისკენ დაიძრა.

— შესდექით, ბატონებო! — შესძახა კარჩხანამ. იგი მძიმედ, მაგრამ დალაგებით აზროვნებდა.

მიშლაევსკი ოფიცერთა ჯგუფიდან სხარტად გამოხტა. ბულგიცხ პრაპორშჩიკს მაზარის სახელოზე სწვდა და უკან დაახევინა.

— გამიშვით, ბატონო პორუჩიკო! — შეჰყვირა პრაპორშჩიკმა და ტუჩები ავად დაბრიცა.

— წყნარად! — ძალზე მტკიცე ხმით შესძახა ბატონმა პოლკოვნიკმა. თუმცა ტუჩები პრაპორშჩიკზე ნაკლებად არ დაბრეცოდა და სახეც წითლად აფორეკებოდა, მაგრამ თვალებში უფრო მეტი სიმტკიცე ეხატებოდა, ვიდრე ოფიცერთა მთელ ჯგუფს. ყველა გაჩერდა.

— წყნარად! — გაიმეორა პოლკოვნიკმა. — გიბრძანებთ, თქვენს ადგილებზეე დადგეთ და მისმინოთ!

სიჩუმე ჩამოვარდა. მიშლაევსკის შხერა დაეძაბა. ეტყობოდა, თავში რაღაც აზრმა უკვე გაურბინა და ბატონი პოლკოვნიკისგან იმაზე უფრო მნიშვნელოვანი და საინტერესო ამბების გაგონებას მოელოდა, რაც მანამდე მისგან უკვე მოისმინეს.

— დიახ, დიახ, — ყბის კანკალით წამოიწყო პოლკოვნიკმა, — დიახ, დიახ... კარგი სანახაობაც ვიქნებოდი, საბრძოლველად ასეთი მეომრებით თუ წავიდოდი, ეფალმა ღმერთმა რომ მარგუნა. ძალიან კარგი სანახავი ვიქნებოდი! მაგრამ რაც მოხალისე სტუდენტს, ყმაწვილ იუნკერს, უკიდურეს შემთხვევაში, პრაპორშჩიკს ეპატიება, თქვენ არაფრის დიდებით არ გეპატიებათ, ბატონო შტაბს-კაპიტანო!

ამ სიტყვებთან ერთად ბატონმა პოლკოვნიკმა სტუძინსკის გაალმასებული შხერა მიაპყრო. ბატონი პოლკოვნიკის თვალები აშკარა სიბრაზის ნაპერწკლებს აფრქვევდა. კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა.

— მაშ ასე, — განაგრძო პოლკოვნიკმა, — ჩემს სიცოცხლეში მიტინგობანაში არ ვავრეულვარ, მაგრამ, ეტყობა, ახლა უნდა გავერიო. კარგი, დავიწყოთ მიტინგობანა! მაშ ასე, თუმცა თქვენი ცდა საკუთარი მეთაურის დაპატიმ-

რებისა გვამცნობს, რომ კარგი მამულიშვილები ყოფილხართ, ბაგრამ იგივე ცდა აშკარას ხდის, რომ ეე... — როგორ გამოვთქვა? — გამოცდილი ოფიცრები აღმოჩნდით! მოკლედ გეტყვით: მე დრო არა მაქვს, და, გირჩევნიათ,... ავის მომასწავებლად და მრავლისმეტყველად თქვა პოლკოვნიკმა. — არც თქვენა გაქვთ. გეკითხებით: ვინ გინდათ დაიცვათ?

სიჩუმე არავის დაურღვევია.

— ვინ გინდათ დაიცვათ-მეთქი, გეკითხებით? — მრისხანედ გაიმეორა პოლკოვნიკმა.

მიშლაევსკის თვალებში ცხოველი ინტერესი გამოეხატა, ოფიცერთა ჯგუფიდან წინ წამოდგა, ქუდთან ხელი მიიტანა და წარმოთქვა:

— ჩვენი ვალია, ჰეტმანი დავიცვათ, ბატონო პოლკოვნიკო.

— ჰეტმანი? — ჰკითხა პოლკოვნიკმა. — დიდებულია. დივიზიონო, სმენა! — უცებ ისე დასჭექა, რომ დივიზიონი უნებლიეთ შეკრთა. — მისმინეთ: ჰეტმანმა დღეს, დაახლოებით დილის ოთხ საათზე, ყველანი საბარკხვინოდ მიგვატოვა ბედის ანაბარად და გაიქცა! გაიქცა როგორც უკანასკნელი გაიძვერა და ლაჩარი! დღესვე, ჰეტმანის გაქცევიდან ერთი საათის შემდეგ, ჰეტმანის მსგავსად, ესე იგი გერმანული მატარებლით, გაიქცა ჩვენი ჯარის სარდალი, კავალერიის გენერალი ბელორუკოვი. არა უგვიანეს რამდენიმე საათისა ჩვენ კატასტროფის მოწმე შევიქნებით, როცა თქვენსავით მოტყუებულ და ავანტიურაში ჩათრეულ ხალხს ძაღლებივით ამოყლეტენ. მისმინეთ: პეტლურას ქალაქთან ასი ათასზე მეტი მებრძოლი ჰყავს მოყვანილი და ხვალ... რას ვაშბობ, ხვალ კი არა, დღეს, — პოლკოვნიკმა ხელი გაიშვირა ფანჯრისკენ, საიდანაც მოჩანდა, რომ ცას უკვე ალიონის მოლურჯო ფერი შეჰპარვოდა, — შტაბელი არამზადებისა და ჩამოხრჩობის ღირსი ორი გაიძვერასგან მიტოვებული დაქსაქსული, დამლილი ნაწილები ოფიცრებისა და იუნკრებისა შეებმებიან პეტლურას საუცხოოდ შეიარაღებულ და მათზე ოცჯერ მეტი რაოდენობის ჯარს... მისმინეთ, შვილნო ჩემნო! — უცაბედად ჩამწყდარი ხმით შესძახა პოლკოვნიკმა მალიშევმა, რომელიც ხიშტოსანთა მწკრივებში მდგომებს ასაკით მამად კი არა, უფროს ძმად თუ შეეფერებოდა, — მისმინეთ! მე კადრის ოფიცერი ვარ, გამოვლილი მაქვს გერმანელებთან ომი, რის მოწმეც შტაბს-კაპიტანი სტუძინსკია, და მთელ პასუხისმგებლობას ჩემს სინდისზე ვიღებ!... მთელ პასუხისმგებლობას!! თქვენ კი გაფრთხილებთ და შინ გიშვებთ!! გასაგებია? — შეჰყვირა მან.

— დი...ა...ახ...ახ, — გაისმა პასუხად და ხიშტები გადაქანდ-გადმოქანდა. მერე კი მეორე მწკრივში მდგარი ვიღაც იუნკერი ხმამაღლა აქვითინდა.

შტაბს-კაპიტანი სტუძინსკი მთელი დივიზიონისა და ალბათ საკუთარი თავისთვისაც სრულიად მოულოდნელად უცნაურად მოიქცა, ხელთათმნიანი ხელები თვალებზე აიფარა, რაც ოფიცერს სულაც არ შეეფერებოდა. და ატირდა. დივიზიონის სია იატაკზე დავარდა.

მის შემხედვარე იუნკრებსაც ცრემლი მოერიათ და ბევრი მათგანი აქვითინდა. მწკრივები უმალ დაიშალა. მაშინ რადაშეს-მიშლაევსკის ხმამ არეულ-დარეული გნიასი დაფარა.

— იუნკერო პავლოვსკი! გასაყარი ხალარა დაუკარი! — დასჭექა მან მესაყვირეს.

* *

— ბატონო პოლკოვნიკო, ნებას მომცემთ გიმნაზიის შენობას ცეცხლი წავუკიდო? — უთხრა მიშლაევსკიმ პოლკოვნიკს და ნათელი მზერა მიაპყრო.

— ნებას არ გაძლევთ, — თავაზიანად და მშვიდად უპასუხა მალხაზოვმა.

— ბატონო პოლკოვნიკო, — გულითადად უთხრა მიშლაევსკიმ.— პეტლურას ხელში ჩაუვარდება ცეიხპაუზი, ქვემეხები .და, რაც მთავარია...— მიშლაევსკიმ ხელი გაიშვირა კარისკენ, სადაც ვესტიბიულში, კიბის ზემოთ ალექსანდრეს თაყი მოჩანდა.

— ჩაუვარდება, — თავაზიანად დაუმოწმა პოლკოვნიკმა.

— ეს როგორ შეიძლება, ბატონო პოლკოვნიკო?..

მალიშევი მიშლაევსკისკენ შემოტრიალდა, დაკვირვებით დააცქერდა და უთხრა:

— ბატონო პორუჩიკო, სამი საათის შემდეგ პეტლურას ხელში ჩაუვარდება ასობით ადამიანთა სიცოცხლე და ერთადერთი რამ, რაც მაწუხებს, ის გახლავთ, რომ ჩემი სიცოცხლისა და თქვენი სიცოცხლის ფასადაც კი, რაც, რა თქმა უნდა, უფრო ძვირფასია, დალუპვისგან მათი ხსნა არ ძალმიძს. სურათებზე, ქვემეხებზე და შაშხანებზე კი, გთხოვთ, ნებართვერს მეტყვით.

ამ დროს მალიშევს სტუმინსკი მიუახლოვდა, მის წინ შეჩერდა და უთხრა.

— ბატონო პოლკოვნიკო, ჩემი სახელით და იმ ოფიცრების სახელით, ვისაც უმსგავსი მოქმედების ჩასადენად ვუბიძგე, ბოდიშს გიხდით და გთხოვთ ბოგვიტევოთ.

— მომიტევებია, — თავაზიანად უპასუხა პოლკოვნიკმა.

* *

როცა ქალაქის თავზე დილის ნისლმა ნელ-ნელა იწყო აწევა, ალექსანდრეს მოედანთან ბლაგვცხვირა ბორტირები უსაკეტებოდ იდგა, დაშლილი და დაბსნილი შაშხანები და ტყვიამფრქვევები სხვენის სამალავებში იყო ჩამოფარებული. თოვლში, თხრილებში და სარდაფების სამალავებში გროვა-გროვა ეყარა ვაზნები, ხოლო დარბაზსა და დერეფნებში ბურთები შუქს ალარ აფრქვევდა. ამომრთველებიანი თეთრი დაფა მიშლაევსკიმ და მისმა იუნკრებმა ხიშტებით დალეწეს.

* *

ფანჯრებს მოლურჯო ფერი გადაჰკვროდა. ლურჯ ბინდბუნდში, მოედანზე, ორნიცა იდგნენ, ყველაზე ბოლოს მიმავალნი, — მიშლაევსკი და კარჩხანა.

— ნეტა მეთაურმა ალექსეი გაათრთხილა? — შეშფოთებით ჰკითხა მიშლაევსკიმ კარჩხანას.

— რა თქმა უნდა, გააფრთხილებდა, ხომ წახე, რომ არ მოვიდა. — უპასუხა კარჩხანამ.

— დღეს ტურბინებთან არ შეიჭიროთ?

— არა, დღისით შეუძლებელია. ყველაფერი უნდა მიეგბილ-მოვმალოთ.. ჯერ შინ წავიდეთ და რაც მოსაგვარებელი გვაქვს, მოვაგვაროთ.

ფანჯრები ლურჯად ჩაბინდულიყო, გარეთ კი გარემო რძისფრად იღებებოდა. დილის ნისლი მაღლა მიიწევდა და იფანტებოდა.

ნაწილი მეოთხე

8

დიახ, გარემოს ნისლი ებურა. ეკალაშლილი, თითებბანჯგვლიანი ყინვა, უმთვარო ღამეში შავი, შემდეგ კი ალიონზე რძისფერი თოვლი, ქალაქის მიღმა, შორეთში, მოვარაყებული ვარსკვლავებით მოჩითული ლურჯი ეკლესიების გუმბათები და ქალაქის ზემოთ, ცის უკიდეგანო სივრცეში გაჩახჩახებული ვლადიმირის ჯვარი, მანამდე რომ არ ქრებოდა. ვიდრე დნეპრის სანაპიროს მოსკოვის მხრიდან ალიონის ნათელი არ შეეპარებოდა.

დილას ჯვარი ჩაქრა. ყველა შუქი ჩაქრა დედამიწაზე, მ.გრამ დილა მაინც და მაინც არ გაბრწყინებულა, ეტყობოდა, უქმური დღე დადგებოდა, უკრაინის ცას დაბალი, სხივგაუღწეველი საბურველი ეკრებოდა გადაკრული.

პოლკოვნიკმა კოზირ-ლეშკომ ქალაქიდან თხუთმეტი ვერსის დაშორებით, სოფელ პოპელიუხაში სწორედ ალიონზე გაიღვიძა, როცა უძლური, მღვრიე შუქი ქოხის ბრუტიანი სარკმლიდან შეიჭრა. კოზირის გაღვიძება დაემთხვა სიტყვას:

— დისპოზიცია.

თავდაპირველად მოეჩვენა, რომ იგი სიზმრის თბილ ბურანში ნახა და ისიც კი უნდოდა, რომ ხელით მოეშორებინა. როგორც ძალზე ცივი სიტყვა. მაგრამ სიტყვა გაიბერა და ქოხში შემობობღდა საზიზღარი წითელი ძიძიბებით სახედაწინწკლულ შიკრიკთან და დაშმუეხულ კონვერტთან ერთად. კოზირი სარკმელთან მივიდა, ქარსიანი და ბადიანი ჩანთიდან რუკა ამოიღო, მოძებნა სოფელი ბორხუნი, ბორხუნის იქით სოფელი ბელი/გაი, ფრჩხილი გააყოლა დაკლაკნილ გზას, რომლის აქეთ-იქით ბუჩქნარის აღმნიშვნელი წერტილები ისე მოფენილიყო, თითქოს ბუზები ასხედანო, და უზარმაზარ შავ ლაქას — ქალაქს მიადგა. წითელძიძიბებიანი წყეულ სუნით ყარდა. რადგან მიაჩნდა, რომ მოწევა კოზირთანაც შეიძლებოდა და ეს ომს იოტის ოდენასაც არაფერს ავნებდა. იდგა აგრეთვე მეორეხარისხოვანი მაგარი თამბაქოს სუნი, რომელსაც თავად კოზირი ეწეოდა.

კოზირი წუთი წუთზე ბრძოლაში უნდა ჩაბმულიყო. იგი ამ ამბავს მხნედ შეხვდა. გულიანად დაამთქნარა, ლვედები მხრებზე გადაიჭიმა და დაბლარითული აკაზმულობა ააჩხარუნა. წუხელ მაზარიანს ეძინა, დეზებიც კი არ მოუხსნია. დედაკაცმა კოჭობით რძე შემოუტანა. კოზირს რძისთვის პირი არასოდეს დაუკარებია და არც ახლა დალია, საიდანლაც ბავშვები გამობობღდნენ. ერთი მათგანი, ყველაზე უმცროსი, სკამლოგინზე მთლად შიშველი უკანალით

ძოლოჩავდა, თან ცდილობდა კოზირის მაუზერს მისწვდომოდა, მაგრამ ვერ მისწვდა, რადგან კოზირმა მაუზერი ქამარზე თვითონ ჩამოიკიდა.

მთელი სიცოცხლე, 1914 წლამდე, კოზირი სოფლის მასწავლებელი იყო. ცხრაას თოთხმეტ წელს, როცა ომი დაიწყო, დრაგუნთა პოლკში მოხვდა და 1917 წელს ოფიცრობა მიიღო. ხოლო ცხრაას თვრამეტი წლის თორმეტი დეკემბრის ალიონს კოზირი ქოხის სარკმელთან პეტლურას ჯარის პოლკოვნიკის ჩინით შეხვდა და ამქვეყნად ვერავინ (ყველაზე ნაკლებად კი თვით კოზირი) ვერ შეძლებდა იმის თქმას, ეს როგორ მოხდა. ეს კი იმიტომ მოხდა, რომ ომი კოზირისთვის მოწოდება გახლდათ, ხოლო მასწავლებლობა მხოლოდ დიდი შეცდომა, რასაც თავი დიდხანს ვერ დააღწია. თუმცა ჩვენს ცხოვრებაში უმეტესად ასე ხდება. მთელი ოცი წელი კაცი რაღაცას საქმიანობს. ძაგალითად, რომის სამართალს კითხულობს, ოცდამეერთე წელს კი უცებ აღმოჩნდება, რომ რომის სამართალი არაფერ შუაშია. მისი არც გაეგება რაღე და არც არასდროს ჰყვარებია, სინამდვილეში თურმე გვარიანი მეაბელე ყოფილა და გულში ყვავილების უსაზღვრო სიყვარული ჰქონია. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ჩვენი სოციალური წყობის ნაკლოვანების გამო ხდება, როცა ადამიანი თავის ადგილს მეტწილად სიცოცხლის მიწურულს პოულობს. კოზირმა თავის ადგილს ორმოცდახუთი წლისამ მიაგნო, ხოლო მანამდე უხეირო, სასტიკი და მოსაწყენი მასწავლებელი გახლდათ.

— ახა, ბიჭებს უთხარით, რომ ქოხებიდან გამოვიდნენ და ცხენებზე შესხდნენ. — თქვა კოზირმა და ქამარი წელზე მაგრად შემოიჭირა.

სოფელ პოპელიუხას თეთრი ქოხებიდან ბოლი ცისკენ მიიკლაკნებოდა. პოლკოვნიკ კოზირის ოთხასკაციანი რაზმი ცხენებს მიაგელვებდა, მწკრივებში წეკოს კვამლი ბოლქვ-ბოლქვად ადიოდა, ფიცხად მიცქაცავდა კიზირის ზორბა ქურანი ულაყი. ნახევარ ვერსზე გაჭიმული ალალი პოლკს მარხილების ჭრიალით მიჰყვებოდა. პოლკი უხაგირებზე მიირხეოდა. პოპელიუხას გასცდნენ თუ არა, მხედართა რაზმის თავში ორფეროვანი ალამი — ტარზე გამობმული ცისფერი და ყვითელი ხელმანდილი ამრიალდა.

კიზირს ჩაი სძულდა და დილას ერთი ყლუპი არაყი ამქვეყნად ყველაფერს ერჩია. სამეფო არაყი უყვარდა. ოთხ წელიწადს სამეფო არაყი გამქრალი იყო, ჰეტმანშჩინის დროს კი მთელ უკრაინაში გამოჩნდა. კოზირმა ნაცრისფერი ძათარა მოიყუდა და არაყმა ძარღვებში მხიარული ცეცხლივით დაურბინა. მწკრივებშიც მოიყუდეს ბელაია ცერკოვის საწყობიდან წაბოლებული არაყით სავსე ძათარები. მოიყუდეს თუ არა, რაზმის თავში სამმწკრივიანმა იტალიურმა გარმონიკამ დასტვენა და წვრილმა, გამყივანმა ხმამ წამოიწყო:

Гай, за гаем, гаем,
Гаем зелененьким...

მეხუთე რიგში კი ბანებმა დაიგუგუნეს:

Там орала дивчиненька
Воликом чернеьким...
Орала.. Орала,
Не вміла гукаты
Тай наняла казаченька
На скрипочке граты.

— ფიუ... ჭახ! ჭახ, ჭახ, ჭახ!.. — ბულბულივით მხიარული სტვენა და ჭახჭახი ააყოლა ალმის ბვერდით მიმავალმა მხედარმა. შეირხა ბუბები, ათამაშდა შავყაითნიანი და შავფუნჯიანი შავი ბოხოხები. ადამიანი დაბალი ფლოქვის ქვეშ თოვლი ტრაშუნობდა. დასცხო მხიარულმა ტორბანმა.

— ასე! ნუ მოიწყენთ, ბიჭებო, — მოწონებით თქვა [illegible] და ბულბულის სტვენა-რაკრაკმა უკრაინის დათოვლილ ველებს გადაუარა.

გაიარეს ბელი ვაი... ნისლის ფარდა გაიპო და ყველა გზა გადაშავდა, გაშოცოცხლდა და აბრაშუნდა. გაისთან, გზაჯვარედინზე წინ გაუშვეს ათასხუთასი კაციანი ქვეითი რაზმი. ამ რაზმის წინა რიგებში მიმავალთ გამძღე გერმანული ბაუდისგან შეკერილი ერთნაირი ლურჯი ტუპანები ემოსათ, პირთხელებსა და ძარღვებს შაშხანები მარჯვედ ეჭირათ. ესენი გალიციელები იყვნენ. უკანა რიგებში მყოფთ გრძელი, კოჭებამდე ჩაფართხუნებული საავადმყოფოს ხალათები ეცვათ და ზედ მოუქნელი ტყავის ყვითელი ქამრები ჰქონდათ შემორტყმული. ხოლო თავზე ყველას ფაფახს ზემოდან ჩამოფხატული ბრტყელი გერმანული მუზარადი უელავდა. დანალული ბოტები თოვლს ზელდა.

ქალაქისკენ მიმავალი თეთრი გზები ხალხის ზღვამ გადააშავა.

— დიდება! — გაისმა ქვეითთა შეძახილი, როცა ცისფერ-ყვითელ ალამს ჩაუარეს.

— დიდება! — გუგუნებდა გაის ჭალები.

ამ ხმას ბანი მისცეს ქვემეხებმა უკან და ხელმარცხნივ. საალყო კორპუსის მეთაურმა, პოლკოვნიკმა ტოროპეცმა ქალაქის ტყეში ორი ბატარეა ჯერ კიდევ გუშინ გაგზავნა. ქვემეხები თოვლის ზღვაში ნახევარწრედ დადგნენ და სროლა განთიადისთანავე დაიწყეს. დათოვლილი სახომალდე ფიჭვები ექეს დუიმიანთა გრგვინვის ტალღამ გამოიღვიძა. უზარმაზარი სოფელი პუშჩა-ვოდიცა ბათქმა ორჯერ შეაზანზარა და ოთხ განაკაფზე თოვლში ჩაფლულ სახლებს მინები ერთბაშად ჩამოემსხვრა. რამდენიმე ფიჭვი დანაფოტდა და თოვლის მრავალსაქენიანი შადრევანი აისროლა. მერე კი პუშჩა-ვოდიცა ჩაწყნარდა. ტყე ძილ-ბურანში ჩაიძირა. მხოლოდ დამფრთხალი ციყვები ფხაჭუნით დაშლიგინებდნენ ასწლოვან ფიჭვთა ტოტებზე. ამის შემდეგ ორმა ბატარეამ უშჩაპვოდიციდან მარჯვენა ფლანგზე გადაინაცვლა. მათ გადაჭრეს თვალუწვდენელი სახნავ-სათესი მიწები, ტყიანი მიჯნები, ვიწრო გზაზე შეუხვიეს, გზის გასაყართან გავიდნენ და იქ უკვე ქალაქის პირისპირ განლაგდნენ. დილაადრიანად ბოდგორნაიას, სავსკაიას და ქალაქის გარეუბან ყურენევკის თავზე ფეხდიხმა იწყო სკდომა.

ჩამოდაბლებულ თოვლიან ცაში ვიღაცა თითქოს სატაცუნებლების ჭახუნით თავს იქცევდა. პატარ-პატარა სახლების მცხოვრებნი ღილიდანვე საჩდაფებში ისხდნენ. ალიონის ბინდბუნდში მოჩანდა, გათოშილ იუნკერთა მწკრივი როგორ იხევდა უკან, სადღაც ქალაქის შუაგულისკენ. თუმცა ქვემეხთა ბუხუნი მალე მიყუჩდა და მას შეენაცვლა სროლის მხიარული ჭახაჭუხი რომელიღაც გარეუბანში, ჩრდილოეთის მხარეს. მერე კი ეს ჭახაჭუხიც მიწყდა.

* *

საალყო კორპუსის მეთაურის, ტოროპეცის მატარებელი თოვლით მინაბჭრულ, გრუხუნ-გუგუნით გაყრუებულ, თითქოს ჩამკვდარ სოფელ სვიატოშინო-

დან ხუთი ვერსის მოშორებით, უზარმაზარ ტყეში, რკინიგზის ასაქცევზე იდგა. იქვს ვაგონში მთელ ღამეს არ ჩამქრალა ელექტროშუქი, მთელ ღამეს რეკდა ტელეფონი რკინიგზის ასაქცევზე და პოლკოვნიკ ტოროპეცის ერთიანად გატალახიანებულ სალონშიც სველე ტელეფონები წრიპინებდა. ტოროპეცა ორეულიანმა დღემ იქაურობა მთლიანად გაანათა, წინ, სვიატოშინოდან პოსტ-ვოლინსკისკენ მიმავალ რკინიგზის ხაზზე ქვემეხებმა დაიქუხა. ყვითელ ჟუჟუნებში ჩრდილები ამღერდნენ და გამხდარმა, გულფიცხმა ტოროპეცმა თავის ადიუტანტს, ხუდიაკოვსკის უთხრა:

— სვიატოშინო აიღეს. ბატონო ადიუტანტო, გეთაყვა, სთხოვეთ, სვიატოშინოში ბრძანება ვადასცენ.

ტოროპეცის მატარებელი ნელა გაემართა ყვავლებიანით აღბართულ დათოვლილ ხეთა რიგებს შუა და რკინიგზის ხაზისა და ქალაქში ისარივით შეჭრილი უზარმაზარი შარაგზის გადაკვეთაზე შეჩერდა. და აქ, სალონში, პოლკოვნიკმა ტოროპეცმა იწყო თავისი გეგმის განხორციელება, რომელიც ორი უძილო ღამის განმავლობაში ამავე № 4173 ბაღლინჯოებიან ვაგონში შეიმუშავა.

ყოველი მხრიდან ალყაშემორტყმული ქალაქი ნისლიდან ნელ-ნელა გამოიკვეთა. ქალაქის განაპირა ტყისა და სახნავ-სათესი მიწების ჩრდილოეთით, აღებული სვიატოშინოს დასავლეთით, ბედუკულმართი პოსტ-ვოლინსკის სამხრეთ-დასავლეთით, რკინიგზით შემორკალული ჭალების, სასაფლაოების, საძოვრებისა და სასროლეთის სამხრეთით, ყველა ბილიკსა და გზას, ანდა პირდაპირ დათოვლილ ველებს შავად მოსდებოდა და ჩხარაჩხურით წინ მიიწევდა მხედრობა. ჭრიალებდა მძიმე ქვემეხები, მიაბიჯებდნენ და თოვლში ეფლობოდნენ ერთი თვის ალყით დაქანცული პეტლურას ჯარის ქვეითი რაზმები.

ვაგონ-სალონში, ჩექმის ქუსლებით დათითხნილი მაუდის იატაკი რომ ჰქონდა, ტელეფონები ყოველ წუთას მამლაყინწებივით ხმადაბლა, ნაზად ყიოდნენ, მთელი ღამის უძინარი ტელეფონისტები, ფრანკო და გარასი ლამის გამოლენჩებულიყვნენ.

— ტი-უ... პი-უ.. გისმენთ! პი-უ... ტი-უ...

ტოროპეცის გეგმა ეშმაკური გახლდათ. ეშმაკი იყო შავწარბა, წვერგაპარსული, გულფიცხი პოლკოვნიკი ტოროპეცი. ქალაქის ტყეში ამაოდ არ გაუგზავნია ორი ბატარეა, სუსხიან ჰაერში ამაოდ არ გრუხუნებდნენ ქვემეხები, ამაოდ არ დაუმსხვრევიათ ტრამვაის ხაზი დათოვლილ პუშჩა-ვოდიცაში, მერე სახნავ-სათესი მიწების მხრიდან ტყვიამფრქვევები ამაოდ არ დაძრეს და მარცხენა ფლანგს მიუახლოვეს. ტოროპეცს სურდა ქალაქის დამცველები შეეცდინა, თითქოს იგი ქალაქის აღებას მარცხენა ფლანგიდან (ჩრდილოეთიდან), გარეუბან კურენევკის მხრიდან აპირებდა, რათა ქალაქის ჯარი იქით გადაეყვანათ, თავად კი ქალაქისთვის პირდაპირ სვიატოშინოდან, ბრესტ-ლიტოვსკის შარაგზიდან, აგრეთვე განაპირა მარჯვენა ფლანგიდან, სამხრეთიდან, სოფელ დემიევკის მხრიდან დაერტყა.

და, აი, ტოროპეცის გეგმის შესასრულებლად მარცხენა ფლანგიდან მარჯვენა ფლანგისკენ მიმავალ გზებზე დაიძრნენ პეტლურას ჯარის ნაწილები. სტვენისა და გარმონიკის ხმაზე ზემდეგების წინამძღოლობით მიეგართებოდა კოზირ-ლეშკოს შავბოხოხიან მხედართა პოლკი.

— დიდება! — გუგუნებდა გაის ჭალები. — დიდება!

გაის გაუსწორდნენ, გვერდზე ჩამოიტოვეს და, როცა ძელურ ხიდზე რკი-

ნიგზის ლიანდაგი გადაკვეთეს, ქალაქიც დაინახეს. ქალაქი ძილის თბილი ბურანიდან ჯერაც არ გამოფხიზლებულიყო, ბურუსი თუ კვამლი სვეტ-სვეტად ასდიოდა. უზანგებზე შემართული კოზირი ცეცხის ძინებიდან იცქირებოდა იქით, სადაც ერთმანეთს მისჯროდა მრავალსართულიან შენობათა სახურავები და ძველი სოფიის ტაძრის გუმბათები.

კოზირის ხელმარჯვნივ ბრძოლა უკვე დაწყებულიყო. ეარეენელი ... ...

* *

ამის თაობაზე არაფერი იცოდნენ პირველი ლაშქრის იუნკრებმა. საბწუხარო კია! რომ სცოდნოდათ, იქნებ შთაგონება სწვეოდათ და პოსტ-ტოლსტოის შრაპნელით დაცხრილული ცის ქვეშ კი არ ეწრიალათ, ლიაყოში მუუდრო ბინას სწვეოდნენ, იქიდან ნამძიმარეული პოლკოვნიკი შეოტკინა [illegible] და იქვე, ოქროსფერთმიანი ქალბატონის ბინის პირდაპირ [illegible] ჩამოეხრჩოთ.

* *

კარგი კი იქნებოდა. ასე მოქცეულიყვნენ, მაგრამ ასე არ მოქცეულან. რადგან არაფერი იცოდნენ და არც რაზე გაეგებოდათ.

არც ქალაქში გაეგებოდა ვინმეს რაიმე და ალბათ ვერც მალე გაიგებდნენ. ქალაქში ხომ რკინისგან ნაჭედი, თუმცა უკვე ცოტა ფხამოცვეთილი გერმანელები არიან, ქალაქში ხომ ულვაშშეკრეჭილი, ტანწვრილი ჰეტმანია (იდუმალებით მოცული მაიორის ფონ შრატის კისერში დაჭრის ამბავი დილით ძალზე ცოტა ვინმემ თუ იცოდა). ქალაქში ხომ მისი ბრწყინვალება თავადი ბელორუკოვია, ქალაქშია გენერალი კარტუზოვიც, რუსეთის ქალაქთა დედის დასაცავად ლაშქრებს რომ აყალიბებს, ქალაქში, ასეა თუ ისე, შტაბების ტელეფონები რეკს და მოერის (ალბ არავინ იცოდა, რომ შტაბებმა დილასვე იწყო დაქსაქსვა), ქალაქში საბჭოების ტაბრია. სიტყვა „პეტლურა" ქალაქში სიბ. შაგელ ბადებს. მას გაზეთ „ცნობების" ფურცლებზე ნომერშიც კი დასცინიან ულამაზო პეტერბურგელი ჟურნალისტები. ქალაქში კადეტები მ-დი-მოდიან. იქ კი, კარავაევის ეგარაკებთან უკვე სტეენით მოქრის ჭრელაჭრელა ბოხოხიანი ბზედრობა, ჭარცხენა ფლანგიდან მარჯვენა ფლანგისკენ კი მსუბუქი ჩორთით მიემართებიან მკვირცხლი ჰაიდამაკები. თუ ისინი ხეთა ვერსის აქეთ უსტვენენ. მაშინ საკითხავია, ჰეტმანს რისი იმედიღა უნდა ჰქონდეს? ეს ხომ მისი სულის მოსახსენებელს უსტვენენ! ოჰ, უსტვენენ... იქნებ გერმანელები გამოესარჩლონ? მაგ საეგურ ფასტიაში ტუმბა-გერმანელები გულგრილად რატომ იღიმებიან გერმანულად შეკრეჭილ ულვაშებში, როცა მათ თვალწინ ქალაქისკენ გეზაღებული პეტლურას ჯარის ნაწილების ეშელონები ეშელონებს მიჰყვებიან? იქნებ პეტლურას შეუთანხმდნენ, რომ ქალაქში მშვიდობიანად შეუშვან? მაგ თეთრი ოფიცრების ქვემეხები პეტლურას რა ეშმაკადღა ესკრიან?

არა, ვერავინ გაიგებს, თოთხმეტ დეკემბერს ქალაქში რა ხდებოდა.

შტაბის ტელეფონები რეკდა, მაგრამ სულ უფრო იშვიათად, იშვიათად, იშვიათად...

იშვიათად!

იშვიათად!

დრრრრ!..

— ტიუ...

— თქვენთან რა ხდება?

— ტიუ...

— ვაზნები გაუგზავნეთ პოლკოვნიკ...

— სტეპანოვს...

— ივანოვს.

— ანტონოვს!

— სტრატონოვს!..

— დონისკენ... დონისკენ წასვლა გვერჩია, ძმებო... აქ ვერაფერს გაემ-
სდარვართ.

— ტი-უ...

— უჰ, იმ შტაბელი არაშზადების დედა!

— დონისკენ!..

სულ უფრო და უფრო იშვიათად. შუადღისკენ კი უკვე ძალზე იშვიათად
რეკდა ტელეფონი.

ქალაქის ირგვლივ ხან აქ, ხან იქ, გრგვინვა აზავთდებოდა. მერე კი შეწ-
ყდებოდა... მაგრამ ამ გრგვინვის მიუხედავად ქალაქი შუადღემდე ჯერ კიდევ
ჩვეულებრივი ცხოვრებით ცხოვრობდა. მაღაზიები ღია იყო და ვაჭრობდა. ტრო-
ტუარებზე ხალხი მრავლად მიდი-მოდიოდა. გაისმოდა კართა ჯახუნი, ზარის
წკრიალით მიხრიგინებდა ტრამვაი.

და, აი, შუადღისას პეჩორსკის მხრიდან მხიარულად ამღერდა ტყვიამფ-
რქვევი. წყვეტილი კაკანი პეჩორსკის გორებზე ასხლტა და ქალაქის შუაგულის-
კენ გაფრინდა. მოიცათ, ეს ხომ სულ ახლოსაა!.. რა ხდება? გამვლელები
ჩერდებოდნენ და ჰაერს ყნოსავდნენ. იქა-იქ ტროტუარებზე ხალხი უცებ შეთ-
ხელდა.

— რა ხდება? ვინ არიან?

— არრრრრრრრრ-პა-პა-პა-პა-პა! პა! პა! რრრრრ!!

— ვინ არიან?

— როგორ თუ ვინ? ბატონო ჩემო. ეგ როგორ არ იცით? პოლკოვნიკი ბოლ-
ბოტუნი გაბლავთ.

* *

ოჰო, აკი ბოლბოტუნი შეტლურას აუჯანყდაო!

პოლკოვნიკ ბოლბოტუნს მიუბრუნდა. პოლკოვნიკ ტორობეცის თავსატეხ-
გენერალურ-შტაბური ნაბიჯების აღსრულება და გადაწყვეტა იმბავთა განეი-
თარება ცოტა დაეჩქარებინა. ბოლბოტუნის მხედრები გაითოშნენ საბრეთიო
მდებარე სასაფლაოს გადაღმა, საიდანაც დათოვლილ ბორეულ დხეკრამდე ოთხ-
დე ნაბიჯილა იყო. თვით ბოლბოტუნიც გაითოშა. ჰოდა, ბოლბოტუნმა მათრახი
შემართა, მისი ცხენოსანთა პოლკი მარჯვნიდან სამ რიგად დაიძრა, გზაზე გა-
ეჭიმა და ლიანდაგს მიადგა, ქალაქის გარეუბანს მჭიდროდ რომ შემორკალო-
და. პოლკოვნიკ ბოლბოტუნს იქ არავინ შეხვედრია. მისი ექვსი ტყვიამფრქვევი
ისე აგრიალდა, რომ ჭეჭამ ნიუხაია ტელიჩკას მთელ სანახებს გადაურბინა.
ბოლბოტუნმა რკინიგზის ხაზი თვალის დახამხამებაში გადაჭრა და სამგზავრო
მატარებელი გააჩერა, რომელმაც რკინიგზის ხიდის ისარი ის-ის იყო გაიარა
და ქალაქში ჩამოიყვანა ახალი წყება მოსკოველებისა და პეტერბურგელებისა,
რომელთაც თან ახლდათ ჩაფუნთუშებული ქალები და ბანჯგვლიანი ფინიები.
მგზავრებს თავზარი დაეცათ, მაგრამ ბოლბოტუნს იმდენად ფინიებისთვის არა
სცხელოდა. ცარიელი სატვირთო ვაგონებისგან შემდგარი მატარებლები ქალაქის
II სატვირთო სადგურიდან ქალაქის I სამგზავრო სადგურისკენ გაჰგზავნეთ გე-

ნართა, დასტეინეს სამანევრო ორთქმაველებმა, ხოლო წმინდა სამების ჭუჩის სახლთა საბურავებზე ბოლბოტუნის ტყვიები უცაბედ სეტყვასავით ამოკუნდა. ბოლბოტუნი ქალაქში შევიდა და ჭუჩას გაუყვა. ყველა შესახვევები ტახოსან ეზვერავებს აგზავნიდა და სამხედრო სასწავლებელს შეუფერებლად ძალიან დაბრკოლებას ბოლბოტუნი მხოლოდ ნიკოლოზის სასწავლებლის ბათქამჩამოხგრეულ სვეტებიან შენობასთან შეეფეთა. აქ მას ტყვიამფრქვევისა და ლიფლიაც მწკრივის კანტიკუნტი ცეცხლი შემოეგება. ბოლბოტუნის პირველი ასეულის დაწინაურებულ ოცეულში კაზაკი ბუკენკო მოკლეს, ხუთი კაცი დაჭრეს, ორ ცხენს კი ფეხები მოსტეხეს. ბოლბოტუნი ერთხანს შეყოყნდა, რატომღაც მოეჩვენა, წინ აურაცხელი მტერია. ნამდვილად კი ლეონიბოხოხიას პოლკოვნიკს ოცდაათი იუნკერი და ოთხი ოფიცერი ესალმებოდა ერთი ტყვიამფრქვევით.

გაისმა ბრძანება და ბოლბოტუნის მხედრები ჩამოქვეითდნენ. გაწვნენ. ფიუნკრებს საფრებიდან სროლა გაუმართეს. ბეჩორსკი ჭახაჭუხმა გააყრუა. კედლებიდან ექო ავარდა და მილიონის ჭუჩა ჩადანივით ათუხუხდა.

ბოლბოტუნის მოქმედებამ ქალაქს უმალ თავისი ყვალი ფაჩნია. ულიანოვეტინსკაიას, ვინოგრადნაიას და ლევამოვის ჭუჩებზე რკინის ფარდები ამაბიახდა, მხიარული მალაზიები დაბრმავდა, ტროტუარები მყის დაკარიელდა და ყოველ ჩქამს უსიამო გრიალი გაჰქონდა. მეეზოვეებმა ჭიშკრები ფიცხლად დაკეტეს.

ყვალი ქალაქის შუაგულსაც დაეტყო: შტაბის ტელეფონებში მამლები მიეუჩდნენ.

დივიზიონის შტაბში წრიპინი გაისმის. ბატარეიდან რეკავენ. რა ჯანდაბაა, ყურმილს არავინ იღებს! წრიპინი გაისმის სარდლის შტაბშიც. რაზმიდან რალაცას მოითხოვენ, პასუხად კი უაზრო სიტყვები მოესმით.

— თქვენს ოფიცრებს სამხრეები უკეთიათ?

— რა? რა თქვით?

— ტი-უ...

— ტი-უ...

— ბეჩორსკისკენ რაზმი დაუყოვნებლივ გაგზავნეთ!

— რა, რა თქვით?

— ტი-უ...

ჭუჩებში ჩაიშრიალა: ბოლბოტუნი, ბოლბოტუნი, ბოლბოტუნი, ბოლბოტუნი...

საიდან შეიტყვეს, რომ ეს ნამდვილად ბოლბოტუნი იყო და არა სხვა ვინმე? არავინ იცის. მაგრამ შეიტყვეს. შესაძლოა ეი, რატომ: შუადღისას გამელელებსა და ქალაქის ჩვეულებრივ უსაქმურობა შორის ვილაც-ვილაცები გაჩოჩნდნენ, კრაველისაყელოიანი პალტოები რომ ეცვათ. ბიდი-ბოდიოდნენ, დაძვრებოდნენ, ფიუნკრებს, კადეტებს, ოქროსსამხრეებიან ოფიცრებს თვალს აყოლებდნენ, დიდხანს ჩაციებით აცქვერდებოდნენ. ჩურჩულებდნენ:

— ბოლბოტუნი გარეუბანში შემოვიდა.

ჩურჩულებდნენ ბრაზისა და ბოლმის გარეშე. პირიქით, მათ თვალებშიამკარად იკითხებოდა — „დიდება!"

— დი-დე-ბა-ბა-ბა-ბა-ბა-ბა-ბა-ბა-ბა-ბა-ბა... — გუგუნებდნენ ბეჩორსკის ჯორები.

ათასნაირმა ჭორმა და აბდაუბდამ ფრთები გაშოიხა.
— ბოლბოტუნი დიდი მთავარი მიხაილ ალექსანდროვიჩია.
— პირიქით: ბოლბოტუნი დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლაევიჩია.
— ბოლბოტუნი უბრალოდ ბოლბოტუნია.
— ებრაელთა დარბევა დაიწყება.
— პირიქით: ისინი წითელბანტიანები არიან.
— გირჩევნიათ შინისკენ მოკურცხლოთ.
— ბოლბოტუნი ჰეტლერას წინააღმდეგაა.
— პირიქით: ბოლშევიკების მოსახრეა.
— სულაც არა: მეფის მომხრეა, ოღონდ უოფიცრებო ჯეფისა.
— ჰეტმანი გაიქცა?
— ნუთუ? ნუთუ? ნუთუ? ნუთუ? ნუთუ? ნუთუ?
— ტი-უ. ტი-უ. ტი-უ.

* *

ბოლბოტუნის მზვერავები ასისთავ გალაბებას წინამძღოლობით მილიონის ქუჩას გაუყვნენ. მთელ ქუჩაზე კაციშვილი არ ჩანდა, და უცებ, ოქვენ წარმოიდგინეთ, სადარბაზოს კარი გაიღო და მზვერავთა რაზმის ბოლოში მიმავალი ხუთი ცხენოსანი ფოჩიანი ჰაიდამაკის პირისპირ სახელგანთქმული მოიჯარე იაკობ გრიგორიევიჩ ფელდმანი გამოიჭრა. ხ

მ არ შეიშალეთ, იაკობ გრიგორიევიჩ, რა დროს ახლა სირბილია, ვერ ხედავთ, რა ამბავი ტრიალებს? დიახ, იაკობ გრიგორიევიჩი მართლა შემშლილსა ჰგავდა. ზღვის ალის ბეწვის ქუდი კეფაზე გადავარდნოდა, პალტო გაღეღოდა, თვალებს აცეცებდა.

დაფეთების მიზეზი კი ჰქონდა იაკობ გრიგორიევიჩ ფელდმანს. რაწამს სამხედრო სასწავლებელთან ჭახაჭუხი ატყდა, იაკობ გრიგორიევიჩის ცოლის ნათელ საწოლ ოთახში კვნესა გაისმა. კვნესა განმეორდა და შეწყდა.

— ვაი, — თქვა კვნესის პასუხად იაკობ გრიგორიევიჩმა, ფანჯრიდან გაიხედა და დარწმუნდა, რომ გარეთ ძალზე ცუდად იყო საქმე. ირგელივ გრგვინავსა და საკარიელეს დაესადგურებინა.

კვნესამ კი იმატა და იაკობ გრიგორიევიჩს გული ისე დაუსვრა, თითქოს დანა დაარტყესო. წელში მოკუზულმა დედაბერმა, იაკობ გრიგორიევიჩის დედამ საწოლი ოთახიდან გამოიხედა და შვილს გამოსძახა:

— იაშა! გესმის? დაეწყო!

იაკობ გრიგორიევიჩის ფიქრები მყის იმ მხარეს გაფრინდა, სადაც მილიონის ქუჩის კუთხეში, უშენი ადგილის განაპირას, კუთხის სახლის კარზე მშვიდად ეკიდა დაკანგებული დაფა, რომელზედაც ოქროსფერი ასოებით ეწერა:

ბებიაქალი
ე. ტ. შადურსკაია.

მილიონის ქუჩაზე გასვლა საკმაოდ სახიფათოა, თუმცა ეს ქუჩა განივად გადის, პეჩერსკის მოედნიდან კიევის დალმართისკენ კი სიგრძივ ისვრიან.

ოღონდაც გადარბენა მოასწროს, ოღონდაც... იაკობ გრიგორიევიჩს ბეწვის ქუდი კეფაზე გადავარდნია, თვალებში შიშისზარი ჩასდგომია და კედელ-კედელ მიიპარება.

— სდექ! სად მიდიხარ?

გალანბა უნაგირიდან გადმოიხარა. ფელდმანს შავი ფერი დაედო, თვალები აცაბაცად წაუვიდა, თვალებში ჰაიდამაკების ყაითნიანი მწვანე ფოჩები აუთამაშდა.

— ბატონებო, მე მშვიდობიანი მცხოვრები ვარ, ცოლი შშობიარობს, ბებიაქალი უნდა მივუყვანო.

— ბებიაქალი? მაშ კედელ-კედელ რას მიძვრები? ჰა? შეატყვეს

— მე, ბატონებო...

მათრახმა ზღვის კატის ბეწვის საყელოზე და კისერზე გველივით გადაიშხავლა. ფელდმანმა ჯოჯოხეთური ტკივილი იგრძნო და წამოიკივლა. ჩაშავებულ სახეზე ახლა მიტკლისფერი გადაეკრა, ფოჩებს შორის ცოლის სახე მოელანდა.

— საბუთები!

ფელდმანმა საფულე ამოიღო. სადაც საბუთები ეწყო, გაშალა, პირველი ფურცელი ამოიღო და უცებ აკანკალდა. მაშინლა გიახსენდა... ოჰ, ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! ეს რა ჩაიდინა? იაკობ გრიგორიევიჩ, ეს რა ამოიღეთ? განა ასეთი წვრილმანი გაგახსენდება, როცა ცოლის საწოლ ოთახში პირველი კვნესა გაისმის და სახლიდან გამორბიხარ? ვაი შენს თავს, ფელდმანო! გალანბამ საბუთი ხელში სწრაფად მოიგდო. სულ ერთი ბეწო, სიფრიფანა, ბეჭედდასმული ქაღალდია, — მაგრამ ამ ქაღალდში ფელდმანის სიკვდილია დაბუდებული.

ამის წარმოძდგენ იაკობ გრიგორიევიჩ ფელდმანს ქალაქში თავისუფლად შესვლა-გასვლის ნება ეძლევა ქალაქის გარნიზონის ჯავშნოსანი ნაწილების მოსამარაგებლად. ავრეთვე ნებადართული აქვს ღამის 12 საათის შემდეგ ქალაქში სიარული.

მომარაგების უფროსი გენერალ-მაიორი ილარიონოვი.
ადიუტანტი — პორუჩიკი ლეშჩინსკი.

ფელდმანი გენერალ კარტუზოვს ქვემეხების საპოხი ქონითა და ვაზელინით ამარაგებდა.

ღმერთო, სასწაული მოახდინე!

— ბატონო ასისთავი, ეგ ის საბუთი არ არის!.. თუ შეიძლება...

— არა, ის არის, — თქვა გალანბამ და მზაკვრულად ჩაიცინა — ნუ დარდობ, კითხვა ვიცით და თვითონ წაიკითხავთ.

ღმერთო, სასწაული მოახდინე! თერთმეტი ათასი მანეთი... სულ წაიღონ, ოონდ სიცოცხლე შეუნარჩუნონ! ოღონდ შეუნარჩუნონ! შმა-ისროელ!

არ შეუნარჩუნეს.

კიდევ კარგი, ღმერთმა ფელდმანს ბოლი სიკვდილი არგუნა. ასისთავ გალანბას არ ეცალა, ამიტომ უბრალოდ ხმალი იშიშვლა და ფელდმანს თავზე გადაჭრა

პოლკოვნიკმა ბოლბოტუნმა შვიდი მოკლული, ცხრა დაჭრილი კაზაკი და შვიდი ცხენი დაკარგა. ჩეპორსკის მოედნიდან რეზნიკოვის ჭუჩამდე ნახევარი

ვერსი გაიარა და კვლავ შეჩერდა. იქ იუნკერთა უკანდახეულ მწკრივს დამხმარე ძალა შეემატა. მოვიდა ერთი ჯავშნოსანი მანქანაც. კომკვეთანი, მოუქნელი, რუხი კუ მოსკოვის ქუჩაზე გამობობდა და პეჩორსკისკენ სამჯერ გაგზავნა კომეტისკუდიანი ბათქი, რომლის ხმა ხმელი ფოთლების შრიალს წააგავდა (სამდუიმრიანი გახლდათ). ბოლბოტუნი უმალ ჩამოქვეითდა, მეჯინიბეებმა ცხენები შესახვევში შერეკეს, ბოლბოტუნის პოლკმა ოღნავ უკან დაიხია პეჩორსკის მოედნისკენ, ქუჩაში მწკრივებად გაწვა და უღიმღამო დუელი დაიწყო. კუმ მოსკოვის ქუჩა გადაკეტა და დროდადრო ბუხუნებდა. სუკოროვის ქუჩის ბოლოდან ამ ხმას ნაწყვეტ-ნაწყვეტი, მეჩხერი ტაკატაკუცი აჰყვა. იქ, თოვლში, ბოლბოტუნელთა სროლის გამო უკუქცეულ მწკრივთან ერთად გაწოლილიყო დამხმარე რაზმი, რომელიც ასეთნაირად წარმოიქმნა:

— დრ-რ-რ-რ-რ-რ-რ-რ-რ-რ...

— პირველი ლაშქარია?

— დიახ, გისმენთ.

— პეჩორსკისკენ დაუყოვნებლივ გაგზავნეთ ოფიცერთა ორი ასეული.

— არის. დრრრრრ... ტი...ტი...ტი...ტი...

ჰოდა, პეჩორსკზე მოვიდა ოთხმეტი ოფიცერი, სამი იუნკერი, ერთი სტუდენტი, ერთი კადეტი და ერთიც მინიატურების თეატრის მსახიობი.

* *

ეი რომ ერთი მეჩხერი მწკრივი ვერაფერს გახდებოდა, თუნდაც ერთი კუ დამხმარედ ჰყოლოდა. ერთის მაგივრად კი ოთხი კუ უნდა მოსულიყო. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, ოთხივე კუ თუ მოვიდოდა, პოლკოვნიკი ბოლბოტუნი იძულებული შეიქნებოდა პეჩორსკს გასცლოდა. მაგრამ ისინი არ მოსულან.

ეს კი იმიტომ მოხდა, რომ ჰეტმანის ჯავშნოსან დივიზიონში, რომელიც ოთხი ჩინებული მანქანისგან შედგებოდა, მეორე მანქანის მეთაური გახლდათ სახელგანთქმული პრაპორშჩიკი მიხაილ სემიონოვიჩ შპოლიანსკი, 1917 წლის აპრილში გიორგის ჯვარი პირადად ალექსანდრ ფიოდოროვიჩ კერენსკისგან რომ ჰქონდა მიღებული.

შავგვრემანი და წვერ-ულვაშგაპარსული, ხავერდის ბაკენბარდებიანი მიხაილ სემიონოვიჩი ძალიან წააგავდა ევგენი ონეგინს. იგი უმალ გაიცნო მთელმა ქალაქმა, როგორც კი ქალაქ სანკტ-პეტერბურგიდან ჩამოვიდა. მიხაილ სემიონოვიჩმა სახელი გაითქვა, ვითარცა კლუბ „ფერფლში" საკუთარი ლექსების „სატურნის წვეთების" დიდებულმა მკითხველმა, პოეტების საუცხოო ორგანიზატორმა და პოეტთა საქალაქო ორდენის „მაგნიტური ტრიოლეტის" თავმჯდომარემ. ამას გარდა, ბადალი არ ჰყავდა, როგორც ორატორს, თანაც სამხედრო თუ სამოქალაქო ტიპის მანქანების მართვაც შეეძლო. ამას ისიც დაუმატეთ, რომ მის ბარჯზე ცხოვრობდნენ ოპერის თეატრის ბალერინა მუსია ფორდი და ერთი ქალი, ვის ვინაობასაც როგორც ჯენტლმენი, არავის უმხელდა, ჰქონდა ძალიან ბევრი ფული და „მაგნიტური ტრიოლეტის" წევრებს სუსხად ხელგაშლით ურიგებდა.

სვამდა თეთრ ღვინოს,
თამაშობდა ცხრიანს,

იყიდა სურათი „მობანავე ვენეციელი ქალი“.

ღამით კრემჩატიკზე ცხოვრობდა.

დილით კაფე „ბილბოკეში“.

დღისით — ყველაზე საუკეთესო სასტუმრო „კონტინენტალში“, თავის მყუდრო ნომერში.

საღამოთი — „ფერფლში“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გათენებისას წერდა მეცნიერულ შრომას „ინტუიციური გოგოლის შემოქმედებაში“.

ჰეტმანის ქალაქი სამი საათით იმაზე ადრე რომ დაემხო, ვიდრე უნდა დამხობილიყო, ეს სწორედ იმიტომ მოხდა, რომ მიხაილ სემიონოვიჩმა 1918 წლის დეკემბერს საღამოთი „ფერფლში“ სტეპანოვს, შეიერს, სლონიხს და ჩერიომშინს („მაგნიტური ტრიოლეტის“ მოთამაშეებს) განუცხადა

— ყველანი არამზადები არიან. ჰეტმანიც და პეტლურაც. მაგრამ პეტლურა, ამას გარდა, დამრბევიცაა. თუმცა მთავარი ეს არ გახლავთ. დიდი ხანია ბომბები აღარ მისროლია და ამის გამო მოვიწყინე.

„ფერფლში“ ვახშმის დამთავრების შემდეგ, რომლის საფასური მიხაილ სემიონოვიჩმა გადაიხადა, იგი — ცილინდრსა და თახვისსაყელოიან ბეგიფას ქურქში გამოწყობილი — გააცილა მთელმა „მაგნიტურმა ტრიოლეტმა“ და მეხუთემ — მთვრალმა და თხის ტყავის პალტოიანმა. ამ კაცზე შპოლიანსკიმ ცოტა რამ იცოდა: პირველი ის, რომ სიფილისი სჭირდა. მეორე, ღვთისმგმობელ ლექსები ჰქონდა დაწერილი, რომლებიც ლიტერატურულ წრეებში დიდი ნაცნობობის მქონე მიხაილ სემიონოვიჩმა მოსკოვში გამოცემულ ერთ კრებულში მოათავსებინა. და მესამეც — გვარად რუსაკოვი და ბიბლიოთეკარის შვილი იყო.

კრემჩატიკზე, ელექტროფარნის ქვეშ მდგარი სიფილისიანი კაცი ტიროდა, ცრემლები თხის ბეწვზე ჩამოსდიოდა. შპოლიანსკის თახვის ბეწვის საძაღნეზე ჩაფრენოდა და ეუბნებოდა:

— შპოლიანსკი, შენ ყველაზე ძლიერი კაცი ხარ ამ ქალაქში, რომელიც ჩემსავით ლპება. შენ ისეთი კარგი ხარ, რომ ონეგინთან შემაძრწუნებელი მსგავსებაც კი შეიძლება გეპატიოს! მისმინე, შპოლიანსკი... უმსგავსობაა, ონეგინს ასე რომ გავხარ! ძალიან ჯანმრთელი ხარ... შენ არ გქამს ის ეთილშობილი ქია, რაც ჩვენი დროის მართლაცდა გამოჩენილ კაცად გაქცევდა... აი, მე ვლპები და ამით ვამაყობ... შენ მეტისმეტად ჯანმრთელი ხარ, მაგრამ ხრახნივით ბძლავრიც ხარ, ამიტომ მაღლა აიჭერ!.. მაღლა აიჭერ!.. აი, ასე..

ჰოდა, სიფილიტიკმა აჩვენა, ეს როგორ უნდა ექნა: ფარანს ხელები შემოაჭდო, ხრახნივით შემოესალტა, ჭიაყელასავით დაიგრიხა, დაწვრილდა და დაგრძელდა.

გვერდით კახპებმა ჩაიარეს. ზოგს მწვანე, ზოგს წითელი, ზოგს შავი და ზოგსაც თეთრი ქუდი ეხურა. თოჯინებივით ლამაზები იყვნენ, ხრახნს მხიარულად გამოსძახეს:

— ჩახეთქე? უჰ. შენი დედა...

ცალზე შორს ქვემეხების ბუხუნი გაისმოდა, ხოლო ელექტროშუქზე ფრენა-ფრენით მომავალ თოვლის ფანტელთა ქვეშ მდგარი მიხაილ სემიონოვიჩი მართლაც ონეგინს ჰგავდა.

— წადი, დაიძინე, — ეუბნებოდა იგი სიფილისიან ხრახნს და თან პირ-

არიდებდა, რომ მას ზედ არ მიეხველებინა, — წადი-მეთქი, — და თხის ტყავის პალტოიანს მკერდში თითის წვერებს უბიძგებდა. ლაიკის შავი ხელთათმანები გაქუცულ შეეიოტს ეხებოდა. თხისტყავიანს თვალები გაბუნდოდა. ერთმანეთს დაშორდნენ. მიხაილ სემიონოვიჩმა მეეტლეს მოუხმო, დაუყვირა: „მალო-პროვალნაია“, — და ეტლით წავიდა. თხისტყავიანი კი ჰოდოლისკენ, თავისი ბინისკენ, ქუჩას ბარბაცით გაუყვა.

* *

ღამით ჰოდოლზე ბიბლიოთეკარის ბინაში, თხის ტყავის მფლობელი სარკის წინ წელამდე გაშიშვლებული იდგა და ხელში ანთებული სანთელი ეჭირა. თვალებში შიში ჭინკასავით უხტოდა, ხელები უკანკალებდა. სიფილისიანი ლაპარაკობდა და ტუჩები ბავშვივით უთრთოდა.

— ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო... რა საშინელებაა, რა საშინელება, რა საშინელება... ოჰ, ის ღაბე! მე ბედუკუღმართი ვარ. შეიერიც ბომ იყო ჩემთან ერთად, მაგრამ ჯანმრთელია, იმას არ გადასდებია, იმიტომ რომ ბედი აქვს. იქნებ წავიდე და ლელკა მოვკლა? მაგრამ რა აზრი აქვს? ვინ მეტყვის, რა აზრი აქვს? ოჰ, ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო... მე ოცდათხუთმეტი წლისა ვარ და შემეძლო, შემეძლო... გავა თხუთმეტი წელი, იქნებ ნაკლებიც, ჰოდა, თვალის გუგები სხვადასხვანაირი გამიხდება, ფეხები ამომეკვანტება, უაზრო, სულელურ ლაპარაკს დავიწყებ. მერე კი დამპალ, დაწყლულებულ გვამად ვიქცევი.

დამტვერილ სარკეში წელამდე შიშველი, გამხდარი სხეული ირეკლებოდა, მაღლა შემართულ ხელში სანთელი ბრიალებდა. მკერდი ნაზ, წვრილ-წვრილ, ვარსკვლავისებურ სხურპლს დაეფარა. სნეულს ცრემლები ღაყებზე ღვარად ჩამოსდიოდა და მთელი სხეული ეცახცახებდა.

— სჯობია, თავი მოვიკლა, მაგრამ სააბისოდ ძალა არა მყოფნის. შენ წინაშე ხომ ვერ ვიცრუებ, ღმერთო? შენ წინაშე ხომ ვერ ვიცრუებ, ჩემო ანარეკლო?

მან პატარა საწერი მაგიდის უჯრიდან ყოვლად უხეირო ნაცრისფერ ქაღალდზე დაბეჭდილი თხელი წიგნაკი ამოიღო, რომლის გარეკანზე წითელი ასოებით იყო გამოყვანილი:

ფანტომისტები
ფუტურისტები

ლექსები:

მ. ჰოლიანსკისა.
ბ. ფრიჩეანისა.
ს. შარკევიჩისა.
ი. რუსაკოვისა.

მოსკოვი 1918.

საბრალო სნეულმა წიგნაკი მეცამეტე გვერდზე გადაშალა და ნაცნობი სტროფონები დაინახა:

(ივ. რუსაკოვი)

ღმერთის ბუნაგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზეცის თალის მიღმა,
სად ვერ აღწევს
უდაბნოთა ხვატი,
კვამლიანი ხეობაა ერთი,
ნადირიეათ თათს იწუწნის
ბანჯგვლიანი დათვი,
ზენა ირსი
ღმერთი.
რაღა სჯობს ამას,
ბუნაგში დასცხეთ
ზეციერ მამას.
ღმერთთან ბრძოლის ხმა
შემოსილა
ცეცხლოვან ძოწით,
ზეცის დამხობას
ყეგეებები
უშვერი ღოცვით.

— ოჰ-ოჰ-ოჰ, — ყბილი ყბილს დააჭირა და გულის წუხილით ამოიკვნესა სნეულმა. — ოჰ, — გაიმეორა მან მოუნელებელი ტანჯვით.

უცებ სახე მოეღრიცა, დააფურთხა იმ გვერდზე, სადაც მისი ლექსი იყო დაბეჭდილი, წიგნი იატაკზე დააგდო, მუხლებზე დაემხო და აკანკალებული ხელით პირჯვრის წერას მოჰყვა, თანაც თავს დაბლა ხრიდა და გაკინული შუალით მტვრიან იატაკს ეხებოდა. მერე ჩაშავებულ, უყმურად მომზირალ ფანჯრისკენ თვალები აღაპყრო და ლოცვას მოჰყვა:

— უფალო, მომიტევე და შემიწყალე, ეს ბილწი სიტყვები რომ დავწერე. მაგრამ ასე სასტიკად რატომ მეპყრობი? რატომ? ვიცი, რომ სასჯელი მომიგლინე. ოჰ, რა საშინელი სასჯელი მომიგლინე! აბა, ერთი ჩემს კანს დახედე. გეფიცები ყველა წმინდანს, ყოველივეს, რაც ამქვეყნად ძვირფასია, გარდაცვლილი დედის ხსოვნას, რომ საკმარისად დავისაჯე. მე მწამხარ! მწამხარ მთელი სულით და ხორცით, ტვინის ყოველი ძაფით. მწამხარ და მხოლოდ შენ გევედრები, რადგან ქვეყნიერებაზე არავინაა, ვინც ჩემს შველას შეძლებს. მხოლოდ შენი იმედი მაქვს, სხვა არავისი. მომიტევე და წამალს შეაძლებინე, რომ ძიშველოს! მომიტევე, რომ ვფიქრობდი, თითქოს შენ არ არსებობდი: შენ რომ არ არსებობდე, მე ახლა უიმედო, საცოდავი, ქეციანი ძაღლი ვიქნებოდი. მაგრამ მე ადამიანი ვარ და ძალა მხოლოდ იმიტომ მაქვს შერჩენილი, რომ შენ არსებობ და ყოველ წუთს შემიძლია შეგევედრო, შემწეობა გთხოვო. და მე მწამს, რომ ჩემს ვედრებას შეისმენ, მომიტევებ და განმკურნავ. განმკურნე, ოჰ, ღმერთო, დაივიწყე ის სიბილწე, უგუნურების, სიმთვრალის ჟამს რომ დავწერე კოკაინით გაბრუებულმა. გახრწნა განმარიდე და გეფიცები, რომ კვლავ ადამიანად ვიქცევი. განამტკიცე ძალნი ჩემნი, განმარიდე კოკაინი, განმარიდე სულის სიძაბუნე, განმარიდე მიხაილ სემიონოვიჩ შპოლიანსკი.

სანთელმა, ჩამოღვენთა იწყო, ოთახში აცივდა, გათენებისას სნეულს კანი წვრილად ეხორკლა და გულიდან კაეშანი გადაეყარა.

* *

მიხაილ სემიონოვიჩ შპოლიანსკიმ კი ღამის დარჩენილი ნაწილი ძალიან ბრონნაიას ქუჩაზე დაბალჭერიან დიდ ოთახში გაატარა, სადაც კედელზე ჩამოკიდებული ძველი სურათიდან მქრქალად იმზირებოდა დრო-ჟამისგან გახუნებული ორმოციანი წლების ეპოლეტები. მიხაილ სემიონოვიჩს ნაბეჭდ-ფაიხადა, ზეფირის თეთრი პერანგის ზემოდან ღრმად ამოჭრილი შავი ჟილეტი ეცვა, ვიწრო კოზეტზე იჯდა და ფემკრთალ ქალს ეუბნებოდა:

— იცი რა, იულია, მე საბოლოოდ გადავწყვიტე სამსახური დავიწყო ამ ირამზადა ჰეტმანის ჯავშნოსან დივიზიონში.

თიეთიკის ნაცრისფერ შალში გახვეულმა, ნახევარი საათის წინ ვნებიანი ონეგინის ხვევნა-კოცნით გატანჯულმა და მოთენთილმა ქალმა ასე უპასუხა:

— ძალიან ვწუხვარ, რომ შენი გეგმებისა არასოდეს არაფერი გამეგებოდა და არც ახლა შემიძლია გავიგო.

მიხაილ სემიონოვიჩმა კოზეტის წინ მდგარი ჰატარა მაგიდიდან წელში გამოყვანილი ჭიქა აიღო, სერნელოვანი კონიაკი ვადაჰკრა და ქალს უთხრა:

— არც არის საჭირო.

* *

ამ საუბრიდან ორი დღის შემდეგ მიხაილ შპოლიანსკი მთლიდ შეიცვალა. ცილინდრის მაგივრად ოფიცრისკოკარდიანი, ლავაშივით მრგვალი ქუდი ეხურა, სამოქალაქო ტანსაცმლის ნაცვლად მოკლე ჯუბაჩა ემოსა, მუხლებამდე რომ სწვდებოდა, და ზედ დასრესილი, ხაკისფერი სამხრეები ეკეთა. ხელებზე ფართომაჯებიანი ხელთათმანები ეცვა, როგორც მარსელს აცვია „ჰუგენოტებში", ფეხებზე კი — გეტრები. მიხაილ სემიონოვიჩი თავით ფეხამდე მანჭანის ზეთში იყო ამოსვრილი (სახეზეც კი ეცხო) და რატომღაც შური ესვა ერთხელ, სახელდობრ ცხრა დეკემბერს, ორი მანჭანა ქალაქიდან საბრძოლველად გავიდა და, უნდა ითქვას, რომ ამ მანჭანებმა ჩინებული წარმატებაც მოიპოვეს. შარაგზას გაუყვნენ, ოცი ვერსის მანძილზე გაღოღდნენ და მათი სამდუიმიანი ქვემეხების პირველივე დაქუხებისა და ტყვიამფრქვევების აწივლებისთანავე პეტლურელთა მწკრივებმა მოკურცხლეს. მეოთხე მანქანის მეთაური, პრაპორშჩიკი სტრაშკევიჩი, სახელაფლაქა ენთუზიასტი, მიხაილ სემიონოვიჩს არწმუნებდა, ოთხივე მანქანა ერთად რომ ვავიდეს, ქალაქის დასაცავად ესეც იკმარებსო. ეს საუბარი სტრაშკევიჩსა და შპოლიანსკის ცხრაში საღამოს ჰქონდათ, ხოლო თერთმეტ დეკემბერს, შებინდებისას, დივიზიონის მორიგე შპოლიანსკი შჩურის, კოპილოვისა და სხვების (მეშიზნეების, ორი შოფრისა და მექანიკოსის) ჯგუფში აი, რას ამბობდა:

— იცით რა, მეგობრებო, სიმართლეს თუ ვიტყვით, საკითხავია, სწორედ ვიქცევით თუ არა, ჰეტმანს რომ ვიცავთ. ჩვენ მის ხელში ძვირფასი და სახიფათო სათამაშო ვართ, რის მეოხებითაც იგი ყველაზე შავ რეაქციას ნერგავს. ეინ იცის, იქნებ პეტლურას შეტაკება ჰეტმანთან ისტორიულადაა განპირობებული და ამ შეტაკების შედეგად მესამე ისტორიული ძალა უდა წარმოიშვას, რომელიც შესაძლოა ერთადერთი სწორი ძალა იყოს.

მსმენელები მიხაილ სემიონოვიჩს იმის გამო აღმერთებდნენ, რის გამოც

ქლებ „ფერფლში“ მოიხვეჭა სახელი, — გასაოცარი მჭევრმეტყველებისათვის.

— ეგ რომელი ძალაა? — გაზეთის ნახევში გახვეული პაპიროსის ბოლეშით იკითხა კოპილოვმა.

ჭკვიანმა, ჩასკვნილმა, ქერა შჩურმა ჭუთუთოები ეშმაკურად ამოჭუტა და თვალის ჩაკვრით სადღაც ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ ანიშნა. ჭგუფმა ერთდროულად ცოტა ხანს ისაუბრა და მერე დაიშალა. თორმეტ დეკემბერს საღამოთი იმავე ციწრო წრეში მიხაილ სემიონოვიჩმა ავტომობილების ფარდულის უკან მეორე საუბარი გამართა. საგანი ამ საუბრისა უცნობი დარჩა, სამაგიეროდ კარგადაა ცნობილი, რომ თოთხმეტი დეკემბრის წინა საღამოს, როცა დივიზიონის ფარდულებში შჩური, კოპილოვი და ცხვირპაჭუა პეტრუხინი პირიგეობდნენ, მიხაილ შპოლიანსკი ფარდულებთან მივიდა, ხელში შესაფუთ ქაღალდში გახვეული დიდი პაკეტი ეჭირა. გუშაგმა შჩურმა იგი ფარდულში შეუშვა, სადაც საძაგელი ნათურა წითლად ბჟუტავდა, ხოლო კოპილოვმა ტომარაზე თვალით საკმაოდ მოურიდებლად ანიშნა და ჰკითხა:

— შაქარია?

— ჰო, — უპასუხა მიხაილ სემიონოვიჩმა.

ფარდულში ფარანი მანქანებთან ხან აქ და ხან იქ ციმციმებდა. შეფიქრიანებული მიხაილ სემიონოვიჩი მექანიკოსთან ერთად ფუსფუსებდა და მანქანებს სახვალიოდ ამზადებდა.

ამის მიზეზი ის გახლდათ, რომ დივიზიონის მეთაურმა, კაპიტანმა პლეშკომ შემდეგი შინაარსის ქაღალდი მიიღო: „თოთხმეტ დეკემბერს დილის რვა საათზე პეჩორსკზე ოთხივე მანქანა გაიყვანეთ“.

მიხაილ შპოლიანსკისა და მექანიკოსის ერთობლივმა მეცადინეობამ, რათა მანქანები საბრძოლველად მოემზადებინათ, უცნაური შედეგი გამოიღო. ჯერ კიდევ წინა დღეს სრულიად ჯანსაღი სამი მანქანა (მეოთხე საბრძოლველად იყო წასული სტრაშკევიჩის მეთაურობით) თოთხმეტი დეკემბრის დილას ადგილიდან ვეღარ იძვროდა, თითქოს დამბლა დასცემიათო. რა დაემართა ამ მანქანებს, ვერავის გაეგო. ქიკლიორებში რაღაც სისაძაგლე დალექილიყო. რამდენს არ ეცადნენ მათ გამოქრევას საბურავების ტუმბოებით, მაინც ვერაფერს გახდნენ. დილის ბინდბუნდზე სამივე მანქანას შეწუხებული ხალხი ფარნების შუქზე დასტრიალებდა. ფერმიხდილი კაპიტანი პლეშკო თვალებს მგელივით აბრიალებდა და მოითხოვდა, მექანიკოსი მოიყვანეთო. აი, ბაბინ დაიწყო უბედურებათა რიგი. მექანიკოსი გაქრა. გამოირკვა, რომ მისი მისამართი, ყოველგვარი წესის საწინააღმდეგოდ, მთელ დივიზიონში ორაივინ იცოდა. ხმა გავრცელდა, მექანიკოსს უცაბედად პარტახტიანი ტიფი შეპყრობია. ეს რვა საათზე მოხდა. ცხრის ნახევარზე კი კაპიტანმა პლეშკომ მეორე დარტყმა იგემა. პეტაპორშჩიკი შპოლიანსკი მანქანებთან ჯახირის შემდეგ ღამის ოთხ საათზე თურმე პეჩორსკისკენ გაემართა. იგი იქ შჩურს მოტოციკლეტით წაეყვანა. შპოლიანსკი იქიდან აღარ დაბრუნებულა. დაბრუნდა მხოლოდ შჩური და სამწუხარო ამბავი მოიტანა. მოტოციკლეტით თურმე ვერსწავლა ტელიჩკაში გავიდნენ. იქ შჩური ამაოდ ცდილა პეტაპორშჩიკ შპოლიანსკისთვის უგონური განზრახვა გადაეთქმევინებინა. ნაუნებულმა შპოლიანსკიმ, ვისაც ორაივინ ოივი სიმამაცის ამბავი მთელმა დივიზიონმა იცოდა, შჩური მიატოვა, კარაბინი და ხელყუმბარა წაიღო და სიბნელეში რკინიგზის ლიანდაგის დასაზვერად

მარტო გაემართა. შჩურმა სროლის ხმა გაიგონა. შჩური ნაღდად დარწმუნებულია, რომ ტელიჩკაში მტრის მოწინავე ცხენოსანმა პატრულმა ჩაბოიქროლა. შპოლიანსკის წააწყდა და, რაღა თქმა უნდა, უთანასწორო ბრძოლაში მოკლა. შჩურმა პრაპორშჩიკს ორი საათი უცადა, თუმცა მისგან ნაბრძანები ჰქონდა, მხოლოდ ერთ საათს მოეცადა, შემდეგ კი დივიზიონში დაბრუნდა, რათა საკუთარი თავი და სახაზინო მოტოციკლეტი № 8175 ხიფათში არ ჩაეგდო.

შჩურის ნაამბობის შემდეგ კაპიტანი პლეშკო უფრო მეტად გაფითრდა. ჰეტმანისა და გენერალ კარტუზოვის შტაბების ტელეფონთა ჩიტები ნორიგეობით მღეროდნენ და მანქანების გამოსვლას მოითხოვდნენ. ცხრა საათზე საღამოს ენთუზიასტი სტრაშკევიჩი მეოთხე მანქანით ბრძოლიდან დაბრუნდა და თავისი სიღაჟღაჟის ნაწილი დივიზიონის მეთაურის ლოყებსაც უწილადა. ენთუზიასტმა მანქანა ჩეპორსკისკენ წაიყვანა და, როგორც უკვე ვთქვით, მოსკოვის ქუჩა გადაკეტა.

დილის ათი საათის შემდეგ პლეშკოს სახეზე ფერი აღარ მოსვლია. უკვალოდ გაქრა ორი მემიზნე, ორი შოფერი და ერთი მეტყვიამფრქვევე. მანქანების ადგილიდან დაძვრის ყოველი ცდა უშედეგო გამოდგა. აღარ დაბრუნებულა კაპიტან პლეშკოს ბრძანებით ბრძოლის ადგილას მოტოციკლეტით წასული შჩური. თავისთავად ცხადია, არც მოტოციკლეტი დაბრუნებულა, რადგან თავისით ვერ დაბრუნდებოდა. ტელეფონის ჩიტებმა მუქარა იწყეს. დღე რაც უფრო იკრებდა ძალას, დივიზიონში სულ უფრო მეტი სასწაული ხდებოდა. გაქრნენ არტილერისტები დუვანი და მალცევი და კიდევ მეტყვიამფრქვევეთა ერთი წყვილი. მანქანებს რაღაც უცნაური იერი მიეცა, თითქოს ეპატრონოდ მიუგდიათო. მათ გვერდით არეულ-დარეულად ეყარა ქანჩები, ვასაღებები და ბოლოები.

შუადღისას კი, შუადღისას თვით დივიზიონის მეთაური კაპიტანი პლეშკოც გაუჩინარდა.

10

უცნაურ გადანაცვლებათა და გადასროლათა შედეგად, რასაც ხან სტიქიური საომარი ვითარება, ხან შიკრიკთა მოსვლა, ხანაც შტაბის ყუთთა წრიპინი იწვევდა, პოლკოვნიკ ნაი-ტურსის ნაწილი სამი დღე-ღამის განმავლობაში ქალაქგარეთ თოვლის შვავებსა და ნამქერებს შორის დაეხეტებოდა წითელი დუქნის სამხრეთით მდებარე სერებრიანკამდე და სამხრეთ-დასავლეთით მდებარე პოსტ-ვოლინსკამდე. ცამეტი დეკემბრის საღამოს კი ნაწილი კვლავ ქალაქში დაბრუნდა იმ შესახვევში, სადაც მიტოვებული, სანახევროდ ფანჯრებჩალეწილი ყაზარმები იდგა.

პოლკოვნიკ ნაი-ტურსის ნაწილი ძალზე უცნაური გახლდათ. მნახველებს აოცებდა ამ ნაწილის მებრძოლთა თექის ჩექმები. უკანასკნელი სამი დღე-ღამის დამდეგს ნაწილში ას ორმოცდაათამდე იუნკერი და სამი პრაპორშჩიკი ირიცხებოდა.

პირველი ლაშქრის მეთაურ გენერალ-მაიორ ბლოხინთან დეკემბრის პირველ რიცხვებში საშუალო ტანის, შავგვრემანი, სუფთად წვერგაპარსული, იწუხარეთვალებიანი, ჰუსართა პოლკოვნიკის სამხრეებიანი კავალერისტი გამოცხადდა და გაეცნო, ბელგრადელ ჰუსართა ყოფილი პოლკის მეორე ესკადრონ

რონის ყოფილი მეთაური, პოლკოვნიკი ნაი-ტურსი გახლავართო. ნაი-ტურსს უბრალო ჯარისკაცური მაზარა ეცვა, მკერდს გიორგის ჯვრის გახუნებული ლენტი უმშვენებდა, ოდნავ კოჭლობდა, თვალები კი ისეთი მწუხარე ჰქონდა, ვისაც გამოელაპარაკებოდა, ყველა მის მზერას ემორჩილებოდა და უფროსი ყურადღებით უსმენდა. გენერალ-მაიორმა ბლოხინმა ხანმოკლე საუბრის შემდეგ ნაი-ტურსს ლაშქრის მეორე განყოფილების ჩამოყალიბება დავალა, თანაც სთხოვა, ეს საქმე ცამეტ დეკემბრამდე მოეგვარებინა. ყველასდა გასაოცრად განყოფილება ათი დეკემბრისთვის ჩამოყალიბდა და იმავე დღეს პოლკოვნიკმა ნაი-ტურსმა, რომელიც საერთოდ არაჩვეულებრივად ძუნწი მოლაპარაკე გახლდათ, შტაბის ჩიტებით ყოველი მხრიდან განაწამებ გენერალ-მაიორ ბლოხინს მოკლედ განუცხადა, რომ უკვე შეეძლო თავისი იუნკრებით გალაშქრება, ოღონდ ერთი უცილობელი პირობით: მისთვის უნდა მიეცათ ამ ორმოცდაათი კაცისგან შემდგარი მთელი რაზმის საკმარი ფაფახები და თექის ჩექმები, ურომლისოდაც ნაი-ტურსს ომი ყოვლად შეუძლებლად მიაჩნდა. გენერალმა ბლოხინმა ლაკონიურად მოლაპარაკე ენაბრჯგუ პოლკოვნიკს მოუსმინა, მომარაგების განყოფილებაში წარსადგენი მიმართვა ხალისით გამოუწერა, მაგრამ გააფრთხილა, ამ მიმართვით ალბათ ერთ კვირაზე ადრე ვერაფერს მიიღებ, რადგან მომარაგების განყოფილებებსა და შტაბებში წარმოუდგენელი დომხალი, ალიაქოთი და უწესრიგობაა. ენაბრჯგუ ნაი-ტურსმა მიმართვა გამოართვა, შეკრეჭილი ულვაში მარცხენა მხარეს ჩეჩულებისამებრ შეატოკა და გენერალ-მაიორ ბლოხინის კაბინეტიდან ისე გავიდა, თავი არც მარჯვნივ მიუბრუნებია, არც მარცხნივ. თავის მობრუნება არც შეეძლო, რადგან ნაჭრილობევი კისერი გაშეშებული ჰქონდა და, თუ გვერდზე გაბედვა დასჭირდებოდა, მთელი ტანით უნდა შებრუნებულიყო. ნაი-ტურსი ლვოვის ქუჩისკენ გაემართა, ლაშქრის შენობიდან ათი იუნკერი (რატომღაც შაშხანებით შეიარაღებული) და ორი ორთვალა გაიყოლა და მომარაგების განყოფილებისკენ გაეშურა.

მომარაგების განყოფილება ბულვარნო-კუდრიავსკაიას ქუჩაზე, გახცალკევებით მდგარ მშვენიერ შენობაში იყო მოთავსებული. იქ, პატარა მყუდრო კაბინეტში, რომლის კედელზე რუსეთის რუკა და ალექსანდრა ფიოდოროვნას სურათი ეკიდა, წითელი ჯვრის დროიდან რომ შემორჩენილიყო, პოლკოვნიკ ნაი-ტურსს ტანმორჩილი, უცნაურად ლოყებაღაჟღაჟებული გენერალ-ლეიტენანტი მაკუშინი დაუხვდა. გენერალ-ლეიტენანტს რუხი ჭურთუკი ეცვა, რომლის ქვეშ ქათქათა პერანგი მოუჩანდა, რაც ძალიან ამსგავსებდა ალექსანდრე მეორის მინისტრს მილიუტინს.

გენერალმა ტელეფონიდან თავი აიღო და ბავშვის ხმით, თიხის სასტვენის წრიპინს რომ წააგავდა, ნაი-ტურსს ჰკითხა:

— რა გნებავთ, პოლკოვნიკო?

— ახლავე სალაშქროდ გავდივართ, — მოკლედ უპასუხა ნაიმ, — გთხოვთ სასწრაფოდ მომცეთ ფაფახები და თექის ჩექმები ოცასი კაცისთვის.

— ჰმ, — თქვა გენერალმა, ტუჩები გაღეჭა და ნაის მოთხოვნილება თითებით მოჭმეჭნა, — იცით რა, პოლკოვნიკო, ახლა კვირაფერს მოგცემთ. დღეს ნაწილების მომარაგების განრიგს შევადგენთ, გთხოვთ, ხალხი სამი დღის შემდეგ გამოგზავნოთ და წაიღოთ. მაგრამ ამდენს, სულ ერთიანად, მაინც ვერ მოგცემთ.

მან ნაი-ტურსის ქაღალდი გამოსაჩენ ადგილას დადო და ზემოდან პრესპაპიე დაადო, შიშველ ქალს რომ გამოსახავდა.

— თექის ჩექმები, — აუჩქარებლად თქვა ნაიმ, თვალები ცხვირისკენ დაბრიცა და თავისი ჩექმების ცხვირებს დააცქერდა.

— რაო? — ვერ მიხვდა გენერალი და პოლკოვნიკს გაკვირვებული მიაჩერდა.

— ამ წუთას მომეცით თექის ჩექმები.

— ეს როგორ? როგორ? — გენერალმა თვალები რაც კი შეეძლო გადმოკარკლა.

ნაი კარისკენ შეტრიალდა, გამოაღო და ჩათბუნებულ დერეფანში გასძახა:

— ჰეი, ოცეულო!

გენერალს სახეზე ნაცრისფერი დაედო, ჯერ ნაის მიაჩერდა, მერე ტელეფონის ყურმილს, შემდეგ კუთხეში დაკიდებულ ოვთისმშობლის ხატს გახედა და კვლავ ნაის დააცქერდა სახეზე.

დერეფანში ბრაგუნი და ჩხარიჩხური გაისმა და კარებში ალექსეელი იუნკრები შემოლაგდნენ. გაიელვა უსაჩიხო ქუდების წითელმა არშიებმა და შავმა ხიშტებმა. გენერალი რბილი სავარძლიდან ნელ-ნელა წამოიმართა.

— ასეთი რამ პირველად მესმის... ეს ხომ ამბოხებაა...

— მოთხოვნილება დაწეღეთ, თქვენო ალმატებულებავ, — უთხრა მას ნაიმ, — ჩვენ აღ გვცალია, ნახევალი საათის მეღე სალაშქროდ მივდიეალთ. ამბობენ, მტეღი უკვე ქალაქს მოაღგაო.

— რა?.. რა თქვით?..

— აბა, ცოცხლად, — თქვა ნაიმ სამგლოვიარო ხმით.

გენერალმა თავი მხრებში ჩაიძვრინა, თვალები დაჭყიტა, ქალის ქვემოდან ქაღალდი გამოაძვრინა და აცახცახებული კალმით კუთხეში წააწერა: „გაეცით“, თანაც ზედ მელანი დააწინწკლა.

ნაიმ ქაღალდი გამოართვა, სახელოს ყოშში ჩაიდო და იუნკრებს მიუბრუნდა, რომელთაც ხალიჩა ტალახით დაესვარათ:

— თექის ჩექმები დატვიღთეთ. ცოცხლად.

იუნკრები ბრაგუნითა და ჩხარაჩხურით გავიდნენ, ნაი კი შეყოვნდა.

— მე ახლავე დავურეკავ შტაბში სარდალს და საქმეს აღვძრავ, რომ სამხედრო სასამართლოს გადაგცენ, — უთხრა მას სახეწამოჭარხლებულმა გენერალმა.

— სინჯეთ, — უპასუხა ნაიმ და ნერწყვი გადაყლაპა, — აბა, ეღთი სინჯეთ. თუნდაც ცნობისმოყვალეობის გულისთვის სინჯეთ, — მან რევოლვერის გახსნილი ბუდიდან ამოშვერილ სახელურს ხელი მოჰკიდა. გენერალს სახე აუფორეჯდა და ენა მუცელში ჩაუვარდა.

— დაღეკე, ბღიყვო ბებეღო, — უცებ გულითადად უთხრა ნაიმ, — მე კი ამ კოლტს თავში გღეკავ და ფეხებს გაგაფშეკინებ.

გენერალი სავარძელში ჩაჯდა. კისერი ჭიაფრად დაუნაოჭდა, სახეზე კი კვლავ ნაცრისფერი ედო. ნაი შეტრიალდა და კაბინეტიდან გავიდა.

გენერალი ტყავის სავარძელში რამდენიმე წუთს იჯდა, მერე ხატს შეხედა, პირჯვარი გადაიწერა, ტელეფონის ყურმილი აიღო და ყურთან მიიტანა. ყურმილიდან ყრუდ შემოესმა უხალისო ხმა: „სადგური გისმენთ“... უცაბედად

თვალწინ წარმოესახა ენაბრჯგუ ჰუსარის მწუხარე თვალები, აყურძილი დადი და ფანჯარაში გაიხედა. ეზოში იუნკრები ფუსფუსებდნენ. ფარდულის შავი კარიდან თექის ჩექმების რუხი ნაკრაუელები გამოჰქონდათ. შაე ყონზე ძოჩანდა რეტდასხმული კაპტენარმუსის გამოლენჩებული სეფთი. მას ხელში ქალალდი ეჭირა. ნაი ორთვალასთან ფეხებგაფარჩხული იდგა და დატვირთვას თვალს ადევნებდა. გენერალმა ძალაგამოლეული ხელით მეგრეფინა ხალი გაზეთი აიღო, გაშალა და პირველ გვერდზე წაიკითხა: ბიბლიოთეკა

მდინარე ირპენთან შეტაკებები მოხდა მტრის ცხენოსან პატრულებთან, რომელნიც სვიატოშინოში შეჭრას ცდილობდნენ... —

გაზეთი გადააგდო და ხმამაღლა თქვა:

— წყეულიმც იყოს ის დღე და ის საათი, როცა ამ ამბავში ჩავერიე...

კარი გაიღო და კაპიტანი — ძომარაგების უფროსის თანაშემწე შემოვიდა, უკუდო ქრცვინს რომ ჰგავდა. იგი გენერლის საყელოს ზემოთ აბურცულ ჭიაფერ ნაოჭებს მრავალმნიშვნელოვნად დააცქერდა და წარმოთქვა:

— ბატონო გენერალო, ნება მომეცით, მოგახსენოთ.

— იცით რა, ვლადიმირ ფიოდოროვიჩ, — შეაწყვეტინა გენერალმა. სული ეხუთებოდა და თვალებს სევდიანად აცეცებდა. — თავს რაღაც ცუდად ვგრძნობ... სისხლი თავში ამივარდა... ჰმ... ახლა შინ წავალ და, გეთაყვა, აქ საქმეს უჩემოდ მიხედეთ.

— არის. — უპასუხა ქრცვინმა, თან გენერალს ცნობისმოყვარედ დააცქერდა, — რას მიბრძანებთ, როგორ მოვიქცე? თექის ჩექმებს მეოთხე ლაშქარიც ითხოვს და საათო ცხენოსანთა რაზმიც. ორას წყვილზე განკარგულების გაცემა ოქვენ ინებეთ?

— დიახ! დიახ! — გამკივანი ხმით უპასუხა გენერალმა. — დიახ, განკარგულება მე გავეცი! მე ვინებე! ეს გამონაკლისია! ისინი ახლავე სალაშქროდ მიდიან. დიახ, სალაშქროდ. დიახ!!

ქრცვინს თვალებში ცნობისმოყვარეობის ნაპერწკლებმა გაუელვა.

— სულ ოთხასი წყვილი გვაქვს...

— მერე მე რა ვქნა? რა? — ხმა ჩაეხლიწა გენერალს. — ხომ ვერა ვშობ?! თექის ჩექმებს ხომ ვერა ვშობ? ხომ ვერა ვშობ? თუ ითხოვენ — მიეცით — მიეცით — მიეცით!!

ხუთი წუთის შემდეგ გენერალი მაკუშინი ეტლით შინ წაიყვანეს.

* *

ბრესტ-ლიტოვსკის შესახვევში მდგარი ჩამკვდარებული ყაზარმები ცამეტი დეკემბრის ღამეს გამოცოცხლდა. უზარმაზარი, ატალახებული დარბაზის კედელზე ფანჯრებს შუა ელექტროლამპა აინთო (ფარნებსა და ბოძებზე ჩამოკონწიალებულმა იუნკრებმა დღისით რაღაც მავთულები გაჭიმეს). ას ორმოცდაათი შაშხანა ჯოჯგინებად იდგა, ბინძურ ფიცარნაგებზე კი ჭერეხივით მიყრილ იუნკრებს ეძინათ. ფეხმორყეულ ხის მაგიდაზე პურის ქერქები, გაცრეცილი უგემური წვნიანის ნარჩენებიანი ქვაბუნები, ჩანთები, კაზნის მჭიდეები ყო დაბნეულიყო. მაგიდასთან მჯდარ ნაი-ტურსს ქალაქის ჯრელი გეგმა გაეშალა. სამზარეულოს პატარა ნათურას მოხატულ ქალალდზე სხივთა კონა დაეფინა და ამ ქალალდზე დნეპრი ხმელსა და განტოტვილ ლურჯ ხეს წააგავდა.

დაახლოებით ღამის ორ საათზე ნაი-ტურსს ძილი მოეძალა. იგი ცხვირს ასრუტუნებდა, ერთი-ორჯერ გეგმისკენ ისე დაიხარა, თითქოს რაღაცას აკვირდებაო. ბოლოს ხმადაბლა შესძახა:

— იუნკელო?!

— გახლავართ, ბატონო პოლკოვნიკო, — უპასუხა კარებთან მდგარმა იუნკერმა და თექის ჩექმების ფლასუნით ლამპას მიუახლოვდა.

— მე ახლა დავწვები, — უთხრა მას ნაიმ, — სამი საათის მერე გამაღვიძეთ. თუ ტელეფონოგრამა მოვიდა, პლაპოლშჩიკი ჟაღოვი გააღვიძეთ. იმის მიხედვით, ღა შინაარსისა იქნება ტელეფონოგრამა, პლაპოლჩიკი ან გამაღვიძებს ან არა.

არავითარი ტელეფონოგრამა არ მოსულა... საერთოდ, იმ ღამით შტაბს ნაის რაზმი არ შეუწუხებია. გათენებისას რაზმი ყაზარმიდან სამი ტყვიამფრქვევითა და სამი ორთვალათი გავიდა და გზას გაუყვა. გარეუბნის პატარა სახლებს სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობოდა, მაგრამ როცა რაზმი ფართო პოლიტექნიკურ ქუჩაზე გავიდა, იქ უკვე მოძრაობა შეიმჩნეოდა. ბინდბუნდში დროდადრო გაიელვებდნენ ჯაყჯაყით მიმავალი ფურგონები, თითო-თითოდ მიღონღილობდნენ რუხფაფახიანები. ყველანი უკან, ქალაქის შუაგულისკენ მიემართებოდნენ და ნაის რაზმს, ცოტა არ იყოს, დაფეთებულნი უვლიდნენ გვერდს. დღის ნათელი ნელა, ბეჯითად მატულობდა, სახაზინო აგარაკების, ბალებისა და გატკეპნილ-აჩიჩქნილი გზის თავზე ბურუსი მაღლა მიიწევდა და იფანტებოდა.

ალიონიდან დღის სამ საათამდე ნაი პოლიტექნიკურ შარაგზას არ მოსცილებია, რადგან დღისით მისი მეკავშირე იუნკერი მაინც მოვიდა მეოთხე ორთვალათი და შტაბიდან გამოგზავნილი ფანქრით დაწერილი წერილი მოუტანა.

„დაიკავით პოლიტექნიკური შარაგზა და, თუ მტერი გამოჩნდა, შეებრძოლეთ".

ეს მტერი ნაი-ტურსმა პირველად დღის სამ საათზე დაინახა, როცა ხელმარცხნივ, შორს, სამხედრო უწყების დათოვლილ მოედანზე უამრავი მხედარი გამოჩნდა. ეს გახლდათ პოლკოვნიკი კოზირ-ლეშკო, რომელიც პოლკოვნიკ ტოროპეცის დისპოზიციის თანახმად პოლიტექნიკურ შარაგზას მიუყვებოდა, რათა ქალაქის შუაგულში შეჭრილიყო. პოლიტექნიკურ შარაგზამდე კოზირ-ლეშკოს არავითარი წინააღმდეგობა არ შეხვედრია, ისე რომ სინამდვილეში ქალაქს თავს კი არ ესხმოდა, არამედ შედიოდა მის სახახებში, ძლევამოსილად და ლაღად, ვინაიდან მშვენივრად იცოდა, რომ მის პოლკს კვალდაკვალ პოლკოვნიკ სოსნენკოს ცხენოსან ჰაიდამაკთა კურენი, ლურჯი დივიზიის ორი პოლკი, სეჩელ მსროლელთა პოლკი და ექვსი ბატარეა მოჰყვებოდა. როცა მოედანზე მხედრები წერტილებივით გამოჩნდნენ, შრაპნელმა მოქუფრულ, სათოვლედ გამზადებულ ცაში წეროებივით გადმოიფრინა და მაღლა იწყო სკდომა. მერე მხედართა წერტილები შეერთდნენ, შარაგზა მთელ სიგანეზე გაჭედეს, თანდათან გაიბერნენ, ჩაშავდნენ, გაიზარდნენ და ნაი-ტურსისკენ გამოიქცნენ. იუნკერთა მწკრივებში საკეტების ჩხაკაჩხუკი ატყდა. ნაიმ სასტვენი ამოიღო, ყურისწამღებად დასტვირა და შეკივლა:

— ბილდაპილ კავალელიისკენ! ბათქებით... ცეცხლი!

მწკრივთა ორივ რიგებს ნაპერწკალმა ჩაურბინა და იუნკრებმა კოზირს პირველი ბათქი გაუგზავნეს. ამის შემდეგ ცის თაღი პოლიტექნიკური ინსტიტუტის კედლებამდე სამჯერ გაიფხრიწა და ნაი-ტურსის ბატალიონმა მტრის მოსაგერიე-

ბლად ზრიალა ზათქი სამჯერ დააქუხა. მხედართა შავი ზოლები შორს დაქუცმაცდა, გაიფანტა და შარაგზიდან გაქრა.

ამ დროს ნაის რაღაცა დაემართა. უნდა ითქვას, რომ მთელ რაზმში იგი შეშინებული აქამდე არავის უნახავს, ახლა კი იუნკრებს მოეჩვენათ, თითქოს ნაიმ სადღაც ცაში რაღაც სახიფათო დაინახა ანდა შორეთიდან საშიში ხმა შემოესმა... ერთი სიტყვით, ნაიმ იუნკრებს ქალაქისკენ წასვლა უბრძანა. ერთი ოცეული დარჩა და შარაგზას გვრგვინვა-გრიალით აყრუებდა, უკანდახეულ ოცეულებს იფარავდა. მერე ეს ოცეულიც გაიქცა. ასე ირბინეს ორი ვერსი. ხან მიწაზე გაერთხმებოდნენ, დიდ გზას ეჭოთი აღვიძებდნენ და მერე კვლავ გარბოდნენ, ვიდრე შარაგზისა და ბრესტ-ლიტოვსკის შესახვევის გადაკვეთას არ მიაღწიეს. სწორედ ამ შესახვევში გაატარეს მათ წუხანდელი ღამე. გზაჯვარედინს სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობოდა, კაციშვილი არსად ჩანდა.

აქ ნაიმ სამი იუნკერი გამოაცალკევა და უბრძანა:

— პოლევაიაზე და ბოგუშჩალოვსკაიაზე გაიქეცით, გაიგეთ, სად აღიან ჩვენი ნაწილები და ღა დაემალთათ. თუ ფუღგოხები, ოლთვალები, ანდა გადაადგილების ღაიმე საშუალებანი შემოგხვდეთ, ღომლებიც აღაოღგანიზებულად იხევენ უკან, წამოიყვანეთ. თუ წინააღმდეგობა გაგიწიონ, იაღაღით დაემუქღეთ, თუ დაგჭიღდებათ, ესღოლეთ კიდეც.

იუნკრები უკან გაიქცნენ, მარცხნივ გაუხვიეს და უმალ გაუჩინარდნენ. წინიდან კი რაზმს უცებ საიდანღაც ტყვია დაუშინეს. სახურავებზე ტყვიების რაკუნი თანდათან გახშირდა. ერთი იუნკერი თოვლში პირქვე ჩაემხო. თოვლი წითლად შეიღება. მერე კიდევ ერთმა ამოიგმინა და ტყვიამფრქვევის გვერდზე გადაგორდა. ნაის მწკრივები გაიშალნენ და უწყვეტი ბათქაბუთქი ატეხეს შარაგზის გასწვრივ, სადაც მომხდურთა შავი მწკრივები მიწიდან თითქოს ჯადოსნური ძალით გაუთავებლივ მოძვრებოდნენ. დაჭრილი იუნკრები წამოკრიფეს, თეთრი მარლა გაიშალა. ნაის ყვრიმალები კოპებივით დაასხდა. იგი მთელი ტანით სულ უფრო მალიმალ შეტრიალდებოდა ხოლმე ხან აქეთ, ხან იქით, რათა შორს, ფლანგების მიღმა გაეხედა და დაენახა, იქ რა ხდებოდა. აშკარად ეტყობოდა, გაგზავნილ იუნკრებს რა მოუთმენლად მოელოდა. ბოლოს, როგორც იქნა, მათაც მოირბინეს. არაქათგამოლეული მწევრებივით ქაქანებდნენ, ძლივსლა ხიხინებდნენ. ნაი დაიძაბა, სახე მოეჭუფრა. პირველმა იუნკერმა ნაისთან მიირბინა, მის წინ შეჩერდა და აქოშინებულმა უთხრა:

— ბატონო პოლკოვნიკო, ჩვენი ნაწილები შულიავკაზე კი არა, საერთოდ არსად ჩანს, — მერე სული მოითქვა და განაგრძო, — ჩვენს ზურგში ტყვიამფრქვევებს ისვრიან. მტრის ცხენოსანმა რაზმმა ახლა შორს, შულიავკაზე გაიარა. მგონი, ქალაქში შევიდნენ...

იუნკრის სიტყვები იმავე წამს ნაი-ტურსის ყურისწამლებმა სტვენამ დაფარა.

სამი ორთვალა ბრესტ-ლიტოვსკის შესახვევში გრიალით შეიჭრა, ჩაიხრიგინა, ფანარნაიაზე შეუხვია და ოლოჩოლრო ქუჩას ჯაყჯაყით გაუყვა. ორთვალებით ორი დაჭრილი იუნკერი წაიყვანეს. მათ თხუთმეტი შეიარაღებული ჯანმრთელი იუნკერიც გაჰყვა. წაიღეს სამივე ტყვიამფრქვევიც. ორთვალებმა შეტი ვეღარ დაიტია. ხოლო ნაი-ტურსმა პირი მწკრივებისკენ მიაბრუნა და იუნკრებს ომახიანად გასძახა ისეთი უცნაური ბრძანება, რომლის მსგავსიც მათ არასოდეს გაეგონათ...

* *

ლეოვის ქუჩაზე, ყოფილი ყაზარმების ქედლებჩამოლადრილ, გვარიანად დათბუნებულ შენობაში ლოდინისგან გულგაწყალებული იჯდა პირველი ქვეითი ლაშქრის მესამე განყოფილების ოცდარეა იუნკერი. ყველაზე საინტერესო ამ ამბავში ის გახლდათ, რომ გულგაწყალებულთა მეთაურობა წილად ხვდა პირადად ნიკოლაკ ტურბინს. განყოფილების მეთაური, შტაბს-კაპიტანი ბეზრუკოვი და მისი ორი თანაშემწე პრაპორშჩიკი დილას შტაბში წავიდნენ და უკან აღარ დაბრუნებულან. ეფრეიტორი ნიკოლკა, დარჩენილთა შორის წოდებით ყველაზე უფროსი, ყაზარმაში დაბორიალებდა. წარამარა ტელეფონთან მიდიოდა და აცქერდებოდა.

ასეთმა ყოფამ დღის სამ საათამდე გასტანა. იუნკრებს თახდათან მოწყენილობა დაეტყოთ. ეჰ... ეჰ....

სამ საათზე საველე ტელეფონი აწრიპინდა.

— ლაშქრის მესამე განყოფილებაა?

— დიახ.

— მეთაურს ტელეფონთან უხმეთ.

— საიდან რეკავთ?

— შტაბიდან...

— მეთაური არ დაბრუნებულა.

— თქვენ ვინ ხართ?

— უნტერ-ოფიცერი ტურბინი.

— თქვენ ხართ ყველაზე უფროსი?

— დიახ.

— რაზმი დაუყოვნებლივ მარშრუტის მიხედვით გაიყვანეთ!

ჰოდა, ნიკოლკამ ოცდარვა კაცი შენობიდან გაიყვანა. იუნკრები ქუჩას გაუყვნენ.

* *

ალექსეი ტურბინს დღის ორ საათამდე მკვდარივით ეძინა. მერე კი ისე უცებ გაეღვიძა, თითქოს წყალი გადაასხესო. სკამზე დადებულ საათს დახედა, ნახა, რომ ორს ათი წუთი აკლდა და აწრიალდა. სწრაფად ჩაიცვა თექის ჩექმები, ჯიბეებში ჩაიწყო ასანთი, პორტსიგარი, ცხვირსახოცი, ბრაუნინგი და ვაზნების ორი მჭიდე. ჩქარობდა და ამიტომ ხან რა ავიწყდებოდა და ხან რა. მაზარის ღილები ფაცაფუცით შეიბნია, რაღაც გაახსენდა, ჯერ შეყოყმანდა, თავისი საქციელი სამარცხვინოდ და სიმხდალედ ეჩვენა, მერე მაგიდის უჯრიდან მაინც ამოიღო სამოქალაქო, ექიმობის დამადასტურებელი პასპორტი, ერთხანს ხელში ატრიალა, გადაწყვიტა თან წაეღო, მაგრამ ამ დროს ელენას ძახილი შემოესმა და პასპორტი მაგიდაზე დარჩა.

— მისმინე, ელენა, — უთხრა დას ტურბინმა და თან ქამარი ნერვულად შემოიჭირა, ავიწროებდა გულს, უკუშლიდა, ტანჯავდა იმაზე ფიქრი, რომ ელენა ამ ვეებერთელა, ცარიელ ბინაში ინიუტას ამარა რჩებოდა, — სხვა გზა არა მაქვს. ჩემი წაუსვლელობა არ შეიძლება. უნდა ვიფიქროთ რომ არაფერი დამემართება. დივიზიონი ქალაქის გარეუბნებს არ გასცილდება, მე კი სადმე უხიფა-

თო ადგილას ვიქნები. ღმერთმა იქნებ ნიკოლაც კიდეაარჩინოს. დილას გავიგე, რომ მდგომარეობა ცოტა უფრო გართულდა, მაგრამ პეტლურა ეგებ მოვიგერიოთ. აბა, მშვიდობით, მშვიდობით...

ელენა მარტოდმარტო მიდი-მოდიოდა დაცარიელებულ სასტუმრო ოთახში პიანინოდან ალექსეის კაბინეტამდე. მის ფეხქვეშ პარკეტი წრიპინებდა. პიანინოზე ნოტები ისევ გადაშლილი იდო და მრავალფერი ვალენტინი მოჩანდა. ელენას სახეზე მწუხარება ეხატებოდა.

* *

თავისი მრუდე ქუჩისა და ვლადიმირის ქუჩის კუთხეში ტურბინმა მარხილი გააჩერა. მეეტლე დაჭყაბულდა, წაგიყვანო, მაგრამ პირქუში ქმუტუნით შემზარავი ფასი მოითხოვა. თანაც ემჩნეოდა, რომ არ დაუკლებდა. ტურბინმა კბილები გააკრაჭუნა, მარხილში ჩაჯდა და მუზეუმის მხარეს გაემართა. ყინავდა.

ალექსეი ტურბინს გული ძალზე აფორიაქებული ჰქონდა. ტყვიამფრქვევების შორეულ კაკანს მიაყურადა, სადღაც პოლიტექნიკური ინსტიტუტის მხარეს, თითქოს სადგურის მიმართულებით რომ გაისმოდა. ფიქრობდა, ნეტა ეს რას უნდა ნიშნავდესო (ბოლბოტუნის შუადღის ვიზიტი ძილში გამოეპარა), თავს აქეთ-იქით ატრიალებდა და ტროტუარებს აკვირდებოდა. ტროტუარებზე უთავბოლო, მაგრამ მაინც საკმაოდ დიდი მოძრაობა იყო.

— გააჩერე... გააჩ... — გაისმა მთვრალი კაცის ხმა.

— რა ამბავია? — მრისხანედ იკითხა ტურბინმა.

მეეტლემ სადავეები ისე მოსწია, რომ ტურბინს კინაღამ კალთაში ჩაუვარდა. ხელნასთან ვიღაცა ბანცალებდა, სახე წითლად ულუოდა. იგი სადავეს ჩასჭიდებოდა და მარხილისკენ მიბარბაცებდა, მოთრიმლულ ჯუბაჩაზე პრაპორჩიკის დაჭმუჭნული სამხრეები უელავდა. ცალი ხელით შაშხანას იქნევდა. ტურბინს ერთი არშინიდან ეცა სპირტისა და ხახვის სუნი.

— მოაბ... მოაბ... მოუბრუნე, — თქვა სახეჩაწითლებულმა მთვრალმა, — გადმო... გადმოსვი ეგ მგზავრი... — სიტყვა „მგზავრი" პირწითელს უცებ სასაცილოდ ეჩვენა და ჩაიხითხითა.

— რა ამბავია? — მრისხანედ გაიმეორა ტურბინმა. — ვერ ხედავთ, მარხილში ვინ ზის? მე შესაკრებ პუნქტში მივდივარ. მეეტლეს თავი გაანებეთ. დაიძარ!

— არა, არ დაიძრა... — მუქარით თქვა პირწითელმა, თვალები აახამხამა და ტურბინის სამხრეები მაშინლა შეამჩნია. — ოჰ, ექიმო, ერთად წავიდეთ... მეც ჩავჯდები...

— ჩვენ ერთი გზა არა გვაქვს... დაიძარ!

— ნება მი...ბოძეთ...

— დაიძარ!

მეეტლემ თავი კისერში ჩაიძვრინა, მარხილის დაძვრა დააპირა, მაგრამ გადაიფიქრა, შემოტრიალდა და პირწითელს თან ბრაზით, თან შიშით დააცქერდა. მაგრამ მან უცებ თავი თვითონ მიანება, რადგან ცარიელი მარხილი დაინახა. ცარიელი მარხილის პატრონი ბაცლას ცდილობდა, მაგრამ ვერ მოასწრო. პირწითელმა შაშხანა ორივე ხელით აღმართა და მეეტლეს დაემუქრა. მეეტლე ერთ ადგილას გაშეშდა და პირწითელი მისკენ ბორძიკითა და სლოკინით წაბანცალდა

— ეს რომ მცოდნოდა, ხუთასადაც არ წამოვიდოდი, — ბუზღუნებდა გულმოსული მეეტლე და ჯაგლაგს გავაზე მათრახს უტყლაშუნებდა, — ზურგში ტყვიას მოგაკერებს და მერე უყარე კაკალი.

ტურბინი პირქუშად დუმდა.

„უჰ, ეს ვიგინდარა... ამისთანები გვიტეხენ სახელსო, — ფიქრობდა გაგულისებული.

გზაჯვარედინზე, ოპერის თეატრთან დიდი ფაციფუცი და მოძრაობა იყო. შუა ტრამვაის ხაზზე ტყვიამფრქვევი გამოეგორებინათ, რომელსაც ტანმორჩილი, აბუზული, შავმაზარიანი, ყურებშეფუთნული კადეტი და რუხმაზარიანი იუნკერი დარაჯობდნენ. ტროტუარზე ბუზებივით ჯგუფ-ჯგუფად შეგროვილი გამვლელები ტყვიამფრქვევს ცნობისმოყვარედ უცქეროდნენ. აფთიაქთან, ქუჩის კუთხეში, საიდანაც უკვე მოჩანდა მუზეუმის შენობა, ტურბინმა მეეტლე გაუშვა.

— უნდა დამიმატოთ, თქვენო მაღალკეთილშობილებავ, — ბრაზით და დაქინებით უთხრა მეეტლემ, — ეს რომ მცოდნოდა, სულაც არ წამოვიდოდი, ხომ ხედავთ, რა ამბავია.

— იკმარე, რაც მოგეცი.

— ბავშვები რატომღა გახვიეს ამ უბედურებაში... — გაისმა ქალის ხმა.

ტურბინმა შეიარაღებულთა გროვა მუზეუმთან ახლოლა დაინახა. გროვა აქეთ-იქით ირხეოდა და თანდათან იზრდებოდა. მაზარის კალთებს შორის, ტროტუარზე, ბუნდოვნად გაიელვა ტყვიამფრქვევებმა. ამ დროს პეჩორსკზე ტყვიამფრქვევის გაცხარებული ჭახჭახი ატყდა.

ვრა.... ვრა... ვრა... ვრა... ვრა... ვრა... ვრა... ვრა...

„მგონი, რაღაც დომხალი დაიწყო“, — გაიფიქრა დაბნეულმა ტურბინმა და ჯაჭვარედინიდან მუზეუმისკენ აჩქარებული ნაბიჯით გაემართა.

„ნუთუ დამაგვიანდა? რა სირცხვილია... ვაითუ იფიქრონ, გაიპარაო.“

პრაპორშჩიკები, იუნკრები, კადეტები, აქა-იქ ჯარისკაცები აღგზნებულნი მიმორბოდნენ მუზეუმის უზარმაზარ სადარბაზოსა და გვერდითა დამსხვრეულ ჭიშკართან, რომელიც ალექსანდრეს გიმნაზიის მოედანზე გადიოდა. კარის უშველებელი მინები წარამარა ზრიალებდა. კარი კვნესოდა და მუზეუმის მრგვალ თეთრ შენობაში, რომლის ფრონტონს ამშვენებდა ოქროსვარაყიანი წარწერა:

„რუსი ხალხის სასიკეთოდ და განსანათლებლად“.

შეიარაღებული, ტანსაცმელდაჭმუჭნული, აღელვებული იუნკრები შერბოდნენ.

— ღმერთო ჩემო! — უნებურად შეჰყვირა ტურბინმა, —ისინი უკვე წასულან.

მორტირები ტურბინს მდუმარედ შესცქეროდნენ, გუშინდელ ადგილზე უპატრონოდ მიტოვებულნი ეულად იდგნენ.

„ვერაფერი გამიგია... ეს რას უნდა ნიშნავდეს?“

ტურბინმა თავადაც არ იცოდა, მოედნის განაპირას, მესერთან მდგარი ქვემეხებისკენ რატომ გაიქცა. მესერს რაც უფრო უახლოვდებოდა, ქვემეხები მით უფრო იზრდებოდნენ და ტურბინს მრისხანედ უცქეროდნენ. განაპირა მორტირთან მივიდა და უცებ ადგილზე გაშეშდა: მორტირი უსაკეტოდ იდგა. ტურბინი სწრაფად შეტრიალდა, მოედანი სირბილით უკანვე გადაჭრა და კვლავ ქუჩაზე გავარდა. იქ კიდევ უფრო მეტი ხალხი ირეოდა, ერთდროულად მრავალნი ყვიროდნენ, ხიშტები ხტოდა და ქანაობდა.

— კარტუზოვს მოკუცალოთ! აი, რა უნდა ვქნათ! — შეშფოთებული გაჰკიოდა ვილაცა. ერთმა პრაპორშჩიკმა ტურბინს გზა გადაუჭრა. ზურგზე ყვითელი უნაგირი წამოეკიდა და უზანგები უკან მისთრევდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— პოლონურ ლეგიონს ძიეცით.

— მერედა სად არის?

— ეშმაკმა უწყის!

— ყველანი მუზეუმში შევიდეთ! ყველანი მუზეუმში შევიდეთ!

— დონისკენ წავიდეთ!

პრაპორშჩიკი უცებ შეჩერდა და უნაგირი ტროტუარზე დააგდო.

— სად ჯანდაბას მივათრევ! ეშმაკსაც წაუღია ყველაფერი, — შეჰყვირა გაოფთრებულმა, — ოჰ, შტაბელებო, მე თქვენი...

იგი განზე გაიქცა, თან ვილაცას ძუშტით ემუქრებოდა.

„ყველაფერი დაიღუპა... ახლა გასაგებია... მაგრამ საშინელება ის არის, რომ ისინი ალბათ ქვეითად წავიდნენ. დიახ, დიახ, დიახ... უეჭველად. პეტლურამ ალბათ მოულოდნელად შემოუტია. ცხენები არ ჰყავდათ და შაშხანების აძარა წავიდნენ, უქვემეხებოდ... ოჰ, ღმერთო ჩემო... ანეუსკენ უნდა გავიქცე... იქნებ იქ შევიტყო რაიმე... უთუოდ შევიტყობ, იქ მაინც ვინმე ხომ დარჩებოდა?“

ტურბინი იმ ორომტრიალიდან გამოსხლტა და ისე გაიქცა უკან, ოპერის თეატრისკენ, ყურადღება არაფრისთვის მიუქცევია. მოასფალტებულ ბილიკზე, თეატრს გარშემო რომ უვლიდა, უცებ ქარმა ჩაიქროლა და შავფანჯრიან გვერდითა შესასვლელთან, თეატრის კედელზე სანახევროდ აგლეჯილი აფიშის კიდე ააფრიალა. კარმენი. კარმენი.

აი, ანეუც. ფანჯრებში აღარ ჩანს ქვემეხები, აღარც ოქროსფერი სამხრეები. ფანჯრებში ცეცხლის ათინათი ცახცახებს და ლივლივებს. ხანძარია? ტურბინი კარის სახელურს ჩაეჭიდა. კარმა გაიჩხაკუნა, მაგრამ არ გაიღო. ტურბინმა შეშფოთებით დააკაკუნა. კიდევ დააკაკუნა. მინიან კარს იქით რუხი ლანდი გაკრთა. კარი გაიღო და ტურბინი მაღაზიაში შეიდა. იგი უცნობს გაოგნებული დააშტერდა. მას შავი, სტუდენტური მაბარა ეცვა, თავზეც სამოქალაქო, ჩრჩილისგან შეჭმული ყურებიანი ქუდი ეხურა. ქუდის ყურები კეფაზე აეკეცა. სახე საოცრად ნაცნობი. მაგრამ თითქოს რაღაცით დაუშნოებული და შეცვლილი ჰქონდა. ღუმელი გააფთრებით გუგუნებდა და ქაღალდის ფურცლებს ნთქავდა. იატაკიც ერთიანად ქაღალდებით იყო მოფენილი. დაძვდურმა ტურბინი შიგნით შეუშვა. მაგრამ არაფერი განუმარტავს, უბალ ღუმლისკენ გაეშურა და იქ ჩაცუცქდა. სახეზე მეწამული ათინათი აუთამაშდა.

„მალიშევია? დიახ. პოლკოვნიკი მალიშევია“, — იცნო ტურბინმა.

პოლკოვნიკს ულვაში აღარ ჰქონდა. სუფთად გაპარსული საულვაშე ლურჯად მოუჩანდა.

მალიშევმა ხელები განივრად გაშალა. იატაკიდან ქაღალდის ფურცლები მოხვეტა და ღუმელში შეტენა.

„ჰო... ო.“

— რა მოხდა? დასრულდა? — ყრუ ხმით ჰკითხა ტურბინმა.

— დასრულდა, — მოკლედ უპასუხა პოლკოვნიკმა, წამოხტა, მაგიდისკენ გაქანდა, თვალი მიაყოლ-მოაყოლა. უჯრები რაღაცეხჯერმე ჯახუნით გამოწია და შეწყია, სწრაფად დაიხარა, იატაკზე დაგდებულ ქაღალდის უკანასკნელ დასტას ხე

ლი წამოავლო და ღუმელში შეჭყუნა. ტურბინისკენ მხოლოდ ამის შემდეგ შემოტრიალდა და დამცინავად, წყნარი ხმით დაუმატა: — რაც ვიომეთ, ისიც გვეყოფა! — მერე უბეში ხელი ჩაიყო, ხაფულე სწრაფად ამოიღო, საბუთები შეამოწმა. რომელიღაც ორი ფურცელი ჯვარედინად გადაფხრიწა და ღუმელში შეაგდო. ტურბინმა ამასობაში იგი კარგად შეათვალიერა. მალიშევი პოლკოვნიკს აღარაფრით ჰგავდა. ტურბინის წინ ახლა საკმაოდ ჩამკვრივებული სტუდენტი იდგა, ჟილეტფერი, შეშუპებული ტუჩები მოყვარულ მსახიობს რომ ამგვანებდა.

— ექიმო? ეგ რა არის? — მალიშევმა ტურბინს მხრებზე შეშფოთებით მიუთითა. — სასწრაფოდ მოიხსენით. რას სჩადით? საიდან მოდიხართ? ნუთუ არაფერი იცით?

— მე დამაგვიანდა, პოლკოვნიკო, — წამოიწყო ტურბინმა.

მალიშევმა მხიარულად გაიღიმა. მერე ღიმილი სახიდან უცებ ჩამოიცილა, შემკრთალმა თავი დამნაშავესავით გააქნია და წარმოთქვა:

— ოჰ, ღმერთო ჩემო, ჩემი ბრალია! მე ხომ ეს დრო დაგინიშნეთ... გეტყობათ, დღეს შინიდან არ გამოსულხართ. ჰო, კარგი. ახლა ამაზე ლაპარაკის დრო აღარ არის. ერთი სიტყვით: სამხრეები საჩქაროდ მოიძრეთ და გაიქეცით, დაიმალეთ.

— რა მოხდა? თუ ღმერთი გწამთ, მითხარით, რა მოხდა?..

— რა მოხდა? — დამცინავი სიმხიარულით კითხვა დაუბრუნა მალიშევმა, — ის მოხდა, რომ პეტლურა ქალაქშია. პეჩორსკზეა, თუ უკვე კრეშჩატიკზეც არ მოსულა. ქალაქი მის ხელშია. — მალიშევმა უცებ კბილები დაკრიჭა, თვალები დაბრიცა და მოულოდნელად მოყვარული მსახიობივით კი არა, კვლავ ადრინდელი მალიშევივით შესძახა: — შტაბებმა გვიღალატეს. დილასვე უნდა გაექცეულიყავით და თავისთვის გვეშველა. მე, საბედნიეროდ, კარგი ხალხის შემწეობით, ყველაფერი წუხელსვე შევიტყვე და დივიზიონის გაფანტვა მოვასწარი ექიმო, ფიქრის დრო აღარ არის, სამხრეები მოიძრეთ!

— ... მერედა იქ, მუზეუმში, მუზეუმში...

მალიშევს სახე მოექუშა.

— ეგ მე არ მეხება, — ბრაზიანად უპასუხა მან. — არ მეხება! ახლა მე უკვე აღარაფერი მეხება. ახლახან იქ ვიყავი, ვიყვირე, გავაფრთხილე, ვემუდარე, დაიშალეთ-მეთქი. მეტი აღარაფერი შემიძლია. ჩემიანები ყველა გადავარჩინე. სასაკლაოზე არ გავგზავნე! თავის შესარცხვენად არ გავგზავნე!—მალიშევი უცებ ისტერიკულად აყვირდა, ეტყობოდა, გულში რაც დაჰგროვებოდა, ამოხეთქვას ლამობდა და თავის შეკავება აღარ შეეძლო. — უჰ, გენერლებო! — მან მუშტები შეკუმშა და ვიღაცას დაემუქრა. სახე წამოუჭარხლდა.

ამ დროს ქუჩაში, სადღაც ზემოთ, ტყვიამფრქვევი აწივლდა და მეზობლად მდგარი დიდი სახლი შეაზანზარა.

მალიშევი შეკრთა და უმალ ხმას დაუწია.

— აბა, ექიმო, მოვკურცხლოთ! მშვიდობით. გაიქეცით! მაგრამ ქუჩაზე კი არ გახვიდეთ, აი, აქედან უკანა კარიდან გადით. მერე ეზო-ეზო გაიპარეთ. იქით ჯერ კიდევ არის გასასვლელი. იჩქარეთ.

მალიშევმა თავგზააბნეულ ტურბინს ხელი ჩამოართვა, სწრაფად შეტრიალდა და ტიხარს იქით, სიბნელეში გაუჩინარდა. მალაზიაში უმალ სიჩუმე ჩამოვარდა. ქუჩაში კი ტყვიამფრქვევი დადუმდა.

დადგა მარტოობის ჟამი. ღუმელში ქაღალდი იწვოდა. თუმცა მალიშევი ასე

აჩქარებდა. ტურბინი კარისკენ დუნედ, ნელა გაემართა, საგდული მოსინჯა, კოჭაკში ჩაუყარა და ღუმელთან დაბრუნდა. თუმცა აჩქარებდნენ, იგი აუჩქარებლად მოძრაობდა, ფეხები თითქოს მომჩვაროდა, გონება მოსდუნებოდა, ფიქრები აბლანდოდა. ცეცხლმა ქაღალდი ჩახთქა და ჩაბჟუტდა. ღუმლის პირიდან ძნიარული ალის ენების ნაცვლად მოწითალო წიაღიდა მოჩანდა, მაღაზიაში უმალ ჩამობნელდა. კედლებზე, რუხ ჩრდილებში თაროები ერთმანეთს ჭყარეოდა. ტურბინმა თაროები შეათვალიერა და დუნედ გაიფიქრა, მადამ ანჟუსთან სუხაშოს სუნი აქამდე კიდევ დგასო. ნაზი და სუსტი სურნელი ჯერაც იგრძნობოდა.

ტურბინს ფიქრები უფორმო გუნდად შეეკრა და იგი ერთხანს სრულიად უაზროდ იცქირებოდა იქით, სადაც გაპარსული პოლკოვნიკი გაუჩინარდა. მერე სიჩუმეში გუნდა თანდათან დაიშალა. ამოტივტივდა უმთავრესი, ყველაზე მსჭვალავი ფიქრი — პეტლურა აქ არის. „პეტურრა, პეტურრა", — სუსტი ხმით გაიმეორა ტურბინმა და ჩაიცინა, თავადაც არ იცოდა რატომ, მერე იაქათალზე ჩამოდებულ სარკესთან მივიდა. რომელსაც მტვრის ფენა მერდინივით გადაკვროდა.

ქაღალდი ჩაიწვა, უკანასკნელი მოწითალო ენა ერთხანს, თითქოს გასაღიზიანებლად, იატაკზე ცახცახებდა და მერე ჩქარა იქაურობა ბინდბუნდმა მოიცვა.

— პეტლურა, რა სიგიჟეა... ქვეყანა ნამდვილად დალუპულია. — ჩაილაპარაკა ტურბინმა ბინდით მოცულ მაღაზიაში, და უცებ გამოერკვა: — რა დროს ამაზე ფიქრია, ხომ შეიძლება აქ შემოიჭრანო?

იგი ისევე აწრიალდა, როგორც მალიშევი წრიალებდა წასვლისას. სამხრეები ჩამოიგლიჯა. ძაფები დაწყდა და ტურბინს ხელში შერჩა ორი დაბინდული, ვერცხლისფერი ზოლი გიმნასტურისა და ორიც მწვანე — მაზარისა. ტურბინმა სამხრეებს დახედა, ხელში შეატრიალა, უნდოდა ჯიბეში ჩაეწყო და სამახსოვროდ შეენახა, მაგრამ დაფიქრდა, სახიფათოდ მიიჩნია და გადაწყვიტა დაეწვა. თუმცა მალიშევმა მთელი საბუთები დაწვა, საწვაის ნაკლებობა მაინც არ ყოფილა. ტურბინმა იატაკიდან აბრეშუმის ნაკუწების მთელი ხვავი წამოხვეტა, ღუმელში შეტენა და ცეცხლი წაუკიდა. კედლებზე და იატაკზე ისევ აცეკვდნენ მაჯლაჯუნები და მადამ ანჟუს საყოფელი ცოტა ხნით კიდევ გამოაცოცხლეს. ალში გახვეული ვერცხლისფერი ზოლები და ბრიცა, ბუშტ-ბუშტად აიბურცა, ჩამუქდა და მერე დაიგრიხა.

ტურბინის გონებაში დიახაც მნიშვნელოვანი საკითხი წამოიჭრა — კარისთვის რა უნდა ექნა? ჩარაზული დაეტოვებინა თუ გაეღო? ვთქვათ, ტურბინივით ჩამორჩენილმა როშელიმე მოხალისემ უცაბედად მოირბინოს და თავის შესაფარებელი ადგილი ვერსად ნახოს? ტურბინმა საგდული კოჭაკიდან ამოაძრო. მერე გონება შანთივით დაუდაღა ფიქრმა: პასპორტი თუ წამოიღო? ჯერ ერთ ჯიბეზე იტაცა ხელი, მერე მეორეზე, მაგრამ ამაოდ. დიახ! დავიწყებია. აი. ხათაბალა! უცებ იმათ რომ გადააწყდეს? რუხი მაზარა აკვია. შეეკითხებიან, ვინ ხარო? ეტყვის, ექიმი... მერედა რით დაუმტკიცებს? ეშმაკმა დასწყევლოს ეს დაბნეულობა!

„იჩქარე", — უკარნახა შინაგანმა ხმამ.

ტურბინს ბევრი აღარ უფიქრია, მაღაზია გაირბინა და იმავე გზით, რითაც მალიშევი გაეშურა, პატარა კარიდან ჩაბნელებულ დერეფანში გასხლტა, იქიდან კი უკანა კარით ეზოში გაიჭრა.

უნტერ-ოფიცერი ნიკოლაი ტურბინი ტელეფონის ხმას დაეძორჩილა, ოცდარვა იუნკერი ყაზარმის შენობიდან გაიყვანა და მარშრუტის მიხედვით მთელ ქალაქზე გაატარა. მარშრუტმა ტურბინი და იუნკრები [illegible] უკაცრიელ გზაჯვარედინზე მიიყვანა. იქაურობას სიცოცხლის ნიშანწყალი [illegible] ეტყობოდა, ჭახაჭუხი კი გვარიანი იდგა. ირგვლივ — ცაში, სახურავებზე, კედლებზე ტყვიამფრქვევთა ზუზუნი გაისმოდა.

მტერი, ცხადია, აქ უნდა ყოფილიყო, რადგან ეს გახლდათ ტელეფონით ნაუწყები უკანასკნელი, საბოლოო პუნქტი. მაგრამ მომხდურნი ჯერჯერობით არსად ჩანდნენ და ნიკოლკა ცოტათი დაიბნა, აღარ იცოდა, შემდეგ რა ექნა. მისი იუნკრები, ოდნავ გაფითრებულნი, მაგრამ თავიანთი მეთაურივით მაინც გულადნი, დათოვლილ ქუჩაზე მწკრივად გაწვნენ, ხოლო მეტყვიამფრქვევე ივაშინი ტროტუარის პირას მდგარ ტყვიამფრქვევთან ჩაცუცქდა. იუნკრები თავს წამოსწევდნენ ხოლმე და თვალებგაფაციცებულნი შორს იყურებოდნენ, ელოდნენ, მაინც რა მოხდებაო.

მათი წინამძღოლის გონება კი ისეთ მნიშვნელოვან, თავსამტვრევ ფიქრებს მოეცვა, რომ გაფითრებულიყო და ლოყები ჩასცვევოდა. წინამძღოლს, ჯერ ერთი — ის ამბავი აოცებდა, რომ გზაჯვარედინზე იმის მსგავსიც ვერაფერი ნახა, რასაც ტელეფონით შეჰპირდნენ. აქ, გზაჯვარედინზე, ნიკოლკას მესამე ლაშქრის რაზმი უნდა დახვედროდა და მას თავისი იუნკერებით ამ რაზმის „მაშველობა" გაეწია. მაგრამ რაზმი არ დახვედრიათ. დახვდათ კი არა, მისი კვალიც არსად ჩანდა.

მეორე, ის გარემოება აოცებდა, რომ ტყვიამფრქვევების საბრძოლო ჭახჭახი დროდადრო არამარტო წინიდან, არამედ მარცხნიდან და ზოგჯერ უკანიდანაც მოისმოდა. მესამე, ეშინოდა, ვაითუ შევშინდეო, და ერთთავად საკუთარ თავს ამოწმებდა: „მეშინია?" — „არა, არ მეშინია", — მხნედ უპასუხებდა შინაგანი ხმა, და ნიკოლკაც, იმით გაამაყებული, მამაცი ვყოფილვარო, უფრო მეტად ფიქრდებოდა. გაამაყებას ახლა ის ფიქრი მოსდევდა, თუ მომკლეს, მუსიკით დამმარხავენო. ეს ძალზე უბრალოდ მოხდება: ქუჩაში თეთრი ფარჩით მორთული ძუბო მიცურავს. შიგ წევს ბრძოლაში დაჭრილი უნტერ-ოფიცერი ტურბინი. ცვილისფერი, კეთილშობილური სახე აქვს. სამწუხაროა, ახლა ჯვრებს რომ აღარ იძლევიან, თორემ მკერდი უსათუოდ გიორგის ჯვრითა და ლენტით ექნებოდა დამშვენებული. ჭიშკართან ქალები დგანან. „ვის მარხავენ, არ იცით?" — „უნტერ-ოფიცერ ტურბინს..." — „ოჰ, რა ლამაზია..." მუსიკის ხმაც გაისმის. ბრძოლაში სიკვდილი, რომ იცოდეთ, დიახაც საამოა. ოღონდაც არ იტანჯოს, მუსიკასა და ლენტებზე ფიქრმა ნიკოლკა ცოტა გაახალისა მტრის სათუო მოლოდინში, რომელიც, ცხადია, ტელეფონით ნაბრძანებს არ ემორჩილებოდა და გამოჩენას არც აპირებდა.

— აქ მოვიცდით, — უთხრა ნიკოლკამ იუნკრებს. ცდილობდა რაც შეიძლება დამაჯერებელი ხმა ჰქონოდა, მაგრამ მისი ხმა არც ისე დამაჯერებლად ეღერდა, რადგან ირგვლივ ყველაფერი მაინც არ იყო ისე, როგორც უნდა ყოფილიყო.

ეს რა უაზრობაა? სად არის რაზმი? სად არის მტერი? უცნაურია ისიც, რომ თითქმის უკან, ზურგში ისვრიან.

* *

წინამძღოლისა და მისი მხედრობის ლოდინს ამაოდ არ ჩაუვლია. განიე შესახვევზე, რომელიც გზაჯვარედინიდან ბრესტ-ლიტოვსკის შარაგზისკენ მიემართებოდა, უცაბედად სროლა ატყდა და შესახვევში რუხმაზარიანები შემოცვივდნენ. ისინი პირდაპირ ნიკოლკას იუნკრებისკენ მორბოდნენ. შემჩნეულ ზოგს საით გეშვირა, ზოგს საით.

„შემოგვიარეს?“ — თავში დაკრა ნიკოლკას. იგი აწრიალდა, არ იცოდა, იუნკრებისთვის რა ებრძანებინა, მაგრამ ერთი წამის შემდეგ სირბილით მომავალთა შორის ზოგიერთის მხრებზე ოქროსფერი ზოლები გაარჩია და მიხვდა, ჩვენები არიანო.

ტანადი, მძიმე, სირბილისგან გახვითქული ფაფახიანი კონსტანტინელი იუნკრები უცებ შეჩერდნენ, ცალ მუხლზე ჩაიჩოქეს და ორი მკრთალად გაელვებული ბათქი გაგზავნეს იმ შესახვევისკენ, საიდანაც გამორბოდნენ. მერე წამოხტნენ, შაშხანები გადაყარეს და ნიკოლკას რაზმის წინ გზაჯვარედინი გადაირბინეს. გზადაგზა სამხრეებს იგლეჯდნენ, ჩანთებსა და ქამრებს იხსნიდნენ და აჩიჩქნილ თოვლზე ყრიდნენ. რუხმაზარიანი, ზორბა, ზორზოხი იუნკერი, ყველაზე ბოლოს რომ მორბოდა, ნიკოლკას გაუსწორდა, მისი რაზმისკენ თავი შემოაბრუნა და ქოშინით ხმამაღლა დაუყვირა:

— გამოგვყევით, ჩვენ გამოგვყევით! თავს უშველეთ, ვისაც შეგიძლიათ!

ნიკოლკას იუნკრები მწკრივებიდან დაფეთებულნი წამოცვივდნენ. ნიკოლკას მთლად აებნა თავგზა, მაგრამ იმავე წამს გონება მოიკრიბა, თავში ელვასავით გაურბინა ფიქრმა: „აი ეამი, როცა გმირობის ჩადენა შეიძლება“, — და მეტახე ხმით შესძახა:

— ადგომა არავინ გაბედოს! უსმინეთ ბრძანებას!!

„რას სჩადიან?“ — გაიფიქრა გაშმაგებულმა ნიკოლკამ.

კონსტანტინელები, — ისინი ასე ოფიციოზე იქნებოდნენ, — გზაჯვარედინიდან უიარაღოდ გაიჭრნენ, განივად გაჭიმულ ფანარნაიას შესახვევშივე გაიფანტნენ და ერთი ნაწილი პირველსავე უზარმაზარ ჭიშკარში შეეარდა. რკინის ჭიშკარი ხრიგინით გაიღო და იუნკრები ჩექმების ბრაგუნით შეცვივდნენ აზრიალებულ ჭრილში. მეორე ჯგუფი მომდევნო ჭიშკარში შეეარდა. დარჩნენ მხოლოდ ხუთნი. მათ სირბილს უმატეს, პირდაპირ ფანარნაიას გაუყვნენ და შორს გაუჩინარდნენ.

ბოლოს გზაჯვარედინზე უკანასკნელმა ლტოლვილმაც შემოირბინა. ძას მხრებზე მკრთალად უელავდა ოქროსფერი სამხრეები. ნიკოლკამ გამახეილებული მზერა მიაპყრო და უმალ იცნო პირველი ლაშქრის მეორე განყოფილების მეთაური, პოლკოვნიკი ნაი-ტურსი.

— ბატონო პოლკოვნიკო! თქვენი იუნკრები დამფრთხალნი გარბიან! — თან შეშფოთების, თან სიხარულის გამომხატველი ხმით შეაგება ნიკოლკამ.

იმავე წუთას საშინელი რაღაც მოხდა. ნაი-ტურსმა გადათქერილ გზაჯვარედინზე შემოირბინა. მაზარის კალთები ორივე მხარეს ფრანგი ქვეითჯარისკაცივით ეკეცა. დაჭმუჭნული ქუდი კეფაზე გადავარდნოდა და ნიკაპზე ამოდებული ღვედიღა ამაგრებდა. მარჯვენა ხელში კოლტი ეჭირა, გახსნილი ბუდე კი თეძოზე ეხლებოდა. დიდი ხნის გაუპარსავ, შეჯაგრულ სახეზე მრისხანება ეხატებოდა. თვალები ცხვირისკენ დაბრეცოდა. ახლა, ახლოდან, მხრებზე გარკვევით მოუჩა-

ნდა ჰუსარული ტეხილი ხაზები. ნაი-ტურსმა ნიკოლაასთან სულ ახლოს მიირბინა, მარცხენა, თავისუფალი ხელით წასწვდა და ჯერ მარცხენა სამხრე ააგლიჯა, მერე მარჯვენა. მაგარი, გასაბნელული ძაფები ტკაცანით დაწყდა, თანაც მარჯვენა სამხრემ მაზარის ნაგლეჯიც გაიყოლა. ნიკოლაამ იგრძნო, ნაი-ტურსს რა საოცრად ლონიერი ხელები ჰქონდა. იგი დაბარბაცდა და მოწყვეტილ დროსკდა რაღაცა რბილს. ეს რაღაცა მის ქვემოდან ჭყვირილით გამოსხლტა და მეტყვიამფრქვევე ივაშინი გამოდგა. მერე კი ნიკოლაას თვალებში აერია იუნკერთა დამანჭული სახეები და ყველაფერი ყირამალა დადგა. იმ წუთას ჭკუიდან მხოლოდ იმიტომ არ შეიშალა, რომ ამის დრო არ ჰქონდა, ისე ელვისებურად მოქმედებდა პოლკოვნიკი ნაი-ტურსი. მან პირი მიიქცია დაშლილი ოცეულისკენ და ენის უჩვეულო, არნახული ბორძიკით ბრძანება დასჭყიალა. ნიკოლაამ გაიფიქრა, ამ ხმას ალბათ ათ ვერსზე, ათი ვერსი არ არის, მთელ ქალაქშიაც გაიგონებენო.

— იუნკლებო! ისმინეთ ჩემი ბრძანება: მოიძლეთ სამხლეები, კოკალდები, მოიხსენით ჩანთები, გადაყალეთ იარაღი! ფანარნაიას შესახვევიდან ლაზეზეკაიაზე ეზო-ეზო გადით და პოდოლისკენ გასწით! პოდოლისკენ! გზადაგზა საბუთები დახიეთ, მიიმალეთ, გაიფანტეთ, ვინც გზაზე შეგხვდებათ, თან გა-ი-იყო-ლეთ!

მერე ნაი-ტურსმა კოლტი მაღლა აიმართა და კავალერიის საყვირივით დასჭექა:

— ფანარნაიაზე! მხოლოდ ფანარნაიაზე! შინისკენ გასწით! ბოძოლა დამთავრდა! სიბილით იარ!

ოცეული რამდენსამე წამს გონს კერ მოეგო. მერე იუნკრებს ერთიანად მიტკლისფერი დაედოთ. ივაშინმა სამხრეები პირდაპირ ნიკოლაას ცხვირწინ ჩამოიგლიჯა, თოვლზე დაცვივდა ჩანთები. შაშხანა ჩხარაჩხურით გასრიალდა ტროტუარის გაყინულ კუბზე. ნახევარი წუთის შემდეგ გზაჯვარედინზე ვაზნების ჩანთები და ქამრები ეყარა. იქვე ეგდო ვიღაცის დაფხრეწილი ქუდი. იუნკრები ფანარნაიას შესახვევის ეზოებში შერბოდნენ რაზეზეკაიას ქუჩაზე გასასვლელად.

ნაი-ტურსმა კოლტი რევოლვერის ბუდეში ერთი მოქნევით ჩაიტენა, ტროტუარის პირას მდგარი ტყვიამფრქვევისკენ გაექანა, დაიხარა, ჩაცუცქდა, ტყვიამფრქვევს პირი იქით უქცია, საიდანაც მოირბინა, და ლენტი მარცხენა ხელით გაუსწორა. მერე ნიკოლაასკენ ისევე ჩაცუცქული შემოტრიალდა და გააფათრებით დაუღრიალა:

— დაყლუვდი? გაიქეცი!

ნიკოლაას უცნაური ექსტაზი დაეუფლა, თითქოს დათვრაო. ეს გრძნობა საიდანღაც მუცლიდან დაეძრა და პირი უმალ გაუშრო.

— არ შეგეშინოს, ბატონო პოლკოვნიკო, —უთხრა მან ნაი-ტურსს მოგუდული ხმით, ჩაცუცქდა, ლენტს ორივე ხელი ჩაავლო და ტყვიამფრქვევში შეტენა.

შორს, იქ, საიდანაც ნაი-ტურსის იუნკრებმა მოირბინეს, უცაბედად რამდენიმე მხედარი გამოიჭრა. ბუნდოვნად ჩანდა, რომ მხედრებს ხელში რუხი გაშიშვლებული ხმლები ეჭირათ და მათი ცხენები ცეკვა-ცეკვით მოგელავდნენ. ნაი-ტურსმა სახელურები მოქაჩა და ტყვიამფრქვევმა წაიმღერა — არ-რა-პაა, შეჩერდა, კიდევ წაიმღერა და მერე გრძლად აჭახჭახდა. ყველგან, ძარჯვხივაც და მარცხნივაც, სახლის სახურავები უმალ აბრიალდა. მხედართა ჯგუფს რამდენიმე მხედარი კიდევ მიეშატა, მერე ერთი მათგანი სადღაც გვერდზე, სახლის ფანჯარას მიენარცხა, მეორე ცხენი ყალყზე შედგა და ისე დაგრძელდა, ლამის მეორე

სართულს მისწვდა, რამდენიმე მხედარი კი საერთოდ გაქრა. შემდეგ, თითქოს მიწამ პირი უყოო, უცაბედად გაუჩინარდნენ დანარჩენი მხედრებიც.

ნაი-ტურსს თვალები თითქოს რაღაც შუქმა გაუნათა. მან ტყვიამფრქვევის სახელურები გადასწია, ცას მუშტით დაემუქრა და შეჰყვირა:

— ბიჭები! ბიჭები!.. უჰ, შტაბელო ძძოლებო!..

მერე ნიკოლკასკენ შეტრიალდა და ისეთი ხმით დაუყვირა, რომ მას მოეჩვენა, კავალერიის ხაზმა საყვირმა დასჭექაო:

— მოშოლდი აქაულობას, ბლიყვო ბიჭო, მოშოლდი-მეთქი!

როცა უკან გაიხედა და დარწმუნდა, ყველა იუნკერი მიიმალაო, მზერა გზაჯვარედინიდან შორს, ბრესტ-ლიტოვსკის ისრის პარალელურ ქუჩას გააყოლა და გულჩამწყდარმა გაშმაგებით შეჰყვირა:

— უჰ, თქვე ეშმაკის კეღეებო!

ნიკოლკა მის კვალდაკვალ შეტრიალდა და დაინახა, რომ შორს, ჯერ კიდევ კარგა შორს, კადეტსკაიას ქუჩაზე, გადამჭკნარ, დათოვლილ ბულვართან, შავი მწკრივები გამოჩნდა. მწკრივები მიწას გაენერთხნენ. მერე ფირნიშმა, იქვე, ნაი-ტურსისა და ნიკოლკას თავს ზემოთ, ფარნარნაის შესახვევის კუთხეში:

კბილის ექიმი
ბერტა იაკოვლევნა
პრინც-მეტალი

ჭახანი მოიღო, სადღაც ჭიშკარს იქით კი მინები ჩამოიმსხვრა. ნიკოლკამ ტროტუარზე ბათქაშის ნატეხები დაინახა. ეს ნატეხები ქუჩაზე ხტუნვა-ხტუნვით გაქანდა. ნიკოლკამ ნაი-ტურსს გაკვირვებული მზერა მიაპყრო, თვალებით ეკითხებოდა, ეს მწკრივები და ბათქაში რას მოასწავებსო. ნაი-ტურსი კი ძალზე უცნაურად მოიქცა. იგი ცალ ფეხზე შეხტა, მეორე ფეხი ისე აიქნია, თითქოს მეჯლისზეა და ვალსს ცეკვავსო. ტუჩებიც ყოველად შეუფერებელმა ღიმილმა გაუპო. წამიც და პოლკოვნიკი ნაი-ტურსი ნიკოლკას ფეხებთან იწვა. ნიკოლკას გონებას შავი ბურუსი გადაეკრა. იგი ჩაცუცქდა და, თავისდა მოულოდნელად, უცრემლოდ აქვითინდა. თან პოლკოვნიკს მხრებზე ეჭიდებოდა და ცდილობდა წამოეყენებინა. ამ დროს დაინახა, რომ ნაი-ტურსს მარცხენა სახელოდან სისხლმა უწყო გამოყოლვა, თვალები კი ცისკენ აპყრობილი დარჩა.

— ბატონო პოლკოვნიკო, ბატონო...

— უნტერ-ცელო, — წარმოთქვა ნაი-ტურსმა, თან სისხლი პირიდან ნიკაპზე ჩამოელვარა. ხმა ნაწყვეტ-ნაწყვეტად ამოსდიოდა და ყოველ სიტყვაზე უსუსტდებოდა, — გმილობას მოეშვით. მე ვკვდები.. ძალო-პლოვალნაია...

მან მეტის გახმარეტება ალარ ისურვა. ქვედა ყბა აუტოკდა, ზუსტად სამჯერ ისე აუტოკდა, თითქოს იხრჩობაო. მერე გაუჩერდა და პოლკოვნიკი ფჭვილის ტომარასავით დამძიმდა.

„ასე კვდებიან? — გაიფიქრა ნიკოლკამ. — შეუძლებელია. წუთის წინ ხომ ცოცხალი იყო. ბრძოლაში სიკვდილი ეტყობა, საშიში არ ყოფილა. მე კი რატომღაც ვერ მომახვედრეს..."

„კბილ...

...ექიმი. —

მეორეჯერ გაისმა ჭახანი თავს ზემოთ და სადღაც მინები კიდევ ჩაიმსხვრა. „ეჰ

ნებ მხოლოდ გონება აქვს დაკარგული?“ — უაზროდ გაიფიქრა შეძრწუნებულმა ნიკოლკამ და პოლკოვნიკს დაეჭიდა, მაგრამ მისი აწევა ვერ შეძლო. „არ მეშინია?“ — გაიფიქრა ნიკოლკამ და იგრძნო, რომ შიშის ზარს აეტანა. „რატომ? რატომ?“ — ფიქრობდა ნიკოლკა და მაშინვე მიხვდა, რომ მწუხარება და მარტოობა აშინებდა. ახლა პოლკოვნიკი ნაი-ტურსი ფეხზე რომ იყოს, შიში ახლოსაც ვერ გაეკარებოდა.... მაგრამ პოლკოვნიკი ნაი-ტურსი არ ინძრეოდა, არავითარ ბრძანებას აღარ იძლეოდა, არც იმას აქცევდა ყურადღებას, რომ მის სახელოსთან წითელი გუბე სულ უფრო იზრდებოდა და არც იმას, რომ ბათქაში კედელზე გაშმაგებით იმსხვრეოდა და ქუცმაცდებოდა. ნიკოლკას შიში იმიტომ დაეუფლა, რომ სრულიად მარტო დარჩა. გვერდიდან არც ერთი მხედარი აღარ გამოჩენილა, თავს არავინ ესხმოდა, მაგრამ ყველანი, ცხადია, მის სამტროდ იყვნენ პირშეკრულნი, ის კი უკანასკნელილა დარჩა, მარტოდმარტო... ჰოდა, ნიკოლკა გზაჯვარედინიდან მარტოობას გაექცა. იგი მუცელზე მიხოხავდა, ხელებს იშველიებდა, თანაც მარჯვენა ხელის იდაყვს, იმიტომ რომ მარჯვენა ხელში ნაი-ტურსის კოლტი ჩაებღუჯა. ნამდვილი შიში მაშინ იგრძნო, როცა კუთხემდე ორი ნაბიჯიღა დარჩა. აი, ახლა ფეხში მოარტყამენ და მერე ვეღარ გახოხდება, პეტლურელები მიესევიან და ხმლებით აკუწავენ. რა საშინელებაა, როცა წევხარ და ხმლებით გჩეხავენ... სროლით უნდა მოიგერიოს, თუ კოლტში ვაზნები დარჩა... სულ ერთნახევარი ნაბიჯიღაა... ცოტაც, ცოტაც... ერთიც... და ნიკოლკა კედლის იქით, ფანარნაიას შესახვევში აღმოჩნდა.

„საკვირველია, მართლაც საკვირველია, რომ ვერ მომახვედრეს. პირდაპირ სასწაულია. ეს სასწაული ღმერთმა მომივლინა, — გაიფიქრა ნიკოლკამ და თავი წამოწია, — ნამდვილი სასწაულია... ახლა სასწაული საკუთარი თვალით ვნახე. პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი. ვიქტორ ჰიუგო. ნეტავი ელენა როგორ არის? ან ალექსეი? ცხადია, რაკიღა სამხრეებს იგლეჯენ ,მაშ ყველაფერი დაღუპულა“.

თავით ფეხებამდე თოვლში ამოგანგლული ნიკოლკა წამოხტა, კოლტი მაზარის ჯიბეში ჩაიტენა და შესახვევში ისარივით გაექანა. ხელმარჯვნივ პირველივე ჭიშკარი ღია დახვდა. ნიკოლკამ აზრიალებულ ჭიშკარს ჩაურბინა და ულიმლამი, უქმურ ეზოში შევარდა. რომლის მარჯვნივ წითელი აგურის ფარდულები მოჩანდა, მარცხნივ კი შეშის ზვინები იდგა, მოისაზრა, გასასვლელი შუაში იქნებაო. ფეხის სრიალით იქითკენ გაქანდა და ჯუბაჩიან კაცს გადააწყდა. შეხედა და ცხადად დაინახა სიძულვილით მომზირალი ვიწრო თვალები, ჰაჭუა ცხვირი და ყელი წვერი — ცხვრის ტყავისქუდიანი წმინდა წყლის ნეროხი. ყელწვერამ ნიკოლკას მარცხენა ხელი ისე შემოჰხვია, თითქოს ეთამაშებაო. მარჯვენა კი მარცხენა ხელში ჩაავლო და ზურგს უკან გადაუგრიხა. ნიკოლკა რამდენიმე წამს გაოგნებული იდგა. „ღმერთო ჩემო, — გაუელვა თავში, — დამიჭირა, ვძულვარ!.. პეტლურელია...“

— უჰ, შე არამზადა! — ჩახლეჩილი ხმით შეჰყვირა ყელწვერამ და აქშუტუნდა, — სად გარბიხარ? გაჩერდი! — მერე უცებ დაიღრიალა: — დაიჭირეთ, დაიჭირეთ, ბუნკრები დაიჭირეთ. სამხრეები რომ მოიძრე, არამზადავ, გგონია, ვეღარ გიცნობენ? დაიჭირეთ!

ნიკოლკა გააფთრდა, სიბრაზემ თავით ფეხამდე დაუარა. იგი ისე მოწყვეტით ჩაჯდა, რომ წელზე მაზარის სამაგრი ქამარი შემოასკდა, შეტრიალდა, არაბუნებრივი ძალით გაიწია და წითურს ხელიდან გაუსხლტა. ერთ წამს თავდამსხმელს

ველარც ხედავდა. რადგან მისკენ ზურგი ჰქონდა მიქცეული, მაგრამ მერე შეტრიალდა და ისევ დაინახა. ქალწვერას ხელში იარაღი არ ეჭირა. საერთოდ სამხედროც არ გამოდგა, თურმე მეეზოვე ყოფილიყო. ნიკოლაკ ფალტა ენ სიშმაგემ ჭიაფერ ფარდასავით გაიფრიალა და უზომო თავდაჯერება შეეხაცვლა. კბილები მგლის ლეკვივით დაკრიჭა და გახურებულ პირში ქარმა და სუსხმა დაურბინა. ჯიბიდან კოლტი ამოიტაცა და გაიფიქრა. „მოვკლავ ამ ძურდალს, ოღონდ შიგ ვაზნები იყოს". საკუთარი ხმა ველარ იცნო, ისეთი უცხო, შემზარავი ხავილი ამოუშვა.

— მოგკლავ, შე წუნკალო! — ჩაისისინა ნიკოლკამ, კოლტი თითებით მოსინჯა და უმალ თავში გაუელვა, რომ ალარ ახსოვდა, როგორ უნდა გაესროლა. შეიარაღებული ნიკოლკას დანახვით თავზარდაცემული ქალ-ყვითელი მეეზოვე სასოწარკვეთილი დაეცა მუხლებზე და შეჰბღავლა. ნერონმა სასწაულებრივად იცვალა სახე და გველად გადაიქცა:

— ოჰ, თქვენო კეთილშობილებავ! თქვენო...

ნიკოლკა სულ ერთია. მაინც ესროდა, მაგრამ კოლტმა გასროლა არ მოისურვა. „ცარიელი ყოფილა. რა უბედურებაა!" — ელვასავით გაჭრა ნიკოლკას. მეეზოვე თავზე ხელებს იფარებდა, ჯერ დაჩოქილი მიჩოჩაოდა, მერე ჩაცუცქდა და უკან ისე გაფორთხდა, თანაც ისეთი საშინელი ხმით ბღაოდა, ნიკოლკას ნაღდად დაღუპავდა. რევოლვერის გაჯიუტებით სასოწარკვეთილმა ნიკოლკამ ალარ იცოდა, სპილენძისფერი წვერ-ულვაშით შემობარდული, აბლავლებული ხახა როგორ ჩაეჩუმებინა და მეეზოვეს მოჩხუბარი მამალივით დაახტა, ხელი მოუჭნია და კოლტის ტარი კბილებში მთელი ძალით ჩასცხო. იმაზე კი ალარ უფიქრია, რომ შეიძლებოდა ტყვიას თავად იგი გაეგმირა. ნიკოლკას სიშმაგემ უცებ გაუარა. მეეზოვე წამოხტა და იმ ჭიშკრისკენ გაიქცა, საიდანაც ნიკოლკამ ეზოში შემოირბინა. შიშისგან ლამის ჭკუაზე შერყეული ქალწვერა ალარ ბღაოდა, გარბოდა, ყინულზე ფეხი უსხლტებოდა და მიბორძიკობდა, მხოლოდ ერთხელ მოიხედა და ნიკოლკამ დაინახა, რომ ნახევარი წვერი წითლად შეღებოდა. მერე მეეზოვე გაქრა. ნიკოლკა ქვემოთ გაიქცა, ფარდულს ჩაუქროლა და რაზეზეაიაზე გამავალ ჭიშკართან მიირბინა. იქ კი სასოწარკვეთილება დაეუფლა... ძორჩა. გვიანლაა. ალარაფერი ეშველება. ღმერთო, კოლტიც რომ არ ისროის... უბარბაზარ ჭანჭიესი და ბოქლომს ამაოდ ეჯაჯგურებოდა. თავს ველარ გადაირჩენდა. ნაი-ტურსის იუნკრებს ეზო გაურბენიათ თუ არა, წითელ მეეზოვეს რაზეზეაიაზე გამავალი ჭიშკარი ჩაუკეტავს და ახლა ნიკოლკას წინ გადაულახავი ზღუდე — ერთიანად გლუვი, რკინის ყრუ კედელია აღმართული. ნიკოლკა შეტრიალდა, უჩვეულოდ ჩამოდაბლებული, ჩამობუზული ცისკენ აიხედა და ბრანდმაუერზე თვალი მოჰკრა მსუბუქ შავ კიბეს, რომელიც ოთხსართულიანი სახლის სახურავამდე ადიოდა. „ხომ არ ავიდე?" — გაიფიქრა მან და უმალ გაახსენდა ჭრელაჭრელა სურათი: ყვითელპიჯაკიან ნატ პინკერტონს სახეზე წითელი ხიღაბი ჩამოუფარებია და ზუსტად ასეთივე კიბეზე მიცოცავს. „ეჰ, ნატ პინკერტონი, ამერიკა... მე კი ავალ და მერე რაღას ვიზამ? სულელივით ვიჯდები სახურავზე ამასობაში მეეზოვე ჭეტლურელებს დაუძახებს. ეს ნეტარნი გამკეკმს... მე ხომ კბილები ჩაეჭიტვრია... არ მაპატიებს!"

მართლაც ფაფარნაიას შესახვევში გამავალი ჭიშკრის მხრიდან ნიკოლკას მეეზოვის გამწარებული ღრიალი შეესმა: „აქეთ! აქეთ!" მერე კი ფლოქვების თქარუნიც გაიგონა. ნიკოლკა შიხვდა: პეტლურას ცხენოსანი ჯარი ქალაქში ფლანგ-

გიდან შემოჭრილიყო და უკვე ფახარნაიას შესახვევში შემოდიოდა. სწორედ ამას ყვიროდა ნაი-ტურსი... ფახარნაიაზე დაბრუნება არ შეიძლებოდა.

ამ ფიქრებმა ნიკოლკას მეზობელი სახლის კედელთან მიშენებული ფარდულის გვერდით დაწყობილი შეშის გროვაზე გაუელვა. იქ როდის და როგორ აფოფხდა, თავადაც არ იცოდა. გაყინული შეშა ფეხქვეშ შეეტყო, ფაფარძიკდა, წაიქცა და შარვალი გაეფხრიწა, როგორც იქნა, კედლამდე მიეწია, ფანჯარა გადაიხედა და ზუსტად ისეთივეე ეზო დაინახა, იმდენად მსგავსი პირველი ეზოსი, რომ გაიფიქრა, აქაც საიდანმე ჯუბაჩიანი, წითური ნერონი გამოტყვრებაო. მაგრამ არავინ გამომტყვრალა. ნიკოლკა მიწაზე ჩახტა, წელსა და მუცელში ისეთი ტკივილი იგრძნო, თითქოს რაღაც ჩასწყდაო, და იქვე ჩაჯდა. იმავე წამს კოლტი ხელში შეუხტა და გამაყრუებლად იქუხა. ნიკოლკა გაოცდა, მერე კი მოისაზრა: „დამცველი ჩაკეტილი იყო და ახლა გადავწიე. აი, შარი თუ გინდა".

ფუი ეშმაკს!. აქაც რაზეზეაიაზე გამავალი ჭიშკარი გლუვი რკინისაა და ჩაკეტილია. მაშ ისევ კედელზე უნდა გადაძვრეს. მაგრამ აქ რომ შეშა აღარ აწყვია. ნიკოლკამ დამცველი გადაკეტა და რევოლვერი ჯიბეში ჩაიდო. დამტვრეული აგურების გროვაზე აბობღდა, მერე კი ციცაბო კედელზე ბუზივით აცოცდა, ფეხს ისეთ ნასვრეტებზე იკიდებდა, მშვიდობიან ეამს კაპიკიანიც რომ ვერ შეეტეოდა. ფრჩხილები დაიგლიჯა, ხელები დაისისხლიანა, მაგრამ კედელს თავზე მაინც მოექცა, ზედ მუცლით გადაწვა და ამ დროს უკანიდან, პირველი ეზოდან გამაყრუებელი სტვენა და ნერონის ხმა მოესმა, აქ კი, მესამე ეზოში მდგარი სახლის მეორე სართულის ჩაშავებული ფანჯრიდან ვიღაც ქალმა გაღმოიხედა. ქალმა ნიკოლკა დაინახა, სახე შიშისგან დაეშანჯა და მაშინვე მიიმალა. მეორე კედლიდან ნიკოლკა საკმაოდ მარჯვედ ჩახტა, ნამქერზე დაეცა, მაგრამ კისერში თითქოს რაღაც გაეკვანძა და თავის ქალაში რაღაც ჩაუწყდა. თუმცა თავი უზრიალებდა და თვალთ უბნელდებოდა, ჭიშკრისკენ მაინც გაიქცა...

აი ეღბალი! ეს ჭიშკარიც ჩაკეტილია. მაგრამ ეგეც რამე?! ჭიშკარი რიკულებიანი გამოდგა. ნიკოლკა ზედ მეხანძრესავით აცოცდა, გადაალაჯა, ქვემოთ ჩაცურდა და რაზეზეაიას ქუჩაზე აღმოჩნდა. ქუჩა სრულიად ცარიელი იყო, ძეხორციელი არსად ჩანდა. „ათ წამს მაინც სულს მოვითქვამ, მეტს არა, თორემ გული გამისკდება", — ფიქრობდა ნიკოლკა და გაფიცხებულ ჰაერს ყლაპავდა. „ჰო... საბუთები..." ნიკოლკამ ბლუზის ჯიბიდან გაზინთული საბუთების დასტა ამოიღო და დახია. ნახევები თოვლის ფიფქებივით გაიფანტა. ამ დროს უკან, იმ გზაჯვარედინიდან, სადაც ნიკოლკამ ნაი-ტურსი დატოვა, ტყვიამფრქვევი აკაკანდა, საპასუხოდ წინიდან, ქალაქის მხრიდანაც, ტყვიამფრქვევების ჭახჭახი და შაშხანების ბათქი გაისმა. გასაგებია, ქალაქი უკვე აიღეს, ქალაქში ბრძოლაა. ყველაფერი დასრულდა. ნიკოლკამ თოვლი ორივე ხელით ჩამოიფერთხა, სული რიგიანად ჯერაც ვერ მოეთქვა. კოლტი გადააგდოს? ნაი-ტურსის კოლტი? არა, არაფრის დიდებით. იქნებ როგორმე გასხლტეს? ყველგან ერთბაშად ხომ არ შემოვიდოდნენ?

ნიკოლკამ ძძიმედ ამოიოხრა და უკაცრიელ რაზეზეაიას სირბილით გაუყვა. იგრძნო, ფეხები როგორ დაღლოდა და მოსდუნებოდა. გზაჯვარედინამდე მშვიდობიანად მიაღწია. იქიდან ორი ქუჩა იწყებოდა: ერთი — ლუბოჩიცკაიას ქუჩა — პოდოლისკენ მიემართებოდა, მეორე — ლოვსკაიას ქუჩა კი ქალაქის ცენტრისკენ უხვევდა. იქვე, ტუმბასთან, სისხლის გუბე, ნეხვი, ორი გადაგდებული შაშხანა და ლურჯი, სტუდენტური ქუდი დაინახა. ნიკოლკამ თავისი ფაფახი გადაა-

ვდო და ეს ქუდი დაიხურა. ქუდი პატარა მოუვიდა, დააუშნოვა და თავქეიფა მაწანწალას, გამოგდებულ გიმნაზიელს დაამსგავსა. ნიკოლკამ ლოვსკაიაზე ქუჩის კუთხიდან ფრთხილად გაიხედა. ძალიან შორს, გოგმანით მიმავალი ძხედრები დაინახა და მხედართა ფაფახებზე ლურჯი ზოლებიც გაარჩია. იქ რაღაც ფუსფუსი იყო და სროლის ხმაც გაისმოდა. ნიკოლკამ ლუბოჩკაიაზე მოკურცხლა და ცალი ადამიანი პირველად იქ დაინახა. ქუჩის მეორე მხარეს, ტროტუარზე ვიღაც ქალი გამორბოდა, შავფრთიანი ქუდი გვერდზე მოჭქცეოდა, ცალი ხელით ჩანთას მოათრევდა. ჩანთიდან თავამოყოფილი დამფრთხალი მამალი ამოხტომას ლამობდა და მთელ ქუჩას ყივილით აყრუებდა: „პეტურრა, პეტურრა". ქალს მარცხენა ხელში გვერდგამოხეული პარკი ეჭირა და ტროტუარზე სტაფილო ეფანტებოდა. ქალი ყვიროდა, ტიროდა და კედელს აწყდებოდა. ქარივით ჩაიქროლა ვიღაც კაცმა, ყოველ მხარეს პირჯვარს ისახავდა და გაჰყვიროდა:

— უფალო იესო ქრისტე! ვალოდკა, ვალოდკა! პეტლურა მოდის!

ლუბოჩიცკაიას ბოლოში უკვე ბლომა ხალხი იყრიდა: ფუსფუსებდნენ, ჭიშკრებში შერბოდნენ. ვიღაც შავპალტოიანი, შიშისგან გაოგნებული კაცი ჭიშკრისკენ გაექანა, ხელჯოხი ცხაურში შეტენა და გადატეხა.

დრო კი მიქროდა და მიქროდა. თურმე უკვე ბინდის ჟამიც ჩამომდგარიყო. როცა ნიკოლკამ ლუბოჩიცკაიადან ვოლსკის დალმართზე ჩაუხვია, კუთხეში ელექტროფარანი სისინით აინთო. დუქანში ფარდა გრიალით ჩამოეშვა და საპნის ფხვნილის ჭრელაჭრელა კოლოფები უმალ დაფარა. მეეტლემ ჯაგლაგს მათრახი გააფთრებით დაუშინა და ქუჩის კუთხეში ისე მკვეთრად შეახვევინა, მარხილი ლამის ნამქერში გადააბრუნა. ნიკოლკას უკან დარჩა სამსადარბაზოიანი, ოთხსართულიანი სახლი, სამივე სადარბაზოს კარები ყოველ წუთას ჯახუნობდა. ვიღაც ზღვის კატისსაყელოიანმა ნიკოლკას ჩაურბინა და ჭიშკართან ყვირილი მორთო:

— პიოტრ! პიოტრ! ხომ არ შეიშალე? ჩაკეტე! ჭიშკარი ჩაკეტე!

სადარბაზოში კარის ბრაგუნი გაისმა და ნიკოლკამ გაიგონა, ჩაბნელებულ კიბეზე ქალმა როგორ ჩამოიკივლა:

— პეტლურა მოდის, პეტლურა!

ნიკოლა ნაი-ტურსის ნაკარნახევ, მხსნელ პოდოლს რაც უფრო უახლოვდებოდა, ქუჩაში მით უფრო მეტი ხალხი იყრიდა, ფუსფუსებდა და გარბი-გამორბოდა, მაგრამ აქ შიში ნაკლებ იგრძნობოდა. თანაც ყველანი იქით კი არ მიეშურებოდნენ, საითაც ნიკოლკას ეჭირა გეზი, ზოგი მის საპირისპიროდაც გამორბოდა.

ზედ პოდოლის ჩასასვლელთან, რუხი ქვით ნაგები სახლის სადარბაზოდან დიდი ამბით გამოვიდა რუხმაზარიანი, ტანმორჩილი კადეტი. თეთრ სამხრეებს ოქროსფერი ასო „ვ" უმშვენებდა, ცხვირი ღილივით ჰქონდა დაკოსებული. კადეტი თვალებს აქეთ-იქით გულადად აჭყეტდა, მხარზე დიდი შაშხანა თასმით გადაეკიდა. ქუჩაში გამვლელები იყრიდნენ, შეიარაღებულ კადეტს დაფეთებულნი შეხედავდნენ და გარბოდნენ. კადეტი კი ერთხანს იდგა ტროტუარზე, მერე ხელმოჭიმული ქალაქში სროლას ყური მედიდურად მიუგდო, თითქოს ზვერავსო, ჰაერი დაყნოსა და საითღაც წასვლა დააპირა. ნიკოლკამ მყის გეზი იცვალა, ტროტუარი სწრაფად გადაჭრა, კადეტს წინ აესვეტა, მკერდით მიაწვა და ჩურჩულით უთხრა:

— შაშხანა გადააგდეთ და დაუყოვნებლივ მიიმალეთ.

კადეტი შეკრთა, უკან დაიხია, ძერე შაშხანას მუქარით წაეტანა. ნიკოლკამ კი კვლავ ნაცადი ხერხი იხმარა, მკერდით მიაწვა, სადარბაზოში შეაგდო და იქ, ორ კარს შუა, უკვე შეგონებით უთხრა:

— გეუბნებით, თავს უშველეთ. მე იუნკერი ვარ. ყველაფერი დაილუპა. პეტლურამ ქალაქი აიღო.

— როგორ თუ აიღო? — ჰკითხა კადეტმა და პირი დააღო. მარცხენა მხარეს ერთი კბილი აკლდა.

— როგორ და ასე, — უპასუხა ნიკოლკამ, ხელი ზემო ქალაქისკენ გაიქნია და დაუმატა: — არ გესმით? ქუჩებში პეტლურას ცხენოსანი ჯარია. მე თავი ძლივს დავაღწიე. შინ გასწით, შაშხანა დამალეთ და ყველა გააფრთხილეთ.

კადეტი გაშეშდა ნიკოლკამ სადარბაზოში ასე გაშეშებული დატოვა. ახდა რაღა უნდა ეთქვა, როცა ასეთი მიუხვედრელი გამოდგა.

პოდოლზე ისეთი ძლიერი განგაში არ შეიმჩნეოდა, საკმაოდ დიდი ალიაქოთი კი იყო. გამვლელები ფეხს აჩქარებდნენ, თავს მაღლა ხშირ-ხშირად სწევდნენ და აყურადებდნენ, სადარბაზოებიდან და ჭიშკრებიდან მალიმალ გამოცვივდებოდნენ ხოლმე მზარეული ქალები. გზადაგზა ნაცრისფერ შალებს იხვევდნენ. ზემო ქალაქში ტყვიამფრქვევების კაკანი არ წყდებოდა .მაგრამ თოთხმეტი დეკემბრის დაბინდულ საღამოს აღარც შორიდან და აღარც ახლოდან ქვემეხების ხმა აღარ ისმოდა.

ნიკოლკას წინ გრძელი გზა ედო. სანამ პოდოლს გადასერავდა, გაყინული ქუჩები ერთიანად საღამოს ბინდში გაეხვია, ალიაქოთი და განგაში ფარანთა შუქზე აფარფატებულმა თოვლის ფაფუკმა ფანტელებმა შეანელა. თოვლის თხელი ბადის მიღმა შუქი ციმციმებდა, დუქნებსა და მაღაზიებში ნათურები მხიარულად ბდღვრიალებდა, მაგრამ ყველგან არა: ზოგი უკვე ჩაბნელებულიყო. ფიფქების კორიანტელი სულ უფრო ხშირდებოდა. როცა ნიკოლკამ თავის ქუჩას, ალექსეევის ციცაბო აღმართს მიაღწია და აღმა აუყვა, № 7 სახლის ჭიშკრის წინ ასეთი სურათი დაინახა: ორი ბიჭუნა, ნაცრისფერი ნაქსოვი ქურთუკები რომ ეცვათ და ისეთივე ნაქსოვი ქუდები ეხურათ, დაღმართზე ციგებით ის-ის იყო ჩამოსრიალებულიყვნენ. ერთი მათგანი, პატარა და ბურთივით ჩამრგვალებული, თოვლში ამოგანგლული იჯდა და ხარხარებდა. მეორე, ცოტა უფროსი, ტანწვრილი და დინჯი, გაკვანძულ თოკს ხსნიდა. ჭიშკართან ტყაპუჭიანი ჯეელი იდგა და ცხვირს იჩიჩქნიდა. სროლის ხმა გაძლიერდა. იქ, ზემოთ, ხან ერთგან ატყდებოდა ჭახაჭუხი, ხან მეორეგან.

— ვასკა, ვასკა, კურტუმი ტუმბას მივახეთქე! — ყვიროდა უმცროსი.

„რა არხეინად სრიალებენ", — გაიფიქრა გაოცებულმა ნიკოლკამ და ჯეელს ალერსიანი ხმით ჰკითხა:

— მითხარით, გეთაყვა, იქ, ზემოთ, რა სროლაა, თუ იცით?

ჯეელმა ცხვირიდან თითი გამოიღო, დაფიქრდა და ჩაინილნილა:

— ჩვენები ოფიცრებს ხოცავენ.

ნიკოლკამ ჯეელს წარბშეკვრით შეხედა და კოლტის სახელური ჯიბეში ანგარიშმიუცემლად მოსინჯა.

— ოფიცრებს უსწორდებიან. ახია იმათზე! — ბრაზიანად თქვა უფროსმა ბიჭმა. — მთელ ქალაქში სულ რვაასი იყვნენ და ლაზღანდარობის მეტს არაფერს აკეთებდნენ. პეტლურამ კი მილიონი ჯარი მოიყვანა.

ბიჭი შეტრიალდა და ციგა გაათრია.

* *

პატარა სასადილო ოთახსა და აივანს შუა კრემისფერი ფარდა უმალ გაეწია. საათმა ხმა ამოიღო... ტაკ-ტუკ...

— ალექსეი დაბრუნდა? — ჰკითხა ნიკოლკამ ელენას.

— არა, — უპასუხა ელენამ და ატირდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* *

ბნელა. მთელ ბინაში ბნელა. ლამპა მხოლოდ სამზარეულოში ანთია... მაგიდაზე იდაყვებდაყრდნობილი ანიუტა ტირის. რა თქმა უნდა, ალექსეი ვასილიევიჩის დარდი ატირებს... ელენას საწოლ ოთახში ღუმელი ანთია. შუშას ცეცხლი გუზგუზით ეკიდება. ღუმლის კარიდან ალის ათინათები მოხტიან და იატაკზე ცეკვავენ. რადგან ალექსეი არსად ჩანს, ელენაც ნამტირალევია, ტაბურეტზე ზის, ლოყა მუშტზე ჩამოუდვია, ნიკოლკა კი ცეცხლის წითელ შუქთან მის ფეხთით ჩამჯდარა და ფეხები მაკრატელივით გაუფარჩხავს.

პოლკოვნიკი ბოლბოტუნი... შჩეგლოვებთან დღეს ამბობდნენ, ბოლბოტუნი დიდი მთავარი მიხაილ ალექსანდროვიჩიაო. აქ, ამ ჩაბნელებულ ოთახში, სადაც მხოლოდ ალის ათინათები ელვარებს, სასოწარკვეთილება დამკვიდრებულა. რა აზრი აქვს ტირილს? ტირილით, რა თქმა უნდა, ვერაფერს უშველიან. ალექსეი უთუოდ მოკლეს. ყველაფერი ცხადია. იმათ ტყვედ არავინ მიჰყავთ. რაკიღა შინ არ მოვიდა, მაშ დივიზიონთან ერთად შეიპყრეს და მოკლეს. ყველაზე საშინელი ის არის, რომ პეტლურას, როგორც ამბობენ, რვაასიათასიანი რჩეული ჯარი ჰყავს. ჩვენ მოგვატყუეს, სასიკვდილოდ გაგვგზავნეს...

საიდან გაჩნდა ეს საშინელი ჯარი? სუსხიან, ლურჯსა და დაბინდულ ჰაერში ყინულოვანი ნისლისგან თუ იშვა... გაუგებარია... გაუგებარი...

ელენა წამოდგა და ხელი წინ გაიწოდა.

— წყეულიმც იყვნენ გერმანელები. წყეულიმც იყვნენ. თუ ღმერთი იმათ არ დასჯის, მაშ სამართალი არ ჰქონია. განა შეიძლება ამის გამო არ დაისაჯონ? უთუოდ დაისჯებიან. ისინიც ისეთივე სატანჯველში ჩაცვივდებიან, როგორ სატანჯველშიც ჩვენ ჩაგვყარეს. დიახ, ჩაცვივდებიან.

ჩაცვივდებიანო, ისე ჯიუტად გაიმეორა, თითქოს შეულოცაო. სახესა და კისერზე მეწამული შუქი დასთამაშებდა, თვალები კი მძაფრი სიძულვილით ანთებოდა. ფეხებგაფარჩხვით მჯდომ ნიკოლკას ამ შეძახილმა სასოწარკვეთა და სევდა მოჰგვარა.

— იქნებ ცოცხალია? — კრთომით იკითხა მან. — ხომ იცი, რაც არ უნდა იყოს, ექიმია... თუნდაც ხელში ჩაუვარდეთ, იქნებ არ მოკლან და ტყვედ წაიყვანონ...

— კატებს დაუწყებენ ჭამას, ერთმანეთს ამოხოცავენ, როგორც ჩვენ ვხოცავთ, — ხმამაღლა თქვა ელენამ და ცეცხლს თითით მძულვარედ დაეჭუქრა.

„ეჰ, ეჰ... შეუძლებელია, ბოლბოტუნი დიდი მთავარი იყოს, არც რვაასიათასიანი ჯარი ეყოლებათ და არც მიდიონიანი... ფუმცარია იცი, საშინელი დროდადგა. ტალბერგი კი ჭკვიანი ყოფილა, დროზე გაასწრო. ალის ენა იატაკზე ცეკვავს. მაგრამ ხომ იყო მშვიდობიანი დროება და მშვენიერი ქვეყნები. მაგალითად, პარიზი და ლუი ქუდზე მიმაგრებული ხატებით, კლოპენ-ტრულიეფუც ასე-

თიკე ცეცხლთან მიხოხავდა და თბებოდა. ისიც კი, ლატაკი, თავს კარგად გრძნობდა. მაგრამ არსად, არასოდეს არსებულა ისეთი საძაგელი ქვემძრომი, როგორც ეს წითური მეეზოვე ნერონია. რა თქმა უნდა, ყველას ვძულვართ, მაგრამ ის ხომ ნამდვილი ასპიტია! ხელი უკანიდან დამიგრიხა".

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცებ ფანჯრებს მიღმა ქვემეხთა გრიალი გაისმა. ნიკოლკა წამოხტა და აწრიალდა.

— გესმის? გესმის? ხომ გესმის? იქნებ გერმანელები არიან? იქნებ მოკავშირეები ჩოვიდნენ დასახმარებლად? ვინ უნდა იყოს? ქალაქი ხომ უკვე აიღეს და ქვემეხებს თვითონ რაღად დაუშვენენ?

ელენამ მკერდზე ხელები მიიდო და უთხრა:

— ნიკოლ, სულ ერთია, მაინც არ გაგიშვებ. არ გაგიშვებ. გემუდარები, ფეხი არ გადგა გარეთ. ნუ შეიშალე.

— მხოლოდ ანდრიას ეკლესიის მოედანზე ჩავალ, ქვემოთ გადავიხედავ და ყურს მივუგდებ. იქიდან ხომ მთელი პოდოლი მოჩანს.

— კარგი, წადი. თუ შეგიძლია, ასეთ დროს მარტო მიმატოვო — წადი.

ნიკოლკა შეცბუნდა.

— კარგი, მაშ მხოლოდ ეზოში გავალ და ყურს იქიდან მივუგდებ.

— მაშ მეც გამოგყვები.

— ლენოჩკა, ალექსეი რომ დაბრუნდეს, სადარბაზოდან ხომ ზარის ხმას ვერ გავიგონებთ?

— ჰო, ვერ გავიგონებთ და შენი ბრალი იქნება.

— კარგი, ლენოჩკა, მაშ პატიოსან სიტყვას გაძლევ, რომ ეზოს იქით ნაბიჯსაც არ გავდგამ.

— პატიოსან სიტყვას მაძლევ?

— გაძლევ.

— ჭიშკრის გარეთ არ გახვალ? გორაზე ასვლას არ მოინდომებ? ეზოში იდგები?

— გეფიცები.

— წადი.

* *

1918 წლის თოთხმეტ დეკემბერს გამბით ბარდნიდა და ქალაქი თოვლის საბურველში ეხვეოდა. ქვემეხთა უცნაური, მოულოდნელი გრიალი ღამის ცხრა საათზე ატყდა. სროლამ მხოლოდ თხუთმეტიოდე წუთს გასტანა.

ნიკოლკას თოელი საყელოში უცვიოდა და კისერზე ადნებოდა. მას დათოვლილ გორაკზე ასვლა ეწადა და ცდუნებას ებრძოდა. იქიდან დაინახავდა არა მარტო პოდოლს, არამედ ზემო ქალაქის ნაწილსაც, სემინარიას, მაღალი შენობები, განათებული ფანჯრების ასობით რიგს, გორაკებსა და ზედ შეფენილ პატარა სახლებს, რომელთა სარკმლებში ლამპრები ციმციმებს. მაგრამ პატიოსანი სიტყვა, კაცმა არ უნდა გატეხოს, თორემ ამქვეყნად ცხოვრება შეუძლებელი იქნება. ეს სწამდა ნიკოლკას, ყოველ შორეულ, მრისხანე დაქუხებაზე იგი ღმერთს შესთხოვდა: „ღმერთო, ინებე..."

მაგრამ ქვემეხთა გრიალი მიწყდა.

„ჩვენი ქვემეხები იყო", — მწუხარედ გაიფიქრა ნიკოლკამ. ჭიშკრიდან უკან კამობრუნებულმა შჩეგლოვების ფანჯარაში შეიხედა. ფლიგელის ფანჯარაზე თეთრი ფარდა გადაწეულიყო და მოჩანდა, მარია პეტროვნა პეტკას როგორ აბანავებდა. შიშველი პეტკა გობში იჯდა და უხმოდ ტიროდა. იმიტომ რომ თვალებში საპონი ჩასდიოდა. მარია პეტროვნა პეტკას თავზე ღრუბელს აწურავდა. თოკზე თეთრეული ეკიდა და მარია პეტროვნას დიდი ჩრდილი თეთრეულის ზემოთ დაფარფატებდა. ნიკოლკამ გაიფიქრა, შჩეგლოვებთან სიმყუდროვეა და თბილია, თვითონ კი მაზარა გაღეღილი ჰქონდა და სცივდა.

* *

ქალაქის ჩრდილოეთით, გარეუბნიდან რვა ვერსზე, მცველისგან მიტოვებულ, ერთიანად თეთრი თოვლით ჩაჩუმქრულ ბუდრუგანაში შტაბს-კაპიტანი იჯდა. მაგიდაზე იდო პურის ყუა, იდგა საველე ტელეფონის ყუთი და ერთი ბოყწო, გაჭრილული, მუცელგამობერილი, საძხაზიანი ნათურა. ღუმელში ცეცხლი ოდნავ ბუუტავდა. ტანმორჩილ კაპიტანს გრძელი, წვეტიანი ცხვირი ჰქონდა. დიდსაყელოიანი მაზარა ეცვა, მარცხენა ხელით პურის ყუას ციცქნიდა, მარჯვენით კი ტელეფონის ღილაკებს აწვებოდა, მაგრამ ტელეფონი ხმა არ იღებდა, თითქოს სული ამოხდომიაო.

კაპიტნის ირგვლივ, ხუთ ვერსზე წყვდიადის, ჩაბურული ქარბუქისა და ნაფერების გარდა არაფერი იყო.

ერთი საათიც გავიდა და შტაბს-კაპიტანმა ტელეფონს თავი მიანება. დაახლოებით საღამოს ცხრა საათზე მან ცხვირი აასრუტუნა და რატომღაც ხმამაღლა თქვა:

— ჭკუაზე შევირყევი. ისა ჯობს, თავი მოვიკლა.

თითქოს პასუხად ტელეფონი ამღერდა.

— მეექვსე ბატარეაა? — იკითხა შორეულმა ხმამ.

— დიახ, დიახ, — უპასუხა სიხარულით გულაჩქროლებულმა კაპიტანმა.

შეშფოთებული ხმა შორიდან ალბზე მხიარულად და ყრუდ ქღერდა:

— დაუყოვნებლივ მიჯნას ცეცხლი დაუშინეთ... — ყიყინებდა ტელეფონში იდუმალი მოსაუბრე. — გრიგალისებური... — ხმა მიწყდა. — ისეთი შთაბეჭდილება მაქვს.... — ხმა ხელახლა მიწყდა.

— დიახ, გისმენთ, გისმენთ, — კბილებს სასოწარკვეთით კრეჭდა და ყურმილში ჩაჰყვიროდა კაპიტანი. კარგა ხანს სიჩუმე იდგა.

— ცეცხლს ვერ დავუშვებ, — ჩასძახა ყურმილში კაპიტანმა, მშვენივრად გრძნობდა, რომ სიცარიელეს ელაპარაკებოდა, მაგრამ გაჩუმება არ შეეძლო. — ყველა ჯარისკაცი და სამი პრაპორშჩიკი გამექცა. ბატარეაზე მარტო დაცარჩი. ეს ამბავი პოსტს გადაეცით.

შტაბს-კაპიტანი ერთ საათს კიდევ იჯდა და მერე გარეთ გადავიდა. ელვა ძლიერი ქარბუქი ქროდა. ოთხი პირქუში და საზარელი ქვემეხი ბნელსა და ბუნდოვანებაში ქროდა და მათ ლულებსა და საკეტებს ულვაშ თეთრი ბალიშები წამოსდებოდა. ცივა და დედამიწა თითქოს გაერთიანებულიყო ცა-ში. ქარბუქი ბრიალში კაპიტანი ხელებს ბრმასავით აფათურებდა. ასე ბრმად დიდხანს ეწყალა, ფანდმოლავლიან წყვდიადში ხელის ცეცებით არ მოხსნა პირველი საკეტი. ჯერ დააპირა,

საკეტი ბუდრუგანის გვერდით ჭაში ჩაეგდო, მერე გადაიფიქრა და ბუდრუგანაში დაბრუნდა. სამჯერ კიდევ გავიდა გარეთ, საკეტები დანარჩენ ქვემეხებსაც მოხსნა და ოთხივე საკეტი იატაკის ქვეშ, სარდაფში დამალა, სადაც კარტოფილი ეყარა, მერე ლამპა ჩააქრო და წყვდიადს შეერია. ორი საათი თოვლს მიაპობდა. სრულიად უჩინარი და ლანდს მიმგვანებული. ქალაქისკენ მიმავალ შარაგზას ასე მიაღწია. შარაგზაზე აქა-იქ ფარნები მქრქალად ენთო. ბოლოს ფარანთან იგი ბოხოხზე ფუნჯმიმაგრებულმა მხედრებმა ხმლებით აჩეხეს. ჩექმები გააძრეს და საათი მოხსნეს.

ბუდრუგანის დასავლეთით ექვს ვერსზე, მიწურში, ტელეფონის ყურმილში იგივე ხმა გაისმა:

— დაუყოვნებლივ მიჯნას ცეცხლი დაუშინეთ. ისეთი შთაბეჭდილება მაქვს, რომ მტერმა ჩვენსა და თქვენ შორის გაიარა და ქალაქისკენ გაემართა.

— მისმენთ? მისმენთ? — უპასუხეს მიწურიდან.

— პოსტზე შეიტყვეთ... — და ხაზი გაწყდა.

ყურმილი ისევ აყიყინდა:

— უწყვეტი ცეცხლი... ცხენოსანი ჯარისკენ...

ხმა მთლად მიწყდა.

მიწურიდან ტყაპუჭიანი და ფარანმომარჯვებული სამი ოფიცერი და სამი იუნკერი გავიდა. მეოთხე ოფიცერი და ორი იუნკერი ქვემეხებთან იდგნენ ფარნის გვერდით, რომლის ჩაქრობასაც ქარბუქი ლამობდა. ხუთი წუთის შემდეგ ქვემეხებმა დგანდგარი და სიბნელის ცხრილვა იწყეს, ირგვლივ თხუთმეტი ვერსის მანძილზე მთელი მიდამო გრიალით გააყრუეს და ხმა ალექსეევის აღმართზე № 13 სახლამდეც უწიეს... ღმერთო, ინებე...

მხედართა ასეული ქარბუქის ზუზუნში ფარნის უკანა მხარეს, წყვდიადიდან გამოიჭრა და ოთხი ოფიცერი და ყველა იუნკერი ამოხოცა. მიწურში ტელეფონთან დარჩენილმა მეთაურმა ტყვია პირში იხალა.

მეთაურის უკანასკნელი სიტყვები ეს იყო:

— შტაბელი არამზადები. კარგად მესმის ბოლშევიკებისა.

* * *

ღამით ნიკოლკამ თავის პატარა კუთხის ოთახში ზედა ფარანი აანთო და ჯიბის დანით კარზე დიდი ჯვარი ამოკვეთა. ჯვრის ქვემოთ კი ოკრობოკრო ასოებით წააწერა:

„პ. ტურსი. 1918 წ. 14 დეკ. ღღის 4 ს.“.

„ნაი“ კონსპირაციის გამო ჩამოაცილა იმ შემთხვევისთვის, თუ პეტლურელები გასაჩხრეკად მოვიდოდნენ.

არ უნდოდა დაეძინა, რათა ზარის ხმა არ გამოჰპარვოდა, ელენას კედელზე დაუკაკუნა და უთხრა:

— შენ დაიძინე, მე ვიფხიზლებ.

ამის თქმისთანავე საწოლზე ტანსაცმლიანი მიწვა და მკვდარივით ჩაეძინა. ელენას კი გათენებამდე თვალი არ მოუხუჭავს და ყური სულ კარისკენ ეჭირა, იქნებ ზარი დაირეკოსო. მაგრამ ზარი არ დარეკილა, უფროსი ძმა ალექსეი დაიკარგა.

დაღლილ, არაქათგამოლეულ კაცს ძილი ესაჭიროება. უკვე თერთმეტი საათია, მაგრამ ნიკოლკას ძილისთვის თავი მაინც ვერ წაურთმევია... უცნაურად კი სძინავს, მართალი რომ ითქვას! ჩექმები აწუხებს, ქამარი ნეკნებს ქვემოთ ჩასჭერია, საყელო სულს უხუთავს, მაჯლაჯუნა მკერდზე დასწოლია [illegible] დაუბჯენია.

ნიკოლკა გულაღმა გაშოტილა, სახე წამოჭარხლებია, ყელიდან სტვენა ამოსდის... სტვენა!.. თოვლია და რაღაც აბლაბუდა... ჰო, ირგვლივ აბლაბუდაა, ეშმაკმა დალახვროს! მთავარია, ამ აბლაბუდას თავი როგორმე დააღწიოს. თორემ ის წყეული იზრდება, იზრდება და სახეზე ებლანდება. ჰოდა, იქნებ ისე შემოებლანდოს, რომ იქიდან თავი ველარ დააღწიოს! იქნებ მოახრჩოს კიდეც! აბლაბუდის იქით სპეტაკი თოვლია, ყველგან თოვლი დევს, მთელი ველები დათოვლილია. აი, ამ თოვლზე უნდა გააღწიოს რაც შეიძლება მალე, რადგან ვილაცამ თითქოს სადღაც შესძახა: „ნიკოლ!" ჰოდა, ამ დროს, წარმოგიდგენიათ, საიდანღაც გამოტყვრა მკვირცხლი ჩიტი ,აბლაბუდაში გაიხლართა და აფრიკ-ქრიკდა... ქრიკ-ქრიკ, ქრიკ-ქრიკ, ფიუ, ფი-უ! ქრიკ! ქრიკ! ფუი ეშმაკს! თვითონ ჩიტი არ ჩანს, მაგრამ სტვენა სადღაც ახლოს ,გაისმის. ამას გარდა, ვილაც თავის ბედს უჩივის, და ისევ მოისმა ხმა: „ნიკ! ნიკ! ნიკოლკა!".

— ეჰ! — წამოიყვირა ნიკოლკამ, აბლაბუდა გაგლიჯა და უცებ წამოჯდა. ტანსაცმელი მთლად დასჭმუჭნოდა, ქამრის ბალთა გვერდზე მოჰქცეოდა, ქერა თმა ყალყზე დასდგომოდა, თითქოს ვილაც დიდხანს უჩეჩავდა.

— ვინაა? ვინ? ვინ? — იკითხა დაფეთებულმა ნიკოლკამ. ძილიდან ჯერ კიდევ ვერ გამორკვეულიყო.

— ვინ. ვინ, ვინ, ვინ, ვინ, ვინ. ვინ! ვინ!.. ფი-ტი! ფი-უ! ფიუჰ! — უპასუხა აბლაბუდამ და მწუხარე ხმამ ტირილის კილოზე წარმოთქვა:

— დიახ, საყვარელთან ერთად!

დაფეთებული ნიკოლკა კედელს აეკრა და მოჩვენებას მიაშტერდა. მოჩვენებას ყავისფერი ფრენჩი, ყავისფერი გალიფე შარვალი და ჟოკეისნაირი ყვითელგადანაკეცებიანი ჩექმები ეცვა, მოკლედ შეკრეჭილი თმა, უზომოდ დიდი თავი და ღრმა უბეებში ჩამსხდარი, დანისლული, სევდიანი თვალები ჰქონდა. მოჩვენება უეჭველია, ახალგაზრდა იყო, მაგრამ უფერული პირის კანი ბებრულად დაჭმუჭნოდა და დაღრეცილი, ყვითელი კბილები მოუჩანდა. მოჩვენებას ხელში შავი ხელსახოცით შემობურული დიდი გალია და გახსნილი ცისფერი წერილი ეჭირა...

„ალბათ ჯერ არ გამღვიძებია", — მოისაზრა ნიკოლკამ და ხელი გაიქნია, რომ მოჩვენება აბლაბუდასავით გაეგლიჯა, მაგრამ თითები ბადეს ატაკა და ძალზე იტკინა. შავ გალიაში ჩიტი უმალ გადარეულივით აწიწინდა და სტვენაჭახჭახს მოჰყვა.

— ნიკოლკა! — სადღაც შორს გაისმა ელენას შეშფოთებული ძახილი.

„უფალო იესო ქრისტე, — გაიფიქრა ნიკოლკამ, — არა, გავიღვიძე, მაგრამ მაშინვე ჭკუიდან შევიშალე. ვიცი, რატომაც შევიშალე — ბრძოლამ გადამღალა. ღმერთო ჩემო! უკვე რაღაც უაზრობას ვხედავ... მაგრამ თითები? ღმერთო!.. ალექსი არ დაბრუნებულა... ჰო... არ დაბრუნებულა... მოკლეს... ვაი, ვაი, ვაი!"

— საყვარელთან ერთად.. იმავე დივანზე, — თქვა მოჩვენებამ მწუხარე ხმით, — მე რომ ლექსებს ვუკითხავდი.

მოჩვენებამ კარისკენ გაიხედა. სადაც ალბათ ვილაც მსმენელი ეგულებოდა, მაგრამ მერე ნიკოლკას მიაშურა:

— დიახ, ალბათ ახლაც იმავე დივანზე სხედან და ~~ერთმანეთს~~ ჰკოცნიან... იმის მერე, რაც სამოცდათხუთმეტი ათასი მანეთის ვექსილებზე ხელი ჯენტლმენურად მოვუწერე. რადგან ჯენტლმენი ვიყავ და სამუდამოდ ჯენტლმენადვე დავრჩები. დაე, ჰკოცნონ ერთმანეთს!

„ო, ეჰ, ეჰ," — გაიფიქრა ნიკოლკამ, თვალები დაჭყიტა და ზურგში ცივმა ერუანტელმა ჩაურბინა.

— თუმცა მომიტევეთ. — თქვა მოჩვენებამ, რომელიც თანდათან ამოტივტივდა სიზმრისეული ბურანიდან და ნამდვილ, ცოცხალ არსებას დაემგვანა, — თქვენთვის ალბათ ყველაფერი მთლად ნათელი არ არის. მაშ ინებეთ, ეს წერილი ყოველივეს განგიმარტავთ. მე ჯენტლმენი ვარ და ჩემს შერცხვენას არავის ვუმალავ.

ამ სიტყვებთან ერთად უცნობმა ნიკოლკას ცისფერი წერილი მიაწოდა. რეტდასხმულმა ნიკოლკამ გამოართვა და მსხვილი, გაკრული მღელვარე ხელით ნაწერი ტუჩების ცმაცუნით ჩაიკითხა. ნაზ, ლაქვარდოვან ქაღალდზე ყოველგვარი თარიღის გარეშე ეწერა:

„საყვარელო, საყვარელო ლენოჩკა! ვიცი თქვენი კეთილი გულის ამბავი და ამიტომ ჩემს ვაჟს პირდაპირ თქვენთან ვგზავნი ნათესაურად. თუმცა დეპეშა გამოგიგზავნეთ, მაგრამ საბრალო ბიჭი ყველაფერს თავადაც მოგიყვებათ ლარიოსიკს დიდი უბედურება ეწვია და დიდხანს მეშინოდა, რომ ვერ გადაიტანდა. ის ტურფა რუბცოვა, ვისზედაც ლარიოსიკი, როგორც იცით, შარშან დაქორწინდა, ნამდვილი გველაძუა გამოდგა! გემუდარებით, შეიფაროთ საბრალო ბიჭი და სითბო აჩვენოთ, როგორც გჩვევიათ. სახარჯო თანხას ყოველთვის დროულად გამოგიგზავნით. ლარიოსიკმა ქიტომირი შეიძულა და არც ვამტყუნებ. მეტს ველარაფერს მოგწერთ, ცალზე აღელვებული ვარ და თანაც სანიტარული მატარებელი უკვე გადის. ლარიოსიკი ყველაფერს თვითონ მოგიყვებათ. გკოცნით მრავალს, ვკოცნი სერიოჟასაც!"

შემდეგ გაურკვეველი ხელმოწერა ჩანდა.

— მე თან ჩიტი წამოვიყვანე, — თქვა უცნობმა და ამოიოხრა. — ჩიტი ადამიანის საუკეთესო მეგობარია. თუმცა ბევრს მიაჩნია, ჩიტი შინ არ უნდა გაატაროთ, მაგრამ იმას მაინც დაბეჯითებით ვიტყვი, რომ ჩიტისგან, ყოველ შემთხვევაში, ბოროტებას არ უნდა მოელოდე.

უკანასკნელი ფრაზა ნიკოლკას ძალიან მოეწონა. იგი აღარაფრის გამორკვევას აღარ ცდილა, გაუგებარი წერილით წარბი მორცხვად მოიფხანა და ფეხები საწოლიდან ჩამოუშვა. თან ფიქრობდა: „რა გვარი ხარ-მეთქი, რომ ვკითხო, უზრდელობა იქნება... საკვირველი ამბავია..."

— ეს კანარის ჩიტია? — ჰკითხა მან უცნობს.

— ახლა რანაირი! — უპასუხა აღფრთოვანებულმა უცნობმა. — უბრალო კანარის ჩიტი კი არა, იშვიათი ჯიშისა, თანაც მამალია. ქიტომირში თხუთმეტი ამისთანა ჩიტი მყავს. დედაჩემთან გადავიყვანე. დედა საჭმელს არ მოაკლებს. ის არამზადა კი ალბათ ყველას კისერს მოუგრეხდა. ჩიტები სძულს. ნებას მომცემთ, გალია ჯერჯერობით თქვენს საწერ მაგიდაზე დავდგა?

— დადგით, — უპასუხა ნიკოლკამ, — თქვენ ჟიტომირიდან ჩამოხვედით?

— დიახ, — უპასუხა უცნობმა, — თანაც წარმოიდგინეთ, რა უცნაური რამ მოხდა: მე და თქვენი ძმა ერთდროულად მოვედით.

— რომელი ძმა?

— როგორ თუ რომელი? თქვენი ძმა ჩემთან ერთად მოვიდა, — უპასუხა გოცებულმა უცნობმა.

— რომელი ძმა? — შესაბრალისად შეეკითხა ნიკოლკამ, — ~~რომელი~~ ძმა? ჟიტომირიდან?

— თქვენი უფროსი ძმა..

სასტუმრო ოთახიდან აშკარად მოისმა ელენას ძახილი:

— ნიკოლკა! ნიკოლკა! ილარიონ ლარიონიჩ! გააღვიძეთ! გააღვიძეთ!

„ქრიკ! ქრიკ! ფიუ! ფი-უ!" — გაბმით ჩაიმღერა ჩიტმა.

ნიკოლკას ცისფერი წერილი ხელიდან გაუვარდა, წიგნების ოთახი ტყვიასავით გაირბინა, სასადილო ოთახში შეეგარდა და იქ ხელებგაშლილი გაშეშდა.

ალექსეი ტურბინი საათის ქვემოთ, დივანზე გაუნძრევლად იწვა, ვიოლაცის სარჩულგამოხეული შავი პალტო და ვიოლაცისავე შავი შარვალი ეცვა, გაფითრებულ სახეზე მოლურჯო ფერი გადაკრავდა, კრიჭა შეკვროდა. ელენა მის გვერდით ფაციფუცობდა. ხალათის ღილები შეეხსნოდა და შავი წინდები და საცვლების მაქმანი მოუჩანდა. იგი ტურბინს ხან ხელებზე ეჭიდებოდა, ხან მის მკერდზე ღილების შეხსნას ცდილობდა, თან ყვიროდა:

— ნიკოლ! ნიკოლ!

სამი წუთის შემდეგ ნიკოლკა ქაქანით არბოდა ალექსეევის აღმართზე, სტუდენტის ქუდი კეფაზე მოჰქცეოდა, რუხი მაზარის კალთებს მიაფრიალებდა. „ვაითუ შინ არ იყოს? — ბუტბუტებდა იგი. — ღმერთო ჩემო, რა უცნაური ვინმეა ეს ჩიტების მოყვარული! კურიცკის მოყვანა კი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, ეს სრულიად აშკარაა... კატა და კიტი..." ჩიტი თავში გამაყრუებლად უკაკუნებდა — კიტი, კატა, კიტი, კატა!

ერთი საათის შემდეგ სასადილო ოთახის იატაკზე წითლად შეღებილი წყლით სავსე ტაშტი იდგა, ირგვლივ მარლის წითელი ნაგლეჯები და ჭურჭლის თეთრი ნამსხვრევები იყო მიმოფანტული. ჩიტების მოყვარულს ბუფეტიდან ჭიქის გამოღება უნდოდა, მთელი ჭურჭელი კი ჩამოაზვავა. ახლა ოთახში გარბი-გამორბოდნენ და ჭურჭლის ნამსხვრევებს ღრაჭუნი გაჰქონდა. გაფითრებული ტურბინი ბალიშზე წელანდელივით გულაღმა იწვა, მაგრამ სახეზე მოლურჯო ფერი აღარ ედო. იგი გონზე მოვიდა და რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ წვერწვეტა, სახელოებდაკაპიწებული, ოქროსპენსიანი ექიმი მისკენ დაიხარა და უთხრა:

— გაჩუმდით, კოლეგა...

გაფითრებულმა, თვალებდაჭყეტილმა ანიუტამ და თმაგაწეწილმა, ოქროსფერმა ელენამ ტურბინს თავი წამოუწიეს და სახელოჩაჭრილი, სისხლითა და წყლით გაჟღენთილი პერანგის გახდა დაუწყეს.

— უფრო ღრმად ჩაჭერით, რაღა დასანანია, — უთხრა მათ წვერწვეტამ.

პერანგი მაკრატლით დაანაკუწეს და ნაჭერ-ნაჭერ გახადეს. ტურბინს გამხდარი, გაყვითლებული სხეული და მხრამდე ერთიანად შებანდული ხელი გაუშიშვლდა. სახვევის ზემოდან და ქვემოდან ყავრის წვერები ამოჩრილიყო. ნი-

კოლეა დაჩოქილიყო, ტურბინს ლილებს ფრთხილად უხსნიდა და შარვალს ხდიდა.

— ყველაფერი გახადეთ და ახლავე ლოგინში ჩააწვინეთ, — გაისმა წვერწვეტას ბოხი ხმა. ანიუტა მას ხელებზე ქილით წყალს უსხამდა და საპნის ქაფი ტაშტში ფთილა-ფთილა ცვიოდა. უცნობი განზე იდგა. ალიაქოთსა და ფუსფუსში არ ერეოდა და ხან დამწუხრებული დაჰყურებდა დამტვრეულ თეფშებს, ხანაც სახეაწითლებული გახედავდა ელენას, რომელსაც ხალათი ბოლამდე მოშილიფებოდა. უცნობს თვალები ცრემლით დანამოდა.

სასადილო ოთახიდან ტურბინი თავის კაბინეტში გადაიყვანეს. ახლა კი მასპინძლებს უცნობიც ეხმარებოდა: დაჭრილისთვის ხელები მუხლებქვეშ ამოედო და მისი ფეხები ასე ეჭირა, როცა მიჰყავდათ.

სასტუმრო ოთახში ელენამ ექიმს ფული გაუწოდა. ექიმმა არ გამოართვა.

— ღმერთო ჩემო, ეს როგორ იქნება, — თქვა მან, — ექიმისგან? მთავარი აქ სხვა რამეა. ჰოსპიტალში წაყვანაა საჭირო...

— არ შეიძლება, — მოისმა ტურბინის სუსტი ხმა, — ჰოსპიტალში არ შეიძ...

— გაჩუმდით, კოლეგა, — შეაწყვეტინა ექიმმა, — უთქვენოდაც ყველაფერს მოვაგვარებთ. ჰო, რა თქმა უნდა, თავადაც მესმის... ეშმაკმა უწყის, რა ხდება ახლა ქალაქში... — მან თავი ფანჯრისკენ გაიქნია. — ჰმ... მართალს ამბობს, ნამდვილად არ შეიძლება... კარგი, მაშ შინ დარჩეს... ამ საღამოს კიდევ მოვალ.

— სახიფათოა, ექიმო? — ჰკითხა შეშფოთებულმა ელენამ.

ექიმი პარკეტს ჩააცქერდა, თითქოს დიაგნოზი ყვითლად მოელვარე იატაკიდან უნდა ამოიკითხოსო, წვერი მოისრისა და უპასუხა:

— ძვალი მთელია... ჰმ... მსხვილი ძარღვები გადარჩენილია. ნერვიც... მაგრამ ალბათ დაუჩირქდება... ჭრილობაში ტყვიას მაზარის ქსოვილის ნაგლეჯები შეუტანია... ხოლო სიცხე... — ექიმმა ეს ნაკლებად გასაგები სიტყვები თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა, მერე ხმას აუწია და დამაჯერებლად თქვა: — ახლა სრული სიმშვიდე სჭირდება... თუ ტკივილები გატანჯავს, მორფს საღამოზე მე თვითონ გავუკეთებ. წვნიანი აჭამეთ... ბულიონი... ბევრს ნუ ილაპარაკებს...

— ექიმო, ექიმო, გეხვეწებით... ალექსეიმ გთხოვათ, არავის უთხრათ...

ექიმი მოიღუშა, ელენას ცერად შეავლო ფიქრიანი მზერა და ჩაიბუტბუტა:

— რა თქმა უნდა, გასაგებია... მაინც ეს როგორ დაემართა?..

ელენამ თავშეკავებით ამოიოხრა და ხელები გაშალა.

— კარგი, — ჩაიბუტბუტა ექიმმა და დერეფანში დათვივით გვერდულად გავიდა.

(გაგრძელება იქნება)

ოლდოს ჰაქსლი

პატარა არქიმედე

მოთხრობა

თარგმნა **მანანა ხელაიამ**

„ჰაქსლის გარეშე ძნელი წარმოსადგენია ოციანი წლები, იმჟამინდელი სულიერი გარემო მისი შემწეობითაც შეიქმნა", — წერდა ცნობილი ინგლისელი კრიტიკოსი უოლტერ ალენი.

XX საუკუნის ბრიტანული პროზის ერთ-ერთი შესანიშნავი წარმომადგენელი, ოლდოს ჰაქსლი (1894—1968) სამეცნიერო და კულტურული ტრადიციებით მდიდარ ოჯახში დაიბადა. მისი მამა — ლეონარდო ჰაქსლი გამოჩენილი ლიტერატორი გახლდათ, პაპა კი — თომას ჰენრი ჰაქსლი — არანაკლებ სახელმოხვეჭილი ბიოლოგი იყო. ოლდოს ჰაქსლის პაპადეე ეკუთვნოდა მეთიუ არნოლდი, ცნობილი ინგლისელი კრიტიკოსი და ესსეისტი.

რთული, ფილოსოფიური და შემოქმედებითი ძიებებით აღსავსე გზა განვლო ოლდოს ჰაქსლიმ და შედეგად დიდი ლიტერატურული მემკვიდრეობა დაგვიტოვა. ლექსები, მოთხრობები, ნარკვევები, ისტორიული ბიოგრაფიები, ლიტერატურის, მუსიკისა და ფერწერის საკითხებზე შექმნილი კრიტიკული ესსეები, ფილოსოფიური ტრაქტატები — ეს ის სამყაროა, სადაც ოლდოს ჰაქსლის, ბრწყინვალე სატირიკოსის, დახვეწილი სტილის მწერლის დიდი ძალა გაცხადდა.

და მაინც, ყველაზე სრულყოფილად მისი შემოქმედებითი სახე ოციანი-ოცდაათიანი წლების რომანებით წარმოჩნდა. ამ რომანთაგან — „ყვითელი კრომი", „ოინბაზების ფერხული", „კონტრაპუნქტი", საბჭოთა მკითხველი მხოლოდ ბოლო ორს იცნობს.

„პატარა არქიმედე" იმ საუკეთესო მოთხრობათა რიცხვს ეკუთვნის, რომელიც მწერალმა იტალიაში ცხოვრების 1923-1930 წლებში შექმნა. იგი გენიალური ბუჩა ტრაგიკულ ბედზე მოგვითხრობს. ნაწარმოები ქართულად მცირე შემოკლებით იბეჭდება.

●

ლამაზმა ბუნებამ და ადგილმდებარეობამ გადაწყვიტა ბოლოს და ბოლოს ჩვენი არჩევანი, თუმცა კი სახლს ბევრი ნაკლი ჰქონდა. ჯერ ერთი, ქალაქს იყო მოშორებული, მერე ტელეფონი არ იდგა, ქირაც საკმაო მოგვთხოვეს, კანალიზაციაც, რა მოგახსენოთ, ცუდ დღეში გახლდათ. ფანჯრის მინები იყო და, ქარიან ღამეებში ისე განწირულად ზანზარებდა, როგორც დანჯღრეულ ავტობუსში. შუქიც ასეთ დროს რაღაც იდუმალი მიზეზით ქრებოდა ხოლმე და ახმოვანებულ, აზინზილებულ სიბნელეში ვრჩებოდით. საამაზანო გვქონდა შესანიშნავი, მაგრამ რა მერე — ცისტერნა წვიმის წყალს ვერ აწვდი-

და — ელექტროტუმბო არ მუშაობდა. ჩვენი ცრუპენტელა დიასახლისი კი სულ გვატყუებდა და გვატყუებდა.

მაგრამ ეს ყველაფერი ისეთი წვრილმანები იყო, სადაც კი ბიბის დაიქირავებ, არ შეიძლება არ წააწყდეთ. მით უმეტეს იტალიაში ეს სათვალავში ჩასაგდებიც არაა. რამდენი სახლი მინახავს, ამგვარ წვრილმანებს გარდა [illegible] უამრავი ნაკლი რომ ჰქონია, და სიკეთე — არაფერი. ჩვენს სახლს კი [illegible] ბაღი ეკვროდა. გაზაფხულობით და ზამთრობით ტერასაზე შეგვეძლო გვესეირნა, ზაფხულის პაპახაქებას დიდ, გრილ ოთახებში ვაფარებდით თავს. ჰაერი მთის იყო, სუფთა და ჯანსაღი, კოლოსა და ქინქლას ჭაჭანებას ვერ ნახავდით. თან ყოველივე ამის ულამაზესი ხედი დაუმატეთ, სანახაობა, რომელიც ჩვენი სახლიდან იშლებოდა. უფრო სწორად, სანახაობა კი არა, სანახაობათა მთელი წყება, რამეთუ იგი ყოველ ცისმარე დღეს იცვლებოდა. წარმოიდგინეთ, სილამაზის ეს ცვალებადობაც კი მახლობელი და შინაურული გახდა ჩვენთვის. ესეც კია, რომ ტოსკანის მიწაზე თავიდათავი მაინც ხალხია, ადამიანი — და არა ციცაბო მთები, ფლატეები და უძირო ხეობები. ადამიანს დაუმუშავებია აქ მიწის ყოველი ციდა, მის სახლებს შეუფენია მთის ფერდობები, ველები... ალბათ იმიტომაც — ცხოვრობ თითქოს მარტო, სადღაც მაღლა, მთის წვეროზე და მაინც არ გრძნობ თავს უდაბნოს მკვიდრად. ადამიანის კვალი ირგვლივ ყველაფერს დამჩნეია, მიწა დამყოლია და მორჩილი, მრავალი საუკუნის მანძილზე ნელინელ მოშინაურებული.

ერთი სიტყვით, ეს ჩვენი სახლი — სერზე შესკუპებული, ჩემთვის საოცნებო სავანე იყო. იქ, იმ მოთეინიერებულ, ადამიანისგან სულჩადგმულ ბუნების წიაღში მაინც მარტონი ვიყავით და ამიტომ დროს ისე ვატარებდით, როგორც გვენება.

ჩვენი უახლოესი მეზობლები თითქმის ჩვენსავე სახლში ცხოვრობდნენ. ორი ოჯახი იყო. ერთი — გლეხისა, იმ დაბალ, მოგრძო ნაგებობაში სახლობდა, რომელიც ვილას ემიჯნებოდა. ნაწილი ამ ნაგებობისა საცხოვრებლად გამოეყენებინათ, დანარჩენი კი თავლის, ბოსლისა და ბეღლებისთვის დაეთმოთ. მეორე ოჯახი — თვით ვილის პატრონები იყვნენ. საცხოვრებლად თავიანთთვის უზარმაზარი სახლის პატარა ფრთა დაეტოვებინათ. ამ მეზობლებს ხანგამოშვებით თუ შეხვდებოდით და ისიც მაშინ, თუ კარგი დარი იდგა.

ცოტა არ იყოს უცნაური წყვილი კი იყო, ქმარი — სამოცდაათს მიტანებული, ჭაღარა, გაცრეცილი, მიჩაჩანაკებული მოხუცი გახლდათ, ცოლი კი ორმოცი წლის ფუმფული ქალი, კოკოროჭინა. პაწაწუნა ხელები ჰქონდა, პაწაწუნა ფეხები და შავი, უშაველი თვალები. თვალებს ისე აჟუჟუნებდა ხოლმე ოსტატურად, თანდაყოლილი არტისტულობით... ეჰ, ვინმე ჭკვიანი კაცი რომ გამოჩენილიყო, ამ ქალბატონის ენერგია მოეთოკა და რაიმე სასარგებლო საქმეზე მიეშვა... მთელ ქალაქს უზრუნველყოფდა ელექტროდენით; ფიზიკოსებს ენერგიის ატომიდან გამოყოფაზე ერთი ბჭობა და მსჯელობა აქვთ, ის კი არ იციან, როგორ წაიწევდა წინ მათი საქმე, სანგვინიკური ტემპერამენტის უმუშევარი ქალებისთვის რომ მიეხედათ, იმდენი ძალაა ამ ქალებში დაგუბებულ-დაგროვილი. ჩვენ კი! სოციალურადაც, მეცნიერულადაც ბეცები ვართ და სწორედ ამ სიბეცის გამო ის უზღვავი ძალა ფრიად სავალალოდ ვლინდება: ამ ქალბატონებს ან სხვათა საქმეებში აქვთ ცხვირი ჩარგული, ან ისტერიკებით ერთობიან, ან სიყვარულზე ოცნებობენ ანდა საყვარლებზე ნადირობენ... მათგან დარეტიანებული, თავბრუდახვეული კაცები ზოგჯერ შრომის უნარსაც კი კარგავენ...

ჰოდა, იქ დაუოკებელი ენერგიისთვის გზა რომ მიეცა, სინიორა ბონდის უამრავ სხვა ხრიკთან ერთად მდგმურების „გაგიჟებაც“ უყვარდა. მოხუცი ჯენტლმენს აკრძალული ჰქონდა ჩვენთან საქმეზე ლაპარაკი. სახლის დასათვალიერებლად ჩამოსულებს თავად სინიორა გაგვიძღვა. სწორედ მან დაგვახვია თვალი, თეალთა ეუეუნით და აეკლუც ლიმილით, დაგვაოწმუნა, ელექტროტუმბო და საკანალიზაციო ასეთი და ასეთი შესანიშნავი გვაქვს, ბინის ქირას კი საოცრად [illegible].

— რას ბრძანებთ, ბატონებო, ჩვენ პატიოსანი ხალხი ვართ. სახლი წესრიგში რომ არ ყოფილიყო, არც გავაქირავებდით, არა, ბატონო, მაგას როგორ ვიკადრებდით, —ეს თქვა და არც ამოგვასუნთქა, ისე მოჰყვა ჩვენი პატარა რობინის ქებას. აღტაცებული, აღფრთოვანებული ლაპარაკობდა, — ნამდვილი ქერუბიმია, ასეთი ლამაზი ბავშვი, მგონი, ჩემს დღეში არ მიხახავს...

სინიორა ბონდისთან საუბრის ბოლოს უკვე მტკიცედ გვქონდა გადაწყვეტილი მისი სახლი გვექირავა.

— საოცრად მომხიბლავი ქალი ჩანს, — ვთქვი მე, როცა წამოვედით. ელიზაბეტი მაინცდამაინც გულმხურვალედ ვერ დამეთანხმა.

და სწორედ მაშინ დაიწყო ამბავი ტუმბოისა.

ჩავედით თუ არა, პირველსავე საღამოს ჩავრთეთ ძრავა. იგი საკმაოდ დამაჯერებლად აბუყბუყდა, მაგრამ ონკანებიდან აბაზანაში წყალი არ გადმოდინდა, დაეჭვებულმა ერთმანეთს გადავხედეთ.

— ჰოო, საოცრად მომხიბლავი ქალი ჩანს, არა?! — წარბები აწკიპა ელიზაბეტმა.

გადავწყვიტეთ სახლის პატრონი გვენახა. მაგრამ ძოხუცმა ჯენტლმენმა რატომღაც არ ისურვა ჩვენთან შეხვედრა. სინიორა კი ხან შინ არ იყო, ხან შეუძლოდ ბრძანდებოდა. რამდენი ბარათიც არ გავუგზავნეთ, არც ერთზე არ გვიპასუხა. როდის-როდის მივხვდით: ჩვენსავე სახლში მცხოვრები სახლის პატრონებისთვის ხმა რომ მიგვეწვდინა, ფლორენციაში უნდა ჩავსულიყავით და სასწრაფო დაზღვეული წერილი იქიდან გამოგვეგზავნა. მათ ორჯერ მოუხდებოდათ ქვითარზე ხელის მოწერა. თუ არ დავინახებდით და ორმოცი სანტიმით მეტსაც გადავიხდიდით, მესამედაც მოაწერდნენ ხელს ახლა უკვე მამხილებელ საბუთზე — იგი მერმე ჩვენ დაგვიბრუნდებოდა. ამაზე ხომ ველარ მოიკატუნებდნენ თავს, ფოსტიდან არ მიგვიღიაო. ასე და ამგვარად მივაღწიეთ მიზანს — პასუხს ველოდეთ. სინიორა საპასუხო წერილს თავის ხელით გვწერდა. თავიდან ასე გვაუწყებდა: რატომ გიკვირთ. სრულიად ბუნებრივია, ტუმბო რომ არ მუშაობს — გვალვებია და ცისტერნები ამოშრაო. ავდექი და კიდევ ერთხელ ჩავისეირნე სამიოდე მილი ფოსტამდე. დაზღვეული წერილით სინიორას ახლა ის შევახსენე, რომ სწორედ წინა ოთხშაბათს ქვეყანა კინაღამ დაინგრა ჭექა-ქუხილით და ცისტერნები ნახევარზე მეტად გაივსო-მეთქი წყლით. პასუხად მივიღე: ხელშეკრულებაში აბაზანის წყალზე სიტყვაც არაა ნათქვამი და. თუ ასე ძალიან გჭირდებოდათ, ტუმბო სახლის დაქირავებამდე შეგვემოწმებინათო. ავდექი და ხელმეორედ ჩავირბინე ქალაქში, რათა შევკითხოდი ჩემს ჭერქვეშ მცხოვრებ ქალბატონს: ხომ არ დაავიწყდა, რა თავგამოდებით გვარწმუნებდა — მენდეთ, ტუუილს როგორ ვიკადრებო?! ამჯერად კი სინიორამ ასე შემომითვალა: უბრალოდ არ ძალმიძს საქმე ვიქონიო იმ ხალხთან, ვინც ასე უხეშად მწერსო. ეს პასუხი იყო და საქმე ვექილს გადავეცი. ორ თვეში ტუმბო შეცვალეს. თუმცა ჩვენმა ქალბატონ-

ნმა მხოლოდ მაშინ დაჭყარა ფარ-ხმალი, როცა აღმასრულებელი ფურცელი მიართვეს. გამოგიტყდებით და, ეს ამბავი არც ისე იაფი დაგვიჯდა.

ტუმბოს ეპოპეა დასასრულს უახლოვდებოდა, როცა ერთხელ გზაზე მოხუც ჯენტლმენს შევხვდი. იგი თავის ბომბორა ძაღლს მოასეირნებდა. უკეთ, ძაღლი მიასეირნებდა მას, ვინაიდან მოხუცი იძულებული იყო, ექვთ წაფამფალებულიყო, საითაც ძაღლი ეჭაჩებოდა. ხოლო თუ ცხოველი გაჩერდებოდა ქვის დასაყნოსად, მიწის მოსაფხოჭნად ან ბოძთან თავისი სადარბაზო ბარათისა თუ სულაც პირდაპირი გამოწვევის დასატოვებლად, მოხუცი ჯენტლმენი მორჩილად თავდახრილი ელოდა თავის წილ ღვედს ჩაჭიდებული. რომ ჩავუარე, გზის პირას იდგა ჩემი სახლიდან რამდენიმე ათეულ მეტრზე. ძაღლი ფერმის ჭიშკართან ტყუპად ატყორცნილი კვიპაროსის ფესვებს ყნოსავდა, უკმაყოფილოდ ღრენდა — იქ გარჩენილი უცხო სურნელი თუ შეურაცხყოფდა. მოხუცი სინიორ ბონდი ღვედს ჩაფრენილი იცდიდა. ოდნავ მოკეცილ მუხლებს შარვალი გამოებერა. ჯიხზე დაყრდნობილი დაბნეულად იცქირებოდა, მოწყენილი. ბებერ, გაცრიატებულ თვალებს ბილიარდის ბურთულებივით შეჰპარვოდა სიყვითლე. დამჭკნარ, მიწისფერ სახეზე ყაბზობის დასტურად წითლად უღუოდა ცხვირი. თეთრი, აბურძგნული ულვაშის შეყვითლებული ბოლოები უნდილად ჩამოშლოდა. შავი ყელსახვევი ჭინძისთავით დაემაგრებინა, ჭინძისთავზე თვალისმომჭრელად ელავდა მსხვილი ბრილიანტი, ვინ იცის, იქნებ სწორედ ამ ელვარებამ მოაჯადოვა ოდესღაც მომავალი სინიორა ბონდი.

გავუსწორდი და ქუდი მოვიხადე. მოხუცმა დაბნეულად შემომხედა. როგორც ჩანს, მაშინღა მიხვდა, ვინ ვიყავი, როცა უკვე გავშორდი.

— მოითმინეთ, მოითმინეთ, — მომადევნა და ჩემკენ წამოფარფატდა. ყოვლად მოულოდნელად და უდროო დროს წატაცებული ძაღლი, რომელიც ის-ის იყო შურისძიებას აპირებდა კვიპაროსის ძირას აღმოჩენილ მტერზე, გაოცებისგან საკმაოდ მორჩილად დაჰყვა პატრონს.

— მოიცადეთ!

მე შევჩერდი.

— ბატონო ჩემო, — მოხუცი ჯენტლმენი პიჯაკის გულისპირზე ჩამეჭიდა და უსიამოდ შემომაორთქლა სახეში. — ნება მიბოძეთ, პატიება გთხოვოთ, — თქვა და თან ისე მიიხედ-მოიხედა, თითქოს ეშინოდა, სადმე ვინმე ყურს ხომ არ გვიგდებსო. — მაპატიეთ, ბოდიშს ვიხდი იმ დაწყევლილი ტუმბოს გამო. ჩემზე რომ ყოფილიყო დამოკიდებული, მერწმუნეთ, მაშინვე ყველაფერს მოვაწესრიგებდი. თავიდანვე ვიცოდი, საქმე სასამართლომდე თუ მივიდოდა, ვერ მოვიგებდით. და ისედაც, მდგმურებს წესიერად უნდა მოეპყრო, განა არ ვიცი, მაგრამ ჩემი მეუღლე... — აქ მან ხმას ისევ დაუწია, — საბწუხაროდ, მას ასეთი ამბები სიამოვნებას ანიჭებს, მაშინაც კი, როცა იცის, მართალი არაა და საქმეს აუცილებლად წააგებს. უნდა გამოგიტყდეთ, იმის იმედიც ჰქონდა, რომ მოგბეზრდებოდათ დაუსრულებელი თხოვნა და ბოლოს თქვენს ხარჯზე შეაკეთებდით ყოველივეს. თავიდანვე ვამბობდი, დავუთმოთ-მეთქი, მაგრამ გაგონებაც არ ინდომა. მოსწონს მთელი ეს დავიდარობა, გესმით?! თუმცა ახლა თვითონაც დარწმუნდა, რომ უნდა მოაწესრიგოს ყველაფერი. ორ-სამ დღეში წყალი კი გექნებათ, მაგრამ მე მაინც მინდოდა თქვენთვის მეთქვა, რაოდენ...

ამასობაში გაოგნებული ძაღლი, ეტყობა, გონს მოეგო, ყეფა-ყეფით გაქანდა გზაზე. მოხუცი ჯენტლმენი ყოველნაირად ცდილობდა დაეოკებინა ცხოველის

სწრაფვა. რაც ძალა და ღონე ჰქონდა ექაჩებოდა ღვედს, მაგრამ ძაღლმა მაინც იძალა და თავის ნებაზე დაითრია იგი.

— როგორ მწყინს, რომ ამ პატარა გაუგებრობამ... — ამის წაბურტყუნებაღა მოასწრო. მერე თავაზიანად გაიღიმა. ხელი ოდნავ აიქნია, თითქოსდა ეს წუთია სასწრაფო პაემანი მოაგონდა და ახსნა-განმარტებების დრო აღარ რჩებაო, — მშვიდობით, — ქუდი ზრდილობისამებრ წამოსწია და მორჩილად დაუყვა ძაღლის ნებას.

ერთ კვირაში მართლაც წამოვიდა წყალი აბაზანაში. ხოლო განბანვის მეორე დღეს სინიორა ბონდიც გვესტუმრა ნაცრისფერ აბრეშუმში შემოსილი, ერთიანად ჩამარგალიტებული.

— მაშ, ამიერიდან ჩვენ შორის ზავია, ხომ? — გულღიად, მომხიბლავად შემომღიმა და ხელიც ისე გულიანად ჩამომართვა, ლამის მკლავი ჩამომწყვიტა. შევპირდი, ჩვენი მხრიე უსათუოდ მშვიდობა იქნება-მეთქი.

— მაინც რამ დაგაწერინათ ის საშინელი წერილი, — შემომაცქერდა მერე ისეთი საყვედურით, მე კი არა, ალბათ საშინელ კაცისმკვლელსა და ავაზაკს ჩაწყვეტდა გულს, — ან ის აღმასრულებელი ფურცელი რაღა იყო? როგორ მოგიბრუნდათ ხელი, ქალს როგორ გაუგზავნეთ...

საცოდავად ავლულლულდი — ტუმბო-მეთქი, ბანაობა, წყალი...

— ჰო, მაგრამ ნუთუ გეგონათ, ისეთ უხეშ ნაწერს ყურს ვათხოვებდი?! რატომ არ შეიძლებოდა თავაზიანად, კეთილშობილად მომქცეოდით? — სინიორა ბონდიმ ათრთოლებული წამწამები ძირს დახარა.

საუბარი სასწრაფოდ სხვა საგანზე გადავიტანე.

გავიდა რამდენიმე კვირა და შიკრიკმა ამჯერად ყველა წესის მიხედვით და მოწმებული წერილი მოგვიტანა: ქალბატონი ბონდი გვეკითხებოდა, ვაპირებდით თუ არა ხელშეკრულების გაგრძელებას და, თუ ვაპირებთ, გვაუწყებდა, რომ ბინის ქირა, კეთილმოწყობასა და შეკეთებაზე გაწეული ხარჯების გამო, ოცდახუთი პროცენტით მოიმატებდა. კარგა დიდი ვაჭრობის შემდეგ ფრიად ბედნიერად ვიგრძენით თავი, როცა დაქირავების ვადა კიდევ ერთი წლით გავიგრძელეთ და ბინის ქირამაც მხოლოდ თხუთმეტი პროცენტი მოიმატა.

ეს უსირცხვილო გამოძალვა იყო და მეტი არაფერი. ლამაზი ბუნება რომ არა, ამას ალბათ არც მოვითმენდით. თუმცა ეს სახლი ჩვენ სხვა მიზეზებმაც შეგვაყვარა. პირველი და ყველაზე დიდი მიზეზი — პატარა გვიდო იყო, ჩვენი მეზობელი გლეხის შვილი და ჩვენი ბიჭის შესანიშნავი ამხანაგი. გვიდო ოჯახში ნაბოლარა იყო, თავის ყველაზე პატარა და-ძმაზე ექვსი-შვიდი წლით უმცროსი. ორი უფროსი ძმა უკვე მამას ეხმარებოდა მინდორში, დედა ჩვენ ჩამოსვლამდე ორი წლით ადრე გარდაცვლოდა. ოჯახს უფროსი და განაგებდა. უმცროს დას ის იყო სკოლა დაემთავრებინა და ისიც უფროსს ამოსდგომოდა მხარში, თან შიგადაშიგ გვიდოსაც უვლიდა; თუმცა ბიჭს ყურის გდება თითქმის არც სჭირდებოდა. — როგორც ყველა თავის ახაბარად დარჩენილი ბავშვი, შვიდიოდე წლის გვიდოც ასაკისთვის შეუფერებლად საზრიანი და დამოუკიდებელი იყო. იგი თავის საქციელზე თვითონ აგებდა პასუხს.

ჩვენს პატარა რობინზე გვიდო ორწლინახევრით უფროსი იყო, და თუმცა ამ ასაკში ოცდაათი თვე მთელი ნახევარი ცხოვრების გამოცდილებას უდრის, გვიდოს არასოდეს უგრძნობინებია რობინისთვის, რომ ჭკუითაც და ღონითაც მასზე ძლიერი იყო. ჯერ არ მენახა ასეთი დამთმენი და ასეთი ლმობიერი ბუნე

ბის ბავშვი. ბავშვი, რომელსაც არასოდეს მოსურვებია სხვისი დაჩაგვრა და თავისი უპირატესობის გამოჩენა. მას არასოდეს დაუცინია რობინისთვის, მაშინაც კი, როცა ასე სასაცილოდ ცდილობდა გვიდოს გასაოცარ საქმეებისათვის მიებაძა; არასოდეს დაუშინებია და გაუჯავრებია იგი. პირიქით, ცდილობდა გასაჭირში შეშველებოდა და აეხსნა, განემარტა ის, რისი გაგებაც უჭირდა პატარას. ამიტომაც უყვარდა და აღმერთებდა ასე რობინი. გვიდო დიდი, კეთილი ბიჭის ხატება იყო მისთვის და რამდენადაც შეეძლო, ბაძავდა კიდეც ყველაფერში. რა სასაცილო იყო რობინი, როცა თითქმის გმირული თავგამოდებით ცდილობდა გაემეორებინა სიმარჯვისა და სიძლიერის ის სასწაულები, რაც ასე ადვილად ხელეწიფობდა გვიდოს, რა სასაცილო იყო მაშინ, როცა მის ქცევებსა და ჩვევებს ბაძავდა, განსაკუთრებით თავისთვის უჩვეულოდ რომ გაიყუჩებოდა და ჩაფიქრდებოდა. არადა, როგორ უნდოდა გვიდოსნაირი ყოფილიყო... გვიდოს კი ხშირად გადავყრივარ გარინდულს... ფიქრებში ჩაძირული იჯდა ხოლმე, მუხლზე დაყრდნობილი და ნიკაპზე ხელამოდებული... მთელი არსებით იცოდა ფიქრი. ზოგჯერ თამაშს გაწყვეტდა, ხელებს ზურგს უკან შემოიწყობდა და იატაკს ჩააცქერდებოდა. მაშინ შემცბარი რობინი რაღაც მოკრძალებული შიშით და გაკვირვებით შეაცქერდებოდა ხოლმე მეგობარს.

— გვიდო, — ჩუმად ახსენებდა თავს, — გვიდო.

მაგრამ ფიქრებში ჩაფლული გვიდო ჩვეულებრივ დუმდა, ხმას არ იღებდა. პატარა რობინი იქვე მახლობლად დადგებოდა, გვიდოსაკით შემოიდებდა ხელებს ზურგს უკან, ნაპოლეონივით თუ მიქელანჯელოს ლორენცო დიდებულივით ჩამოჯდებოდა ჩაფიქრებული. ხოლო იმის შესამოწმებლად, სწორად გამომდის თუ არაო, შიგადაშიგ თავის ლურჯ თვალებს შეანათებდა ხოლმე უფროს ბიჭს... ეს კია, წუთზე მეტხანს ვერ ძლებდა რობინი, ადვილად ეცლებოდა მოთმინების ფიალა, ჩაფიქრება არ იყო მისთვის ბუნებრივი.

— გვიდო, — ხმას უმაღლებდა მაშინ, — გვიდო! — მერე ხელზე ჩაებღაუჭებოდა, რომ ადგილიდან დაეძრა იგი. გვიდო ზოგჯერ გამოფხიზლდებოდა და შეწყვეტილ თამაშს განაგრძობდა, ზოგჯერ კი რობინს ყურადღებასაც არ აქცევდა. მაშინ დაბნეული რობინი მარტო განაგრძობდა თამაშს, მოწყენილი, უხალისო. ხოლო გვიდო ისევ ისე განაბული იდგა ან იჯდა და ფიქრიანი, ლამაზი თვალები რაღაცნაირი ღრმა სიმშვიდით ევსებოდა.

შავი იტალიელი ბიჭისათვის შეუფერებელი, უჩვეულო ფერის თვალები ჰქონდა გვიდოს — მოლურჯო-მორუხო, ნათელი, სხივიანი. თანაც არცთუ ყოველთვის მშვიდად და დინჯად მზირალი. თამაშისას, როცა ხმამაღლა ჭყლოპინებდა, თვალებს, ფიქრის ამ კამკამა ტბებს, თითქოს მზე უციმციმებდა. მაღალი შუბლი ჰქონდა, სწორი ცხვირი და პატარა, წაწვეტილი ნიკაპი, ტუჩის ბოლოები კი ნაღვლიანად ჩამოშვებოდა.

გვიდოსა და რობინის ერთი სურათი შემომრჩა — ერთმანეთის გვერდიგვერდ ტერასის მოაჯირზე შემოსკუპულან. გვიდოს სახე კამერისკენ მიუბრუნებია, ოლონდ ოდნავ განზე და ძირს იცქირება, ხელები მუხლებზე გადაუწყვია, დაფიქრებულია, სევდიანი, სწორედ ისე, შუა თამაშისას რომ მოსდიოდა ხოლმე, გამოეთიშებოდა ყველასა და ყველაფერს და იძირებოდა საკუთარ არსებაში... გვერდით პატარა რობინი უზის, ნახევრად ზურგშექცეული, მაგრამ მოკუჭულ ლოყაზე ეტყობა, იცინის. ცალი ხელი ზევით აუწევია, ცალით კი გვიდოს ჩასჭიდებია, ჩანს, სათამაშოდ ეჭაჩება. სურათზე ის წამია აღბეჭდილი, როცა მოა-

ჯირიდან ჩამოსახტომად გამზადებულ ბიჭს ფეხები მოუთმენლად აუკეცია და ის-ის არის უნდა ისკუპოს, დახუჭობანას სათამაშოდ ბაღში გაიქცეს. ამ პატარა სურათზე ორივე ბავშვის ბუნებაა აღბეჭდილი.

— რობინი რომ რობინი არ იყოს, ალბათ ვინატრებდი გვიდო ყოფილიყო, — ამბობდა ელიზაბეტი.

მეც ვეთანხმებოდი, თუმცა ბავშვი მაშინ ჯერ არც მაინცდამაინც მიიტანდა-ეებდა. იმას კი ვამჩნევდი, რომ გვიდო საოცრად სასიამოვნო ბიჭი იყო. მარტო ჩვენ არ მოგვწონდა იგი. ყოველი ჩვენი შეხლა-შემოხლის მერე, დროდადრო სინიორა ბონდი მოგვევლინებოდა ხოლმე მომბალი, დამტკბარი, და რომ დაიწყებდა გვიდოზე ლაპარაკს, ველარ ჩერდებოდა...

— რა ბავშვია... რაღაც არაჩვეულებრივი, გადასარევი... — თითქოს ვინმე არ უჯერებსო, ისე ცხარობდა ქალი, — ცოდვა არაა, გლეხის ოჯახში იზრდებოდეს, ვერც კი ჩაუცმევიათ წესიერად... ეგ რომ ჩემი იყოს, რას დავბრანჭავდი... აბა, წარმოიდგინეთ, გვიდო შავ ხავერდებში, ანდა თეთრ მოკლე შარვალსა და აბრეშუმის თეთრსავე პერანგში, საყელოსა და მაჯებზე წითელი არშიებით, ანდა სულაც მეზღვაურის კოსტუმში, ზამთრობით კი ბეწვგამოდებულ ქურთუკსა და ციყვის ქუდში, რუსულ ჩექმებში... — ქალის მდიდარ ფანტაზიას საზღვარი არ უჩანდა, — თმას მხრებამდე ჩამოვუზრდიდი პაეივით, ბოლოებს ავუპრეხდი, წინ ქოჩორი ექნებოდა... ვია ტარნაბუონიაზე რომ ავატარ-ჩავატარებდი, ყველა ჩვენ შემოგვაცქერდებოდა... ოჰ, გვიდო რომ ჩემი იყოს...

ერთი სული მქონდა მეთქვა, ბავშვი კი არა, ტიკინა ან გაწვრთნილი მაიმუნი გჭირდებათ-მეთქი. მაგრამ... ვერაფერს ვამბობდი. ჯერ ერთი, არ ვიცოდი, იტალიურად ტიკინა როგორ იყო, და გარდა ამისა, ცოდვა გატეხილი ჯობია — მეშინოდა, საიჯარო ქირას კიდევ ერთი თხუთმეტი პროცენტით არ მოემატა.

— ღმერთო, გვიდო რომ ჩემი იყოს, — თითქოს გული ამოატანაო, ისე ამოიოხრა ერთხელაც სინიორა ბონდიმ და ნაზად დახარა თავი. — ვგიჟდები ბავშვებზე, ხანდახან ვფიქრობ, ეგებ მეშვილა-მეთქი ვინმე... დამთანხმდება კია ჩემი შიუღლე?!

უნებლიეთ ბომბორა ძაღლის მიერ წატაცებული მოხუცი ჯენტლმენი წარმოიდგა თვალწინ და გუნებაში გამეღიმა.

— ალბათ არა, არ დამრთავს ნებას, — განაგრძობდა ქალი, — არ დამთანხმდება. ვიცი.

უეცრად სინიორა ბონდიმ ლაპარაკი შეწყვიტა. თითქოს რაღაც აზრმა გაუელვაო...

რამდენიმე დღის მერე, ნასაუზმევს, ყავას შევექცეოდით. ამ დროს გვიდოს მამამ — კარლომ ჩამოიარა. ჩვეულებრივ მხიარულად მოგვესალმებოდა ხოლმე და ჩაიცლიდა. ახლა კი შეჩერდა, გამოგველაპარაკა. ლამაზი კაცი იყო, საშუალო ტანის, მაგრამ მოხდენილი, მოქნილი და ცოცხალი. თხელი რომაული სახე ჰქონდა და ნაცრისფერი ჭკვიანი თვალები, ზოგჯერ მეტისმეტად ჭკვიანიც კი, მით უმეტეს, თუკი ვინმეს გაცურებას ან ვინმესგან რაიმეს დაცინცვლას ეპირებოდა. ამ დროს უმანკო ბავშვივით იყურებოდა — სუფთად და მიამიტად, ხანდახან ბრიყვულადაც კი, მაგრამ თვალები ღალატობდა, გონიერი, აზრიანი თვალები. მე უკვე ვიცოდი, როცა კარლოს თვალები აუციმციმდებოდა, მაშასადამე, სიფრთხილე მმართებდა.

დღეს იმ საეჭვო ციმციმის ნატამალიც კი გამქრალიყო. ეტყობა, კარლოს

ჩვენგან არაფერი ჰქონდა დასაკარგი. თუმცა პატარა რჩევა უნდოდა მხოლოდ. რჩევა კი ის საქონელია, რასაც ადამიანთა უმრავლესობა უშურველად იმეტებს — ეს კარგად იცოდა კარლომ. თუმცა რჩევა კი საკმაოდ საზოგადო საკითხის დაობაზე გახლდათ, ანუ სინიორა ბონდის შეეხებოდა. სინიორა ბონდის ხშირად უჩიოდა ჩვენთან კარლო.

— ბებერს რა უჭირს, კაი კაცია, მაგრამ ცოლი ჰყავს პირუტყვი. ნაღდი პირუტყვია, — გვეუბნებოდა იგი და გვიამბობდა ქალის ამოუყორავ სიხარბეზე, გვიამბობდა, როგორ მოითხოვდა იგი, საიჯარო კანონით რაც ეკუთვნოდა, იმაზე მეტ მოსავალს. კარლო ქალის ეჭვიანობასაც უჩიოდა: სულ ჰგონია, ვატყუებ, ხანდახან ქურდობასაც კი მაბრალებსო. მე და ქურდი?!... ვაი, ვაი, — გულზე მჯიღს იბრაგუნებდა კარლო. — ჩემისთანა პატიოსანი კაცი და... ეეჰ!... — კარლო სინიორა ბონდის სიძუნწისთვისაც ჭორავდა: თავლაში შუქი არ გაჰყავსო, სასუქისთვის ფულის დახარჯვა ენანებაო... კარლოს კი თანავუგრძნობდით, მაგრამ ფრთხილად. ვცდილობდით ჩვენი აზრი არ გამოგვეთქვა. იტალიელებთან საკმაო ხანი ვიცხოვრეთ და მათი სიფრთხილე ჩვენც გადმოგვედო. ადრე თუ გვიან ჩვენი ყოველი სიტყვა რომ სინიორა ბონდის მოხსენდებოდა, ამაში ეჭვი არც გვეპარებოდა. ჰოდა, მასთან საქმის გამწვავებაც რომ არ ღირდა, ესეც ნათელი იყო დღესავით, რადგან ამას შესაძლოა ქირის მომატება მოჰყოლოდა.

დღეს კარლო ჩივილის გუნებაზე არ ჩანდა, დაბნეული იყო. ქალბატონს დაებარებინა და ეთქვა — მინდა პატარა გვიდო ვიშვილო და რას იტყვი ამაზეო. კარლოს მაშინვე უნდოდა მიეხალა უარი, მაგრამ მერე გადაიფიქრა და — მოვისაზრებო, შეჰპირებია.

ჩვენი პასუხი დაახლოებით ასეთი იყო: „მოიქეცით ისე, როგორც სწორად მიგაჩნიათ". მგრამ თავშეკავებითა და შეფარვით მაინც მივახვედრეთ, რომ სინიორა ბონდი არ მიგვაჩნია გვიდოსათვის შესაფერ დედობილად. კარლოც თითქოს ჩვენი აზრისა იყო, მით უმეტეს, რომ ბავშვი ძალიან უყვარდა. ეს კია, საუბრის ბოლოს დაღვრემილმა წაილაპარაკა:

— მაგრამ რა დააკავებს, თუ რამე აიჩემა... ბავშვის წაყვანა თუ გადაწყვიტა... მაგას, ტყუილია, არაფერი გააჩერებს...

შევატყვე, რომ ჩემი არ იყოს, კარლოც აშკარად ამჯობინებდა ფიზიკოსებს ატომის ნაცვლად სანგვინიკური ტემპერამენტის ძალამოზღვავებულ უშვილძირობა უსაქმო ქალებისთვის მიეხედათ. მაგრამ როცა გაგვშორდა და ღილინ-ღილინით გზას გაუდგა, ვიფიქრე — ეტყობა, ამ კაცს მაინც აქვს საიმისო ძალა, სინიორა ბონდის გაუმკლავდეს-მეთქი.

რამდენიმე დღის შემდეგ ინგლისიდან გრამაფონი და ფირფიტებით სავსე ორი ყუთი ჩამოგვივიდა. ჩვენთვის ეს დღესასწაული იყო, რადგან ერთადერთი — მუსიკა გვაკლდა და ახლა ისიც მივიღეთ. სადგურზე კარლო გაგრიხინდა თავის ჯორითა და ოთხთვალით. ამანათმა დიდი ცნობისწადილი აღუძრა. როცა გრამაფონი და ფირფიტები ამოვიღე, თავისთვის ჩაილაპარაკა:

— მაშ ისევ მოგვისმენია მუსიკა. კარგია, თორემ მარტო შენი თავის სმენა მოგწყინდება კაცს...

არადა, კარლო საკუთარი ძალებითაც ახერხებდა რაღაც-რაღაცეებს. თბილი საღამოები რომ დაიწყებოდა, მესმოდა, როგორ აღიღინდებოდა სახლის ზღურბლზე ჩამომჯდარი, გიტარასაც ააძღერებდა. ზოგჯერ უფროსი ბიჭი მანდოლინას ააყოლებდა, ნელ-ნელა მთელი ოჯახი ერთვებოდა და ღამის სიბნელე ვნებიანი

ჰანგებით ივსებოდა. უფრო ხშირად პედიგროტის სიმღერებს მღეროდნენ. ხმები ტაატით, ზანტად იღვრებოდა ირგვლივ, თანდათან იკრებდა ძალას, ზოგჯერ კი პირიქით — უეცრად გაიქანცებოდა და ქვითინს თუ ზარს ემსგავსებოდა. ვარსკვლავებით მოჭედილი ცა, თბილი საღამო და ეს სიმღერა... მართლაც მშვენიერი იყო.

— ომამდე, მშვიდობა როცა იყო, — განაგრძო კარლომ, — ოპერის მასა მენად პოლითემაშიც[1] კი წავსულვარ. ჰოი, რა ოპერები იყო! რა ოპერები... ახლა რომ გადაწყვიტო ასეთი რამ, ხუთი ლირი მაინც უნდა ტყლუმპო კაცმა, — კარლოს ჯიუტად სჯეროდა, რომ საამური დროება კვლავაც დაბრუნდება, ცხოვრება გაადვილდება და გაიაფდება...

— ჰო, ძალიან ბევრია, — დავეთანხმე.

— „ტრუბადური“ თუ გაქვთ? — შემეკითხა კარლო.

თავი გადავაქნიე.

— „რიგოლეტო?“

— არა მგონია.

— „ბოჰემა?“, „ჯამბაზები?“, „დასავლეთელი ქალიშვილი?“[2]

არა მქონდა, რას ვიზამდი.

— არც „ნორმა“ გაქვთ? არც „სევილიელი დალაქი?“

ბატისტინის შესრულებით დუეტი მოვასმენინე „დონ ჟუანიდან“. შესრულება რომ კარგი იყო, ამაზე კი დამეთანხმა, მაგრამ შევატყე, მუსიკა მაინცდამაინც არ მოეწონა. თუმცა რატომ, პასუხის გაცემა გაუჭირდა. „ჯამბაზებისთანა“ მაინც ვერ არისო, ბოლოს ასე გამოთქვა.

ერთი სიტყვით, ჩემმა გრამაფონმა კარლოსა და მის უფროს შვილებს იმედები გაუცრუვა. მართალია, ზრდილობის ხათრით, თავიანთი უკმაყოფილება აშკარად არ გამოუთქვამთ, მაგრამ ორიოდე დღის შემდეგ მასზე გული აიყარეს, ისევ თავიანთ გიტარას და სიმღერებს დაუბრუნდნენ.

გვიდო კი, პირიქით, ჩემმა გრამაფონმა მოხიბლა, დაატყვევა. საოცარია და, მას სწორედ სერიოზული მუსიკა შეუყვარდა და არა საცეკვაო ჰანგები, რომლის ხმაზეც სიამოვნებით დაბაკუნებდა ჩვენი რობინი.

მახსოვს, პირველად გვიდომ ბახის კონცერტი მოისმინა — ფა მინორი ორი ვიოლინოსთვის — ნელი, გაჭიანურებული ჰანგი. კარლოს წასვლისთანავე დავდე ეს ფირფიტა. ასე მეჩვენებოდა, რომ მუსიკალურ ნაწარმოებთა შორის იგი ყველაზე მუსიკალური იყო და უგრილეს, უწმინდეს წყაროსავით დაეპკურებოდა ჩემს დაშაშრულ გონებას. ის იყო შევიგრძენი ინტელექტუალური ლოგიკის უმკაცრეს და უზუსტეს კანონებს დაქვემდებარებული მისი წმინდა, სევდიანი სილამაზე, რომ ლოჯიდან ოთახში ბავშვები შემოპაკუნდნენ — წინ გვიდო — უკან აქოშინებული რობინი. გვიდო უცბად გაილურსა, მონუსხულივით შედგა, მოლურჯო-მონაცრისფერო თვალები გაუდიდდა, ხოლო თითებმა, ჩემთვის ნაცები მოძრაობით, ნერვიულად დაიწყეს ქვედა ტუჩის წიწკნა. როგორც ჩანს, სული შეუგუბდა ბიჭს — რამდენიმე წამის მერე ხმაურით ამოისუნთქა და შემდეგ ხელახლა ღრმად ჩაისუნთქა. გაოცებულმა და ამავე დროს აღტაცებულმა შემომხე-

[1] საოპერო თეატრი ფლორენციაში.

[2] პუჩინის ოპერა.

და, მერე გაიცინა უცნაურად, ნაწყვეტ-ნაწყვეტად, თითქოს გააერეოლაო, ისე, და იმწამს კვლავ მიუბრუნდა გასაოცარი ჰანგების წყაროს.

მისი წამხედურა რობინი ზუსტად მასავით დადგა გრამაფონის წინ. დროდადრო დინჯად გადახედავდა ხოლმე მეგობარს, ხომ ყველაფერს ისე ვაკეთებ, როგორც გვიდოს, ქვედა ტუჩსაც კი ჩააფრინდა გამეტებით, მაგრამ მალე მიაყიწყდა თუ მობეზრდა...

— ჯარისკაცები მინდა, — თქვა ბოლოს და მომიბრუნდა. — ჯარისკაცები, როგორც ლონდონში იყო. — ეტყობა, სამხედრო მარშები და ჩვენი მხიარული ცეკვა-თამაში მოაგონდა.

ტუჩებთან თითი მივიდე და წავიჩურჩულე:

— მოიცადე ცოტა ხანს.

რობინმა კიდევ ო�oდე წამს გასძლო ჩუმად და, ასე გასინჯეთ, გაუნძრეველადაც. მერე კი გვიდოს სახელოზე ჩაებღაუჭა:

— Uieni, Cuido. ჯარისკაცები. Uieni ginocare soldati.[3]

მოთმინებადაკარგული გვიდო მაშინ ენახე პირველად.

— Uai,[4] — გამოსცრა ბრაზიანად, ხელზე ჩაარტყა, მოიშორა რობინი. მერე უფრო ახლოს მიეუცქდა გრამაფონთან, თითქოს ამ გაორკეცებული ყურადღებით იმის აღდგენა სურდა, რაც რობინის გამო გამორჩა.

რობინი გაოცებისგან გაშრა. ასეთი რამ ჯერ არ მომხდარა. თვალები ნელ-ნელა ცრემლით აევსო და ბოლოს გული ამოუჯდა, ნუგეშისთვის მე მომადგა ჩამეკრა ასლუკუნებული. მაგრამ შეწყდა თუ არა მუსიკა, გვიდოს უმალ მოაგონდა რობინი, უმალ ისევ ის მოსიყვარულე და თბილი ბიჭი გახდა, როგორც მუდამ იყო ხოლმე, მაშინვე მიეფერა რობინს, შემოირიგა...

მოგეწონა-მეთქი მუსიკა?! — ვკითხე გვიდოს. ლამაზია — მიპასუხა. მაგრამ იტალიური სიტყვა „bello"[5] ისეთი გაცვეთილია წამდაუწუმ ხმარებისგან, რომ ყოველგვარი ფასი აქვს დაკარგული.

— მაინც ყველაზე მეტად რა მოგეწონა? — ჩავაცივდი ბავშვს. რაკი ისეთი სიამოვნებით უსმენდა მუსიკას, მინდოდა გამეგო, მაინც რამ მოხიბლა ასე.

გვიდომ ფიქრიანად შეიჭმუხნა წარბები და წამით გაყუჩდა:

— აი, ეს ადგილი მომეწონა, — და გრძელი მუსიკალური ფრაზა წაიმღერა. — მაგრამ კიდევ რაღაც სხვაც მღერის ამ დროს, ის რაღაა?!

— ის ვიოლინია, — ვუპასუხე.

— ვიოლინო, — თითქოს დამეთანხმაო, თავი დააქნია, — მეორე ვიოლინო კი ასე მღეროდა, — ბიჭმა ისევ წაიმღერა ჰანგი. — რატომ არ შეუძლია ერთს ორი ჰანგი იმღეროს ერთად? იმ ყუთში რა არის? რატომ შრიალებს ისე? — დამაყარა და დამაყარა ბავშვმა კითხვები.

ვპასუხობდი, როგორც შემეძლო, ვაჩვენე პატარა სპირალები დისკზე, ნემსი, დიაფრაგმა. მოვაგონე, როგორ თრთის გიტარის სიმი შეხებისას, ისიც ვუთხარი, რომ ბგერა ჰაერის რხევაა და შევეცადე ამეხსნა, როგორ აღიბეჭდება

---

3. წამო, გვიდო, წამო, ჯარისკაცობანა ვითამაშოთ (იტალ.).

4. მობეზრდა (იტალ.).

5. ლამაზია (იტალ.).

ეს რხევა შავ ფირფიტაზე. გვიდო ძალიან დინჯად მისმენდა, დროგამოშვებით თავსაც მიქნევდა. ისეთი გინცდა მქონდა, რომ ბავშვს ძალიან კარგად ესმოდა ჩემი ნალაპარაკევი.

ამასობაში პატარა რობინი ისე გაიტანჯა, მისი საცოდაობით [illegible] შევიქენი ორივე ბაღში გამესტუმრებინა სათამაშოდ. გვიდო [illegible] დამყვა, მაგრამ აშკარად ვამჩნევდი — დარჩენა და მუსიკის მოსმენა [illegible] ხნის მერე, როცა ბაღში გავიხედე, დავინახე: გვიდო დაფნის ჩახლართულ ბარდებში დამალულიყო და ლომივით ბღღვინავდა, რობინი კი ისე იცინოდა, თითქოს ეშინოდა. ეს მძვინვარე ხმა ნამდვილი ლომის ღრიალად არ იქცესო, ყეიროდა და ჯოხს უშენდა ბუჩქებს.

— გამოდი, გამოდი, უნდა გესროლო.

ნასადილევს, როცა რობინი დასაძინებლად მიღლა აიყვანეს, გვიდო ჩემთან შემოვიდა.

— შეიძლება მოვუსმინო მუსიკას? — მკითხა მან. მთელი საათი იჯდა გრამაფონთან და ოდნავ გვერდზე თავგადახრილი ისმენდა... მე კი ვცვლიდი და ვცვლიდი ფირფიტებს.

მას მერე ყოველდღე ამ დროს შემოდიოდა გვიდო ჩემთან: სულ ძალე მთელი ჩემი ფონოტეკა ზეპირად იცოდა. ზოგი რამ გამორჩევით შეუყვარდა, ზოგს პირიქით, არა სწყალობდა, როცა უნდოდა მივეხვედრებინე, რისი მოსმენა სურდა, მთავარ ჰანგს წაიმღერებდა ხოლმე.

ვაგნერი არ უყვარდა, არც დებიუსი. დებიუსის „არაბესკებს" რომ დავდებდი, მკითხაედა ხოლმე:

— სულ ერთსა და იმავეს რატომ იმეორებს? თითქოს რაღაცას ამტკიცებსო. ან ახალი რამე დაუკრას, ან დაწყებული განაგრძოს, ან ისე მოახერხოს, რომ პიესა გაიზარდოს. ნუთუ არ შეუძლია მოისაზროს რაშე?!

დებიუსის „ფავნი ნაშუადღევის მოსვენების შემდეგ" უფრო ლმობიერად მიიღო გვიდომ — ლამაზი ხმები აქვთო — ასე თქვა.

ხოლო მოცარტმა აღაფრთოვანა. „დონ-ჟუანის" დუეტმა, რომელზეც არც მაინცდამაინც გაგიჟებულა მამამისი, ბიჭი მოაჯადოვა.

მაგრამ გვიდოს ყველაფერს მაინც კვარტეტი და სიმფონიური მუსიკა ერჩივნა.

— მე მუსიკა უფრო მომწონს, ვიდრე სიმღერა, — ამბობდა იგი

ეს საკმაოდ უცნაური იყო. მასაკით პატარა კი არადა, კარგა მოზრდილებიც სიმფონიურ მუსიკასა და ორკესტრს სიმღერას ამჯობინებენ. შემსრულებლები, სოლისტი — მეტად იტაცებს ხალხს. თუნდაც აი, მაგალითად, რომელიღაც პიანისტის ტუშე. ხალხს სწორედ ის აინტერესებს, როგორ შეეხება ინსტრუმენტს ესა თუ ის პიანისტი. ანდა, როგორ აიღებს ესა თუ ის მომღერალი ყველაზე მაღალი ოქტავის მის, და თუ აიღებს, ის მისი საკუთრება ხდება. მისი და მხოლოდ მისი. ხოლო ორკესტრი კი უსახოა. საკონცერტო დარბაზებში იმ ტუშესა და იმ მაღალი ნოტისთვის იყრის ხალხი თავს და არა მუსიკისთვის.

გვიდოს კი სიმფონიური მუსიკა ერჩივნა. მისი უსაყვარლესი მუსიკა მოცარტის „ფიგაროს ქორწინების" უვერტურა იყო. დასაწყისში ერთი ადგილია, ვიოლინოები თითქოსდა ცაში აიჭრებიანო — ამაზე დიდებული არაფერი შეიძლება იყოს. ამ დროს მე მუდამ გვიდოს ვუყურებდი. მას ნელ-ნელა უნათდებოდა სახე, ღიმილი ეფინებოდა, ბოლოს აჭყლეტინდებოდა ხოლმე, იცინოდა და ტაშსაც

კი უკრავდა....

ამ ფირფიტის მეორე მხარეს ბეთჰოვენის „ეგმონტის“ უვერტიურა იყო ჩაწერილი. ეს მუსიკა კიდევ უფრო მოეწონა გვიდოს.

— აქ მეტი ხმაა, — ჩაილაპარაკა ბიჭმა. გამაოცა მისმა ზუსტმა შენიშვნამ. სწორედ მდიდარი ორკესტრირების გამო დგას „ეგმონტი“ „ფიგაროს ქორწინებაზე“ მაღლა.

ყველაზე მეტად კი „კორიოლანოსის“ უვერტიურა აღელვებდა. მის შემდეგ მეხუთე სიმფონიის მესამე ნაწილი, მეშვიდეს მეორე ნაწილი, № 5 კონცერტის („საიმპერატოროს“) ნელი ნაწილი მოდიოდა. მაგრამ ბიჭის თვალში „კორიოლანოსს“ არაფერი შეედრებოდა. ერთხელ სამჯერ თუ ოთხჯერ ზედიზედ დამაკვრევინა ეს ფირფიტა. ბოლოს გადასდო.

— მგონი, აღარ მინდა ამის მოსმენა.

— რატომ?

— მეტისმეტად... ძალიან... — და რაკი სიტყვები ვეღარ გამონახა, ესღა თქვა, — მეტისმეტად დიდია, კარგად არ მესმის, ჯობია ისევ ის დაუკრათ, — და ბახის ფამინორიდან ერთი ფრაზა წაიმღერა.

— ეს რა, უფრო მოგწონს? — შეეკითხე.

— არა, — თავი გააქნია მან, — უფრო ადვილია და იმიტომ.

— ადვილი?! — უცნაური თქმა იყო ბახის მისამართით. საკმაოდ უცნაური.

— უკეთ მესმის.

ერთხელ სწორედ ამ კონცერტის დროს ქალბატონი ბონდი შემოგვესწრო. მაშინვე დააცხრა ბავშვს — ლამის შეიკლა ქლაკუნით, ეფერებოდა, კოცნიდა, რა ლამაზი ხარო, ეუბნებოდა... გვიდო თავს არიდებდა ქალის ალერსს. ოღონდაც ფრთხილად, შეუმჩნევლად.

— გიყვარს მუსიკა? — ჰკითხა ქალბატონმა.

ბიჭმა თავი დაუქნია.

— თუ არ ვცდები, გასაოცარი ნიჭი უნდა ჰქონდეს ბავშვს მუსიკის, — ვთქვი მე, — სმენა ხომ თავისთავად, თქმა არ უნდა, დიდებული აქვს, მაგრამ მეორეა კიდევ, — ჯერ არ შემხვედრია ამ ხნის ბიჭი, ასე ესმინოს მუსიკისთვის და ასე გაეგებოდეს იგი. ეგებ პიანინო დაგვეჭირავა და გვესწავლებინა-მეთქი, ვფიქრობ.

ვთქვი თუ არა, ვინახე კიდეც. ქალბატონმა ბონდიმ იფეთქა, გაცხარდა თავისებურად. ეს ბიჭი მე რომ მომცენ აღსაზრდელად, ისეთ მასწავლებელს ავუყვანდი, ისეთს, მისგან ნამდვილ მაესტროს გამოვიყვანდი და, თუ გნებავთ, ვუნდერკინდსაც კი.

დარწმუნებული ვარ, იმ წუთს სინიორა ბონდის უკვე თვალწინ დაუდგა თაკისი თავი უზარმაზარი როიალის ჩრდილში ყელმოღერებული. ჩამარგალიტებული, შავ აბრეშუმში შემოსილი. თვალწინ დაუდგა ლორდ ფაუნტლეროისავით გამოწყობილი მშვენიერი გვიდო, რომელიც ლისტს ან შოპენს არაკრაკებს. აღფრთოვანებული მაყურებელი ღელავს... ირგვლივ ზღვა ყვავილებია, ჰაერს ტაში.. აქა-იქ გაისმის ნატიფი ფრაზები, ხოლო გულაჩუყებული და თვალცრემლიანი მაესტრო დახვეწილი სიტყვებით მიესალმება ახლად მოვლენილ ჰატარა გენიოსს...

— ახლა კი მთლად გააგიჟებს სიხარბე, — თქვა ელიზაბეტმა, როცა სინიორა

ბონდი წავიდა, — რომ შეხვდები, უთხარი, შევცდი, ბავშვს მუსიკალური ნიჭისა თურმე არაფერი სცხია-თქო.

მალე პიანინოც მოგვიტანეს. ძე მხოლოდ ანაბანა ავუხსენი გვიდოს და თავის ნებაზე მივუშვი. მან ჯერ ნაცნობი ჰანგები ააწყო, გაიხსენა და აღადგინა მათი ჰარმონია. რამდენიმე გაკვეთილის შემდეგ სანოტო დამწერლობის საფუძველსაც აუღო ალღო და თუმცა ნელ-ნელა, მაგრამ მაინც ფურცლიდან დაიწყო მარტივი პასაჟების კითხვა. წერა-კითხვა კი ჯერ არ იცოდა. ასოებს სცნობდა, მაგრამ სიტყვებისა და ფრაზების წაკითხვა მისთვის არ უსწავლებიათ.

პირველსავე შეხვედრისას დრო ვიხელთე და სინიორა ბონდის გვიდოზე ჩამოვუგდე სიტყვა — ბიჭმა იმედები გამიცრუვა-მეთქი, სამწუხაროდ, არ აღმოჩნდა-მეთქი მუსიკის ნიჭი. ვლაპარაკობდი და თან აშკარად ვგრძნობდი, ქალს ჩემი არ სჯეროდა, იფიქრა ალბათ, თვითონ უნდა „ვუნდერკინდს" დაეპატრონოს, „სუზერენულ" უფლებებში შემეცილოსო. ეს ხომ მისი გლეხები იყვნენ! ჰოდა, თუკი ვინმეს უნდა ეხეირა ბავშვის ნიჭით, რასაკვირველია, პირველ ყოვლისა, მას.

ქალმა დიპლომატიურად და ფრიად მოხერხებულად განაახლა კარლოსთან მოლაპარაკება. ბიჭს ნიჭი აქვსო, ეუბნებოდა, უცხოელმა ჯენტლმენმა თავად მითხრაო, აბა, მას ხომ არ შეეშლებოდაო. თუკი კარლო ნებას დართავს ბავშვი იშვილოს, იგი ასწავლის და განათლებას მისცემს, გვიდო ჭეშმარიტი მაესტრო გახდება. მას მიიწვევენ არგენტინაში, შეერთებულ შტატებში, პარიზში, ლონდონში, მოიხვეჭს მილიონებს!

აბა გაიხსენოს კარუზო... ჰო, იმ მილიონების ნაწილი კარლოსაც ერგება! მაგრამ ბიჭუნამ ჯერ კიდევ უნდა ისწავლოს. სწავლას კი ბევრი ფული სჭირდება. კარლოსთვისაც, ბავშვისთვისაც სჯობია ნამდვილად, რომ სინიორამ იზრუნოს გვიდოზე.

კარლო კიდევ ერთხელ შეპირებია, მოვიფიქრებო, და კიდევ ერთხელ მოგვაშურა რჩევისთვის. რა შეგვეძლო გვერჩია — ყველა შემთხვევაში დაცდა სჯობს, ნუ აჩქარდებით, ვნახოთ, რა წარმატებები ექნება-მეთქი ბიჭს.

წარმატებები კი, თუმცაღა სინიორა ბონდის სხვა შევჩივლე, ჩინებული ჰქონდა გვიდოს. დააძინებდნენ თუ არა რობინს, გვიდო მაშინვე მოდიოდა გაკვეთილზე, კონცერტსაც მაშინ უსმენდა. იგი თანდათან იწაფებოდა ნოტების კითხვაში, პატარა თითები უფრო და უფრო ძლიერი და მოქნილი უხდებოდა. მაგრამ ჩემთვის ყველაფერზე საგულისხმო ის იყო, რომ ბიჭმა პატარა პიესების წერა დაიწყო. ზოგი მათგნი ჩავიწერე კიდეც და დღემდე შენახული მაქვს. საოცარია და იმ პიესათაგან ბევრი კანონი აღმოჩნდა. გვიდოს აშკარად შეყვარებოდა ისინი. როდესაც კანონებით მოხიბლულ ბიჭს მათი პრინციპი ავუხსენი, აქილევსებულმა წამოიძახა:

— რა ლამაზებია! ულამაზესები! თან რა ადვილი!..

ძისმა სიტყვებმა ისევ გამაოცა. ნუთუ შეიძლება კანონზე „ადვილი" ითქვას... მას შემდეგ გვიდო დღის მეტ ნაწილს პიანინოსთან ატარებდა — საკუთარი სიამოვნებისათვის პატარა კანონებს თხზავდა და საკმაოდ ოსტატურადაც. სხვაგვარ მუსიკას რაც შეეხებოდა, ნაკლებად ნაყოფიერი აღმოჩნდა, ვიდრე ველოდი. სულ რაღაც ორიოდე სიმღერა და რამდენიმე მხიარული პიესა დაწერა

სიმღერები სადღესასწაულო კეთილხმოვანებით ჰიმნებს წააგავდა. პიესები კი სამხედრო მარშების რიტმზე იყო აგებული, ხალისიანი, მსუბუქი.

ბავშვის პირობაზე ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, უჩვეულოც კი იყო. მაგრამ უჩვეულოს ხომ ბევრი ბავშვი აკეთებს — ათ წლამდე ჩვენ ყველანი გენიოსები ვართ. მე კი მჯეროდა, რომ გვიდო ორმოცი წლისაც გენიოსი უნდა ყოფილიყო და ამიტომ ის, რასაც ჩვეულებრივ ბავშვს საოცრებად ჩავთვლიდით, გვიდოსგან არც უნდა გაგვკვირვებოდა.

„არა, მოცარტი ალბათ არ იქნება", — გადავწყვიტეთ ჩვენ; როცა ბიჭუნამ თავისი პიესები დაგვიკრა, მართალი გითხრათ, გული ჩამწყდა. ეტყობა, რაღაც ძალიან დიდს ველოდი გვიდოსაგან და იმიტომ. თუ მოცარტი არა, ისე წვალებაც არ ღირს-მეთქი, მახსოვს — ასე ვიფიქრე.

მოცარტი მისგან არ გამოვიდა. მაგრამ სულ მალე დავრწმუნდი, რომ ბიჭი არანაკლებ შესანიშნავი პიროვნება იყო.

ეს ამბავი ზაფხულის დამდეგს, ერთ მშვენიერ დილას აღმოვაჩინე. დასავლეთისკენ გამავალი აივნის მზიან მხარეს ვმუშაობდი. ქვემოთ, პატარა ბაღში გვიდო და რობინი თამაშობდნენ. ჩემი საქმით გართულმა კარგა ხანს ვერ შევამჩნიე, რომ იქ უჩვეულო სიჩუმე გამეფებულიყო... უცბად ვიაზრე — ბავშვების ხმა დღეს თითქმის არ გამიგია. ქვემოდან არც ყვირილი ისმოდა, არც ბრახაბრუხი — მხოლოდ ჩუმი ხმები ამოდიოდა. გამოცდილებით ვიცოდი, თუ ბავშვები ჩუმად არიან, მაშასადამე, რაღაც ჩაიფიქრეს საშინელი. ავდექი და მოაჯირს გადავეყრდენი — აბა, ერთი რას აკეთებენ-მეთქი. მეგონა, ან წყალში ჭყუმპალაობენ, ან კოცონს აგიზგიზებენ, ან კუპრით ითხიპნებიან-მეთქი.

გვიდოს ხელში ბოლომომწვარი ჯოხი ეკავა. იგი ამტკიცებდა, რომ სწორკუთხა სამკუთხედის ჰიპოტენუზის კვადრატი კათეტების კვადრატების ჯამის ტოლია. ჩამუხლული, ჯოხის მონახშირებული ბოლოთი ხატავდა ბილიკის ფილებზე. ხოლო მეგობრის გვერდით ჩაცუცქულ რობინს კი ჰა და ჰა, ელეოდა მოთმინების ფიალა, აღარ უნდოდა მოსაწყენი თამაში.

— გვიდო, — დაუძახა მან.

გვიდომ ყურადღება არ მიაქცია. ჩაფიქრებული და წარბშეჭმუხნული გახაგრძობდა სამკუთხედების აგებას.

— გვიდო! — პატარა რობინი რაც ძალა და ღონე ჰქონდა დაიხარა და კისერი მოიღრიცა, რომ მეგობრისთვის სახეში შეეხედა, — მატარებელს რატომ არ ხატავ!

— მერე დავხატავ, — უპასუხა გვიდომ, — ჯერ ერთი რაღაც უნდა გაჩვენო. იცი, რა ლამაზია?! — მის ხმაში ვედრება მოისმა.

— მე რომ მატარებელი მინდა?! — ჯიუტობდა რობინი.

— კიდევ ერთი წამი, ერთადერთი, — თითქმის ემუდარებოდა გვიდო. რობინი გმირულად აღიჭურვა მოთმინებით და რამდენიმე წუთში გვიდომ ორივე ნახაზი დაამთავრა.

— აი! — წელში გაიმართა, გაბრწყინებული დააცქერდა საკუთარ ნამუშევარს, — აი, ახლა აგიხსნი.

მან პითაგორას თეორემის დამტკიცება დაიწყო, მაგრამ ევკლიდეს ხერხით კი არა, ბევრად მარტივი და სარწმუნო გზით. პითაგორაც ამავე ხერხს თუ მიმართავდა. გვიდომ ჯერ კვადრატი დახაზა, მერე ეს კვადრატი ჯვარედინად გაყო, ისე რომ ორი პატარა კვადრატი და ორი ტოლი მართკუთხედი გამოუვიდა. მარ-

თკუთხედებში დიაგონალები გაავლო და ისინი ოთხ ერთნაირ მართკუთხა სამკუთხედად დაყო. თითოეული კვადრატის ფართობი სამკუთხედის შესაბამისი გვერდის კვადრატის ტოლი გამოვიდა. ასეთი გახლდათ პირველი ნახაზი. მეორეზე ის მართკუთხა სამკუთხედები თავიდანაღებულ კვადრატში ჩახაზა — სამკუთხედთა მართი კუთხეები კვადრატის კუთხეებს დაამთხვია, ჰიპოტენუზებმა კი ჩახაზული კვადრატი შეადგინა. საწყისი კვადრატის გვერდის სამკუთხედის ორი გვერდის (კათეტების) ჯამის ტოლი გამოვიდა. რაკი ჩახაზული კვადრატის ფართობი პატარა კვადრატების ფართობთა ჯამის ტოლია, კათეტების კვადრატების ჯამიც ჰიპოტენუზის კვადრატს უდრის. მაშ, ჰიპოტენუზაზე აგებული კვადრატის ფართობი ტოლი იყო ორ სხვა გვერდზე (კათეტებზე) აგებული კვადრატების ფართობების ჯამისა.

მართალია, გვიდო თავისი სიტყვებით გადმოსცემდა დამტკიცებას, არა მათემატიკურად, არამედ უბრალოდ, ჩვეულებრივი ენით, მაგრამ ამავე დროს ლოგიკურად, სხარტად და გონივრულად. რობინი კი უსმენდა, მაგრამ მისი პუტკუნა, ჭორფლიანი სახე მაინც თავის საგონებელს მოეცვა.

— Treno,[6] — იმეორებდა, — Treno. დამიხატე მატარებელი.

— ახლავე, — ემუდარებოდა გვიდო. — მოიცადე ერთი წუთი, შეხედე ამას, ნახე! — უნდოდა როგორმე მოეგო რობინის გული, — ნახე, რა ლამაზია, თან რა ადვილი.

ადვილი... პითაგორას თეორემამ გვიდოს მუსიკალური გემოვნების თავიდათავს მიმაკვლევინა. ბიჭისგან მოცარტი არ გამოვიდა, იგი არქიმედე იყო, ნამდვილი პატარა არქიმედე. გამიგონია, ტალანტებს ასე მოსდით თურმე და გვიდოსაც ასე მოუვიდა — მუსიკამ აზიარა, შემოაბრუნა და შეუძლია მანამდე უცნობ სამყაროში, მუსიკამ გარდაქმნა და აუხილა სხვა თვალი...

— Treno, treno! — რაც მეტს ლაპარაკობდა გვიდო, მით უფრო უმატებდა ყვირილს რობინიც. და რადგან გვიდო დაეინებული განაგრძობდა თავისას, პატარა მართლა გამწარდა.

— Cattivo[7] გვიდო! — წამოიძახა და მუშტებშემართული მივარდა მეგობარს.

— კარგი, კარგი, — დანებდა გვიდო, — მოდი, დაგიხატავ მატარებელს.

და ბოლომომწვარი ჯოხი ფილებზე მიავლ-მოავლო.

ვიდექი და ჩუმად ვუყურებდი. ჩვეულებრივი მატარებელი იყო. გვიდოს შეეძლო პითაგორას თეორემა მოეგონა და დაემტკიცებინა, ხატვით კი, მხატავი იგი არ გახლდათ.

— გვიდო! — დავუძახე.

ბავშვები შემობრუნდნენ და ამომხედეს.

— ვინ გასწავლა იმ კვადრატების ხატვა? — ხომ შეიძლებოდა ვინმეს ესწავლებინა!

— არავინ, — თავი გადააქნია, მერე შეშფოთდა, თითქოს დაფრთხა — ნახაზში შეცდომა არ მქონდესო, და თავის მართლებას მოჰყვა: — იცით... მე მგონი,

---

[6]. მატარებელი (იტალ.).
[7]. საძაგელი (იტალ.).

ეს ძალიან ლამაზია, იმიტომ რომ ეს ორი კვადრატი ერთად აღებული, — პირველი ნახაზის კვადრატებზე მიმითითა. — ზუსტად ისეთებია, როგორიც ეს ერთი, — მეორე ნახაზის ჰიპოტენუზის კვადრატი შემოხაზა და დამნაშავე ღიმილით შემომაჩერდა.

თავი დავუქნიე.

— ძალიან ლამაზია, გვიდო. ნამდვილად ძალიან ლამაზია. — ეთქვა და დავინახე, როგორ მოეშვა გულზე, როგორ გაიცინა კიდეც კმაყოფილმა.

— აი, იცით, როგორ არის?! — სულმოუთქმელად დაიწყო ბავშვმა, აჩქარდა, თავის აღმოჩენილ საიდუმლოს უნდა ვეზიარებინე. — ვჭრით მოგრძო კვადრატებს (ასე უწოდებდა სწორკუთხედებს) ორ-ორ ნაჭრად, და ეს ოთხი ნაჭერი, სულ, სულ ერთნაირები გამოდის, იმიტომ რომ... იცით, რატომ! ჰო, დამავიწყდა მეთქვა — იმიტომ რომ ეს ხაზები, ხედავთ...

— მე მატარებელი მინდა, — გაჭირვეულდა რობინი.

აივნის მოაჯირზე დაყრდნობილი, ბავშვებს ვუყურებდი და ვფიქრობდი იმ სასწაულზე, რომლის მოწმეც ეს წუთია გავხდი და იმაზე, თუ რას ნიშნავდა ეს სასწაული.

ნუთუ გენიოსის დაბადება შემთხვევითობაა? მაშ რატომ, რა მიზეზით მოვლინება ხოლმე ერთ რომელიმე ერს გენიოსების მთელი პლეადა? ტენი ასე თვლიდა: ლეონარდო, მიქელანჯელო, რაფაელი იმიტომ გაჩნდნენ, რომ უნდა გაჩენილიყვნენ დიდი მხატვრები, დიდი მხატვრების მოვლინების დრო დადგა მაშინ. მაინცდამაინც იტალიაში კი იმიტომ, რომ სწორედ იქ იყო საიმისო პირობები. მე-XIX საუკუნის ფრანგი რაციონალისტისაგან ეს დოქტრინა უცნაურად და ცოტა მისტიურადაც კი ეღერდა, მაგრამ, მეორე მხრივ, ღმერთმა უწყის, ვგებ ტენი მართალიც იყო... ხოლო ისინი?! შემთხვევით, ელვასავით მოულოდნელად მოვლენილნი?!...

რა ბედნიერებაა,—ვფიქრობდი მე, — რომ გვიდო ისეთ დროს გაჩნდა, როცა შესაძლებელია ნიჭს გზა ფართო მიეცეს; როცა ანალიტიკური კვლევის გულდასმით დამუშავებული ხერხები გვაქვს ხელთ; როცა უკვე არსებობს კაცობრიობის მიერ დაგროვილი გამოცდილება, ცოდნა. მაშინ რომ დაბადებულიყო, როცა სთოუნ-ჰენჯს აგებდნენ? მთელი სიცოცხლე ელემენტარული ჭეშმარიტების აღმოჩენაზე წაუვიდოდა. ის იდეები, როელთა დამტკიცებაც ახლა თავისუფლად შეუძლია, მაშინ მხოლოდ ბუნდოვნად უნდა ამოეცნო, ალღოთი მიმხვდარიყო, ჩვენს დროში ხუთი წლის მანძილზე ითვისებ იმ ცოდნას, რომლის აღმოჩენასაც ჩვენამდე ადამიანთა მთელი თაობები დაჭირდა.

უცნაურია დიდი ადამიანების ბედისწერა.. ზოგიერთი ისე უიღბლოდ ადრე მოევლინება ქვეყანას, თითქოს თავის ჟამს დაასწრებსო, და ვერც ვერაფერს მიაღწევს. ბეთჰოვენი რომ ძველ საბერძნეთში გაჩენილიყო... რა იქნებოდა?! არაფერი — დაუკრავდა ფშუტტერო ჰანგებს ფლეიტაზე ან ლირაზე და დაკმაყოფილდებოდა, ჰარმონიის ბუნებაზე კი წარმოდგენაც არ ექნებოდა.

ბავშვებმა მატარებლობანას თამაში დაიწყეს ბაღში. ლოყებდაბერილები, ქშეხით, ქსიტინ-ქსიტინით და ბაკაბუკით მისდევდნენ ერთმანეთს. რობინი ორთქმავალივით ფუთფუთებდა, გვიდო კი, მისი ქურთუკის კალთას ჩაჭიდებული, ფეხებს მიაჩოჩებდა და უსტვენდა. ისინი ხან წინ მიიწევდნენ, ხან უკან იხევდნენ, ხან სადგურებთან ჩერდებოდნენ, ხან ხიდებზე მირახრახებდნენ, გვირაბებში მიგრიალებდნენ, ისეც ხდებოდა, ლიანდაგებს ასცდებოდნენ ხოლმე და უწყა-

ლოდ ლილაგდებოდნენ ვითომ. პატარა არქიმედეს ისეთივე ბედნიერი გამომეტყველება ჰქონდა, როგორც ჩემს სულელს, თმაგაბურძგნულ ველურს. სულ რაღაც ორიოდე წუთის წინ გვიდო პითაგორას თეორემას მოეცვა. ახლა კი, გუგუნითა და სტვენით, უდიდესი ნეტარებით დაჩოჩავდა არარსებულ ლეთხაგებზე, ყვავილნარებში მირბი-მორბოდა, აქოჩრილ სიმწვანეში ჩაიკარგებოდა და მერე უცბად ისევ გამოჩნდებოდა, თითქოს გვირაბიდან მოქაქანებულ ნეტარებისა, პატარა ადამიანი, ეს აცქვიტებული, აყივლებული, მოთამაშე ბიჭი მომავალი არქიმედე! საოცარია ვუნდერკინდის ნიჭი, იგი თითქოს გამოყოფილია ცნობიერებისაგან, მისგან ცალკეა. იგი არ არის დამოკიდებული გამოცდილებაზე. ვუნდერკინდები მუსიკისა და მათემატიკისთვისაა ტიპიური. სხვა ნიჭი ნელ-ნელა, განვითარების გზადაგზა მიღებული ემოციური გამოცდილების გავლენით მწიფდება. ბალზაკი ოცდაათ წლამდე მხოლოდ და მხოლოდ უნიჭობით გამოირჩეოდა, მოცარტი კი ოთხი წლის ასაკში უკვე მუსიკოსი იყო.

შემდეგი კვირიდან მე მონაცვლეობით დავიწყე გაკვეთილების ჩატარება — მუსიკა, მათემატიკა... უფრო სწორად, გაკვეთილი არც ერქვა, მე მხოლოდ გამოვთქვამდი რაიმე ვარაუდს და მერე ბიჭს თავის ნებაზე მივუშვებდი, რათა თვითონ გაერთვა თავი წვრილმანებისთვის. ასე გავაცანი ალგებრა, ვუჩვენე პითაგორას თეორემის მეორენაირი დამტკიცება. ამ დამტკიცებისას საჭიროა მართი კუთხიდან ჰიპოტენუზაზე პერპენდიკულარის დაშვება. მიღებული ორი მართკუთხა სამკუთხედი მსგავსია საწყისი სამკუთხედისა და ამიტომ მათი შესაბამისი გვერდები პროპორციულებია. პროპორციების მარტივი გარდაქმნით მიიღება, რომ a^2+b^2 (კათეტების კვადრატების ჯამი) ტოლია m^2+n^2+2mn (სადაც m და n ჰიპოტენუზის ნაწილებია), რაც ცნობილია, რომ $(m+n)^2$ ანუ ჰიპოტენუზის კვადრატს უდრის.

გვიდო ისე იყო აღტაცებული ალგებრული საწყისებით, თითქოს სათამაშო ძრავა მეჩუქებინოს, სპირტზე რომ ხურდება, ისეთი. არა, კიდევ უფრო მეტადაც, რადგან ძრავა შეიძლება მოიშალოს, ანდა სულაც მოგბეზრდეს ეაცს ალგებრა კი.... ყოველდღე ახალ-ახალი აღმოჩენები, თანაც რა აღმოჩენები — ძუდან მოულოდნელი და ლამაზი! ახალი სათამაშო ყოვლისშემძლე იყო.

ევკლიდეს მეორე წიგნსა და მის ალგებრულ დამატებას შორის მე და გვიდო ვისვენებდით. ამ შესვენების დროს კი ცდებს ვატარებდით ხოლმე. ჩავარჭობდით ბამბუკის ჯოხებს გამხმარ მიწაში და დღის სხვადასხვა დროს ვზომავდით მის ჩრდილებს, ვაკვირდებოდით, ვმსჯელობდით ჩვენს გემოზე. ზოგჯერ კი ფეურცლებისგან კუბებსა და პირამიდებს ვჭრიდით, ვაწყობდით... ესეც გართობა იყო ჩვენთვის.

ერთხელ გვიდო პატარა გათხუპნულ ოთახში აცაბაცად დაწებებული თორმეტწახნაგით მომეგებინა.

— ნახეთ, რა ლამაზია, — მითხრა და ქაღალდის კრისტალი მაჩვენა.

— ნამდვილად ძალიან ლამაზია, მაგრამ როგორ მოახერხე ასეთი რაიმის გაკეთება? — ვკითხე.

მან კი მხოლოდ გაიღიმა და, იცით, რა ადვილიათ, ჩაილაპარაკა.

მე და ელიზაბეტმა ერთმანეთს გადავხედეთ და გავიცინეთ. მაგრამ ამ სიცილზე უფრო ბუნებრივი ის იქნებოდა, ოთხ ფეხზე დავმდგარიყავი და კუდის ქიცინით, ჩემი უბადრუკი სულის კუდის ქიცინითა და ყმუილით გამომეთქვა გაცება თუ აღტაცება.

ძალიან ცხელი ზაფხული იდგა. პატარა რობინი შეუჩვეველი იყო ასეთ სიცხეს. ივლისის ბოლოს სულმოლად გაიცრიცა და გახდა. მადა დაკარგა, მოითენთა, აღარაფერი ახალისებდა. — ექიმმა გვირჩია, მთაში წაიყვანეთო. გადავწყვიტეთ, 10-12 კვირით შვეიცარიაში გაგვესეირნა. გამოთხოვებისას გვიდოს იტალიურ ენაზე დაწერილი ექვსლიდეს ხუთი წიგნი ვაჩუქე. გადაფურცლა, გადაათვალიერა ნახატები და თავისთვის ჩაილაპარაკა:

— კითხვა კარგად რომ ვიცოდე... მაგრამ ასეთი ბრიყვი ვარ და... არა უშავს, ახლა მაინც ვეცდები.

* *

გრინდელვალდის მახლობლად მდებარეობდა ჩვენი სასტუმრო. რობინის სახელით გვიდოს ღია ბარათებს ვუგზავნიდით. ხან ალპიური მთები ეხატა, ხან შვეიცარიული სახლები, ხანაც ძროხები და ედელვაისები იმ ბარათებს. პასუხი კი არ ჩანდა. თუმცა პასუხს არც ველოდით. გვიდომ წერა არ იცოდა. მისი მამა და დედა კი თავს არ შეიწუხებდნენ, გვიდოს მაგივრად მოეწერათ. მე და ელიზაბეტმა ბოლოს და ბოლოს ასე გადავწყვიტეთ: რადგან არაფერი ისმის, მაშასადამე, სიმშვიდეა.

და აი, ერთხელ, სექტემბრის დამდეგს სასტუმროში უცნაური წერილი მოიტანეს. სასტუმროს პატრონმა განცხადებების დაფაზე შუშის ქვეშ ამოსდო იგი, ისე, რომ ყველას ეხახა, კინიცობაა ვინმეს თავისად ეცნო და წაიღო. ჩვენ სასაუზმეში მივდიოდით. უცბად ელიზაბეტი დაფასთან შეჩერდა.

— მგონი, გვიდოსაგანაა...

მივუახლოვდი და მისი ზურგს უკნიდან დავხედე კონვერტს. უმარკო იყო, მაგრამ სამაგიეროდ საფოსტო ბეჭდებს აეჭრელებინა. კონვერტის მთელ სიგრძე-სიგანეზე უზარმაზარი ბეჭდური ასოები გადღაბნილიყო. აშკარა გახლდათ, ვიღაცის გამოუცდელ ხელს ემუშავნა ფანქრით. პირველი სტრიქონი მიგვითითებდა: „Al babbo di Robin“,[8] მერე სასტუმროსა და ქალაქის დასახელება ეწერა, ოღონდ სრულიად გადასხვანაირებული, დამახინჯებული, ხოლო ამ წარწერის ირგვლივ საგონებელში ჩავარდნილ ფოსტის მუშაკებს მისამართების მთელი კორიანტელი დაუყენებიათ. ეტყობა, მარჩიელობდნენ — ეგებ ეს უნდა ეწეროს, ეგებ ესო. წერილს ორ კვირაზე მეტხანს ემოგზაურა აღმა-დაღმა მთელ ევროპაში. „Al babbo di Robin“, რობინის მამას. სიცილი წამსკდა. ყოჩაღ, ფოსტალიონებო, ეძიებდეთ და ჰპოვებდეთ, მობეზრდეს მაინც.

კანტორაში დირექტორს ვეახლე. საბუთები ვაჩვენე, დავუმტკიცე, რომ წერილი ჩემია, მე მეკუთვნის. მერე ორმოცდაათი სანტიმიც გადავიხადე, რამეთუ იგი უმარკო იყო და, როგორც იქნა, კიტრიხიდან წერილი გამოვიხსენი: გამარჯვებულებმა ძეაშურეთ სასაუზმეს.

წერილი გარედან კარგად დავათვალიერეთ, გულდასმით და ბევრი ვიცინეთ კიდეც.

— რა ძმვენივრად შეუსრულებია, ყოჩაღ, გვიდო...

---

8. რობინის მამას.

— ეს, ბატონებო, იცით, ვისი წყალობაა?! ევკლიდესი. აი, რა ხდება როცა შინაგან ძახილს დაჰყვები...

მაგრამ როცა კონვერტი გავხსენი და ფურცელს დავხედე, [illegible] ჰირზე შემაშრა. მოკლე, თითქმის დეპეშისმაგვარი წერილი იყო:

„მე ქალბატონთან ვარ წიგნი წამართვეს და დამიმალეს [illegible] და კვრა მენატრება სახლი ჩამოდით ჩქარა გვიდო".

— რაო?!

გახევებულმა წერილი ელიზაბეტს გადავეცი.

— მაინც თავისი გაუტანია იმ დედაკაცს.

* *

თითქოს რაღაცას შემოგვთხოვენო, ისე გვეგებებიან ხელგამოწვდილი ქანდაკებები. ჩვენ ჩვენს გზას ვადგევართ. ქვის არსებანი კი გვეგებებიან და შერე უკან რჩებიან, რაღაცის მომლოდინე, ხელებგამოწვდილები... ვის არ შეხვდებით აქ: აგერ ანგელოზი, აყირავებული ჩირაღდნით, მარმარილოს ცრემლებში ითირება: იქით ქურუმები, რიდენიფარები მახდოსნები, ჰატარა გოგონები... ლამაზია ეს ყველაფერი, მაგრამ სიცრუეცაა. ლამაზი სიცრუე ულმობელი აინამდვილის გვერდიგვერდ.

ქამთასვლას ვერ წაუშლია საფლავებზე მიცვალებულთა სურათები.

მხოლოდ ერთხაირი ფერი კი დაუდვია ყველასათვის — ჩამონგრეულ სვეტებიდან თუ უფრო სადა საფლავებიდან და ჯვრებისადაც კი ერთნაირად — ჩაქუფრულად იმზირებიან ისინი.

დაახლოებით ოცდაათი წლის წინ ყველაფერს კუბისტურად გამოსახავდნენ ხოლმე მხატვრები — ასე იყო მოდაში. ჰოდა, სასაფლაოზეც შემოჭრილა ძოდა — მიცვალებული ქალბატონები აქ კუბისტურად გამოუსახავთ. ხელების მაგიერად — ბურთულები გაუკეთებიათ. ბურთულებს თავზე გაკრიალებული ცილინდრები ადგას — მარმარილოს ჩარჩოებიდან სევდიანად იღიმებიან ქალბატონები. ამ გეომეტრიულ სხეულებში მათი ადამიანობის ერთადერთი მიმანიშნებელი ფერგამკრთალი ღიმილი და გაცრეცილი თითებია... მამაკაცებიდან ზოგს ძაფი ულვაში აქვს, ზოგს კი თეთრი წვერი, ზოგი სულაც ყმაწვილად დარჩენილა. ერთი თუ ჯიქურ შემოგყურებს. სხვა თვალს გარიდებს, განზე იბრუნებს პირს და თავის რომაულ პროფილს ახეხს.. ბავშვები კი, სადღესასწაულოდ გამოწყობილები, თვალებგაფაროიებულები ულიმიან ობიექტივს. აქაც ერთი თუ ჩიტის გამოფრენას ელოდებიან. მეორენი უნდობლად იმზირებიან — ალბად იციან, რომ ტყუილია, მოგონილია ჩიტის ამბავი. უბრალოდ უფროსებმა დაარიგეს ასე, და ისინიც იღიმებიან, დამჯერი, მორჩილი ბავშვები.

ცალკე გახისვენებენ მდიდარი ამა სოფლისანი. მათია ამაყი და დიდებული მარმარილოს გოტიკური პავილიონები. რიკულებიან კარებიდან ძოჩანს მწუხარე გენიათა გაფითრებული სახეები, ისინი სამარეთა სიმშვიდეს დარაჯობენ. შეძლებულთა მთელი ჯარი კი ერთმანეთთან ახლო-ახლოს, მჭიდროდ დაკანებულა, საუკუნოდ განსასვენებელი მარმარილოს თეთრ და ერთფეროვან ველზე უპოვნია.

ძივაბიჯებდით მე და კარლო მკვდართა ქალაქში და ძალაუნებურად ვფიქრობდი იმაზე, როგორ შემორჩენილა ამ ხალხში პირველყოფილი კულტი გარდაცვალებულის, როგორ თვალში საცემია ცოცხალთა ნივთიერი ზრუნვა მიცვალებულების გასაპატიოსნებლად, ეგებ ამიტომაც უშენებდნენ წინათ გარდაცვლილთ ქვის ნაგებობებს, მაშინ როდესაც თვითონ ცოცხლები ჩალით გადახურულ, დაწნულ ქოხძახებში იყუჟებოდნენ. აქ ეს ყველაფერი ბევრად მეტადაა შემორჩენილი, ვიდრე ჩვენთან.

— ასე რომ მცოდნოდა, — უკვე მერამდენედ იმეორებს კარლო, — ასე რომ მცოდნოდა — მისი ხმა თითქოს შორიდან შემოიჭრა ჩემს ფიქრებში, — ერთი სიტყვაც კი არ უოქვამს, არ მინდათ, რას ვიფიქრებდი, რომ არ უნდოდა წაყოლა?! აბა საიდან უნდა მცოდნოდა?! ქალი ხომ სულ მატყუებდა, სულ, სულ იტყუებოდა.

მე ისევ დავუწყე დარწმუნება, დამხაშავე არა ხარ-მეთქი, თუმცა დამნაშავე მარტო ის კი არა, მეც ვიყავი. მე უნდა განმეჭვრიტა ეს ამბავი, უნდა მივმხვდარიყავი, რომ ყოველივე შეიძლება ასე დატრიალებულიყო და უნდა დამეცვა, რაღაცხაირად დამეფარა ბიჭი. ხოლო კარლოს არამც და არამც არ უნდა გაეშვა გვიდო, როგორც არ უნდა შეეწუხებინა სული ქალს. სულის შეწუხება კი მისი მოგონილი იყო, კარგად ეხერხებოდა. აგერ ასი წელია, რაც კარლოს წინაპრები ამ მიწაზე სახლობდნენ და უცბად სინიორა ბონდისგან შეფუცხუნებულ ბებერს შუქარა დაუწყია. გაგაგდებთ აქედანო. შეჩვეული ადგილის დათმობა კი ძალიან ძნელია, თან არც საიდარო ქიწის შოვნაა ადვილი. ჰოდა, სხვათა შორის მიახვედრეს კარლო — შენს ადგილზე დარჩები, თუ ბავშვს მოგვცემო... საბოლოოდ მიცემას კი არ სთხოვდნენ, არა, დროებით, მოსასინჯად მხოლოდ — შეეჩვევა თუ არა ახალ გარემოს ანდა სულაც — იმარჯვებს თვითონ თუ ვერაო...

და თუ არ მოეწონება ბავშვს, აბა ვინ დააკავებს. ეს ყველაფერი ხომ მის საკარგებლოდ კეთდება ბოლოს და ბოლოს. გვიდოსი და მამამისის საკარგებლოდ. ხოლო იმ ინგლისელის ნათქვამი — გვიდო მაინცდამაინც კარგი მუსიკოსი ვერ ყოფილა. მტკნარი ტყუილია. ეს მას ეშვიანობამ და ანგარებამ ათქმევინა. ალბათ უნდოდა მარტო თავის დამსაჩუქრებად გამოეცხადებინა გვიდოს ნიჭის აღმოჩენა. დღესავით ნათელია, რომ მისგან, ამ ინგლისელისგან, გვიდო ხეირიანს ვერაფერს ისწავლის. საჭიროა ჭეშმარიტად კარგი მასწავლებელი უპოვნონ.

და აი, ძთელი ის ეხერგია, რომელიც, საცა საამართალი იყო, კარგა მძლავრ დიხაძისაც აამუშავებდა, ერთი მიზნისაკენ წარიმართა...

ბრძოლა ჩვენი წასვლისთანავე გაჩაღებულა. სწორი იყო სინიორა ბონდის ანგარიში — თავისას იგი ჩვენს არყოფნაში უფრო ადვილად გაიტანდა. გარდა ამისა, ქალის ღრმა რწმენით, ბავშვისადმი ჩვენც იგივე ზრახვები გვამოქმედებდა, რაც მას, ამიტომ რაც შეიძლება სწრაფად უნდა ჩაეგდო ხელთ გვიდო.

გეგმიანად, დღითი დღე ძლიერდებოდა იერიში. ერთი კვირის თავზე ქალმა კარლოსთან მეუღლე მიავზავნა ძალზე სერიოზული საკითხის გამო: თურმე ვენაში იღუპებოდა, საშინელ დღეში ყოფილა ვაზი. ამიტომ სინიორ ბონდი იძულებული გამხდარა დაეთხოვა კარლო, უფრო სწორად, თითქმის გადაწყვეტილი ქქონია ეს ამბავი... ძოხუცი ჯენტლმენი დარცხვენილი და ხმაჩაწყვეტილი იმუქრებოდა — უგერგილოდ ასრულებდა თავისი ქალბატონის ბრძანებას.

მეორე დილას თვით სინიორა ბონდი მოსულა. პადრონე კი გაეშებულია ბრაზისგან, მაგრამ მე ყველანაირად ვეცდები, დავამშვიდოთ. ეს უთქვამს და დადუმებულა ცოტა ხანს. ხოლო მრავლისმთქმელი დუმილის მერე გვიდოზე ჩამოუგდია სიტყვა.

გატყდა კარლო, დანებდა. ძნელი აღმოჩნდა ეინიან ქალბატონთან ბრძოლა. ერთი-ორი თვე გაუშვებს ბონდისთან საცხოვრებლად ბავშვ[illegible] გვიდოსაც მოუნდება, იშვილებენ კიდეც და ეგ იქნება.

რა აღელვებული და ბედნიერი იყო პატარა გვიდო, როცა გაიგო, დასასვენებლად ზღვაზე რომ ეპირებოდნენ წასვლას. რას არ უამბობდა ხოლმე რობინი ზღვის შესახებ, ისე კარგად უამბობდა, თითქმის ზღაპარს ჰგავდა.. და აი, ახლა გვიდო თვითონ ნახავს იმ საოცრებას. როგორ მხიარულად დაემშვიდობა მთელ ოჯახს ბავშვი... მაგრამ სულ მალე უკან დარჩა ზღვა და ბიჭი ფლორენციაში, სინიორა ბონდის სახლში წაიყვანეს. მაშინ კი მოენატრა გვიდოს თავისიანები, შინ მოუნდა. ცოდვას ვერ იტყვი, კარგად ეპყრობოდა ბავშვს ქალბატონი, ანებივრებდა კიდეც: თავიდან ფეხებამდე ახლებით შემოსა, ჩაის დასალევად ვია ტარნაბუონიზე ჩაატარებდა ხოლმე, ნამცხვრებით და შოკოლადებით, მარწყვის ნაყენით და გათქვეფილ ნაღებით აფუფუნებდა. სამაგიეროდ ფორტეპიანოზე დაკვრას აიძულებდა დილიდან საღამომდე. ევკლიდეს წიგნები ჩამოართვა, არ შეიძლება ამდენი კითხვაო. გვიდომ შინ დაბრუნების სურვილი გამოთქვა. ხვალ-ზეგ, უსათუოდო — დაპირებებს არ იშურებდა ქალი. მაგრამ აღარ გაილია ეს „ხვალ-ზეგ". უნამუსოდ, წარბშეუხრელად იტყუებოდა სინიორა. ასე უცბად ვერ გაგიშვებო, მაგრამ აი, შემდეგ კვირას, ოღონდ, რა თქმა უნდა, თუ კარგად მოიქცევი და არ იზარმაცებ, თუ იმეცადინებ მუსიკაში, თუ... თუ... მაშინ კი უთუოდ მომავალ კვირასო....

ხოლო როცა ის დახაპირები კვირაც დადგა, ბიჭს გამოუცხადა: შენი წაყვანა მამაშენს არ უნდაო... ქალმა ზრუნვა და სითბო გააორკეცა. ძვირფასი საჩუქრები დააყარა ბავშვს, აძალებდა და აძალებდა არაჯანსაღ, ზულუქ საჭმელს. მაგრამ არა გამოსდიოდა რა. არ მოსწონდა გვიდოს ახალი ცხოვრება, მობეზრდა გამეების უსასრულო რაკუნი, იტანჯებოდა თავისი წიგნების გარეშე. ოცნებად გადაექცა თავის სახლის ნახვა, თავის და-ძმებთან შეხვედრა... სინიორა ბონდის კი ჯიუტად სჯეროდა, რომ დრო და შოკოლადი თავისას გაიტანდა. ადრე თუ გვიან ბავშვი მისი იქნებოდა, გვიდოს ოჯახს კი ხელი რომ არ შეეშალა და თავისთვის, ყუჩად ყოფილიყო. ქალი რამდენიმე დღეში ერთხელ ვითომ ზღვისპირა აგარაკიდან წერილებს უგზავნიდა კარლოს. რა ფერად-ფერადად ხატავდა ქალბატონი გვიდოს ბედნიერ ცხოვრებას. რაებს არ იგონებდა

და სწორედ მაშინ მომწერა, ეტყობა, გვიდომ წერილი. მიტოვებულმა. ყველასგან განწირულმა გვიდომ. ალბათ ფიქრობდა — მამა და და-ძმები სულ ახლოს, აქვე არიან და სანახავადაც არ ჩამოდიან. განა ეს არ იყო მიტოვება?! ერთადერთ და უკანასკნელ იმედად მეღა ვრჩებოდი. გვიდოს წერილმა, რომელსაც ყოვლად ფანტასტიკური მისამართი ეწერა, თითქმის ორი კვირა იხეტიალა, ორი კვირა... ეს დრო ალბათ საუკუნეებად ეჩვენა. საუკუნეს საუკუნე მისდევდა და ბიჭმა ირწმუნა, მტკიცედ ირწმუნა, რომ მეც მივატოვე იგი. ვილას იმედად შეიძლებოდა ყოფნა?! არავინ დარჩა.

— აი, აქაა, — წარმოთქვა კარლომ.

ავიხედე და ზედ ცხვირწინ უზარმაზარი ძეგლი დავინახე. ნაცრისფერი სილის მონოლითში რაღაც მღვიმის მაგვარი გამოეთხარათ. და ამ მღვიმეში მოჩანდა ბრინჯაოსგან ჩამოსხმული წმინდა სიყვარულის სახება, რომელიც სიმგლოვიარით ურნას მიტმასნოდა. ბრინჯაოსფერივე ასოებით ქვაზე უგრძესი წარწერა გაეკეთებინათ. წარწერა გვაუწყებდა: საბრალო და უნუგეშო ერნესტო ბონდიმ აღმართა ეს მონუმენტი, თავის საყვარელ მეუღლის ანუნციატის სახსოვრად, უღმობელმა სიკვდილმა გამოჰგლიჯა იგი ხელიდან უდროოდ, მაგრამ ერნესტო იმედოვნებს, რომ იმ ლოდს ქვეშ სულ მალე შეეყრება იგი ანუნციატს. პირველი ქალბატონი ბონდი 1912 წელს გარდაცვლილა. უნებურად გამახსენდა — მოხუცი, საბმელი, თეთრი ძაღლი — და გავიფიქრე, ალბათ მთელი ცხოვრება ასეთი იყო ბონდი — ბეჩავი, მორჩილი ქმარი.

— აქ დაასაფლავეს.

დიდხანს და ჩუმად ვიდექით. იმის გაფიქრებაზე, რომ აქ, სადღაც, ქვეშეთ გვიდოა, ცრემლი მახრჩობდა, მახსენდებოდა მისი ჭკვიანი, სხივიანი თვალები, გუმბათივით გაშლილი შუბლი, ნაღვლიანად დაშვებული პირი. მაგონდებოდა, როგორ გაბრწყინდებოდა ხოლმე, როგორ აციაგდებოდა აღტაცებისგან, როცა საყვარელ მუსიკას ისმენდა ან ახალ აზრს გაიგებდა. და ეს პატარა, უჩვეულო ბიჭი მკვდარია. მისი სულიც, სულ ახლადგამოჩეკილ წიწილასავით უქმაგო სული გამქრალია. მას სწორედ მაშინ მიუსწრეს, მიუსწრეს და მოსპეს, როცა ის იყო ნამდვილ არსებობას იწყებდა. ღმერთო, ნეტავ რას ფიქრობდა იმ საშინელ წამს, ან რას განიცდიდა ყველასაგან განწირული, მიტოვებული, მწარეა ამის წარმოდგენა, მტანჯველია ამაზე ფიქრი...

— წავიდეთ, — ხელი შევახე კარლოს.

იგი უსინათლოსავით იდგა, თვალდახუჭული, ოდნავ სახეაწეული და მზისკენ მიბრუნებული. ტიროდა. უფრო სწორად, ცრემლი თავისთავად ჩამოსდიოდა, ნელ-ნელა, შეუჩერებლივ. კანკალს იეტანა, ცახცახებდა, მე ვხედავდი, როგორ ატანდა თავს ძალას, როგორმე შეეკავებინა ეს ცახცახი.

— წავიდეთ, — გავიმეორე.

დარდისგან გაქვავებული, უმოძრაო სახე უეცრად მოეჭმუხნა, გამოფხიზლდა, ამომხედა, მძინვარედ აუელვარდა თვალები.

— მოვკლავ, — ჩუმად დამარცვლა ბოლოს, — მოვკლავ, ფანჯრიდან გადაეშვა გვიდო... ჰაერში მოფრენდა... — კარლომ ხელები ზევით ატყორცნა და მერე მოცელილივით ჩამოყარა ძირს. ზუსტად მკერდთან შეაყოვნა.

— და დაეცა... — ისევ ერუანტელმა აიტანა მამა. — იმ დედაეაცის ბრალია და კიდევაც გადავუხდი, თითქოს თავის ხელით გადმოეგდოს, ისე გადავუხდი, ნახეთ, თუ არ მოვკლა....

რა დამთრგუნავია დარდი, და პირიქით, რა ადვილია რისხვა-მუქარა და ფიქრი შურისგებაზე. ტკივილს აყუჩებს თითქოს ამგვარი ფიქრი.

— ვთქვათ, მოკალით კიდეც, რა მერე?! უაზრობაა მაგაზე ფიქრი. უაზრობაა და თანაც ცუდიც...

ადრეც მოსვლია ასე კარლოს: სასოწარკვეთილებისგან სულშეგუბებული, თითქოს მძლავრად ამოისუნთქავდა ხოლმე — მუქარას მოჰყვებოდა. ასე გაურბოდა იგი საკუთარ დარდს, ასე ლამობდა თავის შველას.

— წყრომას აზრი არა აქვს, — კიდევ ერთხელ გავუმეორე და გავარიდე იქაურობას.

სანამ სასაფლაოდან გამოვდიოდით, გზაში — სან-მინიატოდან მიქელანჯელოს პატარა მოედნამდე კარლო ცოტათი დამშვიდდა. მრისხანება ისევ მწუხარებად გადაექცა, ალბათ იმიტომ, რომ კიდევ ერთხელ ამოეხადა მისგან ბალღამი. წუთით შევჩერდით მოედანზე, ქვევით, ჩვენ ფეხქვეშ ქალაქი გაწოლილიყო. ცაზე ზოზინით მიცურავდა ვეებერთელა ღრუბლები — ქათქათა, მბზინავი და შებოლილი. მათ შორის წვრილ ზოლად ჭიატობდა კაბადონი. თითქმის ჩვენს თვალსაწიერამდე ტაძრის გუმბათი ამოჭრილიყო, დიდებულად სადა და მსუბუქი, თან ჰაეროვანი, თან ძლიერი, ჩამავალი მზე ქალაქის ვარდისფერსა და ეანგისფერ სახურავებს ელამუნებოდა. გოდოლები ისე ელავდა, თითქოს ძველი ოქროთი მოევარაყებინათ. მე ვფიქრობდი მათზე, ვისაც ოდესმე აქ უცხოვრია, ყველა იმ ნათელ ადამიანზე, ვისაც თავისი სულის ნაყოფი ამ საოცარ საგნებად დაუტოვებია ჩვენთვის. და კიდევ გვიდოზე ვფიქრობდი.

□

ფიოდორ დოსტოევსკი

სასაცილო კაცის სიზმარი

(ფანტასტიკური მოთხრობა)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თარგმნა გივი ცქიტიშვილმა

I

სასაცილო კაცი ვარ. ხალხი ახლა შემლილს მეძახის. ეს ჩემთვის დაწინაურება იქნებოდა, წინანდებურად სასაცილო კაცი რომ არ ვიყო მათთვის. მაგრამ ახლა აღარ ვბრაზობ, ახლა ყველა ძალიან მიყვარს. ის კი არა, როცა დამცინიან, მაშინაც განსაკუთრებით ძვირფასნი არიან, რაღაცით. თავადაც სიამოვნებით გავიცინებდი, საკუთარ თავზე კი არა, მათი სიყვარულის გამო, იმათი შეხედვისას ნაღველი რომ არ მიწურავდეს გულს. მათ ხომ არ იციან ჭეშმარიტება. მე კი ვიცი. და აი, ეს მადარდებს სწორედ. ეჰ, რა ძნელია, როცა მხოლოდ ერთმა იცის ჭეშმარიტება! მაგრამ ისინი განა მიხვდებიან ამას? ვერა. ვერ მიხვდებიან.

ადრე ძალიან ვდარდობდი, ასე სასაცილო რომ ვჩანდი. კი არ ვჩანდი, ვიყავი. მე მუდამ სასაცილო ვიყავი და ეს შესაძლოა, გაჩენის დღიდან ვიცი. ან იქნებ შვიდი წლისამ გავიგე, რომ სასაცილო ვიყავი. მერე სკოლა, უნივერსიტეტი და ბოლოს რა? რაც უფრო ვიძენდი ცოდნას, მით უფრო ვრწმუნდებოდი, რომ სასაცილო ვიყავი. თითქოს მთელი საუნივერსიტეტო სწავლა-განათლება ბოლოს და ბოლოს მხოლოდ იმიტომ არსებობდა, რომ დავერწმუნებინე, რა სასაცილოც ვარ. როგორც მეცნიერებაში, ასევე იყო ცხოვრებაში. რაც დრო გადიოდა, სულ უფრო ვრწმუნდებოდი, რომ ყველაფერში სასაცილო ვიყავი. დამცინოდა ყველა, დამცინოდნენ ყოველთვის, მაგრამ არც ერთმა არ იცოდა და ვერც ხვდებოდა: ამქვეყნად თუ ვინმემ იცოდა ყველაზე უკეთ, რომ სასაცილო კაცი ვარ, ისევ მე გახლდით. და ყველაზე მეტად სწორედ ის მწყინდა, რომ მათ ეს არ იცოდნენ. მაგრამ ამაში თავადაც მიმიძღვის ბრალი. მე მუდამ ამაყი გახლდით და არასოდეს, არაფრის გულისათვის არ მინდოდა ვინმესთვის გამენდო ეს. რაც დრო გადიოდა, მით უფრო მემატებოდა სიამაყე და თუნდაც ერთი კაცისთვის რომ გადამეშალა გული და მეთქვა, სასაცილო ვარ-მეთქი, მგონი, იმავე საღამოს ტყვიას დავიხლიდი შუბლში. ო, როგორ ვიტანჯებოდი სიყმაწვილეში იმის შიშით, ვაითუ თავი ვერ შევიკავო და რომელიმე ამხანაგს გავენდო-მეთქი. მას შემდეგ კი, რაც დავკაცდი. მართალია, სულ უფ-

რო და უფრო მეტად ვგრძნობდი ჩემს საშინელ ხვედრს. მაგრამ, რატომღაც ოდნავ დავმშვიდდი. რატომღაც-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ დღემდე ვერ ამიხსნია, რატომ? იქნებ იმის გამო, რომ ჩემს არსებას სულ უფრო და უფრო ეძალებოდა გაუსაძლისი სევდა, რაიც განუზომლად ძლიერი იყო ჩემზე. ეფრაიმ. იმის შეგნება, რომ ამქვეყნად ყველაფერი სულერთი იყო, დიდი ხანია ეგრეთ ძენი ეს, რწმენით კი ამ ბოლო ხანს ვირწმუნე. უცებ მივხვდი, რომ ჩემთვისაც სულერთი იყო, იარსებებდა თუ არა სამყარო, ან იქნებოდა თუ არა საღმე რაიმე. მთელი არსებით ვგრძნობდი, რომ შეც ცარიელი ვიყავი. ჯერ მეგონა, სამაგიეროდ წარსული იყო-მეთქი საკვე. მაგრამ შენდეგ მიეხვდი, არც წარსულში ყოფილა რაიმე საგულისხმო, რატომღაც მეჩვენებოდა მხოლოდ. ასე თანდათან დავრწმუნდი, რომ არც შემდეგში შეიცვლებოდა რაიმე. ამის მერე იყო ხალხისადმი სიბრაზემაც გადამიარა და თითქმის არაფის ვამჩნევდი. წვრილმანებშიაც კი გულგრილობას ვამჟღავნებდი. ვთქვათ, მივდიოდ ქუჩაში და ეიღაც გამვლელს დავეჯახე. განა იმიტომ დავეჯახე, რომ ჩაფიქრებული ვიყავი? არა, საფიქრალი რა მქონდა? უბრალოდ, ჩემთვის ყველაფერი სულერთი იყო და ფიქრსაც საერთოდ მოვეშვი. თუმცა ალბათ რამდენიმე საკითხის გადაწყვეტაზე შეფიქრა. მერედა, რამდენი იყო გადასაწყვეტი? მაგრამ, რაც ჩემთვის ყველაფერი სულერთი გახდა, საკითხებიც გაქრნენ.

და აი, მხოლოდ ამის შემდეგ ჩავწვდი ნეშმარიტებას. ეს წარმან იყო, უფრო ზუსტად, სამ ნოემბერს და მას მერე წამითაც არ მავიწყდება. ეს მოხდა ერთ ყველაზე ნაღვლიანსა და ბნელ ღამეს. ასე, თერთმეტი საათი იქნებოდა, შინ ვბრუნდებოდი და მახსოვს, ამაზე მწუხარე ღამეს არც შეესწრებიეთ. მეთქი, გავიფიქრე. ჰირქუშად, ცივად წვიმდა. ეს იყო, მახსოვს. ადამიანებისადმი თითქოს რალაცნაირი მტრობით ალსავსე, მრისხანე წვიმა. უცებ თერთმეტ საათზე გადაიღო და ყოველივე უფრო ცივი და აუტანელი სიხესტით გაიელინთა, ვიდრე წვიმის დროს იყო. რალაცნაირი ორთქლი ასდიოდა ყველაფერს, ქვას, ქუჩას, ყოველ შესახვევს. გავიფიქრე კიდეც, სჯობს ფანარი მაინც ჩააქრონ, თორემ მისი შუქი ისე ანათებს ამ საზიზღრობას, გული შეეღება ოფიცი მეთქი ადამიანს.

მთელი დღე არაფერი მეჭამა. შელაძეულზე, ერთ ინტიერთან ვიყავი. რომელსაც ჩემამდე ორი მეგობარი სწვეოდა. მე ერთთავად ვდუმდი და მათ ალბათ თავიც მოვაბეზრე. ისინი თავხედურად ყბედობდნენ და ბოლოს გაცარდნენ კიდეც. მაგრამ ვხედავდი, მათთვისაც სულერთი იყო ყველაფერი და ისე, უბრალოდ ცხარობდნენ. აკი ვუთხარი კიდეც: „ბატონებო, თქვენთვის ხომ ყველაფერი სულერთია-მეთქი". განა გაბრაზდნენ: სიცილი დაიყარეს. რადგან ყოველგვარი საყვედურის გარეშე ვუთხარი, თანაც ჩემთვისაც ხომ სულერთი იყო. მათ შემატყვეს, რომ ჩემთვისაც სულერთი იყო ყველაფერი და გახალისდნენ.

ქუჩაში რომ ფარანზე გავიფიქრე, ცას შევხედე ცა იყო საოცრად ბნელი და მაინც მკაფიოდ გაარჩევდი დაფლეთილ ღრუბლებს. ღრუბლებს ბოლის კი უძიროსა და უშავეს ლაქებს. უცებ ერთ-ერთ ლაქაზე ვარსკვლავი შევამჩნიე და დაეინებით მივაცქერდი. ჰოი, საოცრებავ! ამ ვარსკვლავმა შთაძაგინა, რომ ამალამ მომეკლა თავი. თავის მოკვლა მე ორი თვის წინათაც მტკიცედ მქონდა

გადაწყვეტილი და. მიუხედავად ჩემი სიღარიბისა, მშვენიერი რეოლვერი ვიყიდე, რომელიც იმავე საღამოს დავტენე. მაგრამ გავიდა ორი თვე და იგი ისევ უქმად იდო ყუთში. ჩემთვის მაშინ ისე სულერთი იყო ყველაფერი, გადავწყვიტე, შემერჩია დრო, როცა არც იხე გულგრილი ვიქნებოდი ყველაფრისადმი. რად გადავწყვიტე ასე? არ ვიცი! ამგვარად მთელი ეს ორი თვე, ყოველ ღამე, შინ დაბრუნებისას, ვფიქრობდი, აი, ახლა მოვიკლავ თავს-კი ახლა-მეთქი! ოლონდ შესაფერის წუთს ველოდი და აი, ამ ვარსკვლავმა არ გადაწყვიტა ყველაფერი! მივხვდი, უეჭველად ამაღამ უნდა მომეკლა თავი. რატომ შთამაგონა ეს აზრი ვარსკვლავმა? არც ეს ვიცი.

და აი, როცა ცას შევცქეროდი, მკლავზე გოგონამ წამავლო ხელი. ქუჩები დაცარიელებული იყო. არავინ ჩანდა, გარდა ერთი შეეტლისა, რომელსაც კოფოზე ჩასძინებოდა. გოგონა რვა წლისა იქნებოდა. თავსაფრისა და კაბის ამარა თავით-ფეხამდე გალუმპულიყო, მაგრამ მე განსაკუთრებით მისი სველი, დახეული ფეხსაცმელი მეცა თვალში და დამამახსოვრდა. ახლაც მახსოვს, გოგონამ უცბად მკლავზე დამჭაჩა და შემომსლუკუნა. კი არ ტიროდა, ნაწყვეტ-ნაწყვეტ სიტყვებს ლულლულებდა, სიცივისაგან აკანკალებული გარკვევით გამოთქმას ვერ ახერხებდა, სასოწარკვეთილი გამწარებით იმეორებდა: „დედიკო! დედა!“ ერთი პირობა გადავწყვიტე, სახეში შევხედავ-მეთქი, მაგრამ უსიტყვოდ განვაგრძე გზა. ის კი მომდევდა და მკლავზე მეჭაჩებოდა, ხმაში ისეთი სასოწარკვეთა ეტყობოდა, მეტისმეტად შეშინებულ ბავშვებს რომ სჩვევიათ ხოლმე. ჩემთვის ნაცნობია ეს ხმა. სათქმელს ბოლომდე ვერ ამბობდა, მაგრამ მაინც მივხვდი, ამ პატარა გოგოს სადღაც დედა უკვდებოდა, ან ალბათ უბედურება შეემთხვა და ესეც გამოიქცა, რომ დედის გადასარჩენად ვინმეს უხმოს. მე, რა თქმა უნდა, არ გავყევი გოგონას. ის კი არა, უცბად მომიხდა გამეგდო იგი, მაინც ეურჩე, გოროდოფი ნახე-მეთქი. მაგრამ მან ანაზდად ხელები გულზე დაიკრიფა, სლუკუნით და ქოშინით კვლავ მომდევდა ფეხდაფეხ... მაშინ კი, იცოცხლეთ, ვიფრინე: ჯერ ფეხები დაეუბაკუნე, მერე თავიდან მომწყდი-მეთქი, დავუყვირე. პასუხად ესღა თქვა: „ბატონო, ბატონო!!!“ — მერე უცებ გამცილდა, ელვის სისწრაფით გადაჭრა ქუჩა, სადაც ახალი მგზავრი გამოჩნდა და, ეტყობა, ახლა იმას აედევნა.

მეხუთე სართულზე ავედი. იქ ოთახი მიჭირავს. მარტო ვცხოვრობ. ოთახი ღარიბულია, რომელსაც სხვენქვეშ დატანებული ნახევრად მრგვალი ფანჯარა აქვს. მიდგას მუშამბაგადაკრული დივანი, წიგნებით დახვავებული მაგიდა, ორი სკამი და ერთი სავარძელი, ძველთაძველი, მაგრამ ვოლტერისეული. სახთელი ავანთე, ჩამოვჯექი და ფიქრს მივეცი თავი. გვერდით ოთახში, ტიხარს იქით, მესამე დღეა აურზაურია. იქ ერთი გადამდგარი კაპიტანი ცხოვრობს, რომელიც ახლა ექვსიოდე ქარაფშუტას[1] მასპინძლობდა. ისინი არაყს სვამდნენ და გაცრეცილი კარტით შტოსს თამაშობდნენ. წინა ღამეს ჩხუბიც მოუვიდათ. სულ თმებით ათრიეს ერთმანეთი. დიასახლისმა ჩივილი დააპირა, მაგრამ ძლიერ ეშინია კაპიტნის. ჩვენს სახლში კიდევ ერთი პატარა გალეული ქალი ცხოვრობს, ვიღაც სამხედროს ქვრივი. ჰყავს სამი მცირეწლოვანი, დასნეულებული ბავშვი. ქალსა და მის ბავშვებს ისე ეშინიათ კაპიტნის, მის დანახვაზე ელეთ-მელეთი მოსდით, მთელი ღამე კანკალებენ და დაფეთებულნი პირჯვარს

[1] დედანშია „სტრუცკელი“ (გ. ც.).

იწერენ. ხოლო ყველაზე პატარას, ამბობენ, შიშისაგან კრუხჩხებიც მოსულიათ. დანამდვილებით ვიცი, კაპიტანი ნევის პროსპექტზე გამვლელებს ეხერებს და მოწყალებას ითხოვს. სამსახურშიც არსად იღებენ. უცნაური კია (მე, სწორედ ამიტომ გიამბობთ ამას). მთელი ეს ხანი, რაც მეზობლად ვცხოვრობ, კაპიტანზე ჯერ არ მომსვლია გული. თუმცა მის გაცნობას, რა თქმა უნდა, იმთავითვე მოვერიდე. ეტყობა, თვითონაც საინტერესო ვერაფერი იპოვა ჩემში, ამიტომ, რაც არ უნდა იყვიროს იმ ტიხარს იქით და რამდენიც უნდა იყვნეს, ჩემთვის სულერთია. მე ხომ აგერ ერთი წელიწადია თეთრად ვათენებ. მთელი ღამე მაგიდასთან სავარძელში უსაქმოდ ვზივარ. წიგნებს მხოლოდ დღისით ვკითხულობ. ვზივარ ასე და, თუ ანაზღად მოხეტიალე აზრი შემომეპარება, იმასაც თავიდან ვიშორებ. სანთლისაგანაც ალარაფერი რჩება ხოლმე...

მაგიდას წყნარად მივუჯექი. რევოლვერი ამოვიღე და წინ დავიდე. ეს რომ გავაკეთე, მახსოვს, საკუთარ თავს შევეკითხე: „ასე ხომ?“ და მტკიცედ დარწმუნებულმა ვუპასუხე: „დიახ, ასე!“ ესე იგი, თავს ვიკლავ. კიცოდი, ამაღამ უეჭველად მოვიკლავდი თავს, ოღონდ არ ვიცოდი, რამდენ ხანს ვიჭნებოდი ასე მაგიდასთან ჩამომჯდარი. მოვიკლავდი კიდეც თავს, ეს გოგონა რომ არა.

II

მართალია, ჩემთვის სულერთი იყო ყველაფერი, მაგრამ ტკივილის შეგრძნება ხომ არ დამიკარგავს. რომ დაეჯერტყა ვინმეს, უეჭველად ვიგრძნობდი ტკივილს. ზუსტად ასე იყო ზნეობის მხრივაც: მომხდარიყო რამე საწყენი, უეჭველად მეტკინებოდა გული, როგორც ადრე, როცა ჩემთვის სულერთი არ იყო ყველაფერი. დიახ, მე მაშინაც ვიგრძენი სიბრალული და გოგონას უეჭველად დავეხმარებოდი, მაგრამ არ დავეხმარე. რატომ? იმ ერთი იდეის გამო, რომელიც იმ წუთში დამებადა: გოგოხა რომ ძექაჩებოდა და მეძახდა, უცებ ერთი კითხვა ამეკვიატა, რომლის პასუხიც ვერაფრით ვიპოვე. საკითხი უბრალო იყო, მაგრამ გავბრაზდი კი. გავბრაზდი ერთი დასკვნის გამო: თუ ამაღამ თავის მოკვლა გადავწყვიტე, მაშინ ახლა, ვიდრე ოდესმე, ხომ ძით უფრო სულერთი უნდა ყოფილიყო ჩემთვის ყველაფერი. მაშ, საიდან ვიგრძენი, რომ ყველაფერი სულერთი არ არის და ეს გოგონა მებრალება? მახსოვს, ძალიან შემეცოდა ეგი, რაღაც საოცარი გულისტკივილით და ჩემი მდგომარეობისათვის შეუფერებლადაც კი. სამწუხაროდ, არ შემიძლია უკეთ გადმოგცეთ ჩემი მაშინდელი წამიერი განცდები. ეს განცდა შემდეგ სახლშიაც მიმყვა და, როცა სავარძელში ვიჯექი, საშინლად ვიყავი გაღიზიანებული: ასეთი რამ დიდი ხანია არ მომსვლია. აზრი აზრს ცვლიდა და ცხადი ხდებოდა, თუ მე ჯერ კიდევ ადამიანი ვარ და არა არარაობა, ესე იგი, ვიდრე არარაობა არ გავმხდარვარ, ცხადია, ვცოცხლობ და, მაშასადამე, შემიძლია ვიტანჯო, გავბრაზდე და ვიგრძნო სირცხვილი ჩადენილი დანაშულის გამო. დაე, ასე იყოს, მაგრამ ვთქვათ, ორი საათის შემდეგ თავი უნდა მოვიკლა. რას წარმოადგენს ჩემთვის ეს გოგონა, ანდა რა საერთო უნდა მქონდეს სირცხვილთან და ყოველგვარ ამქვეყნიურ ამბებთან? მე ვხდები არარაობა, სრული არარაობა. ნუთუ იმის შეგნებას, რომ ახლავე სრულიად გავქრები და, მაშასადამე, ვინ იცის, არც არაფერი იარსებებს ჩემ შემდეგ, სულ მცირე ზეგავლენა მაინც არ უნდა მოეხ-

დინა ჩემს გრძნობებზე გოგონას შესაბრალებლად, ან ჩემს სინდისზე ჩადენილი სულმდაბლობის გამო? განა ფეხებიც იმიტომ არ დავუბაკუნე საცოდავ გოგონას და იმიტომ არ შევუყვირე ველური ხმით, რომ დამემტკიცებინა: „სიბრალულს არ ვგრძნობ და თუ ასეთი არაადამიანური სასიზღვრობა შემიძლია ჩავიდინო, მხოლოდ იმიტომ, რომ ორი საათის შემდეგ ყველაფერი გაქრება-მეთქი". გკერათ, რომ ამიტომ დავუყვირე? მე თითქმის დარწმუნებული ვარ ამაში. ცხადად წარმომედგინა, თითქოს სიცოცხლეცა და სამყაროც ახლა ჩემზე იყო დამოკიდებული. ის კი არა, შეიძლება ასეც ითქვას, ეს სამყარო მარტოოდენ ჩემთვის იყო გაჩენილი: მოვიკლავ თავს და არც სამყარო იარსებებს, ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის მაინც, თუმცა, შესაძლოა, სინამდვილეში არც არავისთვის არაფერი იქნება ჩემ შემდეგ. მიინავლება თუ არა გონება, მაშინვე მთელი სამყაროც გაქრება, როგორც მოჩვენება, როგორც მხოლოდ ჩემი შეგნების საკუთრება, რადგან, ვინ იცის, იქნებ მთელი ეს სამყარო და მთელი ეს ხალხი მხოლოდ მე ვარ ერთი. მახსოვს, მაგიდას რომ ვუჯექი, როგორ ვუტრიალებდი ამ ახალ-ახალ კითხვებს, რომელნიც ერთმანეთს ავიწროებდნენ, მე კი ამასობაში კიდევ ახალ, უცნაურ კითხვებს ვიგონებდი. აი, მაგალითად, როგორი აზრი დამებადა უცებ: ვთქვათ და, ადრე მთვარეზე, ან მარსზე ვცხოვრობ და იქ რაღაც ყველაზე სამარცხვინო, ყველაზე უკეთური საქციელი ჩამედინა, რომლის მსგავსის მხოლოდ წარმოდგენა შეიძლება და ამის გამო იქაურებს სასტიკად გავეიცხე და შევერცხვინე, დედამიწაზე დაბრუნებულს შემრჩებოდა თუ არა სხვა პლანეტაზე ჩადენილი დანაშაულის სიმწარე? თუ ისიც მეცოდინებოდა, რომ არასდროს, არაფრის გულისათვის იქ არ დავბრუნდები, იქნებოდა ჩემთვის ყველაფერი სულერთი, როცა დედამიწიდან მთვარეს ავხედავდი, თუ არა? ვიგრძნობდი კი სირცხვილს ჩადენილი დანაშაულის გამო?.. მოკლედ, კითხვები იყო ფუჭი და არაფრის მაქნისი, რადგან დატენილი რევოლვერი უკვე მაგიდაზე იდო და მთელი არსებით ვგრძნობდი, სადაცაა მოსახდენი უნდა მომხდარიყო. მაგრამ ეს კითხვები მაინც მაცხარებდნენ. უფრო მეტიც — მაცოფებდნენ. ახლა თითქოს წინასწარ განუსჯელად არც შემეძლო თავის მოკვლა. ერთი სიტყვით, ის გოგონამ მიხსნა იმით, რომ კითხვებმა რეოლვერი დროებით გადამავიწყა. ამასობაში კაპიტანთანაც თანდათან მიყუჩდნენ, ეტყობოდა, კარტის თამაშს მორჩნენ და დასაძინებლად გაემზადნენ. თუმცა ჯერ კიდევ ბუზღუნებდნენ და უხალისოდ ილანძღებოდნენ. აი, სწორედ აქ ძილმა წამართვა თავი, რაც ადრე არასდროს მომსვლია. მაგიდასთან საკარძელში მჯდარს, არც მიგრძვნია, როგორ ჩამეძინა.

სიზმარი, მოგეხსენებათ, მეტად უცნაური რამეა. ერთი რომ ამაზრზენი მკაფიოობით, საიუველირო სიზუსტით აღიბეჭდება ჩვენს მეხსიერებაში. მეორე ისე გადაახტება მოვლენებს, ვერც დროს გაუწვდენ თვალს, ვერც სივრცეს. სიზმარს, ეტყობა, გონება კი არ ამოძრავებს, არამედ სურვილი, ტვინი კი არა — გული. ამასთან, ზოგჯერ რა ოინებს სჩადის ჩემი გონება ძილში! მას ზოგჯერ სიზმარში ისეთი რაღაცები ემართება, ჩემთვის სრულიად მიუწვდომელი. ჩემი ძმა, მაგალითად, ხუთი წლის წინათ გარდაიცვალა. ზოგჯერ კი სიზმარში ვხედავ: იგი ჩემს საქმეებში მონაწილეობს და რაღაცით ორივენი დაინტერესებულები ვართ. ამასთან, მე ხომ ვიცი (და ეს მთელი სიზმრის განმავლობაში მახსოვს), ჩემი ძმა გარდაიცვალა და დასაფლავებულია. მაშ, რატომ არ მაოცებს ის, რომ მკვდარი მაინც აქ არის, ჩემ ახლოს და ჩემთან ერთად

ფუსფუსებს? რატომ არის, რომ ჩემი გონება ნამდვილივით წარმომიდგენს ამას? მაგრამ კმარა. ვიწყებ ჩემს სიზმარს. დიახ, მაშინ ვნახე იგი, ჩემი სამი ნოემბრის სიზმარი და თუ ახლა ვბრაზობ, მხოლოდ იმიტომ, რომ ეს იყო სიზმარი, სხვა არაფერი. თუმცა რა მნიშვნელობა აქვს ყოველივე ამას, როცა ხწორედ სიზმარმა მამცნო ჭეშმარიტება! თუ თქვენ ერთხელ მაინც ნახეთ და შეიცანით ჭეშმარიტება, მაშასადამე, იცით, რომ მხოლოდ ის არის სინამდვილე, სხვა არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს მიუხედავად იმისა, გძინავთ თქვენ თუ გღვიძავთ. დაე იყოს სიზმარი, დაე იყოს!.. მაგრამ ეს სიცოცხლე, რომელსაც თქვენ ასე ჩაბღაუჭებიხართ, მინდა თვითმკვლელობით დავამთავრო ხოლო ჩემი სიზმარი, ჩემი სამი ნოემბრის სიზმარი!.. ო, მე მაზიარა მან ახალს, დიდსა და განახლებულ, ძლიერ სიცოცხლეს!

ყური მიგდეთ...

III

მე ვთქვი, ისე შეუმჩნეველად ჩამეძინა, თითქოს კვლავაც განვაგრძობდი მსჯელობას მიწიერ სამყაროზე-მეთქი. უცებ მესიზმრა: საკარძელში ვზივარ, ვიღებ რევოლვერს და პირდაპირ მკერდში ვიმიზნებ. დიახ, მკერდში და არა თავში, როგორც ადრე მქონდა გადაწყვეტილი — უეჭველად მარჯვენა საფეთქელში. როცა ლულა მკერდზე მივიბჯინე, ერთი თუ ორი წამი დავაყოვნე... მომეჩვენა, თითქოს სანთელი, მაგიდა და კედლები ჩემ თვალწინ დატრიალდნენ, ერთმანეთში აირივნენ... ჩახმახი აჩქარებით გამოვწიე.

სიზმარში ზოგჯერ თითქოს ზევიდან ვარდებით, ან დანით გეჩრიან და გცემენ, მაგრამ ტკივილს არასდროს არ გრძნობთ, თუ მართლა არ მიარტყით თავი საწოლს. აქ ტკივილს იგრძნობთ და იგი თითქმის ყოველთვის გამოგაღვიძებთ. მეც ასე მომივიდა. ტკივილი არ მიგრძვნია, მაგრამ მომეჩვენა, თითქოს გასროლისაგან მთელი სხეულით ავცახცახდი. უცბად ყველაფერი გაქრა და ჩემ ირგვლივ საშინელი წყვდიადი გამეფდა. თითქოს ერთბაშად დავბრმავდი და დავყრუვდი. აი, ვწევარ რაღაც მაგარზე გულაღმა. ვერც ვერაფერს ვხედავ, ვერც გავნძრეულვარ, ირგვლივ დარბიან, კივიან, კაპიტანი ცოფსა ჰყრის, დიასახლისი წრიპინებს... წამიც და აგერ თავდახურულ კუბოში ჩაჭედილს მიმასვენებენ. ვგრძნობ, როგორ ირწევა კუბო, ვფიქრობ ამაზე და, პირველად ჩემს სიცოცხლეში, მეუფლება აზრი, რომ მოვკვდი, ნამდვილად მოვკვდი. ვიცი ეს და ეჭვიც არ მეპარება, რადგან ვერც ვერაფერს ვხედავ, ვერც ვინძრევი, თუმცა ვგრძნობ ამას და ვმსჯელობ კიდეც. ბოლოს ვურიგდები ჩემს ბედს, ჩვეულებრივ, როგორც სიზმარში იცის ხოლმე და სინამდვილედ ვღებულობ.

აი, მე მიწა დამაყარეს. ყველა მიდის და ვრჩები მარტოდმარტო, სრულიად მარტო. ვერ ვინძრევი. ადრე, როცა ნათლად წარმოვიდგენდი ჩემს დასაფლავებას, მუდამ ერთი შეგრძნება მაკავშირებდა სამარესთან: სინესტე და სიცივე. ახლაც ასე მომეჩვენა, თითქოს ძალიან შემცივდა, განსაკუთრებით ფეხის თითებზე. ეს იყო და ეს, სხვა არაფერი მიგრძვნია.

ვიწექი ასე და, საოცარია, არაფერს არ მოველოდი, ბედს შერიგებული. მკვდარს აბა რისი იმედი შეიძლება ჰქონდეს. ოღონდ ეგ იყო, ძლიერ ცივდა. არ ვიცი, რამდენი ხანი გავიდა, ერთი საათი, რამდენიმე დღე თუ ძალიან ბევრი დრო, რომ უცებ მარცხენა დახუჭულ თვალზე დამეცა კუბოს სახურავი.

დან გამონაყოლი წყლის წვეთი. მეორე წუთში — მეორე, მეორეს მესამე მოჰყვა და ასე დაუსრულებლად, ყოველთვის ერთი წუთის შემდეგ, ძლიერ აღშფოთებულს ბრაზისაგან გულზე ცეცხლი წამეკიდა და ფიზიკურად ტკივილიც ვიგრძენი: „ეს ჩემი ჭრილობა, — გავიფიქრე, — ეს ნატყვიარი, ალბ ტყვიაც!“ ხოლო წყალი ყოველ წუთს წვეთობით მეცემოდა დახუჭულ თვალზე. და მე მაშინ შევძახე, ხმით კი არა, რადგან განძრევა არ შემეძლო, მთელი არსებით შევძახე ჩემს მეუფეს იმის გამო, რაც მან დამაწია:

„ვინც გინდა იყავი შენ, მაგრამ თუ მართლა არსებობ და არსებობს რაიმე იმაზე გონიერი, რაც ახლა ხდება, მიეცი მას აქ ყოფნის უფლება. ან თუ შენ ჩემი უგუნური თვითმკვლელობის გამო მსჯი, მაშ, იცოდე ვერავითარი წამება ვერ შეედრება იმ ზიზღს, რომელსაც შენ მიმართ უხმოდ შევინახავ გულში, თუნდაც მილიონი წლები მტანჯო!“

შევძახე ეს და გავჩუმდი. მთელი ერთი წუთი გავიდა ამ მდგომარეობაში და მე ერთი წვეთი წყალი ისევ დამეცა თვალზე. მაგრამ უსაზღვროდ ვიყავი დარწმუნებული, რომ ახლავე აუცილებლად შეიცვლებოდა ყველაფერი. ამ დროს ჩემი საფლავიც გადაიხსნა, უფრო სწორად, არ ვიცი, მართლა გადაიხსნა, თუ ამოთხარა ვინმემ. ეს კია, რაღაც ბნელმა და უცნაურმა არსებამ ხელი დამავლო და ჩვენ სივრცეში აღმოვჩნდით. უცებ თვალი ამეხილა. ბნელი ღამე იდგა, ისეთი ბნელი, რომლის მსგავსი არასოდეს ყოფილა! დედამიწიდან უკვე კარგა შორს ვიყავით, მაგრამ ჩემს მეგზურს არაფერს ვეკითხებოდი, ველოდი რაღაც წამს და თავი ამაყად მეჭირა. თავს ვირწმუნებდი, არაფრის არ მეშინია-მეთქი და ამ რწმენით აღფრთოვანებული ვდუმდი. არ ვიცი, რამდენ ხანს მივჭროდით სივრცეში, ვერც იმაში გავრკვეულიყავი, ყველაფერი ეს მართლაც ისე ხდებოდა, როგორც სიზმარშია, როცა თავს გადაევლები სამყაროს და დროის მიჯნას, ცხოვრების კანონებისა და გონიერი საწყისის მიღმა ჩერდები იმ წერტილზე, შენს გულს რომ ოცნებად დაუსახავს. ის კი მახსოვს, ამ სიბნელეში ერთი ვარსკვლავი შევნიშნე, და „ეს სირიუსია?“ — წამოვიძახე თავშეუკავებლად, თუმცა გადაწყვეტილი ჰქონდა არაფერი მეკითხა. — „არა, — მიპასუხა არსებამ, მე რომ მიმაქროლებდა, — ეს სწორედ ის ვარსკვლავია, შინ დაბრუნებულმა ღრუბლებს მიღმა რომ შეამჩნიე“. — ვიცოდი ამ არსებას ადამიანის სახე ჰქონდა, მაგრამ, საოცარია, არათუ არ მიყვარდა იგი, პირიქით, მის მიმართ ღრმა სიძულვილს ვგრძნობდი. ხომ იმიტომ დავიხალე გულში ტყვია, შეგონა, მტერად ვიქცეოდი და აი, მე ისევ ვიღაც არსების ხელში ვარ! მართალია, მას ადამიანს ვერ დაარქმევდი, მაგრამ ნამდვილად არსებობდა კი: — „მაშასადამე, შეიძლება კუბოს მიღმაც იყოს ცხოვრება!“ — გავიფიქრე უცნაური, სიზმრისეული სიმსუბუქით, მაგრამ სინამდვილე მთელი თავისი სიღრმით მაინც ჩემს გულში დარჩა. „და თუ კვლავ აუცილებელია ყოფნა, — გავიფიქრე მე — და ისევ სხვისი სურვილითა და კარნახით უნდა ვიცხოვრო, აღარ მსურს, რომ დამამარცხონ და დამამცირონ“, გავიფიქრე და — „იცი, რომ შენი მეშინია და ამიტომ გეზიზღები“ — მივახალე ჩემს მეგზურს, ეტყობა, თავი ვერ შევიკავე იმ დამამცირებელი შეკითხვისაგან, რომელშიც ჩემი გულახდილი აღიარება იყო გამოხატული და ისე დამცირებულად ვიგრძენი თავი, თითქოს შიგ გულში ეჩხვლიტოთ ნემსით. მას არაფერი უპასუხია, მაგრამ მაშინვე მივხვდი, არც არავის ვეზიზღებოდი, არც არავინ დამცინოდა და არც ვებრალებოდი ვინმეს. და რომ ჩვენს გზას აქვს მიზანი —

გამოუცნობი და იდუმალი, რომელიც მე ერთს მეხებოდა მხოლოდ. სულ უფრო მეტად მეუფლებოდა შიში, რომელიც უხმოდ, მაგრამ მტანჯველად გადმომეცემოდა ჩემი მდუმარე თანამგზავრისაგან. მივქროდით ბნელსა და უცხო სივრცეში. დიდი ხანია ველარ ვხედავდი ნაცნობ ვარსკვლავებს. ვიცოდი, ციურ სამყაროში არის ისეთი ვარსკვლავები რომელთა სხივი დედამიწამდე ათასი და მილიონი წლის შემდეგ აღწევს, ვინ იცის იქნებ გავცდით, იდეც მის საზღვრებს. რაღაც არაჩვეულებრივის მოლოდინი საშინელი სევდით მიღრღნიდა გულს, რომ ამ დროს უაღრესად ნაცნობი გამოძახილის გრძნობამ მთელი არსებით შემძრა: მე დავინახე ჩვენი მზე! მართალია, ვიცოდი, ეს არ შეიძლებოდა ყოფილიყო იგივე მზე, ჩვენი დედამიწის შემოქმედი, ვიცოდი, იმ მზისაგან უსასრულოდ შორს ვიყავით, მაგრამ რატომღაც სწორედ ისეთივე მზე შეეცანი მასში, როგორიც ჩვენია: მისი გამეორება და ტყუპის ცალი. ტკბილი, მომხიბლავი გრძნობა დამეუფლა: მშობლიური სხივის ნათელი ძალა, სწორედ იმისი, მე რომ შემქმნა, გაეხმიანა ჩემს გულს და კვლავ აღაგზნო იგი. და მე, სამარის შემდეგ, პირველად შევიგრძენ სიცოცხლე, ადრინდელი სიცოცხლე.

— მაგრამ ეს თუ მზეა, ზუსტად ისეთივე მზე როგორიც ჩვენია, — შევძახე მე, — მაშინ სადღაა დედამიწა? — ჩემმა თანამგზავრმა მიჩვენა ვარსკვლავი, რომელიც სიბნელეში ზურმუხტისფრად ელვარებდა. ჩვენ პირდაპირ იქით მივქროდით.

ნუთუ შეიძლება ასეთი გამეორება ციურ სამყაროში, ნუთუ ასეთია ბუნების კანონი?.. და თუ იქ მართლა დედამიწაა. ნუთუ ის სწორედ ისეთია, როგორიც ჩვენი — უბედური და საცოდავი, მაგრამ ძვირფასი და მარადსაყვარელი თვით ყველაზე უბადრუკი ბავშვების გულშიაც კი მარად მტანჯველი გრძნობების აღმძვრელი?.. — ვიძახდი დაგმობილი მიწის სიყვარულით აღელვებული და აცახცახებული. წამით თვალწინ გამიელვა ჩემ მიერ განაწყენებული საბრალო გოგონას სახემ.

— ყველაფერს ნახავ, — მიპასუხა ჩემმა თანამგზავრმა და მის ხმას რაღაცნაირი სევდა დაეტყო. ჩვენ სწრაფად ვუახლოვდებოდით პლანეტას, რომელიც ასევე სწრაფად იზრდებოდა ჩემს თვალში. უკვე ვარჩევდი ოკეანეს, ევროპის მოხაზულობას, რომ ამ დროს დიდი და წმინდა, ამასთან რაღაც უცნაური ეჭვის გრძნობა დაეუფლა ჩემს გულს: — „როგორ შეიძლება ასეთი გამეორება, ან რა საჭიროა იგი? მე მიყვარს, მე შემიძლია მიყვარდეს მხოლოდ ის მიწა, რომელზედაც დავიბადე და ჩემი სისხლის წვეთები დარჩა, როცა უმადურმა მკერდში ტყვიის დახლით სიცოცხლე ჩავიქრე, მაგრამ არასდროს, არც ერთი წუთით არ შემიწყვეტია იმ მიწის სიყვარული. ის კი არა, იმ ღამეს, როცა მშობლიურ მიწას ვშორდებოდი, მიყვარდა იგი უფრო მწარედ, ვიდრე ოდესმე. არის კი წამება ამ ახალ მიწაზე? ჩვენს მიწაზე ნამდვილი სიყვარული წვალებით, მხოლოდ ტანჯვით შეიძლება! სხვაგვარი სიყვარული ჩვენ არ ვიცით და არც შეგვიძლია. მე რომ შევიყვარო, უნდა ვიტანჯო. მე მინდა და მწყურია იმ მიწის სიყვარული, მხოლოდ იმ ერთი მიწის, რომელიც დავტოვე და მინდა თვალცრემლიანი ვკოცნიდე მას. მაგრამ არ მინდა და ვერც შევეგუები სიცოცხლეს სხვაგან!..

ამასობაში ჩემმა თანამგზავრმა მიმატოვა და მე უცებ, თითქმის შეუმჩნევლად, ამ ახალი მზის სხივებით განათებულ, სამოთხესავით მშვენიერ მიწაზე აღმოვჩნდი. ეტყობა, მოვხვედი ერთ იმ კუნძულზე, რომელიც ჩვენს დედამიწა-

ზე საბერძნეთის არქიპელაგს შეადგენს, ანდა ამ არქიპელაგის მომიჯნავე მატერიკის სანაპიროზე. ო, აქაც ისე იყო, როგორც ჩვენთან, ოღონდ აქ ყველაფერი რაღაც საზეიმოდ ბრწყინავდა, რაღაც წმინდა და უკვე მიღწეული წარმატების სიხარული სუფევდა ყველგან: ზურმუხტისფერი ზღვის ტალღები სასიამოვნო ტლაშუნით ელაციცებოდა სანაპიროს და ეკოცნიდა მას აშკარა, თითქმის შეგნებული სიყვარულის გრძნობით. მალალი, მშვენიერი ხეები შრიალებდნენ ირგვლივ, ფოთლები მათი — დარწმუნებული ვარ — მესალმებოდნენ ჩუმად, ალერსით. სურნელოვანი ყვავილებით მოფენილი მდელო ათასფერად ლივლივებდა. გუნდებად დაფრინავდნენ ჩიტები, რომლებიც უშიშრად მასხდებოდნენ ხელებსა და მხრებზე, ალერსით მიფათქუნებდნენ ფრთებს. და, ბოლოს, მე ვიხილე ამ ბედნიერი მიწის ხალხი. ისინი თავად შემომეგებნენ, გარს შემომეხვივნენ, მკოცნიდნენ. მზის შვილები, საკუთარი მზის შვილები! ო, რა საუცხოო იყვნენ ისინი! არასდროს მინახავს ასეთი სილამაზის ადამიანები ჩემს მიწაზე თუ არა ჩვენი ბავშვობის შორეულ წარსულში და ისიც მხოლოდ უბრალო ანარეკლი იყო ამათი მშვენიერებისა. ამ ბედნიერი ადამიანების თვალები ნათელივით ბრწყინავდნენ. ხოლო მათი სახე გონიერებითა და რაღაცნაირი აღსებული სიმშვიდით ლაციცებდა. ეს იყო მხიარულთა სახე. ამ ხალხის სიტყვებსა და ხმაში ბავშვური სიხალისე გამოკრთოდა. ო, მე მაშინვე, პირველსავე შეხვედრაზე მივხვდი ყველაფერს! ეს იყო ცოდვით შეუბღალავი მიწა, რომელზეც უბიწო ხალხი ცხოვრობდა. ცხოვრობდა ისეთსავე სამოთხეში, გადმოცემით, ჩვენი ნაცდუნები წინაპრები რომ ცხოვრობდნენ, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ აქ მთელი დედამიწა იყო სამოთხე. ეს ხალხი, მხიარულად მომღიმარი, შეხვეოდა და შეფერებოდა. მერე თავისთან წამიყვანეს და ყველა ჩემს დამშვიდებას ცდილობდა. ო, ისინი არ მეკითხებოდნენ არაფერს, თითქოს უამისოდაც იცოდნენ ყველაფერი, მე ამას ვგრძნობდი და უნდოდათ ჩემი სახიდან რაც შეიძლება სწრაფად ჩამოერეცხათ მწუხარების კვალი.

IV

და მაინც, იცით, რა: ვთქვათ, ეს იყო მხოლოდ სიზმარი! მაგრამ იმ უბიწო და მშვენიერი ხალხის სიყვარულის გრძნობა საუკუნოდ ჩამრჩა გულში. ვგრძნობ, მათი სიყვარული ახლაც მავსებს. მე ხომ საკუთარი თვალით ვიხილე ისინი, მათ სულში ჩავწვდი და დავრწმუნდი, რომ მიყვარდა ისინი და ვიტანჯებოდი იმათ გამო შემდეგ. ო, მაშინვე მივხვდი, ბევრ რამეს ვერასდროს გავუგებდი მათ. მე თანამედროვე რუს პროგრესისტსა და ბილწ პეტერბურგელს, მაგალითად, უცნაურად მეჩვენებოდა, რომ ამდენი რამის მცოდნე ხალხს არ ჰქონდა ჩვენებური მეცნიერება. მაგრამ მალევე მივხვდი, მათი ცოდნა იესებოდა და იკვებებოდა სულ სხვა არხებიდან, ვიდრე ჩვენს დედამიწაზე მცხოვრებლებისა. მისწრაფებებიც სულ სხვანაირი ჰქონდათ. მათ არაფერი ეწადათ და მშვიდადაც იყვნენ, არ აინტერესებდათ სამყაროს შეცნობა, როგორც ჩვენ ვცდილობთ ამას. მათი ცხოვრება უამისოდაც ამაღლებული, მათი ცოდნაც უფრო ღრმა და საფუძვლიანი იყო, ვიდრე ჩვენი მეცნიერების. ჩვენი მეცნიერება ცდილობს ჯერ ახსნას და შეიცნოს ცხოვრების საიდუმლო, რომ მერე სხვას ასწავლოს იგი. მათ კი მეცნიერების გარეშე იცოდნენ, როგორ ეცხოვ-

რათ. ამას თუმცა მივხვდი, არ შემეძლო მათ ცოდნაში ჩაწვდომა. ისინი მიჩვენებდნენ ხეებს, მე კი არ შემეძლო სიყვარულის იმ დონით აღქმა, რომლითაც ისინი შეჰყურებდნენ მათ. თითქოს თავის მსგავს არსებას ესაუბრებიანო და, იცით, იქნება არც შევცდე, თუ ვიტყვი, მართლა ელაპარაკებოდნენ ხეებს! დიახ, მათ იპოვეს მცენარეთა ენა და, დარწმუნებული ვარ, ხეებსაც ესმოდათ ამ ხალხის. ასე უყურებდნენ მთელ ბუნებას, ცხოველებს, რომლებთანაც მეგობრულად ცხოვრობდნენ, თავს არ ესხმოდნენ და უყვარდათ ერთმანეთი. მითითებდნენ ვარსკვლავებზე და მათ შესახებ ისეთ რამეს მეუბნებოდნენ, რომლის გაგებაც მე არ შემეძლო. ისინი კი, დარწმუნებული ვარ, არა მარტო გონებით იყვნენ ამ ციურ სხეულებთან დაკავშირებული, რალაცნაირი ცოცხალი ძაფებითაც... ო, ეს ხალხი არ ცდილა, რომ გამეგო მათთვის, უამისოდაც ვუყვარდი მათ. სამაგიეროდ, ვიცოდი, რომ ვერც მე გამიგებდნენ ვერასდროს. ამიტომ კრინტიც არ დამიძრავს ჩვენს მიწაზე. უხმოდ ვკოცნიდი იმათ მიწას და ვალმერთებდი იმ ხალხს. და, თუმცა ხედავდნენ ამას, არ მიშლიდნენ თაყვანისცემას და არც რცხვენოდათ, რადგან ბევრად უფრო ძლიერ ვუყვარდი ყველას. არც იმას წუხდნენ, ზოგჯერ ცრემლმორეული რომ ვუკოცნიდი ფეხებს. ვიცოდი, რაოდენ დიდი იყო მათ გულში საპასუხო სიყვარული. ხანდახან გაკვირვებული ვეკითხებოდი თავს: როგორ მოხდა, რომ არ შეურაცხყვეს ჩემისთანა კაცი, ის კი არა, ერთხელაც არ აღძვრიათ ეჭვისა და შურის გრძნობა ჩემდამი. ბევრჯერ შევკითხივარ ჩემს თავს, — როგორ შეძლო ჩემისთანა ბაჭიამ და მკვეხარამ არ გაემეღავნებინა საკუთარი გრძნობები, რომელთა შესახებ მათ, რა თქმა უნდა, წარმოდგენაც არა ჰქონდათ. ონავარსა და მხიარულ ბავშვებს ჰგავდნენ, დაეხეტებოდნენ თავიანთ დიდებულ ჭალებსა და ტყეებში, ძღეროდნენ თავიანთ მშვენიერ სიმღერებს, იკვებებოდნენ ხეთა ნაყოფით, თავიანთი ტყის თაფლითა და სანუკვარი ცხოველების რძით. საკვებისა და ტანსაცმლისთვის თავს დიდად არ იწუხებდნენ. უყვარდათ ერთმანეთი და აჩენდნენ ბავშვებს, მაგრამ არასოდეს შემიმჩნევია სიტკბოებისადმი ისეთი საშინელი გახელება, რომელიც ჩვენს დედამიწაზე მსხვერპლად იწირავს ხოლმე თითქმის ყველას და ყველაფერს და რომელიც მთელი ჩვენი კაცობრიობის ყოველგვარი ცოდვის ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენს. შეხაროდნენ ყოველი ბავშვის, როგორც მათი ნეტარი ცხოვრების ახალი წევრის დაბადებას. არ იყო შური და ეჭვიანობა. არც კი იცოდნენ ამის შესახებ. ერთის ბავშვი იყო ყველასი, რადგან ყველა წარმოადგენდა ერთ ოჯახს. სნეულებაც გამჭრალიყო, თუმცა კი კვდებოდნენ. თანამოძმეებით გარშემორტყმული მათი მოხუცები კვდებოდნენ ჩუმად, თითქოს იძინებენო. მათ ემშვიდობებოდნენ ღიმილით, რაზეც ასეთივე ღიმილით უპასუხებდნენ მიმავალნი. გლოვა და ცრემლები არ მინახავს. იყო მხოლოდ საოცრად მტკიცე სიყვარული, მშვიდი, ამაღლებული და სპეტაკი. იმასაც კი იფიქრებდით, თავიანთ მიცვალებულებთან სიკვდილის შემდეგაც არ წყვეტენო კავშირს და მათ შორის მიწიერი ურთიერთობა კვლავაც გრძელდებაო. თითქმის არ ესმოდათ ჩემი, როცა სიცოცხლის მარადიულობაზე ვეკითხებოდი, მაგრამ ეტყობოდათ, ისე სწამდათ უკვდავების. ამაზე საუბარი არც მიაჩნდათ საჭიროდ. ტაძრები არ ჰქონდათ, მაგრამ ჰქონდათ რალაც ცოცხალი, უწყვეტი ურთიერთობა მთელს სამყაროსთან. არც საარწმუნოება გააჩნდათ, მაგრამ ღრმად სჯეროდათ, რომ გავიდოდა თუ არა მათი მიწიერი ცხოვრების ყავლი, როგორც ცოცხლები, ისე გარდაცვლილნი კიდევ

უფრო ფართოდ დაუკავშირდებოდნენ მთელ სამყაროს. უდრტვინველად მოელოდნენ ამ წუთს, მაგრამ არც ჩქარობდნენ და არც დარდობდნენ, თითქოს საამისოდ წინასწარ განწყობილნი უხმოდ გადასცემდნენ ერთმანეთს ამ აზრს. საღამო ჟამს, დაძინების წინ, ხმაშეწყობილად მღეროდნენ, რომელშიც მიმავალი დღის განცდებს აქსოვდნენ, ადიდებდნენ მას და ემშვიდობებოდნენ. უმღეროდნენ ბუნებას, მიწას, ზღვებს, ტყეს. თხზავდნენ ერთმანეთს შესამკობ სიმღერებს და ბავშვებივით ხოტბას ასხამდნენ ერთმანეთს. ეს იყო ყველაზე უბრალო სიმღერები, მაგრამ გულიდან ამოდიოდა და ატყვევებდა მას. ეტყობოდა, მარტო სიმღერებში კი არა, მთელი სიცოცხლის მანძილზე ესიყვარულებოდნენ ერთმანეთს. ეს იყო ნამდვილი, ყველაფრის მომცველი სიყვარული. მათ სხვაგვარ სიმღერებს, ამაღლებულსა და საზეიმოს, სულაც ვერ ვგებულობდი და თუმცა სიტყვები მესმოდა, მათ სიღრმეში ჩაწვდომას ვერ ვახერხებდი, ჩემი გონებისათვის იგი რაღაც მიუწვდომელი ჩანდა. სამაგიეროდ, სულ უფრო და უფრო ვიმსჭვალებოდი მათი სიყვარულით. ხშირად ვეუბნებოდი ამ ხალხს, ყველაფერ ამას ადრეც ვგრძნობდი და მთელი ეს სიყვარული და დიდება ჯერ კიდევ იქ, ჩემს მიწაზე ყოფნის დროს მეჩვენებოდა რაღაცნაირი სევდიანი გამოძახილის სახით, რომელიც ზოგჯერ აუტანელ ნაღველს იწვევდა, რომ ვგრძნობდი მათ სიდიადეს ზმანებებსა და ოცნებაში და ხშირად ჩვენს მიწაზეც უცრემლოდ ვერ ვუყურებდი ჩამავალ მზეს... რომ ხალხისადმი ჩემი სიძულვილი ჩვენს მიწაზე მუდამ იყო ჩემი დარდის მიზეზი: რატომ არ შემიძლია მათი შეყვარება ისე, რომ არ მძულდეს ისინი? მართალია, ყურს მიგდებდნენ, მაგრამ, ვგრძნობდი, არ ესმოდათ ჩემი, თუმცა ამას არც ვნანობდი. ვხედავდი ისინი გრძნობდნენ, როგორ ვიტანჯებოდი იმათ გამო, ვინც დედამიწაზე დავტოვე. დიახ, როცა ისინი სიყვარულით გამთბარი ალერსიანი თვალებით შემომყურებდნენ, ვგრძნობდი, მათთან ერთად ჩემი გულიც უმანკო და სიმართლის მოყვარული ხდებოდა. ამიტომ არ ვნანობდი, რომ არ გვესმოდა ერთმანეთის და ცხოვრების სისავსის შეგრძნებით აღტაცებული ჩუმად ვლოცულობდი მათზე.

ო, ახლა ყველა დამცინის და მარწმუნებს, იმ წვრილმანების ნახვა, მე რომ გადმოგცემთ, სიზმარშიაც არ შეიძლებოდა. რომ ძილში, მე იქნება რაღაცა ვნახე ან მომელანდა, ჩემივე გულის ქარნახით, ბურანში შეთხზული, ხოლო წვრილმანები თვითონ გამოვიგონე* გამოღვიძებულმა. როცა გამოვტყდი, იქნებ მართლაც ასე იყო-მეთქი, ღმერთო, რა სიცილი დამაყარეს და როგორ ვასიამოვნე ყველას! მე, რა თქმა უნდა, შეპყრობილი ვიყავი სიზმარში ნანახი შთაბეჭდილებით და მხოლოდ ესღა დამრჩა სისხლისაგან დაცლილ ნაჭრილობევ გულში. სამაგიეროდ ჩემი სიზმრის ნამდვილი სახე და ფორმა, ესე იგი, ისინი, ვინც სინამდვილეში ვნახე ამ მოჩვენების დროს, ისეთი ჰარმონიით იყვნენ აღსავსე, იმდენად მომხიბვლელი და მშვენიერები იყვნენ ყველანი, თანაც ისეთი ბუნებრივი, რომ გამოღვიძებულს, ცხადია, ძალა არ მეყო ჩვენი ღარიბი სიტყვებით, ხორცი შემესხა მათთვის, ასე რომ ჩემს ტვინშივე უნდა გამჭრალიყო ყოველივე. ან იქნებ, სინამდვილეში, შეიძლება მე თვითონ, შეუგნებლად, იძულებული გავხდი შემეთხზა წვრილმანები და, რა თქმა უნდა, დავამახინჯე, უფრო იმის გამო, რომ ისეთი დაუძლეველი სურვილი მქონდა, თუნდაც მოკლედ, მაგრამ რაც შეიძლება მალე გადმომეცა ყველაფერი. სამაგიეროდ, როგორ დავიჯერო, რომ ყოველივე ეს არ მომხდარა? მოხდა, იქნებ, ათასჯერ უკეთესად,

უფრო ნათლად და საამოდ, ვიდრე მე ვყვები? დაე, იყოს სიზმარი, იყოს! თუმცა, იცით რა, საიდუმლოდ გეტყვით: ყველაფერი იქნებ არცაა სიზმარი! ვინაიდან იქ ისეთი რამ მოხდა და მერე ისეთი საოცარი სიცხადით, რომ წარმოუდგენელია მისი სიზმარში მოლანდება. სიზმარი, ვთქვათ, ჩემმა გონებამ შვა, მაგრამ განა გონებას შეეძლო იმ საშინელი სინამდვილის წარმოსახვა, რომელიც შემდეგ შემემთხვა? განა შემეძლო მე ერთს შემეთხზა [illegible] ყოველივე? ნუთუ ჩემს ჰაწაწა გულს, ჭირვეულსა და უსუსურ[illegible] შეეძლო იმდენად ამაღლებულიყო, რომ ასეთი ჭეშმარიტება აღმოეჩინა? თავად განსაჯეთ, აქამდე ვმალავდი, მაგრამ ახლა ამ სიმართლესაც გეტყვით, საქმე ის არის, რომ მე... გავრყვენი ისინი!

¥

დიახ, დიახ! ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ მე გავრყვენი ისინი! როგორ? არ ვიცი, მაგრამ ცხადად კი მახსოვს: ჩემმა სიზმარმა გადაუჭროლა ათასწლეულებს და დამიტოვა მხოლოდ ერთი მთლიანი შეგრძნება: იქ დატრიალებულ ცოდვათა მიზეზი მე ვიყავი და, ვიცი, როგორც საძაგელმა ტრიქინამ, შავი ჭირის ატომმა, მე მოვწამლე ეს ბედნიერი, ჩემამდე უცოდველი მიწა. მათ ისწავლეს სიცრუე, შეიცნეს მისი მშვენიერება და შეიყვარეს იგი. ო, შეიძლება, ყველაფერი ეს დაიწყო უბრალო ხუმრობით, სიკეკლუცით, საალერსო თამაშით, ან იქნებ ნამდვილად ატომისაგან, მაგრამ სიცრუის ეს ატომები დაეუფლა იმათ გულს და თავი შეაყვარა. მერე უცბად გაჩნდა სიტკბოების წყურვილი, რამაც შვა ეჭვი, ეჭვმა შეუბრალებლობა. ო, არ ვიცი, არც მახსოვს, მაგრამ მალე, სულ მალე დაინთხა კიდეც პირველი სისხლი, რამაც გააოცა ისინი, შეაძრწუნა და დაიწყეს დაშლა, განცალკევება. გაჩნდა ერთიმეორის საწინააღმდეგო დაჯგუფებები. ატყდა ერთმანეთის კიცხვა და საყვედურები. შეიცნეს სირცხვილი და უპირველეს კერპად აქციეს იგი. გაჩნდა ცნება პატიოსნებაზე და თითოეულ დაჯგუფებაში აღმართეს საკუთარი დროშა. შემდეგ ცხოველებს დაერივნენ და ცხოველებმაც ტყეს შეაფარეს თავი, მტრად გადაეკიდნენ ერთმანეთს. სასტიკი ბრძოლები ატყდა გამოყოფისათვის, განკერძოებისათვის, პიროვნულისათვის, შენ-ჩემობისათვის. ლაპარაკიც სხვადასხვა ენაზე დაიწყეს. შეიცნეს მწუხარება და შეიყვარეს იგი. მოსწყურდათ წამება და ამბობდნენ კიდეც, ჭეშმარიტება მხოლოდ მწუხარებით მიიღწევაო. მაშინ მათაც გაუჩნდათ ცოდნა. როცა ბოროტები გახდნენ, მეგობრობას და ჰუმანიზმზე დაიწყეს მსჯელობა და შეიცნეს ეს იდეა. დამნაშავეები რომ გახდნენ, სამართლის კანონები შეთხზეს და მთელი რიგი კოდექსები ჩამოწერეს, რომ დაეცვათ იგი, ხოლო კოდექსის უზრუნველყოფისათვის გილოტინები აღმართეს. ძლივს ახსოვდათ ის, რაც დაკარგეს და არც სჯეროდათ, რომ ერთ დროს უცოდველი და ბედნიერები იყვნენ. დასცინოდნენ კიდეც იმ ეგრეთწოდებულ წარსულ ბედნიერებას და ოცნებას ეძახდნენ მას. არც ახსოვდათ და ვერც წარმოედგინათ იგი გარკვევით. დაკარგეს თუ არა ყოველგვარი რწმენა წარსულ ბედნიერებაზე და უწოდეს მას ზღაპარი, იმდენად მოუნდათ კვლავაც უცოდველი და ბედნიერები ყოფილიყვნენ, რომ მუხლი მოიყარეს ამ სურვილის წინაშე, როგორც ბალღებმა, გაალმერთეს ეს სურვილი, აღმართეს ტაძრები და დაიწყეს თავიანთი იდეების, თავიანთი „სურვილების“ ქადაგება. ამასთან, სრულიად დარწმუნებულ-

ლი იყვნენ ამ იდეის შეუსრულებლობასა და განუხორციელებლობაში. მაინც ცრემლნარევი მუდარით აღმერთებდნენ და თაყვანს სცემდნენ მას. თუმცაღა, შესაძლებელიც რომ ყოფილიყო დაბრუნებოდნენ იმ უცოდველ და ბედნიერ ხანას, რომელიც დაკარგეს, ეჩვენებინა ვინმეს იგი და ეკითხა, გსურთ იქ დაბრუნება, თუ არაო? დარწმუნებული ვარ, უარს იტყოდნენ, აკი მეუბნებოდნენ კიდეც? — „დაე ვიყოთ მატყუარები, ბოროტი და უსამართლონი, კარგად ვიცით ეს, ამიტომაც თვალზე ცრემლი არ გვაშრება, ვიტანჯებით, ვწვალობთ და ვსჯით საკუთარ თავს უფრო მკაცრად, ვიდრე ის გულმოწყალე მსაჯული, რომელმაც უნდა გაგვასამართლოს და მისი სახელი კი არ ვიცით. სამაგიეროდ, ჩვენ გვაქვს მეცნიერება და იმის დახმარებით კვლავ ვიპოვით ჭეშმარიტებას, ოღონდ ამჯერად მას შეგნებულად მივიღებთ. ცოდნა—გრძნობაზე მაღალია, სიცოცხლის შეგნება კი — სიცოცხლეზე მეტია. მეცნიერება გვაზიარებს სიბრძნეს, სიბრძნე აღმოგვაჩენინებს კანონებს, ხოლო ბედნიერების კანონების ცოდნა—ბედნიერებაზე უმეტესია. — აი, რას ამბობდნენ ისინი და ამ სიტყვების შემდეგ ყოველ მათგანს კიდევ უფრო შეუყვარდა საკუთარი თავი. სხვანაირად ვერც მოიქცეოდნენ.

საკუთარი თავისადმი ისეთი ეჭვიანი გახდა ყველა, რომ მთელი ძალით ცდილობდნენ დაემცირებინათ სხვები და სიცოცხლის აზრსაც ამაში პოულობდნენ. გაჩნდა მონობა, თითქმის ნებაყოფლობითი მონობა. სუსტები სიამოვნებით ემორჩილებოდნენ ძლიერებს მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი დაეხმარებოდნენ სუსტებს მათზე უძლურის დამონებაში. გაჩნდნენ მოქადაგენი, მოციქულნი, რომელნიც თვალზე ცრემლმომდგარნი დადიოდნენ ხალხში, ესაუბრებოდნენ დაკარგულ სიამაყეზე, ზომიერებასა და ჰარმონიაზე, დაკარგულ სირცხვილზე. ხალხი მათ ან დასცინოდა, ან ქვებით ქოლავდა. ტაძრების კარებთან იღვრებოდა წმინდა სისხლი. სამაგიეროდ, გაჩნდა ისეთი ხალხი, რომლებიც ფიქრობდნენ თუ როგორ გაერთიანებულიყო კვლავ ყველა ისე, რომ თითოეულს სხვაზე მეტად ყვარებოდა საკუთარი თავი, მაგრამ ამავე დროს არც სხვისთვის შეეშალა ხელი და ასე შეთანხმებულებს ყველას ერთად ეცხოვრა. ამ იდეის გამო ატყდა მრავალი ომი, ამასთან თითოეულ მეომარს მტკიცედ სჯეროდა, რომ მეცნიერება, სიბრძნე და თავდაცვის გრძნობა, ბოლოს და ბოლოს, აიძულებდა ადამიანებს გაერთიანებულიყვნენ შეთანხმებულ და გონიერ საზოგადოებად, ხოლო მანამდე საქმის დაჩქარების მიზნით „ბრძენნი“ ცდილობდნენ, რაც შეიძლება სწრაფად გაენადგურებინათ ყველა „არაბრძენი“, ვინც ვერ გარკვეულიყო მათ იდეებში, რომ ხელი არ შეეშალათ ძლიერთათვის გამარჯვებაში. მაგრამ თავდაცვის გრძნობამ თანდათან განელება იწყო. გაჩნდნენ ქედმაღალნი და ვნებასაყოლილნი, რომელნიც პირდაპირ მოითხოვდნენ ან ყველაფერს, ან სულ არაფერს. ყველაფრის მოპოვებისათვის ძალმომრეობას მიმართავდნენ, თუ ეს არ გამოსდიოდათ — თვითმკვლელობას. გაჩნდა რელიგიები არარაობისა და თვითგანადგურების კულტით, ამ არარაობაში მარადიული განსვენების იმედით. ბოლოს დაიღალნენ უაზრო გარჯით და მათ სახეებზე მწუხარების კვალი აღიბეჭდა. მაშინ ყველამ აღიარა, რომ მშვენიერება არის ტანჯვაში, ვინაიდან მხოლოდ ტანჯვაშია ცხოვრების აზრი და თავიანთ სიმღერებში ტანჯვის საგალობელსაც შეთხზეს. მე კი დავდიოდი მათ შორის თითების მტვრევით და ვტიროდი, მაგრამ მიყვარდა ისინი ალბათ უფრო მეტად, ვიდრე მაშინ, როცა მათ სახეზე ჯერ კიდევ არ იყო ტანჯვის ნასახიერი-

ცა ჯერ კიდევ ასე გულუბრყვილო და უცოდველნი იყვნენ. მათი წაბილწული ბიწაც უფრო შემიყვარდა, ვიდრე მაშინ, როცა იქ სამოთხე იყო, შემიყვარდა სწორედ იმიტომაც, რომ იქ მწუხარება გაჩნდა. ვაი, რომ მე მუდამ მიყვარდა დარდი და მწუხარება, ოღონდ საკუთრად ჩემთვის, საკუთრად ჩემიანის, იმათ გამო კი ვტიროდი, მებრალებოდა ისინი. სასოწარკვეთილი ვუწვდიდი მათ ხელებს, საკუთარ თავს კი ვწყევლიდი, მძულდა. ვეუბნებოდი ადამს: ყველაფერი ეს მე ჩავიდინე, მე ერთმა მოგიტანეთ ეს გარყვნილება, ჭირი და სიცრუე-მეთქი. ვეხვეწებოდი—ჯვარზე გავეკარით ამის გამო და ვუხსნიდი, ასე და ასე-მეთქი არ შემეძლო, ძალა არ შემწევდა თავი მომეკლა, მაგრამ მწყუროდა კი იმათი ხელით დავტანჯულიყავი, მინდოდა ტანჯვაში წვეთ-წვეთად დამენთხია სისხლი. ისინი კი დამცინოდნენ მხოლოდ და, ბოლოს, სულელადაც მომნათლეს. თან მამართლებდნენ და მეუბნებოდნენ, რომ მათ მიიღეს სწორედ ის, რაც სურდათ და რომ ყველაფერი ის, რაც მოხდა, უცილოდ უნდა მომხდარიყო, ბოლოს გამომიცხადეს, რომ მე საშიში ვხდებოდი მათთვის და თუ არ გავჩუმდებოდი, შეშლილთა სახლში მიკრავდნენ თავს. მაშინ ნაღველი ისეთი ძალით შეიჭრა ჩემს სულში, გული მომეწურა და ვიგრძენი, რომ ვკვდები... მაგრამ აი, სწორედ ამ დროს გამომეღვიძა.

რიჟრაჟი იყო. ესე იგი, ჯერ არ გათენებულიყო. ასე ექვსი საათი იქნებოდა, იმავე სავარძელში გამომეღვიძა. სანთელი ბოლომდე ჩამწვარიყო. კაპიტნის ოთახიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა. ეძინათ. ირგვლივ ჩვენი ბინისთვის შეუფერებელი, იშვიათი სიჩუმე იდგა. თავდაპირველად გაოცებამ წამომაგდო: ადრე მსგავსი არასდროს შემმთხვევია. წინათ, მაგალითად, სავარძელში არასოდეს ჩამძინებია. ამასობაში სანამ ვიდექი და გონებას ვიკრებდი, ანაზდად ჩემმა რევოლვერმა გამიელვა თვალწინ, გამზადებულმა, დატენილმა, მაგრამ მე უმალ განზე გავწიე იარაღი! ო, ახლა სიცოცხლე და მხოლოდ სიცოცხლე! ხელები ზე აღვმართე და მოვუხმე მარადიულ ჭეშმარიტებას. არა თუ მოვუხმე, შევტირე. აღტაცებამ, განუზომელმა აღტაცებამ ამიტაცა მთელი არსებით. დიახ, სიცოცხლე და ქადაგება! ო, მე ქადაგება მაშინვე გადავწყვიტე, ოღონდ ამიერიდან მქადაგებელი დავრჩი მთელი სიცოცხლე. დიახ, მინდა ვიქადაგო და, იცით რა? ჭეშმარიტება! ვინაიდან მე ვნახე იგი, ვნახე საკუთარი თვალით, ვნახე მთელი მისი სიდიადით!

და აი, მას შემდეგ გვქადაგებ! ამასთან მიყვარს ყველაზე მეტად ის, ვინც დამცინის. რატომაა ეს ასე, არ ვიცი და ვერც აგიხსნით, მაგრამ დაე ასე დარჩეს. ამბობენ, მე ახლაც ვცდები. ესე იგი, თუ ახლა ვცდები, რა მოხდებაო მომავალში? სრული სიმართლეა: ვცდები და ალბათ მომავალში კიდევ უარესი მომივა. შევცდები რა თქმა უნდა, მრავალჯერ, ვიდრე გამოვნახავდე გზებს როგორ ვიქადაგო, ესე იგი, რა სიტყვებითა და საქმეებით ვიმოქმედო. არც ისე იოლი საქმეა. მე ხომ ყოველივეს ისევ დღეის დღესავით ვხედავ, მაგრამ მომისმინეთ: ვინ არ ცდება. ამასთან, განა ყველანი ერთი მიზნისაკენ არ მიდიან, ბრძენით დაწყებული უკანასკნელ ავაზაკამდე, ოღონდ სხვა და სხვა ბილიკებით. ყოველ შემთხვევაში ყველა ამას ესწრაფვის: ძველია ეს ჭეშმარიტება, მაგრამ აი, რა არის ამაში ახალი? შეიძლება არც ისე ძალიან ვცდები, იმიტომ, რომ მე ვნახე ჭეშმარიტება. ვნახე და, ვიცი, ადამიანებს შეუძლიათ იყვნენ მშვენიერნი და ბედნიერნი ისე, რომ არ დაკარგონ მიწიერი ცხოვრების უნარი. არ მინდა და არც შემიძლია დავიჯერო, რომ ადამიანის ნორმალური

მდგომარეობა ბოროტება იყოს. მაგრამ ისინი ხომ სწორედ ამ რწმენის გამო დამცინიან. ან როგორ არ ვირწმუნო, რომ ვნახე ჭეშმარიტება, ვნახე — ჩემი გონების ნაყოფი კი არა, სინამდვილე და მისმა ხატებამ საუკუნოდ აღმივსო გული. ვნახე იგი ისეთ ამაღლებულ მთლიანობაში, არ შემიძლია დავიჯერო, იგი ადამიანებს არ გააჩნდეთ. მაშ, როგორღა ვცდები? გადავუხვევ, ალბათ ქმა უნდა, მრავალჯერ და იქნებ სხვისი სიტყვებითაც ვილაპარაკო, მაგრამ მცირე ხნით! ხატება კი იმისა, რაც იქ ვნახე, მუდამ ჩემთან იქნება, შემისწორებს და წარმმართავს. ო, მე თავს მხნედ ვგრძნობ და ვივლი, ვივლი ასე თუნდაც ათას წელიწადს. იცით, ადრე მინდოდა კიდეც დამემალა, რომ მე გავრყვენი ისინი, მაგრამ ეს შეცდომა იყო ჩემი — აი, პირველი შეცდომა! მაგრამ ჭეშმარიტებამ წამჩურჩულა, რომ ვსტყუი და გადამარჩინა, წარმმართა. ოღონდ ეგ არის, როგორ მოვაწყო სამოთხე არ ვიცი, იმიტომ რომ სიტყვებით მისი გადმოცემა არ ძალმიძს. ჩემი სიზმრის შემდეგ სიტყვები დამეკარგა. ყოველ შემთხვევაში, მთავარი სიტყვები, ყველაზე აუცილებელი სიტყვები. დაე, ასე იყოს. წავალ და ვილაპარაკებ, ვილაპარაკებ დაუღალავად, რადგან მე მაინც ვიხილე ჭეშმარიტება, თუმცა ნანახის გადმოცემა არ შემიძლია. იმ ჭირჭილა ხალხს კი სწორედ ეს არა სჯერა: „რაც სიზმარში გინახავს, ბოდვა და ჰალუცინაციებიაო". ეჰ, ნუთუ ეს არის მათი სიბრძნე? თანაც როგორ ეამაყებათ! სიზმარი? რაო, ვითომც! განა ჩვენი ცხოვრება სულაც სიზმარი არ არის? მეტსაც გეტყვით: დაე, დაე ეს ნურასდროს ნუ ახდება, ნურც სამოთხე ყოფილა (ეგ მაინც ვიცი), — მე მაინც ვიქადაგებ. არადა რა იოლია ეს: ერთ მშვენიერ დღეს, ერთ საათში, ყველაფერი უცბად მოეწყობა. მთავარია — სხვაც საკუთარი თავივით გიყვარდეს, აი, უმთავრესზე უმთავრესი: მაშინვე მიხვდები, რა მოიმოქმედო. თანაც ეს ხომ ძველი ჭეშმარიტებაა, რომელიც მილიონჯერ გაუმეორებიათ და წაუკითხავთ, ოღონდ ეგ არის, ფეხი ვერ მოიკიდა: „სიცოცხლის შეგნება სიცოცხლეზე მეტია, ბედნიერების კანონების ცოდნა კი — ბედნიერებაზე უმეტესი"! — აი, რით უნდა დავიწყოთ ბრძოლა! ვიბრძოლებ კიდეც, თუ ყველა მოიწადინებს მაშინ ყოველივეს უმალ მოევლება.

ის პატარა გოგონა კი მიგნახე... და წავალ! წავალ კიდეც!

□

ფრანსუაზ საგანი

მზის ნამცვრევი ცივ წყალში

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომანი

თარგმნა ძუძუნა მაისურაძემ

> და მე მას ვხედავ, მე მას ვკარგავ და სევდა მიპყრობს,
> და სევდა იგი ჰგავს ცივ წყალში ჩახშირებულ მზეს.
> პოლ ელუარი

პირველი ნაწილი

პარიზი

თავი I

ასეთი რამ ახლა თითქმის ყოველდღე ემართებოდა. მხოლოდ მაშინ აღარ ამძიმებდა საკუთარი „მე“, როცა წინადღით გამომთვრალი მეორე დილას აბაზანაში წყლის გადასავლებად გაბრუებული უაზროდ წავიდოდა, ასევე უაზროდ ჩაიცვამდა ტანთ და დაღლას იგრძნობდა. თუმცა უფრო ხშირად უარეს დღეშიაც იყო; გარიჟრაჟზე გაეღვიძებოდა თუ არა, გულს ბაგაბუგი გაჰქონდა იმის შიშით, რასაც სხვა სახელს ვერც დაარქმევდა, თუ არ ცხოვრების შიშს — და დღევანდელი დღის გოლგოთა დაიწყებოდა. გულგახეთქილი ამაოდ ცდილობდა დაეძინა, ან ჩაეთვლიმა. საწოლზე ჩამომჯდარი ანგარიშმიუცემლად დასწვდებოდა მინერალური წყლის ბოთლს, გადაჰკრავდა ერთ ყლუპ უგემურ, თბილ, საზიზღარ სითხეს, — ისეთსავე საზიზღარს, როგორიც მთელი თავისი ცხოვრება წარმოედგინა უკანასკნელი სამი თვის მანძილზე. „ეს რა მემართება, რა?“ — სასოწარკვეთით, გაშმაგებით ეკითხებოდა საკუთარ თავს, რადგან იგი ზედმიწევნით თავმოყვარე იყო. და თუმცა თავად ხშირად უნახავს, როგორ შეჰყრიათ ნერვული დეპრესია მისთვის დიახაც პატივსაცემ ხალხს, მსგავსი რამ მაინც ისე შეურაცხყოფდა, როგორც ყბაში გარტყმული სილა. სიჭაბუკის ხანს არასოდეს ჩაუხედავს საკუთარი სულის სილრმეში, მისთვის სავსებით საკმარისი იყო ცხოვრების ზერელე მხარენი, ხოლო როცა ჩაიხედა და დაინახა, რა უსუსური, ჯაბანი და გულფიცხი გამხდარიყო, ცრუმორწმუნე შიში იგრძნო. ნუთუ ეს ოცდათხუთმეტი წლის 1მამაკაცი, გამთენიისას რომ წამოჯდება საწოლზე

და ყოველდ უმიზეზოდ ნერვულად კანკალებს, თვითონ არის? ნუთუ აქამდე მიიყვანა სამი ათეული წლის უდარდელმა, ლხენით აღსავსე ცხოვრებამ, რომელსაც იშვიათად თუ დაბინდავდა სატრფიალო ნაღველი? მან თავი ბალიშში ჩარგო და ლოყით შეეკრა, თითქოს ბალიშს უნდა ეჩუქებინა მისთვის ნეტარი ძილი. თვალი მაინც ვერა და ვერ მილულა. დროდადრო შეაციებდა და ერთიანად საბანში გაეხვეოდა. ხან კი სიცხისაგან სული ეხუთებოდა, საბანს გადაიძრობდა, მაგრამ შინაგანი შიში მაინც ვერ მოეთოკა, შიში, რომელიც რაღაცით ჰგავდა კაეშანს თუ გამოუვალ სასოწარკვეთილებას.

რა თქმა უნდა, მას ხელს არავინ უშლიდა კვლავ დაბრუნებოდა ელიზას, კვლავ ახლოს ყოფილიყო მასთან, მაგრამ ეს უკვე აღარ შეეძლო. სამი თვეა ელიზას არ გაკარებია, სამი თვეა ამის თაობაზე სიტყვა არ თქმულა. ელიზა, მშვენიერი ელიზა!... ნეტავ როგორ ეგუება ამ ამბავს.. თითქოს ელიზაც გრძნობს, რომ ქალი კარგად ვერაა, რომ უცნაური გახდა, თითქოს ებრალება კიდეც და ეს სიბრალული უფრო დამთრგუნველია, ვიდრე მისი რისხვა ან მოსალოდნელი ღალატი. ახლა იგი რას არ მისცემდა, ოღონდ ელიზა მოსურვებოდა, გრძნობააშლილი ხარბად ჩაჰკვროდა მის საოცრად თბილ და ქალურ სხეულს, მუდამ სხვანაირს, შმაგ განცდებს მისცემოდა და ყოველივე დაევიწყებინა, ოღონდ ეს დავიწყება ძილით მოგვრილი არ ყოფილიყო. მაგრამ ვაი რომ სწორედ ეს აღარ შეეძლო. და ის რამდენიმე უსუსური ცდა, თავად ელიზამ რომ წამოიწყო, საბოლოო მარცხით დამთავრდა. მას, ვისაც ასე უყვარდა სიყვარული, ვისაც შეეძლო თავდავიწყება, რარიგ უცნაური და სულელური გარემო არ ყოფილიყო, ახლა უძლურებას გრძნობს ამ ლამაზი ქალის გვერდით, ვინაც ადრე მოსწონდა და უყვარდა კიდეც.

თუმცა თვითონ, ცოტა არ იყოს, აჭარბებდა. განა ამ სამიოდე კვირის წინ არ იყო, ქანის წვეულების შემდეგ ელიზა რომ ისევ დაისაკუთრა, მაგრამ ეს უკვე აღარ ახსოვდა. იმ საღამოს საკმაოდ ბევრი დალია, — ამას თავისი მიზეზები ჰქონდა, — მხოლოდ ბუნდოვნადღა აგონდებოდა უხეში ბღლარძუნი ფართო საწოლზე და გამოფხიზლებისას აღძრული საამო ფიქრი, რომ ქუდა მოიგო. თითქოსდა განცხრომის ამ ხანმოკლე წუთს შეეძლო მძიმე, უძილო ღამეები, უგერგილო თავის მართლება და ნაძალადევი თავაშვებულობა ეზღო. რა თქმა უნდა, არა. ცხოვრებამ, — ადრე რომ ასე გულუხვი იყო მისდამი, ყოველ შემთხვევაში, ასე სწამდა, და სწორედ ეს გახლდათ მისი წარმატებების ერთ-ერთი მიზეზი, — უეცრად ზურგი აქცია ქილს, როგორც უკუქცეული ზღვა ხმელეთზე დატოვებს ხოლმე ალდეს, რომელსაც ხანგრძლივი დროის მანძილზე ელაციცება. და როცა თავი ფრიალოზე დარჩენილ მოხუცად წარმოიდგინა, შწარედ ჩაეცინა; მაგრამ ცხოვრება ხომ მართლაც ნელინელ ტოვებდა, როგორც ფარული ჭრილობიდან გამოქონილი სისხლი. დრო უკვე კი არ მიედინებოდა, სადღაც იკარგებოდა, ქრებოდა. რამდენიც არ უნდა შთაენერგა საკუთარი თავისათვის, რომ ცხოვრებაში დღესაც ბევრი სიკეთე გააჩნდა — ხელსაყრელი გარეგნობა, საინტერესო ხელობა და საქმე, წარმატებები სხვადასხვა დარგში, — ყველაფერი არარაობად, მოსაწყენი ეჩვენებოდა, როგორც დაუჯდომელი ლოცვის სიტყვები, მკვდარი, მკვდარი სიტყვები.

ქანთან გატარებულმა საღამომ ისიც ნათელჰყო, რაოდენ გულისამრევად ფიზიოლოგიური იყო მისი განცდები. ერთი წუთით გამოვიდა სასტუმრო

ოთახიდან, ხელის დასაბანად და თმის დასავარცხნად სააბაზანოში შევიდა. უნებლიეთ საპონი გაუსხლტა ხელიდან და იატაკზე პირსაბანის ქვეშ დავარდა. ასაღებად დაიხარა, ვარდისფერი ნალევი თითქოს განგებ მიმალულიყო და უცებ ეს სივარდისფერე უხამსობად მოეჩვენა. ხელი გაიწვდინა ასაღებად და ვერ კი შეძლო. ასე ეგონა, სიბნელეში მიმალული საპონი, მის ხელზე ასაცოცებლად გამზადებული ღამის პატარა ცხოველი იყო. შიშისაგან ერთ ადგილზე გაქვავდა. როდესაც მთლად ოფლში ⌊გახვითქული წელში გასწორდა და სარკეში საკუთარ თავს მოჰკრა თვალი, მისი გონების სიღრმეში გაიღვიძა რაღაც უცხო ცნობისმოყვარეობამ და შიში დასძლია. იგი ისევ ჩაცუცქდა, ტრამპლინიდან გადასახტომად გამზადებულ მოცურავესავით ღრმად ამოისუნთქა და ვარდისფერ საპნის ნალევს დასწვდა, მაგრამ მაშინათვე ცივად ისროლა ბაკანში, როგორც მძინარე გველი, შეცდომით რომ გამხმარ ტოტად მოგეჩვენება. მთელი ერთი წუთი სახეზე ცივ წყალს ისხურებდა. აი, მაშინ დაებადა აზრი, რომ ყოველივე ამის მიზეზი ღვიძლის ტკივილი, გადაღლა და „ახლანდელი დროება“ კი არაა — რაღაც სულ სხვა რამ“. მაშინ დაასკვნა, რომ იგი ამ „რაღაც სხვათი“ არის ავად.

ახლა რაღა ქნას? განა არსებობს ქვეყნად უფრო უბედური არსება, ვიდრე ადამიანი, რომელიც ბუნებრივმა ალღომ მიიყვანა იმ დასკვნამდე, იცხოვროს მხიარულად, ბედნიერად, უწყინარი ცინიკურობით და უეცრად ხელმოცარული კი რჩება, ისიც პარიზში, და თანაც, ათას ცხრაას სამოცდაშვიდ წელს, ჩვენს ერაში?

ფსიქიატრთან მისვლა დამამცირებლად მიაჩნდა; ეს აზრი გადაჭრით უკუაგდო თავმოყვარეობის გამო, რასაც თავისი ხასიათის საუკეთესო თვისებად თვლიდა. მაშასადამე, ერთი გამოსავალი რჩება — კრინტი არ დასძრას და გააგრძელოს ადრინდელი ცხოვრება, უფრო სწორად, შეეცადოს მის გაგრძელებას. ვინაიდან მაინც ბრმად სწამდა ბედნიერი შემთხვევისა, იმედოვნებდა, რომ ეს ყველაფერი დროებითი იყო. დრომ, რომელსაც თავის ერთადერთ მეუფედ თვლიდა, თან წარიღო ბევრი ტრფიალი, სიხარული, შეუცვალა ზოგიერთი შეხედულება. განა რა საფუძველი ჰქონდა ეფიქრა, რომ დრო „ამ ოინსაც“ არ გაუმკლავდებოდა. მაგრამ „ეს ოინი“ რაღაც უსახო გახლდათ, უსახელო, მან არც იცოდა, სინამდვილეში ეს რა იყო. ხომ შესაძლოა დროს მხოლოდ იმაზე ჰქონდეს ძალა, რასაც თავად შეიცნობ.

თავი II

იგი გაზეთის საერთაშორისო განყოფილებაში მუშაობდა და ამ დღესაც მთელი დილა რედაქციაში გაატარა. მსოფლიოში იღვრებოდა სისხლი, ხდებოდა ათასგვარი წარმოუდგენელი ამბები, რაც მის თანამოკალმეებს შიშის გრძნობით ავსებდა. მას ესეც აღიზიანებდა. ცოტა ადრე, სულ სამიოდე თვის წინ, ისიც სიამოვნებით ივიშვიშებდა მათთან ერთად, გამოხატავდა თავის გულისწყრომას, ახლა კი არ შეეძლო, პირიქით, კიდევაც სწყინდა, რომ ის ამბები, რაც შუა აღმოსავლეთში, აშშ-სა ან კიდევ სხვაგან ხდება, აიძულებდა საკუთარ ჭირზე ნაკლებად ეფიქრა. — დედამიწის პლანეტა ქაოსში ბრუნავდა — ახლა ვილას ჰქონდა ⌊თავი ან დრო მისი საცოდავი პრობლემებით

დაინტერესებულიყო? მაგრამ გახა თვითონ ცოტა დრო დაუკარგავს იმისათვის, რომ მოესმინა ხელმოცარულთა მწარე აღსარებები და გულისტკივილი? განა ცოტა ყბადაღებული გმირობა ჩაუდენია სხვების გადასარჩენად? მერე და რა? მის ირგვლივ მიმოდის თვალგაბრწყინებული ხალხი და მხოლოდ ის ერთია უპატრონო ძაღლივით თავგზააბნეული, მხოლოდ ის ერთია, ზოგიერთი მოხუცივით თავკერძა არარაობად რომ იქცა.

ქილს უცაბედად მოესურვა ზედა სართულზე ასულიყო და ქანს გამოლაპარაკებოდა. სწამდა, რომ მის ნაცნობთა შორის მხოლოდ ქანს შეეძლო დაევიწყებინა საკუთარი საზრუნავი და მისთვის ეთანაგრძნო.

ოცდათხუთმეტი წლის ჟილ ლანტიე ჯერ კიდევ ლამაზი ვაჟკაცი იყო. „ჯერ კიდევ"-თქო იმიტომ ვამბობთ, რომ ოცი წლის ჭაბუკი საოცარი სილამაზით გამოირჩეოდა, თუმცა თვითონ ამას ვერ გრძნობდა. ეს კია, მოხერხებულად იყენებდა თავის გარეგნობას და ერთნაირად ხიბლავდა ქალებსა თუ მამაკაცებს (ამ უკანასკნელთ ანგარების გარეშე). თხუთმეტი წლის მანძილზე იგი უფრო დაიხვეწა, უფრო ვაჟკაცური გახდა, მაგრამ მის სიარულსა და მოძრაობაში ისევ იგრძნობოდა ახალგაზრდული ძალმოსილება. ქანი ყოველთვის თაყვანს სცემდა ქილს, თუმცა ეს მისთვის არასოდეს უგრძნობინებია და არც საკუთარი თავისთვის გაუმხელია. ახლა კი, ქილი რომ დაინახა, უნებლიეთ შეკრთა. ეს სიგამხდრე, ეს ლურჯი თვალები, ეს შავი, საკმაოდ გრძელი თმა, ეს ნერვულობა... იგი ნამდვილად თანდათან უფრო ნერვული გახდა, და მეგობარი მოვალე იყო დახმარებოდა, ეშველა რაღაც, მაგრამ ქანისთვის ქილი ისე დიდხანს იყო ბედნიერებისა და უდარდელობის სიმბოლო, რომ ვერ გაებედა ამ საკითხზე საუბრის დაწყება. ისევე, როგორც ვერ გაბედავ ხელი შეახო ოდითგანვე განმტკიცებულ ხატებას, ვაითუ ფერფლად იქცესო... მაშ ქანი, იმთავითვე ჩამრგვალებული, მელოტი და ცხოვრებისაგან გაწბილებული ქანი ბოლოს და ბოლოს უნდა დარწმუნდეს, რომ ქვეყნად არ არსებობენ ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებულნი? ქანს საკმაოდ ბევრი ილუზია გაუქარწყლა ცხოვრებამ, მაგრამ ამ ილუზიის დაკარგვა, შესაძლოა თავისი გულუბრყვილობის გამო, განსაკუთრებით უმძიმდა. მან სკამი მიუწია ქილს, ისიც ფრთხილად ჩამოჯდა, რადგან ოთახში მობრუნება ჭირდა, ყველგან, საწერ მაგიდებზე, იატაკზე თუ ბუხარზე, ბლომად ეწყო გამოტენილი საქაღალდეები. ქანმა სიგარა მიაწოდა. ფანჯარაში რუხი და ცისფერი სახურავები ჩანდა, — წყალსადენი ღარების, მილებისა და სატელევიზიო ანტენების სამეფო. რაც სულ ცოტა ხნის წინ ქილს საოცრად ხიბლავდა, ახლა კი არც გაუხედავს იმ მხარეს.

— აბა! — თქვა ქანმა, — როგორ მოგწონს?

— მკვლელობაზე მეკითხები? უნდა ითქვას, მოხერხებულად გაუჩარხავთ საქმე.

თვალებდახრილი ქილი გაჩუმდა. ქანი ცდილობდა დრო გაეჭიანურებინა, მაგიდაზე საქაღალდეების მილაგებას შეუდგა სტვენა-სტვენით, თითქოს ამით უნდოდა დაემტკიცებინა, დუმილის ეს წუთი ჩვეულებრივი მოვლენაა. ბოლოს, როგორც იქნა, გაბედა, თანდაყოლილმა სიკეთემ ძალია: ქანს გაახსენდა, როგორი გულისყურითა და ალერსით ექცეოდა ქილი იმ დღეებში, როდესაც ცოლმა მიატოვა, და უცებ თავი უდიდეს ეგოისტად იგრძნო. აი, უკვე ორი თვეა ქილს რაღაც უჭირს, ქანი ამას კარგად გრძნობს, მაგრამ მთელი

ეს ხანი მასთან გულახდილ საუბარს გაურბის. მეგობარიც ამას ჰქვია! მაგრამ ახლა, როცა ქილი საშუალებას აძლევს, უფრო სწორად, აშკარად აიძულებს შეტევაზე გადავიდეს, უკან დასახევი გზა აღარა აქვს. ჩვენ ყველანი ასეთები ვართ, როცა ოცდაათს გადავაბიჯებთ, ნებისმიერი შემთხვევაა, ეხება იგი მთელ სამყაროს თუ მხოლოდ ჩვენი გრძნობების სამყაროს, ერთგვარ თეატრალიზაციას მოითხოვს იმისათვის, რომ ან რაღაც სიკეთე მოგვიტანოს, ანდა რაღაცაში გაგვარკვიოს. და აი, ქანმა ანთებული სიგარეტი საფერფლეზე გასრისა, დაჯდა, გულხელი დაიკრიბა, ქილს დაჟინებით ჩააცქერდა სახეში, ჩაახველა და თქვა:

— ჰოდა, რა?

— რა, რა? — გაეპასუხა ქილი.

ქილს ახლა წასვლა უნდოდა, მაგრამ იცოდა, არსადაც არ წავიდოდა. მან თავად აიძულა ქანი, დაკითხვა დაეწყო, და უფრო მეტიც: თითქოს გულზედაც მოეშვა.

— რაო, ვერ აეწყო საქმე?

— ვერა.

— უკვე ორი თვეა, ხომ მართალია?

— სამი თვეა.

ქანმა დრო ალალბედზე განსაზღვრა, იმის დასამტკიცებლად, რომ ქილის სულიერი მდგომარეობისადმი გულგრილი არ იყო; და თუ აქამდის დუმდა მხოლოდ ზრდილობის გულისთვის. „თავი გამჭრიახ კაცად მოაქვს ამ ეშმაკს, მთელი ერთი თვით კი შეცდა...“ — გაიფიქრა ქილმა, ხმამაღლა კი თქვა:

— ჰო, მთელი სამი თვეა ცუდად ვარ.

— მაინც რა მიზეზით? — ქანმა მკვეთრი მოძრაობით სანთებელა სიგარეტთან მიიტანა.

ამ წუთში ქილს ეზიზღებოდა ქანი: „თავი ანებოს მაინც პოლიციელის კილოს, გამოქექილი კაცის კილოს, ვისაც გულს ადვილად ვერ აუჩვილებ. კომედიას მაინც ნუ თამაშობს“. მიუხედავად ამისა, უნდოდა ყველაფერი ამოღო გულიდან — დაუძლეველმა თბილმა ტალღამ აიტაცა და გულახდილობის მორევში შთანთქა.

— მიზეზი არაა.

— აი, ეს უკვე ჩასაფიქრებელი ამბავია, — მიახალა ქანმა.

— გაარნია, ვისთვის... — შეეპასუხა ქილი.

მისმა მტრულმა კილომ უცებ დააყენა ქანს გულგრილი ფსიქიატრის როლი, წამოდგა, მაგიდას შემოუარა, ქილს მხარზე ხელი დაადო და ალერსიანად ჩაიბუტბუტა: „არაფერია, არაფერი, ბებერო, გულს ნუ გაიტეხ!“ ქილს უნებლიეთ თვალები ცრემლით აევსო. ნამდვილად აღარაფრად უვარგა ნერვები. ხელი გაიწვდინა, მაგიდიდან კალამი აიღო, წვერზე ხელი დააჭირა და გულმოდგინედ დაუწყო ღერძს გაწევ-გამოწევა.

— აბა, რა გჭირს, ბებერო? — შეეკითხა ქანი, — იქნებ ავად ხარ?

— არა, ავად არა ვარ. უბრალოდ, არაფერი აღარ მინდა: ქვეყანაზე, მოერჩა და გათავდა. მგონი, მოდური სენია, არა?

მან გაღიმებაც კი სცადა. ის ამბავი, რომ უკვე საკმაოდ ბევრი იყო მისთანა დღეში, რასაც ექიმები უკვე აშკარად ალიარებდნენ, ქილს სულაც არა-

ფერს უმსუბუქებდა. პირიქით, სწყინდა კიდეც. რაღაი საქმე ასე წავიდა, ერჩია, მისი სენი გამორჩეული ყოფილიყო.

— აი ასე, — თავს ძალა დაატანა მან, — მე აღარაფერი ვინდა: აღარც მუშაობა, აღარც სიყვარული, აღარც მოძრაობა — მინდა მთელი დღე მარტოდმარტო ვიწვე ლოგინში თავზე საბანწაფარებული.

— მერე, არ სცადე?

— როგორ არა, მაგრამ ცოტაა ხანს მაძლევს შვებას. საღამოს ცხრა საათისათვის უკვე თავი მინდა მოვიკლა. ზეწრები და ბალიშები ჭუჭყიანი მეჩვენება, ჩემი საკუთარი სუნი მეზიზღება, ჩემი სიგარეტები მძაგს. შენი აზრით, ეს ბუნებრივია?

ჟანმა რაღაც გაურკვევლად ჩაიბურტყუნა. ეს წვრილმანები, რომლებიც ფსიქიურ დაძაბულობაზე მეტყველებდა, უფრო ეჩოთირება, ვიდრე ყოვლად უგვანო და უხამსი ამბები რომ გაეგო. და ჟანმა სცადა ლოგიკური ახსნა მოენახა.

— ელიზა რასა იქმს?

— რა უნდა ქნას? იტანს ჩემს საქციელს, როგორც მოგეხსენება. ჩვენ საალპარაკო ბევრი არაფერი გვაქვს. მაგრამ ნამდვილად კი ვუყვარვარ. მე კი, იცი, ყელში ამომივიდა. მარტო მასთან კი არა, ყველას მიმართ ასე ვარ. თუნდაც რამე გამოვიდეს, მაინც არაფერი მახალისებს. ასე რომ...

— ეგ არაფერია, მოგვარდება.

ჟანმა გაცინება სცადა, თითქოსდა ყველაფრის მიზეზად შებღალულ თავმოყვარეობას თვლიდა, მამრის სიძაბუნით გამოწვეულს.

— კარგ ექიმს უნდა მიმართო, ვიტამინები მიიღო, სუფთა ჰაერი ისუნთქო და ორ კვირაში ისევ დაუწყებ ვარიკელებს დევნას.

ჟილმა თვალი მიაშტერა. ბოლმამ ლამის დაახრჩო.

— შენ მარტო ეგ გაგონდება. მაგისათვის მიმიფურთხებია. გესმის? მიმიფურთხებია. ქალები კი არა, სიცოცხლეც აღარ მინდა. ამისათვის თუ არსებობს რაიმე ვიტამინი?

დუმილი ჩამოვარდა.

— ვისკი არ გინდა? — ჟანმა მაგიდის უჯრიდან შოტლანდური ვისკის ბოთლი ამოიღო და ჟილს მიაწოდა. მანაც ახგარიშმიუცემლად მოსვა ერთი ყლუპი, გააჟრჟოლა, თავი გააქნია.

— ახლა მე სპირტიანი სასმელიც აღარ მშველის და აღარ მაგზნებს, თუ უგონოდ არ გამოვთვერი და არ დავიძინე. ეგეც არ იყოს, განა სასმელში უნდა ეძიო ხსნა?

ჟანმა ბოთლი გამოართვა და ლაზათიანი ყლუპი მოსვა.

— წავიდეთ, — უთხრა ჟანმა. — ცოტა გაეიაროთ.

ისინი გამოვიდნენ. პარიზი გულისამაჩუყებლად მომხიბვლელი ჩანდა, ადრიანი გაზაფხულის ცისფერ ნისლში ჩანთქმული. აჰა, ისევ ის ქუჩები, ისევ ის ფარდულები, ისევ ის რესტორანი „მლიუპი", აადაც წინათ ამაბიჭებთან ერთად დადიოდა რაიმე ამბის აღსანიშნავად: აგერ, ის ბარი, სადაც ჟილი ტელეფონზე დასარეკად დარბოდა, როცა მარიაზე იყო შეყვარებული. ლმერთო ჩემო, როგორ ცახცახებდა მაშინ ტელეფონის დახუთულ ჯიხურში, ვინ იცის, მერამდენედ აითხულობდა კედლებზე დაჯღაბნილ გაურკვეველ წარწერებს, ტელეფონი კი წკრიალებდა და წკრიალებდა. ყურმილს არავინ იღებ-

და, როგორ იტანჯებოდა მაშინ. როგორ ცდილობდა არაფერი შეემჩნია. ყურმილს დადებდა, დაბლთან ბარის პატრონ ქალს ერთ ქიქას დაუკვეთდა და ერთიანად გადაჰკრავდა ხოლმე. როგორ უკვნესდა გული, ახრჩობდა ნაღველი და ბრაზი, მაგრამ ამას მაინც სიცოცხლე ერქვა! და თუმცა ქილისთვის ის საშინელი წუთები იყო, (დამცირებისა და განადგურების წუთები, აწინდელ ულიმლამო ყოფნასთან შედარებით, მაინც მისტიროდა იმ წუთებს. მართალია, გული დაკოდილი ჰქონდა, მაგრამ ვინ დაუკოდა, ეს მაინც ხომ იცოდა.

— იქნებ სადმე გაემგზავრო? — უთხრა ქანმა. — ერთი-ორი კვირით შეგიძლია მივლინება აიღო რეპორტაჟისათვის.

— არ მინდა, — უპასუხა ქილმა. — როცა წარმოვიდგენ, თვითმფრინავში უნდა ჩავჯდე, განრიგი გავიგო, უცხო სასტუმროში ვიცხოვრო, ვიღაც-ვიღაცებისაგან ინტერვიუ ავიღო... არა, ამის ძალ-ღონე არ შემწევს... თანაც ჩემოდანი ათრიე... ო, არა, არა!

ქანმა მალულად შეხედა და ერთი წუთით გაიფიქრა, ხომ არ მაბრიყვებსო. ქილს ადრეც უყვარდა თვალთმაქცობა, მით უმეტეს, რომ ბევრი ეგებოდა მის ანკესს. მაგრამ ახლა ქილის სახეზე ისე ნათლად აღბეჭდილიყო შიში და ზიზღი, ქანმა უმალ დაუჯერა.

— მაშინ, მოდი, ეს საღამო ძველებურად გოგოებთან გავატაროთ, ვითომ მე და შენ სოფლელი ბიჭები ვართ და ... ქალაქში დროსტარება მოგვინდა. თუმცა რაებს ვროშავ. რა დღეშია შენი წიგნი? შენი რეპორტაჟი ამერიკაზე?

— ამ თემაზე ბარე ორმოცდაათამდე წიგნია დაწერილი და ბევრად უკეთესიც. ნუთუ გგონია, თუნდაც ორი საინტერესო სტრიქონის დაწერას შეეძლებ, მაშინ როცა ალარაფერი მაინტერესებს?

ამ წიგნის გახსენებამ ქილი მთლად მოშალა. ადრე მართლაც უნდოდა დაეწერა ნარკვევი ამერიკაზე, რადგან ზედმიწევნით კარგად იცნობდა ამ ქვეყანას; ნამდვილად ოცნებობდა, გეგმაც კი შეიმუშავა, მაგრამ ახლა არ შეეძლო არც ერთი ფრაზის დაწერა, არც ერთი აზრის გაშლა-განვითარება. და ვაი რომ ეს ჭეშმარიტება იყო. ბოლოს და ბოლოს რა დაემართა? რისთვის არის ასე დასჯილი ან ვინ დასაჯა ასე მწარედ? თავის მეგობრებს ყოველთვის ძმასავით ეექცეოდა, ქალების მიმართ ფრიად თავაზიანი იყო. არავისთვის არასოდეს არაფერი დაუშავებია შეგნებულად. მაშ, ოცდათხუთმეტი წლის ცხოვრება მოწამლული ბუმერანგივით რად მოუტრიალდა უკან, რად?

— ახლავე გეტყვი, რაც გჭირს, — ჩაესმა ქანის დამამშვიდებელი ხმა. — მიზეზი ისაა, რომ გადაიღალე...

— არ გაბედო იმის თქმა, რაც მჭირს, — უეცრად მთელი ხმით დაიღრიალა ქილმა, — არ გაბედო-მეთქი, იმიტომ, რომ შენ არაფერიც არ იცი! იმიტომ რომ მე თვითონ, გესმის, მე თვითონ არ ვიცი, რა მჭირს! და რაც მთავარია, — დაუმატა უკვე მოთმინებადაკარგულმა, — თავი დამანებე.

გამვლელ-გამომვლელნი მათ უყურებდნენ. ქილი უცაბედად წამოწითლდა, ქანს პიჯაკის საყელოში ჩაავლო ხელი. კიდევ რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ სწრაფად შებრუნდა და დაუმშვიდობებლად, ჩქარი ნაბიჯით გასწია სანაპიროსაკენ.

თავი III

ელოიზა ჟილს ელოდა. იგი მუდამ ელოდა ჟილს. ელოიზა მემანეკენად მუშაობდა ერთ-ერთ დიდ მოდელების სახლში. ცხოვრება მაინცდამაინც არ უმართლებდა და ორი წლის წინ სიხარულით დასახლდა ჟილთან, ზუსტად იმ საღამოს, როცა ჟილი განსაკუთრებით გატანჯა მარიას განსუნებამ და სიმარტოვემ სული შეუხუთა. ელოიზა ხან შავი, ხან ქერა, ხანაც თმაწითელი იყო; თმის ფერს ყოველ სამ თვეში იცვლიდა, როგორც ფოტოსურათების გადაღებისას სთხოვდნენ, თუმცა რატომ, ჟილი ვერა და ვერ გარკვეულიყო. ჰქონდა ძალიან ლამაზი, მუქი ფერის თვალები, მშვენიერი ტანი და მუდამ კარგ გუნებაზეც იყო. გარკვეულ საკითხში ისინი შესანიშნავად ეწყობოდნენ ერთმანეთს. ამჟამად კი ჟილს გულს უწუხებდა იმაზე ფიქრი, როგორ გაეტარებინა მასთან საღამო, რა ეთქვა მისთვის. რა თქმა უნდა, შეეძლო სახლიდან წასულიყო იმ საბაბით, ვახშმად ვარ მიწვეულიო, ელოიზას ეს არ ეწყინებოდა, მაგრამ არც პარიზის ქუჩების, სახლებისა და ღამის სიბნელის ნახვა სურდა. სულაც ერჩია, სადმე კუთხეში განმარტოებით მიყუჟულიყო.

ჟილი დოფინის ქუჩაზე. სამოთახიან ბინაში ცხოვრობდა, რომელიც ვერა და ვერ მოაწყო რიგიანად. პირველ ხანებში დიდი მონდომებით შეუდგა თაროების მიჭედებას, გაიყვანა სტერეოფონული რადიოლას ხაზი, ადგილი შეურჩია წიგნის კარადასა და ტელევიზორს — ერთი სიტყვით, გატაცებული იყო ყოველგვარი მოდური სიახლეებით, რომლებიც, როგორც ამბობენ, ალამაზებს და ამდიდრებს ადამიანის ცხოვრებას. ახლა კი გაბრაზებით შესცქეროდა ამ საგნებს და იმის თავიც არ ჰქონდა, გადმოეღო თაროდან რომელიმე წიგნი — თუმცაღა დღენიადაგ ლიტერატურას ჩაჰკირკიტებდა.

ჟილი რომ ოთახში შევიდა, ელოიზა ტელევიზორს უყურებდა, გაზეთს ხელიდან არ უშვებდა, რათა არ გამოჰპარვოდა რაიმე საინტერესო გადაცემა. ჟილის დანახვაზე სწრაფად წამოხტა და მხიარული ღიმილით გაემართა საკოცნელად — ეს საქციელი ჟილს სასაცილო და ყალბი ეჩვენა, აქაოდა, მე შენი „პატარა ცოლი ვარო". იგი ბარისაკენ წავიდა — უფრო სწორად, იმ მაგიდისკენ, რომელიც ბარის დანიშნულებას ასრულებდა, — ვისკი დაისხა, თუმცა დალევა არ უნდოდა. შემდეგ ჩაჯდა ისეთსავე სავრაძელში, როგორშიც ელოიზა იჯდა, და ცნობისმოყვარედ მიაჩერდა ტელევიზორს. ელოიზამ წუთით მოსწყვიტა მზერა საინტერესო გადაცემას და ჟილს მიუბრუნდა.

— კარგ ფეხზე იარე დღეს?

— ძალიან. შენ?

— მეც.

ელოიზა ისევ არხეინად მიაშტერდა ეკრანს. იქ ვიღაც ახალგაზრდები ცდილობდნენ ხის ასოებისაგან შეედგინათ სიტყვები, რომლებიც დიქტორმა ქალმა სანდომიანი ღიმილით მიმოაბნია მათ წინ. ჟილმა სიგარეტი გააბოლა და თვალები დახუჭა.

— ჩემი აზრით, „აფთიაქი" უნდა იყოს, — თქვა ელოიზამ.

— უკაცრავად, რა თქვი?

— მე მგონია, შესადგენელი სიტყვა „აფთიაქია".

— ადვილი შესაძლებელია, — დაეთანხმა ჟილი.

და კვლავ დახუჭა თვალები. უნდოდა ერთი ყლუპი კიდევ მოესვა ჭიქიდან, მაგრამ ვისკი უკვე გამთბარიყო. ქილმა ჭიქა იატაკზე დადგა.

— ნიკოლამ დარეკა, ჩემთან ერთად ხომ არ ივახშმებდითო კლუბში.

— ვნახოთ, — უპასუხა ქილმა, — მე ხომ ეს-ეს არის მოვედი.

— გარეთ გასვლა თუ არ გინდა, მაცივარში ხბოს ხორცი გვაქვს, შეგვიძლია ვივახშმოთ, თან დეტექტივს ვუყურით.

„რა დიდებული არჩევანია, — გაიფიქრა ქილმა. — ან ნიკოლასთან ერთად ივახშმო, რომელიც მეასეჯერ აგიხსნის, ჩვენი კინო ასეთი მეექვსეთამე რომ არ იყოს, აქამდის შედევრს შევქმნიდით, ან დარჩე შინ და ტელევიზორში უყურო რაღაც სულელურ გადაცემას, თან ხბოს ცივ ხორცს შეექცე. საშინელებაა!“ მაგრამ ადრე ხომ გადიოდა სახლიდან საღამოობით. ჰყავდა მეგობრები, ერთობოდა, ხვდებოდა ახალ-ახალ ადამიანებს, ყოველი საღამო დღესასწაულს ჰგავდა!... ახლა, ახლა სად არიან მისი მეგობრები? მან მშვენივრად იცის, სადაც არიან, — ამისათვის საკმარისია ხელი წაიღოს ტელეფონისკენ. მათ მობეზრდათ სამი თვის მანძილზე ამაო რეკვა — მორჩა და გათავდა. რამდენიც არ იმარჩიელა გონებაში, ვის ნახვას ისურვებდა, ვერავინ შეარჩია. მარტო ის ნაძირალა ნიკოლა არ ეშვება. ისიც იმიტომ, დასალევი ფული არა აქვს. ტელეფონმა დარეკა, მაგრამ ქილი არ განძრეულა. იყო დრო, როცა უმალ დააცხრებოდა ხოლმე ყურმილს, დარწმუნებული, რომ ან სიყვარული უხმობდა, ან რაიმე თავგადასავალი თუ კარგი ამბავი. ახლა ყოველთვის ელოიზა მიდის ტელეფონთან. აი, ახლაც მან გამოსძახა საძილე ოთახიდან:

— ქანი გირეკავს.

ქილი დაიბნა. რა უთხრას?

ბოლოს გაახსენდა, რა უხეშად მოექცა დღეს. უხეშობა კი ყოველთვის ულამაზო და სასაცილოა. ბოლოს და ბოლოს თვითონ აეკიდა ქანს, თავისი გაჭირვება რომ ეთქვა, შემდეგ კი შუა ქუჩაში მიატოვა. ქილმა ტელეფონის ყურმილი აიღო.

— შენა ხარ, ქილ? როგორაა საქმე?

— ყველაფერი რიგზეა.

ქანი თბილად, შეწუხებული ლაპარაკობდა, როგორც ნამდვილი მეგობარი. ქილს გული აუჩუყდა.

— მაპატიე, დღეს რომ ასე მოხდა, — უთხრა ქილმა, — ხომ იცი, მე...

— სერიოზულ საკითხებზე ხვალ ვილაპარაკოთ, ამ საღამოს რას აკეთებ?

— ჰო, ალბათ... ალბათ შინ დავრჩებით და ხბოს ცივ ხორცს მივირთმევთ...

ეს იყო გულწრფელი, ოდნავ შეფარული ძახილი დახმარებისა, რასაც ხანმოკლე დუმილი მოჰყვა. შემდეგ ქანმა ალერსიანად უთხრა:

— იცი, რა გითხრა, შინ რა უნდა აკეთო? დღეს „ბობინოში“ პრემიერაა. თუ გინდა, ბილეთები მაქვს, შემიძლია...

— არა, გმადლობთ, — მიუგო ქილმა, — სახლიდან ცხვირის გაყოფა არ მინდა. მოდი, ხვალისთვის მოვაწყოთ დიდი ქეიფი.

იგი, რა თქმა უნდა, არავითარი ქეიფის მოწყობას არ აპირებდა, ეს ქანმაც მშვენივრად იცოდა, მაგრამ თეატრში წასვლა უკვე გვიანი იყო, ქანი ტანსაცმლის გამოსაცვლელად შინ უნდა წასულიყო და კვლავ უკან გამობ-

რუნებულიყო, ამიტომ აშკარად გამოგონილი ქეიფის გეგმა მისთვისაც ხელსაყრელი აღმოჩნდა და ჟილს მაშინათვე დაეთანხმა. თუმცა, ყოველი შემთხვევისათვის, მისთვის უჩვეულო სითბოთი დაემშვიდობა: „ხვალამდის, ბებერო!“ — და ყურმილი დაკიდა.

ჟილმა უფრო მეტად იგრძნო სიმარტოვე. ისევ შევიდა დიდ ოთახში და სავარძელში ჩაეშვა. ელოიზა კვლავ მოჯადოებულივით შესცქეროდა ტელევიზორის ეკრანს. ჟილი უეცრად გახელდა:

— რა გაყურებინებს ამას?!

ელოიზას არავითარი გაკვირვება არ გამოუხატავს, მხოლოდ მშვიდი, მორჩილი სახე მოაბრუნა მისკენ.

— მე მეგონა, ასე ჯობდა, ჩემთან ლაპარაკი აღარ დაგჭირდებოდა.

ჟილი სახტად დარჩა, არ იცოდა, რა ეპასუხა. თანაც ელოიზას სიტყვები ისე დამამცირებლად გაისმა, ჟილმა კვლავ იგრძნო მისთვის კარგად ნაცნობი იდუმალი შიში: ვიღაც იტანჯება მისი გულისათვის. ჟილი მიხვდა, რომ მის საიდუმლოს ფარდა აეხადა.

— მაგას რად ამბობ?

ელოიზამ მხრები აიჩეჩა.

— ისე. მე მგონია... ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს მარტობა გინდა, თავი რომ არავინ მოგაბეზროს, და მეც იმიტომ ვუყურებ ტელევიზორს...

ქალი ვედრებით შესცქეროდა და ძალიან უნდოდა ჟილს ეთქვა მისთვის: „არა, რას ამბობ, მირჩევნია თავი მომაბეზრო, მელაპარაკო, შენ მე მჭირდები“, — ერთი წუთით ჟილსაც მოუნდა ამის თქმა, რომ ელოიზასთვის ესიამოვნებინა; მაგრამ ეს ხომ სიცრუე იქნებოდა, კიდევ ერთი ტყუილი, — რა უფლება ჰქონდა ასე ეთქვა?

— ამ ბოლო დროს მაინცდამაინც კარგად ვერა ვგრძნობ თავს, — უღონოდ წაილაპარაკა ჟილმა, — ნუ გამიწყრები, თავად არ ვიცი, რა მემართება.

— არ გიწყრები, — უთხრა ელოიზამ, — კარგად ვიცი, რას ნიშნავს ეს. ოცდაორი წლის ასაკში მეც მაგ დღეში ვიყავი, — ნერვული დეპრესია მჭირდა. ჯამუდმებით ვტიროდი, დედაჩემი შიშით აღარ იყო.

აი, ასეც იყო მოსალოდნელი! ელოიზას ხომ ყოველთვის ყველაფერი სწორს.

— მერე რით დამთავრდა?

შეკითხვა ბოროტი, დამცინავი კილოთი იყო ნათქვამი. განა შეიძლება მისი ავადმყოფობა ელოიზას საუბარის შეედაროს? ეს ხომ უბრალოდ შეურაცხყოფაა.

— თავისით გამიარა. ერთი თვის განმავლობაში რაღაც აბებს ვყლაპავდი, რა ჯანდაბამ დამავიწყა მისი სახელი... და ერთ მშვენიერ დღეს კარგად გავხდი.

ქალს არც ცი გაუღიმია. ჟილმა თითქმის ზიზღით შეხედა.

—აფსუს, რომ სახელი დაგავიწყდა. იქნებ ტელეფონით შეეკითხო დედაშენს?

ელოიზა წამოდგა, ჟილთან მივიდა და მისი თავი ხელისგულებში მოიმწყვდია. ჟილი ჩააშტერდა ქალის ლამაზ და მშვიდ სახეს, მის მიერ ათასგზის დაკოცნილ ტუჩებს, თანაგრძნობით ალსავსე ლურჯ თვალებს.

— ჟილ, ჟილ!.. მე ვიცი, რომ მაინცდამაინც ჭკვიანი ქალი არა ვარ და არა მგონია, რამე გიშველო, მაგრამ მე შენ მიყვარხარ, ჟილ, ჩემო ძვირფასო!..

ელოიზამ პიჯაკში ჩარგო თავი და ატირდა. ჟილს თან შეებრალა, თან საოცარმა მოწყენამ მოიცვა.

— ნუ ტირი, — ანუგეშებდა იგი, — გთხოვ, ნუ ტირი! ყველაფერი მოგვარდება... მე მთლად მოვიშალე. ხვალვე წავალ ექიმთან.

და რადგან ელოიზა შეშინებული ბავშვივით ისევ სლუკუნებდა, ჟილმა სიტყვა მისცა, რომ ხვალ აუცილებლად წავიდოდა ექიმთან. მხიარულად შეჭამა თავისი წილი ხბოს ცივი ხორცი და შეეცადა ცოტა ხნით ელოიზასთან ელაქლაქა. შემდეგ, როდესაც ერთ საწოლზე დაწვნენ, ალერსიანად აკოცა ელოიზას ლოყაზე და გვერდი იბრუნა, გულში კი ღმერთს შეევედრა, ხვალინდელი დილა არ გათენებულიყო.

თავი IV

ექიმი ჭკვიანი კაცი აღმოჩნდა, მაგრამ ეს ჟილისთვის ვერაფერი ნუგეში იყო. ექიმმა მკერდზე მიუკაკუნა, ფილტვები მოისმინა, მოწყენით ჩვეულებრივი რაღაცები ჰკითხა, რასაც აშკარად თვითონვე არავითარ მნიშვნელობას არ აძლევდა. ახლა ჟილი ექიმის პირისპირ იჯდა ლუდოვიკო XIII სტილის ღრმა სავარძელში და შეშფოთებული იმედით დაჟინებით შესცქეროდა მას. ვერც რწმენით აღსავსე სახე და ვერც დამაჯერებელი კილო ვერ ფარავდა ექიმის უსუსურობას. „ბოლოს და ბოლოს ექიმებმაც შეიმუშავეს ასეთივე მტკიცე გამომეტყველება, როგორც ვექილებმა, ან როგორც მე მაქვს ხოლმე ზოგჯერ, აქაოდა დიდად დაინტერესებული და მიხვედრილი ჟურნალისტი ვარ-მეთქი". მაგრამ იმედი მაინც უბჟუტავდა გულში. იქნებ მართლაც არსებობს ისეთი პაწაწკინტელა აბი, რომელიც სიცოცხლის ზიზღსა და სიძულვილს კურნავს? ან რატომ არ უნდა არსებობდეს? იქნებ ჟილ ლანტიეს ორგანიზმს უბრალოდ ცოტა კალცი, რკინა ან სხვა რამ ჭანდაბა აკლია და მხოლოდ ამის გამოა უბედური? ბოლოს და ბოლოს ასეც ხომ ხდება! ვინ იცის, რას არ შეთხზავს ადამიანი თავის ნების, თავისუფლების, ტვინის შესახებ და უცებ აღმოჩნდება, რომ ხელ-ფეხი მხოლოდ იმის გამო აქვს შეკრული. B ვიტამინი აკლია. აი, რაა თავიდათავი. სწორედ ეს უნდა ჩაუნერგო საკუთარ თავს, უნდა დაარწმუნო ამ ამბავში. ადამიანის ორგანიზმი საოცრად რთული რამაა და...

—ერთი სიტყვით, თავს ცუდად გრძნობთ, — უთხრა ექიმმა — ვერ დაგიმალავთ და ვერაფრით დაგეხმარებით.

— მაინც რატომ?

ჟილმა შეურაცხყოფილად იგრძნო თავი და გული მოუვიდა. აგერ მთელი საათია გულით და სულით მიენდო ამ ექიმის ნება-სურვილს, ეს არამზადა კი არხეინად უცხადებს, ჩემი იმედი არ გქონდესო. ის ხომ ექიმია, ბოლოს და ბოლოს ეს მისი ხელობაა. ვალდებულია, რაიმე ილონოს. აბა, რა მოხდებოდა, გარეჯებში ხელოსნებს რომ თავი და ბოლო ვერ გიეგოთ მანქანებისთვის, ან კიდევ...

— ფიზიკურად სავსებით ჯანმრთელი ბრძანდებით. ყოველ შემთხვევაში, გარეგანი შემოწმებით ასეა. თუ გნებავთ, ანალიზი გავაკეთოთ. შემიძლია გამოგიწეროთ ტონუსის ასაწევი წამალი. თითო კაფსულა ჭამის წინ, დღეში ხუთჯერ...

ექიმი თითქმის დაცინვით ლაპარაკობდა და ქილს სდუღდა. იქ მოსვლამდე ეგონა, მოსიყვარულე მამასთან მივდივარო, ხელში კი ვიღაც სწავლული სკეპტიკოსი შერჩა.

— თუ თქვენი აზრით ეგ მიშველის, მზად ვარ დღეში თუნდაც ათჯერ დავლიო, რა წამალიც არ იქნება, — ცივად მიუგო ქილმა.

ექიმს გაეცინა.

— გაიგინია, რას დალევთ. თქვენ გაწუხებთ საერთო მოდუნება, რასაც დეპრესიას ეძახიან. იგი გონებრივ შრომაზეც მოქმედებს, სქესობრივ ცხოვრებაზეც და ასე შემდეგ, როგორც თავად ბრძანეთ. თუ გნებავთ, ფსიქიატრთან გაგგზავნით. ზოგჯერ კარგ შედეგს გვაძლევს, ზოგჯერ — არა. ჩვენი ექიმი ქიროო ჩინებულად ერკვევა.

ქილმა უარის ნიშნად ხელი გაიქნია.

— ერთი რამ შეგიძლია გირჩიოთ, იმოგზაურეთ, კარგად დაისვენეთ, ან პირიქით — მუშაობით ქანცი გაიწყვიტეთ. გამოგიტყდებით, ამ დარგის ცუდი სპეციალისტი გახლავარ და ვერ დავიწყებ იმის მტკიცებას, რაც არ ვიცი. ერთს კი გირჩევთ, მოთმინებით აღიჭურვოთ.

ექიმმა თავის ასისტენტ ქალს უხმო და, თითქოს ქილს საჩუქარს უმზადებსო, უწყინარი, თუმც რთული რეცეპტი უკარნახა. ქილი შეჰყურებდა ექიმს, რომელსაც სანდომიანი, გონიერი და დაღლილი სახე ჰქონდა. ექიმმა ხელმოწერილი რეცეპტი მიაწოდა.

— მოდით, ყოველი შემთხვევისათვის ვცადოთ, ცოლს მაინც დაამშვიდებთ, თუ ცოლიანი ხართ.

ქილი ადგა, მაგრამ წასვლა ვერ გადაეწყვიტა. „ახლა რაღა ვქნაო?“ უნდოდა ეკითხა. იგი ისე იშვიათად მიდიოდა ხოლმე ექიმებთან, რომ ახლა გაოცებულიც კი დარჩა იმ კაცის გულგრილობით, ვისაც დახმარების ხელი სთხოვა.

— გმადლობთ, — უთხრა ბოლოს, — მე ვიცი, რომ არ გცალიათ და მხოლოდ ჟანის ხათრით...

— მე და ჟანი კარგი მეგობრები ვართ, — თქვა ექიმმა, — ეს კია, ჩემო კარგო, თქვენნაირ ავადმყოფს კვირაში ბარე თხუთმეტს ვხვდები. საბოლოოდ ყველას ყველაფერი მოუგვარდება ხოლმე. ეს სენი, როგორც იტყვიან, დრომ მოიტანა.

მან ქილს მხარზე ხელი დაჭერა და გარეთ გაისტუმრა. ასე რომ, საღამოს ხუთი საათისათვის ქილი ქუჩაში აღმოჩნდა გაშმაგებული და, რაც მთავარია, სასოწარკვეთილი, თითქოს ეს წუთია გამოუცხადეს, მალე მოკვდებიო. ჟანმა ურჩია: „მიდი იმ ექიმთან, ყოველ შემთხვევაში არ მოგატყუებს“. მაგრამ ექიმს, ვინც ანეულებას კურნავს, განა არა აქვს იმის უფლება, ხალხი მოატყუოს? ქილს გუნებაში კიდევაც ერჩია რომელიმე ცრუ წინასწარმეტყველს ან ოგვენს გადაჰყროდა, თავის ავადმყოფებს წამლებით რომ ჭყიპავს. ისე დაეცა სულით, რომ ერჩივნა აშკარად მოეტყუებინათ, პირდაპირ ეთქვათ სიცი-

რუე, ოლონდ კი გამხნევებულიყო. და ამ ფიქრმა უფრო შეაძულა საკუთარი თავი.

ახლა რა ქნას? რა თქმა უნდა, შეუძლია რედაქციაში დაბრუნდეს, თუმცა ძლივს მიეცა საბაბი გააცდინოს და თქვას, ექიმთან ვიყავიო, რა ბავშვური საქციელია, ან რა ჩვევა, ყოველთვის თავი იმართლოს, იცრუოს [illegible] ადამიანები კლასის ზედამხედველებად მიიჩნიოს, რომელთა [illegible] სულ ადვილი საქმეა, — ჰო, ეს განწყობა, რომელიც ჩვევად გადაექცა, სულ უფრო და უფრო აწამებდა ქილს. არადა, ადრე რარიგ იყო გატაცებული თავისი საქმით! ახლა კი იმის თავიც ალარა აქვს, თუნდაც დაუდევრად გააკეთოს ეს საქმე. ახლა მის მაგივრად ყველაფერს ქანი აკეთებს. ერთ მშვენიერ დღეს ყველა შეიტყობს ამას რედაქციაში და მოხსნიან, კინწისკვრით გამოაგდებენ ქიდეც გაზეთიდან, რომელიც ასე შეიყვარა, სადაც რის ვაივაგლახით შეიქმნა კარგი სახელი. იგი ისევ გადაიქცევა რომელიმე ბულვარული გაზეთის მჭლაბნელად. ახიც იქნება. იგი სიცოცხლეს დააბოლოებს გაუმაძღარ ხალირალებს შორის, რომლებითაც სავსეა „ბეჭდვითი ორგანოს" მსგავსი რედაქციები, უთავბოლოდ ილოთებს, საღამოობით კი საკუთარ ბედს გამოიტირებს ლამის ბარებში. მორჩა და გათავდა.

რას იზამ, როცა ფსკერისკენ მიექანები, უმჯობესია უცებ ჩაიძიროს. ქილდა ალბათ სახლშია, იგი რაიმეს მოიფიქრებს. ქილდა მუდამ შინაა და მუდამ მზადაა ან სხვას ასიამოვნოს, ან თავის თავს, ან ერთიც ქნას და მეორეც. იგი მრავალი წელია ერთი ფრიად ხათრიანი ბრაზილიელის ხასაა, რომელიც ქალის ცინიზმმა მოხიბლა. ქილდა თითქმის არასოდეს გამოდიოდა თავისი ბინიდან და ხოლიელი ენებებისაგან ისე იყო გაბრუებული, როგორც ზოგიერთები — ოპიუმისაგან. ორმოცდარვა წლისას ისევ შესანიშნავი ტანი ჰქონდა, დამჭკნარი სახის ნაკვთებში კი რაღაც ლომისებური გამოსხივდა. გამძვინვარებაც შეეცარი იცოდა ხოლმე. ქანი ამბობდა, ქილდა ბარბე დ'ორვილის ერთ-ერთი უკანასკნელი გმირთაგანიაო, და ქილიც იგივეს იტყოდა. ასე კარგად რომ არ სცნობოდა ქალის ბუნება. დროდადრო ქილდას თავაშვებულად მოზეიმე ნიღაბქვეშ შეიცნობოდა უეშმაკო, ცოტა არ იყოს, წიგნიერი თვალთმაქცობა. ასეა თუ ისე, იგი მაინც შესანიშნავი ქალი იყო და ძალიან უყვარდა ქილი. ქილმა ტაქსი მოიხმო, რადგან ეს ბოლო ორი თვე პარიზის ქუჩებში მანქანის ტარება მისთვის აუტანელ წამებად იქცა, და მიღოლს ქილდას მისამართი მიჰყვა. საოცარია და ამჯერად ქილდა მარტო იყო. მას ეცვა ბრელი, საშინაო კაბა, რომელიც ძალზე უხდებოდა. ქილდა ნაზი საყვედურით შეხვდა სტუმარს. ქილი სწოლზე ჩამოჯდა და გაემზადა ქალის ლაქლაქის მოსასმენად. ქილდას თურმე ძალიან აკლდა თვალში ქილი. იგი სულ ახლახან დაბრუნებულა ბაგამის კუნძულებიდან. არა, იგი ვერ იტანს ვერც ცხელ ქვეყნებს და ვერც ჩრდილო მხარეს. აქეამად ახალი საყვარელი ჰყავს, ცხრამეტი წლის ბიჭი და დიდი ამბები აქვს მასთან გაჩაღებული, თუმცა ამ ბიჭის დაც ძალიან მოსწონს. ქილი რას ისურვებს, ვისკის თუ მარტინს? ადრე ყოველთვის მარტინს მიირთმევდა, მათი სიყვარულის დღეებში. რამდენ დღეს გრძელდებოდა მათი სიყვარული? ქილდას კინაღამ შეუყვარდა იგი. ჰო, ჰო, კინაღამ გულწრფელად შეუყვარდა. ერთი ათი წუთის შემდეგ კიდევ შეხედა და ქილს მკაცრად გადახედა.

— ნეტავ რა დაგიმირებია?

და ორივეს სიცილი წასკდა. მათ უკვე დიდი ხანია შემოღებული ჰქონდათ ეს გამოთქმა — „ნეტავ რა დაგიპირებიაო?“ ქილს ბრაზმა გაუარა, დამშვიდდა, ფეხები მოხერხებულად გაშალა და ყოფილი სახლიკაცის გაუცხოებული, მოწყენილი მზერა მოავლო უცნაურად მოწყობილ ოთახს.

— მე ახლა ექიმთან ვიყავი, — უთხრა ქილმა.

— შენ? რა დაგემართა? ჰო, ძალიან კი გამხდარხარ. რამე ხომ არ აიკიდე....

მან არ დაასრულა და ქილმა დაცინვით გაიფიქრა, სიტყვა, რომელიც ქილდამ არ წარმოთქვა, ერთადერთი იყო, რისი თქმაც ეუხერხულებოდა.

— დამშვიდდი, კიბო არა მაქვს. და საერთოდ არც არაფერი მჭირს, მხოლოდ მოწყენილობა მტანჯავს.

— ეგრე გეთქვა, — გაუხარდა ქილდას, — კინაღამ გული არ გამისკდა. დიდი ხანია ეგრე ხარ?

— ასე სამი თვე იქნება. ზუსტად არ ვიცი.

— აი, რას გეტყვი, — დამრიგებლური კილოთი უთხრა ქილდამ, — შენ არავითარი მოწყენილობა არა გჭირს, შენ დეპრესია გაქვს. გაიხსენე, რა დღეში ვიყავი სამოცდაორ წელს...

განა საწყენი არ იყო, რომ, ჯერ ერთი, ეს სენი თურმე მიყოლებით ყველას სტანჯავდა, და მეორეც, ის, რომ ყველა ასეთი გატაცებით ჰყვებოდა ამ ავადმყოფობის ამბავს.

ქილი იძულებული იყო თავიდან ბოლომდე მოესმინა ქილდას აღსარება, თუ როგორ დაემართა ქალს ნერვული დეპრესია, რომელმაც ერთ მშვენიერ დილას თავისით გაუარა — მგონი, კაპრის კუნძულებზე, — და თან ცდილობდა გამოერკვია, იყო თუ არა რაიმე საერთო ქილდას ავადმყოფობასა და იმას შორის, რასაც თვითონ ქილ ლანტიე განიცდიდა. მაგრამ საერთო ვერაფერი ნახა.

— ვიცი, ახლა რასაც ფიქრობ, — მოულოდნელად მიახალა ქილდამ. — შენ გგონია, ყველაფერი სხვანაირად გჭირს. მაგრამ ცდები. ყველაფერი ზუსტად ისეა, როგორც მე მქონდა. ერთ მშვენიერ დღეს სკვინჩასავით მხიარული გაიღვიძებ. ზუსტად ისეთივე, როგორიც ადრე იყავი... ანდა შუბლში დაიხლიტყვიას. შენ, რა თქმა უნდა, ჩემზე ჭკვიანი ბრძანდები, მაგრამ ახლა რა ხეირს გაყრის ეგ ჭკუა?

ქილდა აღერსიანად ესაუბრებოდა, ხელი მის მუხლზე ედო, მისკენ გადმოხრილიყო. ქილს უკვირდა, რატომ აღარ იზიდავდა ეს მშვენიერი სხეული, თუმცა ადრე ყოველთვის აღეძვრებოდა ხოლმე ნდომა. ის იყო ხელი წაიღო ღრმად ამოჭრილი კაბის გულისაკენ, რომ ქილდამ შეაჩერა.

— არა, არ არის საჭირო, — უთხრა მან. — ხომ ვხედავ, სულაც არ გინდა.

ქილმა მხარზე თავი დაადო და გვერდით მიუწვა. იწვა ჩაცმული, გაუნძრევლად. ქილდა უხმოდ ეფერებოდა. მისი აბრეშუმის კაბის ნაოჭში ცხვირჩარგული ქილი ვერაფერს ხედავდა, ძლივს სუნთქავდა. გული აზიდებდა, მაგრამ განძრევის თავი არ ჰქონდა. ქილდამ უცაბედად შეანჯღრია. ქილმა გაურკვევლად ჩაიბურტყუნა რაღაცეები.

— ქილ, მომისმინე, ახლა არნო მოვა. უნდა ჩავიცვა და რომელილაც უხამს ღამის კაბარეში გავყვე. შეგიძლია აქ დარჩე. თუ გინდა, ვერონიკას გა-

მოგიგზავნი. ეს ინდიელი ქალი დიდებული ვიღაცაა, საოცრად ენებიანი. ცოტას მაინც გაერთობი. შენ რა, ისევ ელიზასთან ხარ?

ქილდამ ეს ისეთი ზიზღნარევი კილოთი წარმოთქვა, როგორითაც ლაპარაკობენ ხოლმე ქალები, როცა უნდათ თავიანთ ყოფილ საყვარლებს აგრძნობინონ, შენი გაჭიანურებული სიახლოვე ამა თუ იმ ქალთან ვერაფერი მოსაწონიაო. ქილმა თავი დაუქნია.

— მაშასადამე, კი?

ახლა ქილს მხოლოდ ერთი რამ უნდოდა, — ასე უძრავად წოლილიყო. საოცრად ზარავდა იმაზე ფიქრიც კი, რომ უნდა გასულიყო პარიზის ხმაურიან ქუჩებში, საღამოს შვიდ საათზე ეძებნა ტაქსი, გარეულიყო მოფუსფუსე ბრბოში.

— კარგი, დავრჩები.

ქილი ფარული სიამოვნებით შესცქეროდა, როგორ წაისვა ქილდამ გრიმი, გამოიცვალა ტანსაცმელი, დარეკა ტელეფონზე. მოწყალედაც კი ჩამოართვა ხელი ყმაწვილ არნოს, ამ ტიპიურ ხვად კატას.

ამ წყნარ ბინაში, უცნობი ქალის მოლოდინში, ქილმა თავი დეტექტური რომანის გმირად წარმოიდგინა და კიდევაც გაართო ამან. ქილდას წასვლის შემდეგ სასტუმრო ოთახში დივანზე მოკალათდა, ზედ მამაკაცის ხალათი გადაიფარა, ვიღაცას რომ თითქოს განგებ დაეტოვებინა მისთვის, სიგარეტი გააბოლა, ილუსტრირებული ჟურნალი მოიმარჯვა და გვერდით ჭიქა ვისკი მოიდგა. შემდეგ ადგომა მოუხდა, რომ საფერფლე მოენახა, მერე ისევ წამოდგა, რათა ხმა ჩაეწია რადიოლასათვის, რომელიც ქილდამ წყნარი მუსიკისათვის შეუფერებლად ხმამაღლა ჩართო; მერე ფანჯრის გამოსალებად გაემართა, რადგან სიცხისაგან სული ეხუთებოდა; შემდეგ ფანჯრის დასაკეტად წამოდგა, რადგან შესცივდა; მერე ქილდას საძილე ოთახში დარჩენილი სიგარეტის ასაღებად გავიდა. შემდეგ იმისათვის წამოდგა, რომ გამთბარ ვისკში ყინულის ნატეხი ჩაეგდო; შემდეგ ფირფიტის გამოსაცვლელად წამოდგა, რადგან უკვე სამგზის დატრიალდა ერთი და იგივე; შემდეგ ტელეფონის ზარმა წამოაყენა; შემდეგ ახალი ჟურნალისათვის ადგა. და ერთი საათის შემდეგ, როცა კარზე ზარის წკრიალი გაისმა, ქილის რისხვამ უმაღლეს წერტილს მიაღწია და კარის გასაღებად აღარც ამდგარა.

თავი V

იგი ქუჩაში გავიდა და შინისაკენ გაემართა, მაგრამ პირდაპირ კი არ წავიდა, შორი გზით მოუარა, რადგან არც შეჩერება შეეძლო, არც უკან დაბრუნება. თავი გამოცარიელებოდა და უზრიალებდა. ასე ეგონა, ყველა მას შესცქეროდა, ყველა ამჩნევდა, რა საზიზღარი და საცოდავი გახდა. თითონაც ასეთივე ეჩვენებოდა საკუთარი თავი. ხან ეგონა, ერთ ადგილს ვტკეპნიო, ხან კი — პირიქით, უზარმაზარი მოედანი ისე გადასერა, ვერც შეამჩნია. თავისდაუნებურად ტიუილრიში ამოყო თავი და მაშინათვე გაახსენდა, რომ დრიელა როშელი თავის დროზე სწორედ აქ მოვიდა ვითომდა გასასეირნებლად, — უკანასკნელად გასასეირნებლად. ქილს გაეცინა: მას არასოდეს ეყოფა საიმისო ვაჟკაცობა, და არცა აქვს იმის სურვილი, თავი მოიკლას. ესეც კი არა

აქვს. მის სასოწარკვეთილებას ყველა ნებისმიერი ეპითეტი შეეფერება, „ეაჟკაცობისა“ და „რომანტიკულობის“ გარდა. სიმართლე რომ თქვას, ახლა მას დიახაც ხელს აძლევდა თავის მოკვლის სურვილი. ახლა მას დიახაც ხელს აძლევდა უკიდურესობაც კი.

„იქნებ ჩემი საქმე მაინც ამით დამთავრდეს? — ფიქრობდა ეგი, თითქოს თავის სანუგეშოდ. — ასე თუ გაგრძელდა, რა თქმა უნდა, ვერ ავუძლებ. რამე ხომ უნდა ვიღონო, მე ხომ...“ ამ „მეზე“ რაღაც იმედისა და შიშნარევი გრძნობით ფიქრობდა, როგორც უცხო პიროვნებაზე, რომელსაც შეეძლო მის მაგიერ ემოქმედა, მაგრამ ემოქმედა შემდეგ, ვინაიდან ახლა ამ „მეს“ არ შეეძლო არც ტყვიით განეგმირა თავი, არც დამბაჩა ჩაეჩარა პირში, არც იქ, სენის მუქ-მწვანე ტალღებში გადავარდნილიყო, — ახლა მას ვერც ის წარმოედგინა, როგორ მომკვდარიყო, ვერც ის, როგორ ეცოცხლა. ახლა იგი ვერა საქმეს ვერ მიიყვანდა ბოლომდე. მას მხოლოდ სუნთქვა, არსებობა და ტანჯვა შეეძლო.

უეცრად ცახცახმა აიტანა; გადაწყვიტა კლუბში წასვლა და იქ გამოთრობა. რა თქმა უნდა, ეს არ იყო ბრწყინვალე გამოსავალი. მაგრამ არც ასე ყოფნა შეეძლო: ევლო ლაბადის ჯიბეში ხელჩაწყობილს, ეგრძნო, როგორ უცახცახებდა ყოველი ძარღვი გათოშილი ხელის გულებიდან მხრებამდე, გულამდე, ფილტვებამდე. ჰო, უნდა გაილეშოს, სახლამდე ვინმე მიიყვანს. ყოველ შემთხვევაში ჩაეძინება მაინც. ელოიზა კი საბანს გადააფარებს.

იგი კლუბში შევიდა, ბარმენს მიესალმა, მეგობრული მუჯლუგუნი წაჰკრა ჟოელიოს, პიერს წაეჭილიკა, ხელი დაუქნია ანდრეს, ბილს, ზოეს, — ერთი სიტყვით, ისე მოიქცა, როგორც ჯერ არს, და მიუხედავად მრავალთა მიპატიჟებისა, მაინც მარტო მიუჯდა ბარის დახლს. შოტლანდური ვისკი დალია, ჯერ ერთი ჭიქა, მერე მეორეც გადაჰკრა, თითქოსდა წყალი ყოფილიყო. ამ დროს საიდანღაც ნეტარებით მოღიმარი ტომა გამოტყვრა და ქილს გვერდით მიუჯდა. რედაქციაში ისინი ერთმანეთის ფარული მტრები იყვნენ. აგერ უკვე ოთხი წელია, მას შემდეგ, რაც ვიღაც ქალიშვილის რეპორტაჟის თაობაზე მოხდა ის ბნელი საქმე. ქილს ახლა აღარც ახსოვდა წვრილმანები. მხოლოდ ის იცოდა, რომ წაიჩხუბნენ. ტომი პატარა, ჩია ტანის კაცი გახლდათ, ჩამოწვრილებული სახე ჰქონდა, ლაპარაკობდა გამჭვალავი, მყივანა ხმით, ეს კი ქილს აღიზიანებდა.

— აი, ისიც, ჩვენი ლამაზი ქილი! — წამოიყვირა მან და პირისახეში ისეთი ღვინის სუნი შეაორთქლა, ქილი უნებლიეთ გვერდზე გადაიხარა. მხოლოდ ეს შეხვედრა აკლდა ამ საღამოს ღირსეულ დაგვირგვინებას! — შენ რა განგან დადიხარ? არ მოგწონვარ? თქვი, არ მოგწონვარ?

პიერი შორიდან ანიშნებდა ხელით: იგი ამ საღამოს კლუბში მორიგე იყო და ამიტომაც აფრთხილებდა ქილს, ტომა უზომოდ მთვრალიაო, თუმცა ეს ისედაც ნათელი იყო. ტომა კი არა და არ ეშვებოდა:

— აბა, ლამაზო, პასუხს რატომ არ იძლევი? — და უეცრად განზრახ თუ უნებლიეთ თავისი ჭიქა ქილს პერანგზე გადმოუპირქვავა. ჭიქა იატაკზე დავარდა და დაიმსხვრა. ყველა გაისუსა.

ამ წუთას ქილს მკერდში რაღაც ჩასწყდა. ყველაფერი გაქრა — ბედნიერების წყურვილი, ადამიანების პატივისცემა, თავშეკავება, უეცრად ყველაფერი შეირყა, სიბრაზის მორევში შთაინთქა და ქილმა თითქოს სხვისი თვალე-

ბით დაინახა, როგორ ურტყამდა ტომას; საცოდავი პირველივე დარტყმისაგან ძირს გაიშხლართა, ქილი კი მის წინ მუხლებზე იდგა და ისე ურტყამდა წაწვრილებულ სახეში, ურტყამდა საკუთარ ცხოვრებას, თავის გულგატეხილობას. საკუთარ თავს. ვილაცის ძლიერი ხელი ჩაებღაუჭა მხრებში, ის კი ქლოშინით განაგრძობდა ჩხუბს, მძვინვარებდა, ვიდრე არ ჩაესმა: „შე, ცოფიანო ძაღლო" — და სიტყვებთან ერთად კბილებში არ ჩასცხეს. შემდეგ იადრა გაჩერება. ყველანი დადუმდნენ. ქილმა თავის ირგვლივ ათიოდე გაოგნებული, შეშფოთებული სახე შეამჩნია, ისიც დაინახა, როგორ წამოდგა წრიპა ტომა. ქილმა ტუჩებზე სისხლისა და ცრემლის მლაშე გემო იგრძნო. იგი უკან-უკან გაემართა კარისკენ. კრინტი არავის დაუძრავს, პიერიც კი, რომელთანაც მთელი ახალგაზრდობა ლოთობდა, არ გამოლაპარაკებია. სწორედ მან შემოჰკრა, გონს მოიყვანა ქილი, და კარგადაც მოიქცა. ბოლოს და ბოლოა ეს ხომ პიერის მოეალეობა იყო. ყველამ უნდა იშოვოს საჩრო.

მისი ბინიდან ლაპარაკის ხმა გამოდიოდა. ქილი გაოცებული შედგა კართან. შუალამის პირი იყო. ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო და ტუჩის კუთხეებში მიმხმარი სისხლი მოიწმინდა. სულაც არ სურდა ფრანკენშტეინივით გამოცხადებოდა სტუმრებს. ადრე იგი უარს არ იტყოდა ეს როლი გაეთამაშა, ახლა კი ამ პატარა კომედიებს, რომლებიც ადრე სიამოვნებას ჰგვრიდა, უკვე დაჰკარგოდა თავისი ეშხი. სასტუმრო ოთახში ქანი და მისი მეგობარი ქალი, ალერსიანი და ქარაფშუტა ჩამრგვალებული მარტა ისხდნენ, ელიზა ფანჯარასთან იდგა. როდესაც ქილი შევიდა, იგი შეკრთა. ქანი მოჩვენებითი სიმშვიდით შებრუნდა მისკენ, მარტამ კი წამოიყვირა:

— ღმერთო ჩემო, ქილ! რა დაგემართათ?..

„წმინდა წყლის საოჯახო საბჭოა, — გაიფიქრა ქილმა, — კეთილი, გულწრფელი მეგობრები და ერთგული თანამგზავრი ერთად ღელავენ... თან ასეთი ბედნიერი დამთხვევა: გმირი დაჭრილი დაბრუნდა". ელიზა სასწრაფოდ გაემართა სააბაზანოში ბამბის მოსატანად.

ქილი სავარძელში ჩაენარცხა და გაიღიმა:

— ვიჩხუბე სულელურად, როგორც ყველა ჩხუბია. მერე იცი, ვისთან ვიჩხუბე, ქან? ტომასთან.

— ტომასთან? ახლა არ მითხრა, თუ ღმერთი გწამს, იმან დამამშვენაო ასე, — გაეცინა ქანს კეთილი, საქმისმცოდნე კაცივით. განა ტყუილად დადიოდა ყოველ ორშაბათს კრივზე.

— არა, პიერმა გამარტყა გაშველებისას, — უპასუხა ქილმა და უცაბედად შეცბა, როცა ის უსუსური ჩხუბი და თავისი გაშმაგება გაახსენდა და ისიც, რომ სიამოვნებით ურტყამდა ადამიანს. „საკუთარი თავის სიძულვილი არ მეყოფა, რომ სხვებსაც ვაზიზღებ თავს"... ქილმა ხელი ასწია.

— ამაზე ნულარ ვილაპარაკებთ. ხვალ რედაქციაში პირუტყვს დამიძახებენ, ზეგ კი ყველაფერი მივიწყებას მიეცემა. რა ჭარმა გადმოგაგდოთ აქეთ? — ჰკითხა მან მარტას. მაგრამ ქალმა პასუხი არ გაეცა, მხოლოდ ზრდილობიანად გაუღიმა. ალბათ ქანმა უთხრა: „ქილს რაღაც უჭირს", — და ისიც ცნობისმოყვარე თვალებით შესცქერის ადამიანს, რომელსაც რაღაც უჭირს— ამ კვანძის გახსნას კი მარტა ამაოდ ეცდება.

---

* ბრავალრიცხოვანი საშინელი ფილმების გმირი, ნახევარკაცი — ნახევარვამპირი.

ამასობაში ელოიზამაც მოირბინა წამლებით — ქალებს ჩვეულებრივ მოსწონთ ხოლმე მოწყალების დის როლი — და ქილს თავი გადაუწია.

— ჭკვიანად იჯექი. — ცოტას მოგწიწკნის და — მორჩა.

„ახლა ანსახიერებს მზრუნველ დედიკოს, ვისმა ბიჭუნამაც წაიეშმაკა". ნეტავ რად მოსწონთ უაზრო კომედიის თამაში? ეს წუთია გაითამაშეს წმინდა მამაკაცური სკეტჩი თემაზე: „ქონდრისკაცებს არ სცემენ". ახლა კი — „ქილ ლანტიეს დაბრუნება ოჯახში და მისი მეგობრების შეთქმულება მისსავე საკეთილდღეოდ". ქანი ჭკუას ასწავლის და ტუქსავს ნაჩხუბარ მეგობარს: „ვაი, რა ცუდად მოიქეცი!" ელოიზა დიასახლისის როლს თამაშობს. მარტა კი არაფერსაც არ ანსახიერებს იმიტომ, რომ ბატისტვინაა. თორემ ისიც მოირბენდა სპირტის შუშით ხელში და ელოიზას მიაწოდებდა.

გამსკდარი ტუჩი მართლა აეწვა და ქილი აბუზღუნდა.

— რაო, — ჰკითხა ქანმა, — რა გითხრა დანიელმა?

— დანიელმა?

— ჰო, ექიმმა.

— განა შენ თითონ არ ელაპარაკე ტელეფონით?

ქილმა ეს ალალბედზე თქვა, გაჯავრებულმა, იცოდა მეგობრის დამოკიდებულება მისადმი — მამობრივი, ზედმიწევნით მზრუნველობით აღსავსე, და დაინახა, როგორ გაწითლდა ქანი. ქილი მიხვდა, რომ მიზანში მოარტყა. მაშ ასე, ქანი ნამდვილად ღელავს. ამ ამბავმა კი უცაბედად შეაკრთო ქილი, პირუტყვული შიშის გრძნობამ მოიცვა: ვაითუ ყველაფერი ფსიქიატრიული საავადმყოფოთი დამთავრდეს?

— მართალია, — იმ კეთილმოსურნე კაცის სიმშვიდით დაეთანხმა ქანი, ვისაც სიცრუის თქმა აღარ უნდა, რაკილა აზრი აღარ აქვს, — მართალია, დავურეკე.

— ესე იგი, განიცდიდი?

— ცოტათი. მაგრამ უნდა გითხრა, მანვე დამამშვიდა.

— ისე კარგად დაგამშვიდა, რომ შუალამისას მოხვედი ჩემს სანახავად?

ქანი უცებ ენთო:

— მე იმისათვის მოვედი, რომ ელოიზა საოცრად ღელავდა, მან იცოდა, რომ ოთხ საათზე ექიმთან წახვედი, მერე კი სადღაც ჩაიყლაპე. მე ელოიზასთან მოვედი, რომ მარტო არ ყოფილიყო და გამემხნევებინა. დანიელს ვესაუბრე ტელეფონით: მისი აზრით, გადაღლილობა და უგუნებობა გჭირს, როგორც პარიზის მოსახლეობის ცხრა მეათედს. მაგრამ ეს არ გაძლევს იმის უფლებას, შენი გულისათვის ხალხი გააწამო, დატანჯო, ბარებში კი ტომასა თუ სხვებს ეჩხუბო.

სიჩუმე ჩამოვარდა. ქილმა გაიღიმა.

— მაპატიე, მამიკო, კიდევ რაო შენმა მეგობარმა?

— გარემო უნდა გამოიცვალო.

— მაშ ასე. გაზეთი მომართმევს უფასო ბილეთს და მე ტურისტის პირობაზე გავემგზავრები ბაგამის კუნძულებზე, სწორია? შენ კი შეფს მოელაპარაკები ამის თაობაზე, ხომ?

ქილი გრძნობდა, რომ უაზროდ, ბოროტად და უგერგილოდ ლაპარაკობს, მაგრამ გაჩუმება ვერ მოეხერხებინა.

— ბაგამის კუნძულებზე თურმე სამოთხე ყოფილა, — დარბაისლური

კილოთი ჩაურთო მარტამ, მაგრამ ქანმა ისე მკაცრად შეხედა, ქილმა ძლივს შეიკავა სიცილი.

ქილი ტუჩებს იკვნეტდა, ტკივილის მიუხედავად; გრძნობდა, როგორ აწვებოდა ყელში ისეთივე შეუკავებელი სიცილი, როგორც წელან გაბოროტება. იგი მთელი ძალით ებრძოდა თავს, ღრმად ჩაისუნთქა, [illegible] მარტას მიერ წამოსროლილი ფრაზა თავიდან არ შორდებოდა და [illegible] სასაცილო ეჩვენებოდა. ქილმა ჩაახველა, თვალები დახუჭა და უეცრად ხარხარი წასკდა.

ისე ხარხარებდა და ხარხარებდა, სულს ძლივს ითქვამდა. „ბაგამის კუნძულები, ბაგამის კუნძულები, — ლუღლუღებდა შიგადაშიგ, თითქოს ბოდიშს იხდისო. — ბაგამის კუნძულები... ბაგამის კუნძულები". როცა თვალს გაახელდა და სამ შემშფოთებულ სახეს დაინახავდა, უფრო ხმამაღლა მოჰყვებოდა ხარხარს. ტუჩზე პატარა ჭრილობა გაეხსნა და სისხლი წვრილ ნაკადად ჩამოსდიოდა ნიკაპზე, ბუნდოვნად გრძნობდა, რომ მართლა გიჟს ჰგავდა — დასისხლიანებული, სიცილისაგან რომ ლამის ტიროდა და იკრუნჩხებოდა ველვეტგადაკრულ სავარძელში. უეცრად ყველაფერი უაზრო და სასაცილო ეჩვენა. თვითონ დღევანდელი დღეც... ო, ღმერთო, ასე როგორ გაატარა საღამო... სხვის ხალათში მხართეძოზე წამოწოლილი, ფაშასავით რომ ელოდა ხასას, თუმცაღა ბოლოს კარი არ გაუღო. ო, რომ შეეძლოს ქანს მოუყვეს ეს ამბავი... მაგრამ სიცილი ვერა და ვერ დაიოკა, სიტყვა ვერ დასძრა... სიცილისაგან კვნესოდა. იგი მართლა გიჟია, მთელი მისი ცხოვრებაც სიგიჟეა. ეს სამნი რატომ არ იცინიან?

— გაჩერდი! — უკიჟინებდა ქანი, — გაჩერდი-მეთქი!

„ახლა სილას გამაწნავს, ნამდვილად გამაწნავს, მისი ფიქრით ასეა საჭირო. ახლა ყველას ასე ჰგონია, რომ ცხოვრებაში ყოველ შემთხვევას თავისი წესი და კანონი გააჩნია. თუ კაცი მეტისმეტად ხმამაღლა ხარხარებს, ლოყაში სილას გაულაწუნებენ; თუ მწარედ ტირის, ძილის წამალს დაალევინებენ ან ბაგამის კუნძულებზე გააგზავნიან."

მაგრამ ქანს სილა არ გაურტყამს მისთვის, მან ფანჯარა გამოაღო, ქალები საძილე ოთახში გაუჩინარდნენ, და გიჟური ხარხარიც თანდათან მიწყდა. ქილმა არც კი იცოდა, რა აკინებდა ასე. არც ის იცოდა, რად ჩამოსდიოდა სახეზე თბილი, ჩუმი ცრემლების ნაკადი, ან რისთვის აწოდებს ქანი პიჯაკის ზედა ჯიბიდან ამოღებულ კუბოკრულ, ღიალურჯ ცხვირსახოცს, ან ასე რად უცახცახებს ხელი.

მეორე ნაწილი

ლიმოჟი

თავი 1

იგი ბალახზე იწვა და გასცქეროდა შორს, ბორცვის თავზე როგორ ამოდიოდა მზე. ჩამოსვლის პირველ დღიდანვე იგი ძალიან ადრე იღვიძებდა, და საერთოდ, ძილით ცუდად ეძინა, რადგან სოფლის სიმშვიდე და სიწყნარე ისევე აღიზიანებდა, როგორც პარიზის ხმაური და ალიაქოთი. ამას კარგად გრძნო-

ბდა მისი და, ვისთანაც ამჟამად ცხოვრობდა, და გულში განაწყენებული იყო. თავად შვილები არ ჰყავდა და თავის უმცროს ძმას — ჟილს ყოველთვის საკუთარ ვაჟიშვილად თვლიდა. რაკიღა ორ კვირაში ვერ მოახერხა, მისივე სიტყვებით, ძმის „ფეხზე დაყენება", ეს უშუალოდ ლიმუზენის შეურაცხყოფად მიაჩნდა, მშობლიური მხარის სუფთა ჰაერისა და მთელი თავისი ოჯახის შეურაცხყოფად. რა თქმა უნდა, გაზეთებში კი წაეკითხა — მიგადაშიგ „ნერვული დეპრესიის" შესახებ, მაგრამ ამას იგი ხასიათის ანომალიად უფრო თვლიდა, ვიდრე ავადმყოფობად. აგერ უკვე ორმოცი წელია ოდილია შესაშური პირუთვნელობით უნაწილებდა დროსა და ყურადღებას თავის ახლობლებს, ქმარსა და ოჯახურ საქმეებს, და რამდენადაც კეთილი, იმდენად გულუბრყვილოც იყო; ამიტომ ვერც კი წარმოედგინა, რომ შეიძლება დასვენებას, მსუყე ბივშტექსებსა და სეირნობას არ განეკურნა ყოველნაირი სნეულება. ამასობაში კი ჟილის მდგომარეობა თანდათან უარესდებოდა, გამუდმებით დუმდა, ზოგჯერ სახლიდანაც კი გარბოდა, როცა, მაგალითად, უკანასკნელ ამბებზე ოდილია საუბარს გააბამდა ფლორანთან, თავის ქმართან. თუ ტელევიზორს ჩართავდა, შესანიშნავ, სულ ახლახან ნაყიდ ტელევიზორს, რომელიც ორ პროგრამას გადმოსცემდა, ჟილი თავის ოთახში ჩაიკეტებოდა და მეორე დილამდე ფეხს არ გამოდგამდა იქიდან. იგი ყოველთვის უხიარული და ცეტი იყო, მაგრამ ახლა სულ მთლად გადარეულა იმ თავის პარიზში. საწყალი ჟილი!... როცა ოდილია თავზე ხელს გადაუსვამდა, საკვირველია და, არ გაურბოდა, მოფერების ნებას აძლევდა, ის კი არა, ფერხთითაც მიუჯდებოდა პატარა სკამზე და უხმოდ იჯდა ხოლმე, ვიდრე ოდილია ქსოვით იყო გართული, თითქოს მასთან ყოფნა შვებას გვრიდა. ოდილია კი რაღაზე არ ლაქლაქებდა, ბუნდოვნად გრძნობდა, რომ ჟილს აინუნშიც არ მოსდიოდა მისი ლაქლაქი, მაგრამ მშვიდდებოდა კია, როგორც გვამშვიდებს ხოლმე მარადიულ თემებზე საუბარი, იქნება ეს წლის დროთა ცვალებადობა, მოსავლისა თუ მეზობლების ამბები.

იმ საშინელი დღის შემდეგ, პარიზში რომ შეემთხვა, ჟილმა გადაწყვიტა გამგზავრებულიყო. და რადგან ფული არ ებადა, ვალები კი, იცოცხლე, ბლომად ჰქონდა, ესეც არ იყოს, ყოველ უცნობთან შეხვედრა უსიამოვნო შიშის გრძნობას აღუძრავდა, თავი მშობლების დაძველებულ სახლს შეაფარა, სადაც მათი სიკვდილის შემდეგ ოდილია სამუდამოდ დასახლდა თავის ქმართან, ფლორანთან ერთად. ეს უწყინარი ნოტარიუსი საქმეში ბავშვივით სათნო და უსუსური იყო, თავს ირჩენდა მხოლოდ საიჯარო გადასახადების შემოსავლით, ცოტაოდენი რენტით და ყოველდღიური მოვლენებისაგან მოწყვეტილი ცხოვრობდა. ჟილმა იცოდა, რომ თავის დასთან საშინლად მოეწყინებოდა, მაგრამ ეს ერთადერთი გამოსავალი იყო, რომ საკუთარ თავს გაქცეოდა, იმ უაზრო აღელვებას, რომელიც, როგორც გუმანით გრძნობდა, სულ უფრო ხშირად წამოუვლიდა, პარიზში რომ დარჩენილიყო. ყოველ შემთხვევაში, თუ აქ, მიწაზე დაიწყებს გორიალსა და კოტრიალს, ამის მოწმენი მხოლოდ ლიმუზენის მინდვრებზე გაშლილი ცხვრები იქნებიან და ისე არ შერცხვება, როგორც ამხანაგებისა და საკუთარი საყვარლის წინაშე გოდებისა და ქვითინის. ესეც არ იყოს, ერთადერთ სისხლით ნათესავთან — ლვიძლ დასთან ყოფნა ღვთის წყალობად მიაჩნდა. ყოველგვარი ნაალადეობა, ყოველგვარი პირფერობა და არაგულწრფელობა შიშის გრძნობას ეღვიძებდა. ახლა ვერა-

რავის წინაშე ველარ გაამტყუნებს საკუთარ თავს. პარიზის ბინა ელოიზას მისცა, გაზეთში ქანს გადაებარა თავისი საქმე —ორთავეს აღუთქვა, ერთ თვეში განკურნებული დავბრუნდებიო. მაგრამ აი, უკვე ორი კვირაა, რაც აქ არის და ლამის სასოწარკვეთილებაში ჩავარდეს. ბუნება აქ დიდებულია — ამას ხედავდა, მაგრამ ვერ შეიგრძნობდა. მშობლიური სახლი უდავოდ სიამოვნებას გვრიდა, მაგრამ ნუგეშს კი — არა, თითოეული ხე, თითოეული [illegible] თითოეული კუნჭული თითქოს ეუბნებოდა: „უწინ შენ აქ ბედნ[illegible] შენ მაშინ კარგი იყავი“, ახლა კი უჩუმრად მიიძურწებოდა ბალის ხეივანსა თუ სახლის დერეფნებში, თითქოს ქურდი იყო, გაძარცული ქურდი, რომელსაც ყველაფერი მოპპარეს, საკუთარი ბავშვობაც კი.

მზე ამოიწვერა და მწვანე ბორცვზე სინათლე დაიღვარა. ქილმა ცვრიან ბალახში ჩარგო სახე, თავი ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ მიაბრუნა. ნელა ისუნთქავდა მიწის სურნელს, ცდილობდა აღედგინა ის დაკარგული ბედნიერების განცდა, რომელიც ადრე თავისთავად მოდიოდა. მაგრამ ვაი, რომ ასეთი მარტივი სიხარულიც კი თურმე დაკვეთით არ მოდის. ქილს საკუთარი თავი ეზიზღებოდა. უნდა ითვალთმაქცოს, რომ ბუნება უყვარს, — იმ მამაკაცის მსგავსად, ვისაც აღარ სიამოვნებს ლოგინში იმ ქალთან წოლა, ვისაც ერთ დროს ვნებით ილტვოდა, აღარ სიამოვნებს გაიმეოროს ადრინდელი სიტყვები და ქცევა, რადგან ვნება გაუქრა, გული კი დახშვია და დუმს. ქილი წამოდგა. პულოვერი დასველებოდა, არ ესიამოვნა. სახლისაკენ გასწია.

ეს იყო ძველებური რუხი სახლი, ცისფერსახურავიანი, ორი პატარა სასაცილო თავხეთი, ჭეშმარიტად ლიმუზენური ყაიდის სახლი, რომელსაც წინა მხარეს ღია აივანი ჰქონდა, უკანა მხარეს კი — გორაკი. ეს იყო სახლი, სადაც წლის ყოველ დროს და ყოველ საათს ცაცხვის ყვავილის სურნელი და ზაფხულის ბინდბუნდი იდგა. ყოველ შემთხვევაში, ასე ეჩვენებოდა ქილს. აი, ახლაც იგივე იგრძნო, როცა სამზარეულოში შევიდა. თუმცაღა დილის სიგრილისაგან კანი აბუსხოდა, ოდილია უკვე ამდგარიყო. ხალათი მოეხურა და ყავას ადუღებდა. ქილმა აკოცა, მან კი ჩაიბუზღუნა. დილაადრიანად ცვრიან ბალახზე კოტრიალით სულ ადვილად შეიძლება ფილტვების ანთება დაიმართოო. მიუხედავად ასეთი საყვედურისა, ქილს მაინც სიამოვნებდა მის გვერდით ყოფნა, სიამეს გვრიდა ყავის, თავისი დის ოდეკოლონისა და ბუხარში მოშიშინე შეშის სურნელი. უნებლიედ მოესურვა იმ წითური კატის ადგილზე ყოფილიყო, რომელიც სკივრზე იწვა და სწორედ ახლა გაიზმორა, გაღვიძება ინება. „ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, აი, ნამდვილი ცხოვრება, მარტივი და მშვიდი!“ საუბედუროდ, საკმარისია რამდენიმე წუთით შეუერთდეს ამ მისთვის ძვირფას, ჩვეულებრივ ცხოვრებას, რომ მაშინათვე თავს დააცხრეს ამ ცხოვრებასთან განუყოფელი ჭირი და დავიდარაბა, ძაღ იციან მწვანარმა ძაღლებმაც. სამიოდ წუთით სულს მოათქმევინებენ დევნით დაქანცულ ირემს, რომ შემდეგ, ნადირობის ეშხზე მოსულებმა, ისევ წინ გაიგდონ ნადირი.

ამ დროს სამზარეულოში ფლორანიც შევიდა. მასაც ხალათი ცვია. ეს იყო ტანდაბალი, თავისი ცოლივით ჩამრგვალებული კაცი, მისი ვეებერთელა, ტბასავით ცისფერი თვალები, თითქოს შემთხვევით მოხვედრილიყო მისთანა ღაღაჟა სახეზე. მას ერთი სასაცილო ჩვევა ჰქონდა: უსათუოდ ხელების მოძრაობით უნდა გადმოეცა ყოველგვარი საუბრის შინაარსი. თუ

ლაპარაკი იყო ომზე, სახეზე ხელს მიიფარებდა, თუ სიყვარულზე — ტუჩებზე თითს მიიდებდა. ახლაც ქილი რომ დაინახა, ხელი ისე მაღლა ასწია და ისე ხმამაღლა შიესალმა, თითქოს მათ შორის მანძილი ასი ნაბიჯი ყოფილიყო.

—აბა, კარგად გეძინა, ძვირფასო? კარგი სიზმრები ნახე? — და ქილს შეთქმულივით შეხედა. იგი ჯიუტად არ იჯერებდა თავისი [illegible] ავადმყოფობას და მის მდგომარეობას მხოლოდ და მხოლოდ [illegible] სიყვარულს მიაწერდა. ქილის რწმუნებას, ასე არ არისო, არავითარი აზრი არ ჰქონდა. მშვიდი ნოტარიუსის თვალში ქილი იყო ქალების მუსუსი, რომელიც ამჯერად ბოროტმა ძალამ დააქამანდა. როგორც კი დაინახავდა ფლორანი გაცვეთილ შეზლონგზე მოკალათებულ ქილს, დასაწყნარებლად უთუოდ გაემასხრებოდა: „იგი წავა და სხვა მოვა...“ და თან ათივე თითს გაპარჭყავდა. ასეთი ხუმრობა ქილს ერთდროულად სიცილისა და სიბრაზის გრძნობას ჰგვრიდა და არაფერს პასუხობდა. როცა ჩაუფიქრდებოდა, გუნებაში, ცოტა არ იყოს, კიდეც სიამოვნებდა, ფლორანი რომ ვერაფერს ხვდებოდა მისი სულიერი მდგომარეობის შესახებ. ბოლოს და ბოლოს ეს შეიძლება სიმართლეც ყოფილიყო. თანაც ეს გაუგებრობა საქმეს როგორღაც ამსუბუქებდა, მსგავსად იმისა, ინფექციური სიყვითლით დაავადებულ ადამიანს მეგობარი რომ მოინახულებს, ბალიშზე ლიმონივით გაყვითლებულ სახეს დაინახავს, და წუხილს კი იმის გამო გამოთქვამს, რომ ავადმყოფი ქაჩლდება.

— რა დროა? — მხიარულად იკითხა ფლორანმა, — რვა საათია? შეხედეთ, რა მშვენიერი დღეა!...

ქილი შეკრთა, ფანჯრისკენ შებრუნდა. მართლაც რა დიდებული დღე ელის! ჯერ თავის დაიკო საყიდლებზე უნდა წაიყვანოს მეზობელ სოფელში. თავისთვისაც იყიდოს გაზეთები, ჟურნალები და სიგარეტები; იქიდან დაბრუნებული ტერასაზე მოყუჩდეს და სადილობამდის იკითხოს. შემდეგ ტყეში წავიდეს სასეირნოდ, ვახშმის წინ ფლორანთან ერთად დალიოს ვისკი და ადრე, ძალიან ადრე გაემართოს დასაწოლად, რათა ოდილიამ, რომელიც საღამოს რვა საათიდან ადგილს ვერ პოულობს, ბოლოს და ბოლოს ტელევიზორი ჩართოს. ქილმა თვითონაც არ იცოდა, ასე რად სიულდა ტელევიზორი. ერთი წუთით სინდისის ქენჯნა იგრძნო: რა უფლებით უშხამებს დას სიამოვნებას? ნუთუ ტელევიზორის ყურება ასეთი დიდი ცოდვაა? ოდილიას ისედაც არა აქვს დალხინებული ცხოვრება. იგი დისკენ დაიხარა.

— ამ საღამოს მეც თქვენთან ერთად ვუყურებ ტელევიზორს.

— უი, არა! — იუარა ოდილიამ .— ოღონდ დღეს არა. ჩვენ ყველანი ერთად მივდივართ რუარგებთან. ხომ გითხარი ამწინებზე.

— მაშინ მარტოდმარტო ვისიამოვნებ, — გაიხუმრა ქილმა.

— ხომ არ გაგიჟდი! — წამოიყვირა ოდილიამ. — შენც უნდა წამოხვიდე. ქალბატონი რუარგი ძალიან შემოგეხვეწა. იგი შენ ხუთი წლიდან გიცნობს.

— შენთან იმიტომ კი არ ჩამოვედი, სტუმრად ვიარო! — დაიღრიალა ქილმა. — მე აქ დასასვენებლად მოვედი. არ წამოვალ რუარგებთან, მორჩა და გათავდა.

— არა, წამოხვალ, უზრდელო! გული არა გაქვს, შე თავხედო შენმა...

ორთავენი ისე ღრიალებდნენ, თითქოს უცაბედად ის სიყრმის წლები დაბრუნებოდათ, ერთმანეთს რომ გაშმაგებით ეჩხუბებოდნენ, შეშინებული ფლორანი კი სასაცილოდ ცდილობდა მათ დაშშვიდებას, ტაქტიდან ამოვარდნილი

დირიჟორივით ხან უიმედოდ იქნევდა ორივე ხელს, ხან დამრიგებლურად სწევდა თითს, როგორც ეშხში შესული მქადაგებელი, მაგრამ ყველაფერი ამაო იყო. ქარიშხალი მთელი ხუთი წუთი მძვინვარებდა. რაღა არ იყო ჩარხსენიებული: გარდაცვლილი დედა, ჟილის თავზეხელაღებული ცხოვრება, ბოდილობის დაცვის მოვალეობა, ოდილიას გაუთავებელი სისულელეები — ეს უკანასკნელი შენიშვნა ჟილს ეკუთვნოდა. ოდილიამ ამ სიტყვებზე საოცარი ტირილი მორთო. ფლორანმა ცოლი გულში ჩაიკრა, ჟილს კი მუშტით დაემუქრა და მისი მისამართით კრივის სასაცილო ილეთი გააკეთა. შეწუხებული და დამარცხებული ჟილიც გადაეხვია ოდილიას და აღუთქვა, სადაც გინდა, იქ წამოგყვებიო. და კიდეც მიიღო ჯილდოდ: „მაინც შესანიშნავი ბიჭი ხარ". საღამოს რვა საათისათვის სამივენი ჩასხდნენ ფლორანის ძველ „სიტროენში", რომელიც ისე საოცრად მიჰყავდა ჟილის სიძეს, რომ მთელი ოცდაათი კილომეტრი ლიმოჟამდე ჟილს დრო არ ჰქონდა საკუთარი სულიერი განცდებისათვის, რადგან მის სიცოცხლეს დიდი საფრთხე ემუქრებოდა.

თავი II

ლიმოჟში ჯერ კიდევ შემორჩენილიყო რამდენიმე ცისფერი სასტუმრო ოთახი, რომლის მსგავსსაც სულ უფრო და უფრო იშვიათად შეხვდება კაცი. ბატონი რუარგის სასტუმროც ერთი ამ უკანასკნელ ნიმუშთაგანი იყო. მრავალი წლის წინათ მთელი ლიმოჟის მოსახლეობა დიდად გატაცებული იყო ცისფერი ხავერდით და ზოგიერთ ოჯახს (ფინანსური მდგომარეობისა თუ წარსულისადმი ერთგულების მიზნით) არ შეეცვალა მოწყობილობა. როგორც კი ჟილმა ფეხი შედგა რუარგების სასტუმროში, მაშინათვე მოეჯარა ბავშვობის დროინდელი მოგონებები — აქ გატარებული უამრავი საღამო, უამრავი საათი, როცა რბილ პუფზე იჯდა მშობლების მოლოდინში, და უამრავი ღია ცისფრად შეფერილი ოცნება. მაგრამ გონს მოსვლა ვერ მოასწრო, რომ თმაჭაღარა, ვარდისფერლოყება მოხუცებული დიასახლისი გადაეხვია და გულში ჩაიკრა.

— ჟილ, ჩემო ძვირფასო ჟილ! ოცი წელი იქნება არ მინახიხართ! მაგრამ არ იფიქროთ... მე და ჩემი ქმარი მუდამ ვკითხულობთ თქვენს წერილებს, თვალს ვადევნებთ ყოველ თქვენს გამოსვლას.. რა თქმა უნდა, ყველაფერში არ გეთანხმებით, რადგან ყოველთვის ვიყავით ცოტა კონსერვატორები, — დაუმატა მან, თითქოსდა თვითონვე აღიარებდა ამ უწყინარ ახირებას, — მაგრამ ვკითხულობთ კი ინტერესით... დიდი ხნით ჩამოხვედით? ოდილიამ თქვა, თითქოს სისხლნაკლულობა გაწუხებთ... ძალიან სასიამოვნოა თქვენი ნახვა... წამობრძანდით, სტუმრებს გაგაცნობთ...

ნირწამხდარმა, გაოცებულმა ჟილმა მორჩილად მისცა მოხუცებულ ქალს მოფერების, ხელის მოთათუნების, ქება-დიდების უფლება. სასტუმროში უამრავი ხალხი ირეოდა. სკამზე მხოლოდ სამი მოხუცებული იჯდა, დანარჩენები ფეხზე იდგნენ და ისე საუბრობდნენ. ჟილი სასოწარკვეთილებამ მოიცვა: დას მრისხანე მზერა ესროლა, მაგრამ აღფრთოვანებული ოდილია ქარივით დაჰქროდა სასტუმრო ოთახში, მხოლოდ დროდადრო თუ შეჩერდებოდა ვიღაც უცნობი ადამიანების წინაშე და მხიარულად შემოეხვეოდა კისერზე. „რა-

მდენი ხანია აქ არ ვყოფილვარ? — ფიქრობდა ჟილი, — ღმერთო ჩემო, მამის გარდაცვალების შემდეგ აღარ ჩამოვსულვარ — მაშასადამე, უკვე თხუთმეტი წელია. ან ახლა რა მინდა აქ?" იგი დიასახლისს მიჰყვა, ხელზე ეამბორა ათიოდე ქალს, ხელი ჩამოართვა თორმეტიოდე სტუმარს, ვითომდა ღიმილით, სინამდვილეში კი ვერავისაც ვერ არჩევდა, თუმცა ქალებიდან ბევრი მოხდენილი და ძვირფასად ჩაცმული იყო. ბოლოს და ბოლოს სავარძელში მჯდომი ერთ-ერთი მოხუცის გვერდით მოკალათდა, რომელმაც უპირველეს ყოვლისა განუცხადა, განსვენებული მამათქვენის ძველი მეგობარი ვარო; შემდეგ კი ჰკითხა, რა აზრისა ხართო ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ მდგომარეობაზე, და თითონვე მოჰყვა ამ მდგომარეობის გარჩევას. მოხუცისაკენ ოდნავ დახრილ ჟილს ისეთი გამომეტყველება მიეღო, თითქოს უსმენსო. სწორედ ამ დროს ქალბატონმა რუარგმა სახელოზე მოჭაჩა.

— ედმონდ, — წამოიძახა მან, — ნუ აწუხებთ ჩვენს ახალგაზრდა მეგობარს. ჟილ, მინდა გაგაცნოთ ქალბატონი სილვენერი. ნატალი, გაიცანით, ჟილ ლანტიე.

ჟილი შემობრუნდა და მაღალი, საოცრად ლამაზი ქალის პირისპირ აღმოჩნდა, რომელიც ღიმილით შეჰყურებდა. ქალს ქერა თმა, მწვანე თვალები, თამამი და თანაც კეთილი გამომეტყველება ჰქონდა. მან გაუღიმა, დაბალი ხმით თქვა: „გამარჯობათ", — და მაშინვე გაშორდა. ჟილმა ცნობისმოყვარე თვალი გააყოლა ამ ქალს, რომლის იერი საოცრად არ ეხამებოდა ძველებური სასტუმრო ოთახის გახუნებულ ცისფერ ხავერდს, ვით გიზგიზა ცეცხლის ალი.

— ეს პრესტიჟის საქმეა... — ისევ ადუდღუნდა დაუღალავი მოხუცი. — ო, თქვენ მშვენიერ ქალბატონ სილვენერს შესციცინებთ? ჩვენი ქალაქის დედოფალი გახლავთ!... ეჰ, თქვენსავით ახალგაზრდა ვიყო!.. რაც შეეხება ჩვენს საშინაო პოლიტიკას, უნდა ითქვას, ისეთი ქვეყანა, როგორიც საფრანგეთია...

ვახშამი უსაშველოდ გაჭიანურდა. ჟილი მაგიდის ერთ მხარეს იჯდა, მშვენიერი ნატალის პირისპირ და დროდადრო მის მშვიდ, ჩაფიქრებულ მზერას იჭერდა, დიახაც რომ არ ეგუებოდა მის თავდაჭერას. ქალბატონი სილვენერი ბევრს ლაპარაკობდა და მის ირგვლივ მყოფთ აცინებდა. ჟილი ოდნავ დაცინვით შესცქეროდა მას. ალბათ თავი მართლაც ლიმუზენის დედოფალი ჰგონია და უნდა ჩამოსულ პარიზელსაც, თანაც ჟურნალისტს, თავი მოაწონოს. იდრე პროვინციის პროკურორის ცოლთან ორკვირიანი რომანი მშვენიერი თავშესაფცევი იქნებოდა ჟილისათვის, რომ მერე, პარიზში დაბრუნებულს, ბალზაკისეულად აღეწერა ეს ამბავი თავისი მეგობრებისათვის, მაგრამ ახლა სასიყვარულო თავგადასავლების ოდნავი სურვილიც არ ჰქონდა. იგი სუფრაზე დაწყობილ თავის გამხდარ ხელებს დასჩერებოდა და ერთი სული ჰქონდა, რაც შეიძლება მალე გასცლოდა აქაურობას.

როგორც კი სუფრიდან აიშალნენ, ჟილი პატარა ბავშვივით აეტუზა ოდილიას, და ოდილიამ დაინახა, როგორ გამოეხლართა ჟილს სახე, როგორ უკანკალებს ხელები, რა მუდარით იყურება მისი თვალები. ოდილია პირველად ახლა ჩაფიქრა და მართლა შეაშინა ჟილის მდგომარეობამ. მან ბოდიში მოუხადა ქალბატონ რუარგს, ძალით წამოათრია შექეიფიანებული ფლორანი და სამივენი დაუმშვიდობებლად, „ინგლისურ ყაიდაზე" გაიპარნენ, რამდენადაც

ეს შესაძლებელი იყო პროვინციულ სასტუმროში. მანქანაში ქილი ერთიანად ცახცახებდა და ფრჩხილებს იკვნეტდა, გულში ფიცს სდებდა, მეორედ აღარ გავბრიყვდები, ფეხს აღარსად გავდგამო.

რაც შეეხება ნატალი სილვენერს, მას პირველი ნახვისთანავე შეუყვარდა ქილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი III

ქილ ლანტიე თევზაობდა, უფრო სწორად, თანაგრძნობით შესცქეროდა ფლორანს, რომელიც რა ხრიკს არ მიმართავდა, თევზები რომ თავისი საზიზღარი ჭიაყელებით მიეტყუებინა, მაგრამ თევზები უფრო ეშმაკები გამოდგნენ. შუადღის პირი იყო, მზე გვარიანად აცხუნებდა. მეთევზეებმა სვიტერები გაიხადეს და ამდენი ხნის შემდეგ ქილმა თითქმის პირველად იგრძნო ნეტარება. წყალი საოცრად გამჭვირვალე იყო, იგი მუცელზე იწვა და მდინარის ფსკერზე ნაირფერ კენჭებს ათვალიერებდა, თვალს ადევნებდა თევზების მომაჯადოებელ ფერხულს, რომლებიც ესეოდნენ ფლორანის ანკესს, მოხერხებულად გლეჯდნენ სატყუარას და მერე მხიარულად მიჰყვებოდნენ დინებას; მეთევზე კი ცარიელ ანკესს „სხეპდა" და თან იგინებოდა.

— მეტისმეტად მსხვილი ანკესი გაქვს, — შენიშნა ქილმა.

— ასეთი უნდა სწორედ ციმორს! — გული მოუვიდა ფლორანს. — რას დამცინი, მოდი და თვითონ სინჯე.

— არა, გმადლობთ, — ზანტად გაეპასუხა ქილი, — მე ასეც მშვენივრად ვგრძნობ თავს. მოიცა, ეს ვიღაა?

იგი შეშინებული წამოხტა: ბილიკზე ვიღაც ქალი მოდიოდა პირდაპირ მათკენ. ქილმა თვალი მიმოავლო იქაურობას, სად შეიძლება დამალულიყო, მაგრამ მდინარის ნაპირზე მხოლოდ სწორი მინდორი იყო გადაჭიმული. მოახლოებული ქალის თმა მზეზე ლივლივებდა და ქილმა მაშინათვე იცნო იგი.

— ეს ნატალი სილვენერია! — წამოიძახა ფლორანმა და ყურებამდე გაწითლდა.

— შენ რა, შეყვარებული ხომ არა ხარ? — გაეხუმრა ქილი, მაგრამ როგორც კი სიძის გაგულისებულ მზერას წააწყდა, უმალ დადუმდა.

ნატალი სილვენერი სულ ახლოს მივიდა, იგი საოცრად მომხიბვლელი იყო — მოხდენილი, სახემლიმარი, მზისაგან მოჭუტული თვალები უფრო მწვანე უჩანდა, ვიდრე მაშინ, იმ საღამოს.

— მე თქვენთან ოდილიამ გამომგზავნა. ამას წინათ შევპირდი, მოვალმეთქი, და სიტყვა არ გავტეხე. როგორ არის საქმე, თევზი კარგად ეტანება?

მეთევზეები წამოდგნენ. ფლორანმა საცოდავად ანიშნა თავის ვედროზე, რომელშიც ერთადერთი გაბრიყვებული თევზი კინკილებდა. ქალბატონმა სილვენერმა გადაიკისკისა და ქილს მიუბრუნდა:

— თქვენ, თქვენ მხოლოდ მაყურებელი ხართ?

ქილმა პასუხის ნაცვლად გაიცინა. ნატალი პირდაპირ მიწაზე დაჯდა, მეთევზეების გვერდით. მას ტყავის ყავისფერი ქვედატანი, ყავისფერი პულოვერი და დაბალქუსლიანი ფეხსაცმელი ეცვა. იგი გაცილებით უფრო ახალგაზრდა და ნაკლებ „მაცდური" ჩანდა, ვიდრე წინა შეხვედრაზე. „ოცდა-

თხუთმეტი წლის იქნება“, — ვარაუდით განსაზღვრა ჟილმა. ეს ქალი ახლა ნაკლებ აშინებდა, უფრო სწორად, აღარ ეუცხოებოდა.

— აბა, მაჩვენეთ თქვენი ნიჭი, — უთხრა ნატალიმ ფლორანს, და მაშინვე იგივე ამბავი გამეორდა.

უეცრად სახტად დარჩნენ, დაინახეს, როგორ ჩაიძირა ტივტივა. ფლორანმა მოსხიპა ანკესი, მაგრამ ამაოდ — ანკესის კაუჭი ჯერ ცარიელი ქანაობდა. ჟილი ახარხარდა, ფლორანმა კი ანკესი ძირს დაახეთქა და ყასიდი გამძვინვარებით ფეხით შედგა.

— მოთმინების ფიალა აივსო! შინ ვბრუნდები! — წამოიძახა მან. — წავალ და, თუ გნებავთ, კოკტეილ „პორტო-ფლიპს“ მოგიმზადებთ.

—„პორტო-ფლიპს?“ — გაიოცა ჟილმა. — კიდევ არსებობს ასეთი კოკტეილი?

ჟილი და ქალბატონი სილვენერი ერთხანს სიცილით გასცქეროდნენ, როგორ მიბაჯბაჯებდა ფლორანი მთაზე თავისი ორი ანკესით, საკეცი სკამითა და ვედროთი, მაგრამ როგორც კი თვალს მიეფარა და ისინი მარტონი აღმოჩნდნენ, ორივე შეცბა. ჟილმა ბალახის ღერო მოგლიჯა და წაწიწკნა. იგი გრძნობდა ამ ქალის დაჟინებულ მზერას და უეცრივ თავში მზაკვრულმა აზრმა გაჭკრა, საკმარისია ხელი გაიწვდინოს... რით უპასუხებს ნატალი, კოცნით თუ სილით, — ჟილმა არ იცოდა, მაგრამ დარწმუნებული იყო, მათ შორის რაღაც მოხდებოდა. ჟილი უკვე გადაეჩვია გაურკვეველ მდგომარეობას — პარიზში ყველაფერი აშკარად, შეუნილბავად ხდებოდა, მისდათავად. მან ჩაახველა და ზემოთ აიხედა. ნატალი ჩაფიქრებული შეჰყურებდა, როგორც იმ წყეულ ვახშამზე.

— ჩემი და და თქვენ კარგი მეგობრები ხართ?

— არა. სიმართლე რომ გითხრათ, გაუკვირდა ჩემი მოსვლა.

ნატალი დადუმდა. „შესანიშნავია. — გაიფიქრა ჟილმა, — ჰასუხად ალბათ კოცნა ეკუთვნოდა, პროვინციებშიც არ კარგავენ დროს უქმად“. მაგრამ ამ ქალს ჰქონდა რაღაც ისეთი, რაიც ჟილის ცინიზმს ლაგამს სდებდა.

— რისთვის მოხვედით?

— თქვენი ნახვა მინდოდა, — მშვიდად მიუგო ნატალიმ. — მაშინვე მომეწონეთ და კვლავ მომინდა ერთხელ კიდევ მენახეთ.

— ეს თქვენი მხრივ დიდად მოსაწონია.

მისი ხმის მშვიდი და მხიარული კილო გარკვევით აბნევდა ჟილს. იგი შემცბარი იყურებოდა.

— იმ საღამოს ადრე რომ წახვედით, მაშინვე ჭორაობას მოჰყვნენ თქვენზე, თქვენს ნერვულ დაავადებაზე... ეს ძალიან თავშესაქცევი იყო; ფროიდი, ისიც პროვინციაში, — მართლაც საოცრებაა.

— და იმის შესამოწმებლად მოხვედით, ასეა თუ არა?

ახლა ჟილი ნამდვილად გაცოფებული იყო. თურმე მასზე ყბედობენ, როგორც ავადმყოფზე, და ქალიც უბოდიშოდ ეუბნება ამ ამბავს.

— მე ხომ გითხარით, თქვენს სანახავად მოვედი-მეთქი. მე არაფერი მესაქმება თქვენს სნეულებასთან. წავიდეთ, „პორტო-ფლიპი“ დავლიოთ.

ნატალი მსუბუქად წამოხტა, ჟილი ისევ იწვა და უცბად ძალიან დასწყდა გული, რომ ყველაფერი ასე დამთავრდა. დაშვებული წამწამებიდან შესცქეროდა ქალს, შესცქეროდა გაჯავრებული და თანაც ნაწყენი, თვითონაც კარ-

გად იცოდა, რა საოცრად შვენოდა ასეთი გამოხედვა. ნატალი სწრაფად დაეშვა მუხლებზე, ქილის თავი ხელებში მოიმწყვდია, სახე სულ ახლოს მიუტანა და ამოუხსნელი ლიმილით გაულიმა.

— რა გამხდარი ხარ! — უთხრა მან.

ისინი დაქინებით ჩასცქეროდნენ ერთმანეთს. — „ახლა რომ მოკვდეს, — ფიქრობდა ქილი, — მორჩა ყველაფერი! აღარასოდეს აღარ შეეხვდები. საწყენი კი იქნება, ძალიან საწყენი". ამ სულელურმა აზრმა ელვის სისწრაფით გაუელვა თავში და უცებ გული აუძგერა, მაგრამ ნატალი უკვე ფეხზე იყო და ქვედატანს იფერთხავდა, მისთვის ზედაც არ შეუხედავს. ქილიც წამოდგა და უკან გაჰყვა. შუა გზაზე წამით შეჩერდა. ნატალიმ უკან მოხედა.

— მომისმინეთ, თავს ცოტა ხომ არ იგიჟიანებთ? — ჰკითხა ქილმა.

ნატალის სახეზე მკაცრი იერი აღებეჭდა და უეცრად ათი წლით დაბერდა, თავი გადააქნია:

— სულაც არა.

სახლამდის ერთმანეთისათვის სიტყვა არ უთქვამთ. „პორტო-ფლიპი" საკმაოდ ცივი იყო. ოდილია ფუსფუსებდა, ღელვისაგან კიდეც წამოჭარხლებულიყო — ნატალი სილვენერი მათ მხარეში სახელოვანი პიროვნება გახლდათ, — ფლორანმა სტუმრის პატივსაცემად სუფთა ჭურთუკიც კი ჩაიცვა. სტუმარი კიდევ ნახევარ საათს დარჩა, ზედმიწევნით თავაზიანი იყო, ბევრი ილაპარაკა, შემდეგ ქილმა მანქანამდე მიაცილა. ნატალი შეჰპირდა, ხვალ დღისით აუცილებლად გამოგივლით, რაკილა ასე გინდათ ქალაქის მუზეუმში მატისის გამოფენა დაათვალიეროთო. მთელი საღამო ქილი პირქუშ, ღვარძლიან განწყობილებაზე იყო და დასაძინებლად ჩვეულებრივზე ადრე დაწვა. „ეს რაღა გამომიტყვრა? რისთვის ავიკიდე ეს დავიდარაბა? ყველაფერი ლიმოქის გარეუბნებში სოფლური საროსკიპოთი დამთავრდება და თავს შევირცხვენ. ხვალ კიდევ ორი საათი გადაილიე გული მუზეუმში ხეტიალით. ხომ არ შევიშალე ნეტავ?" ძალიან ადრე გამოეღვიძა და როგორც კი გაახსენდა, რა მოელოდა, ჯავრისაგან გული შეეკუმშა. მწარედ ინანა, ჩვეულებრივი მოწყენილობა რომ დაურღვიეს, რომელიც ასე უვსებდა დღეებს. მაგრამ სახლში ტელეფონი არ იყო და ნატალი სილვენერი ვერ გააფრთხილა. ქილი იძულებული იყო ნატალის დალოდებოდა.

თავი IV

— რას იტყვით? — ჰკითხა ქილმა. — კმაყოფილი ხართ?

იგი ზურგზე გადაწვა, მთლად ოფლში გახვითქული, სულშეხუთული, დამცირებული. დამცირებას უფრო იმიტომაც გრძნობდა, რომ ნატალის უსამართლოდ უსაყვედურა, — აკი თვითონ შეიტყუა ამ საწოლში! ისინი ჩაის სვამდნენ გზისპირა სასტუმროში; ქილმა დიასახლისს ფული შეაჩეჩა და ეს უბადრუკი ოთახი მიიღო. როცა ეს ამბავი ნატალის ამცნო, ქალს წარბიც არ შეუხრია, საწინააღმდეგოდ სიტყვა არ უთქვამს, მაგრამ არც არაფრით შეუწყვია ხელი. ახლა იგი მის გვერდით იწვა გაშიშვლებული, დამშვიდებული და თითქმის გულგრილი.

— კი მაგრამ, რითი უნდა ვიყო კმაყოფილი? ისე გაბოროტებული იყურებით...

ნატალი ილიმებოდა. ქილმა მკვახედ წამოიძახა:

— მამაკაცისათვის, დამეთანხმებით, ეს მაინცდამაინც სასიამოვნო არაა.

— არც ქალისათვის, — დინჯად მიუგო ნატალიმ. — მაგრამ ხომ იცოდი წინასწარ, რომ სწორედ ასე მოხდებოდა, თუმცა მეც [illegible] შენ განზრახ დაიკავე ეს ოთახი. გიყვარს, როცა მარცხი მოგდის, ხომ მართალია? — ეს მართლაც ასე იყო. ქილმა გაშიშვლებულ მხარზე ჩამოიდო თავი და თვალები დახუჭა. უეცრად საოცარი სიცარიელე და სიმშვიდე იგრძნო, როგორც თავდავიწყებული ალერსის შემდეგ. ეს ოთახი, ეს ჭრელაჭრელა ფარდები, ეს საზიზღარი სკივრი არაფერს არ ესადაგებოდა — არც დროს, არც მას და არც შექმნილ ვითარებას.

— კი მაგრამ, რისთვის დამთანხმდი? — შეეკითხა დაბნეული ქილი. — თუ იცოდი...

— ვფიქრობ, კიდევ ბევრ რამეზე მომიწევს დათანხმება შენი გულისთვის, — უთხრა ქალმა.

სიჩუმე გამეფდა. შემდეგ ნატალიმ ჩუმად თქვა: „მომიყევი", — და ქილიც მოუყვა პარიზზე, ელოიზაზე, მეგობრებზე, სამუშაოზე, უკანასკნელ თვეებზე. ასე ეგონა, წლებიც არ ეყოფოდა იმისათვის, რომ ყველაფერი მოეთბრო... რომ თავისი ამბავი აღეწერა. ნატალი გულისყურით უსმენდა, მხოლოდ დროდადრო თუ მოუკიდებდა ორ სიგარეტს და ერთს ქილს გაუწოდებდა. შვიდი საათი ხდებოდა, მაგრამ ნატალი თითქოს არ ფიქრობდა დროზე. იგი არ ეხებოდა ქილს, თავზე ხელს არ უსვამდა, არც თმას უსწორებდა, უძრავად იწვა და გაშიშვლებული მხარი ალბათ კიდევაც დაუბუჟდა.

ბოლოს ქილი გაჩუმდა, თავი ოდნავ უხერხულად იგრძნო, იდაყვს დაეყრდნო, წამოიწია და ნატალის შეხედა. ნატალი ყურადღებით ათვალიერებდა, გარინდებული იწვა, დადინჯებული სახე ჰქონდა, ჩაფიქრებული. მოულოდნელად გაიღიმა. „კეთილი ქალია, — გაიფიქრა ქილმა. — საოცრად კეთილი". და ამ ნათელმა სიკეთემ, რომელიც მას ეკუთვნოდა, იმ ამბავმა, რომ ვიღაც გულწრფელადაა დაინტერესებული მისით, თვალზე ცრემლი მოჰგვარა. ეს ცრემლი რომ დაეფარა, დაიხარა და ნაზი კოცნით შეეხო ნატალის მოღიმარ ტუჩებს. მის ღაწვებს, მის დახრილ ქუთუთოებს. ბოლოს და ბოლოს არც ისეთი უძლური აღმოჩნდა. ნატალის თითები ჩაებღაუჭა მის მხრებს.

შემდეგ, მოგვიანებით იგონებდა ქილი, რომ სწორედ ნატალის სიკეთეზე ფიქრმა მისცა მაშინ ძალა პირველად დაუფლებოდა ამ ქალს. და ის, ვისთვისაც ეროტიკა არასოდეს ყოფილა დაკავშირებული სიკეთესთან, ის, ვისაც უფრო აღაგზნებდა სიტყვები: „ეს ნამდვილი კახპაა", მოგვიანებით, უნდა ითქვას, საკმაოდ მოგვიანებით, მყის დაცქვეტდა ყურებს, როცა ვინმე მისი თანდასწრებით დაუდევრად იტყოდა: „ეს კეთილი გოგოაო". ახლა იგი ღიმილით შესცქეროდა ნატალის — თუმცა ერთგვარი თვითმაყოფილებითაც, და ბოდიშს უხდიდა, მისი ალერსი რომ ასე უხეში იყო. ნატალი საწოლთან იდგა და ტანთ იცვამდა. უეცრად თავი ქილისკენ მიაბრუნა და ლაპარაკი შეაწყვეტინა:

— ვერ ვიტყვი, დიდად წარმტაცი იყო-მეთქი, მაგრამ შენ ხომ უკეთ გრძნობ თავს? ხომ გათავისუფლდი იმ რაღაც ჯადოსგან?

ჟილი წამოხტა. არ იცოდა, გაჯავრებულიყო თუ არა.

— შენ ყოველთვის ვალდებულად თვლი თავს ამგვარი სიმართლე ილაპარაკო?

— არა, — უპასუხა მან, — პირველად ვამბობ.

ჟილმა გაიცინა და ისიც ადგა. უკვე რვის ნახევარი იყო, ნატალის აშკარად აგვიანდებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დღეს მიდიხარ წვეულებაზე?

—არა, შინ ვსადილობ. ფრანსუა ალბათ ღელავს.

— ფრანსუა ვინაა?

— ჩემი ქმარი.

გაოცებული ჟილი მხოლოდ ახლა მოეგო გონს: „მე კი აზრადაც არ მომსვლია, რომ გათხოვილია". ჟილმა არაფერი იცოდა მის ცხოვრებაზე, მის წარსულსა და აწმყოზე. ამას წინათ ოდილია შეეცადა ჟილისათვის ეცნობებინა საზოგადოების ჭორები ნატალიზე, მაგრამ მან ყურიც არ ათხოვა, ეუხერხულა.

— შენს ცხოვრებაზე არაფერი ვიცი, — წაიბურტყუნა ჟილმა.

— ერთი საათის წინ არც მე ვიცოდი შენზე არაფერი. თუმცა არც ახლა ვიცი ბევრი რამ.

ნატალიმ გაუღიმა და ამ ღიმილით მონუსხული ჟილი ერთ ადგილზე გაქვავდა. არა, არა, სწორედ ახლავე, ამწუთისავე უნდა დაიხიოს უკან, თუ ეს საჭიროა. ეს კი საჭიროა: იგი ვერ შეიყვარებს ვერავის, რადგან არც საკუთარი თავის სიყვარული შეუძლია. იგი მხოლოდ ტანჯვას მიაყენებს. საკმარისია უხეშად გაეხუმროს, რომ ნატალის მაშინათვე აღეძრეს მისადმი ზიზღი. მაგრამ ამაზე ფიქრი უკვე აღარ სიამოვნებდა, თუმცა ამავე დროს ამ ქალის თამამი, გულწრფელი, მრავლისაღმთქმელი ღიმილიც აშინებდა. ჟილმა ჩაიბურტყუნა:

— იცი, მე ხომ...

— ვიცი, — დინჯად უთხრა მან. — მაგრამ მე უკვე მიყვარხარ.

ერთი წუთით ჟილი აღშფოთდა, თითქმის გაგულისდა. უცაცრავად, მაგრამ ეს რა წესია! ხომ არ შეიძლება მთელი შენი ავლადიდებით პირველსავე შემხვედრს დანებდე! არა, ნამდვილი გიჟია! რაღა აზრი აქვს ცდუნებას, თუკი თავადვე აცდუნა საკუთარი თავი. მოდი და შეიყვარე ასეთი ქალი, პირველი წუთიდანვე რომ გააშიშვლებს თავის გრძნობებს. ამით კი ყველაფერი წაახდინა, თამაშის ყოველგვარი წესი დაარღვია. და მაინც ჟილს მოსწონდა ამ ქალის გულუხვი ბუნება, გაბედულება.

— საიდან იცი? — ჰკითხა ჟილმა ისევე დაუდევრად და ალერსიანად. და ნატალის შემხედვარემ უნებლიეთ გაიფიქრა, რა საოცრად ლამაზია, მხოლოდ სიყვარულისთვის დაბადებული! შესაძლოა კიდეც დასცინის ჟილს. ნატალი, თავის მხრივ, თვალს არ აშორებდა ჟილს და უეცრად სიცილით წაილაპარაკა:

— გეშინია, სიმართლე რომ გითხარი, და თან იმისიც გეშინია, ვაითუ სიმართლე არ იყოს, — ხომ მართალია?

ჟილმა თავი დააქნია, გულში ხარობდა, ნატალი რომ მიუხვედა.

— ჰოდა, მე სიმართლე გითხარი. წაგიკითხავს ოდესმე რუსული რომანე-

ბი? ორი შეხვედრის შემდეგ ვაჟი ეუბნება ქალს: „მე თქვენ მიყვარხართ“. ეს მართლაც ასეა და თხრობა ტრაგიკულად მთავრდება.

— კი მაგრამ, რა ტრაგიკულ დასასრულამდე უნდა მიგვიყვანოს ჩვენმა დამოკიდებულებამ აქ, ლიმოჟში?

— არ ვიცი, და რუსული რომანების გმირებისა არ ეყოს, ეგ ჩემთვის სულ ერთია. აბა, აჩქარდი.

ჟილი ნატალისთან ერთად გამოვიდა, თავს უფრო დაწყნარებულად გრძნობდა: ნაკითხ ქალთან ყოფნა ყოველთვის გამშვიდებს — ასეთი ქალი იდუმლად გრძნობს, რა ელის ან მას და ან მის წყვილს. ჩამავალ მზეს დაეფინა ირიბი ჩრდილები, ვარდისფერი შუქი ელვრებოდა თივის ზვინებს. ჟილი კმაყოფილი შესცქეროდა გვერდიდან ახალი საყვარლის ნაზ სახეს. ბოლოს და ბოლოს იგი მართლაც ლამაზი იყო, ლამაზი იყო მდელოებიც, ჭალებიც. თვითონ ჟილმაც, თუმც ბრწყინვალედ არა, მაინც გამოიჩინა თავი, როგორც მამაკაცმა, და ნატალიმ უთხრა, მიყვარხარო. ნევრასთენიკისათვის ეს არც ისე ცუდი იყო. ჟილმა გაიცინა, ნატალი მისკენ შებრუნდა.

— რას იცინი?

— ისე. კმაყოფილი ვარ.

ნატალიმ უეცრად შეაჩერა მანქანა, ჟილს ქურთუკის საყელოში მაგრად ჩასჭიდა ხელი და შეაჯანჯღარა. ეს ყველაფერი ისე უეცრად მოხდა, ჟილმა გონს მოსვლა ვერ მოასწრო.

— კიდევ თქვი. გაიმეორე. თქვი, რომ კმაყოფილი ხარ, — ეს სიტყვები ნატალიმ რაღაც სხვანაირად წარმოთქვა — მომთხოვნ, ძლიერ, ვნებიან კილოზე. და ჟილს უეცრად სურვილმა მოუარა. იგი მაჯებზე უჭერდა, უკოცნიდა ხელებს და შეცვლილი ხმით იმეორებდა: „მე კმაყოფილი ვარ, კმაყოფილი. კმაყოფილი“. ნატალიმ თითები გაშალა და უხმოდ წაიყვანა მანქანა. სახლამდის თითქმის ხმა არ ამოუღიათ. და როცა ჟილი ალაყაფის კართან გადმოვიდა, ერთმანეთისთვის პაემანი არ დაუნიშნავთ. მაგრამ საღამოს საწოლში ჟილს გონებიდან არ სცილდებოდა ის უცნაური წუთები გზის პირას და ღიმმორეული ფიქრობდა, რომ ეს საოცრად ჰგავდა ვნებას.

თავი V

რამდენიმე დღე ჟილს ნატალისგან არავითარი ამბავი არ მოსვლია და ეს ოდნავადაც არ გაკვირვებია. ადვილი შესაძლებელია, იგი ქალბატონ სილვენერისათვის შემთხვევითი ამბავი იყო, თან არცთუ ისე სასიამოვნო; მიყვარხარო, კი თავაზიანობის გამო უთხრა, სულელური ბურჟუაზიული ზრდილობის გამო, ან იქნებ უბრალოდ ასეთი მანია სჭირს. ასეა თუ ისე, ჟილს ცოტა არ იყოს გული დაწყდა და ამან კიდევ უფრო გაამძაფრა მისი ჩვეულებრივი სევდა. თავისიანებს თითქმის აღარ ელაპარაკებოდა, პირს დღეგამოშვებით იპარსავდა, ცდილობდა წიგნები ეკითხა, ოღონდ რუს მწერლებს გაურბოდა.

მეხუთე დღეს, თორმეტის შემდეგ, როცა კოკისპირულად წვიმდა და ჟილი გაუპარსავი მოკუნტულიყო დივანზე, სასტუმრო ოთახში მოულოდნელად ნატალი შემოვიდა და მის გვერდით ჩამოჯდა. იგი დაეინებით შესცქე-

როდა ქილს; ქილი ხედავდა მის ფართოდ გახელილ მწვანე თვალებს, გრძნობდა წვიმის სურნელს, ნატალის შალის კაბას რომ ასდიოდა. როგორც იქნა, ნატალიმ დაძაბული ხმით ნაწყვეტ-ნაწყვეტ დაიწყო ლაპარაკი და ქილმა მაშინვე საოცარი შვება იგრძნო.

— არ შეგეძლო ტელეფონზე დაგერეკა? ან მოსულიყავი?

— მე არც ტელეფონი მაქვს და არც მანქანა, — მხიარულად უპასუხა ქილმა და ხელზე წაეტანა.

მან ცივად გამოგლიჯა ხელი.

— ხუთ დღეს გელოდი, — ჩაიჩურჩულა ნატალიმ. — ხუთ დღეს ველოდი გაჩეჩილ, გაუპარსავ ადამიანს, ის კი ზის და კროსვორდებს ხსნის.

ნატალი სიბრაზისაგან წონასწორობიდან იყო გამოსული, ამან კი ქილი უფრო გააცარა, ვიდრე მოსალოდნელი იყო. საოცარია და, ალბათ პირველად იყო, ქილი რომ არ ულოცავდა თავის თავს ამ წარმატებას და მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, როგორ შეცდა ნატალის ხასიათის შეფასებაში. იგი თავის მართლებას შეეცადა:

— არ ვიყავი დარწმუნებული, რომ ჩემი ნახვა გინდოდა.

— მე ხომ გითხარი, მიყვარხარ-მეთქი, — უკმეხად მიუგო ნატალიმ, — გითხარი თუ არა?

და ისე სწრაფად გაემართა კარისაკენ, ქილი ძლივს დაეწია შესასვლელში, როცა ლაბადას იცვამდა, ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო ოდილია ან მზარეული ქალი შემოსულიყო, მაგრამ ქილი მაინც მოეხვია. მინებზე წვიმის კაკუნი, განრისხებული ქალი, მისი მოულოდნელი გამოჩენა, კიბის ქვეშ დაწყობილი შეშის სუნი, ოთახის სიმყუდროვე — ყველაფერმა ამან გააბრუა ქილი. იგი უხმოდ კოცნიდა ნატალის. მას კი ჯიუტად დაეხარა თავი. მაგრამ უეცრად აიხედა და თვითონვე შემოეხვია კისერზე. ქილმა ყოველგვარი სიფრთხილის გარეშე წაიყვანა თავისი ოთახისაკენ, იმ უტიფარი სითამამით, რასაც სურვილი წარმოშობს. და ამიერიდან ნამდვილი საყვარლები გახდნენ, ისეთი საყვარლები, როგორიც შეიძლება იყვნენ სიყვარულისთვის დაბადებული და სიყვარულში გამოცდილი ადამიანები. ასე დაიბრუნა ქილმა ნეტარების გემო.

უკვე ბინდდებოდა. ქილს ესმოდა, ოდილია ჩვეულებრივზე უფრო ხმამაღლა რომ იძლეოდა რაღაც განკარგულებას: როცა მიხვდა, რა იყო ამის მიზეზი, ნატალისკენ შებრუნდა და გულიანად ახარხარდა. ნატალიმ ზანტად გააღილა თვალები და მაშინვე ისევ მილულა. ქილი შეეკითხა:

— სად გააჩერე მანქანა?

— პარმალთან. რატომ მეკითხები? ო, ღმერთო ჩემო, სულ გადამავიწყდა შენი და და ფლორანი. გადაწყვეტილი მქონდა, გამომელანძღე და მაშინვე წავსულიყავი. რას იფიქრებენ?

ნატალი დაღლილი, მშვიდი ხმით ლაპარაკობდა. ასეთი ხმით ლაპარაკობენ ხორციელი ტკბობის შემდეგ, და ქილს უკვირდა, როგორ ცხოვრობდა თითქმის ოთხი თვე ამ ხმის გარეშე. ქილმა გაიღიმა.

— შენი აზრით, რას იფიქრებენ?

ნატალიმ არაფერი უპასუხა, შებრუნდა.

— ვიცოდი, — თქვა ბოლოს ნატალიმ, — ვიცოდი, რომ ჩვენს შორის ასე მოხდებოდა. მაშინვე ვიგრძენი, როგორც კი დაგინახე. უცნაურია...

— უკეთესი უფროა, ვიდრე უცნაური, — თქვა ქილმა. — წავიდეთ, „პორტო-ფლიპი“ დავლიოთ.

— რა პირით გამოვჩნდეთ მათთან? ან რა ვუთხრათ, როგორ ავუხსნათ?

— ერთადერთი ხერხი მხოლოდ ისაა, — უთხრა ქილმა — არასოდეს არაფერი ახსნა.

იგი ლაპარაკობდა მტკიცე მბრძანებლური კილოთი, ასეთი კილო კარგა ხანია არა ჰქონია. თავადაც მიხვდა ამ ცვლილებას, როცა ჯერ ისევ საბანში გახვეული ნატალის მხიარული და ოდნავ დამცინავი მზერა დაიჭირა. იგი დაიხარა და მხარზე აკოცა.

— დიახ, — თქვა ქილმა, — ჩვენ სუსტი არსებანი ვართ და უეცრად შეგვიპყრობს ხოლმე ისეთი რამ, რაც ჩვენსავე განჩინებას აღარ ემორჩილება. გმადლობთ, ნატალი.

ისინი პატარა სასტუმრო ოთახში შევიდნენ ისე დაუდევრად, როგორც ჩვეულებრივ იქცევიან ოცდაათ წელს გადაცილებული საყვარლები ბედნიერი პაემნის შემდეგ. სამაგიეროდ ფლორანი და ოდილია წამოხტნენ დაბნეულნი და გაწითლდნენ. ფლორანმა ტაში შემოჰკრა და წამოიძახა: „ო, რა სიურპრიზია!“ ოდილიამაც შეაქო ნატალი იმის გამო, რომ გამბედაობა ეყო კოკისპირულ წვიმაში მოსულიყო, მაშინ როდესაც მას, ასეთ ამინდში გარეთ ცხვირს ვერ გააყოფინებ. ეს კი, რა თქმა უნდა, იმას ნიშნავდა, რომ არც დიასახლისს და არც მის ქმარს არ შეუნიშნავთ, რომ მათ პარმალთან უკვე თითქმის ორ საათზე მეტია მანქანა დგას. ასეთი თავაზიანობისა და სიბეცის გამოჩენის შემდეგ, ძმის დიდად გასახარად, ოდილიამ თქვა, ასეთ ამინდში უთუოდ უნდა დალიონ რაღაც, ცოტათი მაინც რომ გათბნენ. ამის თქმაზე ოდილია კვლავ წამოჭარხლდა, ფლორანი კი პორტვეინის მოსატანად გაქანდა. ნატალი დივანზე იჯდა, მუხლებზე უსულო საგანივით ეწყო ხელის ვიწრო მტევნები, იღიმებოდა, პასუხობდა შეკითხვებზე, დროდადრო კი ბუხრის თაროზე დაყრდნობილ ქილს გადახედავდა, რომელსაც მედიდური იერი ჰქონდა და ამ პროვინციული კომედიით ერთობოდა.

—ასეთი ამინდი ალბათ ხელს შეუშლის კასინიაკებს, ღია ცის ქვეშ მოაწყონ მეჯლისი, — წუხდა ოდილია.

— თქვენ აპირებთ მათთან წასვლას? — შეეკითხა ნატალი.

— მეშინოდა, ქილი არ მოისურვებს-მეთქი, — დაუფიქრებლად წამოისროლა ოდილიამ, — მაგრამ ახლა...

შიშისაგან გულგახეთქილს წამით ხმა ჩაუწყდა, გაშეშდა ფლორანიც, ჭიქას რომ აწვდიდა ნატალის, და მრისხანედ გადაუბრიალა თვალები ცოლს. ქილმა, რომელსაც კინაღამ გულიანად გაეცინა, შებრუნება მოასწრო.

— ...მაგრამ ახლა ცოტათი უკეთ გამოიყურება, — ამოილუღლუღა ოდილიამ, — შეიძლება ინებოს და ჩვენთან ერთად წამოვიდეს...

მან მუდარით შეხედა ძმას, ქილმა დასამშვიდებლად თავი დაუქნია. ნატალის ცრემლით ჰქონდა სავსე თვალები, — როგორც ჩანს, ისიც ძლივს იკავებდა ყელში მობჯენილ სიცილს. „ღმერთო ჩემო, — უნებლიეთ გაიფიქრა ქილმა, — როგორ უნდა ვუმადლოდე ამ ქალს! რამდენი ხანია აღარ განმიცდია ასეთი ნეტარი სიტკბოება, სიყვარულს რომ მოსდევს და ხან ტირილი გინდა, ხან შეუკავებელი სიცილი“.

— მე, რა თქმა უნდა, წამოვალ, — მხიარულად გაეხმაურა ქილი. — მაგრამ ცეკვით მხოლოდ თქვენ ორთან ვიცეკვებ.

და ქილმა ისე ალერსიანად გაულიმა ნატალის, რომ მას წამწამები აუთრთოლდა და პირი იბრუნა.

— ჰო, ჩემი წასვლის დროა, — თქვა მან. — მაშ, ხვალ საღამოს შევხვდებით ერთმანეთს კასინიაკებთან?

ქილმა ლაბადა ჩააცვა ნატალის, მანქანის კარი მიუკეტა და თავი ფანჯარაში შეჰყო.

— ხვალ, დღისით?

— არ შემიძლია, — მიუგო გულდაწყვეტილმა ნატალიმ, — ხვალ კრება მაქვს — წითელი ჯვრის წევრებისა.

ქილმა გაიცინა:

— ჰო, მართლა, შენ ხომ წარჩინებული მოხელის მეუღლე ბრძანდები.

— ნუ იცინი, — მაშინვე უთხრა ნატალიმ ჩუმი, შემკრთალი ხმით, — ნუ იცინი, შენ არ უნდა იცინოდე.

იგი წავიდა, ქილი სახტად დარჩენილი იდგა და ნატალის სიტყვებზე ფიქრობდა.

ოდილია მთელი საღამო თავს ევლებოდა ძმას, აღარ იცოდა, კიდევ რითი ესიამოვნებინა იგი. ქილს გულში ეცინებოდა. ქალებს მოსწონთ, თავიანთი ძმები ანდა სულაც ვაჟიშვილები იღბლიანი მონადირის როლში იხილონ, განსაკუთრებით მაშინ, როცა მათ საკუთარ ქალურ ცხოვრებას, ოდილიას ცხოვრების მსგავსად, რომანტიკულობის არაფერი მოსცხებია. თითქოს ეს უზღავლაო რაღაცით გაუსაზრისებელ მარცხს.

თავი VI

ამინდმა გაუმართლა კასინიაკებს და პიკნიკი ბაღში უკვე გახურებული იყო, როცა ქილი, ოდილია და ფლორანი მივიდნენ. ივნისი იდგა, მშვენიერი სანახავი იყო სახლის წინ გადაშლილი მწვანე მოედანი. არ ცხელოდა, თბილი ამინდი იყო. ქალების ფერად-ფერადმა მორთულობამ, მამაკაცების სიცილმა, აყვავებული წაბლის სურნელმა ქილს რატომღაც ომის წინადროინდელი, არარეალური განწყობილება შეუქმნა. ამ პროვინციელებს შორის წრფელი და უშუალო დამოკიდებულება იგრძნობოდა. თვით სადღესასწაულო გარემოშიც რაღაცნაირი სითბო ჩაღვრილიყო და ქილს აქედან თავისი სათაყვანებელი პარაზი აუტანელ კოშმარად ეჩვენა. ოდილია ძმასთან ხელკავით მიდიოდა, ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ ესალმებოდა სტუმრებს და ქილსაც აცნობდა მათ. იმედი ჰქონდა, ბოლოს და ბოლოს ამ ხალხში ოჯახის დიასახლისს აღმოაჩენდა. უეცრად ქილმა იგრძნო, როგორ დაეძაბა ოდილიას მკლავი და მაღალი, საკმაოდ ლამაზი მამაკაცის წინ შეჩერდა... საფრანგეთის ამ სამხრეთ-დასავლეთის მცხოვრებთა შორის ეს კაცი წმინდა ინგლისელის თავშეკავებითა და ქედმაღლობით გამოირჩეოდა.

— ფრანსუა, თქვენ იცნობთ ჩემს ძმას? ქილ, გაიცანი — ბატონი სილვენერი.

— დიდად მოხარული ვარ, მაგრამ ჩვენ უკვე შევხვდით ერთმანეთს ლუარგების ვახშამზე, — უპასუხა გაოცებულმა სილვენერმა.

— რა თქმა უნდა, — თავის მხრივ თქვა ჟილმა, თუმცა სულ არ ახსოვდა ეს ამბავი. „აი, მისი ქმარიც! — გაიფიქრა მან. — რა უშავს, ურიგო არ არის. თან, როგორც ამბობენ, მდიდარიცაა. მაგრამ კოქეტზე ეტყობა, არ უნდა იყოს მაინცდამაინც დამყოლი ვაებატონი. არც მხიარული იქნება. საინტერესოა, მასაც ჩასჩურჩულებს ყურში ნატალი იგივე სიტყვებს, რასაც მე? რა თქმა უნდა, არა“. და როდესაც ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს, ჟილს საოცრად მოუნდა ახლაც გუშინწინდელივით გულში ჰყოლოდა ჩახუტებული ნატალი.

— პარიზში ცხოვრობთ? — შეეკითხა სილვენერი.

— დიახ, უკვე ათი წელია. ხშირად გიხდებათ იქ ყოფნა?

— ვცდილობ რაც შეიძლება იშვიათად ვიყო. ჩემი მეუღლე, მოგეხსენებათ, თქვენს პარიზს ეთაყვანება, მე კი რატომღაც მაღიზიანებს.

ოდილია, როგორც ჩანს, დააშშვიდა იმ ამბავმა, რომ მეტოქეებმა ერთმანეთი დუელში არ გაიწვიეს, და კმაყოფილმა გადაინაცვლა სტუმართა მეორე ჯგუფში. ჟილი სიამოვნებით მიბაძავდა ოდილიას: ჯერ კიდევ შემორჩენილი ზნეობისა თუ ეთიკის წესები ნებას არ აძლევდა მეტისმეტად დაახლოებოდა თავისი საყვარლების ქმრებსა თუ მეგობრებს. მაგრამ სილვენერი მარტო იდგა და ჟილს მოერიდა მისი მიტოვება. იგი ამაოდ ეძებდა თვალებით ნატალის, თან სილვენერთან აგრძელებდა საუბარს პარიზის ქუჩებში გაძნელებულ მოძრაობაზე, სასტუმროებში ნომრების ფასზე და დიდი ქალაქების ჯოჯოხეთურ ხმაურზე. უეცრად ცუდად იგრძნო თავი და გუნებაში გადაწყვიტა: „ახლავე შინ წავალ. ყელში ამომივიდა ეს წვეულება. ნატალის შეეძლო მოვენახე...“ უკვე არჩევდა თავაზიან სიტყვებს, რომ სილვენერისგან დაეხსნა თავი, როცა ამ დროს ნატალი შემოვიდა. მას მშვენივრად შეკერილი მწვანე კაბა ემოსა, რომელსაც მისი თვალების ელფერი დაკრავდა. იგი ჟილს შესცქეროდა სახემოღიმარი, ოდნავ ფერგამკრთალი, და ჟილმა მაშინათვე გადაწყვიტა დარჩენილიყო.

— ვფიქრობ, თქვენ უკვე იცნობთ ერთმანეთს, — უთხრა სილვენერმა.

— ჩვენ უკვე შევხვდით ერთმანეთს ლუარგების ვახშამზე, — გაიმეორა ჟილმა სილვენერის სიტყვები და ნატალის წინ თავი დახარა. ჟილი კმაყოფილი იყო თავისი პასუხით, რადგან სიმართლე თქვა, სიმართლე ყოველგვარი ქარაგმის გარეშე: ჟილი ვერ იტანდა იმ უხეირო ფანდებს, საყვარლებს რომ მოსდგამთ ხოლმე. ნატალიმ გაიღიმა.

— სავსებით სწორია. ბატონო ლანტიე, დიასახლისის დედას სიარული არ შეუძლია — სავარძელსაა მიჯაჭვული, თქვენ მოგკრათ თვალი და მთხოვა, მომიყვანეო. წამობრძანდებით?

ჟილი გაჰყვა. სტუმრებს რომ ჩაუარა, კარგად ვერც გაარჩია, ვინ იყვნენ; ვინც თითქოს ეცნო, თავი დაუკრა, თან ღიმილით ფიქრობდა გუნებაში, რა სიფათი ექნებოდა, მაგალითად, ჟანს, ახლა რომ დაენახა იგი. ასე გაიარეს ტერასა და დაჩრდილული ბაღისაკენ გასწიეს, სადაც მწვანეში ჩაფლული დაქანგული ლითონის წნელების ფანჩატურში ტახტრევანივით აღმართულიყო მოხუცი დიასახლისის ბორბლებიანი სავარძელი. უეცრად ნატალი დამფრთხალი ცხენივით განზე გახტა, ჟილიც თან გაიყოლა და ხეს ამოეფარა. მისი

თმა მაშინვე დაეფინა ქილის ლოყებს, ქალი მთელი სხეულით აეკრა და ამ დამთხვეულმა სითამამემ ისე გააშმაგა ქილი, სისხლი თავში აუგარდა, გულმა ბაგაბუგი დაუწყო, თავშეკავება დაავიწყა და ისე ვნებიანად დაუწყო კოცნა, თითქოს თავდავიწყებით უყვარდა იგი.

—ჯმარა, — ჩურჩულებდა ნატალი, — გეყოფა, ქილ[illegible]

ხეივანში ხალხი მიმოდიოდა. ქილმა ძლივს მოასწრო [illegible] დახრილიყო, ვითომდა გახსნილი თასმის შესაკრავად, ნატალი კი დაბნეული ისწორებდა თმას. მიმავალ სტუმრებს მისალმებაზე მხიარული სალამი უძღვნა და ქილი გააცნო. ქილი, რომელსაც გული ისევ ისე უფანცქალებდა, მიუახლოვდა უფროს ქალბატონ კასინიაკს და ხელზე ემთხვია. ქალბატონმა შეუქო სტატიები, რომლებიც აშკარად წაკითხული არ ჰქონდა. შემდეგ ყველანი, ნატალისთან ერთად, როგორც წესი მოითხოვდა, ნელი ნაბიჯით დაბრუნდნენ სახლში. უკვე ბინდდებოდა, ქალბატონ კასინიაკის შვილიშვილმა ძველი რადიოლა ჩართო. და „შეიკის" ჰანგებზე ყველაზე ახალგაზრდა სტუმრებმა დაიწყეს ნელი როკვა თეძოების რხევა-რხევით, მათ დამცინავად და სინანულით შესცქეროდნენ ნეკრესით დაავადებული მოხუცები. ქილი ჯავრობდა, თავი როგორ ვერ შეიკავეო.

— წარმოიდგინე, ურიგო ქმარი არ გყოლია, — უთხრა ქილმა მოწონებისა და თან დაცინვის კილოზე.

ნატალიმ ქილს შეხედა.

— ნურაფერს მეტყვი, იმაზე ნუ ვილაპარაკებთ.

— უბრალოდ ვცდილობ მიუკერძოებელი ვიყო, — იმავე ხუმრობის კილოთი განაგრძო ქილმა.

— მე არ გთხოვ მიუკერძოებლობას, — ცივად მიუგო ნატალიმ და გაშორდა.

ქილმა სიგარეტი გააბოლა, ჩაიხითხითა და უნებლიეთ საკუთარი თავი შეზიზღდა. ნეტავ რას გამოუდვია თავი? რაში დასჭირდა გაითამაშოს განებივრებული პარიზელის როლი, დასასვენებლად ჩამოსული ცინიკოსი და მოურიდებელი ჟურნალისტის როლი? ნუთუ არ შეიძლება გვერდი აუაროს დონჟუანის გაცვეთილ ფანდებს? ქილი ხეს მიეყრდნო. არა, უნდა წავიდეს აქედან, გადაიკარგოს, საშუალება მისცეს ამ ქალს საკუთარი ცხოვრებით იცხოვროს. იგი მეტისმეტად კარგი, მეტისმეტად სრულყოფილი ქმნილებაა ისეთი უბედური დეგენერატისათვის, ისეთი ცრუ და თვალთმაქცისათვის, როგორიც ქილი გახდა. ახლავე უნდა აუხსნას ყველაფერი ნატალის, დაუყოვნებლივ.

მაგრამ, როცა ნატალი იპოვნა, ქალი მარტო არ იყო. ქილის საცოდავი მსხვერპლი სამ მამაკაცს შორის იდგა, რომელთაგან ერთი განსაკუთრებით გამოირჩეოდა სილამაზით; აშკარა იყო, სამივე ეტრფოდა ნატალის. ისინი ხმამაღლა იცინოდნენ. ქილმა ნატალი საცეკვაოდ გაიწვია, მაგრამ იმ ლამაზმა მამაკაცმა თავაზიანად შეაჩერა:

— ნუთუ მის მუშკეტერებს მოსტაცებთ ნატალის? ჩვენ სამივენი ხომ მისი მუშკეტერები ვართ. ნება მიბოძეთ გაგეცნოთ: მე პიერ ლაკური გახლავართ, ეს ორნი კი — ჟან ნობლი და პიერ გრანდეა. დალიეთ რაიმე ჩვენთან ერთად და გვიამბეთ პარიზის ამბები.

პიერ ლაკურის თვალები მზაკვრულად, თუმცა მშვიდად ციმციმებდნენ, ისევე, როგორც მისი ორი მეგობრისა და თვით ნატალის თვალები. ქილს საკუ-

თარი თავი სასაცილო ეჩვენა. ახალგაზრდა მშვენიერი ლაკური უდავოდ ნატალის ახლანდელი ან ყოფილი საყვარელია, ამიტომაც ათვალიერებს ასე მოწყალედ უსუსურ მოქარაფშუტო პარიზელს. მას კი ეშინოდა, ნატალის უსიამოვნება არ მივაყენოო, სინდისი ქენჯნიდა. ქილმა გაიღიმა და მეზობელ მაგიდიდან ჭიქა ვისკი აიღო.

— ნატალიმ ახლა მკაცრად გააკრიტიკა წიგნი, რომელზედაც პრესაში კარგი აზრი გამოვთქვი, — თქვა იმ ახალგაზრდამ, თავი ლაკურად რომ წარმოადგინა, — უნდა გამოგიტყდეთ, მე ლიმოქში ვასწავლი ლიტერატურას და დროდადრო ვბეჭდავ ადგილობრივ გაზეთში რაღაც-რაღაცები დავბეჭდო.

— მაშ, კოლეგები ვყოფილვართ, — თავაზიანად მიუგო ქილმა.

ქილი ძალზე გაჯავრდა საკუთარ თავზე: რა სულელია! როგორ იფიქრა, ქალი, რომელიც თვითონ ჩამოეკიდა კისერზე და პირველსავე შეხვედრაზე დანებდა, ქალი, რომელიც ასე დაუფლებია სიყვარულის მეცნიერებას, უეცრად შეიყვარებდა მას. ეს აზრი როგორ მოუვიდა თავში? იგი უბრალოდ ნიმფისტია, თანაც ინტელიგენტობაზე დებს თავს. ქილი გაცოფებული იყო და თვითონვე უკვირდა ეს გაცოფება. კარგა ხანია ასე არ გაცეცხლებულა.

— ნება მომეცით, მაინც გაგიწვიოთ ამ ცეკვაზე, — უთხრა ქილმა, — როგორც ჩანს, ფოქსტროტს აქ იშვიათად ცეკვავენ, მე კი აღარა ვარ იმ ასაკში, აკრობატიკას მივსდიო...

ნატალიმ გაუღიმა, ხელი მხარზე დაადო და ისინი მრგვალ მოედანზე გავიდნენ, სადაც პარკეტი პირდაპირ მიწაზე დაეგოთ. ერთი-ორი საცეკვაო ილეოს მერე ნატალიმ თავი ასწია:

— ხომ აღარ მეტყვი რამეს?

— ვისზე არ გეტყვი?

— ფრანსუაზე.

ქილს აღარც ახსოვდა ეს წაკინკლავება. ნეტავ მხოლოდ ეს ყოფილიყო მიზეზი!... ქილმა თავაზიანად გაიღიმა.

— არა, აღარ გეტყვი. შენი ნომერ პირველი მუშკეტერი მართლა ძალიან ლამაზია. აი, ის... ლიტერატურის მასწავლებელი... და, როგორც ჩანს, შენი დიდი თაყვანისმცემელი უნდა იყოს.

პასუხმა ქილს ცეკვის ტაქტი შეაშლევინა.

— იმედი მაქვს, თაყვანსა მცემს. ის ხომ ჩემი ძმაა. ლამაზი კია. ხომ მართალია? — ერთი წუთის შემდეგ ნატალიმ წასჩურჩულა: — ქილ, ნუ მიხუტებ, გვიყურებენ. ქილ, ბედნიერი ხარ?

— კი, — უპასუხა მან.

ამ წუთში იგი სიმართლეს ამბობდა.

თავი VII

დილით ქილმა ქანისაგან დეპეშა მიიღო, სთხოვდა, საჩქაროდ ტელეფონით დამირეკეო. და აი, ახლა შუადღის პაპანაქებისაგან ლამის სული შეხუთვოდა ბელაკის პატარა საფოსტო განყოფილებაში. იგი აღელვებული იყო, თანაც გახარებული მოსალოდნელი საუბრის გამო, რადგან ეს საუბარი თითქოსდა იმას მოწმობდა, რომ თავის დარგში კიდევ აქვს რაღაც წონა. ქანის გამო-

ძახებამდე სამ მდივან გოგონას ელაპარაკა, რომლებმაც დიდად გაიხარეს ქილთან საუბრით, და ბოლოს სადღაც შორიდან, თითქოს სულ სხვა პლანეტიდან ქანის ხმამ მოაღწია:

— ალო, ქილ, როგორ არის საქმე — თავს უკეთ გრძნობ? მართლა? ასეც ვიცოდი... მიხარია, ძალიან მიხარია, ძმაო...

„აი, ჩერჩეტი, — დაუმსახურებლად გალანძღა გუნებაში ქილმა, — არაფერიც არ იცოდი! წარმოდგენაც არა გქონდა, რა მოხდებოდა. ახლა შენც ჩემს დასავით არ მითხრა, ლიმუზენის სუფთა ჰაერის იმედი მქონდაო. მე აქ შევხვდი ქალს, რომელმაც შემიყვარა, ვის სიყვარულზეც თანახმა ვარ და ამან გამომაკეთა. შენ ხომ არ შეგეძლო ეს გაგეთვალისწინებინა!«

ქილი თავისას ფიქრობდა, მაგრამ პასუხობდა მშვიდად და მოკლედ, მძიმედ დაჭრილი კაცის დარად, რომელიც ძლივას გადარჩა და რომელსაც კარგად ესმის, რა ძლიერ შეაშინა მეგობრები.

— ... მომისმინე, — განაგრძობდა ქანი, — ლენუ სამკვდრო-სასიცოცხლოდ წაეჩხუბა შეფს. ახლა ფიქრობენ, საერთაშორისო განყოფილება შენ ჩაგაბარონ. გეფიცები, მართლა!... წარმოიდგინე, მე აქ არაფერ შუაში ვარ... აბა, რას იტყვი ამაზე?

ქანი აშკარად ზეიმობდა, ქილი კი ამაოდ ცდილობდა გაეზიარებინა მისი სიხარული. მიუფურთხებია ყოველგვარი გადაადგილებისათვის. თანამდებობა, რაზეც ადრე ასე ოცნებობდა, ახლა მისთვის არარად იქცა.

— რა თქმა უნდა, ოქტომბრამდე არაფერი მოხდება, პირდაპირ ვუთხარი შენზე შეფს, სადღაც გადაიკარგა-მეთქი. დეპრესიაზე, თავისთავად ცხადია, ქრინტი არ დამიძრავს, — თვითონ კარგად მოგეხსენება, ახლა ამის თქმა საჭირო არ იყო, შეიძლება საქმე წაეხდინა. რაც შეიძლება ჩქარა ჩამოდი, რამდენიმე დღით მაინც... შეფს რომ დაენახო... თორემ ხომ იცი ჩვენი კეთილი მეგობრების ამბავი...

მაშასადამე, ჩემი დეპრესია ცუდ გავლენას მოახდენდა? — დაცინვით გაიფიქრა ქილმა. — მაშ წესიერ კაცს ავად გახდომის უფლება არა აქვს?... კარგი ჟურნალისტი უთუოდ ბედნიერიც უნდა იყოს, დარდიმანდი და გინდაც გარყვნილი... მხოლოდ არამც და არამც ნევრასთენიკი. ღმერთმანი, ბოლოს და ბოლოს, ერთ მშვენიერ დღეს მელანქოლიკებს კალიუმციანიდით გაუმასპინძლდებიან... იცოცხლე, სამუშაო ბლომად ექნებათ...“

— გიხარია? — გაისმა ქანის ალერსიანი ხმა, ალბათ მეტისმეტად კმაყოფილი იყო თავისი ერთგულებით, — როდის ჩამოხვალ?

— ხვალის მატარებლით, — ყოყმანით უპასუხა ქილმა. — თვითმფრინავი არ არის, ხომ იცი. ხვალ ღამის თერთმეტ საათზე ჩამოვალ ექსპრესით.

— უმჯობესია დღესვე წამოხვიდე.

ქილი უეცრად აღშფოთდა:

— კი მაგრამ, რა ცეცხლის კიდებაა? თუ შეფს ნამდვილად ჩემი დანიშვნა აქვს გადაწყვეტილი, ერთ დღეს ვეღარ მოიცდის?

დუმილი ჩამოვარდა. ცოტა ხნის შემდეგ გაწბილებულმა ქანმა მოკლედ წარმოთქვა:

— მე მეგონა, შენთვის ცეცხლის კიდება იყო. სადგურზე მოვალ, მატარებელზე დაგხვდები. ნახვამდის.

ქანმა ყურმილი დაკიდა, ქილმა დაცვარული შუბლი შეიმშრალა: ჯიხურში სულის მოთქმა ჭირდა. დღის სამი საათისათვის ნატალისთან პაემანი ჰქონდა დანიშნული. ნუთუ მხოლოდ ეს აყოვნებდა? მან ხომ იცოდა, როცა მათ რედაქციაში დიდი ადგილი გათავისუფლდებოდა, მართლაც რომ ცეცხლის კიდება იყო. ახლა იქ ალბათ კარგა დიდი ალიაქოთია. ქილმა კი შეძლება ქალის გულისთვის ხელიდან გაუშვას ასეთი ხელსაყრელი შემთხვევა? ახლავე უნდა დაურეკოს ქანს და უთხრას: „დღესვე მოვემგზავრები". იგი კარგა ხანს შეყოყმანებული იდგა ტელეფონისტი ქალის წინ. სწორედ ამ დროს ფანჯარაში თვალი მოჰკრა, როგორ არწევდა ნიავი ყანას, როგორ ხასხასებდა ბალახი მწვანედ. წარმოიდგინა ნატალი, მისი მხურვალე ალერსი, მისი მოსწრებული სიტყვა-პასუხი და სასწრაფოდ გარეთ გავარდა. ფლორანი თავისი მანქანის საჭეს უჯდა და ქილს ელოდებოდა.

— რაო, კარგი ამბებია თუ ცუდი?

ფლორანს ისეთი შეწუხებული სახე ჰქონდა, ქილი, რომელიც ჩვეულებრივ ვერც ამჩნევდა მას, უნებლიეთ თბილი გრძნობით განიმსჭვალა ამ გულწრფელი, ცისფერთვალება არსების მიმართ. მან გაულიმა ფლორანს — შეიძლება ითქვას, ვაქაცურადაც კი, რადგან იმ წუთას ფლორანი ლამის ბორბლებქვეშ შეუვარდა დიდ საბარგო მანქანას.

— კარგ თანამდებობას მთავაზობენ გაზეთის რედაქციაში.

— მაშ ყველაფერი ერთად მოგვარდება, — წამოიძახა ფლორანმა, — ყველაფერი მოგვარდება! მე ყოველთვის ვამბობდი: ცხოვრება ზღვის ტალღებივითაა, — ერთი რომ ზევით ამოგატივტივებს, მეორე ქვევით ჩაგითრევს...

მან ხელით გამოხატა ტალღების მოძრაობა და მანქანა ლამის თხრილში გადაჩეხა. იქნებ ფლორანი მართალიც იყო, ქილმა ვერ გაბედა ეთქვა, რომ პირადად მას ერთნაირად აშინებს ყველანაირი ტალღა, აშინებს ის პასუხისმგებლობა, ახალ თანამდებობაზე რომ ელის, აშინებს ნატალის სიყვარული, აშინებს ჩვეულებრივი ცხოვრებაც და სიმარტოვეც.

თავი VIII

— მაშ, ხვალ მიემგზავრები? — გაიმეორა ნატალიმ.

იგი ჩაცმული იწვა ქილის საწოლზე და ფიქრს მისცემოდა. როგორც კი მოვიდა, ქილმა მაშინვე უამბო ყველაფერი. საერთოდ კმაყოფილი იყო, რომ საშუალება მიეცა ნატალის წინაშე პატივმოყვარისა და ტრიუმფატორის როლში წარმდგარიყო, რაც ბევრად უფრო თავმოსაწონი იყო, ვიდრე ბედუკულმართ ნევრასთენიკად ყოფნა. გატაცებულმა, რაღაცნაირი პათოსითაც კი ილაპარაკა, რა დიდად მნიშვნელოვანი იყო ახალი სამუშაო, რა მორალური პასუხისგება ეკისრებოდა მკითხველების წინაშე. რა დიდ ინტერესს იწვევს მკითხველებში საშინაო პოლიტიკა, — ერთი სიტყვით, ქილმა ისეთი გატაცება გამოამჟღავნა, როგორიც უნდა გამოეჩინა ქანთან ტელეფონზე საუბრისას. კიდევ გაიფიქრა დაცინვით, ხომ არ ცდილობს საყვარელი დააბრმავოს სინდისის ქენჯნის ჩასახშობად, მეგობრის იმედები რომ ვერ გაამართლა. მაგრამ ნატალი სულაც არ იყო დაბრმავებული, უფრო გაყრუებული ეთქმოდა.

— ერთი კვირით მივემგზავრები, — აუწყა ქილმა. — ერთი ან ორი კვირით. შემდეგ დავბრუნდები. მუშაობას ოქტომბრიდან დავიწყებ.

— მოსწავლეთა მსგავსად, — უგულისყურად მიახალა ნატალიმ.

რაც უფრო მეტს ლაპარაკობდა ქილი მომავალ სამუშაოზე, მით უფრო რწმუნდებოდა, რომ შემოთავაზებული წინადადება ხელიდან გასაშვები არ იყო. ცოტა არ იყოს, გაჯავრდა კიდეც საკუთარ თავზე და ნატალიზეც. დღევანდელი შეხვედრის მიზეზით ვაითუ ასეთი თანამდებობა დავკარგოო. თუმცა ხმამაღლა ვერ გაბედა ამის თქმა. ეს თავად ნატალიმ უთხრა:

— თუ ასე მნიშვნელოვანი იყო, რატომ დღესვე არ გაემგზავრე?

— ჩვენ ხომ პაემანი გვქონდა დანიშნული.

— თუმცა ქილმა სიმართლე თქვა, თავისი ნათქვამი რაღაც ყალბი ეჩვენა. ნა[illegible] დაკვირვებით მიაჩერდა.

— იქნებ იფიქრე, უხერხულია მიატოვო ქალი, დაკმაყოფილდე პატარა ბარათით, თუნდაც ამ ქალთან ორი კვირის ნაცნობობა გაკავშირებდეს.

ნატალი მშვიდად ლაპარაკობდა, ქილმა კი საკუთარი თავი გამოიჭირა, რომ უარყოფის ნიშნად თავს აქნევს და წითლდება აიდეც, თითქოს ტყუილი ეთქვას. მაგრამ ნატალი რომ ბოლოს დაბოლოს მართალი აღმოჩნდეს და ქილი აღარასოდეს დაბრუნდეს? რომ გაიტაცოს პარიზმა, ზაფხულმა, მეგობრებმა, ზღვამ, მოგზაურობამ, და ნატალი იქნებ მისთვის ლიმუზენის ზაფხულის ორკვირიანი რომანის მოგონებალა დარჩეს. უეცრად ამ ქალის თვალით დაინახა საკუთარი თავი, — ლაღი, თამამი, ძვლავ ქარაფშუტა და თავდაჯერებული, როგორიც მთელი სიცოცხლე იყო. და უეცრად საოცარი სინაზე იგრძნო, თავად არ იცოდა, რამ აღუძრა ეს გრძნობა: ნატალისადმი მადლიერებამ, მისი ადრინდელი მხიარული, თითქმის მივიწყებული სახე რომ დაუბრუნა, თუ სიბრალულმა და წინათგრძნობამ, ქალს რომ აღარ დაუბრუნდება. ქილი ნატალისკენ დაიხარა.

— რომ აღარ დავბრუნდე, რას იზამ?

— თავად ჩამოგაითხავ, — მშვიდად მიუგო მან. — მოიცადე.

ქილმა გულში ჩაიკრა და მაშინვე დააეიწყდა პარიზიც და პოლიტიკაც. მან ციინიკურად გაიფიქრა, ასეთი საყვარელი ძალიან მომაკლდებაო, მაგრამ ეს ეც უმალ დააეიწყდა და დიდხანს იწვა უძრავად, თავი ნატალის მხარზე ედო. აკვიატებული ფიქრი, რომ ნატალის უნდა დაშორდეს, თუნდაც ხანმოკლე დროით, მოსვენებას არ აძლევდა. ნატალი უხმოდ ეალერსებოდა, თმაზე ხელს უსვამდა. ჩამავალი მზის შუქი იღვრებოდა ოთახში და ქილი გრძნობდა, რაც არ უნდა მომხდარიყო მომავალში, ამ წუთებს ვერასოდეს დაივიწყებდა.

—სადგურში მე წაგიყვან, — უთხრა ნატალიმ, — მხოლოდ ლიმოუში არა, ვიერზონში. როცა დაბრუნდები, მაშინაც დაგხვდები.

მის ხმაში რაღაც უცნაური სიმშვიდე ჟღერდა, სიმშვიდე, რომელიც საოცრად ჰგავდა სასოწარკვეთილებას.

მესამე ნაწილი

პარიზი

თავი 1

ქილს ელოიზა მაშინლა გაახსენდა, როცა დაინახა, როგორ მორბოდა ქალი სადგურის ბაქანზე მის შესახვედრად, უკან კი რალაც იდუმალი სახით კეთილი ქანი მოსდევდა. თავისი გულმავიწყობით თავზარდაცემული ქილი იძულებული გახდა ხანგრძლივი კოცნით დაესაჩუქრებინა ეს მისთვის უკვე უცხო ქალი. „იგი ხომ არსებობს, — ფიქრობდა ქილი, — ჩემთან ცხოვრობს, რა საშინელებაა. ქანს მაინც შეეხსენებინა!..“ ამაზე თვითონვე გაეცინა. თითქოს მეგობარი ვალდებულია, როცა კი მივლინებიდან დაბრუნდები, შეგახსენოს, საყვარელი გყავს და იგი შენს სახლში ცხოვრობსო... ახლა ქილს არ ესიამოვნა არც ელოიზას სუნამო და არც მისი ტუჩების შეხება. გაახსენდა სამი საათის წინ ვიერზონში ნატალის უკანასკნელი კოცნა, გაახსენდა გაშმაგებული, თავდავიწყებული გამომშვიდობება და თავისდა უნებლიეთ ცრუმორწმუნე შიშმა შეიპყრო. ვაითუ ნატალი ავარიაში მოჰყვა, შინ დაბრუნებისას იმ უთავბოლო მიხვეულ-მოხვეულ გზაზე? მას ხომ თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე, — ქილმა ეს უკანასკნელ წუთს შეამჩნია. თვითონაც გაუჭირდა მოზღვავებული ღელვის დაოკება, მთელი ხუთი წუთი გაქვავებულივით იჯდა კუპეში, ვიდრე ბოლოს და ბოლოს თავს არ სძლია, ადგა და მტკიცე ნაბიჯით ვაგონ-ბარისკენ წავიდა. ასე აღელვებული თვითონაც ვერ შეძლებდა მანქანის მართვას, ნატალი კი ყოველთვის თავზეხელაღებული მიაქროლებს. რა თქმა უნდა, მანქანას ოსტატურად ატარებს, მაგრამ ისე ერეკება... არა, ქილი ნამდვილად გამოთაყვანდა. იგი დინჯად ჩამოშორდა ელოიზას, ქანს მხარზე ხელი დაჰკრა და გაღიმება სცადა. სადგური ჭვარტლისაგან გადაშავებულიყო, გამაყრუებელი ხმაური იდგა. ქილმა მაშინლა შეიგრძნო თავისი სათაყვანებელი ზანტი და ცისფერი პარიზი, როცა ქანის მანქანაში ჩაჯდა. პარიზი, ზაფხულის ღამეების პარიზი. და იმაზე ფიქრმა, რამდენი ბედნიერი წამი აჩუქა პარიზმა ამ ათი წლის მანძილზე, გული ატკინა, თითქოს მთელი ეს ბედნიერება მისთვის სამუდამოდ დაკარგულიყო. ქილი შიშმა აიტანა, თავი კვლავ დაბნეულად, უხალისოდ იგრძნო. ახლა იგი რას არ მისცემდა, რომ ისევ ლიმუზენში აღმოჩენილიყო, მწვანე კორდზე ნატალისთან ერთად ჩრდილში წამოწოლილი.

— მაშ გიხარია, რომ დაბრუნდი? — ეუბნებოდა ქანი.

— ძალიან. შენი საქმეები როგორ მიდის?

ქილი შეეცადა უდარდელი იერი მიეღო.

— კიდევ კარგი, ქანმა გამაფრთხილა, — მხიარულად ჭიკჭიკებდა უკან მჯდარი ელოიზა, — ვერ ვიტყვი, წერილებით თავს მაბეზრებდი...

— ელოიზას იმიტომ გავუარე, ტაქსის ძებნა არ დასჭირებოდა, — უთხრა ქანმა, — შენი ჩამოსვლის ამბავი რომ გაიგო, სიხარულისგან კინაღამ გადაირია...

ქანიც მხიარული ჩანდა, თუმცა მისი მხიარულება რალაც ნაძალადევი იყო. აღმაცერად გამოხედა ქილს, ასეთი მზერით ასაჩუქრებენ მეგობარს, რომელმაც რალაც სიპილწე ჩაიდინა.

— რამდენჯერმე ვცადე შენთვის დამერეკა, — იცრუა ქილმა და ელოიზას მიუბრუნდა, — მაგრამ არავინ მიპასუხა.

— გასაკვირი არაფერია, მე ხომ მთელი დღეები გადაღებებზე ვარ. და იცი რომელი ჟურნალისთვის? „ვოგისთვის"! — ელოიზა ზეიმობდა.

„მით უკეთესი, — ცინიკურად გაიფიქრა ქილმა, — ყოველ შემთხვევაში ეს საქმე მაინც მოგვარდება". ქილს მხოლოდ ერთი აზრი უტრიალებდა, როგორმე დაერეკა ნატალისთვის, ან ქანისთვის ეთხოვა, რომ ნატალიასთან შენ დაურეკეო. ქილი ნატალის შეუთანხმდა, ხვალ დაგირეკავო, — ახლა კი ღამის თერთმეტი საათია, ადვილი შესაძლებელია მის მეუღლეს წააწყდეს. მაგრამ ამ სულელურ ავარიაზე ფიქრისათვის თავი ვერ დაეღწია. არა, რა თქმა უნდა, იგი სულაც არ არის შეყვარებული ნატალიზე — უბრალოდ საკუთარი თავის სიმშვიდისათვის სურს შეიტყოს, რომ ცოცხალია და უვნებელი. მაგრამ როგორ დარეკოს სახლიდან ელოიზას თანდასწრებით—ახლა იგი ერთი ნაბიჯით აღარ მოსცილდება, ვერც ქანის თანდასწრებით შეძლებს დარეკვას. რადგან ეს უკანასკნელი რედაქციის ამბებით გამოუშედაცა ყურებს...

— შენ ბევრად უკეთ გამოიყურები, — უთხრა ქანმა, — ცოტათი მზეც მოგკიდებია. სხვათა შორის ეს ძალიან კარგია, შეფს შენზე ვუთხარი, ამომავალ იტალიელ კინოვარსკვლავთან ერთად ლაქვარდოვან სანაპიროზე გაემგზავრა-მეთქი.

— მე კი ყოველივე ეს უნდა მოვითმინო! — გაიცინა ელოიზამ, ქილი კი ლამის სირცხვილით დაიწვა.

ამომავალ იტალიელ კინოვარსკვლავად მაშინათვე ნატალი წარმოიდგინა, და დაუოკებელი სიამაყის გრძნობამ მოიცვა: ნატალი ყველა იტალიელ კინოვარსკვლავზე უკეთესი იყო და იმასაც ფლობდა, რაც იტალიელ კინოვარსკვლავებს არ გააჩნიათ.

ოთახი არ შეცვლილიყო, ოდნავ დასტყობოდა ქალის ხელი. ქილი ლამის გაცოფდა, როცა ვეებერთელა ბლუშის დათვს მოჰკრა თვალი, ელოიზასთვის ვილაც ფოტოგრაფს რომ ეჩუქებინა, მაგრამ თავი შეიკავა და სასწრაფოდ ზურგი შეაქცია. მიუფურთხებია ყველაფრისათვის! საკუთარ სახლში თავს უცხოსავით გრძნობს. სავარძელში ჩაჯდა იმ იმედით, რომ ქანი და ელოიზაც მას მიბაძავდნენ და ამით საშუალება მიეცემოდა შეუმჩნეველად გასულიყო საძილე ოთახში, სადაც ტელეფონი იდგა. მაგრამ ელოიზა წესრიგის მოყვარული ქალი გახლდათ, ქილის ჩემოდანი მაშინვე შეათრია საძილე ოთახში და ხმაურით გამოაღო კედლის კარადა. ქილი სასოწარკვეთილი იჯდა, ქანს თითქმის არ უსმენდა: ბოლოს და ბოლოს ქანმა იგრძნო მეგობრის დაბნეულობა და გაჩუმდა, გაკვირვებით შეხედა. ქილი წამოდგა.

— მაპატიე, ბებერო, ერთი წუთით უნდა დაგტოვო. ჩემს დას შევპირდი, ჩასვლისთანავე დაგირეკავ-მეთქი, ხომ იცი მისი მოუსვენარი ხასიათი...

ქილს ენა დაება. ქანმა თავაზიანად გაუღიმა და თავი დაუქნია. ძველი მეგობრისადმი უეცრად მოზღვავებულმა სინაზემ ქილს უნებლიე ლიმილი მოჰგვარა, თმა აუჩეჩა ქანს და საძილე ოთახში გავიდა. თამამად დასწვდა ყურმილს, საწოლზე ჩამოჯდა და ცნობარის ფურცვლა დაიწყო. ათი ციფრი უნდა აეკრიფა, ნატალის რომ დაკავშირებოდა.

— გვიანი არ არის ახლა დარეკვა? — შენიშნა ელოიზამ, რომელიც ქილის ლურჯ ჭურთუკს ჰკიდებდა კარადაში.

— დას ვურეკავ, — მოუჭრა მან.

ნომერი აკრიფა. თუ ქმარი აიღებს, ყურმილს მაშინვე დაკიდებს. გაისმა ხანგრძლივი ზარი, შემდეგ სულ ახლოს ნატალის ოდნავ ნამძინარევი ხმა მოესმა. ჟილმა ახლალა შეამჩნია, როგორ გაოფლიანებოდა ის ხელი, ყურმილი რომ ეჭირა.

— ალო! — თქვა ჟილმა. — მე ვარ. მინდოდა მეთქვა, რომ ... ჩამოვედი. ისიც მინდოდა გამეგო, შენც ხომ უვნებლად მიხვედი შინ.

ჟილი სხაპასხუპით ლაპარაკობდა, განურჩეველი კილოთი. დუმილი გაშეფდა, შემდეგ ნატალის აღელვებული და ოდნავ ჩახლეჩილი ხმა გაისმა.

— როგორც ჩანს, სხვაგან მოხვდით, — თქვა მან და ერთი წამის შემდეგ თითქმის ალერსიანად დაუმატა: — არა, ბატონო, ეს რა შეწუხებაა, — და ყურმილი დაკიდა.

ჟილი ერთი წუთით გაქვავდა, შემდეგ ელოიზა გაახსენდა და დადგენილ ტელეფონს ჩასძახა: „ორთავეს გკოცნით" — და თვითონაც დაკიდა ყურმილი. მთლად ოფლში გახვითქულიყო.

როგორც ჩანს, ქმარი სახლშია, იქვე, გვერდით, და ვერაფრის თქმა ვერ მოახერხა. როგორ უეცრად მოეგო გონს... რა სასაცილოდ და ამაღელვებლად გაისმა: „არა, ბატონო, ეს რა შეწუხებაა". მაშ ყველაფერი რიგზეა, იგი ცოცხალია და უვნებელი და მას უყვარს ჟილი, უცნაურია, ზოგჯერ როგორ აეწყება ხოლმე ძარღვები... სასტუმრო ოთახში მსუბუქი, თავისუფალი, თითქმის საქმიანი ნაბიჯით დაბრუნდა, ნატალიზეც ისევე ფიქრობდა, როგორც ელოიზაზე, არც მეტი, არც ნაკლები, მისი ამბავი ახლა აღარ აწუხებდა, მაგრამ ერთი წუთითაც არ დაფიქრებულა იმაზე, რადგან დამშვიდდა, მაშასადამე, დამშვიდება სჭირდებოდა.

— აი, ყველაფერი ძველებურადაა, — სიბნელეში გაისმა ელოიზას ხმა. — ვიცოდი, დიდხანს ვიქნებოდით ერთად.

ჟილი უხმოდ გადაბრუნდა მეორე მხარეს, თავის თავზე ჯავრობდა. დღეს ჟანთან ერთად ზომაზე მეტი დალია, სამივემ ზომაზე მეტი დალიეს — მისი დაბრუნებისა და დიდი წარმატებების აღსანიშნავად. ღამის სამ საათზე, როცა ჟანი წავიდა, ჟილს სულ არ ეძინებოდა, ძალიან კარგ გუნებაზე იყო, გამარჯვების რწმენით აღსავსე — ერთი სიტყვით, მთვრალი იყო და ელოიზასთან აგარიშმიუცემლად იგემა ხორციელი ტკბობა, ავლავ დაბრუნებული მამაკაცური ძალით. ასევე გაატარებდა ღამეს ნებისმიერ ქალთან, რომელიც მის სწოლში აღმოჩნდებოდა. მოკლედ რომ ვთქვათ, მან მოატყუა ნატალი და ეს სულ არ აწუხებდა, რადგან ნატალი ამას ვერასოდეს შეიტყობდა; ყველაზე ძვირფასი ის იყო, რომ საკუთარი თავი მოატყუა, რადგან სიმთვრალეში მიღებული სიამოვნებაც კი რალაც ნერვული, ნაჯახირევი იყო. და ბოლოს ელოიზაც მოატყუა, რადგან ეს ამბავი ელოიზამ სიყვარულის დასტურად ჩათვალა. ახლავე ყველაფერი უნდა აუხსნას, უნდა უთხრას ნატალიზე, სწორედ ახლა უნდა უთხრას, რაკიდა აფიქრებინა, რომ ჟილს ისევ იზიდავს მისი სიახლოვე. ანაზდეულად შუქი აანთო, სიგარეტი მოხახა, გუნებაში ცივად გაიფიქრა, რა მშვენიერია ელოიზა, როცა თმა ასე აქვს გაფანტული ბალიშზე, და იმის მოფიქრებას შეუდგა, როგორ წამოეწყო საუბარი. თავი სტკიოდა, დამტვრეულივით იყო, სწყუროდა კიდეც.

— მაინც რა საოცარია, — მეოცნებედ წარმოთქვა ელოიზამ, — ყვე-

ლაფერი უცებ მოგვარდა. მე მუდმივ მოდელიორად ვიქნები „ვოგში“, ამერიკული ფოტოგრაფის წყალობით; შენც მიიღე ადგილი, რაზეც ოცნებობდი, თანაც საკუთარი გამოჯანმრთელდი. აბა, ამას ვინ წარმოიდგენდა ერთი თვის წინ! იცი, როგორ შემაშინე. ძალიან შემაშინე. ძალიან, ძალიან, ძალიან.

ყოველი ხორციელი ტკბობის შემდეგ ელოიზა ბავშვივით იწყებდა ტიტინს. ადრე ქილს ეამებოდა ეს ტიტინი, შემდეგ კი მომაბეზრებელი გახდა. ახლა მან უფრო მწვავედ იგრძნო სინდისის ქენჯნა.

— არც მთლად ასეა საქმე, — ხრინწიანი ხმით წარმოთქვა ქილმა, — მე ჯერ კიდევ არა ვარ მთლად კარგად. როგორც კი სამსახურის საკითხს მოვაგვარებ, ისევ წავალ ჩემს დასთან.

— მე კი მთელი ზაფხული მონაწილეობა უნდა მივიღო მოდების გამოფენაში, — უთხრა ელოიზამ, — მაგრამ სეანსებს შორის მოვახერხებ შენთან ჩამოსვლას. ახლა ლიმოეისკენ თვითმფრინავიც არის.

„ესლა მაკლდა“, — გაიფიქრა ქილმა. საქმეში ტექნიკური პროგრესი ერეოდა. არა, ახლავე უნდა უთხრას ყველაფერი, მაგრამ ქალთან განშორებაზე ფიქრი მის არსებაში ყოველთვის საოცარ შიშს იწვევდა... არა, მხოლოდ დღეს არა, დღეს არა. რაც ჩამოვიდა, პირველად მხოლოდ ახლა შეხედა ელოიზას გულისყურით და შეამჩნია, რა საოცრად მიმნდობელი მზერა ჰქონდა, რა მშვენიერი სხეული, ასეთი ნაცნობი და ახლობელი, და მაშინვე იგრძნო, როგორი ზედმეტია მისთვის ეს სინაზე, ეს სილამაზე. უნებლიეთ შეებრალა იგი, შეებრალა საკუთარი თავი, შეებრალა ნატალიც. შეებრალა თვით სიყვარული, რადგან ყოველი სიყვარული, ადრე თუ გვიან, ქვითინსა და სინანულში უნდა ჩაიფერფლოს. ქილმა სასწრაფოდ ჩარგო თავი ბალიშში, რათა ელოიზას მისი ცრემლები არ შეემჩნია. ელოიზა მისკენ დაიხარა:

— მოწყენილი ხარ? ხომ ყველაფერი მოგვარდა.

მან არა უპასუხა რა, უხმოდ ჩააქრო სინათლე. გაიჭიმა, ხელები თავზე შემოიჭდო და თვალწინ კვლავ დაუდგა პატარა კორდი მდინარის პირას და მისკენ მომავალი ნატალი; იგი სუნთქავდა მზის სხივებით გამთბარ ბალახის სურნელს, ხედავდა მათ თავზე წყნარად მონანავე ჩინარის ტოტებს და იდუმალ აღთქმით სავსე ნატალის ნათელ თვალებს.

თავი II

გაზეთის მთავარი რედაქტორი ფერმორი ტანმაღალი, ხმელ-ხმელი, საკმაოდ შრომისმოყვარე კაცი გახლდათ. მდიდარი ბურჟუაზიული წრიდან გამოსულმა ყველას გასაკვირად საკუთარი სახსრებით დააარსა მემარცხენე გაზეთი, რომელიც მართლაც მემარცხენე იყო, რამდენადაც ეს შეიძლებოდა იმ არეულ-დარეულ დროში. მიუხედავად ამისა, მაინც შემორჩენოდა თავის დაჭერის მედიდური, მბრძანებლური ჩვევა. გაზეთში ყველამ იცოდა, თუმცა თავად ყოველგვარ წარჩინებას კიცხავდა, რომ ეს რამდენიმე წელია იგი გრაფ დე ფერმონის ტიტულის აღდგენისათვის იბრძოდა, რომელიც კარლოს X დროს გაუქმდა. ქილი ქანთან ერთად იჯდა ფერმონის კაბინეტში და ცდილობდა გულმოდგინედ დაეგდო ყური უჩვეულოდ სერიოზული საუბრისათვის იმის

თაობაზე, თუ ამიერიდან მას, ესე იგი ქილ ლანტიეს, რაიმეს პასუხსაგები ამოცანები ეკისრებოდა.

— ...ლაპარაკიც ზედმეტია იმაზე, რომ ამის შემდეგ უარი უნდა თქვათ პირად თავგადასავლებზე, — ეუბნებოდა ფერმონი. — შეერთებულ-ამერიკულს გეძებთ სენ-თროპეზში, თუ ამერიკა და ვიეტნამი ზავს დადებენ. კარგად მესმის, რომ საკმაოდ ახალგაზრდა ხართ ამ თანამდებობისათვის. მით უმეტეს საქმეს მთელი მონდომებით უნდა მოჰკიდოთ ხელი. ისიც უნდა გითხრათ, გარნიეს ის უსიამოვნება რომ არ შემთხვეოდა, რა თქმა უნდა, ამ ადგილზე მას დაგნიშნავდით.

ქილმა ყურები ცქვიტა. ქანს გადახედა, ნირწამხდარი რომ იქნეოდა თავს.

— მე კარგად არა ვარ გარკვეული საქმის ვითარებაში, — უთხრა ქილმა. — რა თქმა უნდა, გარნიე უკვე დიდი ხანია ამ განყოფილებაში მუშაობს, ხელი კარგად აქვს გაწაფული.

— გარნიეს არასასურველი ამბები შეემთხვა. ახლა იგი პოლიციაში აიყვანეს ალრიცხვაზე ვიღაც ბიჭის გამო.

— ეგ რა შუაშია? — წამოიყვირა ქილმა.

იგი აღელდა, გაცეცხლდა. ქანმა თვალებით ანიშნა, დამშვიდდით, მაგრამ ქილი ველარ გაჩერდა.

— მაშასადამე, თუ სწორად გავიგე, ეს ადგილი ჩემი წესიერების წყალობით შეიძლე, არა?

ფერმონმა გამჭვალავად, ცივად შეხედა ქილს.

— საქმე თქვენს წესიერებას კი არ შეეხება, მე არ მსურს ასეთ პასუხსაგებ თანამდებობაზე ისეთი ადამიანი მყავდეს, რომელსაც შეიძლება შანტაჟი მოუწყონ. სექტემბრიდან შეუდექით მუშაობას.

ქანის კაბინეტში მიეცა ქილს საშუალება თავისი ბოლმა გადმოენთხია. იგი ხელების ქნევით დარბოდა წინ და უკან, ქანი აღუშფოთველად შესცქეროდა.

— არ მინდა მე ეს ადგილი, ეს ხომ ქურდობას ჰგავს, რას ნიშნავს ყოველივე? გამომივიდნენ ესენიც პურიტანელები. ჩვენს დროში ვის მოუვა აზრად, ვინმეს შანტაჟი მოუწყოს ამა თუ იმ მიდრეკილების გამო? არ შემიძლია დავთანხმდე. შენ, შენ რას ფიქრობ? არ შეგეძლო გეთქვა! სულ გადამავიწყდა გარნიე.

— შენ დაგავიწყდა გარნიე, ელოიზაც და მეც, — დინჯად მიუგო ქანმა. — ნუ ღელავ: თუ უარს იტყვი, სხვას მონახავენ. მაგალითად, შენ მეგობარ ტომას.

— რას დაეძებ, გინდაც ტომა აიყვანონ, გინდაც სხვა. გაიგე, არ შემიძლია ასე მოექცე გარნიეს. მე მას დიდ პატივს ვცემ და საქმეც ჩემზე ნაკლებად არ იცის.

სიგარეტს სიგარეტზე ეწეოდა ქილი, თან ოთახში მიმოდიოდა. ბოლოს ქანმა შეაჩერა:

— დაჯექი, თორემ თავბრუ დამესხა. მე ველაპარაკე გარნიეს. მისი აზრით, შენ ყველაზე შესაფერისი კანდიდატურა ხარ. თავისი იმედი უკვე აღარა აქვს. მოინახულე.

— რა ადვილია! — ჩაიბურტყუნა ქილმა. — საოცრად ადვილი.

იგი ლონემიხდილი ჩაეშვა საკარძელში. ქანმა გაუღიმა.

— შენ ის გეწყინა, მარტო შენი გამოჩენილი ნიჭის წყალობით რომ არ გიყვანეს?

— არაფერიც არ გაგეგება, — უთხრა ქილმა. — აქ აშკარა უსამართლობაა და მე არ მსურს ამით ვისარგებლო.

სინამდვილეში იგი მართლა გრძნობდა, რაღაც შეურცხვენელი ჰქონდა ზიზღს. ჯანდაბაშიც წასულა პარიზი, მისი ხრიკები, მისი წესები, მისი თვალთმაქცობა. მას უნდოდა დაბრუნებულიყო სოფელში, ლიმოჟის სასტუმრო ოთახში, წყნარსა და დრომოჭმულ, მისი სიძის თვალებივით ცისფერ სასტუმრო ოთახში. ნატალის უნდა დაურეკოს და რჩევა ჰკითხოს. ის ეტყვის სიმართლეს, ვინაიდან უანგარო და ბუნებით სპეტაკია. და ქილს სწორედ ეს სჭირდება ახლა.

— ახლავე დავურეკავ, — დაუფიქრებლად ჩაილაპარაკა.

— ვის?

ამ მოულოდნელმა შეკითხვამ განაცვიფრა ქილი. ქანი ხომ მუდამ თავაზიანობის განსახიერება იყო.

— რატომ მეკითხები ამას?

— ისე, უბრალოდ, საინტერესოა. პარიზიდან წასვლისას კატორლელს ჰგავდი, ზურგზე უიმედობის მძიმე კურტანი რომ ჰკიდია, იქიდან დაბრუნდი და პირდაპირ ცაში ნავარდობ. საინტერესოა, ვისი წყალობით.

— ცდები! — შეჰყვირა თავზარდაცემულმა ქილმა, — სულაც არ მიყვარს იგი, — მიამიტად განაგრძო მან — ხეირიანად არც ვიცნობ, მომხიბლავი ქალია და მეტი არაფერი.

— მეტი არაფერი! მაგრამ, როდესაც იმ თანამდებობას გთავაზობენ, რისკენაც მთელი სიცოცხლე ისწრაფოდი, მეორე დღეს ჩამოდიხარ, ელოიზასთან შეხვედრა გაღიზიანებს: ჩამოსვლისთანავე ურეკავ იმ ქალს, გაგიჭირდა და მას გინდა რჩევა ჰკითხო. ესაა და ეს, მეტი არაფერი. ისე ნუ მიყურებ, თითქოს ჭურში ვიჯდე. შენ თვითონ ზიხარ ჭურში, და ისეთი სულელური იერიც გაქვს, რომ გიყურებ, მეშინია.

— ეგ მეტისმეტია, — უთხრა ქილმა. სიბრაზისაგან ენაც კი დაება, ენა დაება იმის სურვილით, როგორმე ყველასათვის დაემტკიცებინა თავისი სიმართლე. — ხომ გეუბნები, მხოლოდ მომწონს-მეთქი. შენ რა, ჩემი გრძნობების ამბავი ჩემზე უკეთ იცი?

— განა მარტო ახლა, — მიუგო ქანმა, — აგერ უკვე თხუთმეტი წელია. წამოდი, სადმე დავსხდეთ და ცოტა რამ მაინც მიამბე იმ ქალზე.

ისინი „შლიუპში" შეკიდნენ. ტერასაზე დასხდნენ. მშვენიერი წყნარი ამინდი იდგა, მზე ნაზად ეალერსებოდათ სახეზე. ქანის დაეინებული თხოვნით ქილი ძუნწად მოჰყვა თავის პროვინციულ რომანს. თავისდა განსაცვიფრებლად, ვერ შეძლო თავისი აღსარება ოდნავ მაინც ცინიკურად, დამცინავად გადმოეცა, რათა ქანს ერწმუნა მისი გულწრფელობა, უფრო სწორად — არაგულწრფელობა. მაგრამ იგი მაინც ჯიუტობდა. ქანი კი, თითქოს სძინავსო, ისე ქაჩავდა ჩიბუხს.

— თუ ყველაფერი ასე უბრალოდაა, — უთხრა ქანმა, — რატომ ბრუნდები ისევ იქ? წინანდელივით ახლაც ელოიზასთან ერთად წადი საძხრეთში.

— საქმე განა ისაა, სად გავემგზავრები! — წამოიყვირა საბოლოოდ წო-

ნასწორობიდან გამოსულმა ქილმა, — ასეა თუ ისე, ეს ქალი მე მაინტერესებს! ფსიქოლოგიურად...

— აგერ უკვე ორმოცდახუთი წუთია იმაზე მიყვები, — შენიშნა ქანმა, — ზუსტად ორმოცდახუთი წუთი და სიცხისა და საკუთარი ალგზნების მიუხედავად ლუდისთვის ხელი არ გიხლია. საცოდავი ელოიზა და საცოდავი ფრანსუა ჰო, ჰო, მისი ქმარი. ხომ ხედავ, მისი სახელიც კი ვიცი.

ქილი შეკრთა. ერთი წუთით თავბრუ დაეხვა, ასე მოეჩვენა, თითქოს რაღაც იზრდებოდა მის არსებაში და მწველი შიშით ავსებდა, თუმცა ამავე დროს შვებასაც ჰგვრიდა. იგი დასწვდა ლუდს და მიიტანა ტუჩებთან. თვალები ნახევრად მოჭუტა და თავი უკან გადასწია. თბილი ლუდი ჩაესხა პირში, ყელში, ასე ეგონა, შეეძლო ესვა და ესვა დაუსრულებლივ, რომ ამიერიდან მუდამ ასეთი სიხარბით მოიკლავს წყურვილს... ტოლჩა დადგა.

— შენ მართალი ხარ, — მიმართა ქანს, — ალბათ მიყვარს.

— როგორც ხედავ, მე მაინც გამოსადეგი ადამიანი აღმოჩნდი შენთვის,— დაასკვნა ქანმა ლიმილის გარეშე.

თავი III

მთელი დღე ისე გაატარა, თავი სიზმარში ეგონა. ერთი სული ჰქონდა დაერეკა ნატალისთვის და დიდი ამბით ეუწყებინა, მიყვარხარო. თანაც სიყვარულის ეს აღიარება მშვენიერი და მოულოდნელი საჩუქარივით მიერთმია და ენახა მისი სახე, როცა ამას აუწყებდა. ოღონდაც რამდენიმე დღე როგორმე უნდა მოითმინოს, როგორმე უნდა გასძლოს იმ ნანატრ წამამდე, როცა ნატალი სადგურზე მოვა მის შესახვედრად... ისინი ქალაქგარეთ გავლენ, ქილი სთხოვს გააჩეროს მანქანა, იგი ხელებში მოიმწყვდევს ნატალის სახეს და ეტყვის: „იცი, თავდავიწყებით მიყვარხარ". ფიქრი, რა დიდ ბედნიერებას მიანიჭებს ნატალის, ქილს სიამაყისა და სინაზის გრძნობას ჰგვრიდა და თავის ქეთილშობილებას თითქოს სხვისი თვალით ხედავდა. გრძნობამოძალებული, საიუველირო მაღაზიაში შევიდა და უკანასკნელი ფულით სასაცილო უბრალო საჩუქარი იყიდა. ამან უფრო აუჩუყა გული. როგორც შეთანხმდნენ, ხუთი საათისათვის გულის ფანცქალით დაურეკა სახლის გვერდით მდებარე პატარა კაფედან.

ნატალი მაშინვე მოვიდა ტელეფონთან, მაგრამ ხმა საოცრად ცივი ჰქონდა, თითქმის გულგრილი. ამ აძბავმა ქილი ჯერ გააოცა, შემდეგ კი გააბრაზა. მაგრამ უმალვე დაიმშვიდა თავი: „ეს სავსებით ბუნებრივია". მან იცოდა, რომ სიყვარულში მუდამ ერთი მხარე იტანჯება და მხოლოდ ხანდახან, ისიც ძალიან იშვიათად, იცვლება როლები. მაგრამ ასე უეცრად ქილი ამას არ მოელოდა. ძლივს გამოუტყდა საკუთარ თავს, რომ უყვარს ნატალი, მან ჯერ არც იცის ამის შესახებ, — და უკვე უნდა იტანჯოს ამ ქალის გამო?! ეს უსამართლობა იყო, თანაც ძალიან მტკივნეული, მაგრამ სწორედ ამ ტკივილმა დაარწმუნა ქილი, რომ გულწრფელად უყვარს ნატალი.

— რა მოხდა? — მხიარულად იკითხა ქილმა.

— ის მოხდა, რომ ჩვენთან აუტანელი სიცხეა, დილიდან განუწყვეტლივ

ქუხს, მე კი საშინლად მეშინია ჭექა-ქუხილის. არ დამცინო, — დაატანა ნატალიმ. — ჩემს თავს ვერაფერი მოვუხერხე.

ქილმა მაინც გადაიხარხარა, მაგრამ წამსვე მოეშვა გულზე, ამავე დროს საოცრად გაოცებული იყო. ნატალი პირველად იქცეოდა ბავშვივით. დღემდე ყოველი მისი ქცევა — მისი სიფიცხე, დამთხვეულობა, ყოველგვარ წესების უგულვებელყოფა — ქილს უფრო ახალგაზრდობის დამახასიათებელ თვისებებად ეჩვენებოდა, ვიდრე მეშჩანურ წრეში გაზრდილი მშიშარა ბავშვის ზნედ.

— საჩუქარი გიყიდე, — უთხრა ქილმა.

— ძალიან სასიამოვნოა... ქილ, მომისმინე, ყურმილი უნდა დავკიდო. ჭექა-ქუხილის დროს ელექტროხელსაწყოებზე ხელის შეხება საშიშია. ხვალ დამირეკე.

— მაგრამ, — უთხრა ქილმა, — ტელეფონს არავითარი საერთო არა აქვს ელექტრონთან, ეს...

— გემუდარები, — გაისმა მკვახე, შიშისაგან შეცვლილი ხმა. — გკოცნი... ნახვამდის.

ნატალიმ ყურმილი დაკიდა, ქილი კი დაბნეული იდგა ყურმილით ხელში და გაღიმებას ლამობდა. სხვა დროს, როცა ლიმოეში ჭექა-ქუხილი ატყდება, ნატალი ჩახუტებული ეყოლება და მაშინ ვნახოთ, რა უფრო ძლიერი აღმოჩნდება, შიში თუ ვნება. ქილს ნაღველი შემოაწვა, თავი მარტოდმარტო იგრძნო; ქუჩაში მზე ანათებდა, ახლა მისი საჩუქარი უაზრო უფრო ეჩვენა, ვიდრე ამაღელვებელი. ქილს უნდოდა რაც შეიძლება ჩქარა ენახა ნატალი. რა თქმა უნდა, არსებობს „ერ-ინტერი", ცნობილი „ერ-ინტერი", და თუ ძალიან გაუძნელდა, შეუძლია დაუყოვნებლივ გადაფრინდეს. ორლში დარეკა — თვითმფრინავი ხვალამდის არ იქნება: მატარებელი უკვე წასულია, თავისი მანქანა გაყიდა, ფულიც არა აქვს. გარდა ამისა, ხვალ რედაქციაში უნდა შეიაროს ახალი ხელფასის თაობაზე, ელიზასაც მოელაპარაკოს. რა აუტანელი ჯოჯოხეთია ეს ცხოვრება; თუმცა დღის ასეთი უსიამოვნო დასასრული მოსალოდნელიც იყო. იმის გაფიქრებამ, რომ „ყველაფრისთვის საზღაური უნდა იხადო", საკუთარი თავი შეაზიზღა. არა, იგი სულაც არ გამოჯანმრთელებულა! ახლა ორმაგადაა ავად, რაღაი ასეა დათრგუნვილი და რაღაი მთლიანად დამოკიდებულია ქალზე, რომელსაც ხეირიანად არც იცნობს, ქალზე, რომელიც სიყვარულს ეფიცებოდა და პირველსავე დაჭექებაზე ყურმილი დაუგდო. ქილი კაფეში იჯდა და თავის გულს ასკდებოდა. ბოლოს იგრძნო, დიასახლისი თვალს არ აშორებდა, და ნაძალადევად გაუღიმა.

— შესანიშნავი ამინდია, — თქვა ქილმა.

— ძალიან ცხელა, — მომზადებული პასუხი გასცა კაფეს მეპატრონემ.— ნამდვილად ჭექა-ქუხილი იქნება.

ქილი ამ სიტყვებს ჩაეფრინდა:

— მითხარით, გეშინიათ ჭექა-ქუხილის?

— ჭექა-ქუხილის? რასა ბრძანებთ! რისიც გვეშინია, ეს გადასახადი გახლავთ.

იგი უკვე მოემზადა ამ ამბის ირგვლივ გაება საუბარი, მაგრამ რომ დაინახა, როგორ შეეცვალა ქილს სახე, ბუნებრივი სიკეთისა თუ იმ შეუმცდარი ალღოს წყალობით, რაიც ხშირად აქვთ მომადლებული პატარა კაფეს დიასახ-

ლისებს და რის წყალობითაც პირველივე შეხედვით შეიცნობენ მარტოხელა, ბედნიერსა თუ სულით დაცემულ ადამიანებს, დაუმატა:

— აი, ჩემი დისწული წარმოშობით მორვანელი გახლავთ, იქ ეს საშინელი ჰეჭა-ქუხილი იცის, ჰოდა, ვერა და ვერ შეეჩვია. ვთქვათ, საღილობს და უეცრად დაიჭექა — მყისვე საწოლის ქვეშ შეძვრება. რას იზამ, ნერვებთან ვერაფერს გახდები.

— ჰო, — გაიმეორა გახარებულმა ქილმა, — რას იზამ, ნერვებია.

ქილმა გაიფიქრა, აქამდე ნატალი მის ნერვებზე უფრო მეტად ზრუნავდა, ვიდრე საკუთარზე, ახლა კი მათი როლები შეიცვალა და ეს თითქოს კანონზომიერიც იყო. ქილი დიდხანს ესაუბრა კაფეს დიასახლისს, პორტვეინზე დაპატიჟა და თვითონაც მიირთვა რამდენიმე ჭიქა ეს ტკბილი ღვინო, რომელიც ადრე არ უყვარდა, მაგრამ ახლა იგი თავისი სიძის კოკტეილს აგონებდა. კაფედან ქილი შეზარხოშებული და გაცილებით კარგ გუნებაზე გამოვიდა. ახლა უნდა წავიდეს და ელიზას აუხსნას ყველაფერი. ხვალინდელ დღეს რედაქციაში გაატარებს, შეეცდება იშოვოს ცოტა ფული, საღამოს კი გაემგზავრება. თავი უკვე მანქანაში წარმოიდგინა ნატალის გვერდით, თვალწინ დაუდგა, როგორ გაივლის ღამით იმ ას კილომეტრს, იმ ჯადოსნურ ას კილომეტრს, სიყვარულის აღიარების უსასრულო გზას. რატომ უთხრა ნატალის, ერთი ან ორი კვირის შემდეგ განახავო? ალბათ ეს იყო თავდაცვის ცდა, ცდა იმისა, ჩაენერგა საკუთარი თავისა და ნატალისათვის, რომ უიმისოდ შეუძლია გაძლოს ერთი კვირა, დააჯეროს საკუთარი თავი, რომ არსებობს პარიზი, განდიდების მოპოვების გზა და მეგობრები, მაგრამ ყველა ეს ხრიკი ამაო გამოდგა, ვინაიდან აი, უკვე ორი დღეა მისთვის არც ერთი ამათთაგანი არ არსებობს, იგი ველარაფერს ხედავს და ველარაფერს გრძნობს; ხედავს მხოლოდ ლიმუზენის ბორცვებს და ნატალის სახეს. რას იფიქრებს ნატალი, როცა ასე მალე დაბრუნდება ქილი, როცა მიხვდება, რომ ქილს მის იქით გზა არა აქვს? ხომ არ დაეუფლება გარდაუვალი და მეტისმეტად მტკიცე რწმენა, იმწამშივე რომ იჩენს ხოლმე თავს, როგორც კი ეჭვები გაიფანტება. თუ სიხარულისგან გაგიჟდება? ქილმა გაიხსენა მისი ცრემლიანი თვალები იქ, სადგურზე, გაიხსენა მისი ცივი ხმა დღეს ტელეფონში, და დაასკვნა, რომ ალბათ ამ ქალის ბუნებაში ორი განსხვავებული ხასიათია შერწყმული. და ამრავლებდა, ართულებდა, აბუნდოვანებდა ნატალის სხვადასხვა სახეს — ქილი უკვე ჭეშმარიტი სიყვარულის მიჯნაზე იდგა.

ოთახში რომ შევიდა, ელიზა ტელევიზორს უყურებდა. იგი მაშინვე წამოხტა და კისერზე ჩამოეკიდა. ქილს გაახსენდა, ადრე, დიდი ხნის წინათ გათამაშებული ასეთივე სცენა, და გაუკვირდა, რომ მას შემდეგ ერთი თვეც არ იყო გასული. არადა, ათასი რამ კი მოხდა... თუმცა რა მოხდა სინამდვილეში? ორი კვირის მანძილზე უზომოდ მოწყენილი იყო თავის დასთან, მერე ათი დღე ვიღაც ქალის სიყვარულით ნეტარებდა, რისთვისაც ნებისმიერ დროს შეეძლო წერტილი დაესვა. მაგრამ ეს უკვე აღარ უნდოდა, წერტილის დასმა სულაც არ სურდა.

— როგორ არის საქმე, კარგად? ნახე ფერმონი?

— კი, — მიუგო ქილმა, — ვნახე, ყველაფერი რიგზეა.

ქილს არ უნდოდა დაწვრილებით მოეყოლა გარნიეს ამბავი. არ უნდოდა ნატალის გარდა ეს ამბავი ვისმესთვის გაეგო. იქნებ სიყვარულს ზოგჯერ ის

სურვილიც განსაზღვრავს, როცა ყველაფერი მხოლოდ ერთ ადამიანს გინდა გაანდო.

— პორტვეინი არა გაქვს? — ჩაიბურტყუნა ქილმა და მაშინვე შეცბა: რა სტუმარივით იქცევა!

— პორტვეინი? შენ ხომ არ გიყვარს...

— სამი ჭიქა უკვე დავლიე და არ მინდა ავურიო, მე ... ჩამბუქლა და ისე თქვა, — მე კი უნდა დავლიო.

მაშასადამე, საუბრის დაწყებას თავი მოაბა. ახლა ელოიზა ჰკითხავს: „რატომ?“ — ის კი უპასუხებს: „იმიტომ, რომ უნდა მოგველაპარაკო“. მაგრამ ელოიზა ვერაფერს მიხვდა.

— ჰო, გასაგებია! — წამოიძახა მან, — როგორ დაღლილხარ, შე საწყალო! მოითმინე, მალაზიაში ჩავირბენ და ახლავე დავბრუნდები.

— არა, არ არის საჭირო! — წამოიძახა სასოწარკვეთილმა, მაგრამ კარი უკვე მიჯახუნდა.

ქილი ფანჯარასთან მივიდა და დაინახა, მეზობელ ეზოს ჩვეული რხევა-რხევით როგორ გადაჭრა ქუჩა ელოიზამ, როგორ შევიდა მალაზიაში. მერე, თითქოს სულშეწუხებულმა, აქეთ-იქით მიმოიხედა. დაბალ მაგიდაზე მისი საყვარელი სიგარეტები და კოხტად დაკეცილი საღამოს გაზეთი იდო, ლარნაკში კი ცოცხალი ყვავილები ეწყო. საძილე ოთახში არც შეუხედავს. გუმანით იცოდა, მისი თეთრი პერანგი და თხელი რუხი კოსტუმი საწოლზე იქნებოდა გადაფენილი. დათვიც კი, ის საშინელი პლუშის დათვი, რომელზედაც სიტყვაც არ უთქვამს, სადღაც გაქრა. ალბათ ქილის დუმილი ელოიზამ თავაზიანობად მიიჩნია, თუმცალა სინამდვილეში ეს დუმილი გულგრილობით იყო გამოწვეული. გუშინ კი ქილი დაუფიქრებლად დაეუფლა ელოიზას და საერთოდ ძალიან უსინდისოდ მოიქცა. ქილს საკუთარი თავი შეეზიზღა. ამ ამბავსაც უამბობს ნატალის, არაფერს დაუმალავს. იგი წინასწარ ზეიმობდა თავის გულახდილობას და თავის დამცირებას. იმაზე კი აღარ ფიქრობდა, აღსარებისას რა შთაბეჭდილებას მოახდენდა ნატალიზე საკუთარი დანაშაულის მიჩქმალვის ცდა და მთელი ყურადღების გადატანა ელოიზასთან განშორების სიმძიმეზე.

ჩაფიქრებულმა ერთი ჭიქა პორტვეინი დალია და გადაწყვიტა ელოიზას სატელევიზიო ჟურნალის დამთავრების შემდეგ მოელაპარაკოს, მაგრამ ჟურნალის დამთავრების შემდეგ ელოიზას ძალიან უნდოდა სატელევიზიო ფილმის მომდევნო სერიის ნახვა, რომელსაც იგი ოდილიასავით გატაცებით უყურებდა მთელი თვე. ასე რომ ქილმა ორმოცდაათი წუთით კიდევ გადადო აღსარება. მაგრამ ამ გარემოებამ უფრო ააფორიაქა. უნდოდა ელოიზა სადმე წაეყვანა, მაგალითად, კლუბში, სადაც ხალხის ჩოჩქოლი და ჯაზის გრიალი იქნებოდა, და იქ აეხსნა ყველაფერი: ეს უფრო იოლი იყო, თუმცა მეტისმეტად ბანალური კი.

— გშია? — შეეკითხა ელოიზა, როცა ტელევიზორს თიშავდა.

— არა. ელოიზა... მე მინდა გითხრა... მე... მე იქ, სოფელში სხვა ქალს შევხვდი, და მე... მე...

ქილს ენა დაება, ელოიზას ფერი ეცვალა და გაყინული თვალებით მიაჩერდა.

— იგი ძალიან დამეხმარა, — საჩქაროდ დაუმატა ქილმა. — მერწმუნე,

მხოლოდ მისი წყალობით გამოვკეთდი. მომიტევე... მომიტევე გუშინდელი ღამეც. არ უნდა შეკადრა...

ელოიზა ნელ-ნელა, უსიტყვოდ ჩაეშვა საგარძელში.

— მე ისევ უნდა წავიდე იქ. შენ, რა თქმა უნდა, შეგიძლია აქ იცხოვრო, რამდენ ხანსაც გინდა... ხომ იცი, მე და შენ მუდამ მეგობრულად დავრჩებით...

„რა სულელური აბდაუბდაა, — ფიქრობდა ქილი. — პირწმინდა მეშჩანური, სასტიკი განშორება. არადა, მეტი სათქმელი არაფერი მაქვს". ქილი გაურკვეველმა გარინდებამ შეიპყრო.

— გიყვარს? — შეეკითხა ელოიზა.

მას თითქოს არ სჯეროდა ქილის სიტყვებისა.

— კი. ყოველ შემთხვევაში შგონია, რომ მიყვარს. მასაც ვუყვარვარ, — მაშინვე დაუმატა.

— მაშ, გუშინ რისთვის?..

ელოიზა არც უყურებდა ქილს... იგი არ ტიროდა, დაჟინებით შესცქეროდა ტელევიზორის ეკრანს, თითქოს იქ უჩვენებდნენ რომელიღაც ფილმს და ამ ფილმს მარტო თვითონ ხედავდა.

— მე... ალბათ... მე მინდოდა, — ჩაილუღლუღა ქილმა, — მაპატიე, თავიდანვე დაუფარავად უნდა მეთქვა ყველაფერი.

— ჰო, — ამოთქვა ელოიზამ, — უნდა გეთქვა.

იგი გაჩუმდა. დუმილი აუტანელი გახდა. უმჯობესი იყო ელოიზას ეყვირა, შეკითხვები დაეყარა, რაღაც საშინელება ჩაედინა, — ქილს გულზე მოეშვებოდა! მთლად ოფლში გაწურულმა ქილმა თმაზე ხელი გადაისვა. ელოიზა კვლავ დუმდა. ქილი წამოდგა, ოთახში გაიარ-გამოიარა.

— რაიმეს ხომ არ დალევ?

ელოიზამ შეხედა, იგი ტიროდა. ქილი ანგარიშმიუცემლად გაიწია მისკენ, ელოიზა გაერიდა, სახეზე ხელები აიფარა.

— მომშორდი, — უთხრა მან, — გთხოვ, ახლავე წახვიდე... ხვალ მე გაგეცლები აქაურობას. გთხოვ, წადი!

გულაძგერებულმა ქილმა კიბე ჩაირბინა, ქუჩაში გავარდა. სულშეხუთული ხეს მიეყრდნო, ხელები შემოხვია. საოცარი სიმძიმილი შემოაწვა და შერცხვა კიდეეც.

— მოხარული ვარ, რომ სწორედ თქვენ დაგხვდეს, — უთხრა გარნიემ.

ისინი სასტუმრო „მეფის ხიდის" ბარში ისხდნენ, ბარი სარდაფში იყო მოთავსებული და ამის გამო შუქი დღედაღამ ენთო. ქილი ღამეს სასტუმროში ათენებდა, სახე უხეიროდ ჰქონდა გაპარსული, დასრესილი პერანგი ეცვა, ჯერ კიდევ ვერ დაეღწია თავი მტანჯველი კოშმარებისგან. საკვირველი კია, მაგრამ მაღალი და ღონიერი ჭალარა გარნიე, რომელსაც ჭროღა თვალები და ლმობიერი გამოხედვა ჰქონდა, თითქოს ქილზე მეტად მშვიდად გრძნობდა თავს.

— ეს... ეს ადგილი კანონით თქვენ გეკუთვნით, — უთხრა ქილმა. — და მე არ მინდა წაგართვათ.

— თქვენ რა შუაში ხართ. ფერმონს ჩემი ზნეობა თვალში არ მოსდის

— ესაა თავი და თავი.

გარნიემ გადაიხარხარა, ქილი წამოწითლდა.

— ხომ ხედავთ, — მშვიდად განაგრძო საუბარი გარნიემ, — ყოველივე ეს არცთუ ისე სერიოზულია. „ყველაფერი დაკარგულია, პატიმრობის გარდა“... მე შემეძლო ყველაფერზე უარი მეთქვა, მათ არავითარ [illegible] ბელი საბუთი არ გააჩნდათ. მაგრამ სახელს რომ გადავაბრუნებ, [illegible] ებას დავკარგავდი. სასაცილოა, არა?

— ახლა რას აპირებთ? — ჰკითხა ქილმა.

— ნახევარ წელიწადში ბიჭს კოლონიიდან გამოუშვებენ. იგი უკვე სრულწლოვანი იქნება და თვითონ გადაწყვეტს — შემხვდეს თუ არა.

ქილმა ალფრთოვანებით შეხედა გარნიეს.

— რომ არ მოისურვოს, — ჰკითხა მან, — თქვენ ხომ ყველაფერს დაკარგავთ, სანაცვლოდ კი არაფერს მიიღებთ...

— მე არასოდეს დამნანებია, რაც ნებით გამიკია, — მშვიდად მიუგო გარნიემ, — ძვირად გვიჯდება მხოლოდ ის, რასაც ვიპარავთ. დაიმახსოვრე, ჩემო კარგო... — და გაიცინა, — ალბათ გიკვირთ, რომ ასეთ მაღალზნეობრივ მსჯელობას ისმენთ ჩემისთანა ბიწიერი არსებისაგან. მაგრამ მერწმუნეთ, თქვენ იმ დღესვე დაიღუპებით, რა დღესაც შეგრცხვებათ იმისა, რაც გიყვართ... დაიღუპებით თქვენივე თავისთვის. ახლა სამსახურზე ვისაუბროთ.

გარნიემ ბევრი საჭირო რჩევა-დარიგება მისცა, მაგრამ ქილს არა გაუგია რა, იგი ფიქრობდა იმაზე, რომ გაქურდა ელოიზა: ფიქრობდა იმაზე, რომ არასოდეს შერცხვება ნატალისა; ფიქრობდა იმაზე, რომ ნატალი მას ეყვარება ისევე სათუთად და გულწრფელად, როგორც გარნიეს უყვარს ის ბიჭი. ქილი ყველაფერს ეტყვის ნატალის, უეჭველად უამბობს გარნიეს ამბავს. ქილს საოცრად მოსწყურდა ნატალის ნახვა: ნახევარ საათში იგი რედაქციაში იქნება, შეეცდება საჩქაროდ მოაგვაროს ფულის საკითხი, ერთად ისადილებს, სთხოვს ყურადღება მიაქციოს ელოიზას, ჩემოდანს ჩაალაგებს და ხუთი საათის მატარებელს მიუსწრებს კიდეც. ახლა კი პირდაპირ სასტუმროდან დარეკავს ლიმოჟში.

ნატალის ხმა ალერსიანი და მხიარული იყო, და ქილმა ნამდვილად ბედნიერად იგრძნო თავი.

— გუშინდელი საუბრის შემდეგ ლაბის შევიშალე, — მაშინვე უთხრა ნატალიმ. — მაგრამ რა ვქნა, ნამდვილად ძალიან მეშინოდა, ეს ნერვების ბრალია.

— გასაგებია, — უთხრა ქილმა. — ნატალი, რას იტყვი, დღეს საღამოს რომ ჩამოვიდე?

სიჩუმე ჩამოვარდა.

— დღეს საღამოს? — იკითხა მან. — რას ამბობ, ქილ, ეს მეტისმეტად კარგია. შეძლებ?

— კი, ველარ ვიტან პარიზს, უშეხობა მიჭირს, — ხმადაბლა დაუმატა ქილმა, — მატარებლით ჩამოვალ, დამხვდები ვიერზონში?

— ღმერთო ჩემო! — შეიცხადა ნატალიმ. — ჩვენ ხომ ვახშმად ვართ მიწვეული კუდერკოვებთან! როგორ მოვიქცე?

გულწრფელმა სასოწარკვეთილებამ, მის ხმაში რომ იგრძნობოდა, ქილი დაამშვიდა და მხნედ უპასუხა:

— ჩამოვალ ლიმოჟში და ტაქსს დავიჭერ, ერთმანეთს კი ხვალ შევხვდეთ. შეძლებ ჩემთან ისადილო? ხვალაც ხომ არა გაქვს წითელი ჯვრის სხდომა?

— აბ, ქილ... — თქვა ნატალიმ. — ქილ, ნუთუ ხვალ განახე... რა ბედნიერებაა. ძალიან მომენატრე.

— ხვალ თორმეტისთვის ჩემს დასთან მოხვალ. კარგი, [illegible] ადილია გააფრთხილო?

ქილმა უჩვეულოდ მხნედ იგრძნო თავი, ვაჟკაცურად, მედგრად. იგი თავს აღწევდა იმ დომხალს, რასაც პარიზი ერქვა. იგი კვლავ ცოცხლობდა.

— ახლავე წავალ შენს დასთან, — უპასუხა ნატალიმ, — ხვალ შუადღისას კი შენ გამოგივლი. როგორ არის შენი საქმეები?

— იყო ზოგიერთი დაბრკოლება, საკმაოდ სერიოზული, მაგრამ ყველაფერი მოვაგვარე, — მტკიცედ დაასკვნა ქილმა.

„მოვაგვარე კი?! — უეცრად გაიფიქრა გუნებაში, — სხვისი ადგილი დავიკავე და ქალს ტანჯვა მივაყენე", მაგრამ იმ დამთრობელ, უძლეველ და ულმობელ გამარჯვების გრძნობას, რომელიც ბედნიერების თანამგზავრია, ვერა და ვერ მოერია.

— ჩვალამდის, — თქვა ნატალიმ, — მე შენ მიყვარხარ.

ქილმა ვერ მოასწრო ეთქვა: „მეც მიყვარხარო", ნატალიმ ყურმილი დაკიდა.

მეოთხე ნაწილი

ლიმოჟი

თავი I

მატარებელი ამჯერად ნელა მიიზლაზნებოდა. სადგური თვალს მიეფარა თუ არა, ერთბაშად გადაიჭიმა პარიზის გარეუბნები, რომელთაც ჩამავალი ზაფხულის შზე თავისებურ პოეტურ ელფერს ჰფენდა. შემდეგ ლუარას ახლოს გამოჩნდა მწვანე ბალახით ახასხასებული და ხეების უსწორმასწორო ჩრდილებით მოქობილი პირველი მინდვრები. მალე იელვა ლუარას რუხმა ზოლმაც. ბოლოს სულ ჩამობნელდა. ქილმა ფანჯარას ზურგი შეაქცია და თავისი თანამგზავრების მშვიდი სახეების თვალიერებას მოჰყვა. ქილი მატარებელში თავს კარგად გრძნობდა, რადგან ამ მატარებელს მიჰყავდა მისი დის ახლისკენ, ნატალისკენ, სიყვარულსა და სიმშვიდისაკენ. ასე ეგონა, მსგავსი ბედნიერი შეხამება არასოდეს არ ჰქონია თავისი სიცოცხლის მანძილზე.

ლიმოჟში რომ ჩამოვიდა, თორმეტი იყო დაწყებული. ბნელოდა. მის განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა, მოულოდნელად კიბერზე ნატალი რომ შემოეხვია. ქილმა ჩემოდანი ისროლა და მაგრად ჩაიკრა გულში, ბედნიერებისაგან გაოგნებული ხმას ვერ იღებდა. დიდხანს იდგნენ ბაქანზე ასე ჩახუტებულნი, ოდნავ ირწეოდნენ, თითქოს გემზე იყვნენ, და ყურადღებასაც არ აქცევდნენ, დაკვირვებით რომ უცქერდა ხალხი. ბოლოს ქილმა თავი ასწია და ნატალის მიაჩერდა: ადრე არასოდეს შეუმჩნევია, ნატალის თუ ასე დიდრონი, შორი-შორს ჩამსხდარი თვალები ჰქონდა.

— როგორ დააღწიე თავი?

— გამოვიპარე, — უპასუხა ნატალიმ. — მეტის მოთმენა აღარ შემეძლო. ვახშამი ჩემთვის ჯოჯოხეთად იქცა. წვნიანი რომ შემოიტანეს, ვფიქრობდი, ახლა ორლეანს ჩაუარა-მეთქი, როცა თევზი შემოვიდა სუფრაზე, — ვფიქრობდი, უკვე შატორში არის-მეთქი, მეგონა, საცაა გული წამიგიდოდა. მაკოცე, ქალ, მორჩა, ამის შემდეგ აღარასად გაგიშვებ.

ქალმა აკოცა და ერთად გამოვიდნენ მოედანზე, მერე ... ქანა, ჩემოდანი შიგ შეაგდო, თვითონაც შეეყარდა და ნატალის მოეხვია.

— გამხდარხარ, — უთხრა ნატალიმ. — მე თუ მიცანი ნეტავ?

— მხოლოდ სამი დღეა, რაც აქ არ ვყოფილვარ, — თქვა ქალმა.

— ვახშმის შემდეგ იქ ჩვეულებრივ ბრიჯს თამაშობენ. მე ვუთხარი, შეუძლოდ ვარ-მეთქი. ძლივს მოვუსწარი მატარებელს, კინალამ მთელი ლიმოჟი ჯაიავსრისე.

ქალმა აკოცა, იგი საოცრად ბედნიერი იყო და არაფერზე არ ფიქრობდა. სათქმელი აღარაფერი ჰქონდა, მაგრამ ახსოვდა კია, რომ ძალიან დიდი ამბავი უნდა ეთქვა, — ეთქვა, მიყვარხარო, რომ ბოლოს და ბოლოს თავად მიხვდა ამას. მართალია, ეს აღმოჩენა უკვე აღარ ეჩვენებოდა ისე მნიშვნელოვანი და გულისამაჩუყებელი, როგორც პარიზში, და მაინც ერთგულების დასამტკიცებლად იმ ქალის მიმართ, რომელიც პარიზში გრძნობაშლილი დაეხეტებოდა, აიძულა თავი გულში ჩამწვდომი ნაბით წარმოეთქვა, რაც თვითონვე საჭიროდ მოეჩვენა:

— იცი... იცი, ნატალი, მიყვარხარ.

ნატალიმ გაიცინა.

— ეჭვი არ მეპარება, — უპასუხა ისე, რომ ოდნავი განცვიფრებაც არ გამოუხატავს, — ეგლა მაკლია, არ გიყვარდე.

ქალმაც გაიცინა. ნატალი მართალი იყო, იგი ნაღდი სულელია. არსებობს ისეთი ცხადი ამბები, სიტყვიერ გამოთქმას რომ არ საჭიროებს. პირველ დღეს ნატალიმ უთხრა, მიყვარხარო, და შემდეგ მოთმინებით უცდიდა, როდის შეიყვარებდა ქალიც. ნატალი უდავოდ ძლიერი ქალია: უფრო სწორად, ისეთი ქალია, რომელმაც იცის, თავისი სისუსტე როგორ გამოიყენოს თავისსავე სასარგებლოდ. მაშ ასე, ქალმა აღიარების მთელი ეშხი წაახდინა და არც უნანია, ძალიანაც კარგი, რომ წაახდინა.

— რატომ არაფერს მიყვები? — უთხრა ნატალიმ.

— რა უნდა მოგიყვე, — უპასუხა ქალმა. — შესანიშნავად ვარ. მთელი გზა ვაგონის ფანჯრიდან ვიყურებოდი და ვტკბებოდი ბუნების მშვენიერებით.

— საკმაოდ ძუნწი თხრობაა.

— მაკოცე, — უთხრა, — ხვალ გიამბობ ყველაფერს. მდინარეზე წავიდეთ, ხომ ისადილებ ჩემთან ერთად?

— კი, ახლა კი ჩემი წასვლის დროა. ფრანსუა უკვე შინ იქნება. არ უნდა მოვსულიყავი, — ჩუმად თქვა ნატალიმ, — რა საშინელებაა, ისევ უნდა დაგშორდე.

ნატალის ხელა მიჰყავდა ძანქანა ლიმოჟის ქუჩებში, ფანჯრიდან საღამოს სიგრილე უბერავდა. ქალს ნატალის ხელი ეჭირა, იგი არაფერზე ფიქრობდა და ბუნდოვნად გრძნობდა, რომ ფიქრებიდან თავის დაღწევა ჭეშმარიტად ბედნიერება იყო. შემდეგ ტაქსში გადაჯდა და მონუსხულივით გაიარა კიდევ ოცდ-

ოცდაათი კილომეტრი. ვიდრე ნაცნობ, ო

ქილმა შეხედა ნატალის: ქალი მართლაც შეშინებული ჩანდა და ერთი წამით თვითონაც შეკრთა. როგორი ბედი ექნებათ ერთად? რა მოხდება, ნატალიმ რომ შეიძულოს ოდესმე? იქნებ მართლაც არის სიძულვილის ღირსი? ვთქვათ და, ნატალიმ ვეღარ შეძლო მისი სიყვარული? ქილმა თავი ბალახში ჩარგო და ამოიოხრა — არა, მისთვის არც დასვენება არსებობს, არც სიმშვიდე. მას უყვარს ეს ქალი, ამაზე აკი პირდაპირ უთხრა, ნატალიას — მაინც ეშინია მისი.

— თუ გეშინია, მიმატოვე, — ჩაიჩურჩულა ქილმა. და იგრძნო ნატალის ლოყა, იგრძნო, მისი ტუჩები როგორ შეეხო კეფაზე.

— არ შემიძლია, — უთხრა ნატალიმ, — რომ შემეძლოს კიდეც, არ მიგატოვებ.

— რატომ?

— მე მშვიდი და უშფოთველი ცხოვრება მქონდა, თავს მეევლებოდნენ, მიფრთხილდებოდნენ, მაგრამ უხალისოდ მიდიოდა ჩემი დღენი, — წყნარად თქვა ნატალიმ, — ალბათ ვინმეს უნდა შევხვედროდი, შენს მსგავს ვინმეს.

— და ეს შეხვედრა ბედნიერებად მიგაჩნია თუ უბედურებად?

— ამჟამად ბედნიერებად, — მიუგო მან.

ისინი უძრავად იწვნენ ბალახებში. ნატალიმ თავი ზურგზე მიადო. წვრილი ბალახი ქილს სახეზე ულიტინებდა; ღრმა, გარინდებული სიმშვიდის მსგავსი რამ ეუფლებოდა. საკუთარმა ხმამ თითქმის გააოცა კიდეც ქილი.

— ფრანსუას რა ვუყოთ?

ნატალი მოსცილდა და გულალმა გადაწვა. ქილი შემობრუნდა და ნატალის გვერდიდან მიაჩერდა. ნატალი მშვიდად გასცქეროდა ზეცას.

— არ ვიცი, — მიუგო მან. — უნდა გავშორდე.

ქილი შეკრთა. ქვეცნობიერად იგი უსვე შეეჩვია ფრანსუას აჩრდილს, ასე მცირედ რომ ავიწროებდა მათ. ქილმა იცოდა, ნატალი ქმართან რ ცხოვრობდა, თვითონ ქალმა უთხრა და ქილს სჯეროდა მისი ნათქვამი, [illegible] კარგად იცნობდა ნატალის პირდაპირ ხასიათს. მაგრამ ამ პირდაპირობას [illegible] ლია ბევრი რამ მოჰყოლოდა.

— რას აპირებ?

ნატალიმ შეხედა და გაიღიმა.

— შესაძლოა შენ წამოგყვე და შენ გვერდით ვიყო, ვიდრე გეყვარები. შემდეგ — ვნახოთ...

ნატალი მართალია, ცამდე მართალი: მათ ერთმანეთი უყვართ და ერთადაც უნდა იყვნენ. იმდენი შემოსავალი კი აქვს, რომ ქალს უზრუნველი ცხოვრება შეუქმნას. რატომ უნდა გამოეტიროს რაღაც თავისუფლებასა და სიმარტოვეს? ჯანდაბას თავისუფლებაც და სიმარტოვეც: სწორედ ამ ორმა უსიხარულო ქურუმმა მიიყვანა იგი ნერვულ დეპრესიამდე... და მაინც ეშინოდა ამ ნაბიჯის გადადგმისა. ნატალიმ ხელი გასწია და მის თმას შეეხო.

— ნუ გეშინია, ქილ. ამ ზაფხულს ფრანსუასთან დავრჩები. შენთან კი მანამ არ წამოვალ, ვიდრე თავად არ შემეხვეწები.

ქილი უეცრად აენთო და გამომწვევად შეხედა ნატალის. აენთო იმიტომ, რომ ნატალიმ მისი ფიქრები ამოიკითხა და იმიტომაც, რომ ეს ფიქრები მოუვიდა თავში.

— არაფრისაც არ მეშინია. მე მინდა სულ შენთან ვიყო. მე მინდა ჩემთან

წამოხვიდე. რომ ჩვენ ახლავე, დაუყოვნებლივ წავიდეთ. ამ საღამოსვე მოელაპარაკე ქმარს და ხვალ გავემგზავროთ.

„კი მაგრამ, სად? — უცებ გაუელვა თავში ქილს. — სად? ჯიბეში სულ სამი ფრანკი მიგდია. აქ დარჩენა, იმ აყალმაყალის შემდეგ, რაც აუცილებლად ატყდება, შეუძლებელია. სად შევაფაროთ თავი სექტემბრამდე?“

მაგრამ ნატალი იღიმებოდა და ამ ღიმილმა ქილს ყვავილივით დაავიწყა.

— მინდა ჩემთან ერთად წამოხვიდე, — ქილი თითქმის ყვირიოდა.

— კარგი, წამოვალ, — წყნარად უთხრა ნატალიმ, — მხოლოდ იმ პირობით, თუ მთხოვ და არ მიბრძანებ. და ასე ნუ ყვირი, მთლად აგელეწა სახე. განა აქ ცუდად ვართ? სად გინდა წახვიდე?

— არ მიყვარს ყალბი ვითარებანი... — ამაყი ღირსებით წამოიწყო ქილმა.

მაგრამ ნატალიმ ისეთი თვალით გადახედა, მაშინვე ხმა ჩაუწყდა და გაჩუმდა. ნატალიმ გადაიკისკისა, ქილსაც ვაეცინა, ისევ მიჩოჩდა მისკენ და კოცნა დაუწყო, მათი თმები ერთმანეთს გადაეწნა.

— ოჰ, ნატალი, — ჩურჩულებდა იგი. — ნატალი, რა კარგად მიცნობ... ოჰ, როგორ მიყვარხარ.

მის მკლავებში მომწყვდეული ნატალი გულიანად კისკისებდა, კისკისებდა თვალებგაბრწყინებული და ვეღარ გაჩუმებულიყო.

თავ

საოცარია და, ზოგჯერ მართლაც რა ხელსაყრელია, როცა გორდის ნასკვს სხვა გახსნის და არა შენ. იმ წუთიდან, რაც ნატალიმ ქმრის მიტოვება გადაწყვიტა და ეს გადაწყვეტილება ხმამაღლა თქვა, ქილს უკვე სრულიად აღარ აწუხებდა ფრანსუას არსებობა. — ნატალი მისი გულისათვის ტოვებდა ფრანსუას, მაგრამ თვითონ ქილი თითქოს აქ არაფერ შუაში იყო. არჩევანი უკვე მოხდა, მხოლოდ ისღა რჩებოდა, ბედს დამორჩილებოდა. ქილს აზრადაც არ მოსვლია, რომ ნატალის შეიძლება გადაეფიქრა. — როგორც ყველა დაბადებით ცრუ კაცი, ქილიც სასაცილომდე მიმნდობი იყო. და, რაც მთავარია, სულაც არ ფიქრობდა რომ ფრანსუას ქურდავდა. ვნებიან გმირულ, ტკბობასა და ნეტარებას ნატალი ამჯერად ქილს უნდა უმადლოდეს, მხოლოდ და მხოლოდ მას, ვერა სხვა კაცი, ვინც ნატალის იცნობდა, იმ იმედს ვერ იქონიებდა, რომ ამ ქალთან იგივეს მიაღწევდა. ქილი ფრანსუას სტაცებდა ნატალი-ადამიანს და არა ნატალი-ქალს. თუმცა უნდა ითქვას, რომ ფრანსუა მრავალი წლის მანძილზე ცოტა ყურადღებას როდი უთმობდა ამ ყოველგვარ წესებს დაუმორჩილებელ, უკომპრომისო ნატალის. ჰოდა, ფრანსუა ქილს უთმობს თავის ნატალის — საყვარელსა და ამასთან დედას, მკაცრსა და დამთხვეულს, სწორედ ისეთს, როგორიც ქილს სჭირდება. ცხადია, ასეთი ფიქრი უსინდისობა იყო, მაგრამ ბედნიერი ადამიანი ხომ ხშირად უსინდისოა. ქილი კი ბედნიერი იყო.

მათი შეხვედრის ყველაზე ტკბილი წუთები ნამუადღევს იწყებოდა. ამ მოპარულ წუთებს ისინი ქილის საძინებელში, უფრო სწორად ქილისთვის სხვენზე მიკუთვნილ ოთახში ატარებდნენ, სადაც ადრე მოსამსახურეს ეძინა

და სადაც ახლა ქილი დაბინავდა. აქ შეიძლებოდა უკანა კიბით შემოსელა პირდაპირ ეზოდან. ასე იქცეოდა არა იმიტომ, ნატალის სახელს გაფრთხილებოდა, რომელიც ყოველგვარ დადგენილ წესს დასცინოდა, არამედ იმიტომ, ოდილიას კდემამოსილება დაენდო, ვისაც თავისი გარკვეული მოსაზრება და რწმენა ჰქონდა. ოთახი დიდი იყო, თითქმის ცარიელი, მტვრიანი, შიგ იდგა განიერი საწოლი და ვითომდა „წითელი ხის" სავარძელი, [illegible] ნატალი თავის ტანსაცმელს ყრიდა. ქილი ნაშუადღევს ადიოდა ამ ოთახში, ხურავდა დარაბებს, წამოწვებოდა, აიღებდა წიგნს და ელოდა. ნატალიც დიდხანს არ ალოდინებდა, თვალის დახამხამებაში გაიძრობდა კაბას და გაქივით დააცხრებოდა ქილს, ისე რომ კრინტს არ დაძრავდა. ზოგჯერ კი პირიქით, ზანტად იხდიდა, თითქოს ნაძალადევად, თან ენამოსწრებულად უყვებოდა მოსაბეზრებელი წვეულების ამბებს. ქილმა არ იცოდა, რომელი უფრო მოსწონდა, მაგრამ ერთიცა და მეორეც ლოგიკით მთავრდებოდა. გავარვარებული სახურავიდან ისეთი ბუღი ჩამოდიოდა, განცხრომის შემდეგ მთლად ოფლში გაწუწულნი, არაქათგამოცლილნი სულს ძლივს ითქვამდნენ, მაგრამ ვნება მაინც არ ცხრებოდა. ქილი დაჭმუჭნული ზეწრით ამშრალებდა მოქანცულ ნატალის, ისიც არავითარ წინააღმდეგობას არ უწევდა, იწვა თვალდახუჭული და ქილი ხელისგულებით გრძნობდა მის გულისცემას. ამასობაში ნატალი ნელინელ მოდიოდა გონს, როგორც ნელინელ ფხიზლდება ხოლმე ადამიანი გულისწასვლის შემდეგ. კმაყოფილი, გაამაყებული ქილი ნატალის დასცინოდა. ბოლოს ნატალის თანდათან უბრუნდებოდა სიცოცხლე და ახლა მარტო საკუთარი სისხლის ჩქროლვა კი არ ესმოდა. თვალების გახელაც შეეძლო, მაშინ როცა სულ ერთი წუთის წინ დარაბებიდან შემოსული მკრთალი შუქიც კი თვალს სჭრიდა. ქილი ამ დროს სიგარეტს ეწეოდა, ნატალი მისკენ შებრუნდებოდა და რაღაცნაირი შიშნარევი მადლიერებით შესცქეროდა.

ისინი საუბრობდნენ. თანდათანობით ქილმა ყველაფერი შეიტყო ნატალის ცხოვრებაზე: ტურში გატარებული ბავშვობა, პარიზში სწავლის წლები, პირველი სიყვარული, ფრანსუასთან შეხვედრა, მასთან ქორწინება. ეს იყო უბრალო და ამავე დროს რთული ცხოვრება: უბრალო იმიტომ, რომ დიდად მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა, რთული იმიტომ, რომ ანაზდეული ღუმილი, რომელიც ნატალის თხრობას აწყვეტინებდა, ცალკეული სიტყვები, ბილო და თვით ფრაზის წყობაც კი იმას უწყოდა, ეს მშვიდი და ერთი შეხედვით ბედნიერი ცხოვრება მისთვის აუტანელი გამხდარიყო. თუ ქილი ჰკითხავდა: „გიხაროდა, პარიზში რომ წახვედი დიპლომის დასაცავად?" — ნატალი პასუხობდა: „გაგიჟდი... მე ხომ მაშინ პირველად დავშორდი ჩემს ამას?" და ქილს გუნებაში უნდა შეერწყა ახალგაზრდა პროვინციელი გოგონას კლასიკური სახე, პარიზით რომაა მოხიბლული და თაყვანისმცემლებით გარემოცული, იმ გოგონასთან, რომელიც შორეულ უცხო ქალაქში ძმაზე დარდობს; ან თუ ჰკითხავდა, რა შთაბეჭდილება მოახდინა მასზე ფრანსუამ პირველი შეხვედრისას, იგი პასუხობდა: „მაშინვე შევატყვე, რომ პატიოსანი კაცი იყო", — ამის მეტს ქილი სიტყვას ველარ დააცდევინებდა ნატალის. რაც შეეხება საყვარლებს — ფრანსუამდე, მგონი, სამი ჰყავდა, მის შემდეგ — ერთი, — იგი მშვიდად აღიარებდა, რომ მათ დიდი სიამოვნება განაცდევინეს. ერთხელ ქილმა უაზროდ ჰკითხა: „ისეთივე სიამოვნება, როგორიც მე?" — და პასუხიც მიიღო: „ბუნებრივია". ამ პასუხმა ქილს ბრაზით აუვსო გული.

ტყუილუბრალოდ კი. ნატალის ქილისნაირად არასოდეს არავინ ჰყვარებია, ხორციელი ტკბობა კი სხვებთანაც უგემნია, ამას იგი პირდაპირ აღიარებდა და არც ცდილობდა უარყოფას. ნატალის გულახდილობა ხან მოსწონდა, ხან კი აბოროტებდა ქილს, მაგრამ ვერავითარი ხრიკი, თუნდაც განცხრომის წუთებში, ვერ აიძულებდა ნატალის უარი ეთქვა თავის ნათქვამზე. იგი დინჯად შესცქეროდა, როგორ უგებდა ქილი მორიგ ხაფანგს, როგორ უმზადებდა ახალ-ახალ მახეებს და შემდეგ სიცილ-სიცილით, ერთი სიტყვით უნგრევდა ყველაფერს. და ქილიც იცინოდა მასთან ერთად. ადრე ხომ ვერა ქალი ვერ გაუბედავდა ქილს დაცინვას ყალბი მამაკაცური თავმოყვარეობის გამო. ამ სასიამოვნო გართობას მხოლოდ ქანის ან სხვა მამაკაცების წრეში ეძლეოდა. ის ამბავი, რომ ბოლოს და ბოლოს ხელი აიღო ამ სულელურ ამპარტავნობაზე, უფრო მეტად აახლოვებდა ნატალის. თუმცა ამაში საკუთარ თავსაც არ უტყდებოდა.

ექვსი საათისათვის ისინი ტერასაზე ჩამოდიოდნენ, სადაც შეზლონგებში მოკალათებული ფლორანი და ოდილია უცდიდნენ; ქილი და ნატალი მათთან ერთად სვამდნენ „პორტო-ფლიპს", საუბრობდნენ ამინდზე. ოდილია უკვე ალარ წითლდებოდა ყოველ წვრილმანზე, ფლორანი კი ნატალისთან გაერშიყებასაც ცდილობდა, რაც ქილს საოცრად ართობდა. გადმოკარკლავდა თავის დიდრონ ცისფერ თვალებს, შესცინებდა ნატალის, სთავაზობდა თავის საზიზღარ სიგარეტებს მოოქროვილი მუნდშტუკით და უმტკიცებდა, მთელ ლიმუზენში ჩემისთანა სიგარეტები არავის აქვსო. ქილი დამცინავად შესცქეროდა ნატალის, როცა ის გმირულად სწევდა ამ სიგარეტებს, სვამდა „პორტო-ფლიპს", ნელ-ნელიანად წაილაპარაკებდა: „ჩემი წასვლის დროა", — ისინი კი სთხოვდნენ, ცოტა ხანს კიდევ დარჩი. დღემ ძალზე იმატა, სიცხე მხოლოდ შვიდი საათისათვის იკლებდა, ხის ჩრდილები ტერასაზე თანდათან იწეღებოდა. დროდადრო ქილი თავს ცხრაასიანი წლების კომედიის გმირად წარმოიდგენდა: ცალფეხა მრგვალი მაგიდა, მსუბუქი საამელები, უბედი ნოტარიუსი... მაგრამ უეცრივ ნატალი თავს სავარძლის ზურგზე გადადებდა და თვალდახუჭული ქილი იგონებდა, როგორი იყო იგი იქ, ზემოთ, მის ოთახში, და თუ აქ მართლაც კომედია თამაშდებოდა, ქილს ამ ქვეყანაზე ყველაზე მეტად ის უნდოდა, იგი ასეთი ყოფილიყო.

თავი III

იმ ზაფხულს უამრავი წვეულება ეწყობოდა, მაგრამ ქილი არსად არ მიდიოდა. ხალხში ამბობდნენ, ავად არის, დეპრესია აწუხებს, მარტოობა უნდაო. ეს კი ყველასათვის ხელსაყრელი იყო, თვით ნატალისთვისაც კი, როგორც იგი ვარაუდობდა. ნატალი თუმცა ყოველ წუთს მზად იყო, მისივე სიტყვებით, ქილს პარიზში გაჰყოლოდა, ქილი მაინც არ ივიწყებდა, რომ ქმრიანი ქალის საყვარელი გახდა. ვინ იფიქრებდა, რომ ეს უზადო სახელის მქონე ქალი ყოველდღე მანქანით გადის სამოც კილომეტრს, რათა ვიღაც ნეკრასთანიკს საწოლში ჩაუწვეს? როდესაც ოდილია ქილს საყვედურობდა, მოვალე ხარ საზოგადოებაში იაროო, პასუხად მუდამ ამას ეუბნებოდა: „მაქმინ ხომ სილვენერს უნდა შეეხვდე?.." — და გაწითლებული ოდილია მზად იყო ბოდიში მოეხადა ქმისათვის. ხშირად, საღამოობით, თვალებით რომ გააცილებდა ხეი-

ვნის ბოლოს გაუჩინარებულ პატარა ავტომობილს, რომელსაც ფლორანი და ოდილია წვეულებაზე მიჰყავდა. უზარმაზარ სახლში მარტოდმარტო დარჩენილი ქალი წიგნს აიღებდა, სასტუმრო ოთახში მოკალათდებოდა და სიმშვიდითა და სიჩუმით ტკბებოდა. ზოგჯერ მესამე სართულზე ავიდოდა, გაიჭიმებოდა ჯერ ისევ აულაგებელ ლოგინზე და თვალგახელილი ისუნთქავდა ნატალის სუნი, რომელს. ლამფურები უხმაუროდ დასრიალებდნენ ჩაბნელებულ [illegible]ქაზე, ქვემოთ, ბალის მხრიდან ბაყაყების ერთფეროვანი ყიყინი ისმოდა. ნათელ, ნელოვანი ნიავი სიგრილეს და სიმშვიდეს ჰფენდა ოთახს, სადაც ამ ცოტა ხნის წინ სიყვარულის ორთაბრძოლა იყო გაჩაღებული. ქალი ნატალიზე ფიქრობდა და თითქმის არც ნანობდა, ახლა რომ გვერდით არ ჰყავდა. ხან ჩაიძინებდა ბოლმე, ისე რომ თავის ძველ სვიტრსაც არ გაიხდიდა, და მხოლოდ ხრეშზე ავტომობილის საბურავების ხრაჭუნი გამოაღვიძებდა. ჩავიდოდა ქვევით, მიეხმარებოდა გამოძთვრალ ფლორანს შანქარიდან გადმოსულიყო და თან მიჰყვებოდა საძინებელში. „შენ რა, აქამდის არ გძინავს?“ უკვირდა ბოლმე ოდილიას და გაბრუებული იმისთანა მსმენელის ნახვით, რომელიც ქმარზე უკეთ შეუფასებდა თხრობას, ხალისით აღუწერდა, ისეთი მშვენიერი საღამო მოაწყვეს კუდერკებმა, ისეთი დიდებული, თვით ჰერცოგ გერმანტსკის ცოლსაც კი პატივს დასდებდაო. ყოველი მეჯლისის დედოფალი უცვლელად ნატალი იყო, რომელსაც ოდილია თხრობისას „ქალბატონ სილვენერად“ იხსენებდა, თუმცა ყოველდღიური შეხვედრისას უბრალოდ სახელით მიმართავდა. ჰოდა, წვეულებაზე ქალბატონ სილვენერს მშვენიერი ცისფერი კაბა ეცვა, საკმაოდ თამამად ელაპარაკებოდა პროკურორის თანაშემწეს. ოჰ, თავად პრეფექტიც კი ერთ ნაბიჯზე არ მოსცილებია ქალბატონ სილვენერს და ასე შემდეგ. ქალი რომ ყოველდღე არ წოლილიყო ამ ქალბატონი სილვენერის გვერდით ყოველგვარი სამოსელის გარეშე, უდაოდ მოწიფესავით მოჰყვებოდა მასზე ოცნებას. მშვიდი ღიმილით უსმენდა ქალი ოდილიას ტიტინს, დასცინოდა პროკურორის თანაშემწეს და ცდილობდა წარმოედგინა, როგორი იყო ნატალის ცისფერი კაბა. ერთი სიტყვით, თხრობის დასასრულს ოდილია ყოველთვის — შესაძლოა თავისი კეთილი გულის წყალობით, სევდის სარუბველში ხვევდა ბრწყინვალე ქალბატონ სილვენერს. ქალი კი დაუდევარ, უცოდველ იერს მიიღებდა, თითქოსდა ეს ამბები სულაც არ ეხებოდა. ბოლის რომანტიკით მთვრალი ოდილია გვერდით მიუწვებოდა ხოლმე შამპანურით გამოძთვრალ ფლორანს, რომელიც ცოლის მსგავსად უმალვე ჩაიძინებდა.

გახვლო ორბა კვირამ, რაც ქალი პარიზიდან დაბრუნდა. ამ ხანში ფეხი არსად გაუდგამს, მხოლოდ ეს იყო, დილაობით ოდილიას მიყვებოდა ხოლმე საყიდლებზე მეზობელ დაბაში. მისი ბედის ჩარხი თითქოს გაჩერებულიყო; ასე ეგონა, ამიერიდან მთელი სიცოცხლე მზეზე ინებივრებდა, დღისით ნატალი ეყვარებოდა, საღამოობით კი იოცნებებდა. იმის გაფიქრება, რომ ორი თვის შემდეგ გაზეთის საერთაშორისო განყოფილების რედაქტორი ყელამდის საქმეში ჩაფლული კაცი იქნებოდა და ისეთივე სიხარბით დაზოგავდა დროს, როგორც ახლა ფლანგავს, რომ ეს დრო გაიფრენდა პარიზის ულიმლამო ორომტრიალში, უბრალოდ უაზრობად ეჩვენებოდა; თუმცა ამაზე არც ფიქრობდა, რადგან მომავლის გეგმებს მუდამ დაუდევრად ეკიდებოდა. გამოღვიძებისას ქალი გუნებაში ძალიან უბრალო საკითხებს წყვეტდა: წაჰყვეს თუ არა ფლორანს სათევზაოდ, რა გუნებაზე იქნება ნატალი, ალერსიანი თუ ჭირვეუ-

ლი, და თავად შეძლებს თუ არა მათ დახუთულ საწოლ ოთახში ჩამოგდებული დარაბის შეკეთებას. ზოგჯერ გაზეთის კითხვისას ჩაფიქრდებოდა, რამ უნდა აიძულოს ადამიანი თავისი ახლობელი თვრამეტ ნაწილად დაეწყოს, და თავის აღშფოთებას ოდილიას უზიარებდა, ისიც შიშისაგან ფარშავანგივით გამყივანი ხმით აკიეკლდებოდა; ფლორანი კი თავის ჩვეულებრივ მიმიკასა და ჟესტებს იშველიებდა: თითს შუბლზე ირტყამდა ან ჰალსტუხისაგან მარყუჟს აკეთებდა და ხელით ეჭაჩებოდა, ერთი სიტყვით ქილი ბედნიერიყო — და რაც მთავარია, მამაკაცური სიამაყით სხვადასხვა ყაიდაზე უმეორებდა ამას ნატალის. „აბა წარმოიდგინე, — ეუბნებოდა ქილი, — ჰო, წარმოიდგინე: სულ ორი თვის წინ წყალწალებული კაცი ვიყავი, ახლა კი ასეთი ბედნიერი ვარ..." თითქოს თვითონვე არ სჯერაო თავისი ბედნიერების, ეს კი სიცილს გვრიდა ნატალის. ზოგჯერ ქილი დაუმატებდა: „ეს ყველაფერი შენი წყალობით მოხდა", და ნატალისაც წამწამები აუთრთოლდებოდა.

ბოლოს სილვენერებმაც გამართეს წვეულება. ყოველ წელიწადს, დაახლოებით ერთსა და იმავე დროს, ფრანსუა სილვენერი თავს უყრიდა თავის სახლში ლიმოჟისა და მისი შემოგარენის მაღალ საზოგადოებას. ეს იყო ზაფხულის ყველაზე საუცხოო წვეულება. ოდილიაც ათი დღით ადრე მხიარულად შეუდგა მზადებას, სულ დაივიწყა თავისი მოსაზრებანი ზნეობაზე. ეს იყო ერთადერთი წვეულება, რომლისთვისაც ქილმა გადაწყვიტა შეეწირა თავისი მარტობა. მას უნდოდა ენახა, როგორ ცხოვრობს ნატალი, უნდოდა ეხილა იგი დიასახლისის როლში და ამით წინასწარ ირთობდა თავს.

ფრანსუა სილვენერს მეთვრამეტე საუკუნის ვეებერთელა სახლი ეჭირა, სადაც, ეტყობა, მუდამ მართლმსაჯულების დამცველები ცხოვრობდნენ. სახლი შუა ლიმოჟში იდგა, ფანჯრები დიდებულ ბაღს გადაჰყურებდა. ბაღი ახლა საზეიმოდ გაეჩახჩახებინათ, და მეტისმეტად ბევრი ყვავილიცაა, — გაიფიქრა ქილმა კიბეზე ასვლისას, — მეტისმეტად უდის ფულის სუნი. რა თქმა უნდა, პატიოსანი გზით მოპოვებული, მეშკვიდრეობით მიღებული, მაგრამ მაინც ფულის სუნი; მძიმე, პრიალა ავეჯი, ძველებური ხალიჩები, დიდი, ოდნავ გზინვადაკარგული სარკეები, ბუფეტთან მდგარი ორი ღაჟღაჟა ოფიციანტი, თეთრი ხელთათმანები რომ ეცვათ და თავს, ეტყობა, უხერხულად გრძნობდნენ, — ყოველივე ოჯახის სიმდიდრეზე მეტყველებდა. მაგრამ ქილი, როგორც ჟურნალისტი და პარიზელი, რომელიც უფრო ბრწყინვალე წვეულებებსა და თავბრუდამხვევ ნადიმებს დასწრებია, ხშირად რომ აწყობდნენ ლამის უკვე გაკოტრებული მოქეიფენი, ყველაფერს ერთგვარი უპირატესობის გრძნობით უყურებდა. მას მხოლოდ ის ფული უყვარდა, რომელსაც ქარს ატანდნენ. აქ კი ფუფუნებაზე უფრო მეტად მყარი, შეძლებული ცხოვრება იგრძნობოდა. კიბის ზედა მოედანზე გვერდიგვერდ იდგნენ ნატალი და ფრანსუა სილვენერები და სტუმრებს ზუსტად ისე ხვდებოდნენ, როგორც ცხრაასიანი წლების რომანებშია აღწერილი. მაგრამ როდესაც ქილმა ხელზე აკოცა ნატალის, მზერაზე შეატყო, როგორ უნდოდა ქალს მოსწონებოდა მისი სახლი, თვალები ისე აშკარად მეტყველებდნენ: „ეს ყველაფერი შენთვის არისო", ქილს, ცოტა არ იყოს, შერცხვა თავისი ქედმაღლობისა. ამიტომაც განსაკუთრებული სითბოთი შეასხა ქება ნატალის დიდებულ სახლს, ხელი ჩამოართვა სილვენერს და დიდ სასტუმრო ოთახში შევიდა.

ოთახი უკვე გავსებულიყო საზეიმოდ განწყობილი სტუმრებით; ვიდრე ქილი იმ ოთახში შეაღწევდა, რომელიც აშკარად ბიბლიოთეკა იყო, ბევრი

გაესაუბრა და ბევრმა უთხრა ქათინაური, რა კარგად გამოიყურებითო. ქილი შეეცადა წარმოედგინა, როგორ ზის ჩოლმე ნატალი აქ ბუხართან საკარძელში თავისი ქმრის პირდაპირ, მაგრამ ვერ შეძლო. ნატალი მხოლოდ და მხოლოდ სხვენის დახუთულ ოთახში საწოლზე გამოტილი ან ბალახზე წამოწოლილი წარმოედგინა. ქილმა ბიბლიოთეკაში ცოტა შეისვენა, შემდეგ აივანზე გავიდა და აქ ვიღაც კაცს გადააწყდა. სწორედ ემბლ[illegible] ქილი თავის გუნებაში „ძამიკოს" ეძახდა მას შემდეგ, რაც ნატალიმ თავისი ბავშვობის წლებზე უამბო. ისინი ერთმანეთს ერთადერთხელ შეხვდნენ ლიმოჟში, მაგრამ პიერ ლაკურმა დანახვისთანავე გაუწოდა ხელი. „ძამიკო" საკმაოდ მაღალი ტანის, ვაჟკაცური და, როგორც ქილმა გუნებაში გაიფიქრა, ძალიან ლამაზი მამაკაცი იყო. ქილს გაეღიმა, როცა გაახსენდა, როგორ იეჭვიანა ნატალიზე და პიერზე კასინიაკებთან.

— ჩვენ უკვე დავკარგეთ თქვენი ნახვის იმედი, — ჩაილაპარაკა ლაკურმა, — რადგან არც ერთ ოჯახში არ ჩანხართ. თქვენს დას ყველგან ვხვდები, თქვენ კი — არსად.

— მართალია, მაინცდამაინც არ მიყვარს ხალხში ყოფნა, — უთხრა ქილმა.

— ალბათ გწყინდებათ ჩვენს პროვინციულ დღესასწაულებზე, არა?

ლაკურის ხმა საკმაოდ მტრულად ეღერდა. მაგრამ ქილს ძოუნდა იგი თავის მხარეზე გადაებირებინა.

— რას ბრძანებთ! უბრალოდ, ძალიან დავიღალე პარიზში და აქ დასასვენებლად ჩამოვედი.

ხანმოკლე სიჩუმე ჩამოვარდა, და უეცრად პიერ ლაკურმა, თითქოს გამბედაობა მოიკრიფაო, ქილს იდაყვზე წაავლო ხელი.

— მინდა მოგელაპარაკოთ... თქვენ კარგად იცით, რომ მე და ჩემი და... დიდი მეგობრები ვართ.

— კი, ვიცი, — ლიმილით მიუგო ქილმა.

ქილი არ ცდილობდა გაკვირვება გამოეხატა. პიერისათვის ან ყველაფერი ცნობილია, ან არაფერი იცის. ეს კაცი რიღაცით ხიბლავდა ქილს — იგრძნობდა, პირდაპირი კაცი იყო და ნათელი გონება ჰქონდა, მაგრამ „ძამიკოს" პირველივე სიტყვებმა დააბნია ქილი.

— ნატალის თქვენ უყვარხართ, — მკვახედ თქვა მან, — და მე პირდაპირ აღარ ვიცი, რა ვქნა.

ეს სიტყვები ლაკურმა ქილისაგან ზურგშექცევით წარმოთქვა და ქილს ერთი წუთით ეჭვიც კი შეეპარა, სწორად გაუგო ნათქვამი თუ არა.

— რატომ?

— იმიტომ, რომ მაინცდამაინც არ მეჭაშნიკებით, მომიტევეთ გულახდილობა.

ისინი ხმადაბლა ლაპარაკობდნენ — თითქოს ამ ბნელ ოთახში ორი მოქიშპე ფარულსა და გარდუვალ დუელზე ეთანხმებოდა ერთმანეთს. ქილს გული ძალუმად აუძგერდა.

— კი მაგრამ, რატომ არ გეჭაშნიკებით? ჩვენ ხომ წესიერად არც ვიცნობთ ერთმანეთს.

— ნატალის უყვარხართ და, თქვენივე სიტყვებით რომ ეთქვათ, თქვენც გიყვართ იგი. თუ ეს მართალია, რატომ არის იგი აქ? იქნებ ფიქრობთ, რომ

საყვარლებს შეჩვეული მდაბიო ქალია? ან იქნებ გგონიათ, რომ მისთვის ადვილია ფრანსუას გვერდით ყოფნა? ნუთუ ასე ცუდად იცნობთ მას?

— თავად გადაწყვიტა ზაფხულის ბოლომდის მოიცადოს... — წამოიწყო ქილმა.

პიერ ლაკურმა მრისხანედ გაიქნია ხელი.

— ...არაფერიც არ გადაწყვიტა. მას ჰგონია, რომ თქვენ არა გაქვთ საკუთარი თავის იმედი და არ სურს გაიძულოთ. მორჩა და გათავდა. აგერ უკვე ერთი თვეა მისი ცხოვრება აუტანელი კომპრომისია, რაც ძალიან სძულს საერთოდ. ამას თქვენი გულისთვის აკეთებს.

ქილს ყელში ბოლმა მოაწვა. ბატონმა ლაკურმა კეთილშობილი ამის კვალობაზე მეტისმეტად შორს შეტოპა.

— რაღაც არ ეტყობა, მე მისი პირველი გატაცება ვიყო...

— არა. მაგრამ პირველი ვნება ნამდვილად ხართ, და მე ძალიან მაფიქრებს ნატალის ბედი.

— რატომ?

— იმიტომ რომ თქვენ უსუსური, უნებისყოფო ეგოისტი ბრძანდებით....

— ყველა მამაკაცი ეგოისტია, — ცივად მიუგო ქილმა.

— მაგრამ ყველა მამაკაცი არ არის საკუთარი თავის ასეთი შემწყნარებელი.

ახლა ისინი მზად იყვნენ ერთმანეთს დასძგერებოდნენ. ქილი შეეცადა თავს მორეოდა. პიერი, რა თქმა უნდა, მართალია და ამასთან არც არის მართალი. ქილმა ღრმად ამოიოხრა.

— თქვენ როგორ მოიქცეოდით ჩემს ადგილზე?

— მე არასოდეს არ ვიქნებოდი თქვენს ადგილზე. მე რომ სხვა ვიყო ან ნატალი ჩემი და არ იყოს, აქამდის უკვე წავიყვანდი....

მან ხმას აუმაღლა, ქილს გაელიმა.

— ღმერთო ჩემო, რა ძლიერ გიყვართ იგი!

— ეს სიტყვები მე უნდა მეთქვა თქვენთვის, ხომ მართალია?

სიჩუმე ჩამოვარდა.

— მაგრამ მე მიყვარს იგი, — ჩუმად ჩაილაპარაკა ქილმა.

— მაშინ იზრუნეთ მასზე.

ლაკურს უკვე აღარ ეტყობოდა მრისხანება, — პირიქით, ახლა ნაღვლიანი და მუდარით სავსე, თითქმის მორჩილი ჩანდა. ასეთი გამომეტყველება ქილმა უკვე შეამჩნია ნატალისაც და გული ეტკინა.

— თქვენი აზრით, უნდა წავიყვანო და თანაც ხვალვე?

— დიახ, — მიუგო ლაკურმა. — და რაც შეიძლება მალე. იგი ძალიან უბედურია.

ისინი დაკვირვებით შეაცქერდნენ ერთმანეთს. სამი ნაბიჯის იქით მხიარულად გუგუნებდნენ სილვენერების სტუმრები. ანაზდად ქილმა თავი ლირიკულ თუ რომანტიკულ გმირად იგრძნო.

— ასეც მოვიქცევი, — უთხრა მან. — ვიზრუნებ კიდეც მასზე.

ქილმა უკვე წარმოიდგინა, როგორ გადაჭრის საცეკვაო დარბაზს, როგორ ჩაავლებს ხელს ნატალის, ისე რომ არაფერს ეტყვის, და როგორ წამოიყვანს განცვიფრებულ სტუმართა შორის... ჭეშმარიტად მეცხრამეტე საუკუნე! ოცნებებიდან ლაკურის ხმამ გამოარკვია:

— სილვენური წესიერი კაცია. ნატალი მას წესიერად უნდა დასცილდეს, თუკი შეიძლება ადამიანი წესიერად მიატოვო.

ქილს ელოიზასკენ გაექცა ფიქრი და ლაკურს არა უპასუხია რა.

— მხოლოდ არ დაივიწყოთ, რომ ნატალი სრულქმნილი ბუნების ქალია, გრძნობებით სავსე.

ლაკური ქილს გაშორდა და გაუჩინარდა. ეს ხანმოკლე საუბარი სიზმარსა ჰგავდა. კარგად რომ ჩაუკვირდეს კაცი, ეს ყმაწვილი თავის ქკუაზე არა უნდა იყოს. სამაგიეროდ ქილისთვის ყველაფერი ნათელი გახდა. და როდესაც წასვლისას ნატალის ხელზე ეამბორა და კიბის თავზე ქმართან მარტო დატოვა საკუთარ სახლში, ანაზდად მიხვდა, რომ ქალი, რომელსაც უკვე თავისად თვლიდა, ახლა მასთან ვერ წამოვა, რომ ნატალიც, ქილის მსგავსად, სასოწარკვეთილებაშია ჩავარდნილი. და სწორედ მაშინ მიიღო ქილმა გადაწყვეტილება.

ᲛᲔᲮᲣᲗᲔ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ

ᲗᲐᲕᲘ I

— ბოლოს და ბოლოს რა მოხდა?

ისინი პარიზში იყვნენ, ქილის ბინაში; ნატალი ეს წუთია ჩამოსულიყო. ქილი სამი დღე ელოდა ნატალის, მისი არაფერი იცოდა. და აი, ნატალი აქ არის, დაბნეული, გატრუნული, თითქოს რაღაც ელდისგან დარეტიანებული შესაქერის ქილს. ქალმა თავისი ჩემოდანი შემოსასვლელში დადგა, პალტო სკამზე მიაგდო; ნატალი პირდაპირ გაუფრთხილებლად ჩამოვიდა, ისეთი იერი ჰქონდა, თითქოს ახლავე უკან გაბრუნდებათ. მას არც დაუთვალიერებია ბინა, ეს კი საკმაოდ უცნაური ჩანდა, რადგან ნატალის ამიერიდან აქ უნდა ეცხოვრა ქილისთან ერთად. ეს ხომ ორივემ ერთად გადაწყვიტა ლიმოჟში სილვენერების წვეულების მეორე დღეს; გადაწყვიტეს საოცრად დიდი ბედნიერების შთაგონებით, საოცრად დიდი და ბრძნული შთაგონებით. ქილმა არც იცოდა, რომ ბედნიერებას შეიძლება უდრეკი, ნაზი სიბრძნე ახლდეს, რომელიც მოითხოვს ის გააკეთო, რაც გასაკეთებელია. მაგრამ ნატალიმ მაინც მოითხოვა, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, წესიერების დასაცავად, ქილი მასზე ადრე გამომგზავრებულიყო, — და მხოლოდ სამი დღის შემდეგ, როცა შეშფოთებული ქილი ადგილს ვეღარ პოულობდა, ეს მდუმარე ქალი წინასწარი გაფრთხილების გარეშე ეწვია. ქილმა ორივე ხელი ჩაავლო, დასვა, ღვინო დაუსხა. ნატალი კი დუმდა, ხმას არ იღებდა.

— თქვი, რა მოხდა?

— არაფერიც არ მოხდა, — უპასუხა თითქოს ნაწყენი კილოთი; — ფრანსუას ყველაფერი ავუხსენი, იმას მოველაპარაკე, მანვე წამიყვანა სადგურზე. ვეღარ მოვახერხე შენთვის მეცნობებინა. პარიზში ტაქსი დავიკავე. — მისამართი ხომ მქონდა.

— შინ რომ არ დაგხვედროდი?..

— შენ ხომ მითხარი, დაგელოდებიო.

ნატალის თვალებში რაღაც ახალი გაკრთა, რაიც უთუოდ ჯოჯოხეთურად მტანჯველი წუთების გახსენება იყო, და ეს დაეხმარა ქილს შეეგნო, რა უაზრო იყო მისი ღელვა, წმინდა უცოლო კაცის ღელვა და მოლოდინი. ბოლოს და ბოლოს ნატალიმ ჯვარი დაუსვა თავის ადრინდელ ცხოვრებას, ქილის მოუსვენრობა კი მხოლოდ და მხოლოდ მოლოდინით იყო გამოწვეული. რა შედარებაა! ერთია — მოწყენილ გულზე გადაიკითხო ძველი გაზეთები, და მეორე — გამოუცხადო ქმარს, აღარ მიყვარხარო. ქილი დაიხარა და ლოყაზე აკოცა.

— როგორ შეხვდა ამ ამბავს?

ნატალიმ გაოცებით შეხედა.

— რატომ კითხულობ? შენ ხომ არასოდეს გიკითხავს, როგორ იქცეოდა, როცა ერთად ვცხოვრობდით? მაშ ახლა რად გინდა გაიგო, როგორ დავცილდით ერთმანეთს?

— მინდოდა მხოლოდ ის მეკითხა... შეურაცხმყოფელი ხომ არ იყო შენთვის, რა თქმა უნდა...

— აჰ, ჩემთვის? — შეეკითხა ნატალი, — ძე იმ ადამიანთან წამოვედი, რომელიც მიყვარს... ის კი მარტო დარჩა, ხომ ასეა?

ქილს ბუნდოვანმა, საკმაოდ ცინიკურმა აზრმა გაუელვა: საბოლოო ჯამში მიტოვებული ქმრის ამბავი ბევრად უფრო შემაწუხებელია, განცდების თვალსაზრისით, ვიდრე ჯერ ისევ გვერდით რომ გყავს. ნატალის, როგორც ჩანს, შეამცივნა. ქილმა ვერა და ვერ გაუთბო გათოშილი ხელები; ქილს რატომღაც უნდოდა ნატალის ეტირა, ეთქვა ყველაფერი, მთლიანად მინდობოდა მას, ან ვნებამორეული გულში ჩაკვროდა, როგორც ეს ხდება ხოლმე, როცა საყვარლებს უნდათ მესამე პირის მიმართ ჩადენილი სისასტიკე დაივიწყონ. ამ სირცხვილისაგან აცახცახებული მდუმარე ქალის ცქერა კი გულს უკუმშავდა.

— შენ გეშინია, — უთხრა ქილმა, — გიმძიმს. მოდი, ჩემი ბინა დავათვალიეროთ.

ქილი თვითონაც არ მოელოდა, ასეთი გატაცებით რომ „მოამზადებდა" თავის ბინას ნატალისთან შესახვედრად. მეკარე ქალმა ყველაფერი მიალაგა, ქილმა იყიდა ჩაი, ქალალდის ხელსახოცები, უამრავი ყვავილი, ორცხობილა და ახალი ფირფიტა. მეკარის ქმარმა გამოცვალა გადამწვარი ნათურები, ჩართო მაკივარი. ერთი სიტყვით, ქილმა ყველაფერზე იზრუნა, გარდა ნატალის განცდებისა, უფრო სწორად, მას ეგონა, ეს განცდები უფრო თეატრალური იქნებოდა, ქვითინის, გააფთრების მოწმე გახდებოდა. — ერთი სიტყვით, „დრამა" იქნებოდა, ფრიად საინტერესოც. მაგრამ ასეთ უხმო სასოწარკვეთას კი არ მოელოდა.

ნატალი წამოდგა და ანგარიშმიუცემლად გაჰყვა ქილს. დიდი სანახავი აქ არაფერი იყო, საძილე ოთახისა და ხის პანელით მოპირკეთებული აბაზანის გარდა (ელიზას ახალი ახირება). ნატალიმ თავაზიანად და დაბნეულად დათვალიერა ბინის ყველა ღირსშესანიშნაობა. ამ ქალის შემხედვარე ვერავინ იფიქრებდა, რომ იგი ამ ლოგინში დაიძინებდა, თავის ტანსაცმელს ამ კარადაში დაკიდებდა, თვითონ ქილიც კი. ქილი შიშმა შეიპყრო. ვაითუ ჯერ არა აქვს გადაწყვეტილი? იქნებ იმისთვის ჩამოვიდა, რომ უთხრას (წერილით ან ტელეფონით შეტყობინება ნატალის ხასიათს არ ეხამება), შენთან დარჩენა არ შე-

მიძლიაო. და უმალვე მის მიერ ნაყიდი ყვავილები, ნატალისათვის უკვე გაშლილი ფართო ლოგინი, სექტემბრის დამდეგი და მოსალოდნელი ზამთრის თვეები, საერთოდ მთელი ცხოვრება ქილს საზიზღრობად და არარაობად ეჩვენა. მან ხელი ჩაავლო ნატალის და თავისკენ შემოაბრუნა.

— მოგწონს?

— რა თქმა უნდა, — მიუგო ნატალიმ, — შესანიშნავი [illegible]

ეს სიტყვა ქილს ეკალივით დაესო გულზე. მაშასადამე, [illegible] დუმს, ქილს არ ეხუტება, ხელებიც გაციებული აქვს და საღლაც განზე იყურება. არა, ნატალის უკვე ალარ უყვარს იგი. ტყუილად როდი ღელავდა ეს სამი დღე, სამი დღის ჯოჯოხეთური მოლოდინის წუთებში ტყუილად როდი ახეთქებდა გადაშლილ გაზეთებს იატაკზე, არც ის ყოფილა უსაფუძვლო, ტელეფონის ყურმილს რომ ჩამოხსნიდა წარამარა და მაშინვე კიდებდა. დიახ, ეს ყოველივე უტყუარი ნიშანი იყო. იგი კვლავ მარტო დარჩება, ნატალი წავა, მიატოვებს ქილს. მან ზურგი შეაქცია ნატალის და ფანჯარასთან მივიდა. უკვე ღამე იდგა, მაგრამ ქუჩებში ისევ იგრძნობოდა ზაფხულის გამოცოცხლება.

— ქილ! — გაეხმაურა ნატალი.

იგი შემობრუნდა. ნატალი საწოლზე იწვა, ფეხსაცმელი გაეხადა. არა, დღეს იგი არ წავა, ამ საღამოს მასთან გაატარებს, ღამეც აქ დარჩება, ჩასჩურჩულებს — „ჩემო სიყვარულო", დილით კი, ყველაფერი დასრულდაო, ეტყვის და წავა. რა თქმა უნდა, ნატალი პატიოსანი ქალია, მაგრამ არის ისეთი პირობები, რაზედაც უარის თქმა ძნელია. ქილს ბრაზი მოერია, ფანჯარას მოსცილდა და ლოგინის კიდეზე ჩამოჯდა. რა მშვენიერი იყო ამ წუთას ნატალი — დაღლილი, ოდნავ გულგრილი. ქილს უყვარდა იგი.

— შენ დაძინებულ?

ნატალიმ გოცებით შეხედა, ხელი გაუწოდა. ქილი ჩაეფრინდა ამ გაყინულ ხელს და მაგრად მოუჭირა.

— გინდა უკანასკნელი ღამე მაჩუქო?

ნატალი ოდნავ წამოიწია. მან კი განაგრძო:

— ხვალ კი მეტყვი, არ შემიძლია ასე სასტიკად მოვექცე ფრანსუას, დავუნგრიო მყუდრო ცხოვრებაო, და წახვალ. ხომ მართალია?

რისხვით ალსავსე ქილი მოელოდა, რომ ნატალის დააბნევდა ეს მოულოდნელი სიმართლე, ქილის ალღო განაცვიფრებდა, მაგრამ ნატალი მხოლოდ დაქინებით შესცქეროდა და ქილმა უცაბედად დაინახა, როგორ ივსო ეს ფართოდ გახელილი თვალები ცრემლით, თუმცა არც ერთი ნაკვთი არ შეტოკებია. მაშინღა მიხვდა ქილი, რომ შეცდა. სირცხვილისა და შვების გრძნობით საჩქაროდ დაწვა ნატალის გვერდით და სახე მხარზე მიახუტა. ლაპარაკის თავი ალარ ჰქონდა. მაშინ ნატალიმ თავისთვის ჩაიჩურჩულა:

— ღმერთო ჩემო, რა თავკერძა ხარ, ქილ!

— ისე შემეშინდა, — უპასუხა ქილმა, — მთელი ეს სამი დღე!.. და აი ახლაც... ხომ არასოდეს წახვალ ჩემგან?

ხანმოკლე სიჩუმე ჩამოვარდა. შემდეგ, როგორც იქნა, გაისმა ნატალის ჩვეულებრივი ხმა, ალერსიანი და დამცხიანი ხმა.

— არა, — უთხრა მან, — მხოლოდ თუ ძალიან შემეხვეწები.

— იცოდე, ვერ გადავიტან! — უთხრა ქილმა. — ამას ახლა მივხვდი.

ქილი უძრავად იწვა. იგი კვლავ ისუნთქავდა ნატალის სურნელს, ნაცნობსა და ახლობელს, რომელიც ასე აგონებდა მწვანე მდელოებს, ლორთქოგალახს, დაცარიელებულ სხვენის ოთახს. ქილს უცნაურად, ეფექტის მკრეხელობად ეჩვენა ნატალის სურნელის ყნოსვა აქ, ამ ქალაქში, ამ სუფთა ოთახში, სადაც, ვინ მოთვლის, რამდენი ქალი ყოფილა და სადაც სულ ცოტა ხნის წინ ელოიზა ცხოვრობდა. იგი ხედავდა, მაგრამ ველარ ცნობდა ამ ოთახს, ნატალის სურნელების მშვენიერ ღრუბელში, თანაც ნატალის მხრებით გადაღობილს. როგორც ეს მშვენიერი ქალი, ქილიც უცხოდ გრძნობდა აქ თავს, ასევე შეიძლება ყოფილიყვნენ სასტუმრო ნომერში იმ მიუსაფარი საყვარლებივით, რომლებზედაც მღერის პიაფი. მაგრამ ამიერიდან მან თავისი ბედი ხომ ნატალის ბედს დაუკავშირა, ისინი საკუთარ სახლში არიან. მაშ საიდან გაუჩნდა ეს შიშის გრძნობა, რისგან უცვნესის ასე გული? ეს არ ჰგავდა იმ პანიკურ შიშს, ამას წინ რომ განიცადა, ეს არც გულისწყრომა იყო და არც მწუხარება, ეს იყო რაღაც უფრო ღრმა, ჯერ არგანცდილი ავი წინათგრძნობა.

ქილი ჩაეკრა ნატალის, კვნესით ჩასჩურჩულებდა სასიყვარულო და სალერსო სიტყვებს, ნატალის ხელისგულები ქილის კეფაზე ეწყო, სუნთქავდა ნებიერად, მშვიდად და ქილი მაშინვე მიხვდა, რომ ნატალის ეძინა. იგი წამოდგა, მაცივრიდან ერთი ბოთლი შამპანური გამოიღო, ჭიქა გაივსო, საძილე ოთახში შეიტანა და საწოლთან გაჩერდა. ნატალის დაღლილი, სათნო სახე ჰქონდა, ნდობით სავსე. ქილმა ჭიქა მაღლა ასწია, გულში დაიფიცა, არასოდეს, არასოდეს არაფერს ვავნებო ამ ქალსა, და სულმოუთქმელად გადაჰკრა ციური შამპანური. მაშინვე გაახსენდა, ასევე ერთბაშად რომ გადაჰკრა ერთი ტოლჩა თბილი ლუდი იქ, კაფეში, ქანისთან ერთად, როცა მეგობარს ნატალის სიყვარულში გამოუტყდა. ეს იყო ერთი თვის — არა, ათი წლის წინათ. ახლა კი ეს ქალი სახლში ჰყავს, მისი საკუთრებაა, მან გაიმარჯვა. და ქილმა ვერ შეიკავა სიცილი. იგი დასცინოდა თავის წინანდელ სიბრმავეს, თავის სიჯიუტეს, თავის შეხედულებას პასუხისმგებლობაზე, დასცინოდა თავის უგუნურებას, თავის გამარჯვებებს.

თავი II

— შენთვის ჯერ არ მითქვამს ელოიზას ამბავი, — სიცილით თქვა ქანმა და ნატალის მიუბრუნდა, — ვიმედოვნებ თავად გიამბოთ ამ საცოდავ ქალზე.

ნატალიმ გაიღიმა და თავი გააქნია. სამივენი მაგიდას უსხდნენ სანაპიროს პატარა რესტორანში: ქანს და ნატალის თითქოს მოეწონათ ერთმანეთი. ქილი დიდად კმაყოფილი იყო.

— დარწმუნებული ვიყავი, თვითონ გიამბოთ მასზე. ქილს ხომ დუმილი არ ეხერხება. ერთადერთხელ სცადა ამის გაკეთება, როცა საუბარი თქვენ გეხებოდათ. აი, ამით მივხვდი, რომ უყვარხართ. აკი გამოვტეხე კიდეც ამ ამბავზე კი ნამდვილად არაფერს გეტყოდათ.

— აბა, გეყოფა, — უთხრა ქილმა.

მაგრამ ვერ კი შეძლო ბედნიერების ღიმილი შეეკავებინა. რა თქმა უნდა, ის სიამოვნება, რასაც ახლა ქილი განიცდიდა, ბავშვური იყო, მაგრამ მარ-

თლაც საოცრად სასიამოვნოა ისმენდე, შენი ერთგული მეგობარი და შენი საყვარელი როგორ გაბიაბრუებენ ალერსიანად. ასე გგონია, შენ თითქოს განზე ხარ, თითქოსდა ცნობისმოყვარე, უჩინარი სალაპარაკო საგანი იყო, მაგრამ თანდათანობით რწმუნდები, რომ ეს საგანი შენ თვითონ ხარ, რომ შენ გახასიათებენ თურმე და მაშინვე ხვდები შენი თავის ფასსაც და მათ საყვარულსაც.

— რას იზამ, ახლავე უნდა წაგიხდინო გუნება. ელიზას ბედი ხვდა — ჟურნალ „ვოგის" პირველი ფოტოგრაფის საყვარელი გახდა და შესანიშნავად აიწყო ცხოვრება. შეხედეთ, ნატალი, მართლა წაუხდა გუნება. უარს არ იტყოდა, რომ ქალები მთელი სიცოცხლე მაგას მისტიროდნენ.

— მიმიფურთხებია იმათთვის! — წამოიძახა ქილმა.

— შენს ადგილზე მეც ასე ვიტყოდი, — დასტური მისცა ქანმა და ნატალის ხელზე აკოცა.

ნატალიმ გაუღიმა. აგერ, უკვე ერთი კვირაა, ნატალი და ქილი ჯერ კიდევ დაცარიელებულ პარიზში დაეხეტებიან, როგორც სჩვევია ხოლმე აგვისტოში პარიზს. აგერ უკვე ერთი კვირაა ერთად წვანან განიერ საწოლში დოფინის ქუჩაზე და ნატალი ძალიან ბედნიერი ჩანს.

ქანის გარდა არავინ უნახავთ, ისიც სულ ახლახან დაბრუნდა შვებულებიდან. როდესაც ორი საათის წინ ქანმა მათთან შეიარა, ძალზე გაკვირვებული დარჩა, ნატალი რომ ოთახში შემთხვევით მოსულ სტუმარივით იქცევა. ქილს თვითონ მოუხდა სერვანტიდან ჭიქების გამოლაგება, მაცივრიდან თვითონ გამოიტანა ყინული და ასე შემდეგ („არ დამავიწყდეს, შემდეგ ვკითხო ქილს, რატომაა ასე").

— კლუბში უნდა შევიაროთ, — თქვა ქანმა, — ნატალი იყო უკვე კლუბში? არა? აუცილებლად უნდა გვეწვიოთ იქ და ნახოთ, რას გიმზადებთ ცხოვრება ამისთანა არამზადას ხელში.

ნატალი წამოდგა და თმის შესასწორებლად გავიდა. ქანმა თვალი გააყოლა და ნაღვლიანად გადააქნია თავისი ბოხოხა თავი.

— მშვენიერია, საოცრად მშვენიერი! — წარმოთქვა მან.

— შენ ასე ფიქრობ? — შეეკითხა ქილი.

და ორთავეს გაეცინა — ისე სასაცილოდ გაისმა წვრილი, ამღერებული ხმით თითქოსდა სხვათა შორის მიცემული ეს შეკითხვა.

— ნატალი შენზე ბევრად უკეთესია, — განაგრძობდა ჩაფიქრებული ქანი, — ბევრად უკეთესი. გარეგნობაზე არ ვამბობ, — დაუმატა მან.

— გმადლობთ, — გაეპასუხა ქილი.

— ეცადე, რომ... — წამოიწყო ქანმა და გაჩუმდა.

— ვიცი, ვიცი, — მხიარულად ჩამოართვა სიტყვა ქილმა. — ვეცადო, გული არ ვატკინო, გავუფრთხილდე, რომ ასეთივე დარჩეს ბოლომდე. ვეცადო, არ ვიყო ეგოისტი, ისე მოვიქცე, როგორც ვაქაცს შეეფერის და ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

— ჰო, — დასტური მისცა ქანმა. — უნდა ეცადო...

მათ ერთმანეთს შეხედეს და ერთდროულად გაიხედეს განზე. იყო წუთები, როცა ქილს საკუთარი თავი სიულდა, ისეთი, როგორიც ქანის თვალში ჩანდა. ორივენი წამოდგნენ და, როგორც კი ნატალი დაბრუნდა, კლუბისაკენ გასწიეს.

კლუბში მხიარულება სუფევდა. იქაურობა უკვე ხალხით იყო სავსე. როგორც ჩანს, პარიზელებისათვის აგვისტო უკვე გასულიყო. სტუმრებს ბრინჯაოსფრად მზემოკიდებული პიერი ეგებებოდა: იგი ქილს გადაეხვია, და „შვილო ჩემოო“ უთხრა, ის კი ალარ ახსოვდა, ბოლო შეხვედრისას ამ „შვილს“ კბილებში მუშტი რომ უთავაზა. შემდეგ გამოცდილი თვალით, გულისყურით შეათვალიერა ნატალი. ქილი დაიბნა. ვინმე სხვა ქალთან ერთად რომ გამოცხადებულიყო, თავისუფლად ეტყოდა: „ნატალი, ეს პიერია, გაიცანი“, — და ნათელი იქნებოდა, რომ ქილ ლანტიეს ახალ საყვარელს ნატალი ჰქვია. მაგრამ ახლა ეს ველარ შესძლო. მან დიდი ამბით უთხრა: „ნატალი, ნება მომეცი წარმოგიდგინოთ პიერ ლერუ. პიერ, გაიცანი — ქალბატონი სილვენერი“. და თან ყურებამდე გაწითლდა.

გაცნობის ეს ცერემონიალი ამ საღამოს მან ბარემ თხუთმეტჯერ გაიმეორა. მამაკაცები მხარზე ხელს ურტყამდნენ, ქალები კი კოცნიდნენ ქილს, იმ წლებში დამკვიდრებული მეგობრობის ურყევი კანონის თანახმად, და ისიც ყოველ ჯერზე მხრიდან იშორებდა ან ღონიერ ტორს, ან ნაზ ხელებს (მეგობართა სქესის მიხედვით, თუმცა არც ეს იყო აუცილებელი), შემდეგ მაშინვე აცნობდა მათ ქალბატონ სილვენერს. ეს კი ყოველ ჯერზე გაკვირვებას იწვევდა, მაგრამ ქილი მაინც ჯიუტად იცავდა თავაზიანობის კანონს, რაიც ქანს ართობდა, მიუხვედრელ ნატალის კი სულ არ აოცებდა. რაღა თქმა უნდა, მაშინვე აეკიდათ ძველი დოსტი ნიკოლა. იგი, როგორც ყოველთვის, „გადაკრულში იყო“ და გაცნობისთანავე ნატალის მიმართა:

— მაშ, თქვენ მოგვტაცეთ ჩვენი ბიჭიკო? რომ იცოდეთ, როგორ ვლელავდით. თუმცა, სიმართლე თუ გნებავთ, მის ადგილზე საერთოდ ალარც დავბრუნდებოდი.

ნიკოლამ უწყინრად გაიცინა, როგორც თავაზიან რაინდს შეეფერის, და არხეინად მიუჯდა მათ მაგიდას.

— იმედი მაქვს, ვისკიზე დამპატიჟებთ, ხომ უნდა აღვნიშნოთ ეს სასიხარულო შემთხვევა?

— არაფერსაც არ აღვნიშნავთ, — გაეპასუხა გაჯავრებული ქილი, — ჩვენ ვზეიმობდით ჩვენს მყუდროებას, შენ კი სწორედ ამ დროს მობრძანდი.

— ღმერთო ჩემო! — შესძახა ნიკოლამ, რომელიც წყენას აინუნში არ აგდებდა, ოღონდ სასმელი ჰქონოდა, — ღმერთო ჩემო! უკვე ეჭვიანობს!.. დარწმუნებული ვარ, ქალბატონი სილვენერი კმაყოფილი დარჩება, თუ დავლევთ კლუბში მისი პირველი გამოჩენის სადღეგრძელოს, მე ხომ აქ არასოდეს მინახიხართ, ხომ მართალია? თორემ, გარწმუნებთ, უსათუოდ დაგიმახსოვრებდით, თუნდაც ერთხელ მოგეკრა თვალი.

მან ნატალის ნაზად გაუღიმა, მაგიდიდან ბოთლი აიღო და ვისკი დაისხა. ქილს ბოღმა მოაწვა, მით უმეტეს, რომ შეამჩნია, მაგიდის მოპირდაპირე მხარეს როგორ ჭუტავდა თვალებს ქანი და სიცილს ძლივს იკავებდა; ნატალის სიტყვა არ დასცდენია.

— მომისმინე, ნიკოლა, — უთხრა ქილმა, — ჩვენ საქმიანი საუბარი გვაქვს.

— მით უმეტეს, თუ თქვენ საქმიანი საუბარი გაქვთ, ქალბატონ სილვე-

ნერს მოეწყინება თქვენი საუბრის მოსმენა. წამობრძანდით, უკეთესია ვიცეკვოთ, ქალბატონო.

და ეეცრად ნატალი აკისკისდა, მას ამყვა ქანიც. სიცილს ველარ ეკავებდნენ. ბუნებით მხიარულმა ნიკოლმაც ბანი მისცა. თუმცა არ დავიწყებია ხელმეორედ შეევსო ჭიქა. მხოლოდ ქილი იყურებოდა მკაცრად, თავს დამცირებულად გრძნობდა და ლამის გაცოფებულიყო.

— ხა-ხა-ხა, — სიცილისაგან უკვე ასლოკინებდა ქანს, — ოჰ, ერთი ძეგახედა, რა სიფათი გაქვს!..

ნატალი ლამის ტიროდა სიცილისაგან და ქილიც იფულებული გახდა საცოდავი ღიმილი გამოედნო. მას ახლა ძალიან უნდოდა მიეტოვებინა ეს ორი მოხითხითე ჩერჩეტი, გადამჯდარიყო მეორე მაგიდასთან და თავის ძველ მეგობრებთან ერთად გამომთვრალიყო... ბოლოს და ბოლოს ამდენი ხანია პარიზი არ უნახავს. თუკი მისმა ცდამ, საყვარლის თავმოყვარეობა დაენდო, ეს ნაყოფი გამოიღო. ძიუფურთხებია ყველაფრისათვის... ამაზე იოლი რაღაა.

— რატომ არ გინდა იცეკვო? — უთხრა მან ნატალის.

— ეს ცეკვა არ ვიცი, — უპასუხა მან, არ გეწყინოთ, ბატონო, — მიუბრუნდა ნიკოლას, — მე პროვინციიდან გეახელით.

— ღმერთო ჩემო! — წამოიძახა ნიკოლამ, — სახელდობრ საიდან?

— ლიმუზენიდან.

— ლიმუზენიდან? ლიმუზენი ხომ ჩემი სათაყვანო მხარეა. მე იქ ნათესავებიც მყავს. მაშ ესეც უნდა დავასველოთ. ქილ, დაგლიოთ ლიმუზენის საღღეგრძელო.

და განცვიფრებული ქილის თვალწინ გაიბა გრძელი საუბარი ნატალისა და ნიკოლას შორის ლიმუზენის მშვენიერ ბუნებაზე, ალოიბაზე, რთველზე, ეს უკანასკნელი განსაკუთრებით მოსწონდა თურმე ნიკოლას. ლამის ორი საათი იყო, როცა შეზარხოშებულმა და გამხიარულებულმა ქანმა ისინი სახლში მიაცილა. ნატალი ოდესავ ბარბაცებდა, ქილი კი ძალლის გუნებაზე იყო, აბანაში რამდენიმე გესლიანი წინადადება გაამზადა, მაგრამ როცა საძინებელში დაბრუნდა, ნატალის უკვე ლრმად ეძინა. თვითონაც გვერდით მიუწვა, მაგრამ კარგა ხანს ვერ დაიძინა.

თავი III

მეორე დილით გამოღვიძებული ნატალი შეფიქრიანებული და დარცხვენილი ჩანდა იმ აკაცის დარად, რომელმაც წინა დღეს ზედმეტი დალია და ამის გამო თავს უხერხულად გრძნობს, თუმცა კარგად გამოიძინა და მხნედ, ცოცხლად გამოიყურება.

— რაო? — უთხრა ქილმა, — ნიკოლა ხომ არ დაგესიზმრა?

— ნიკოლა მართლაც ძალიან მომეწონა, — უპასუხა მან, — კარგი ვინმე ჩანს, ბომბორა ქოფაკს ჰგავს.

— გეთანხმები, ბომბორა და მთვრალ ქოფაკს. სხვათა შორის მე არ მეგონა, დალევაზე თუ უარს [illegible].

ნატალიმ შეხედა და მცირე ლუმილის შემდეგ თქვა:

— იმიტომ... იმიტომ, რომ მეშინოდა. მე ხომ იქ არავის ვიცნობდი, შეხ-

თვის კი ყველა ნაცნობი იყო. თანაც ისე სულელურად გამოვიყურებოდი იმ გოგონების გვერდით...

ქილმა გაკვირვებით შეხედა.

— ჰო-ჰო. მე ისეთი უბრალო შავი კაბა მეცვა, მხოლოდ მარგალიტის წვრილი მძივი მეკეთა, ისინი კი პირდაპირ დიანა-მონადირეებს გავდნენ. შენც კი შეგრცხვა, როცა მათ ჩემი თავი გააცანი.

— ო, ეს მეტისმეტია! — გაჯავრდა ქილი. — მეტისმეტია!.. როგორ იფიქრე, რომ შემრცხვა?

ქილი ლოგინზე გულაღმა გადაწვა და ნატალი გულში ჩაიკრა. ნატალი და შიში? ნატალის, ვისაც საერთოდ არაფერი აშინებდა, ვინც მთელ ლიმუზენს ბრძოლა გამოუცხადა, ვინც ქმარი მიატოვა, ამ შეუპოვარ ნატალის იქ, კლუბში შეეშინდა სიმპათიური ლოთებისა. ქილს ეს სასაცილოდ ეჩვენა და თან გულიც აუჩუყდა.

— არა, კი არ მომერიდა, — წარმოთქვა ჩაფიქრებულმა ნატალიმ, — კი არ შემრცხვა, მეშინოდა, ჩემთან არ მოგწყენოდა. ამიტომ გამეხარდა, ნიკოლა რომ შემოგვიერთდა.

— კი მაგრამ, ქანი ხომ იყო ჩვენთან, მისი აზრით კი შენისთანა საოცრება არც არსებობს.

— ასეა თუ ისე, ქანი უპირველეს ყოვლისა შენი მეგობარია. შეგიძლია ისე მოექცე, როგორც მე, ყველაფერს გაპატიებს. ისიც კი გაიფიქრე, იქნებ ქანს ქილის ცუდი ქცევა ართობს-მეთქი?

— ხომ არ შეიშალე! — უთხრა ქილმა.

თუმცალა თავისდა უნებურად მაინც გაახსენდა, რა გაბადრული სახე ჰქონდა ხოლმე ქანს, როცა ქილი, მათივე თქმით, „მორიგ მარცხს განიცდიდა" და მზად იყო ყოველნაირი სიგიჟე თუ სასულელე ჩაედინა. ქანი ამშვიდებდა მეგობარს, ცდილობდა გონს მოეყვანა, მაგრამ ისეთი მხიარული შეშფოთებლობით, თითქოსდა კიდევაც აღაფრთოვანებდა ქილის ოინები. მისი შეგონებები ხშირად ცეცხლზე ნავთის დასხმა უფრო იყო; ასეა თუ ისე, ჩვენ ჩვენს შეგობრებზე არავინ არაფერი ვიცით, არც იმ ქვეშეცნეულ გავლენაზე, ზოგჯერ მათთვის გაუსაზრისებლადაც კი ჩვენზე რომ ახდენენ. და მაინც საინტერესო იყო, ეს კეთილშობილი ქანი მეფისტოფელის როლში წარმოედგინა. ქილმა გადაიხარხარა.

— ყველაფერს ეჭვის თვალით უყურებ. მაშ, განზრახული გაქვს მთელი ჩემი ცხოვრება თავდაყირა დაიყენო?

— მე მგონი, არც შეს ელოლიავებოდი მაინცდამაინც ჩემს ცხოვრებას, — მშვიდად მიუგო ნატალიმ და თვალმინაბულმა ღიმილით შეხედა ქილს. იქნებ მართლაც კი ეშინოდა იქ, კლუბში თავშეყრილი ხალხისა, მაგრამ ქილის შიში დასტურ არ ჰქონდა.

— რა მკაცრი და დაუნდობელი ქალი ხარ, — უთხრა ქილმა, — არაფერისაც არ გეშინია. გარდა ამისა ლოთიც ბრძანდები, უფრო მეტიც — უსირცხვილოც, — უთხრა ბოლოს და შეახჯღრია. ქილდა უნდა გაგაცნო.

— ვინ არის ქილდა?

მაგრამ ქილი უკვე მხოლოდ ნატალიზე ფიქრობდა და არავითარი სურვილი არ ჰქონდა ქილდაზე ელაპარაკა. ეს კი უთხრა:

— გარყვნილი ქალია.

— ო-ო-ო! — წამოიძახა ნატალიმ. — ყველა ქალს შეუძლია იყოს გარეულნილი. აი, მეც ხომ... მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს... როცა გიყვარს, ნეტარებაა...

— გაჩუმდი, უბედო, — უთხრა ქილმა.

მათ ძალიან გვიან ისადილეს ლიპთან. ქილმა აქაც გაიმეორა „გაცნობის" გუშინდელი ცერემონიალი, მაგრამ ამჯერად სრულიად [illegible]. სამი დღის შემდეგ ახალ თანამდებობაზე დაიწყებს მუშაობას [illegible] საყვარელი, ბედმა კარზე მიუკაკუნა. იგი გაოცებული იხსენებდა: ნუთუ სულ სამიოდე თვის წინ ის საცოდავი, მხდალი და ყოველმხრივ გულგატეხილი არსება მე ვიყავი? ეტყობა, თავისდა უნებლიეთ უკიდურეს წერტილს მიაღწია. ახლა კი მთელი ქვეყანა მას ეკუთვნის, ამიტომაც ღირს დალიოს შამპანური. კომბინატში მოთუშული ძეწვი და ზედაც შამპანური — ვერაფერი საბარბიელო რამაა. მაგრამ შამპანური მაინც დალიეს.

შემდეგ მახლობელ კინოთეატრში შევიდნენ რომელიღაც სულელური ფილმის სანახავად. ქილი მთელი სეანსის მახვილზე რაღაც სისულელეებს ჩასჩურჩულებდა ყურში ნატალის. ნატალის აღშფოთებას კი საზღვარი არ ჰქონდა, რადგან თეთრი ბავშვური გატაცებითა და ყურადღებით უცქერდა ყოველგვარ სანახაობას. ტყუილად როდი ეხვეწებოდა ქილს მთელი სამი დღე, თეატრში წამიყვანე „ინტელექტუალურ" პიესაზე, ამბობენ, შესანიშნავი დადგმაათ, მაგრამ ამის გახსენებაც კი [illegible] ქილს. რამდენი წელია თეატრში არ ყოფილა, და საერთოდ ვერ იტანს წინასწარ დაგეგმილ გართობებს: იგი დასცინოდა ნატალის „პროვინციალიზმს", — ასე უწოდებდა ქილი ნატალის ამ თვისებას.

— რა გაჩქარებს? მოესწრები, — ეუბნებოდა ქილი, — ერთი კვირით ხომ არ ჩამოხვედი პარიზში. განა რა სავალდებულოა ერთ კვირაში ნახო ყველაფერი, რომ შემდეგ ლიმოჟის ქვეყნოქმედ ქალბატონებს უამბო ამაზე.

— გულწრფელად მიმწონს ყველაფერი, — არ ეპუებოდა ნატალი, — როგორ არ გესმის? მინდა სწორედ შენთან ერთად ვიმსჯელო შემდეგ.

— მგონი, საკმაოდ ინტელექტუალური ქალი შემხვედრია, კარგი ამბავია, ვერაფერს იტყვი.

— მე ეს შენთვის არასოდეს დამიმალავს, — უპასუხა ნატალიმ ღიმილის ნიშანწყლის გარეშე. სამაგიეროდ ქილი ხარხარებდა გულიანად, როცა წარმოიდგენდა მისი ვნებიანი საყვარელი უეცრად როგორ გარდაიქმნებოდა ინტელექტუალურ ქალად.

მაგრამ ზოგჯერ მართლა გაოცდებოდა ხოლმე, როცა სულ პატარა წვრილმანებში ამჩნევდა, ნატალი მასზე გაცილებით ღრმა და დიდი განათლების მქონე ქალი რომ იყო, ცხადია, პროვინციაში ოცდაათი წლის ქალს კითხვისათვის საკმაოდ ბევრი დრო აქვს. მაგრამ ნატალის გულწრფელად „მოსწონდა ყველაფერი", და როცა კამათით დაღლილი ქილი პარადოქსითა თუ წყალწყალა მოდური ფრაზებით შეეცდებოდა თავის დახსნას, ნატალი ისეთი განრისხებული განცვიფრებით ესხმოდა თავს, თითქოს ქილი უეცრივ თავისივე თავის ულირსი აღმოჩნდა.

— ჩემო პატარავ, დიდად ინტელიგენტი კაცი მე არ გახლავარ, — პასუხობდა ქილი (თუმც პირიქით კი ფიქრობდა), — ამიტანე ისეთი, როგორიც ვარ.

— არადა, კი შეგიძლია ინტელიგენტი იყო, — ცივად ეტყოდა ნატალი, — შენს ჭკუას რომ მარტო პირად ინტერესებს არ ახმარდე. არაფერი არ გაინტერესებს. მიკვირს, აქამდის როგორ გაგაჩერეს რედაქციაში.

— იმიტომ მაჩერებენ, რომ შრომისმოყვარე, მუყაითი კაცი ვარ, თანაც მანქანაზე სწრაფად ებეჭდავ.

ნატალი მხრებს იჩეჩავდა და იცინოდა, მაგრამ მის სიცილში თრთქოს წყენაც იგრძნობოდა. თუმცა ქილი კი ასეთი კამათის დროს სიხარულით ცაც სწვდებოდა: საოცრად უყვარდა, როცა „ტუქსავდნენ" ხოლმე. რა თქმა უნდა, ყველაფერი სასიყვარულო სიტყვებითა და ალერსით მთავრდებოდა, და ქილიც თავის მკლავებში გამომწყვდეულ ნატალის ვნებისაგან ჩახლეჩილი ხმით ეკითხებოდა: ხომ გსიამოვნებს შენს სასაცილო საყვარელთან ყოფნა. ორთავენი ჯერ კიდევ ბედნიერების იმ ნეტარ ხანაში იყვნენ, როცა შეყვარებულებს საოცრად უყვართ კამათი და წარმოდგენაც არა აქვთ იმაზე, რომ მათი ეს ნაზი წაკამათება შესაძლოა ბევრად უფრო უსიამოვნო შეჯახებების დასაბამი გახდეს.

თავი IV

ეს ; თანამდებობაზე მუშაობის ორი თვის მანძილზე ქილს პირველად მოუნდა შინ დაბრუნებამდე რომელიმე ბარში მარტოდმარტოს დაელია ჭიქა ღვინო. მართლაც სასიამოვნოა თავი წარმოიდგინო ახალგაზრდა, თავისუფალ კაცად; მით უმეტეს, როცა დარწმუნებული ხარ, რომ უყვარხარ ქალს, რომლისაც გჯერა და რომელიც სადღაც გელოდება. პარიზის კაფეები — უბედოთათვის უფსკრულია, ბედნიერ მიჯნურთათვის კი — ტრამპლინი. ქილი სულ არ ჩქარობდა. პირიქით, იმის დროც კი გამონახა ბარის მეპატრონე ქალთან ელაპარაკა და საღამოს გაზეთები გადაეთვალიერებინა. იგი არც ჩაფიქრებულა იმაზე, პირდაპირ სახლში რატომ არ წავედიო — უბრალოდ უმადლოდა ნატალის, რომ მის გამო ეს სულელური, მაგრამ წინასწარგანზრახული შეყოვნება გზაში თითქოსდა თავისუფლების ბედნიერი და მრავალმნიშვნელოვანი გამოსატულება იყო. ადამიანი ხომ მხოლოდ და მხოლოდ ვიღაცასთან მიმართებითაა თავისუფალი. და თუ ამ გრძნობას ქილი ბედნიერების დღეებში განიცდიდა, მაშინ ასეთი თავისუფლება ყველაზე დიდი სიამოვნებაა ქვეყანაზე. იმ დღეს ქილმა ბევრი იმუშავა, საღამოს კი რესტორანში იყო მიწვეული. ამ ვახშამზე ფერმონმა იგი ნატალისთან ერთად, ქანი კი მარტასთან ერთად დაპატიჟა. არავინ იცოდა, ინებებდა თუ არა ვახშამზე მობრძანებას ფერმონის მეუღლე, ალბათ არა, რადგან ქანი და ქილი საყვარლებით იყვნენ მიწვეულნი. ქილს უნდა ეჩქარა, ვინაიდან შინ უნდა გაევლო ტანსაცმლის გამოსაცვლელად. მაგრამ ახლა აქ, ამ ბარში უდარდელი განწყობის ისეთი საამური გრძნობა დაეუფლა, რომ გადაწყვიტა რაც შეიძლება დიდხანს გაეგრძელებინა ეს წუთები, ნატალი უკვე შინ იქნება, ცოტა დაღლილი გაუთავებელი ხეტიალით. ამ ხეტიალის წყალობით იგი გაუხელებელი გატაცებით ეცნობოდა პარიზს, მის მუზეუმებს, ძველებურ უბნებს, რომელთა მიმართ ქილი სკეპტიკურად იყო განწყობილი. ნატალიმ უკვე იცოდა ისეთი ქუჩები, კაფეები, სამჩატვრო გალერეები, რომლებზედაც ქილს წარმოდგენაც არ ჰქონდა. შეშ-

ფოთებულიც კი ეკითხებოდა თავის თავს, ბოლოს და ბოლოს როდის დაამ-
თავრებს ნატალი პარიზის შესწავლას. მერე რაღას იზამს? ყოველ საღამოს
რესტორანში ვახშმობენ, ზოგჯერ კლუბშიც შეივლიდნენ ხოლმე. მაგრამ
ნატალი ყოველად გულგრილად ეპყრობოდა იმ „საინტერესო პიროვნებებს", რო-
მელთაც ქილი აცნობდა ხოლმე. გამონაკლისი მხოლოდ ნიკოლა იყო. იგი
რუსული გულითადობით ეპყრობოდა ამ კაცს. თუმცა ქილმა [illegible] ეკვი-
რად ისიც შეამჩნია, რომ ეს მსუქანი, რეგვენი ნიკოლა [illegible] პი-
როვნება ყოფილა, რომ ის სულაც არ არის უტკივნო, როცა შედარებით ფხი-
ზელია, ჭკვიანურ აზრებსაც გამოთქვამს და ქილის თვალწინ უფრო და უფ-
რო დიდი მოტრფიალე ხდება ნატალისა. ბოლოს და ბოლოს საჯაილო რა-
ღაც გამოდიოდა: იმის ნაცვლად, რომ ბოდიერ მსახიობებზე ეჭორაკათ, ზო-
ლას გმირების ზნე-ჩვეულებებზე ლაპარაკობდნენ და თუმცა ქილს არ ეგო-
ნა, რაიმე ახალს შეიტყობდა, ზოგ-ზოგი რამ მაინც გაიგო. ნატალის საოც-
რად აღელვებდა ის ფაქტი, რომ ნიკოლას ვერ ეპოვა ისეთი გოხიერი პრო-
დიუსერი, რომელიც სამასიოდე ძილიონ ფრანკს გაიმეტებდა მისთვის. სა-
წყალიც იყო, ასეთი ნიჭიერი კაცი ამის გამო როგორ არ გაბოროტდა. ნატა-
ლის გულუბრყვილობით მოხიბლულმა ქილმა აღარ აუხსნა, რომ ნიკოლა სა-
ყოველთაოდ ცნობილი წყალწაღებული უქნარა და გამოუსწორებელი ლოთი
იყო, რომელმაც ექვსჯერ კი იმკურნალა. მაგრამ ამაოდ. თანაც აგერ ათი
წელია ცვედანიც გახლდათ. ამ სიტყვას სრული მნიშვნელობით. მათ საუ-
ბარში დროდადრო ქანი და მისი ძროხისთვალება მარტაც ჩაერეოდნენ. მარ-
ტას აშკარად აშინებდა როგორც თვითონ ნატალი, ასევე მისი. ასე ეთქვათ,
უწესო საუბარი. მისი აზრით, ქალი მხოლოდ უნდა უსმენდეს და დუმდეს. თვით
ქანის თვალებშიაც გამოკრთოდა სინანული — როგორც ჩანდა, ისიც უკმა-
ყოფილო იყო. მაგრამ ქილმა კარგად იცოდა, სად იყო ამ უკმაყოფილების
სათავე: თხუთმეტი წლის მანძილზე ისინი ისე ესაუბრებოდნენ ერთმანეთს მო-
რჩილ, მომხიბვლელ ქალების წრეში, ამ ქალებს ლაპარაკში არ ირევდნენ. ბ-
ლა კი უცბად მათ შორის არა მარტო მომხიბვლელი, არამედ ნათელი გონების
ქალიც აღმოჩნდა. ამას კი შეიძლება ქანის ეჭვი გამოეწვია. მეგობრული ეჭ-
ვი კი ყველა სხვა ეჭვზე საშიშია. მაგრამ ქილი სულგრძელად და ცოტა არ
იყოს სიამაყის გრძნობითაც უსმენდა, როგორ აბლეკვდა ნატალი შეკითხვებს,
როგორ ისროდა რეპლიკებს, როგორ ედავებოდა — ზოგჯერ მკვახედაც კი.
— თუმცა ზიზღიერება არასოდეს ღალატობდა. ერთი-ორი საათის შემდეგ ნა-
ტალი კვლავ ქილის საკუთრება იქნება, მორჩილი და მოსიყვარულე. და ასე
გაგრძელდება მუდამ. ეს კი ქილისთვის საკმარისზე მეტიც იყო. ქილმა ისიც
იცოდა, ცოტა კიდევ — და მინერვა მგზნებარე საყვარლად გადაიქცევა. რა
თქმა უნდა, იგი ჯერ არ ატარებს ექსტრავაგანტულ პიჟამოებს და მაღალყე-
ლიან ჩექმებს, როგორც მათი თანაკლუბელი დიანა-მონადიერნი. მაგრამ მისი
ამაყად აწეული თავი, მწვანე თვალები, ის, რომ ყოველ მის მოძრაობაში თავ-
შეკავებული სიფიცხე და ენერგია გამოსჭვიოდა. მის უბრალო შავ კაბასაც გა-
ეწყობდა და მოდიდან გადასულ გულქანდასაც. ნატალი რომ არა და არ იშო-
რებდა. როცა უსმენდა, რა გატაცებით მსჯელობდა ეს ახალგაზრდა და რაღა-
ცით ცოტა ძველი ყაიდის ქალი ბალზაკზე, როგორ თავაზიანად მიმართავდა
„თქვენობით" ყველა ამ მხიარულ მელამურს, ურცხვ ჭორიკნებს, ქილს რა-
ღაც ეროტიკული განცდაც კი ეუფლებოდა, რადგან ეს ქალი დღესვე, რა-

მდენიმე საათის შემდეგ, მის გვერდით იწვება სულმთლად გაშიშვლებული, ვნებააშლილი და, ეჭვგარეშეა, ბევრად უფრო თამამი თავის ვნებებში, ვიდრე რომელიმე ამ ულტრათანამედროვე ასულთაგანი. გარდა ამისა, ქილი იქ დამსწრე ზოგიერთი ჭეშმარიტი მამაკაცის მრავლისმეტყველმა მზერამ იმასაც მიახვედრა, რომ ამ ხალხმა კარგად იცოდა ქალის ყადრი და აშკარად შურდათ მისი.

ვახშამი გაზეთის გამომცემელმა სენის მარჯვენა სანაპიროზე დიდ რესტორანში გაშართა. ქილის მიზეზით ისინი ოდნავ შეგვიანებით მივიდნენ. ფერმონი მარტო, უცოლოდ მობრძანდა და ისეთნაირად მოიბოდიშა, რომ ქანსა და ქილს ჩაეღიმათ. გამომცემელმა შეათვალიერა ნატალი, როგორც ჩანს გაუკვირდა, რომ ერთ-ერთ მომავალ ახალგაზრდა კინოვარსკვლავთან არ მოუწევდა ვახშმობა და, ცოტა არ იყოს, შეცბა. მარტა, უდავოდ ქანისაგან შთაგონებული, ისე მოკრძალებითა და ალტაცებით შესცქეროდა მის უფროსს, ქილი სიცილს ძლივს იკავებდა. ქილმა იცოდა, ფერმონი კმაყოფილი იყო მისი მუშაობით, იცოდა ისიც, რომ ნატალის აინტერესებდა გაზეთის გამომცემლის გაცნობა, — ეს კი იმის მაუწყებელი იყო, რომ ყველაფერი მშვიდობიანად ჩაივლიდა. დასაწყისში მართლაც ყველაფერი რიგზე მიდიოდა. ფერმონი ნატალის შეეკითხა, მოგწონთ თუ არა ეს რესტორანიო. მან უპასუხა, რომ ამ რესტორანში ადრეც ყოფილა ქმართან ერთად და შესანიშნავი ხამანწკები მიურთმევია. როგორც ჩანდა ფერმონმა იცოდა საქმის ვითარება და ერთი-ორჯერ ჰკითხა კიდეც ქალს ლიმუზენის თვალწარმტაც ბუნებაზე. ნატალიმ მოკლე პასუხი გასცა. საუბარმა ისეთი ხასიათი მიიღო, ცუდს არაფერს მოასწავებდა. საუბრის ბაფს, ბირითადად, ნატალი და ფერმონი წარმართავდნენ. ფერმონი უკვე ოდნავ გაკვირვებულიც შესცქეროდა ნატალის, თითქოსდა ვერ აეახსნა, რით დააინტერესა ეს ქალი ქილ ლანტიესთანა პიროვნებამ. როცა ნატალიმაც ამოიცნო ფერმონის ეს აზრი, თავის საყვარელს ისეთი ნაზი ღიმილი უთავაზა, ქილმა თავი ვერ შეიკავა და მაგიდის ქვეშ ხელზე მაგრად მოუჭირა ხელი. ახლა ფერმონი ძალიან ცდილობდა ნატალისთვის თავი მოეწონებინა და ლაპარაკად გადაიქცა, მით უფრო, რომ ცოტა გადაკრულში ბრძანდებოდა. მარტა კი გადამეტებული ალტაცებისაგან თვალებს ისე აცაბაცა ატრიალებდა, ლამის დაელმეა ულიყო.

— ძალზე ცუდ დღეში ვართ, — ამბობდა ფერმონი, — ყველა შემთხვევა და ამბავი ერთმანეთს ეწინააღმდეგება...

— ყოველთვის ასე იყო, — შენიშნა ნატალიმ.

— ერთი სიტყვით, — გამოაცხადა ფერმონმა, — დაე, გული გინდ დაიმსხვრეს, გინდ ბრინჯაოდ იქცეს, როგორც სტენდალმა ბრძანა.

— ეგ, ბგონი, შამფორმა თქვა, — შეუსწორა ნატალიმ.

— რა ბრძანეთ?

ფერმონს ხელში ჩანგალი გაუშეშდა. ნუთუ იმიტომ გაუყადრა თავი თანამშრომლებს და საყვარლებიანად დაპატიჟა ისინი, რომ მისთვის ლიტერატურის გაკვეთილები ჩაეტარებინათ! ქილმა ფეხი წაკრა ნატალის. ნატალიმ კი გაკვირვებული თვალებით შეხედა.

— ძალიან ვწუხვარ, რომ უნდა შეგეკამათოთ, მაგრამ ეს სტენდალის სიტყვები გახლავთ, — დაბეჯითებით განაცხადა ფერმონმა, — თუ არ ვცდები, „პარმის სავანედან" უნდა იყოს. — დაუმატა დაფიქრებით და მისმა კი-

ლომ ქილი შეაშფოთა: ხმაში ისეთი მერყეობა შეატყო, მიხვდა, ნატალი მარ-
თალი იყო.

— ასეა თუ ისე, პრწყინვალე ნათქვამია, — სასწრაფოდ ჩაურთო ქილ-
მა.

— თუ ნებას მომცემთ, შეკამოწმებ, — ბიმართა ფერმონმა ნატალის. მე-
რე კი ქილისკენ შებრუნდა და უთხრა: — ასეა თუ ისე მოხერხებული ქალი, რომ
ასეთ ახალგაზრდა განათლებულ ქალს იცნობთ. — ეს სიტყვები ფერმონმა
ალეგორიულად წარმოთქვა. რაც იმის მაუწყებელი იყო, რომ ბრაზობდა, —
ქილ, თქვენ გამოიცვალეთ.

ყველანი გაიტრუნენ.

— მადლობელი ვარ, — უთხრა ქილმა და თავი დაუკრა.

ქილიც გაბრაზებული იყო ერთი მხრივ ფერმონის უხეშ სიტყვებზე, და
მეორეს მხრივ ნატალის უტაქტობაზე. ნატალი ოდნავ წამოწითლდა. ჩამო-
ვარდა ხანგრძლივი დაძაბული დუმილი. ის იყო ქილმა დააპირა ეთქვა, რა
შესანიშნავი სუფრაა, რომ ამ დროს ნატალის ხმა გაისმა:

— ძალიან ვწუხვარ, რომ მცოდნოდა, გულს გატკენდათ ჩემი შესწორება,
ხმას არ ამოვიღებდი.

— ლამაზი ქალისაგან არაფერი მწყინს, — ღიმილით თქვა ფერმონმა.

„ნაღდად არ ამცდება გაზეთის შიკრიკობა", — გაიფიქრა ქილმა და
მაყვედრებელი თვალებით შეხედა ქალს, „რომელიც თითქოს არხეინად ადგე-
ნებდა თვალყურს ამ მაყურებლებს, არხეინად და იქნებ ფარული აღტაცებით-
თაც. მაგრამ ნეტა რა ახარებდა? იქნებ ის, რომ ფერმონს ბოლის და ბო-
ლოს ცხელში ამოარტყეს? ან იქნებ, ის, რომ ნატალიმ ქილი უხერხულ მდგო-
მარეობაში ჩააგდო. ეახშამი საკმაოდ უღიმღამოდ დამთავრდა. ადრე დაიშა-
ლნენ. როცა ნატალი და ქილი მარტოხი აღმოჩნდნენ თავიანთ სახლში, ნატა-
ლიმ ეთხრა:

— ქილ, ხომ არ ეგონობ? აბა, რა უნდა მექნა? ისიც კარგ თვითდაჯერებული
ვაჟბატონი ბრძანდება. შეიძლება ქვეყნიდან შეგშალოს.

— რაც უნდა იყოს, ბუერს ის გვაჭმევს. — წარმოთქვა ქილმა.

— მაგრამ ეგ არ აძლევს იმის უფლებას, რომ შამფორი და სტეხდალი
ერთმანეთში აერიოს. — დიხაად შეესიტყვა ნატალი. — თანაც ასეთი თავდა-
ჯერებული.

— თავდაჯერებით თუ არა, ჩემი პატრონი კარგ და... — წაიბუზღუნა
ქილმა.

ამ სიტყვებმა საკუთარი თავი შეაზიზღა ქილს. ახლა იგი თავს „ახალგა-
ზრდა უფროსად" ან „ძველ თანამშრომლად" თვლიდა. მაგრამ არამც და
არამც იმ საზრიან და ძარღვე მექანიკოსად, როგორიც თვითონ უნდოდა ყო-
ფილიყო. ეს ყველაფერი კი ამ ქალის ბრალია. გვერდით რომ უზის ახლა და
ლიმენა. ბოლოს და ბოლოს რა დაშავდებოდა, რომ გაჩუმებულიყო. მან ხომ
ძმურად იცის ცხელების ავადმყოფი. იცის, რომ ზოგჯერ ღიმილია საჭი-
რო, ზოგჯერ თავის ბოწოლება. ზოგჯერაც თვალთმაქცობა. — შემდეგ რამ-
დენიც გიხდა იხარხარე ამ შენ წვრილმან პროფესორობაზე. ხომ არ შეიძლება
ბარიზში, ისიც 1967 წელს, თანაც მისი ხელობის კაცმა სიმართლისათვის ძე-
ბრძოლის პოზა მიიღოს, ასეთი სიჯიუტე უბრალოდ უსინდისობაც იქნებოდა.
რატომაა ყველგან და ყველაფერში ასეთი უკომპრომისო ეს ქალი, რატომ

ეშინია ზომიერებისა, მაშინ როდესაც სწორედ ეს ზომიერება აძლევს ადამიანს მშვიდი ცხოვრების საშუალებას? ჟილს ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ნატალიმ უღალატა, ასეც უთხრა პირში.

— მე რომ ზომიერება მყვარებოდა, ახლა აქ არ ვიქნებოდი. ვიცხოვრებდი ლიმოჟში და ყოველ ორ კვირაში ერთხელ ჩამოვიდოდი შენთან.

— შენ ერთმანეთში ურევ გრძნობებსა და ეფექტურ გამოცდილებებს, — გესლიანად მიახალა ჟილმა. — ჩემთან იმიტომ მოხვედი, რომ შეგიყვარდი და მეც შემიყვარდი, აქ სხვა გზა არ გვქონდა. მაგრამ დღეს სულ სხვაგვარი ვითარება იყო, როცა ფერმონს ესაუბრებოდი.

— მე რომ შემძლებოდა ამეტანა ამ კაცის თვითკმაყოფილი ყეყეჩობა, მაშინ ჩემს ადრინდელ ცხოვრებასაც შესანიშნავად ავიტანდი, მორჩა და გათავდა.

ჟილი ერთბაშად გაცოფდა, ისე გაამწარა შეურაცხყოფამ, — ასეთი რამ ადრე არასოდეს შეუმჩნევია თავისი თავისთვის.

— მოკლედ რომ ვთქვათ, სავსებით კმაყოფილი ხარ შენი როლით: თავისუფლებისმოყვარე ქალი, რომელმაც ყველაფერი მიატოვა საყვარლის გულისათვის, თანაც განათლებული, წარამარა მუზეუმებში რომ დარბის და ხელოვნების ნაწარმოებებით იბნიდება, ლოთ ნიკოლას ჩეხოვის გმირს ამსგავსებს, ამაღლებული, ჭკვიანი ქალი, შემთხვევით რომ დაუკავშირა თავისი ბედი საცოდავ უნებისყოფო ჯღაბნიას, და არა ისეთ სრულქმნილ პიროვნებას, როგორიც თავად ბრძანდები, შენ კი ნამდვილი ქალი ხარ, გულისხმიერი და ვნებიანი, ქალი, რომელიც...

— დიახ, — შეაწყვეტინა ნატალიმ, — მე საკმაოდ მტკიცე ბუნება მაქვს. და თუმცა ამით არ ვეტრაბახობ, მაინც მგონია, რომ სწორედ ამიტომ შეგიყვარდი.

— ჰო, მართალი ხარ, — თქვა ჩაფიქრებით ჟილმა, — შენ ყოველთვის მართალი ხარ.

— ჟილ, — დაუძახა ნატალიმ.

ჟილმა მიხედა. ნატალის თვალებში შიში ჩამდგარიყო. ჟილი მოეხვია. მართლა ძალიან უსინდისოდ ექცევა ამ ქალს. მთელი დღეები მარტო ჰყავს მიტოვებული უცნობ ქალაქში. საღამოობით ვიღაც ტუტრუცანებთან მიათრევს, და საყვედურობს კიდევაც ამ ხალხის გულისათვის. იქნებ ნატალის საოცრად სწყინდება პარიზში, იქნებ ის უიმედო ცდა, — ცოტაოდენი ღირსება მაინც შეინარჩუნოს, რაკიღა ჟილისთანა კაცის საყვარელია, — მხოლოდ და მხოლოდ ინსტინქტითაა გამოწვეული, რომელიც ნატალისთვის ისევე აუცილებელია, როგორც ვნება და საყვარული ჟილისადმი... მაგ რატომ არ უნდა ცოლად გაჰყვეს ჟილს? ჟილმა ხომ ბარე ათჯერ შესთავაზა, ცოლად გამომყევიო, და მან ათჯერვე უარი უთხრა, ნატალი რა თქმა უნდა, ჟილის გულისათვის ამბობს უარს, — ეს ჟილმაც შესანიშნავად იცის. მას ხომ ეშინია ცოლის შერთვის, ეშინია ყოვლად სულელურად და უაზროდ, იმ ბურჟუის მსგავსად, ვითომდა რომ არ უნდა ბურჟუაზიულობა შესწამონ, არადა, წესით ნატალის უნდა ეთქვა: „კი, თანახმა ვარ", გასცილებოდა ქმარს და ვაივუით მიეთრია საყვარელი მერიაში, გინდაც მისთვის ეჭვი და შიში შეემჩნია. ზოგჯერ ადამიანი უნდა აიძულო, ანგარიში არ უნდა გაუწიო მის მერყეობას, საკუთარი ინტერესებით იმოქმედო, ბოლოს და ბოლოს მისსავე სასიკეთოდ. მაგრამ ნა-

ტალიას არ შეეძლო ასე მოქცეულიყო და სწორედ ამის გამო უყვარდა ქილს იგი. როგორ აირ-დაირია ყველაფერი.

— წადი, დაწექი, — ალერსიანად უთხრა ქილმა, — უკვე გვიანია.

ასეა თუ ისე მათ გახიერ საწოლში გაუგებრობა არასოდეს მომხდარა. ალბათ ასევე ფიქრობდა ნატალიც, რადგან წინა ღამეებთან შედარებით — უფრო მეტი ვნებითა და ალერსით იყო სავსე. ქილს დილის ხუთ საათისთვის აგაღვიძა. ნატალი საწოლში იჯდა და სიბნელეში სიგარეტს ეწეოდა. ის იყო ძილისთვის უნდა წაერთმია თავი, მაგრამ რაღაც გაურკვეველმა გრძნობამ აიძულა ქილი თვალები ისევ დაეხუჭა, ლაჩრულად გასუსულიყო. ხვალაც შეიძლება გაარკვიოს ყველაფერი, თუკი საჭირო იქნება.

თავი V

— ჭიქა კონიაკი? ჩვენ კიდევა გვაქვს დრო.

„გინდა ასი ჭიქა იყოს", — ბოლმით გაიფიქრა ქილმა. ისინი რესტორანში ისხდნენ, სადაც „ქოთანში დამზადებული ხორცისათვის" უთუოდ უნდა გაეყინჯათ გემო. თხუთმეტი წუთის შემდეგ კი ყველანი წავიდოდნენ თეატრში იმ მოდურ პიესაზე, ნატალი ასე რომ იყო დაინტერესებული.

ნატალიმ პარიზში გამოძებნა თავისი ბავშვობის მეგობარი, ულამაზო, მაგრამ ჭკვიანი ქალი, რომელიც უილბლოდ გათხოვილიყო ქილაც მოქეიფე და დარდიმანდ მრეწველზე. სწორედ მან გამართა ეს ვახშამი. ამ ქალმა წინასწარვე გააფრთხილა ნატალი, ჩემი ქმარი ფრიად მოსაწყენი ვინმეაო. როგორც კი სუფრას მიუსხდნენ, დიასახლისი მხიარულად აჩიკჭიკდა თავის მეგობარ ქალთან, ბავშვობა მოიგონეს, ხოლო თავის ჭკუათხელ ქმარსა და ქილს მიანდო თვითონვე მოენახათ სასაუბრო საგანი. როდესაც საგულდაგულოდ გაარჩიეს ბირჟის, გადასახდების, რესტორნებისა თუ გოლიზმის საკითხები, ქილმა იგრძნო, საცაა მოთმინების ფიალა ეევსებოდა.

— ერწმუნეთ თქვენს მეგობარ როჟეს, — უბრალოდ ქილი რომ დაგიძახოთ, საწინააღმდეგო ხომ არაფერი გექნებათ? — ერწმუნეთ, რომ საერთო ენას გამოვნახავთ. თეატრები მეც ძილს მგვრის. ჩემი მეუღლე კი თვეში ერთხელ მაინც მიმათრევს იქ.

„აი, უკვე გამოვნახეთ საერთო ენა, — მწარედ გაიფიქრა ქილმა, — საცოდავი მუშა-ქმრები, საყვარელი ცოლები საღამოობით სახლიდან რომ მიათრევენ".

— მით უმეტეს, როცა ტელევიზორია, — არ ცხრებოდა როჟე. — გეთანხმებით, ტელევიზორი დიდი ვერაფერი შვილია, მაგრამ შიგადაშიგ საინტერესო რამეებს უჩვენებენ. ზიხარ შენთვის უდარდელად, მოხერხებულ საკარძელში, არხეინად აბოლებ თუთუნს, მიირთმევ ღვინოს. თეატრში კი ჭვეყნის ფული უნდა გადაყარო იმისათვის, რომ მოწყენით სული ამოგხდეს. ხომ მართალს ვამბობ?

— აბა, მე ძალიან მიყვარს თეატრი, — მტკიცედ შეესიტყვა ქილი. მაგრამ კონიაკს მაინც მიცირთმევ.

— გახსოვს, ჩემო ძვირფასო... — წამოიწყო ნატალიმ, — თქვენ აქ რაზე საუბრობთ?

ნატალიმ მავედრებელი თვალებით შეხედა ქილს, თითქოს ბოდიშს იხდისო.

— თეატრზე ვსაუბრობდით, — დამცინავი კილოთი შეუგო ქილმა. — ბატონ... უკაცრავად, როჟეს ტელევიზორი ურჩევნია თეატრს.

— ოჰ, რა ძალიან მიჭირს სახლიდან მაგის გამოთრევა, — თქვა ბავშვობის მეგობარმა, — მაგრამ პირობა გვაქვს დადებული: თვეში ერთხელ ძალით მიმყავს თეატრში.

— ჩვენი საქმეც ბოლოს და ბოლოს ეგრე იქნება, — თქვა ქილმა და ბოროტი ღიმილით გადახედა ნატალის, — პირობის დადება, აი, რა აძლევს ძალას ცოლქმრობას.

ნატალის არ გაუღიმია. სიხარულისგან გაბრწყინებული მისი სახე უეცრად ისე მოიღრუბლა, ქილს კიდეც შერცხვა. ბოლოს და ბოლოა ნატალის პარიზში ხომ არც ერთი ნაცნობი არ გააჩნია ამ ბედუკულმართი ამხანაგის გარდა. რა ბრალია, თუ მის ამხანაგს ასეთი ქმარი ჰყავს. ნატალის კი სულითა და გულით უნდა თეატრში წასვლა. რისთვის უნდა ჩაუშხამოს საღამო?

— გინდა კონიაკი? — ჰკითხა ქილმა, გადაიწია და ნატალის ხელზე წაეტანა. ნატალიმ მადლიერი თვალით შეხედა და ქილს გული შეეკუმშა. დღეს ნატალის აწყენინა. ალბათ, შემდეგშიც ბევრჯერ აწყენინებს. დიდი ამბავი, თუ ერთი საღამო მოიწყინა! — ნატალის ხომ ბევრჯერ გაუტარებია მოსაწყენი საღამოები ქილის მეგობრებს შორის. თუმცა სიმართლე უნდა ითქვას, არც ერთი არ იყო როჟესავით მომაბეზრებელი ყბედი. ალბათ მარტო პროვინციელებს შეუძლიათ აიტანონ ისეთი პარიზელი, როგორიც ეს კაცია.

— ცოტა ავჩქარდეთ, — თქვა ნატალის ამხანაგმა, — ვერ წარმოიდგენთ, ქილს მიუბრუნდა, — როგორ მიხარია, ნატალი რომ ახლა პარიზში ცხოვრობს. იმედი მაქვს, ხშირად შევხვდებით ერთმანეთს.

ეს სიტყვები რამდენადმე შეშფოთებული კილოთი იყო ნათქვამი. ეტყობა, თავადაც მშვენივრად იცის, რა ბედოვლათი ქმარი ჰყავს. მაგრამ განა მისი ბრალია? ბოლოს და ბოლოს ეს ქორწინება სავსებით კანონზომიერი იყო: შეუხედავ გოგონას, პროვინციაში მოწყენილობისაგან სულშეწუხებულს, ამ პარიზელია გარდა სხვა არჩევანი არც ჰქონდა. თავისთავად ცხადია, სწორად მოიქცა. მაგრამ ქილს უფრო ის აღშფოთებდა, რომ ეს ქალი თავისა და ნატალის ამბავს შორის განსხვავებას ვერ ამჩნევდა. მართალია, ნატალი და მისი მეგობარი ჩაცმულობით ძალიან ჰგავდნენ ერთმანეთს და გაცხოველებითაც საუბრობდნენ, ორი მოსწავლე გოგოს დარად — ასეთი საუბარი პარიზელ ქალებს არ სჩვევიათ: ისინი ჩვეულებრივ ფრიად გატაცებულნი არიან თავიანთი სატრფოებით და ამხანაგებთან გულითადი საუბრებისათვის არა სცხელათ, — მაგრამ ნატალი ხომ ლამაზია, ბურჟუა ქალის არაფერი სცხია და თან ქილი უყვარს. ქილს გაეღიმა.

ეს, რა თქმა უნდა, ერთმანეთს შევხვდებით და ხანდახან „ვესტერნებზეც" ვიელით გასახალისებლად.

— სწორედ დღეს უჩვენებენ ტელევიზორში „ვესტერნს", — წუხდა როჟე. — სხვა დროს, მეგობარო, მე და თქვენ დავრჩებთ შინ და საღამო უცოლო

ბიჭებივით გავატაროთ, ესენი კი თეატრში გავისტუმროთ, დატკბნენ თავიანთი დრამებით.

ამ აბბაეშა ქილი ისე ამკარად შეაკრთო, რომ ნატალის ხელოვნურად გაეცინა. იგი თეატრშიც იცინოდა ჩუმ-ჩუმად და, როცა დარბაზი დაბნელდა, ქილს წააკლო ხელი. პასუხად ქილმა ხელი შეაცოცა ნატალის ბეჭვის მოსასხამში და თეძოზე მოუთათუნა. რა არის ნატალი აღფოთებულა, მაგრამ ის უკვე ყურადღებას აღარ აქცევდა, გატაცებით უყურებდა მართლაც შესანიშნავ წარმოდგენას. ქილი კი ისე იყო აღგზნებული, თან ისე დააძძიმა ამ გაჭიანურებულმა სადილმა, თითქოს აღარაფერი ესმოდა. შესვენების დროს, როგორც წესი, ვისკის დასალევად წავიდნენ, და ვიდრე ქალები პიესაზე მსჯელობდნენ, მოლუშული როქე კი ჭიქას ჭიქაზე სცლიდა. ქილი აქეთ-იქით აკვაცებდა თვალებს. ასე ეგონა, ყველა პროვინციელს ამ თეატრში დაენიშნა პაემანი. აქ იყვნენ ახალგაზრდა ქალ-ვაჟნი, იყვნენ მოწიფული ასაკის ცოლ-ქმარნიც. ქალბატონებს შედარებით მოხდენილად შეკერილი სკუნსისა თუ მთიხვის მოსასხამები ესხათ, ყველანი მორთულიყვნენ, ყველანი ამაყობდნენ, აქ რომ მოხვდნენ, და თვითკმაყოფილებით ლაქლაქებდნენ დრამატურგის ჩანაფიქრზე, ფრანგი ბურჟუასთვის დამახასიათებელ უბოდიშო კილოზე. ქილმა იცოდა, რომ პრემიერების დროსაც იგივე ხდება აქ, მხოლოდ საზოგადოება უფრო დახვეწილია. წამით სწორედ ეს დახვეწილობა ეჩვენა მეტისმეტად მნიშვნელოვანი — შეძენილი თუ თანდაყოლილი დახვეწილი მოხდენილობა. ადამიანი ან სნობი უნდა იყოს, ან კომუნისტი, მაგრამ ქილს ვერც ერთი გადაეწყვიტა და ვერც მეორე, დამშვიდობებისას თეატრის გვერდით ერთ ჩაქამებულ ბარში დალიეს „სატალახო" და, როგორც იქნა, დასცილდნენ ერთმანეთს. ქილი უჯდა თავის ძველ, კვლავ მწყობრში ჩამდგარ „სიმკის" საჭეს და ჯიუტად, ოდნავ გესლიანად დუმდა. ბოლოს ნატალიმ დაღონებით წარმოთქვა:

— საოცრად მოწყენილი იყავი, ხომ მართალია?

— ო, სულაც არა, — უპასუხა ქილმა, — შესანიშნავი პიესა იყო. კლუბში წავიდეთ, თითო-თითო დავლიოთ, ხომ?

— რომ იცოდე, რა კარგი გოგო იყო, — განაგრძობდა ნატალი, ქილის შეკითხვაზე პასუხი არ გაუცია. — ისეთი სათნო, რომანტიკოსი.

— ჰო, მიმზიდველობა არ აკლია, — შენიშნა ქილმა. — მაგრამ საწყენია, ასეთ ტიპზე რომ გათხოვილა.

— ჰო, საწყენია.

ქილი ღიმილით შებრუნდა ნატალისკენ.

— იცი, ნატალი, — ძალიან მიყვარხარ.

ქილმა თავადაც არ იცოდა, რად უთხრა ეს, — უბრალოდ გრძნობდა, რომ უნდა ეთქვა. ნატალის პასუხი არ გაუცია. მხოლოდ ხელი მოუჭირა. ისინი კლუბში შევიდნენ.

საოცარია და, ვვამლმა, ღრიანცელმა, ხმებმა, კარისკაცის ნაცხობმა სახემ — ყველაფერმა ისე იმოქმედა ქილზე, თითქოს მაცოცხლებელმა ჰაერმა დაჭროლაო. ძათ მაშინვე ძონაზეს თავისუფალი მაგიდა და საჭაროდ გადაჭრეს. ქილმა მშვიდად და მხიარულად იგრძნო თავი, უნდოდა დამთვრალიყო, ელაპარაკა სისულელეები, ვინმესთან ეჩხუბა, ეპამპულავა. უეცრად დარბაზს მოპირდაპირე მხარეს უცხო ხალხის წრეში ქანი შეამჩნია. მან ხელი

დაუქნია, ჟილიც ადგა და მისკენ გაეშურა ნატალისთან ერთად. როგორც იქნა, თავისიანებში აღმოჩნდა — „მელამურეებსა“, დეგენერატებსა, ლოთებსა და უქნარა ადამიანებს შორის. მხოლოდ მაგიდასთან მიუსვლელს შეამჩნია ელოიზა. იგი მართლაც მომხიბვლელი იყო ექსტრავაგანტურ, ძენწკვებით გაწყობილ ტყავის კოსტიუმში, უხდებოდა ძალზე მოკლე ქვედატანი. ელოიზა არც კი შემცბარა, ისე გაუღიმა ჟილს, ნატალის მოწონებით გადახედა და ვიღაც შექეიფიანებული ახოვანი ამერიკელი გააცნო, — ზოგ ქალს საოცრად სიამოვნებს, თავისი ოფიციალური საყვარელი ყველას გააცნოს. ქანი ღიმილით წამოდგა და გვერდით მოისვა ნატალი. ჟილს ეჭვი არ შეპარვია, რომ საუბარს ისინი პიესაზე გააბამდნენ (ქანს უყვარდა ამგვარი საუბარი) და, მაშასადამე, ყველაფერი რიგზე იქნება. ჟილს შეუძლია ცოტა ამოისუნთქოს, თავი კვლავ უცოლო კაცად იგრძნოს. ამერიკელმა მხრებზე მოხვია ხელი და მუსიკის ხმაურში რაღაცას ეუბნებოდა, მაგრამ ჟილს არაფერი ესმოდა.

— მაშ ელოიზა და თქვენ... Befor? Yes?[1]

იგი საჩვენებელ თითს სიცილით ხან ელოიზას ჩრიდა, ხან ჟილს. ბოლოს ჟილი მიხვდა და გაიცინა.

— Yes, it is me.[2]

ნატალის მზერას რომ წააწყდა, ჟილმა გაუღიმა. იგი მართლაც კმაყოფილი იყო, ნატალიმ რომ გაიცნო ელოიზა, მით უმეტეს, ელოიზა დღეს შესანიშნავად გამოიყურებოდა, — ეს კი დიდად სასიამოვნო იყო მისთვის და ალბათ ნატალისთვისაც.

— დიახ, დიახ, ამან მომაყენა ამდენი ტანჯვა! — ისე ყვიროდა ელოიზა, მთელ ხმაურს ფარავდა.

Bad guy[3] — უთხრა ამერიკელმა და ჟილი შეანჯღრია. — ახლა თქვენ ერთი?

— არა, — ღრიალებდა ჟილი, რომ მუსიკის ხმაური დაეფარა. მე აი, ეს ქალი მიყვარს.

— რომელი?

ჟილმა თითით ანიშნა ნატალიზე, მან ნატალის სახეზე წამიერი შეძრწუნება დაიჭირა, მაგრამ ამისთვის ყურადღება არ მიუქცევია. ნატალი, რა თქმა უნდა, მიხვდა, რაზე ესაუბრებოდა ჟილი ამერიკელს, — მერე რა არის აქ ცუდი, ამ შესანიშნავ, მომხიბვლელ ყმაწვილს რომ უთხრა, ნატალი მიყვარსო? განა რა მოხდა! უთხრა უბრალოდ, გულთბილ საუბარში. ჟილმა ერთბაშად გადაჭრა დიდი ჭიქა შოტლანდური ვისკი. იმ მოსაწყენი საღამოს შემდეგ ხომ აქვს უფლება ცოტა გაერთოს? განა არ დაიმსახურა ეს უფლება?

— პიესა მოგეწონა? — ჰკითხა ქანმა.

— სიგიჟემდე! სი-გი-ჟემ-დე!

ქანმა გადაიხარხარა და ნატალისთან გააბა საუბარი. ჟილმა საოცრად მოილხინა, გრძნობდა, ვერაფერს უსაყვედურებდნენ, პასუხს ვერავინ მოსთხოვდა. რა დიდებულად დასრულდა ეს მოსაწყენი საღამო.

— წამო, ვიცეკვოთ, ძველი ტკბილი დრო გავიხსენოთ, — უთხრა ელოიზამ.

---

1 ადრე? ხომ? (ინგლ.).
2 დიახ, მე (ინგლ.).
3 საძაგელო ბიჭუნავ (ინგლ.).

ქილს არ უყვარდა და არც იცოდა ცეკვა, მაგრამ მერე რა? გონს მოსვლა ვერ მოასწრო, ხელისგულისოდენა საცეკვაო მოედანზე გაჩნდა და თამამად დაიწყო ერთ ადგილზე ტკეპნა, სხვა მოცეკვავეთა მსგავსად. მამაკაცები დაჟინებით მიშტერებოდნენ ელოიზას, რომელსაც ტარზანის მეგობარი ქალივით ეცვა და საყოველთაო ყურადღებას იქცევდა.

— ღმერთო ჩემო! — გაიოცა ელოიზამ, — შენ ისევ [illegible] ქილ!

ქილმა პასუხის ნაცვლად გაიცინა. მას კვლავ ეფრქვია ელოიზას სუნამოს ნაცნობი სურნელი, კვლავ სიამოვნებას ჰგვრიდა მისი ხილვა, იგი ხომ მისი ცხოვრების გზის ერთ-ერთი ნიშან-სარკე იყო.

— სხვა ამბები როგორ არის? — კვლავ წამოიწყო ელოიზამ.

— რა უსირცხვილო გახდი! აქ ხომ ვერ გაგცემ მაგაზე პასუხს.

თუმცა რატომ ვერ გასცემს? რა არის აქ შეუძლებელი? საინტერესოც იქნება ხელახლა გააბას რომანი ამ ახალ ელოიზასთან. ახალი ელოიზა! სიტყვების რა სასაცილო თამაშია. ქილმა უთხრა კიდეც ელოიზას ამაზე, მაგრამ იგი ვერაფერს მიხვდა. ნატალი მაშინვე მიხვდებოდა, ნატალი განათლებული ქალია. სწორედ ამ დროს მოჰკრა თვალი მასაც — წამით რომ გაიელვა ამერიკელის მკლავებში მომწყვდეულმა. ამერიკელი ცოტა არ იყოს, ბორძიკობდა, ნატალი კი მოწყენილი ჩანდა. „გამხიარულდი, — რაღაც გააფთრებით გაიფიქრა ქილმა, — გამხიარულდი!“ ქილი და ელოიზა თავიანთ ადგილებზე დაბრუნდნენ, ნატალი კი ისევ ცეკვავდა ამერიკელთან.

— შენი ნატალი თითქოს მოწყენილია, — შენიშნა ელოიზამ.

— აბა რა იქნება, შენმა მეგობარმა ალბათ სულ დაამტვრია ფეხები, — მიუგო ქილმა.

— დიდებული მამაკაცია, — წარმოთქვა ელოიზამ.

„ორი თვის წინ იგი არამც და არამც არ იტყოდა მამაკაცზე „დიდებული“ — გაიფიქრა ქილმა. — ალბათ როცა ერთად ვიყავით ყველა მამაკაცი ბოროტი ეგონა“. და ერთბაშად მთვრალი კაცის სენტიმენტალობა მოერია ქილს.

— ელოიზა, შითხარი, რომ ბედნიერი ხარ!

— თუ ამას შენთვის რაიმე მნიშვნელობა აქვს, სიამოვნებით! — ცივად უპასუხა ქალმა და შებრუნდა.

ამ დროს თვალწინ ნატალის დახრილმა, თითქმის მწუხარე სახემ გაუელვა, და ქილმა კიდევ ერთი ჭიქა გადაკრა. „რად უნდა თქმა, ყველა ქალი ერთნაირია — თავს ბედნიერად არასოდეს გრძნობენ. და ეს ყოველთვის ჩვენი ბრალია. არა, მხოლოდ მეგობრებთან თუ გადააყოლებს კაცი გულს.“ ქანმა და მან ეშმაკურად ჩაუკრეს თვალი ერთმანეთს. ნატალიმ გაუბედავად შეხედა ქილს.

— არ დაიღალე?

აჰა, ახლა შინ წასვლა ნებავს, სწორედ მაშინ, როცა ქილი ქეიფის ეშხზე მოვიდა.

— არა, — მიუგო მან. — წამო, ვიცეკვოთ.

საბედნიეროდ, ნელი ფოქსტროტი დაუკრეს, როგორც მაშინ, იმ ზაფხულს. და ქილს მაშინვე გაახსენდა ლიმოჟის გარეუბანი. ლია ცის ქვეშ გამართული მეჯლისი, როგორ გამოგლიჯა ნატალის თანხმობა, რომ ეს ფოქსტროტი ერთად ეცეკვათ, როგორ იეჭვიანა მის საკუთარ ძმაზე, და ის თავბრუდამხვევი, მალუ-

ლი ხვევნა-კოცნა ხის ძირას... ნატალი... ახლა იგი წყნარად ირწეოდა მის მკლავებში, ჟილს სწყუროდა იგი, თავისი პროვინციელი მწიგნობარი ქალი. ჟილი დაიხარა და ყურში დაუწყო ჩურჩული. ნატალიმ ჟილს მხარზე ჩამოადო თავი, ,ჟილისთვის უკვე აღარ არსებობდა აღარც მეგობრები, აღარც ყოფილი საყვარელი, აღარც ამფსონები — იყო მხოლოდ ნატალი. ძალიან გვიან, განთიადისას, როცა იმ ღამეულ ღრიანცელს დააღწიეს თავი, ნატალი იძულებული გახდა თავად მისჯდომოდა საჭეს და წაეყვანა მანქანა. ჟილი ფეხზე ძლივს იდგა, მაგრამ ლაპარაკად იყო გადაქცეული. თავის ბუნდოვან, თამამ აზრებს გამოხატავდა. ჟილმა კარგად იცის, რაც მოხდა. ვიდრე ავად იყო, ვიდრე ნატალი ზრუნავდა მასზე, როგორც ბავშვზე, მისი სიყვარულის წყალობით თავს მთლიან, სრულფასოვან პიროვნებად თვლიდა. ახლა კი, როცა მას უნდა ეზრუნა ნატალიზე, მფარველობა გაეწია მისთვის, ჟილი გრძნობდა გაორებას: ერთი მხრივ იგი ადრინდელი ჟილია, მეორე მხრივ — ნატალიზე შეყვარებული ჟილი. ,ყოველივე ამას ენის ბორძიკით უხსნიდა ნატალის, ვიდრე იგი საწოლში აწვენდა, მაგრამ ნატალის არც ერთი სიტყვა არ უთქვამს. დილით ჟილი გამოაღვიძა საყვავილე მაღაზიის შიკრიკმა, რომელმაც ვეებერთელა თაიგული მოართვა. ნატალიმ მთქნარებ-მთქნარებით უამბო, მთელი ღამე როგორ ეხვეწებოდა ამერიკელი, ცოლად გამომყევიო.

თავი VI

ჟილს მთელი დღე ჯავრით ვერ მოესვენა. ბოლოს და ბოლოს ამ ქალის წინაშე მუდამ სულელურ როლში გამოდის. თეატრისა არა გაეგება რა, არც ლიტერატურაში ერკვევა მაინცდამაინც, აკლია მხატვრული ალღო, იშვიათად როდი უხდება სისულელეების მოჩმახვა ისეთ საკითხებშიც კი, რაც მის ხელობას უშუალოდ ეხება, ნატალი კი ცდილობს შეუმჩნევლად იხსნას იგი. ალბათ როგორ ეცინებოდა ნატალის, მის არშიყობას რომ უყურებდა ელოიზასთან, ამ უბედურ ელოიზასთან, რომელსაც მდიდარი საყვარელი ჰყავს (ამ კაცმა, როგორც ჩანს ბირის გემო იცის), და ეს საყვარელიც მზად არის ამ წუთშივე მიატოვოს იგი ნატალის გულისათვის. რა თქმა უნდა, ნატალის, გარდა იმისა, რომ საუცხოო ქცევა აქვს და განათლებულია, რაღაც ეშხი და მიმზიდველობა გააჩნია. მთერალმა ამერიკელმაც კი მაშინვე იუნოსა ეს. როცა ჟილმა შიკრიკი გაისტუმრა და საძილე ოთახში დაბრუნდა, ხელში კი დოყლაპიასავით ვეებერთელა თაიგული ეჭირა, ნატალის სიცილი წასკდა, თუმცა არ კი აუხსნია არაფერი. ჟილი ერთი წუთი მაინც იჯდა საწოლის კიდეზე და ბურტყუნებდა: „ჰო-ჰო! ჰო-ჰო! — ვიდრე ნატალიმ არ ჩამოართვა ყვავილები და არ აკოცა.

— შენ რაღა უპასუხე?

— რომ ეს ძალიან დიდი პატივია ჩემთვის, მაგრამ მე სხვა მიყვარს-მეთქი. მართალი გითხრა, ის კი დამავიწყდა, შენზე თითით მეჩვენებინა, — გადაკრა ნატალიმ.

— ასეა თუ ისე, მაინც ფრიად თავხედი ვინმეა, — შენიშნა ჟილმა.

ჟილი შეურაცხყოფილად გრძნობდა თავს. ნატალის გვერდით იგი ყოველთვის წაგებული იქნება. ცხადია, ნატალის უყვარს იგი. მაგრამ ნატალი რაღა-

ცით გაცილებით ძლიერია ქილზე. და უეცრად გაახსენდა. რომ სწორედ ამ
რალაცამ გადაარჩინა იგი სამი თვის წინ. ქილი თავს იმტკიცებდა, როგორ და-
ემტკიცებინა ნატალისთვის საწინააღმდეგო. კარგად რომ დაფიქრდეს. თავი-
დანვე ნატალიმ იძალა, მან წამოიწყო ყველაფერი. ქილმა მხოლოდ ერთი რამ
გააკეთა — დაიჩქარა მათი გამომგზავრება: კი. ასეა — ნატალიმ თავად ამოირ-
ჩია ქილი, მოაჯადოვა და იმას მიაღწია, რომ დღეს ერთად [illegible] თქმა უნ-
და, უფლება რომ მისცეს, მთელი მათი ცხოვრება ნატალის [illegible] ერთე-
ბა. ამის დასტური გუშინდელი საღამოა. მართალია, ამ ორი თვის მანძილზე
ქილს პირველად მოუხდა ნატალის წყალობით ისეთი ჭაპანწყვეტა, როგორც
გუშინ, მაგრამ ნათქვამია ერთ ჭირს სხვა ბევრი მოსდევსო. დამცირებული ხომ
იყო, მალე შებოჭილიც აღმოჩნდა. იმ დღეს მუშაობას გული ვერ დაუდო, უქ-
მურ გუნებაზე იყო, ამიტომ გადაწყვიტა ქილდა მოენახულებინა, რაც პარიზ-
ში დაბრუნდა, ერთხელაც არ შეუვლია მასთან, ეს კი ქილის მხრივ არ იყო
მაინცდამაინც მოსაწონი საქციელი. მით უმეტეს, ქილდას ორი ძვირფასი თვი-
სება ჰქონდა: ჯერ ერთი, ყოველთვის მამაკაცების მხარეზე იყო, მეორე —
დუმილი შეეძლო ექვსი საათისათვის ქილი უკვე მასთან იყო ხლურბლს გადა-
აბიჯა თუ არა, მაშინვე გაახსენდა. რა საშინელი საღამო გაატარა ამ ზაფხულს
აქ ვიღაცა ქალის მოლოდინში, რომელსაც ბოლოს და ბოლოს კარი არ გაუღო.
ეს ნატალიმდე იყო და, ცხადია, ნატალიზე ახლა კრინტი არ უნდა დაძრას, ნა-
ტალი მისი საიდუმლოა, ნატალი ცოლია მისი და მასზე არავისთან არ უნდა
ილაქლაქოს, სხვანაირად ეს იქნება სულმდაბლობა. ამას კი ნატალი არამც და
არამც არ აპატიებს. მაგრამ ქილი უკვე ღრმა წითელ საგრძელში იჯდა. ცივი
ვისკის ჭიქით ხელში, მის პირდაპირ კი ყურადღებიანი, ცნობისმოყვარე მეგო-
ბარი ქალი მოკალათებულიყო. მისი ადრინდელი თავაშვებულობის მონაწილე
ქილი მხნედ გრძნობდა თავს. ბოლოს და ბოლოს რა მოხდა, სასიყვარულო
თავგადასავალი — მხოლოდ და მხოლოდ სასიყვარულო თავგადასავალი, სხვა
არაფერი.

— აბა რას მეტყვი? — ჰკითხა ქილდამ, — შესანიშნავად კი გამოიყურები.
თურმე ძალიან ბედნიერი ხარ.

— ძალიან, — უხალისოდ დაემოწმა ქილი.

ქილდა, როგორც ყოველთვის, ყველაფერში მშვენივრად იყო გათვითცნო-
ბიერებული.

— მაშ რისთვის მოხვედი აქ? — გაიცინა მან. — მამაკაცები ჩემთან ან სა-
სიყვარულოდ, ანდა საჩივლელად მოდიან. მაინცდამაინც ბედნიერ საყვარელს
არ გავხარ. რა მოხდა?

— ეჰ, ასე ადვილად არ ითქმის, — დაიწყო ქილმა და მოპყვა ყველაფერი.
ილაპარაკა დიდხანს, თავის სასარგებლოდ ბევრი რამ ცოტა დაამხინჯა. თუმ-
ცა ამის გამო თვითონვე შეზიზღდა თავი. თხრობის დასასრულს მთლად გაუ-
ფუჭდა გუნება. ქილდა უხმოდ უსმენდა. თვალებმოჭუტული, სიგარეტს სიგა-
რეტზე ეწეოდა. ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს მკითხავი ყოფი-
ლიყო — ქილდას ხშირად ჰქონდა ასეთი გამომეტყველება. როცა ქილი დადუმ-
და, ქილდა წამოდგა, თეძოების ოდნავი რწევით გაიარა ოთახი. ისევ საკარძელ-
ში ჩაეშვა და ქილს დაჟინებით მიაშტერდა. ეს ყოველივე საკმაოდ სასაცილო
იყო და ქილი უკვე ნანობდა, აქ რატომ მოვედით. ქილდამ ცბიერი ნაპერწკალი
შეამჩნია თვალებში და გაბრაზდა.

— თუ სწორად გაგიგე, ქალბატონმა გამოგიჭირა და აღარ იცი, როგორ დაუსხლტე ხელიდან.

ქილი შეცბა.

— სულაც არა, — უთხრა მან, — მთავარი დამავიწყდა. შენთვის არ მითქვამს ყველაზე მთავარი.

მთავარი კი ნატალის მხურვალე ვნება იყო, ნატალის ყველზე ჩაღრძავებული ადგილი, სადაც ქილი ჩარგავდა ხოლმე სახეს ძილის წინ, — ნატალის ნაზი ალერსი, მისი გულწრფელობა და ქილის უზომო ნდობა მისადმი, ყველაფერის, რის გაგებასაც ქილდა, ეს გაფუფუნებული მეძავი ქალი, ეს იაფფასიან გარყვნილობაში ჩაფლული ქალი უკვე დიდი ხანია გადაეჩვია. მაშ რისთვის არის იგი აქ?

— მაინც რა არის მთავარი? გამოგიჭირა თუ არა?

მაგრამ ქილი უკვე ფეხზე იყო და სიბრაზისა თუ სირცხვილის გამო ენის ბორძიკით გაურკვევლად წაილუღლუღა:

— მე ცუდად აგიხსენი... დავივიწყოთ ყოველივე. მაპატიე.

— ჰოდა, როცა იგი დაუბრუნდება თავის მომრიგებელ მოსამართლეს, მაშინ მიმაკითხე, — უთხრა ქილდამ, — მე ყოველთვის შინ ვარ, ხომ იცი.

„ეი, — ზიზღით გაიფიქრა ქილმა, — შენ ყოველთვის შინ ხარ და ყოველთვის ეახარებს ყველანაირი უნამუსობა, ყველანაირი სიბილწე და შენი მეგობრების ახირება. შენ იმ ქალთა რიცხვს ეკუთვნი, ვისთანაც მამაკაცები თითქოს ყველაფერს ივიწყებენ ამქვეყნად, სინამდვილეში კი სისაძაგლეში იხრჩობიან“.

კვე კართან მისული ქილი შემობრუნდა.

— სულაც არ ვყავარ გამოჭერილი, როგორც შენ ბრძანე, პირიქით, თვითონ ვეკიდე.

— მაშინ სხვანაირად უნდა გელაპარაკა მაგ ქალზე, — სიცილით შეხიშნა ქილდამ და კარი მიუკეტა.

კიბეზე რომ ალმოჩნდა, სიბრაზისაგან ცახცახებდა, მაგრამ თავადაც არ იცოდა, ვისზე ჯავრობდა. ცოფიანივით გაიქროლა მთელი პარიზი, სადღაც გაჩერა მანქანა და კიბე აირბინა. თავის ბინას რომ მიადგა, ნატალის სიცილი და მამაკაცის ხმა შემოესმა. სულს ძლივს ითქვამდა, შეჩერდა „ეს თუ ამერიკელია, ცხვირ-პირს ჩავუნაყავ — მორჩა და გათავდა. ეს ჩემთვისაც სახეირო იქნება და მისთვისაც.“ და იმის ნაცვლად, თავისი გასაღებით გაღო კარი, ზარი დარეკა, გაიფიქრა, „ეს უფრო ლამაზი იქნებაო. ნატალიმ კარი სიცილით გააღო.

— გამოიცანი, ვინ არის ჩვენთან! — უთხრა მან.

სასტუმრო ოთახის კართან ნატალის ძმა იდგა და იღიმებოდა. ქილს ალბათ ძალზე უცნაური გამომეტყველება ჰქონდა, რადგან ნატალიმ ჰკითხა:

— შენ ვინ გეგონა?

— არ ვიცი, — ჩაიბურტყუნა მან. — გამარჯობათ, პიერ.

— უოლტერი გეგონა, ხომ?

— უოლტერი?

— ჰო, გუშინდელი ამერიკელი. სწორედ იმაზე ვუყვებოდი პიერს...

და სიცილისაგან აცრემლებული სავარძელში ჩაეშვა. ძმაც იქვე ედგა და ისიც იცინოდა. ქილი ბედნიერების გრძნობამ მოიცვა. და-ძმა ბავშვებივით გულიანად იცინოდნენ. ამ სიცილში იგრძნობოდა ბავშვური გულწრფელობა. ორთავე ისეთი ლამაზი იყო, თვალი უკეთეს ვერაფერს ნახავდა. მაშ, თურმე კიდევ

არიან ქვეყნად ნორმალური ადამიანები. განაწამები და კმაყოფილი ქილი საკარძელში ჩაეშვა. იგი საკუთარ სახლშია, თავის ოჯახში, იმის შემდეგ, რაც ამ თავისი სულელური ხასიათის გამო ასე სულელურად გაატარა დღევანდელი დღე.

— როდის ჩამოხვედით, პიერ?

— ამ დილით. ორი თავისუფალი დღე გამომიტყვრა. ნატალიმ ძალიან მოშენტრა. წერილები მარტო არ კმაროდა.

მაშ, ნატალი ხშირად წერდა ძმას წერილებს? მუზეუმების დათვალიერების შემდეგ? ან რას აკეთებდა მთელი დღეები? სამუშაოდან დაბრუნებული ქილი ყოველთვის უყვებოდა ნატალის, როგორ ჩაიარა მისმა დღევანდელმა დღემ: ისინი გაცხარებით კამათობდნენ პოლიტიკაზე, საუბრობდნენ გაზეთზე, ნაცნობებზე. მაგრამ ნატალი არაფერს ამბობდა თავის თავზე, ლაპარაკობდა მხოლოდ იმაზე, თუ როგორ უყვარდა ქილი. ნეტა რა უნდა მიეწერა ძმისთვის? „ბედნიერ ვარ... მოწყენილი ვარ... ქილი ძალიან კარგია... ქილი არც ისე კარგია..." ქილმა პიერზე გადაიტანა მზერა, უნდოდა მის სახეზე ამოეკითხა ამ წერილების გამოძახილი, მაგრამ ვერაფერი დაინახა, ალერსიანი ცხობისმოყვარეობის გარდა. არა, იგი ალბათ ერთნაირად უმძღავს თავის გრძნობებს ქილსაც და ძმასაც. ქილს გაახსენდა, რა ელაპარაკა ქილდას ნატალიზე მთელი ერთი საათი და შერცხვა.

— როგორც ვხედავ, დასალევი არაფერი გაქვთ, — საჩქაროდ წარმოთქვა ქილმა, — ნატალის სულ არ ეხერხება დიასახლისობა.

— ნატალი ყველგან სტუმარივით გრძნობს თავს, — გამოეხმაურა ძმა. — ვერაფერი მოუხერხა ამ მხრივ თავს. — პიერი მხიარულად იღიმებოდა.

ნატალი მაცივრისაკენ გაიქცა, მამაკაცები მარტონი დარჩნენ.

— ერთი შეხედვით თუ ვიმსჯელებთ, ჩემი და ბედნიერი უნდა იყოს, — თქვა პიერმა.

— იგი დინჯად ლაპარაკობდა, მაგრამ მის ხმაში მაინც იგრძნობოდა ადრინდელი მუქარა, როგორც ლიმოჟის იმ ღირსახსოვარ საღამოს. ერთი სიტყვით, „აეთილშობილ ძმად" მოჰქონდა თვი, ეს კი ქილს, ცოტა არ იყოს, აღიზიანებდა.

— ვიმედოვნებ, მართლა ბედნიერია, — უპასუხა ქილმა.

— დიდად მოხარული ვიქნები, თუ ჩემი ეჭვები არ გამართლდება. — ძმურად ბრალეულად განაგრძობდა პიერი, — როგორ მოძენწყინა ლიმოჟში უმაგისოდ!

— მესმის თქვენი, — მიუგო ქილმა. — მაგრამ ძეც ასევე მოძენწყიხებოდა უმაგისოდ პარიზში.

— აი, ეგ არის მთავარი. მართალი გითხრათ, სწორედ მაგის გაგება ძნიშოდა.

— განა ამაზე არ მოუწერია ნატალის?

პიერმა გაიცინა:

— ნატალის არ უყვარს ლაპარაკი საკუთარ გრძნობებზე. ეს თქვენ ეხლა იც დეთ.

ნატალიმ ლანგარი შემოიტანა, უხერხულად მოჰქონდა. პიერი ძალიან წამოხტა და საჩქაროდ ჩამოართვა ტვირთი. ჰო, ეტყობა ნატალის მთელი სიცოცხლე ანებივრებდნენ, მთელი სიცოცხლე თავს ევლებოდნენ. ალბათ ქილის ბავშვური ჭირვეულობა ხშირად შიშსაც უნერგავდა ნატალის. და-ძმას

შორის იგრძნობოდა საოცრად დიდი სიყვარული, სათნოება. მუდამ ახსოვდათ, რა სიკეთე გაეკეთებინათ ერთმანეთისათვის — მხოლოდ და მხოლოდ გულის კარნახით და ეს კიდევ უფრო აახლოვებდათ. ქილსაც მოუნდა ასეთ ყოფილიყო მის ცხოვრებაში. და უეცრად გაახსენდა, რომ თავის დასთან არ ჰქონდა ასეთი სულიერი სიახლოვე, თუ არ ჩათვლის ოდილიას დედობრივ ზრუნვას. სხვა ქალებთან ქილს ქვეშეცნეული უხალისო ბრძოლა ჰქონდა — ძგადამიგ ბედნიერების ხანმოკლე წუთებით შეწყვეტილი, რომელიც ან გამარჯვებით მთავრდებოდა, დამარცხების სიმწარე რომ დაჰკრავდა, ან უბრალოდ მხოლოდ დამარცხებით. გუშინ რომ ზომაზე მეტი დალია, ქილი დაღლილად გრძნობდა ახლა თავს: ასეთი ქილი კი მას თავადაც არ მოსწონდა.

— რა იქნება, ორივეს რომ გვეაბშმათ სადმე? — თქვა ქილმა. — უჩემოდ უფრო მშვიდად იქნებით. მე კი ადრე დავწვები. მთლად მოშლილი ვარ, გუშინ ძალიან ბევრი დავლიე.

ქილი წინააღმდეგობას ელოდა, მაგრამ ნატალი გადაიბადრა:

— შენ, არ მოიწყენ? რა ხანია მე და პიერს ერთმანეთი არ გვიხახავს...

— მართლა არაფერი გექნებათ საწინააღმდეგო? — ჰკითხა პიერმა.

„საბრალო ნატალი, — გაიფიქრა ქილმა. — რამდენი ხანია წესიერი ადამიანები არ გინახავს. აბა ვის ხედავ? წყალწაღებულ ნიკოლას, ქანს. რომელიც ჩემზე ეჭვიანობს. იმ შენს ბედუკულმართ, საკმაოდ მოსაწყენ დაქალს. საღამოს რვა საათიდან დილამდის კი მე შემომცქერი, მხოლოდ მე — ჩემისთანა საცოდავს, რომელიც ჩემო საბრალო დამთხვეულო, ასე გიყვარს". ქილმა თავი გააქნია.

— არა, პირიქით წადით, უჩემოდ ივახშმეთ. თქვენ დაბრუნებამდე თუ ვერ დავიძინე, მერე ერთად დავლიოთ თითო ჭიქა ცაცხვის ჩაი.

ისინი წავიდნენ თუ არა, ქილმა მაშინვე ტელევიზორი ჩართო. მაგრამ უძალვე გამოთიშა. მაცივართან ზეზეულად შეჭამა ერთი ნაჭერი შაშხი და ლოგინში ჩაწვა. მას გვერდით ედო შესანიშნავი დეტექტური რომანი, დიდი ბოთლი მინერალური წყალი და სიგარეტები, რადიოთი კი შესანიშნავ კონცერტს ადევნებდნენ. ადამიანისთვის დროდადრო საჭიროა განმარტოვდეს — ამასაც აქვს თავისი ეშხი. სინამდვილეში ქილი მუდამ მარტოხელა იყო, კეთილი, ზეცერი, მარტოხელა მგელი ამ ფიქრებით გულაჩუყებულს ისე ჩაეძინა, შუქიც არ ჩაუქრია.

თავი VII

დრო მიდიოდა, ნატალიმ გადაწყვიტა მუშაობა დაეწყო. ქილს გახუცხადა, ტურისტულ სააგენტოში კარგი ადგილი ვიშოვე, ხელფასიც კარგი უნდა იყოს, ასე რომ ვაინახრობით ალარ ვიცხოვრებთო. ქილს ჯერ გაეცინა, მერე კი ეწყინა ნატალიმ რომ მის დაუხმარებლად იშოვა სამსახური, ვერც ის წარმოედგინა, როგორ მიუჯდებოდა ნატალი საკანტორო მაგიდას.

— განა უკვე მოათავე ყველა მუზეუმის დათვალიერება? რამ წაიყვანა? — „მთელ დღეებს უსაქმოდ ვატარებ, — უპასუხა მან. — ასე მთლად იკაშითაყვანდება კაცი.

— ლიმოეში რაღას აკეთებდი?

— ლიმოჟში საქველმოქმედო საზოგადოება მყავდა, — დიხჯად ძიუგო ნატალიმ.

ქილს სიცილი წასკდა. აი, დამთხვეული!

— მე მესმის, სასაცილოა, — შენიშნა ნატალიმ, — მაგრამ იცი, რამდენს ვეხმარებოდი...

— და მაინც... შენ და კეთილისმყოფელი ქალბატონი!.. მეფეს დღეებს ხომ ჩემთან ატარებდი.

— ეგ ზაფხულში იყო, — შეეპასუხა ნატალი, — ღარიბებისთვის კი ყველაზე მძიმე დრო ზამთარია.

ქილი გაკვირვებული მიაჩერდა.

— თუ სწორად გაგიგე, ჩემს დასთან ზამთარში რომ ჩამოვსულიყავი, ჩვენ ერთმანეთს ვერ შევხვდებოდით.

ნატალიმ გაიცინა, წამოწითლდა.

— ო, არა... მიტომ არ მითქვამს. სააგენტოში ცალიან სასიამოვნო სამუშაოა, დირექტორი მშვენიერი კაცია, პიერის მეგობარი. იცი, რა საინტერესოა ტურისტებისათვის მარშრუტების შერჩევა. მე მათ პერუში, ინდოეთში, ნიუ-იორკში გავამგზავრებ...

— შენ თუ მუშაობას ფულის გამო იწყებ, ჩემი აზრით, სისულელეა, — უთხრა ქილმა, — უბრალოდ შეიძლება ცოტა ნაკლები ვხარჯოთ.

მაგრამ აშკარა იყო, ფულს თვითონ ფლანგავდა, არც კი იცოდა, სად მიდიოდა ეს ფული. მეგობრები, ბარები, ტაქსები — ასე ნიავდებოდა მთელი შემოსავალი, და თუ ნატალის საშუალება ჰქონდა სადმე წასულიყო, ან რაიმე ჩაეცვა, ქილის ნამუშევრის კი არა, ყოველთვიურად ლიმოჟიდან რაღაც ძველი საოჯახო რენტით მიღებული ასი ათასის წყალობით. ქილმაც საშობაოდ უყიდა შესანიშნავი ძველებური გულსაბნევი, რომლის ეალი დღემდე ვერ გადაეხადა. ნატალის ნამდვილად კარგი აზრი მოუვიდა. მაგრამ რატომღაც ქილს ალიზიანებდა ეს ამბავი.

— არა, ფულის გამო არა, — თქვა ნატალიმ. — საქმემ ძალიან დაინტერესა. მაგრამ თუ შენ არ გსიამოვნებს, შემიძლია უარი ვუთხრა.

— როგორც გინდა, ისე მოიქეცი, — უთხრა ქილმა. — ჰო, მართლა, მოგზაურობამ გამახსენა, როდის ბრუნდება მეუღეილე?

საქმე ის იყო, რომ ამერიკელი-ფოტოგრაფი თავისას არ იშლიდა. ნატალის წარამარა საალერსო წერილებსა და ვარდებს უგზავნიდა — ამიტომაც შეარქვა ქილმა ეს სახელი. ამერიკელი ახლა სადღაც შორს გამგზავრებულიყო და თითქმის ყოველი კუთხიდან უგზავნიდა ნატალის სავსებით უწყინარ ღია ბარათებს, იმ ადამიანის ღრმა რწმენით, რომელსაც გადაწყვეტილი აქვს თუნდაც ოცდაათი წელი იცადოს. მისი ბარათები ქილს ხან ართობდა, ხან ალიზიანებდა, გაიჩნია, რა გუნებაზე იყო. ნატალის კი გულს უჩუყებდა და ჩვეულებისამებრ არც ფარავდა ამ ამბავს, რასაც ცხადია, ქილი უნდა დაეწყნარებინა, მაგრამ ნატალის ასეთი გულაჩუყება ხელს უშლიდა ერთად ეცხოვრა თაყვანისმცემელზე. ნატალიმ განაცხადა, არც ერთი გულწრფელი გრძნობა, როგორიც არ უნდა იყოს იგი, სასაცილო არაა. ამ თემაზე დიდხნობით ესაუბრებოდა გარნიესაც, რომელიც ქილმა გააცნო ერთხელ. გარნიე ქვლავ უცდიდა თავისი ჭაბუკი მეგობრის დაბრუნებას კოლონიიდან. სხვათა შორის, გარნიე მეტწილად ახლა თავის სამუშაოს ქილს აკეთებინებდა, და

შინ დაბრუნებულ ჟილს ხშირად ნატალისთან ხვდებოდა ხოლმე. ბუხართან მჯუდროდ მოკალათებული ნატალი და გარნიე გატაცებით ლაპარაკობდნენ. მაინც რა უცნაური გემოვნება აქვს ნატალის! ლოთ ნიკოლასა და გარყვნილ გარნიეს საზოგადოებაში გამოცოცხლებული, მხიარული იყო, მაშინ როდესაც ჟანთან, ამ ინტელიგენტ კაცთან ყოფნა, როგორც ჩანს, ემძიმებოდა. „შენ არ გესმის, — შეეკამათებოდა ნატალი, როდესაც ჟილი [illegible] რამეს ეტყოდა, — ესენი უფრო უშუალო, წრფელი ადამიანები არიან და იმიტომ მომწონს". ჟილი მხრებს აიჩეჩავდა. მისი აზრით, ნიკოლა და გარნიე მოსაწყენი ხალხი იყო, მაგრამ მაინც ერჩია, ნატალის ესენი უფრო მოსწონებოდა, ვიდრე მეყვავილე-ამერიკელი.

ისე რომ, ნატალიმ მუშაობა დაიწყო. საღამოობით ხშირად შეუვლიდა ხოლმე იგი ჟილს რედაქციაში. მთელ მსოფლიოში სულ უფრო და უფრო იშლებოდა ხალხი ჭკუიდან, გაზეთის თანამშრომლებს შორის უფრო და უფრო მწვავე კამათი იმართებოდა, ნატალი ზოგჯერ ორ-ორი საათი უცდიდა ჟილს ბარში. რა თქმა უნდა, ამას არასოდეს აყვედრიდა ჟილს, პირიქით, უთანაგრძნობდა კიდეც, მაგრამ იმის გაფიქრება, ნატალი მოწყენილი ქვევით ზის და მელოდებაო, ჟილს მოსვენებას უკარგავდა, ბოლოს გადაწყვიტეს ერთმანეთს მხოლოდ შინ შეხვედროდნენ. ერთხელ ჟილი მთელი ღამე არ დაბრუნებულა შინ.

ის დღე საშინელი იყო ჟილისათვის. იმ არამზადა, იმ საზიზღარმა ტომამ უნამუსობის ყველა საზღვარს გაადაბიჯა. შემდეგ ჟილი ფერმონმა გამოიძახა და შავი დღე აყარა: თურმე ჟილის სტატიები მეტისმეტად „აკადემიურია", თურმე აკლია სენსაციური ამბები, „მკითხველს" რომ მოსწონს. ჟილს წარმოდგენა არ ჰქონდა ამ ყბადაღებულ მკითხველზე, ვისითაც ყურები გამოუჭედეს, ამ უზინარ დარაჯზე, უტვინოების საწყობს რომ ყარაულობს, მაგრამ ეს დარაჯი ხელში რომ ჩავარდნოდა, ჟილი დიდი სიამოვნებით მიბეგვავდა.

— მკითხველს, — ამბობდა ფერმონი, — ცხადია, უნდა მივაწოდოთ ობიექტური ინფორმაცია, მაგრამ თემამ უნდა გაიტაცოს, უნდა ააღელვოს.

— როგორ გგონიათ, თვით ფაქტები, თვით სინამდვილე უკვე საკმაოდ არ აღელვებს მკითხველს? — ირონიულად ჰკითხა ჟილმა, — ყველგან ომია, ყველგან...

— ომი მხოლოდ მაშინ აღელვებს მკითხველს, თუ უშუალოდ მას ეხება.

— ეხება კიდეც, — სასოწარკვეთით მიუგო ჟილმა, — ხომ არ გნებავთ, მკითხველს იმ კანტორის მისამართი მივცე, სადაც ვიეტნამში გასაგზავნ ჯარისკაცებს აგროვებენ? ნუთუ ციფრები საკმაოდ მჭევრმეტყველი არაა?

— თქვენ თვითონ ბრძანდებით ნაკლებ მჭევრმეტყველი.

ერთი სიტყვით, ჟილი ფერმონის კაბინეტიდან გაცოფებული გამოვიდა და სტატიის ხელახლა გადაკეთებას შეუდგა. უკვე ექვსი საათი იყო, გარნიეს რომ შეეჩეხა: სთხოვა ნატალი გაეფრთხილებინა და, თუ შესძლებდა, საავადმყოფოდ წაეყვანა სადმე. ამან, როგორც ჩანს, გარნიე გააბარა. თვითონ ჟილი კი თავის კაბინეტში დარჩა და საბეჭდ მანქანას მიუჯდა. მაგრამ უფრო იმ დაგვიანებულ რეპლიკებზე ფიქრობდა, ფერმონის ბრალდებაზე რომ უნდა გაეცა, ვიდრე ბედუკულმართ სტატიაზე. რედაქციაში სიცარიელე იყო. ჟილი ოთახებში დადიოდა და უკიდურესი ზიზღით ფიქრობდა თავის ქმნილებაზე.

ქანის კაბინეტში შიტლანდური ვისკი აღმოაჩინა, ერთი ჭიქა დაისხა, დალია. მაგრამ შვება ვერც ამან მოჰგვარა. როგორ მობეზრდა ეს წყეული გაზეთი, ვერაფერსაც ვერ მიაღწევს, თავისი ცხოვრების უკანასკნელ დღემდე ამ ადგილზე გაიყინება, ფერმონი კი სულ მთლად გამოყეყეჩდა და გაუთავებელი საყვედურებით წაიღებს ტვინს. ქილ ლანტიე მოხუცდება. ნატალი დარბაისელ პროვინციელ ქალად გადაიქცევა. შესაძლოა კიდევაც [illegible] და ისიც შესაძლოა შვილებიც გაუჩნდეთ. ცოლ-ქმარი ლანტიები [illegible] მანქანას, პატარა, კეთილმოწყობილ ფერმას, ტელევიზორს თუ ასეთ სიკეთეს მიაღწევენ. ესეც დიდი იქნება. რა საშინელებაა ყოველივე ქილ ლანტიე, მუდამ თავზე ხელაღებული ქილ ლანტიე, რომელსაც სწყურია მთელი მსოფლიოს შემოვლა, მუდამ მგზნებარე და ბობოქარი ქილი თავის ცხოვრებას სადაცაა, დილუპავს მეპატრონისა და საყვარლის წყალობით და შემდეგ ოთაეე დაუწყებს კიცხვას... არა, მას არც კიცხვა სურს, არც შენდობა, არც ის, ჩარჩოში მოაქცეონ, როგორიც არ უნდა იყოს ეს ჩარჩო — გინდ მისი ხელობისა და გინდ გრძნობებისა. მას სურს იყოს უწინდელივით მარტო და თავისუფალი, დიან, თავისუფალი, როგორც ახალგაზრდა ხვადი. ბოთლს მალიმალ იყუდებდა, იხსენებდა, რამდენი შეუერაცხყოფა მიაყენეს და თანდათან უფრო ბრაზდებოდა. მაშ ასე, არა! მაგათ ჰგონიათ, ქილ ლანტიე ზის ახლა და ხელახლა ასწორებს თავის წერილს, ვითომ უსადილოდ დატოვებული ოროსანი მოსწავლე იყოს? მაგათ ჰგონიათ, იგი მორჩილად დაუბრუნდება შინ ოაეის ერთგულ, კეთილშობილ საყვარელს?! ნურას უკაცრავად, ქილი აჩვენებს მათ სეირს! მან ლაბადა ჩაიცვა და წავიდა. ნათურებიც ანთებული დატოვა. მრიცხველის მიერ აღნიშნული თანხა ამ ყბადაღებულმა მკითხველმა გადაიხადოს.

შუადღე იყო, ვიღაცის უცხო, უფრო სწორად, კარგად ნაცნობ საწოლში რომ გამოელვიძა — საპაემანო სახლში. მის გვერდით სქელი, შავთმიანი ტურფა ხვრინავდა. ქილს ბუნდოვნად გაახსენდა ღამის სამიკიტნოები მონმარტზე, რაღაც ჩხუბი, პოლიციელების სიფათები, — მადლობა ღმერთს, სისულელეები სენის მარჯვენა სანაპიროზე ჩაიდინა. თავიც ეი არ სტკიოდა, მხოლოდ საოცრად სწყუროდა. წამოდგა და წყალს დაეწაფა — სვამდა და სვამდა პირდაპირ ონკანიდან — ეს ემალის ბაკანი დიდად ამშვენებდა ამ ოთახს. შემდეგ ფანჯარასთან მივიდა, ეს ფანჯარა უცნობ პატარა ქუჩაში გადიოდა და უნებლიეთ ამოიკვნესა. ნეტა მაინც რა ჩაიდინა? მძინარე ტურფა შეანჯღრია, მან რაღაც ჩაიბურღღუნა, და თვალი რომ გაახილა, [illegible] გაანცვიფრებით მიაჩერდა ქილს, როგორც ის უყურებდა. საოცრად საზიზღარი გოგო იყო მართლა!

— მაშასადამე, შენ იყავი?... — წარმოთქვა ტურფამ, — ჰო, რა გახეთქილი მთვრალი ბრძანდებოდი.

— სადა ვართ?

— ბულვარების გვერდით. შენ ჩემი ხეთი ტეიცინა გძართებს, ბიჭუნავ.

— რა ჩავიდინე?

— არ ვიცი, ჩემთან ექვს საათზე მოხვედი. ლოგინში დაგაწვინე, ეს იყო და ეს! ადრე რა შეგემთხვა, არ ვიცი.

ქილმა სასწრაფოდ ჩაიცვა, ფული საწოლზე დაუდო და კარისაკენ გაეშურა.

— ნახვამდის, ბიბაჩემო, — ძიძახა ქალმა.

— ნახვამდის.

ჩახჩახა მზე ანათებდა. ქილი ბულვარზე გამოვიდა. ნატალი! სად არის ახლა ნატალი? იქნებ სააგენტოშია? არა, ალბათ მეზობლად საუზმობს სადმე, როგორც ყოველთვის. ტაქსში ჩაჯდა. თავი გამოცარიელებული ჰქონდა. რადაც არ უნდა დაუჯდეს. ნატალი უნდა ნახოს. ეს არის მთავარი. მაგრამ სააგენტო დაკეტილი იყო. მახლობელ რესტორანში ნატალი [illegible] შეეშინდა. ტაქსი არ გაუშვა და სახლისკენ გაეშურა. მან უხმაუროდ [illegible] შესასვლელი კარი და იქვე გაქვავდა: ნატალი სავარძელში იჯდა და ძალიან მშვიდი იერი ჰქონდა. ქილს ისეთი შეგრძნება გაუჩნდა, თითქოს მოთეველებულ და საოცრად სულელურ სცენას უყურებდა: როგორ ბრუნდება გარყვნილი ქმარი მთელი ღამის ქეიფის შემდეგ.

— ბლომად დავლიე და დავთვერი, — უთხრა ქილმა.

ნატალის პასუხი არ გაუცია. ქილმა შეამჩნია, რომ ნატალის უპეები ჩაშავებოდა. რამდენი წლის იქნება ნეტა? შავი კაბა ეცვა, ქილის ნაჩუქარი გულსაბნევი ეკეთა, — როგორც ჩანს, არ დაწოლილა, მთელი ღამე ასე გაატარა სავარძელში.

— სააგენტოში შევიარე, — განაგრძო ქილმა. — იქ არ დამხვდი. მე... მე ძალიან ვწუხვარ, ნატალი, შეგეშინდა?

ქილი სისულელეებს მიედ-მოედებოდა. ან რა ჰქონდა სათქმელი? მაგრამ გულზე აი მოეშვა. ახლალა მიხვდა, ვიდრე ტაქსით მოდიოდა, სულ შიში ჰქონდა, — ვაითუ არ დახვდეს ნატალი, მაგრამ აი, ის აქ არის და თითქოს იღიმება კიდეც.

— შემეშინდა? — შეუბრუნა კითხვა ნატალიმ. — რისა უნდა შემშინებოდა?

ქილი რომ მიუახლოვდა, ნატალი მაშინვე წამოდგა, უცნაური ცნობისმოყვარეობით ჩახედა, ორი მაგარი სილა გააწნა და სამზარეულოსაკენ წავიდა.

— ახლავე ყავას მოვხარშავ, — თქვა ნატალიმ მშვიდად.

ქილი არ იძვროდა. იგი არაფერს განიცდიდა, მხოლოდ ლოყები ეწვოდა: ნატალის მაგარი ხელი ჰქონია. ცოტა ხნის შემდეგ სამზარეულოში შეიძურწა და კარის ძგიდეს მიეყრდნო. ნატალი გულისყურით ადევნებდა თვალს, როგორ დუღდებოდა წყალი.

— გარნიე ჩემთან იყო დილის სამ საათამდე, — ისევ დინჯად წამოიწყო ნატალიმ. — დარეკა რედაქციაში, შემდეგ კლუბში. შენ იქ არ აღმოჩნდი. ქანსაც დაურეკა, მან გვითხრა, საკვირველი აქ არაფერიაო, ქილისთვის ეს ჩვეულებრივი ამბავიაო. ეტყობა, ამ ამბავმა ძალიან გაართო. ამან დაგვამშვიდა.

ნატალი მომაკვდინებელი დაცინვით ლაპარაკობდა.

— რადგან ქანმა არ იცოდა, რომ მე მეორე ტელეფონით ვუსმენდი, [illegible] კი უთხრა გარნიეს ჩემზე, ურჩიე, ასეთ რამეებს შეეჩვიოსო.

— გაჩერდი. — უთხრა ქილმა.

— მე ვცდილობ ორ წუთში მოგიყვე ის, რასაც მთელი თორმეტი საათი მოვანდომე. მგონი, ბოროტად არ ვიყენებ შენს დროს.

— ყველას შეუძლია ერთი ორჯერ დათვრეს.

— და „ყველას“ შეუძლია ტელეფონზე დარეკოს და თქვას: „მე ვლოთობ, მშვიდად დაიძინე“. მაგრამ, ჩემი აზრით, ეს მთელ სიამოვნებას ჩაგიშხამავდა.

„მართალიც არის, — გაიფიქრა ქილმა, — სწორედ ჩემს დანაშაულზე ფიქრმა გამაკეთებინა ყველაფერი“.

— აი, ყავა, — უთხრა ნატალიმ, — ხომ მიიღე ყველაფერი, რაც გინდოდა: მთელი ღამე უაზროდ იქეიფე, საყვარელმა სცენა მოგიწყო, ორი სილა გაგაწნა და ერთი ფინჯანი ყავაც მოგართვა. მართალია? გეგმა ხომ შესრულდა? შესანიშნავია. მე საგენტოში მივდივარ.

მან პალტო გზადაგზა ჩაიცვა და გავიდა. სახტად დარჩენილი ქილი მთელი ერთი წუთი გაოგნებული იდგა. შემდეგ ყავა დალია, გაზეთი გაშალა, მაგრამ არ წაუკითხავს. გამოდის, ნატალი ვერც დაეჭვიანა და ვერც განარისხა. ჯერ შეეშინდა, მერე კი ზიზღი იგრძნო. ეს არის და ეს. ტელეფონმა დარეკა. ქილი მაშინვე ეცა ყურმილს. იქნებ ნატალი ინანიებს, ასე სასტიკად რომ მოექცა?

— რაო, ბებერო, — გაისმა ქანის ხმა, — ისევ დაიწყე სისულელეები?

— ჰო, — მიუგო ქილმა.

— მარტო ხარ?

— კი.

ქანის ხმა თანამზრახველის მხიარულ შეწყნარებას გამოხატავდა. მაგრამ ქილს გუნებაში რაღაც უშლიდა ხელს იმ მოლიპულ გზაზე დაცურებულიყო, სადაც ქანი უბიძგებდა.

— როგორ ჩაიარა დაბრუნების სცენამ, მოგხვდა?

— ორი სილა, — უპასუხა ქილმა და, როცა ყურმილში ქანის ხარხარი გაისმა, ქილი მაშინვე მიხვდა, რომ მაინც დაცურდა.

თავი VIII

ახლა ქილმა იცოდა, რომ მასა და ნატალის შორის რაღაც ბზარი გაჩნდა, თუმცა რა იყო ამის მიზეზი, ვერ გაერკვია. იქნებ ის იყო, რომ ამაოდ ელოდა ნატალის მხრიდან ისეთსავე უზნეო და უხამს საქციელს, ორთავეს რომ გაათანასწორებდა. ნუთუ იმ ღამის ლოთობამ — უკიდურესობამდე მისული ადამიანის ჩვეულებრივმა უსაქციელობამ გამოავლინა ორთავეს შინაგანი ბუნება და ნათელჰყო, რომ ნატალი მასზე მაღლა დგას? ან იქნებ ეს განხეთქილება გრდუვალი საზღაური იყო ექვსი თვის განუშორებელი ცხოვრებისათვის. გაწა ნატალი მართლა მასზე უკეთესია? ხომ ხდება, ერთი მეორეს სჯობს ხორციელი სიახლოვისას, ესე იგი, ისეთი დამოკიდებულების დროს, სადაც მნიშვნელობა აქვს არა ზნეობრივ თვისებებს, არამედ გრძნობას? და მაინც, ასეა თუ ის, ამ ბოლო დროს ნატალი იშვიათად ილიმებოდა, გახდა ეიდეეაც. ხშირად მათი წმინდა ფიზიკური სიახლოვე რაღაც შმაგი, ბორგნეული იყო, თითქოს თითოეული იმას ცდილობდა, ჭარბად დაეცხრო მეორის ვნება და ამით დაემორჩილებინა იგი. თითქოს თვით სიამოვნებაც აღარ იყო ის დიდებული საჩუქარი, როგორც ადრე, ახლა თითქოს ერთმანეთისთვის რაღაცის დამტკიცება უნდოდათ. მაგრამ რის დამტკიცება შეეძლო ვნებიან კვნესას, გმინვას და თრთოლვას? რის დამტკიცება შეეძლო ამ ორი უსუსური არსების ალერსს, ერთმანეთისკენ რომ ასე ილტვოდნენ? რას ნიშნავდა ეს ყოველივე ზოგჯერ ნატალის გამოხედვასთან შედარებით? ან ქილის ისეთ მზერასთან, თითქოს ფიქ-

რით სხვაგან რომ იყო? ისინი ველარაფერს უშველიდნენ ამ ამბავს. მათ უკვე აღარაფერი ძალუძდათ. იყო მხოლოდ ხორციელი ლტოლვა, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. მათ სიახლოვეს მხოლოდ ტკბობა მოქმონდა. სხვა არაფერი. ქილი არასოდეს ყოფილა ვნებით ასე შეპყრობილი და ასე ცოტა სიხარული არასოდეს მოუტანია მისთვის ვნებას.

დადგა დღე, როცა ნატალი ლიმოჟში უნდა გამგზავრებულიყო. დეიდა მატილდა, რომელიც ყოველ თვე ასი ათასს უგზავნიდა, სიკვდილის პირას მიმდგარიყო და დისწულს უხმობდა. გადაწყვიტეს, ნატალი იქ დარჩენილიყო ერთი კვირა, პიერთან დაბინავდებოდა და რაც შეიძლება ჩქარა დაბრუნდებოდა. სადგურზე ქილმა წაიყვანა — აუსტერლიცის სადგურზე, რომელიც მოწმე იყო, ამ რვა თვის წინ რა გაუბედურებული გაემგზავრა ქილი. მოწმე იყო, როგორ ჩამობრუნდა უკან და ჯერ არ იცოდა, უყვარდა თუ არა ნატალი, მოწმე იყო იმისაც, კვლავ რომ გაემგზავრა უკვე შეყვარებული და იქიდან ნატალიზე მტკიცედ მიჯაჭვული დაბრუნდა. მან ახლა სათითაოდ გაიხსენა ეს გამგზავრება-გამომგზავრება და თვითონაც არ იცოდა, ახლა რომელ ქილად ყოფნა ერჩია. არა, იცოდა — ისევ ის შეყვარებული ქილი ერჩია ყოფილიყო, მაისში რომ ვაგონის ფანჯრებიდან გასცქეროდა ლუარას დინებას, გარეუბნებს, ღრუბელთა სრბოლას, როცა იცოდა, ნატალი რომ უყვარდა. მაგრამ ის კი არ იცოდა, რა მოელოდა, ის ქილი ვისთვისაც ღამე მგზავრობის საათები აღსავსე იყო მოულოდნელი ნეტარი განცდებით, და ბოლოს ყველაზე დიდი ნეტარებით, როცა ბაქანზე ნატალი დახვდა, წვეულებიდან გამოპარული ნატალი. როგორ გამოიქცა მაშინ ნატალი მის შესახვედრად! ქილს მოსწონდა მათი სიყვარულის ამბავი, თუმცა შიგადაშიგ არ მოსწონდა მათი ერთად ცხოვრება. მას მოსწონდა სასოწარკვეთილების მიჯნაზე მდგარი ის გამხდარი, ნაღვლიანი, გაწამებული ყმაწვილი. როგორიც მაშინ იყო, ის ვნებიანი, დამთხვეული, კარგად გაზრდილი ქალი, ზომა რომ არაფერში იცოდა. ქალი, რომელსაც უცაბედად შეუყვარდა იგი. ოჰ, ლიმუზენის მდელოები და მზით გამთბარი ბალახი, გამჭვირვალე მდინარის ფსკერი, მის კეფაზე შემოდებული ნატალის ხელისგული, ის ბნელი სენაკი, სადაც ისინი პირველად შეერთდნენ, დუქნის მეპატრონის მზერა, ჩახუთული ოთახი გავარვარებული სახურავის ქვეშ, ფლორანის კოკტეილი!.. მაგრამ ახლა რატომ დაბორიალობენ ბაქანზე გზააბნეული ძალლებივით? რატომ გახდა საძებარი ერთმანეთისა. ის სათქმელი სიტყვა? რაში სჭირდებათ წამდაუწუმ შემოწმება თავიანთი ს: თებისა სადგურის საათთან და სულელური ილუსტრირებული ჟურნალების ყიდვა? რა მოხდა? ქილმა ნატალის გამოკვეთილ პროფილს შეხედა, გაიხსენა როგორ ცხოვრობდნენ პარიზში ეს უკანასკნელი სამი თვე, და ვერაფრით ვერ გაერკვია, რა იყო მის თავს. სულაც არ უნდოდა ნატალი სადმე წასულიყო, მაგრამ გზაში, თუნდაც ორლეანთან, რაღაც სასწაული რომ მომხდარიყო და ნატალი უკან დაბრუნებულიყო, ქილი გაცოფდებოდა. იმ დღეს ქილი ქანისთან და თავის მეგობრებთან აპირებდა ვახშმობას დიდ სიამოვნებას ეს არ უქადდა, ყოველ შემთხვევაში, ამ ქალზე უფრო ძალუმად არაფერი იზიდავდა, მაგრამ მაინც უნდოდა ნატალი გამგზავრებულიყო, მატარებელი რაც შეიძლება მალე გასულიყო. არა, ნამდვილად გაგიჟდა! ნამდვილად ვიღაც საცოდავი გიჟი ჩაბუდებულა მის არსებაში, რომლისთვისაც ყველაზე ძვირფასია საკუთარი თავისუფლება, უვარგისი, უმაქნისი თავისუფლება.

იგი დაემშვიდობა ნატალის ხანგრძლივი კოცნით, თვალით გააცილა, რიგორ გაიარა ვაგონის დერეფანი. ქილის წინ გადაშლილიყო ვეებერთელა ქალაქი, მთვარის ზედაპირის სურათივით სულ დაბზარული, — და მშრალი, გაჩახჩახებული, სწორედ ქილისთვის ზედგამოჭრილი ქალაქი. ტყუილად როდი ეუბნებოდა ნატალი, ჩინებულადა ხარ შეგუებული ამ დროებასო. „არსებითად შენ მხოლოდ ეს გიყვარს, — ეუბნებოდა იგი, — შენ [illegible] გძულს სიგიჟე, უგუნურება, ჩვენს საუკუნეს რომ სჩვევია, მისი სიყალბე და ძალმომრეობა, მაგრამ სწორედ ისევე გრძნობ თავს ჩვენს საუკუნეში, როგორც თევზი წყალში, მშვენივრად დაცურავ ამ გარემოში, ოღონდ დიხების საწინააღმდეგოდ. მაგრამ ძალიან მარჯვედ კი. შენ თიშავ შენს სახლში ტელევიზორს, თიშავ რადიოს მხოლოდ იმიტომ, რომ მოგწონს მათი გამოთიშვა. აი, ამით გამოირჩევი შენ".

„შენ? — ეკითხებოდა ქილი, — შენ რომელ საუკუნეში ინატრებდი ცხოვრებას?"

„მე? იმ საუკუნეში, რომელიც ალტაცებას გამოიწვევდა". პასუხობდა ნატალი.

ალტაცებას?.. ქალი არ უნდა ამბობდეს ასეთ რამეს, იგი ალტაცებული უნდა იყოს მხოლოდ იმ მამაკაცით, გვერდით რომ ჰყავს, და მაშინ ალარ ექნება ბავშვური სევდა აუხდენელზე.

ცოტა ხნის შემდეგ იგი შეუერთდა თავის მეგობრებს და მათაც საზეიმო შეხვედრა მოუწყვეს — რა თქმა უნდა, საკმაოდ მოკრძალებული, მაგრამ მაინც საზეიმო შეხვედრა. ამხანაგები რომ უწყობენ იმ მეგობარს, რომელმაც თავისუფლება დაიბრუნა. „აჰა! აი, ქილიც!" — წამოიყვირა ვიღაცამ და ყველამ ერთხმად გაიცინა, როცა ქილმა ხუმრობით თავი დახარა და გულზე ხელი მიიდო. რა თქმა უნდა, ისინი არასოდეს იტყოდნენ ასეთივე კილოზე: „აჰა! აი, ქილი და ნატალი!" მაგრამ ამის გულისთვის არ ღირდა მათზე გაბრაზება. გართობა-სიამოვნების მაძიებელ ხალხში ჩვევას დიდი ძალა აქვს, ქილი კი ძალიან დიდხანს, უკვე თხუთმეტი წელია მარტოხელა კაცის როლს თამაშობდა. მართალია, ამ მარტოხელას ყოველთვის ვიღაც ქალი ახლდა, რა თქმა უნდა ისეთი ქალი, ვისაც სულ ადვილად მიატოვებდა იქვე, კლუბში, ვისსამე მაგიდასთან ან მეგობართა წრეში — ერთი სიტყვით ისეთი ქალი, როგორიც ელოიზა იყო, ყველას რომ იცნობდა, და ქილს შეეძლო დაუფიქრებლად მიეტოვებინა იმ იმედით, მის მაგიდას უეჭველად სხვა ნაცნობი კაცი ან ქალი მიუჯდებოდა. მაგრამ აი, მის ცხოვრებაში შემოიჭრა ნატალი. ნატალი, რომელმაც ამ წუთს ალბათ უკვე ორლეანს ჩაუარა.

ქილმა საღამო ბალზე მშვიდად გაატარა, ცოტა დალია და პირველ საათზე უკვე შინ იყო. მას ჩაწერილი ჰქონდა პიერის ტელეფონის ნომერი და მისკენ ისევ დარეკა. ტელეფონთან მაშინვე ნატალი მოვიდა. ქილმა ალერსიანად მოახსენა, რომ შინაა და მოცარტის მუსიკას უსმენს, რომ უიმისოდ ლოგინი მეტისმეტად დიდი ეჩვენება. წათამამებულმა, რომ ასე სანიმუშოდ მოიქცა, ბუნებრივია, ცოტათი შეალამაზა კიდეც თავისი საქციელი.

— ალარ და ალარ გათავდა ეს გზა, — უთხრა ნატალიმ, — არ მიყვარს მგზავრობა. როგორა ხარ? კარგად?

მისი ხმა ცუდად ისმოდა, თითქოს შორეთიდან იმარცვლებოდა. ქილს ლაპარაკი უჭირდა, სიტყვებს ეძებდა. სისულელეები რომ ჩაედინა, მაშინ სი-

ტყვების ძებნა არ დასჭირდებოდა, სალაპარაკო ექნებოდა, რადგან აუცილებლობა სიცრუისა გამომგონებლობის ნიჭს აღვიძებს, წარმოსახვას ფრთას ასხამს.

— ახლა დავწვები, — განუცხადა ჟილმა, — ხვალ ბევრი სამუშაო მაქვს. შენზე ვფიქრობ — ხომ იცი.

— მეც. ძილი ნებისა. ძვირფასო.

ნატალიმ ყურმილი დაკიდა.

ისინი ისე საუბრობდნენ, თითქოს ათი წლის ცოლ-ქმარი ყოფილიყვნენ. ჟილმა მთქნარებ-მთქნარებით შეიხსნა ჰალსტუხი, სარკეში ჩაიხედა. ახლა იგი არხეინად გაიშხლართება საწოლში, გულისყურით მოუსმენს კარგ მუსიკას — ღამეა და ეს ადვილი საქმეა (ჟილმა რომ უთხრა, მოცარტს ვუსმენო, ცოტა ნაადრევი მოუვიდა), შემდეგ კი ბავშვივით ჩაიძინებს. ხვალ ჩიტივით იქნება, ქანცგაწყვეტამდე იმუშავებს, და თავისი მშვენიერი სატრფოს დაბრუნებას დაელოდება. მაგრამ სარკეში თავის სახეს რომ უმზერდა, ის ჟილი იღიმებოდა, — დიახ, ის ჟილი ნამდვილად იღიმებოდა. მან ხელი დასტაცა ქუთუკს და სახლიდან გავიდა, კარი მოიჯახუნა.

— ჩვენ ასეც ვფიქრობდით!..

იგი კვლავ კლუბში აღმოჩნდა. ჟანი იცინოდა; ჟილი საოცარ სითბოს გრძნობდა თავის ერთგულ თუ ვითომ ერთგულ, მაგრამ მაინც მხიარულ მეგობართა შორის, რომლებიც ყველაფერზე მოაწერდნენ ხელს და რომლებიც სამუდამოდ მიატოვა ქალის გულისათვის. ეს კი სულაც არ იყო მოსაწონი ჟილის მხრივ: სულიერი წონასწორობა ამ ადამიანებს მყარი როდი ჰქონდათ, მათ დიახაც, ხშირად არ უნდა გაეცდინათ მეცადინეობა საღამოს სკოლაში — ეს მათ განმუხტავდა. ჟილი ჟანისკენ დაიხარა:

— სიმართლე გითხრა, შინ დარჩენა მინდოდა. მაგრამ ვიგრძენი, ვერ მოვისვენებდი, არ მიყვარს მარტო ძილი.

— ალბათ ამ საქმის მოგვარება არ უნდა იყოს ძნელი, — უთხრა ჟანის მეგობარმა ქალმა.

რა ვულგარული იყო ეს ქალი ამ საღამოს!..ჟილს იგი ყოველთვის უტვინოდ მიაჩნდა, მაგრამ ასეთი ტუტრუცანა არასოდეს მოსჩვენებია. ჟანს წარბიც არ შეურხევია, და ჟილმა გაიფიქრა, ვინ იცის, მისმა მეგობარმა რაღა არ ჩაიჭედა თავში. ალბათ ფიქრობს, რომ ნატალიმ ჩაუბეჭდა ტვინში კარგისა და ცუდი ქცევის გარჩევა, რაიც საოცრად დამქანცველია.

— რა თქმა უნდა, როცა ამქვეყნად არსებობს ნორჩი კატრინი, — უპასუხა ჟილმა.

კატრინი ცუგრუმელა ქერათმიანი გოგო იყო. იგი კარგა ხანია აგრძნობინებდა ჟილს, მომწონხარო. კატრინმა სწორედ იმ დროს ჩაიარა.

— მაგასთან არ გირჩევ, უთხრა ჟანმა, — კაჭკაჭივით ენაჭარტალაა, ნატალი ყველაფერს შეიტყობს.

ჟანი ისე ელაპარაკება, თითქოს სახლიდან გამოქცეული მოწაფე იყოს. ვერც გაიგებ, რა აქვს გუნებაში: ნატალის უნდა აცდინოს უსიამოვნება, თუ ხაზი გაუსვას იმას, რომ ჟილი ნატალიზეა დამოკიდებული.

— მე საკმაოდ მოზრდილი გახლავარ, — უპასუხა ჟილმა გაურკვეველად, — ყოველ შემთხვევაში, ვიღაც კატრინის გულისათვის არაფერი შეიცვლება ჩემსა და ნატალის დამოკიდებულებაში.

— ამაში არც მაინცდამაინც ვარ დარწმუნებული, — დიხჯად მიუგო ქანმა, — შენი ნატალი თავისებური ქალია.

ქანის სახეზე გრძნობიერი ღიმილი ათამაშდა. ქილმა მკაცრად შეხედა, მაგრამ როგორც ყოველი ულმობელი მზერა, ესეც არაფრის მთქმელი აღმოჩნდა. მხოლოდ შემთხვევით მზერას შეუძლია დაიჭიროს რაღაც. ქილს საბოლოოდ გაუფუჭდა გუნება. როცა ნატალი მის გვერდით იყო, თავს ბაფანგში გაბმულივით გრძნობდა, ახლა კი, როცა გვერდით არა ჰყავს, ეიდენ ეარესად გრძნობს თავს. ალბათ სწორედ ამას ჰქვია „წაიხდინო საკუთარი ცხოვრება". მეგობრების გამოხედვით თუ საუბრით ქილი გრძნობდა, რომ მას „მარტოობით გამწარებულ უბედურ შეყვარებულად" თვლიან, ან „საცოდავ არსებად, რომელსაც საყვარელმა ქალმა ლაგამი ამოსდო და რომელსაც განმუხტვა სჭირდება" (არც ერთი ეს როლი მისთვის არ იყო განკუთვნილი). მთელი საღამო ასე რომ იჯდეს მაგიდასთან, ყველას დალონებული მოეჩვენება: უეცრად რომ ეცეს „ნორჩ კატრინს", აქ, კლუბში, ეს ნატალისთვისაც დამამცირებელი იქნება და მისთვისაც. მან ამოიოხრა და ანგარიში მოითხოვა. ცხოვრების კიდევ ერთი საათი ჩაიშხამა.

თავი 11

თუმცა ერთი საათი რა სათქმელია. ეს საბოლოოდ ირწმუნა მეორე დილით, როგორც კი გამოეღვიძა და ნატალის დაურეკა.

— გუშინ დამავიწყდა შემეხსენებინა, რომ ქიმწმენდიდან შენი ღურჯი კოსტუმი გამოგეტანა, იგი უკვე მზად არის, — უთხრა ნატალიმ, — მეორედ დაგირეკე. მაგრამ შენ ტელეფონთან არ მოხვედი.

რა თქმა უნდა, არ მოვიდა: მისი ჭკვიანი ბიჭი ხომ მაშინვე გაშპა სახლიდან, როგორც კი ყურმილი დაკიდა, თუმცა ტყუილად კი გაშპა. მაგრამ განა ნატალი ამას დაუჯერებს? სიმართლემ და სიცრუემ პირი შეკრეს ახლა მის წინააღმდეგ. იგი ხომ ნამდვილად აპირებდა შინ დარჩენას, როცა ნატალის ელაპარაკებოდა.

— მე იმწუთშივე მივხვდი, რომ მეგობრების ნახვა მოგიხდა, — ჩაესმა შორიდან ნატალის ხმა, — მაგრამ რაში დაგჭირდა ამ სცენის გათამაშება? ნუთუ მე შენთვის ზედმეტი ტვირთი ვარ? რა საჭირო იყო ლაპარაკი ჩვენს სახლზე, განიერ საწოლზე, მუსიკაზე? რა საჭირო იყო, ქილ?

— ნამდვილად მიხდოდა შინ დარჩენა, როცა გირეკავდი, — მიუგო ქილმა, — მერე კი უცებედად გადავწყვიტე კლუბში წავსულიყავი.

— ეს ერთ წუთში, არა?

ქილის სიტყვები ყალბად ეღერდა — სიმართლე ძალიან ხშირად ეღერს ხოლმე ყალბად. ქილი აქ ვერაფერს გააწყობდა. მაგრამ მაინც გახაგრძო ახსნა-განმარტება:

— კლუბში ქანთან ერთად დავლიე და ერთ საათში ისევ შინ ვიყავი.

„თუმცა შენი გულისთვის მშვენიერ კატრინს არ გავეკარე, წმინდანივით მოვიქეცი. მაინც გული გატკინე და იმასაც ფიქრობ, რომ ტყუილს გეუბნები". ეს რა დღეში ჩავარდა! ქილს ბრაზი მოერია, მაგრამ ნატალისიც კარგად ესმოდა. ასე სინდისიერად მოიქცა და მაინც ტყუილში გამოიჭირეს.

— მთავარი ის კი არ არის, რა გააკეთე და რა არა; მთავარია, რომ ის თქვი, რისი თქმაც სავალდებულოდ მიგაჩნდა.

ქილმა ამოიოხრა, სიგარეტი გააბოლა, თმაზე ხელი გადაიკვა.

— შემდეგ აგიხსნი ყველაფერს, — უთხრა მან, — დედა როგორ არის?

— ძალიან ცუდად. არა მგონია ორ დღეს კიდევ გასტანოს. სწორედ ახლა მივდიოვართ მასთან მე და პიერი.

მართლა, ის ხომ პიერთან ცხოვრობს, ალბათ პიერიც [illegible] მოწმე. მისმა დამ როგორ აიღო ყურმილი, როგორ უპასუხა ალერსიანი ხმით და შემდეგ როგორ წამოიძახა: „უი, ქიმწმენდა!“ — დარეკა ისევ, მაგრამ პასუხი ვერ მიიღო და ძმას მიაპყრო საოცრად მშვიდი მზერა. ჩვენ ხშირად ახლობლების მეოხებით უფრო დიდ ტკივილს ვაყენებთ ერთმანეთს, ვიდრე უშუალოდ. მაშინ იძულებული ხარ იცრუო სიამაყის გამო, რაღაც გამოიგონო, ითვალთმაქცო, ვითომ დაგავიწყდა, რომ ტელეფონი იქვეა, გვერდით. ნატალი რომ მარტო ყოფილიყო, იქნებ ყოველ ნახევარ საათში დაერეკა და გააგონებდა კიდეც. ვაი, რომ საბოლოო ჯამში ეს ცხოვრება ფრიად სულელურადაა მოწყობილი!

— ნატალი, — უთხრა მან, — ძე შენ მიყვარხარ.

— მეც, — მიუგო ნატალიმ, მაგრამ მისი ხმა უხალისოდ გაისმა: უფრო სწორად, იგრძნობოდა, რომ იგი მოთრჩილად აღიარებდა უდავო ფაქტს. და მან ყურმილი დაკიდა.

ერთი კვირის შემდეგ ქილი ყველაფერს აუხსნის, გულში ჩაიკრავს, მაგრად მიიხუტებს ნატალის თბილ სხეულს, და ეს თბილი სხეული გახდება მათი დამაკავშირებელი ხიდი, ვიდრე მისი ჯიუტად მოღუშული სახე და ის უაზრო, მუმუნავარე ფრაზები, ტელეფონში რომ ამბობდა. სხვები რაში ეკითხება? (მან არ იცოდა, უშუალოდ ვის გულისხმობდა, ვინ იყვნენ ეს „სხვები“ — უბრალოდ გონებით წარმოიდგინა პარიზელთა ღვარძლიანი ხუზუნი) — ქილი აჩვენებს იმათ სეირს. უფრო სწორად არაფერსაც არ აჩვენებს. ჯერ ერთი, ისინი მთელი კვირა ვერ ნახავენ ქილ ლანტიეს, შემდეგ კი, როცა ნატალი დაბრუნდება, ველარც ერთს ველარ იხილავენ. ისინი ან სახლში ისხდებიან, ან თეატრში ივლიან, რაკი ნატალის უყვარს თეატრი, ან კონცერტებზე წავლენ, რაკი ნატალის უყვარს მუსიკა. რა თქმა უნდა, პირადად ქილს ურჩევნია ხალიჩაზე წამოწოლილმა მოისმინოს კარგი ფირფიტა, მაგრამ რადგან ასეა საჭირო, ასე უნდა გაკეთდეს — ამიერიდან იგი ისე მოიქცევა, როგორც ნატალის ესიამოვნება. ამ ფიქრებით წასამაბებული ქილი ღიღინ-ღიღინით წამოდგა, რედაქციაში დროზე ადრე მივიდა და მთელი დღე გულმოდგინედ იმუშავა. თვითონაც სახტად დარჩა, როდესაც დღის სამი საათისათვის ისევ კლუბში აღმოჩნდა და ვიღაც ინგლისელ ჟურნალისტთან ერთად ამერიკის სეგრეგაციის საკითხს არჩევდა.

ათი დღის შემდეგ კი, საღამოს თერთმეტ საათზე ნატალი ჩამოვიდა და ქილი ორივეს საყვარელ სამხრეთ-დასავლეთის სადგურზე დახვდა. ბაქანზე პროვინციელი მხიარული ქალები ამოდიოდნენ, ნატალისავით ეცვათ: მოდასთან შედარებით ცოტა უფრო გრძელი ქვედატანები, თავზე აბრეშუმის თავშლები, ხელში ჩემოდნები. ამაყი თავდაჭერილობისა და სილამაზის გარდა ნატალი არაფრით განსხვავდებოდა სხვებისაგან. ქილს ჰყოლია საყვარლები, რომელთა ძაღლებს ყვავილების თაიგულებივით ატარებდნენ მათი მსახურე-

ბი. მაშინ ქილს ეს დიდ საოცრებად არ მიაჩნდა. მაგრამ ახლა, ამ რუხ და მოწყენილ სადგურზე (სადაც წვიმდა), ქილს საოცრად უნდოდა ნატალი ყოფილიყო უეცარი, განუხორციელებელი ოცნება, აალებული ცეცხლი. ქილმა მაგრად ჩაიკრა გულში, აკოცა. ნატალის უპეები ჩაშავებოდა, ... ლმერთო, რა სულელია!

— ოჰ, ეს შენა ხარ! — უთხრა ნატალიმ და ქილის მკერდს ... ლი გაირინდა.

მათ ყურადღებას აქცევდნენ და ქილს, ცოტა არ იყოს, ეუხერხულა: ბოლოს და ბოლოს თორმეტი წლისა ხომ არ არიან, რომ ასე აშკარად გამოამჟღავნონ თავიანთი გრძნობები. ქილმა გახუმრება სცადა:

— შენი აზრით, ვინ უნდა ყოფილიყო?

— შენ, — მიუგო ნატალიმ,—მხოლოდ და მხოლოდ შენ.

ნატალიმ თავი ასწია, ქილი დააკვირდა და მოეჩვენა, რომ ნატალის სახე ოდნავ შეშუპებოდა, საკმაოდ დაუდევრად შეღებილა კიდეც. ეს შემოწმება ქილის აზრით ისევე ბუნებრივი იყო, როგორც ნატალის დაბრუნება მასთან. იგი სადგურზე დახვდა საყვარელს, თითქმის ცოლს, და მას ისევე ათვალიერებს, როგორც ძველი საყვარლები ათვალიერებენ ერთმანეთს, — ეს არის და ეს. ქილმა ხელკავი გაუკეთა.

— შემწვარი ქათამი ვიყიდე, ვივახშმოთ. დაკრძალვის უმალ გამოემგზავრე?

— ეჰ, რა თქმა უნდა. ხომ იცი, ჩემთვის არც ისე ადვილი იყო ლიმოჟში ყოფნა.

— ქუჩაში ქვებს ხომ არ გესროდნენ?

— არა, — უპასუხა ნატალიმ, — ლიმოჟში იციან, რომ ხორცი უძალია. გაზეთებს ახლა ყველა კითხულობს.

სახლში ნატალიმ დაბნეული მზერა მიმოაცლო არეულ-დარეულ ოთახს, ეს არევ-დარევა ქილმა მოასწრო იმ ორ საათში, ვიდრე სადგურზე გაემგზავრებოდა. მერე სააბაზანოში შეავიდა, ფერ-უმარილი წაისვა. ქილმა კი ამასობაში ბუზღუნ-ბუზღუნით დაჭრა ქათამი. ყავა დალიეს და სასტუმრო ოთახში შეავიდნენ. ქილმა ფრთხილად დაატრიალა ახლახან ნაყიდი ჰაიდნის ფირფიტა.

— აბა, რა არის ახალი პარიზში? — სხვათა შორის თქვა თვალდახუჭულმა ნატალიმ, თითქოს პარიზში არ შეიძლებოდა ახალი რამ მომხდარიყო.

— დიდი არაფერი, — უპასუხა ქილმა. — გაზეთებს თუ კითხულობდი?

— შენ?

ჰკითხა იმავე კილოთი ნატალიმ. ქილმა გაიღიმა.

— არც მე ვკითხულობდი. ბევრს ვმუშაობდი. თანაც უზომოდ ვსეამდი და აი, ეს ფირფიტაც ვიყიდე.

ის კი ალარ უთქვამს, რომ ერთხელ, გამომთვრალმა, სახლამდის მიაცილა კატრინი და მწარე მარცხიც განიცადა. მაგრამ არხეინად იყო, რადგან სწამდა, რომ ეს გოგო კრინტს არ დაძრავდა. არსად გაამხელდა. მისთვისვე სჯობდა. დაემალა ქილის უნებლიე უსუსურობა, ვინაიდან ქილმა უკვე იცოდა ყველა მისი უხიაკობა. ქილმა ხელი გაშალა. ნატალიმ გულში ჩაიკრა მისი ხელი.

— ფრანსუა ნახე?

— კი, ვნახე, განგებ ჩამოვიდა პიერთან ჩემ სანახავად.

— რისთვის?

— დაბრუნებას მირჩევდა. ჩემი აზრით, ძალიან განიცდის.

— პროვინცია გამოიცვალა, — თქვა ქილმა.

ქილი ბრაზობდა, მიზეზი კი თვითონაც არ იცოდა. ყველა ცდილობს წაართვას ეს ქალი, იმას კი არ ფიქრობენ, რომ ნატალის ქილი უყვარს... რომ შესაძლებელია ქილი უყვარდეს... ყველაფერი ნათელია. ქილის ნატალის ცხოვრებაში უბრალო შემთხვევაა და სხვა არაფერი.

— მერე შენ რა უთხარი?

— ვუთხარი, რომ არ დავბრუნდები, რომ შენ მიყვარხარ, რომ ძალიან ვწუხვარ, მაგრამ... პიერიც ამასვე მირჩევდა.

ქილს გულისწყრომა უფრო და უფრო მოერია. ეს ათი დღე, ცხადია, ლაწირაკივით იქცეოდა, ყოველგვარი ბორკილისაგან თავისუფალი კაცივით. და მერე რით დამთავრდა ყოველივე? ორი საათი გაატარა გათახსირებულ გოგონას გვერდით, მთელი ღამეები ემასლაათებოდა ალკოჰოლისაგან გამოთაყვანებულ ჭკუის კოლოფებსა და ყველაფრის მიმართ შემგუებელთ. აი, ამ დროს კი ნატალის გარს ეხვია ნაცნობი, აღელვებული ადამიანები, ერთიანად რომ დაეკარგათ მთელი თავიანთი სიამაყე, — ნატალი ცხოვრობდა, იგი თამაშობდა ანა კარენინას როლს, — მხოლოდ პირიქით. იგი მწვავედ განიცდიდა სინდისის ქენჯნას, განიცდიდა სინანულსაც კი, — ერთი სიტყვით, ადამიანური განცდები ჰქონდა.

— არც ვიცი, რატომ გეუბნები ამაზე. საშინლად დავიღალე. მაშ, შენ კმაყოფილი ხარ შენი სამუშაოთი?

ხომ არ აპირებს ნატალი კარგი ნიშანი დაუწეროს ყოფაქცევაში? ქილი ვერაფრით ვერ მიმხვდარიყო თავისი ეჭვიანობის, გაბოროტების მიზეზს. ნატალი ხომ დაბრუნდა. ყველაფერი მიატოვა მისი გულისთვის. აი, იგი ახლა მასთან არის. მაშ რიღასი ეშინია?

— დაკრძალვაზე ფლორანი და შენი და ვნახე. ოდილია წუხდა, რომ შენი არაფერი იცის, იქნებ წერილი მიგეწერა.

— ხვალ მივწერ, — თქვა ქილმა.

ქილი ცდილობდა როგორმე დაწყნარებულიყო. დაწყნარებულიყო ისე, რომ ხმა აღარ ჩაწყვეტოდა, ხელები აღარ აკანკალებოდა. იგი კიდეც იღიმებოდა.

— დაწექი, დაიძინე, — უთხრა ქილმა, — ძალიან გადაღლილხარ. მე ახლავე მოვალ.

მარტო რომ დარჩა, პირდაპირ ბოთლიდან მოსვა ვისკი. სპირტმა მთელი ყელი ჩაუწვა. ახლა დადგება ალერსის წუთი ამ უზადო, ამ სრულყოფილ ქალთან, რომელსაც მისი სატრფო ჰქვია. ბოლოს და ბოლოს ცხოვრება მოგვარდა. ქილი ახლა იმის თქმასაც მოახერხებს: „იცი, უშენოდ ძალიან გაძიჭირდა“, — და ეს არ იქნება ტყუილი. მაგრამ თითქოს შეაცივაო, ისე კანკალებდა.

თავი X

ნატალიმ სამუდამოდ გაწყვიტა ყველა ძაფი წარსულთან, ბავშვობასთან, მეგობრებთან. ძმამ თავისი რჩევითა და ვედრებით სული შეუწუხა, ქმარმა აი მტკიცედ უთხრა: „ან ახლა დარჩები, ან სამუდამოდ წახვალ“. ნატალიმ

ქილს მოკლედ, ნაწყვეტ-ნაწყვეტ უამბო ეს ყველაფერი და ქილს უხაროდა, რომ ნატალი სიბნელეში ვერ ხედავდა მის ცრემლებს. ლიმუზენში არა კაცი არ ენდობოდა ქილს, მისი საკუთარი დაც კი, რომელსაც ერთხელ მოეკრიბა გამბედაობა, ნატალი გვერდზე გაეხმო და ეკითხა: ბედნიერი ხარ თუ არაო, მაგრამ ისეთი კილოთი კი, თითქოს რაიმე შეუძლებელს ეკითხებოდა.

„მე იქ აღარაფერი მესაქმება", — ამბობდა ნატალი, ქილი კი ახლა ხმირად ფიქობდა: იქნებ მართალნიც არიან ეს ჭკუადამჯდარი ადამიანები, ადამიანები, რომლებიც მტკიცედ დგანან ამ მიწაზე. დრო გადიოდა, აპრილმა უკვე მწვანით შემოსა ხეები. ისინი კი ისევ ისევე ცხოვრობდნენ. ერთ დილას ქილი სახეგაბრწყინებული მივიდა რედაქციაში: წინა საღამოს შესანიშნავი წერილი დაეწერა საბერძნეთზე. ნატალის წაუკითხა, ნატალი აღაფრთოვანა ამ წერილმა, და ქილსაც საოცარი რწმენა მიეცა. მართლაც ფერმონმა აღიარა, წერილი კარგად არისო დაწერილი, და ჟანმაც შეუქო იგი; გარნიემაც კი, რომელიც იმ ღამის შემდეგ, როცა ქილი ასე მოიქცა, მასთან შეხვედრას გაურბოდა, იმანაც კი მიულოცა მეგობარს წარმატება. სტატია დაწერილი იყო მოკლედ, გზნებით და მკაფიოდ; სწორედ ასეთი წერილები უნდა იბეჭდებოდეს ყოველ კვირას, განაცხადა ფერმონმა. ქილი დიდებულ გუნებაზე იყო და დილით, როდესაც გაზეთი დააკაბადონეს, ჟანს სთხოვა, თავის კეთილ ძველ მეგობარ ჟანს, ერთად ესაუზმათ. სუფრასთან გაუთავებლად ლაპარაკობდნენ პოლიტიკაზე, შემდეგ გადაწყვიტეს დღეს მეტი აღარ ემუშავათ და კინოში წასულიყვნენ. ყველა კინოთეატრი შემოიარეს ელისეის მინდვრებზე, მაგრამ ამაოდ: თუ ერთს არ ენახა სურათი, მეორეს უთუოდ ნანახი ჰქონდა.

— ჩემთან არ გეპატიჟები, — უთხრა ჟანმა, — დღეს მარტას სტუმრები ჰყავს. ასეთ ღრობას ვერ გაგიკეთებ.

— სჯობს ჩემთან წავიდეთ, — უპასუხა ქილმა. — ნატალი მხოლოდ შვიდის ნახევარზე დაბრუნდება, შინ უფრო გულდაგულ ვისაუბრებთ საბერძნეთის ამბებზე.

ქილი გრძნობდა, როგორ ნათლად მუშაობდა მისი გონება, როგორ აღიქვამდა ყველაფერს, და უხაროდა, რომ კიდევ ორი საათი შეეძლო გაეზიარებინა თავისი აზრები ჟანისთვის, რომელსაც (ეს ქილმაც კარგად იცოდა) შეეძლო მოსმენაც და შეკამათებაც. ქილმა კარი გააღო, მეგობარს სკამი შესთავაზა და თან კალვადოსი დაუსხა.

— კარგა ხანია აქ არ ვყოფილვარ, — თქვა ჟანმა და მოხერხებულად მოკალათდა.

მის ხმაში საყვედური არ იგრძნობოდა, მაგრამ ქილმა მაინც გაიფიქრა, რომ ის მართალია. ადრე აქ აუარება ხალხი ირეოდა, სკამებიც კი არ ყოფნიდათ. ასე იყო... ნატალიმდე. ქილი მოიღუშა.

— იცი...

— ჰო, ვიცი, ვიცი. მეგობარო, — შეაწყვეტინა ჟანმა. — ვნება ვნებაა. ეს იყო ყველაზე საუცხოო რამ, რაც შეიძლება შეგმთხვეოდა. მით უმეტეს, ვნება ისეთი ქალის მიმართ, როგორიც ნატალია.

ჟანი თითქოს გულწრფელად ლაპარაკობდა.

— ჰოც და არაც, — უთხრა ქილმა და ჟანისკენ დაიხარა. მან იგრძნო, რომ შეეძლო ფსიქოლოგიური ანალიზის, წმინდა, პრუსტისეული ანალიზის გაკე-

თება. როცა გრძნობ, რომ ჭკვიანი ხარ, მაშინ თავს მოღალატედ არ თვლი, — იცი, ნატალი რომ გავიცანი, მე ვიყავი... შენ, რა თქმა უნდა, გახსოვს, როგორიც ვიყავი... თითქოს კანგაშიშვლებული. ღმერთმა უწყის, რატომ, მაგრამ ასე კი იყო. მან მე ბუმბულის ბალიშზე დამსვა, გამათბო, ცხოვრებისაკენ შემომაბრუნა. ეს ნამდვილად ასე იყო. მაგრამ ახლა... ახლა ის ბალიში მახრჩობს, სულს მიხუთავს. აი, როგორაა საქმე. ყველაფერი, რაც მე მისი მიყვარდა, რაც მამხნევებდა —მისი ძლიერება, პირდაპირობა, სრულქმნილობა, — მისსავე წინააღმდეგ შეტრიალდა.

— იმიტომ, რომ თავად ხარ დონდლო და მერყევი, — ალერსიანად შენიშნა ქანმა.

— თუნდაც ეგრე იყოს. იქნებ მთლად ნაძირალაც ვარ, მაგრამ ახლა რას არ მივცემდი, რომ იმის სამსჯავროს წინაშე არ წარვსდგე. რომ ადრინდელივით მარტოხელა ვიყო.

სიზუსტისათვის ქილს ისიც უნდა ეთქვა, რომ მას გაფიქრებაც არ შეუძლია ნატალის გარეშე იცხოვროს. მაგრამ თავისი მარჯვე სტატიით გადიდგულებულმა, სტატიით, რომელმაც საყოველთაო მოწონება დაიმსახურა, თან სიამაყისა და თან ქანის აშკარა თანაგრძნობის გამო თავი შეიკავა და ეს აღარ თქვა.

— იქნებ ჯობდეს, შენ თვითონ უთხრა ეს ნატალის, — მიუგო ქანმა და გაჩუმდა.

ქილი შემობრუნდა. საძილე ოთახის კართან ნატალი იდგა. იგი მშვიდად იყურებოდა. არა, თვალები უფრო ნათელი ჰქონდა, ვიდრე ჩვეულებრივ. კარი ალბ დაკეტილი იყო, როცა ისინი შემოვიდნენ.

— საღამო მშვიდობისა, — უთხრა ოდნავ გაფითრებულმა ქანმა და წამოდგა.

— მგონი, საუბრობდით? — თქვა ნატალიმ. — სააგენტო დღეს დაკეტილი იყო, ამით ვისარგებლე, მინდოდა ცოტა გამომეძინა.

— მე... შენ გეძინა? — ალუღლუღდა შეცბუნებული ქილი.

— ამ წუთს გამეღვიძა. ახლა კი დაგტოვებთ: რაღაცები მაქვს საყიდელი.

— არა, დარჩი, — საჩქაროდ მიაგება ქილმა, — ნუ წახვალ. მე და ქანი სწორედ ჩემს წერილზე ვსაუბრობდით, გუშინ რომ წაგიკითხე.

— კარგი წერილია, ხომ მართალია? — უთხრა ნატალიმ ქანს. არა, ვერ დავრჩები. აუცილებლად უნდა წავიდე. — მან გაუღიმა და გავიდა.

ისინი ნელა ჩაეშვნენ სავარძლებში.

— ეშმაკმა დასწყეველოს! — შეიკურთხა ქილი, — ეშმაკმა დასწყევლოს!.. როგორ გგონია, მან...

— არა, არა მგონია, — მიუგო ქანმა, — კარი მიხურული იყო. ყოველ შემთხვევაში, ისეთი არაფერი გითქვამს. მხოლოდ ის თქვი, რომ ზოგჯერ მოუსვენრობა გიპყრობს ხოლმე. ეს ყველა ქალისთვის ნაცნობი ამბავია.

— არა, ეს საშინელებაა, უფრო მეტიც, როგორ არ გესმის? შეჰყვირა ქილმა, — საშინელებაა, რომ ასე ვილაპარაკე ჩემსა და მის დამოკიდებულებაზე, ისიც შენთან...

— რას ნიშნავს „ისიც შენთან"? მე რა შუაში ვარ?

— არც ხარ შეამჩ, — მიუგო ქილმა, — ახლა ბუტიაობის დრო არ არის.

— დამიჯერე, დავლიოთ კალვადოსი და ცოტა მოვიცადოთ. საღამოს ერთ აურზაურს დაგატეხს თავზე — ეს არის და ეს. მაგრამ შენ ხომ შეეჩვიე ასეთ ამბებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არა, — მიუგო ქილმა, — არ შევჩვეულვარ.

დრო მიდიოდა და თითქოს არც მიდიოდა. ქილს ძლივს ესმოდა ქანის ლაპარაკი. — იგი კიბეზე ჩაბიჯების ხმას დარაჯობდა. აი, უკვე ერთი საათი გავიდა, ის კი არ ჩანს, საათ-ნახევარი. ნატალის ხომ არ უყვარდა მაღაზიებში ხეტიალი. არა, არ შეიძლება ის საყიდლებზე წასულიყო. ყოველ შემთხვევისათვის, გარნიეს დაურეკა, მაგრამ მას თურმე თვალით არ უნახავს ნატალი. ამასობაში ხუთი საათი შესრულდა. ქილისთვის უკვე ცხადი გახდა, რომ იგი სადგურზეა, — ახლა ჩაჯდება მატარებელში და უკან გაემგზავრება, ლიმოჟში. მან ქანი მიატოვა და სადგურისაკენ გასწია. ყველა ვაგონი შემოირბინა, ნატალი ვერ იპოვა. განრიგის მიხედვით სხვა მატარებელი ალარ იყო, არც თვითმფრინავი მიფრინავდა ამ დღეს ლიმოჟის მიმართულებით. ექვს საათზე მატარებელი გავიდა ქილისა და ნატალის გარეშე. არც სადგურზე აღმოჩნდა ნატალი. ქილი უკან გამობრუნდა და სიმწრისაგან ლამის აღრიალდა, როცა მანქანების ჭედვაში მოხვდა... იქნებ ნატალი შინაა უკვე? იქნებ არაფერიც არ გაუგონია? თითქმის საღამოს შვიდი საათი იყო, როდესაც თავისი ოთახის კარი გააღო. იქ სიცარიელე დახვდა, მაგიდაზე ქანის ბარათი იყო:

„ნუ ღელავ! თუ გინდა, ჩვენთან მოდი ვახშმად".

ხომ არ გაგიჟდა? ქილს მხოლოდ ერთი გზა დარჩენოდა — ლოდინი, ეს კი ყველაზე უფრო აუტანელი რამ იყო. იქნებ ნატალი თავის მაიმახ ამხანაგთან წავიდა? ტელეფონს მივარდა. არა, არც იქ აღმოჩნდა იგი. მოიცა, ჯერ დაბრუნდეს, ისიც შემოჰკრავს ორჯერ სილას. ნატალი სწორად მოიქცა იმ დღით, ქილი რომ ღრეობიდან დაბრუნდა. მაგრამ განა ნატალი განზრახ შეაშინებს და გააწამებს ქილს — ეს ნატალის არა ჰგავს. იგი ადამიანებს პატივს სცემს. ქილი სავარძელში ჩაჯდა, მაგრამ გაზეთის კითხვა არც უცდია, თავი გამოცარიელებული ჰქონდა და უზრიალებდა. შუალამისას ტელეფონმა დარეკა.

ექიმი დაბალი, მწვანეული კაცი იყო, ბანჯგვლიანი ხელები ჰქონდა. საოცარია, მწვანურებს ღინღლი თითებზეც კი ეზრდებათ. ექიმი გულგრილად შესცქეროდა ქილს, მის თვალებში არ იხატებოდა არც განკიცხვა, არც თანაგრძნობა. — ქილს ასეთი გამოხედვა ხშირად შეუმჩნევია საავადმყოფოს ექიმებისათვის. ნატალი თორმეტის ნახევარზე უპოვიათ. ზუსტად ოთხ საათზე მან დაიკავა სასტუმროს ნომერი. უთქვამს, ცალიან დაღლილი კარ და ხვალ, დღის თორმეტ საათზე გამაღვიძეთო, თვითონ კი გარდენალის დიდი დოზა დაულევია. თორმეტ საათზე მეზობელი დაბრუნდა და ექვლიდან მისი ხროტინი მოესმა. ნატალის ქილისთვის ბარათი დაეტოვებინა და პირველი დახმარების შემდეგ ქილს დაურეკეს. მისი გადარჩენის იმედი თითქმის არ იყო. ორგანიზმი, რა თქმა უნდა, სიკვდილს ებრძოდა, მაგრამ გული ალბათ ვერ გაუძლებდა.

— შეიძლება ვნახო? — იკითხა ჟილმა.

იგი ფეხზე ძლივს იდგა. ასე ეგონა, ყველაფერი უაზრო კოშმარი იყო. ექიმმა მხრები აიჩეჩა.

— თუ გნებავთ, შეიძლება.

ნატალი ნახევრად შიშველი იწვა, ირგვლივ რაღაც მილები ეყარა. რაღაც უცნაურ გამომეტყველებას დაემახინჯებინა მისი სახე. ჟილი ჩქარადა, როგორ უფეთქავდა კისერზე ლურჯი ძარღვი, გაახსენდა, რომ ასევე სწრაფად უფეთქავდა ეს ძარღვი ალერსის წუთებში. და გაურკვეველმა გულისწყრომამ მოიცვა. ნატალის არ ჰქონდა უფლება ასე მოქცეულიყო, — სამუდამოდ წაერთმია ჟილისათვის მისი თავი, ასეთი მშვენიერი, სიცოცხლით სავსე, ასეთი საყვარელი. ჟილისგან გაქცევის ცდის უფლებაც კი არ ჰქონდა. ნატალის შუბლზე ოფლისგან ჩამუქებული თმის ბღუჯა მიწებებოდა. მისი ხელები საბანზე მოძრაობდნენ. საწოლზე ჩამომჯდარმა მოწყალების დამ შემჯრთალი მზერა მიაპყრო ექიმს.

— გული ჩერდება, ექიმო.

— მიბრძანდით აქედან, მეგობარო, ახლავე გამოეალ. აქ თქვენ საჭირო აღარ ხართ.

ჟილი გავიდა, კედელს მიეყრდნო. დერეფნის ბოლოში ფანჯარა იყო, იქიდან სიბნელე იმზირებოდა, ამ უმოწყალო ქალაქში ჯერ კიდევ ღამე მეფობდა. ჟილმა ჯიბეში ჩაიყო ხელი, რაღაც ქაღალდი ნახა, უაზროდ ამოიღო. ნატალის წერილი იყო. გაშალა, მაგრამ მაშინათვე ვერ ჩაწვდა იმ სიტყვების აზრს, რომელიც ამოიკითხა:

„შენ არაფერ შუაში ხარ, ძვირფასო. მუდამ ზედმეტად აღგზნებული ქალი ვიყავი და შენს გარდა არასოდეს არავინ მყვარებია“.

ხელის მოწერის საცვლად მას ოდნავ გადახრილად დაეწერა ასო „ნ“, ჟილმა ჯიბეში ჩაიდო ბარათი. სად წაიღო სიგარეტები? ნატალი? ნატალი სადღაა? აქვე, გვერდით ხომ ნატალია, რა, რა უყო ნატალის? პალატიდან ექიმი გამოვიდა — ის მართლაც საძაგლად მწითური იყო.

— ყველაფერი გათავდა, ჩემო მეგობარო, — უთხრა მან. — დავაგვიანეთ. ძალიან ვწუხვარ. გინდათ მისი ნახვა?

მაგრამ ჟილი დერეფანში გარბოდა, კედლებს აწყდებოდა. ჟილს არ სურდა მისი ცრემლები ამ მწითურს ენახა, თავქუდმოგლეჯილი დაეშვა უცნობი საავადმყოფოს კიბეზე. არ ესმოდა, რას უყვიროდა ექიმი.

ბოლო საფეხურზე შედგა. სული ეხუთებოდა.

— საბუთები! — ჩამოსძახოდა ზევიდან ხმა, — საბუთების საქმე როგორ იქნება? თქვენს მეტი არავინა ჰყავს?

ჟილი შეყოყმანდა, მაგრამ სიმართლე უთხრა — იცოდა, რომ ეს სიმართლე იყო:

— არა, არავინ.

□

ფრანგული ნოველები

ფრანგულიდან თარგმნა იროდიონ ქავთარაძემ

მკითხველი უმთავრესად მისი პოპულარული ნაწარმოებებით ეცნობა მწერალს, ამიტომაც სხვა საყურადღებო თხზულებანი ზოგჯერ ჩრდილში რჩება. ჩვენ გვინდა ეს მკითხველს შევთავაზოთ გამოჩენილ მწერალთა ნაკლებცნობილი ქმნილებანი.

აქ წარმოდგენილი რამდენიმე კარგი მწერალი ქართველი მკითხველისათვის შეიძლება უცნობიც იყოს. მით უფრო სასურველად მიგვაჩნია მათი გახსენება.

გამოჩენილ ფრანგ ავტორთა მცირე მოცულობის თხზულებათა რჩეული „მორსო შუაზი" 1910 წელსაა გამოცემული.

ეს ნაწარმოებები იქიდან გვაქვს შერჩეული.

მთარგმნელისაგან

●

სტენდალი
(1783-1842)

მოცარტის რეკვიემი

ერთხელ, როცა მოცარტი ღრმა ფიქრებს მისცემოდა, მის სახლთან ეტლი გაჩერდა. მოახსენეს, უცნობ სტუმარს თქვენი ნახვა სურსო. მოცარტს არცთუ ახალგაზრდა, კარგად ჩაცმული, ფრიად თავაზიანი ნარმოსადეგი მამაკაცი შემოუყვანეს.

— ჩემო ბატონო, ერთმა დიდკაცმა დამავალა მოვსულიყავი.

— ვინ ბრძანდება ის დიდკაცი? — ჰკითხა მოცარტმა.

— თავისი ვინაობის გამხელა მას არ სწადია.

— ნება მისია. რა სურს?

— მან ახლახან დაკარგა ძალზე ახლო მეგობარი, რომლის ხსოვნა ყოველწლიურად სურს აღნიშნოს საზეიმოდ. ამიტომ გთხოვათ მეგობრის პანაშვიდისათვის რეკვიემი დაუწეროთ.

მოცარტი ააღელვა ასე დარბაისლურად მოყოლილმა, საიდუმლოებით მოცულმა ამბავმა და რეკვიემის დაწერა აღუთქვა.

— გთხოვთ, ბატონო თქვენი გენია არ დაიშუროთ რეკვიემის შესაქმნელად, მთხოვნელი მუსიკის დიდი მცოდნეა.

— მით უკეთესი.

— როდის მოგაკითხოთ?

— ოთხი კვირის შემდეგ.

— რამდენს იხებებთ თქვენი შრომის საზღაურად?

— ას დუკატს.

უცნობმა ფული მაგიდაზე დადო და დაემშვიდობა.

მოცარტი ღრმად ჩაფიქრდა, მერე უეცრად სანერ-კალამი მოითხოვა. ცოლმა ნინა-აღმდეგობა გაუწია, მაგრამ მოცარტი მაინც შეუდგა წერას. იგი გატაცებით მუშაობდა, დღე და ღამეს ასწორებდა, მაგრამ ასეთი აღგზნებული შრომა მოცარტის დასუსტებულმა ორგანიზმმა ვერ აიტანა: ერთ დილას გრძნობა დაკარგა და იძულებული გახდა წერა შეწყვიტა.

ორი-სამი დღის შემდეგ ცოლი შეეცადა მწარე ფიქრებით შეპყრობილი ქმარი გაერთო, მაგრამ მოცარტმა მოულოდნელად წამოიძახა:

— ამ რეკვიემს ნამდვილად ჩემთვის ვწერ, ეს ჩემი დაკრძალვისას გამოგადგებათ.

ეს ფიქრი ვერაფრით ვერ გაუქარწყლეს. გრძნობდა, დღითიდღე სუსტდებოდა, და მაინც მუშაობდა. ორკესტრის პარტიტურა ნელა მიიწევდა წინ. დათქმული ოთხი კვირა რომ ამოიწურა, უცნობმა კვლავ მოაკითხა მოცარტს.

— ჩემი სიტყვა ვერ შევასრულე, — მოუბოდიშა კომპოზიტორმა.

— ნუ შეწუხდებით, ბატონო, — უთხრა უცნობმა, — კიდევ რამდენი დრო დაგჭირდებათ?

— ოთხი კვირა. არ მეგონა, თუ სამუშაო ასე გამიტაცებდა. რეკვიემი უფრო დიდი გამოდის, ვინემ მეგონა.

— მაშინ სამართლიანი იქნება ჰონორარიც გაიზარდოს. აი, ინებეთ კიდევ ორმოცდაათი დუკატი.

— ბატონო, — უთხრა უფრო მეტად გაოცებულმა მოცარტმა. — თქვენ ვინა ბრძანდებით?

— ამას რა მნიშვნელობა აქვს! ოთხი კვირის შემდეგ გეახლებით.

მოცარტმა თავის ერთ-ერთ მსახურს დაავალა ამ გასაოცარ ადამიანს დადევნებოდა და მისი ვინაობა გაეგო, მაგრამ უგერგილო მოსამსახურემ მისი გზა-კვალი დაკარგა.

საბრალო მოცარტმა წარმოიდგინა, ეს უცნობი ჩვეულებრივი არსება არაა, ნამდვილად საიქიოსთან აქვს კავშირი და იმის სათქმელად მომიგზავნეს, ჩემი სიცოცხლის დღეები დათვლილიაო.

მოცარტი რეკვიემს თავისი გენიის მარადიულ ქმნილებად თვლიდა და მუშაობას უფრო გულმოდგინედ განაგრძობდა, თუმცა თავბრუსხვევები ძალიან აწუხებდა. სამუშაო ორი კვირით ადრე დაამთავრა.

უცნობი დათქმულ დროს გამოცხადდა, მაგრამ მოცარტი ამქვეყნად აღარ იყო.

ლეიტენანტი ლუი

სენის ხიდის მახლობლად ვსეირნობდი, საშინელი ქარი მძვინვარებდა, სენა ღელავდა. თვალს ვადევნებდი ქვიშით სავსე ერთ პატარა ნავს, რომელსაც ხიდის უკანასკნელი თაღის ქვეშ უნდა გაევლო. უეცრად ნავი გადაბრუნდა. მენავემ გამოცურვა სცადა, მაგრამ ვერ მოახერხა.

— ეს უგერგილო უთუოდ დაიხრჩობა, — ვთქვი და მდინარეში ჩახტომა დავაპირე, მაგრამ საგრძნობლად ციოდა, მე კი ნიკრისის ქარით დაავადებული, ორმოცდაშვიდი წლის კაცი ვიყავი.

— ნუ სულელობ, — ვუთხარი ჩემს თავს, — როცა ტკივილებისაგან ლოგინად ჩავარდები, ვინ მოვა შენს სანახავად? ვინ იფიქრებს შენზე? შარშანდელივით მარტოობისაგან გული გაგიწყალდება.

სწრაფად გავშორდი იქაურობას და სხვა რამეზე დავიწყე ფიქრი.

უეცრად ჩემს თავს მივმართე:

— ლეიტენანტო ლუი, იცი, შენ ვინ ხარ!..

„კი მაგრამ, გასულ წელს რომ სამოცდაშვიდი დღე რევმატიზმმა ლოგინს მიგაჯაჭვა?“ — მისაყვედურა გონიერებამ. ჯანდაბას ეგ კაცი! თუ მეზღვაური ხარ, ცურვაც უნდა იცოდე...

სამხედრო სასწავლებლისკენ გავეჩქარე, როცა მოულოდნელად ხმა მომესმა:

— ლეიტენანტო ლუო, თქვენ ლაჩარი ბრძანდებით!

ამ სიტყვებმა ამაკანკალა, გამოვტრიალდი და ისევ სენისაკენ მოვეურცხლე, მენავე ადვილად გადავარჩინე. რად გამოვიჩინე ასეთი ვაჟკაცობა? გეფიცებით, ზიზღის შიშმა ამიტანა.

იმ ხმამ შემარცხვინა, რომელიც მომესმა: „ლეიტენანტო ლუო, თქვენ ლაჩარი ბრძანდებით!" და იმანაც გამაოცა, რომ ეს ხმა შენობით არ დამელაპარაკა... ჩემი თავი მე თვითონ შემზიზღდებოდა, მდინარეში რომ არ გადავშვებულიყავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრ გირო

(1788-1847)

გლადიატორის ბრძოლა ვეფხვთან ალექსანდრიის ამფითეატრში

ამფითეატრი ჩვეულებრივად აფრიკის ღია ცის ქვეშ იდგა. მის ზედა მერხებზე ალმართულ მოვარაყებულ შუბებზე მენამული ფარდები აბრეშუმისა და ოქრომკედის მარყუჟებით მიემაგრებინათ. მაყურებელთა ზემოთ გადაჭიმული ეს ფარდები უზარმაზარ წრისებრ კარავს ქმნიდა. მისი ათინათი აფრიკელ მაყურებელთა აღგზნებულ სახეებს უფრო მკაფიოდ აჩენდა.

ამფითეატრის მოედანს ლაჟვარდი ცა დასცქეროდა და ყოველ მხარეს სინათლის ტალღებად ეფინებოდა. მოხიბლულ თვალებს არაფერი რჩებოდა შეუმჩნეველი: არც სვეტები, არც ქანდაკებანი, არც ბრინჯაოსა და ოქროს ლარნაკები, არც ელვარე სამკაულები, ქალთა მკერდზე რომ ბრწყინავდა.

ამფითეატრში სამოცი ათასი მაყურებელი იმყოფებოდა. სამოცი ათასი კი მისი კედლების გარეთ ირეოდა. მათი ღრიანცელისაგან ყურთასმენა ალარ იყო, ვერ გაარჩევდი, ბრაზი აყვირებდათ თუ სიხარული. ამფითეატრი გემს ჰგავდა, რომელშიც ტალღა შეიჭრა და გემბანამდე მიაღწია. გარედან კი ღმუილით ეხეთქება და შხეფებად იფანტება ტალღათა ჯარი.

საშინელმა ღრიალმა, ბრბოს ყიჟინასთან ერთად, ხალხს აუწყა, ვეფხვი გალიიდან გამოვიდაო.

ამფითეატრის ბოლო კიდეში ტიტველი ადამიანი იწვა ქვიშაზე. მძინარე გეგონებოდა, იმდენად გულგრილი ჩანდა ყველაფრისადმი, რაც მის გარშემო ხალხს ასე ძლიერ აღელვებდა. ვეფხვი კი მოედანზე დანავარდობდა, თავის მსხვერპლს მოუთმენლად ელოდა. იდაყვზე დაყრდნობილ ადამიანს დამძიმებული თვალები თითქოს ეხუჭებოდა, როგორც ზაფხულის მთელი დღის შრომა... დაღლილ, დასაძინებლად ნამოწოლილ მომკელს.

მერხებიდან ხმამაღალი შეძახილები გაისმა. თამაშის გამრიგეს მოუწოდებდნენ, მსხვერპლი წამოეყენებინა, რადგან ვეფხვმა ადამიანი ახ ვერ დაინახა ან, ასე მშვიდად მყოფი, არაფრად ჩააგდო. მოედნის გრძელშუბოსანმა მსახურებმა გლადიატორს წვეტიანი რკინით დაუწყეს ჩხვლეტა. გლადიატორი საშინელი ყვირილით წამოიჭრა, მის ყვირილს ამფითეატრის ჯურღმულებში ჩაკეტილი მხეცები ღმუილით შეეხმიანენ. ადამიანს ტანზე სისხლი სდიოდა. ერთ-ერთ მსახურს ხელიდან შუბი გამოსტაცა, შუაზე გადატეხა, ნახევარი თამაშის გამრიგეს თავში ჩაარტყა და წააქცია, წვეტიანი მეორე ნახევრით კი მხეცისკენ გაეშურა.

როგორც კი გლადიატორი წამოდგა და ხალხმა მისი ახოვანი ტანის დიდი ჩრდილი დაინახა, მთელ ამფითეატრს გაოცების ჩურჩული მოედო. ქალები აღტაცებას გამოხატავდნენ, ხელს უქნევდნენ, სახელს ეძახდნენ და მის მიერ მოედანზე მოპოვებულ გამარჯვებათა ამბავს ჰყვებოდნენ.

ხალხი კმაყოფილი დარჩა: ვეფხვი და გლადიატორი ერთმანეთის ღირსეულ მეტოქეებად ჩათვალეს.

გლადიატორი მოედანზე წინ ნელ-ნელა მიიწევდა. ზოგჯერ იმპერატორის ლოჟისაკენ

მიბრუნდებოდა, სასოწარკვეთილივით ხელები ჩამოეშვა, ხან შუბის წვერით ჩიჩქნიდა მიწას, რომელიც მისი სისხლით ირწყვებოდა.

გლადიატორს იარაღი არ უნდა ჰქონოდა, ასე იყო დაწესებული. ამიტომ გაისმა შეძახილები: „უიარაღოდ!.. მხეცს უიარაღოდ ებრძოლოს!" მაგრამ გლადიატორი თავისთვის დატოვებულ ნატეხს იქნევდა მაყურებელთა დასანახად.

— მობრძანდით, წაიღეთ! — ამბობდა ტუჩებგაფითრებული, ჩრინწხანა ხმით, განრისხებული ძლივს სუნთქავდა.

როცა ყვირილი უფრო გაძლიერდა, ადამიანმა თავი მაღლა ასწია, ხალხს ზიზღით გადახედა, იარაღი კვლავ გადატეხა და ნატეხები თავზე დააყარა ვეფხვს, რომელიც იმწამს სვეტის საყრდენზე კბილებსა და კლანჭებს ილესავდა გლადიატორთან საბრძოლველად.

მხეცმა დარტყმა რომ იგრძნო, თავი მიიბრუნა, თავისი მეტოქე დაინახა. წელგამართული მოედნის შუაში ნახტომით მიიჭრა, მაგრამ გლადიატორი მიწას განერთხა, ვეფხვი თავს გადაევლო და რამდენიმე ნაბიჯის იქით დაენარცხა. ადამიანი წამოდგა. განრისხებულ ნადირს ამ ფანდით სამჯერ გადაურჩა.

ბოლოს ნადირი გლადიატორისკენ ნელი, მოზომილი ნაბიჯით გაემართა. თვალანთებული, კუდგაბზეკილი, გასისხლიანებული კბილები უჩანდა, დრუნჩი წაეგრძელებინა, მაგრამ ვინემ ვეფხვი ადამიანის დასაგლეჯად მოემზადებოდა, ამჯერად გლადიატორმა ისკუპა მხეცისკენ...

ბრძოლის ეინით შეპყრობილმა ხალხმა ტაში დასცხო.

როდესაც გლადიატორმა მძვინვარე მტერი საკმაოდ დაჰქანცა, ხალხის წახალისებით გამხნევებული, ვეფხვს მედგრად შეება. მხეცი ძლივს სუნთქავდა. უცებ ამფითეატრის მერხებზე ბრბოს ყიჟინა გაისმა, ძრწოლით ან იქნებ შიშითაც გამოწვეული, ვინაიდან თათებზე აღმართულმა მხეცმა ადამიანს ტიტველ მხრებში კლანჭები ჩაავლო და ხახადაღებული მის შესაჭმელად მიიწია. გლადიატორმა თავი უკან გადაიქნია და გაწვდილი ხელები ყელში ისე ძლიერად წაუჭირა, მის მხრებში კლანჭებჩარჭობილმა ვეფხვმა დრუნჩი მაღლა ასწია, რათა ჰაერი ჩაესუნთქა — გლადიატორს ვეფხვის კისერზე ხელები მჭედლის მარწუხივით შემოეჭირა და მხეცი ვეღარ სუნთქავდა:

გლადიატორმა იგრძნო, რომ სუსტდებოდა და კლანჭებით დაგლეჯილი მხრებიდან სისხლთან ერთად ძალა ეცლებოდა. მაშინ ძალა გაიორკეცა, რათა ორთაბრძოლა რაც შეიძლება მალე დაემთავრებინა, თორემ მტერი გაიხარებდა. ამიტომ ორივე ფეხზე წამოიმართა და მთელი ტანით მხეცს ზედ დააწვა. ვეფხვს ფეხები მოეკეცა, ნეკნები ჩაელეწა, მკერდიდან ხრიალი აღმოხდა სისხლიან დუჟთან ერთად. გლადიატორი მაშინ ნახევრად წამოდგა. ვეფხვს კლანჭებიდან მხრები გამოგლიჯა, თუმცა ზედ თავისი ხორცი შეატოვა და ძალამოზღვავებულმა მხეცს ფერდზე მუხლი დააჭირა. ვეფხვმა ერთი გაიბრძოლა, მაგრამ ვინემ მხეცს კუნთები არ გაუშეშდა, თავი აილაზე არ დაუვარდა, თვალები არ ჩაუქრა, გლადიატორი მანამდე არ მოეშვა. ხახადაღებულ, კბილებდაკრეჭილ ნადირს კვლავ დუჟი სდიოდა პირიდან.

მყის იფეთქა ხალხის საერთო აღტაცებამ. გამარჯვებით ძალამოსილი გლადიატორი ფეხზე წამოდგა. უზარმაზარ ლეშს ხელები ჩაავლო და, როგორც ძღვენი, იმპერატორის ლოჟის ქვეშ ისროლა.

ფრანსუა ვოლტერი

(1694-1778)

სიმთვრალე

შვეციის მეფე კარლ XII ერთ დღეს ძალიან დათვრა და თავის ბებიას, მოხუცი დედოფალს საკადრისი პატივით ვერ მოექცა. განანყენებული დედოფალი თავის დარბაზში განმარტოვდა, არც მეორე დღეს გამოჩენილა. მეფემ მიზეზი იკითხა, რადგან ყველაფერი

დავიწყებოდა. როცა მოახსენეს, რაც ჩაიდინა, შეფემ ღვინის ჭიქა აავსებინა და დედოფალს ეახლა.

— ქალბატონო, — მიმართა დედოფალს, — გავიგე, გუშინ საკადრისი პატივისცემა ვერ გამოვიჩინე, ბოდიშს გიხდით ამისათვის, ხოლო ასეთი შეცდომა რომ არ განმეორდეს, ამ ჭიქით შევსვამ თქვენს სადღეგრძელოს და აღგითქვამთ, [illegible] უკანასკნელი ჭიქა ღვინო ჩემს სიცოცხლეში.

შეფემ სიტყვა შეასრულა. ამ დღიდან მხოლოდ წყალს სვამდა. ასეთმა თავშეკავებამ და თან ვარჯიშმა ძალზე ტანახოვანი ვაჟკაცი გახადა.

ბამოცანა

ზოროასტრის სარწმუნოების ქურუმმა ზადიგმა ჯერ ასეთ კითხვაზე პასუხის გაცემა მოითხოვა:

— რა არის ამქვეყნად ყველაფერზე უგრძესი, უმოკლესი და უსწრაფესი? ყველაფერზე ნელი, უმცირეს ნაწილებად გასაყოფი, ვრცელი, აბუჩად აგდებული და თან დასანანი, რომლის გარეშე არსებობა შეუძლებელია, რომელიც მცირესაც ანადგურებს და უზარმაზარსაც?

ზოგმა თქვა — ბედი, ზოგმა — დედამიწა, ზოგმა — სინათლე.

ზადიგმა თქვა, ეს არის დროო: არაფერია მასზე უგრძესი, რამეთუ მარადისობის საზომია; არაფერია მასზე უმოკლესი, რამეთუ [illegible]ენი გეგმების შესასრულებლად საკმარისი არაა; არაფერია მასზე უფრო ნელი, როცა ელოდები; არაფერია მასზე უსწრაფესი იმისათვის, ვინც ბედნიერია; იგი უსასრულოა და ყოვლისმომცველი; იგი დაუსრულებლად მატულობს და უმცირეს ნაწილებად იყოფა; ყოველი ადამიანი მას არაფრად აგდებს და მის დაკარგვას ნანობს; უმისოდ არაფერი კეთდება; იგი წყვდიადით ფარავს ყველაფერს, რაც შთამომავლობისთვის ულირსია, და სახელოვან საქმეებს უკვდავჰყოფს.

მუდამ და ნიადაგი სიამოვნება უკვე სიამოვნება აღარაა

მეფის სასახლეში ყოველდღე საჩივარი მოდიოდა მედის გუბერნატორ ირაზე. ამ დიდებულს, რომელიც ბუნებით ცუდი არ გახლდათ, ხასიათი სიამაყემ და ფუფუნებამ გაუფუჭა. იშვიათად თუ იკადრებდა ვინმესთან ლაპარაკს, არც არავის აბეზღვინებდა მის საწინააღმდეგოდ რაიმე ეთქვა. განდიდების მოყვარული, ფარშევანგზე უფრო ყოყოჩი და კუზე უფრო ზარმაცი, არა სიამოვნებას არ იკლებდა.

ზადიგმა მისი გამოსწორება განიზრახა. ამიტომაც მეფის ბრძანებით გუბერნატორს ერთი ლოტბარი, თორმეტი მომღერალი, ოცდაოთხი მეკიოლინე, სახლთუხუცესი, მსახურთუფროსი, ექვსი მზარეული და აგრეთვე ოთხი კარისკაცი გაუგზავნა. რომლებიც მოუშორებლად მასთან უნდა ყოფილიყვნენ.

აი, რა მოხდა შემდეგ:

პირველ დღეს, როგორც კი ირამ გაიღვიძა, მასთან ლოტბარი და მომღერლები შევიდნენ და კანტატა უმღერეს, რაიც ორ საათსა და სამ წუთს გაგრძელდა.

დე, მისი ღვაწლი იყოს ულევი!
მისი წყალობა არ მოგვკლებოდეს.
დაე იხაროს ჩვენმა ბატონმა
და ბედნიერად თავს მარად გრძნობდეს!

კანტატის დასრულების შემდეგ მსახურთუფროსმა ორმოცდახუთწუთიანი სიტყვა წარმოთქვა, სადაც ქებას ასხამდა გუბერნატორის ყველა კარგ თვისებას, რომლებიც მას არ გააჩნდა. ამის შემდეგ სუფრასთან მიაბრძანეს მუსიკის თანხლებით. როგორც კი ირა პირს გააღებდა სიტყვის სათქმელად, ერთი კარისკაცი იტყოდა:

— მართალსა ბრძანებთ.

როგორც კი ირა ოთხიოდე სიტყვას წარმოთქვამდა, მეორე კარისკაცი წამოიძახებდა:

— მართალსა ბრძანებთ.

დანარჩენი ორი კარისკაცი კი იცინოდა ან მის ნათქვამზე, ან იმაზე, რის თქმასაც აპირებდა.

პირველი დღე საუცხოოდ მოეჩვენა გუბერნატორს, იფიქრა, მეფეთა მეფე ღირსეულად მაფასებსო. მეორე დღე ნაკლებად მოეწონა, მესამე დღეს უკვე შეწუხდა, მეოთხე დღე აუტანელი ეჩვენა, მეხუთე დღეს მართლა განამდა.

„მარად იხაროს ჩვენმა ბატონმა და ბედნიერად თავს მარად გრძნობდეს! „მართალს ბრძანებთ" — ამ სიტყვებმა, ყოველ დღე რომ უმეორებდნენ და ამავე დროს ყოველ-დღე რომ ქებას ასხამდნენ, ისე შეაწუხა გუბერნატორი, მეფეს თხოვნა გაუგზავნა — სახლთუხუცესი, მსახურთუფროსი, კარისკაცები, მუსიკოსები და მზარეულები უკან გაეწვია, და თან ალუთქვამდა, ალარც პატივმოყვარე ვიქნები და ჩემს მოვალეობასაც გულმოდგინედ შევასრულებო.

მას შემდეგ ირა არც თვითონ ისმენდა ქათინაურებს და არც სხვებს ეუბნებოდა, ნი, სადური, გვასწავლის: „მუდამ და ნიადაგი სიამოვნება უკვე სიამოვნება ალარაა".

ცთუნების დერეფანი

ნამუსანი აზიის ერთ-ერთი ჩინებული მეფე იყო. ვისაც კი დაელაპარაკებოდა, არ შეიძლება არ შეყვარებოდა. ის იყო ქებული, მაგრამ მოტყუებული და ყველას მიერ გაქურდული. ყოველი კაცი ფიქრობდა, სხვებზე მეტი მოეპარა. მაგალითს ყველას ფინანსთა მინისტრი აძლევდა და სანდო მიმდევრებიც ჰყავდა. მეფემ ეს იცოდა და ბევრჯერ სცადა კიდევაც მინისტრის შეცვლა, მაგრამ ვერაფერს გახდა.

მეფე ნამუსანმა თავისი გაჭირვება ბრძენ ზადიგს შესჩივლა:

— თქვენ ბევრი კარგი რამ იცით, იქნებ ის საშუალებაც იცოდეთ, რომ ალარ გამქურდონ.

— ბატონი ბრძანდებით, — უპასუხა ზადიგმა, — ვინც მინისტრის საპატიო თანამდებობაზე დანიშვნას მოისურვებს, ყველა აცეკვეთ. რომელიც უფრო მჩატედ იცეკვებს, ყველაზე პატიოსანიც ის იქნება.

— ნუ ხუმრობთ, — თქვა მეფემ, — ეს სასაცილო საშუალებაა მინისტრის შესარჩევად. ვინც კარგად იცეკვებს, განა ყველაზე პატიოსანი ფინანსისტი იქნება?

ზადიგი ისეთი დარწმუნებით ლაპარაკობდა, მეფემ იფიქრა, ალბათ მართლაც რაღაც არაჩვეულებრივი საიდუმლოება იცის ფინანსისტების პატიოსნების დასადგენადო.

— მე არც არაჩვეულებრივი რამ მიყვარს, — თქვა მეფემ, — არც ჯადოქრები და არც ჯადოქართა წიგნები. ისინი ყოველთვის მძაგდა.

— თუ თქვენი უდიდებულესობა ნებას მომცემს ცდა ჩავატარო, საიდუმლოება მეტად უბრალოდ და ადვილად აიხსნება.

მეფე გაოცდა, საიდუმლოება რომ ასე უბრალო და ადვილი რამ იყო და არა სასწაული.

— თანახმა ვარ! იმოქმედეთ ისე, როგორც მოისურვებთ, — ბრძანა მან.

— ამ ცდით უფრო მეტს მოიგებთ, ვინემ გგონიათ, —თქვა ზადიგმა.

იმავე დღეს ზადიგმა გამოაცხადა, ვისაც სურს მონყალე მეფე ნამუსანის ფინანსთა მინისტრად დაინიშნოს, აბრეშუმის მსუბუქი ტანისამოსით მოსილი მეფის სასახლის წინა მოსაცდელ დარბაზში მობრძანდესო.

სასახლეში სამოცდაოთხი მსურველი გამოცხადდა. სასტუმრო დარბაზში მევიოლინეები ისხდნენ. წვეულებისთვის ყველაფერი მზად იყო, მაგრამ დარბაზის კარი დაკეტილი აღმოჩნდა. ვინემ იქ შეხვიდოდი, ჯერ პატარა, ოდნავ ჩაბნელებული დერეფანი უნდა გაგევლო. მეკარეს მსურველები რიგრიგობით შეჰყავდა და რამდენიმე წუთს დერეფანში მარტო ტოვებდა. მეფეს, რომელსაც ზადიგმა საიდუმლოება გააცნო, მთელი თავისი განძეულობა დერეფანში გამოეფინა.

როდესაც ყველა მსურველმა სასტუმრო დარბაზში თავი მოიყარა, მეფემ ბრძანა, ყველამ იცეკვოსო. მაგრამ ასე მძიმედ და უშნოდ თავის დღეში არავის უცეკვია. ყველა წელში მოხრილიყო, ყველას ხელები გვერდებზე მიეკრა.

— რა ქურდები არიან! — თავისთვის ამბობდა ზადიგი.

მხოლოდ ერთი კაცი ცეკვავდა ლალად, თავაწეული, ხელებგაწვდილი, წელგამართული, მუხლები არ ეკეცებოდა, სახე ულიმოდა.

— აი, პატიოსანი ადამიანი! აი, კარგი ვაჟკაცი! — თქვა ზადიგმა.

მეფემ მოცეკვავე გულში ჩაიკრა და მინისტრად დანიშნა. ყველანი [illegible] კი დასაჯა და ამ ქვეყნის მართლმსაჯულების კანონით დააჯარიმა, [illegible] მეთგანს იმ დერეფანში ყოფნისას ჯიბეები განძეულით ისე გაევსო, ძლივს დადიოდა.

მეფე დიდად განარისხა ამ ულირს ადამიანთა საქციელმა: სამოცდაოთხ მოცეკვავეში სამოცდასამი ქურდი აღმოჩნდა.

ჩაბნელებულ დერეფანს კი ცთუნების დერეფანი დაერქვა.

ჟანო და კოლენი

ბევრ ღირსეულ ადამიანს უნახავს ჟანო და კოლენი, რომლებიც ოვერნის ქალაქ ისუარის სკოლაში სწავლობდნენ. ეს ქალაქი საქვეყნოდ ცნობილი იყო თავისი კოლეჯითა და დიდი სპილენძის ქვაბებით. ჟანოს მამა განთქმული გახლდათ, როგორც ჯორებით მოვაჭრე. კოლენი ქალაქის მიდამოებში მცხოვრებ გლეხის შვილი იყო, რომელიც მინას ოთხი ჯორით ამუშავებდა, ყოველნაირ გადასახადს იხდიდა და თავი ასე გაჰქონდა. ეს კარგი ბიჭები ყველას ძალიან უყვარდა.

მათი სწავლის მიწურულში მკერავმა ჟანოს მიუტანა ხავერდის ტანისამოსი, დიდი გემოვნებით შეკერილი ქურთუკი, თან ქალბატონ ჟანოტიერის წერილი. კოლენმა მეგობარს ტანისამოსი მოუწონა, არ შეხარბებია, ჟანოს კი თავი ამაყად ეჭირა. ეს კოლენს ეწყინა.

ამის შემდეგ ჟანომ სწავლას თავი მიანება, სულ სარკეში იცქირებოდა, ყველას ქედმაღლურად უცქერდა.

ცოტა ხნის შემდეგ მარკიზ დე ლა ჟანოტიერს ფოსტალიონმა მეორე წერილი მიუტანა. ეს იყო ბატონი მამის ბრძანება, ჩემი შვილი პარიზში გამომიგზავნეთო. ჟანო გაემგზავრა თავისი ბრნყინვალეებით, დიდკაცური ღიმილით კოლენს ხელი გაუწოდა. კოლენმა იგრძნო, რომ ჟანოსთვის არაფერს წარმოადგენდა.

ცნობისმოყვარე მკითხველებმა უნდა იცოდნენ, რომ ბატონმა მამა ჟანომ თავისი საქმიანობით დიდი ქონება შეიძინა, მერე ექვს თვეში მარკიზ დე ლა ჟანოტიერიც გახდა, და თავის ვაჟიშვილს სწავლა მიატოვებინა, რათა მაღალ საზოგადოებაში შეეყვანა.

მუდამ გულითადმა კოლენმა თავის მეგობარს წერილი გაუგზავნა, მოიკითხა და წარჩინება მიულოცა. პატარა მარკიზმა პასუხის ღირსიც არ გახადა. მშობლებმა ახალგაზრდა მარკიზისთვის გუვერნიორი მოიწვიეს. იგი მაღალ საზოგადოებას ეკუთვნოდა, თვითონ არაფერი იცოდა და მოსწავლეს ვერაფერი ასწავლა. ბატონ ჟანოტიერს უნდოდა შვილისთვის ლათინური ესწავლებინა. რჩევის მისაღებად წარჩინებული გუვერნიორი სადილად მიიპატიჟა. მასპინძელმა საუბარი გაუბა.

— ბატონო, როგორც ლათინურის მცოდნეს, მეფის კარის წარჩინებულს...

— მე, ბატონო, ლათინურის ერთი სიტყვაც არ ვიცი, — უპასუხა გუვერნიორმა, — და თავს ბედნიერად ვგრძნობ. ცნობილია, ვინც თავისსა და უცხო ენებს ერთდროულად არ სწავლობს, მშობლიურ ენაზე უკეთესად ლაპარაკობს. ჩვენს მანდილოსნებს უფრო სასიამოვნო, ჭკუა აქვთ, ვიდრე მამაკაცებს. მათი წერილები უფრო მომხიბლავია. ეს უპირატესობა იმითაა გამოწვეული, რომ მათ ლათინური არ იციან.

— აბა არ ყოყავი მართალი? — თქვა ქალბატონმა ჟანოტიერმა, — ბე მინდა ჩემი შვილი ჭკვიანი კაცი იყოს და მაღალ საზოგადოებაში წარმატება მოიპოვოს. ხომ დარწმუნდი, ლათინური რომ იცოდეს, დაილუპება. აბა მითხარით, დრამებსა და ოპერას ლათინურ ენაზე წარმოადგენენ? სასამართლოს პროცესებზე ლათინურად ლაპარაკობენ?

ბატონი ჟანოტიერი დარწმუნდა თავის შეცდომაში და გადაწყვიტა, ახალგაზრდა მარკიზს დრო არ დაეკარგა ციცერონის, ჰორაციუსისა და ვერგილიუსის სწავლით.

— მამ რა უნდა ისწავლოს? რაღაც ხომ უნდა იცოდეს? გეოგრაფია ხომ მაინც უნდა გაეგებოდეს?

— რაში დასჭირდება? — თქვა გუვერნიორმა, — თუ ბატონი მარკიზი სადმე გაემგზავრება, მეეტლეები გზას არ ააცდენენ და ადვილად ჩაიყვანენ პარიზიდან ოვერნში. არაეითარი ხელსაწყო არ დასჭირდებათ იმის გასარკვევად, ოვერნი რომელ მერიდიანზე მდებარეობს.

— მართალი ბრძანდებით, — უპასუხა მამამ, — მაგრამ მე მომისმენია საუბარი ერთ კარგ მეცნიერებაზე. მგონი, ასტრონომიას ეძახიან.

— აი, მართლა უსარგებლო მეცნიერება! — წამოიძახა გუვერნიორმა, — რა საჭიროა ბატონმა მარკიზმა თავი მიაკლას იმის გამოანგარიშებას, როდის მოხდება ამა თუ იმ ცის მნათობთა დაბნელება. კალენდარში ეს ზუსტად არის აღნიშნული, ასევე აღნიშნულია დღესასწაულები. მთვარის მეოთხედები და ასაკი ევროპის პრინცესებისა.

ქალბატონი სავსებით დაეთანხმა გუვერნიორს. პატარა მარკიზი აღტაცებული იყო. მამა კი ძალიან დაიბნა.

— აბა რა უნდა ვასწავლო ჩემს ბიჭს?

— ის მოყვარული ადამიანი უნდა იყოს — უპასუხა რჩევისთვის მოწვეულმა გუვერნიორმა, — თუ იმის უნარი ექნება, სხვას თავი მოანონოს, ყველაფერი ეცოდინება. ეს არის ხელოვნება, რომელსაც ქალბატონი დედა ისე შეასწავლის, არც ერთი და არც მეორე არ შეწუხდება.

ამ სიტყვებზე ქალბატონმა თავაზიან უმეცარს გაულიმა და უთხრა:

— ჩანს, ბატონო, რომ ფრიად სწავლული ადამიანი ბრძანდებით და მაღალ საზოგადოებაში ტრიალებთ. ჩემი შვილი დიდად დავალებული იქნება ასეთი აღზრდით. მაგრამ მე ვფიქრობ, მაინც კარგი იქნებოდა ცოტა ისტორია სცოდნოდა.

— ეჰ, ქალბატონო, ნეტა რაში გამოადგება? — თქვა გუვერნიორმა, — რასაკვირველია, სასიამოვნო და სასარგებლოა ყოველდღიური ისტორია, ხოლო ყველა ძველი ისტორია, როგორც ერთი ნათელი გონების ადამიანი ამბობს, მხოლოდ სინამდვილედ მიჩნეული ზღაპარი გახლავთ. ამ ქაოსში ვერ გაერკვევი. ვის რად სჭირდება იმის ცოდნა, რომ საფრანგეთის მეფემ შარლემანმა თორმეტი პერის დაწესებულება შექმნა, ან ის, რომ მისი მემკვიდრე ენაბლუ იყო. ეჰ, როგორ უტენიან თავს ბავშვებს უსარგებლო ცოდნით. ახლა ავიღოთ გეომეტრია თავისი ხაზებით, კუთხეებით, წრეებით, რომლებიც სინამდვილეში არ არსებობს. მაღალი წოდების ადამიანმა, როგორიცაა ბატონი მარკიზი, აბა რად უნდა იჭყლიტოს ტვინი ამ უსარგებლო ცოდნის შესაძენად. თუ ოდესმე დასჭირდა თავისი მინების გეგმის შედგენა, შეუძლია ფული მისცეს და სხვას გააკეთებინოს.

ბოლოს, როცა გაითვალისწინეს ამა თუ იმ მეცნიერების კარგი და ცუდი მხარეები, გადაწყვიტეს ბატონ მარკიზს ცეკვა შეესწავლა. ჟანოს ცეკვის ნიჭი აღმოაჩნდა და მალე დიდ წარმატებას მიაღწია. სასიამოვნოდაც მღეროდა. მშობლები ყოველნაირად ხელს უწყობდნენ, ფულს არ ზოგავდნენ.

ქალბატონი მარკიზი ფიქრობდა, განსწავლული შვილის დედა ვარო, და წარჩინებულ პარიზელებს ჰპატიჟებდა და უმასპინძლდებოდა. ჟანომ სულ დაკარგა ჭკუა, ისეთ ლაპარაკს დაეჩვია და ისე დახელოვნდა ამაში, თვითონაც არ გაეგებოდა, რას მიედ-მოედებოდა. ფუქსავატ ცხოვრებას მიჰყვა და ფულს ბლომად ფლანგავდა. მშობლებიც დიდკაცურად ცხოვრობდნენ და ღარიბდებოდნენ.

ბატონი და ქალბატონი ჟანოტიერების მეზობელმა, კეთილშობილი წარმოშობის, მაგრამ საშუალო შეძლების ახალგაზრდა ქვრივმა განიზრახა ყმანვილ მარკიზს მისთხოვებოდა და მათი ქონება ხელში ჩაეგდო. მეზობელმა დედაბერმა ეს საქმე ითავა და ჟანოს მშობლებთან ქვრივს მაჭანკლად მიეგზავნა. მათ აღტაცებით მოიწონეს ასეთი დიდებული ქორწინება.

ერთ დილას, ახალგაზრდა მარკიზი თავის საცოლესთან ერთად რომ იყო, ქალბატონი დედის შეშინებული მოახლე მოვიდა.

— ახალი ამბავი უნდა მოგახსენოთ: ბატონისა და ქალბატონის ქონების აღსანერად მოვიდნენ, მევალეთა ვალის დასაფარავად, ლაპარაკობენ, ბატონი უნდა დავაპატიმროთო. ძალიან გთხოვთ ანგარიში გამისწოროთ.

— ცოტა მადროვეთ, — მიუგო მარკიზმა, — აქ რაღაც ხრიკებია.

— დიახ, — თქვა ქვრივმა, — ჩქარა წადი და ის გაიძვერები დასაჯე!

მარკიზი შინ გაიქცა. მამა უკვე დაპატიმრებული დახვდა. შინამოსამსახურენი, ვისაც

რა შეეძლო, ბატონის ქონებას იტაცებდნენ. დედა მარტო იყო, დამხმარე და ნუგეშისმცემელი არავინ ჰყავდა, ცრემლად იღვრებოდა. ახალგაზრდა მარკიზს აღარაფერი ებადა, გარდა იმისა, რომ თავისი შეცდომები და სიმდიდრის სულელური განიავება მოეგონებინა და ენანა.

დედა-შვილმა დიდხანს იტირეს, ბოლოს ჟანომ დედას უთხრა:

— იმედს ნუ დავკარგავთ! ამ ახალგაზრდა ქვრივს თავდავიწყებით ვუყვარვარ. იგი უფრო კეთილშობილია, ვიდრე მდიდარი. მისი იმედი მაქვს, მასთან წაგიყვან.

ჟანო საცოლესთან დაბრუნდა.

— რაო! ეს თქვენია ხართ, ბატონო დე ლა ჟანოტიერ? აქ რა საქმე გაქვთ? ასე დედას მიატოვებენ? წადით იმ საბრალო ქალთან და უთხარით, რომ მუდამ მისი კეთილისმყოფელი ვიქნები. მე მოახლე მჭირდება, შემიძლია სხვას უარი ვუთხრა და ის ავიყვანო.

გაოცებული, გაცოფებული მარკიზი თავის ძველ გუვერნიორს მიადგა. უამბო, რა უბედურებაც დაატყდა და რჩევა სთხოვა. მან ურჩია, ჩემსავით გუვერნიერობა დაიწყო.

— მე რომ არაფერი ვიცი, ჩემთვის რომ არაფერი გისწავლებიათ? ჩემი უბედურების პირველი მიზეზი თქვენა ხართ! — ტირილით მოთქვამდა ჟანო.

ამ ამბის შემსწრე ერთმა ხუმარა კაცმა უთხრა:

— დანერე რომანები. ეს საუკეთესო საშუალებაა პარიზში ცხოვრებისათვის.

ჟანომ ნახევარ დღეში უკეთ გაიცნო ადამიანები, ვიდრე მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე.

ასეთი სასინარკვეთილებით შეპყრობილმა უცებ დაინახა ძველებური ორბორბლიანი ეტლი, რომელსაც ტყავის ფარდები ჰქონდა ჩამოფარებული; ეტლის უკან კარგად დატკეცილი უზარმაზარი ოთხი ფორანი მოგორავდა. ეტლის კოფოზე უბრალოდ ჩაცმული ახალგაზრდა კაცი იჯდა. მრგვალი, ქორფა სახე ჰქონდა, მოკრძალებული და მხიარული გამომეტყველება, მის გვერდით შავგვრემანი ქალი ირხეოდა. ეტლი ნელა მოდიოდა, არა ისეთი სისწრაფით, როგორც თავმომწონე ახალგაზრდებს უყვართ. მეეტლე თვალს არ აშორებდა უძრავად მდგომ დამნუხრებულ მარკიზს.

— ღმერთო ჩემო! — წამოიძახა მეეტლემ,—ეს ხომ ჟანოა.

თავისი სახელის გაგონებაზე მარკიზმა მაღლა აიხედა. ეტლი გაჩერდა.

— ეს ჟანოა, ჟანო!

მსუქანი პატარა კაცი ეტლიდან ჩამოხტა და თავისი ძველი მეგობრის გადასაკოცნად გაიქცა. ჟანომ კოლენი იცნო. დარცხვენილს ცრემლები მოერია.

— შენ მე მიმატოვე, — უთხრა კოლენმა, — მაგრამ შენი დიდკაცობის მიუხედავად მუდამ მეყვარები.

ჟანომ ტირილით მოუყვა თავისი თავგადასავალი.

— წავიდეთ ფუნდუკში, სადაც დაბინავებული ვარ. დანარჩენი იქ მიამბე. ჩემს წულლეს აკოცე და ერთად ვისადილოთ.

— ეს რა არის? რა მიგაქვს? ეს ყველაფერი თქვენია?

— დიახ, ჩემი და ჩემი მეულლისაა. სამშობლოდან მოვემგზავრებით. მე კარგი ქარხანა მაქვს, ის რკინას ტყვიითა და სპილენძით ფარავს. ჩემი ცოლი მდიდარი კომერსანტის ქალია, რომელიც ყველასთვის საჭირო საოჯახო ნივთებით ვაჭრობს. ჩვენ ბევრს ვშრომობთ და ღმერთიც გვწყალობს. მივდევთ ჩვენს საქმეს და ბედნიერი ვართ. დაგეხმარებით, ჩვენო მეგობარო ჟანო! მარკიზობაზე ხელი აიღე. ამ ქვეყნის ყველა დიდკაცი რომ შეპყარო, ერთ მეგობარს ვერ გაუტოლდება. დაბრუნდი ჩემთან ერთად სამშობლოში, შეგასწავლი ხელობას, ეს სრულიად არ არის ძნელი. მერე ჩვენს საქმეში მონილედ შეგიყვან და მხიარულად ვიცხოვრებთ იმ მხარეში, სადაც დავიბადეთ.

ჟანო დაიბნა. მწუხარებისა და სიხარულის, სინაზისა და სირცხვილის განცდამ ერთად აიტანა. იგი თავისთვის ბუტბუტებდა:

— მაღალი საზოგადოების ყველა მეგობარმა მიმატოვა, მხოლოდ კოლენმა, ვისაც მე ზიზღით ვუცქეროდი, დახმარების ხელი გამომიწოდა. ეს ჩემთვის კარგი გაკვეთილია.

კოლენის გულკეთილობამ ჟანოს კვლავ გაულვიძა ის კეთილი თვისებები, რაც მაღალ საზოგაოდებას ჯერ კიდევ ვერ ჩაეხშო. მან იგრძნო, რომ თავის დედ-მამას ვერ მიატოვებდა.

— დედაშენს უპატრონოდ არ დავტოვებთ, — უთხრა კოლენმა, — რაც შეეხება საპა-

ტიმროში მყოფ მამაშენს, მისი მეეალენი რომ დაინახავენ, მეტი არაფერი აქვსო, ცოტა-თითაც დაკმაყოფილდებიან. ეს საქმეები მე კარგად ვიცი და ყველაფერს მე ვითავებ.

კოლენმა ჟანოს მამა ციხიდან დაიხსნა. ჟანო და მისი მშობლები საძმობლო მხარეს დაუბრუნდნენ და ძველ საქმიანობას მოჰკიდეს ხელი. ჟანომ ცოლად შეირთო კოლენის და, რომელიც ძმასავით კეთილი იყო და ქმართან ერთად ბედნიერად ცხოვრობდა.

ჟანო და მისი დედ-მამა დარწმუნდნენ, რომ ნარჩინების მაძიებლობას ბედნიერება არ მოაქვს.

ალფონს კარი

(1808-1890)

ბეთჰოვენის გარდაცვალება

ბეთჰოვენი ბადენში დაბინავდა, სადაც მარტოდმარტო მონყენილი ცხოვრობდა. მცირე პენსია ძლივს ყოფნიდა აუცილებელი რამ არ დაკლებოდა. ყველაზე დიდ სიამოვნებას ქალაქთან მდებარე მშვენიერ ტყეში სეირნობა ანიჭებდა. გენიოსი მუსიკოსი უბადლო სიმფონიებს ქმნიდა ადამიანებისთვის დასატოვებლად, თუმცა მისი ციური ჰარმონიული ხმები მათთვის გაუგებარი იყო.

ამ დროს მოულოდნელად წერილი მოუტანეს, რომელმაც სხვა მხარეს ნაიყვანა, სადაც ახალი მწუხარება მოელოდა.

ძმისწული, ვისზედაც დიდი ამაგი ჰქონდა და ამის გამო ძალზე შეთვისებული იყო, წერდა, ცუდ საქმეში ვარ ჩათრეული და მხოლოდ შენს ჩამოსვლას შეუძლია ჩემი გადარჩენაო.

ბეთჰოვენი გაემგზავრა, მაგრამ ბევრი ფული რომ არ დახარჯოდა, ნაწილი გზისა ფეხით გაიარა.

სალამოს ღარიბულ ქოხს მიადგა და ღამის გათევა ითხოვა. გზა კიდევ კარგა დიდი დარჩა გასავლელი, მაგრამ ძალა უკვე გამოელია.

მასპინძლებმა ავახშმეს, მერე ღუმელთან, ოჯახის უფროსის სკამზე დასვეს.

სუფრის ალაგების შემდეგ ოჯახის უფროსი ძველ პიანინოს მიუჯდა. მისმა სამმა ვაჟმა კედელზე ჩამოკიდებული თავ-თავისი საკრავი ჩამოიღო. დედა და ქალიშვილი საოჯახო საქმით იყვნენ დაკავებული, მაგრამ ჩანდა, რასაც უკრავდნენ, ძალიან იტაცებდათ, სული და გული აქეთ ჰქონდათ. ბოლოს კიდევაც მიანებეს ოჯახურ საქმეს თავი მუსიკის მოსასმენად. მათი გულუბრყვილო სახე ნაზ აღტაცებას გამოხატავდა.

ბეთჰოვენმა მხოლოდ ის შეამჩნია, რაც მის თვალწინ ხდებოდა: კომპოზიტორს არც ერთი ბგერა არ გაუგონია.

როცა დაკვრა მოათავეს, აღელვებულებმა ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს, განცდილი ბედნიერების შთაბეჭდილება გაუზიარეს. ქალიშვილი დედას ჩაეკონა. მერე მუსიკოსებმა მოითათბირეს და დაკვრა განაახლეს. ამჯერად თვალები მოენამათ და გაუბრნყინდათ.

— ჩემო მეგობრებო, — თქვა ბეთჰოვენმა, — დიდად უბედური კაცი ვარ. თქვენს სიამოვნებას რომ ვერ ვიზიარებ. მეც მიყვარს მუსიკა. მაგრამ ალბათ შეამჩნიეთ, რომ ყრუ ვარ, არც ერთი ნოტა არ გამიგია. მომეცით, ნავიკითხო ეს მუსიკა, თქვენს ასეთ აღტაცებას რომ იწვევს.

რვეული რომ აიღო, თვალთ დაუბნელდა, სუნთქვა შეეკრა, რვეული ხელიდან გაუვარდა. ის, რასაც უკრავდნენ, ბეთჰოვენის სიმფონიის ალეგრეტო იყო.

გაკვირვებული და ცნობისმოყვარეობით შეპყრობილი მთელი ოჯახი მოხუცს შემოეხვია, ის კი გულამოსკვნილი ტიროდა, ხმას ვერ იღებდა, ძლივს შესძლო ეთქვა:

— მე ბეთჰოვენი ვარ.

მაშინვე ქუდი მოიხადეს მასპინძლებმა და მოწიწებით მდუმარე თაყვანი სცეს. ბეთჰოვენმა მკლავები გაშალა. გლეხებმა ხელი ჩამოართვეს, ეამბორნენ, სახეზე დააკვირდნენ, გენიის მადლი რომ შეემჩნიათ. ბეთჰოვენი ყველამ გულში ჩაიკრა — დედ-მამამ, ქალიშვილმა და სამმა ვაჟმა.

ბეთჰოვენი უეცრად წამოდგა, პიანინოს მიუჯდა, ჭაბუკებს ანიშნა, საკრავები აეღოთ და თვითონ დაუკრა ეს შედევრი. ბიჭებმა მთელი სული და გული ჩააქსოვეს ასე მშვენივრად, ასე კარგად მუსიკა არასოდეს შეუსრულებიათ.

როდესაც დაკვრა დაამთავრეს, ბეთჰოვენი პიანინოსთან დარჩა, იმპროვიზაციას მიჰყო ხელი: ბედნიერების სიმღერებს უკრავდა, მადლს სწირავდა ბუნებას... ასეთი ბრწყინვალე მუსიკა ბეთჰოვენს მთელი ცხოვრების მანძილზე არ შეუქმნია. ეს იყო ბეთჰოვენის გამოსათხოვარი შემოქმედება.

ოჯახის უფროსმა შეატყო, რომ ბეთჰოვენი ავად იყო, ლოგინში ჩაანვინა.

ავადმყოფმა ჰაერის უკმარისობა იგრძნო და ფეხშიშველი მინდორში გავიდა.

ბუნება დიდებულ ჰარმონიას მოეცვა. ქარი ჰქროდა, ხის ტოტებს ერთმანეთს აჯახებდა, ხან ხეივანში შეიჭრებოდა, ღრიალით ლეწდა, ამსხვრევდა ყველაფერს, რაც წინ გადაეღობებოდა. ბეთჰოვენი დიდხანს დარჩა გარეთ...

ვენიდან ექიმი ჩამოიყვანეს. ბეთჰოვენს მკერდში წყალმანკი აღმოაჩნდა. თუმცა ავადმყოფს მკურნალობა არ დაჰკლებია, ექიმმა მაინც განაცხადა: არაფერი ეშველება, ორი დღის სიცოცხლე დარჩენიათ. ასეც მოხდა. ბეთჰოვენი თანდათან დასუსტდა. უკვე ხროტინებდა, როცა ერთი კაცი მოვიდა. ეს იყო მისი ძველი, ერთადერთი მეგობარი ჰუმელი.[1] ბეთჰოვენის ავადმყოფობა გაეგო და მოსავლელად მოაშურა, თან ფულიც ჩამოუტანა. მაგრამ გვიან იყო, ბეთჰოვენი ველარ ლაპარაკობდა, მხოლოდ მადლიერად შეხედა ჰუმელს. მეგობარი მისკენ დაიხარა და ხმის გამადიდებელი ხელსაწყოთი, რომლის საშუალებით ბეთჰოვენს შეეძლო ხმამაღლა ნათქვამი რამდენიმე სიტყვა გაეგონა, უთხრა:

— ძალიან ვწუხვარ, ასეთ დღეში რომ გხედავ.

ბეთჰოვენი თითქოს გამოცოცხლდა, თვალები გაუბრწყინდა და თქვა:

— მე ხომ მართლა მქონდა ნიჭი, ჰუმელ?

ეს იყო მისი უკანასკნელი სიტყვები, მერე თვალები გაეყინა, პირი ოდნავ გააღო და სული განუტევა.

მარი-ჟან გუიიო

(1854-1888)

ექიმი და ავადმყოფი

ექიმ ტრუსოსთან[2] ავადმყოფი მივიდა. ექიმმა გულისყურით გასინჯა და უთხრა:

— თქვენ მძიმედ ხართ ავად, ოპერაცია უნდა გაიკეთოთ.

— ამას ვერ შეეძლებ, — წამოიძახა ავადმყოფმა სასონარკვეთილებით, — ოპერაცია ჩემიკეთო კი არა, ამაზე ფიქრიც კი მზარავს.

— რას ბრძანებთ? — უთხრა ექიმმა, — ასეთი ლაპარაკი ვაჟკაცს არ შეშვენის.

— რა ადვილია სხვას ვაჟკაცობა ურჩიო, როდესაც თვითონ არაფერი გაწუხებს, — აღფიცხდა ავადმყოფი.

— ცდებით, ჩემო ბატონო, — დინჯად მიუგო ექიმმა, — თუ გგონიათ, არაფერი მაწუხებს. დიდი ხანია ავად ვარ. სენმა თითქმის ყველა ორგანო გამინადგურა. ჩემს თავს ვაკვირდები და ვამჩნევ, რომ ავადმყოფობა იმდენად მომერია, დაახლოებით რამდენიმე დღეში სიკვდილი მომელის. თქვენ სამ თვეში განიკურნებით, მე კი, ჩემო ბატონო, უკვე აღარ ვიქნები.

ასეთი სიმშვიდით გაოცებულმა ავადმყოფმა ექიმს სიტყვა ვერ შეუბრუნა.

როგორც თვითონ ტრუსომ იწინასწარმეტყველა, იგი მალე გარდაიცვალა. სანამ ცოცხალი იყო, თავის მოვალეობას კეთილსინდისიერად ასრულებდა, სიცოცხლის ბოლო წუთამდე ავადმყოფებისათვის ყურადღება არ მოუკლია.

---

[1] სახელოვანი გერმანელი პიანისტი და კომპოზიტორი (1778—1837)

[2] ცნობილი ფრანგი ექიმი (1801—1867).

პ.-ჟ. სტალი
(1814-1886)

მათხოვარი და ბავშვი

— ბატონო მათხოვარო, რატომ ბრძანდებით ღარიბი? — ჰკითხა პატარა ბიჭმა მოხუცს, რომელსაც საყდრის კუთხესთან ხელი გაეშვირა, — შეიძლება ამიხსნა, რომ ქვეყნის გაჩენისას, როგორც წამიკითხავს, ყველა ადამიანი კეთილი არ ყოფილა. ისინი ერთმანეთს შებრძოლებიან და ძლიერებს სუსტნი დაუმარცხებიათ.

— არა, — უთხრა მათხოვარმა, რომელსაც ბავშვის შეკითხვამ ჩამქრალი თვალები გაუბრწყინა და ტუჩებზე სევდიანი, მშვიდი ღიმილი მოჰფინა, — არა, ბიჭიკო, ადამიანთა ცხოვრების პირველი ხანის ისტორია არ არის თანამედროვე ადამიანების ისტორია. თუ ოდესღაც იყვნენ ადამიანები, რომლებიც იმის გამო გაღარიბდნენ, რომ მათ ბუნების მიერ ყველა თავისი შვილისათვის გამოსაკვებად მიჩენილი მიწის ნაწილი ნაართვეს, ახლა სრულიად სხვა მდგომარეობაა... ამას არ შეეხები, მხოლოდ ჩემს ამბავს მოგიყვები. ეს აღსარება იქნება, რათა შენ დაიმახსოვრო, თუ მე ღარიბი და მათხოვარი ვარ, ჩემი ცუდი ყოფაც ცვეთით ეს ნამდვილად დავიმსახურე.

მამაჩემი ბევრს შრომობდა, არაფერი დაიშურა, რათა კარგად აღეზარდე. გარდაიცვალა იმ რწმენით, რომ მიზანს მიაღწია. მე განათლებული კაცი ვიყავი, რადგან ბუნებამ გონებითა და შეთვისების უნარით დანაჯილდოვა, მაგრამ ზარმაცი გამოვდექი. მეგონა, საკმარისი იყო ყველაფერი შემეთვისებინა, ხოლო შეძენილი ცოდნა ადამიანების სასიკეთოდ გამომეყენებინა და მეც საარსებო წყარო მქონოდა, საამისოდ თავი არ შეეწუხე. ეს თავის დამცირებად მიმაჩნდა, შრომა, რითაც პატიოსნად ცხოვრება შემეძლო, მესირცხვებოდა, დავიწყე დიდი მცნება, რომელიც ადამიანს მოუწოდებს, პური არსობისა შენი შრომით მოიპოვეო. სიზარმაცემ ბევრი დანაშაული ჩამადენინა, სამაგიეროდ სილარიბეზე უარესი სირცხვილი მარგუნა, როგორც ორი დამსახურებული სასჯელი. შიმშილის გაკვეთილმა ჭკუა ვერ მასწავლა, იმის ნაცვლად, რომ ჩემი მარჯვენით პატიოსნად მეშრომა, ერთ საბედისწერო დღეს სისუსტე გამოვიჩინე და ხელი გავიშვირე.

ამ დღიდან შრომის ნაცვლად მათხოვრობა დავიწყე. სილარიბე იქცა ჩემს ყოფად. ამით თვალთმაქცობდი, რათა ხალხში სიბრალულის გრძნობა აღმეძრა. სიზარმაცემ უნებურად ღარიბი გამხადა.

ამ დღიდან ბოროტმოქმედივით ვცხოვრობდი, რადგან, რასაც მაძლევდნენ, ის მე არ მეკუთვნოდა. ამ ბოროტმოქმედებას ჩემთვის ბედნიერება არ მოუტანია. თუმცა უკვე მოვხუცდი და მუშაობა არ შემიძლია, განუწყვეტლივ სინდისი მქენჯნის, დღედაღამ ტანჯვას განვიცდი, მწარედ ვნანობ, რომ ჩემი ცხოვრება ასე ცუდად წავმართე. როდესაც ბავშვის გულუბრყვილო შეკითხვა, როგორც დღეს, სირცხვილით მაწითლებს, ჩემს თავს ვეუბნები, რომ მონანიება სრულიად არაა საკმარისი სასჯელი. ჩემი წარსულის გამო ღირსი არა ვარ ვინმემ შემიბრალოს.

— მაშასადამე, — თქვა ბავშვმა, — მოწყალება მხოლოდ იმათ უნდა მივცე, ვინც ავად არის, ხელი თუ ფეხი მოტეხილი აქვს, ან ბრმაა. თუ მოწყალებას შენთვის გავიღებ, ეს არ იქნება კეთილი საქმე.

— ჩემო ბიჭიკო, — უთხრა მოხუცმა შეცვლილი ხმით, — მოწყალება, წმინდა მოწყალება, გინდაც ულირსის ხელში მოხვდეს, მოწყალების გამღებისათვის მუდამ კეთილი საქმეა. მაგრამ შენ უკეთესად მოიქცევი (იმის შემდეგ, რაც ახლა გიამბე), თუ მოწყალებას იმას მისცემ, რომელსაც ჩემზე ნაკლები დანაშაული მიუძღვის. აი, ბედავ იქ, სვეტებიანი დერეფნის მეორე მხარეს უსინათლო ქალია, ის არაადამიანურმა შრომამ დააბრმავა, ვინაიდან მოხუცი, უძლური მამა ჰყავდა სარჩენი, ბას უწყალობე რაიმე. მე კი დამივიწყე.

— ოჰ, — თქვა ბავშვმა, — მაინც მიიღე ჩემგან მცირე ფული, ბატონო მათხოვარო, რადგან შენც ძალიან საცოდავად გამოიყურები. შენმა ნაამბობმა დამარწმუნა, ძალა რომ დაგიბრუნდეს ზარმაცი ალარ იქნები. — როცა მოხუცმა მონყალება არ მი-

ილო, პატარა ბიჭმა უთხრა: — სხვათა შორის, ჯიბეში კიდეე მაქვს წვრილი ფული უსინათლო ქალისთვის მისაცემად.

— გაიხარე, ჩემო ბიჭიკო! — დალოცა მათხოვარმა და ცრემლმორეულ თვალებზე ხელები მიიფარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეფუნთუშის ოთხი ჭრიჭინა

ჩემმა მეგობარმა ჟაკმა საფუნთუშესთან ჩაიარა და პაწია პურის კვერი დაინახა. ჟაკმა იფიქრა, ეს ლამაზად გამომცხვარი კვერი ავადმყოფ ბავშვს, რომელიც არაფერს ჭამს, თუ არ გაართობ, შეიძლება ესიამოვნოსო, და საფუნთუშეში შევიდა.

ჩემი მეგობარი ხურდას ელოდებოდა და დაყოვნდა. ამ დროს საფუნთუშეში ექვსი-შვიდი წლის ბიჭუნა შემოვიდა, ღარიბულად, მაგრამ სუფთად ჩაცმული.

— დეიდა, — მიმართა მეფუნთუშე ქალს, — დედიკომ გამომგზავნა პურის საყიდლად.

მეფუნთუშე დახლზე ავიდა (ეს პროვინციულ ქალაქში იყო), ბიჭუნას ორკილოგრამიანი კარგად გამომცხვარი გოგორა პური შეურჩია და პატარა ხელებზე დაუდო.

ჟაკმა ყურადღება მიაქცია პაწია მუშტრის გამხდარსა და სევდიან სახეს, ასე განსხვავებულს დაბრაწული ფუნთუშა პურისგან. ეტყობოდა, რომ ბავშვს პური ემძიმებოდა.

— ფული გამოგატანა? — ჰკითხა პატარას მეფუნთუშე ქალმა.

ბიჭუნამ მოიწყინა და მორცხვად თავი დახარა.

— არა, დეიდა, — უპასუხა ბავშვმა და გოგორა პური გულზე მაგრად მიიხუტა. — მაგრამ დედიკომ დამაბარა, ხვალ თქვენთან მოვალო მოსალაპარაკებლად.

— კარგი, — თქვა კეთილმა მეფუნთუშემ, — წაულე პური, ჩემო ბიჭიკო.

— გმადლობთ, დეიდა, — ჩაილულლუღა საწყალმა ბავშვმა.

ჩემმა მეგობარმა ჟაკმა ხურდა მიიღო და წასვლა დააპირა, რომ ზურგს უკან გოგორაპურიანი ბიჭუნა დაინახა, რომელიც უკვე წასული ეგულებოდა.

— აქ რას ელოდები? — ჰკითხა პატარას მეფუნთუშემ, — არ მოგწონს ეგ შენი პური?

— მომწონს, დეიდა, ძალიან კარგი პურია.

— მაშ წადი, დედიკოს მიუტანე, ჩემო კარგო, თუ ახლავე არ წახვალ, იფიქრებს, ქუჩაში გაერთოო, და გაგიწყრება.

ბავშვს, ეტყობა, არაფერი გაუგონია. მთელი მისი გულისყური რაღაცა საგანს მიეპყრო. მეფუნთუშე მიუახლოვდა და სახეზე ხელი მოუთათუნა.

— რაზე ფიქრობ იმის ნაცვლად, რომ ჩქარა წახვიდე? — ჰკითხა მეფუნთუშემ.

— დეიდა, აქ ვინ მღერის? — ჰკითხა ბიჭუნამ.

— არავინაც არ მღერის.

— მღერის, — გაიმეორა პატარამ, — არ გესმით?

მეფუნთუშემ და ჩემმა მეგობარმა მიაყურადეს და საფუნთუშეში მობინადრე ჭრიჭინების ჭრიჭინის გარდა ვერაფერი გაიგონეს.

— ეს ან პატარა ჩიტია, ან პური, რომელიც ვაშლივით ცხვება, — თქვა ბავშვმა.

— არა, პაწია სულელო, — უთხრა მეფუნთუშემ, — ეს ჭრიჭინებია. როდესაც საფუნთუშეში პურის გამოსაცხობად ღუმელს ახურებენ, ცეცხლის დანახვაზე ხარობენ და მღერიან.

— ჭრიჭინები! — გაიკვირვა ბიჭუნამ. — განა ის იძახის ჭრი-ჭრიო?

— დიახ, — თავაზიანად უპასუხა მეფუნთუშემ.

პატარას სახე აენთო.

— დეიდა, — თქვა წამოწითლებულმა ბავშვმა, ასეთ თხოვნას რომ ბედავდა, — ძალიან გამახარებთ, თუ ერთ ჭრიჭინას მაჩუქებთ.

— რისთვის გჭირდება ჭრიჭინა, ჩემო კარგო? — გაეცინა მეფუნთუშეს. — მერწმუნე, რომ შემეძლოს, ჩემთან მობინადრე ყველა ჭრიჭინას ახლავე გაჩუქებდი.

— ოჰ, დეიდა, მხოლოდ ერთი მომეცით, ერთის მეტი არა, თუ შეიძლება, — შეეხვეწა ბავშვი და გოგორა პური გაყვითლებული ხელებით გულში მაგრად ჩაიხუტა. —

ამბობენ, ჭრი-ჭრის სახლში ბედნიერება მოაქვსო. ერთი რომ ჩემთან დაბინავდეს, დედა-ჩემი აღარ იტირებდა.

ჩემმა მეგობარმა ჟაკმა ლამაზ მეფუნთუშე ქალს შეხედა, რომელსაც ლოყები ულვიოდა და ნინსაფრით ცრემლებს იმშრალებდა. ჟაკსაც რომ ჰქონოდა ნინსაფარი, ისიც ცრემლებს შეიშრობდა.

— რატომ ტირის შენი საბრალო დედიკო? — თავი ვერ შეიკავა და ჰკითხა ჩემმა მეგობარმა.

— ვალების გამო, ბიძია, — უთხრა პატარამ. — მამიკო მომიკვდა, დედიკო გამუდმებით მუშაობს, მაგრამ ყველა ვალის გადახდა ვერ შესძლო.

ჩემმა მეგობარმა ჟაკმა ბავშვი მისი პურიანად აიყვანა და გულში ჩაიკრა.

მეფუნთუშე ქალმა ჭრიჭინას შიშით ხელი ვერ მოკიდა. ამიტომ პურის საცხობში ჩავიდა, თავის ქმარს ოთხი ჭრიჭინა დააჭერინა, დახვრეტილხუფიან კოლოფში ჩასვა, უპაეროდ რომ არ დახოცილიყვნენ, და ბიჭუნას გადასცა. ამ საჩუქრით გახარებული ბავშვი შინისკენ გაეშურა.

მარტოდ დარჩენილმა მეფუნთუშემ და ჩემმა მეგობარმა ერთმანეთს ხელი გულითადად ჩამოართვეს.

— საწყალი, კეთილი ბიჭი! — თქვეს ერთად.

მეფუნთუშემ აიღო შემოსავალ-გასაელის დაეთარი, მონახა ის გვერდი, სადაც ბავშვის დედის ვალი ეწერა და მთელ გვერდს ხაზი გადაუსვა, ქვეშ კი მიაწერა: გადახდილია.

ჩემმა მეგობარმა ჟაკმა კი, რაკი თვითონ დრო არ ჰქონდა, რაც ჯიბეში ფული ჰქონდა, კალათში ჩადო (იმ დღეს ფული ბლომად აღმოაჩნდა), და მეფუნთუშეს სთხოვა, ჭრიჭინებიანი ბავშვის დედას ვალის გადახდის ქვითართან ერთად ეს სასწრაფოდ გაუგზავნე, თან მიწერე, დადგება დღე, როცა შენი შვილი გაგახარებს და განუგეშებსო.

კალათა მეფუნთუშის გრძელფეხა შიკრიკ ბიჭს გაატანეს და დაუბარეს, ჩქარა ევლო.

ბავშვს დიდი გოგორა პური და ოთხჭრიჭინიანი კოლოფი ჩიჰქონდა და იგი შიკრიკი ბიჭივით ჩქარა ვერ ივლიდა.

ბავშვი შინ რომ მივიდა, დედა თავაწეული დახვდა, თავის ხელსაქმეს დასცქეროდა, ტუჩებზე სიხარულისა და სიმშვიდის ღიმილი მოპფენოდა. ბიჭიკოს ეგონა, ასეთი სასწაული ოთხმა პატარა ჭრიჭინამ მოახდინაო. ჩემი აზრით, არც შემცდარა. განა ჭრიჭინებმა და შვილის კეთილმა გულმა არ გამოიწვია ეს ბედნიერი ცვლილება დედიკოს გაჭირვებულ ცხოვრებაში!

□

ესტონური პოეზია

ესტონურიდან თარგმნა
იუბან სმუულის სახელობის პრემიის ლაუ-
რეატმა ამირან ქალაძემ

რუდოლფ რიმელი

* *

მე ვიცი ახლა მიდის ფილმი,
რომელშიც ყველა
ვასრულებთ როლებს...
სცენარი და გმირიც ჩვენია!
თვალისმომჭრელი სინათლეა...
ორმაგი სალტო!!!
აქ, რომ გელოდეს
დუბლიორი კი გირჩევნია.
ტყვიამფრქვევივით გიმიზნებენ
ობიექტივებს,
დრო ალარ რჩება
ბილიკები ჰპოვონ იჭვებმა...
აურაცხელი კადრებია
ამ ფერად ფილმში
და არასოდეს
არც ერთი არ ამოიჭრება.

* *

სუვერენული ქვეყნებია
ქალი და კაცი,
საელჩოებით, საზღვრებით,
აკრძალული ზონებით...
და ღამლამობით სასაზღვრო ხაზზე
ჯაშუშებივით გადადიან საერთო სურვილები.
უშედეგოა საპროტესტო ნოტა-მუდარა

და სახელმწიფოს პრეზიდენტმა
ზნეობამ იცის,
რომ უძლურია ისევ და ისევ
სირცხვილის ზოლის დამცველი რაზმი...
და დღენიადაგ მარჯვე მზვერავებს
ელის უხილავი რეზიდენტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიივი ლუიკი

* *

მე აღარ ვიცი
რა არის იგი,
რასაც ვერავინ
ვერ გადაურჩა...

წვეთავს სიცივე
წითელ ჭიქიდან...
დაისი ასე
მოჩანს კაფედან.

* *

ადამიანის სახე აქვთ ხეებს
და მოწყენილი შემოგვცქერიან...

მე ამ ცხოვრებას თუ განვერიდე,
ხეების დარად წავალ უჩუმრად...

თუმცა სიყვარულს ვერც რა გავუგე —
მიყვარს, მიყვარს და მიყვარს ძალუმად...

იაან კაპლინსკი

* *

არის კი ღირსი ყოველი წიგნი
მაღალ ხეების გარდაცვალების?..
თანა მდევს სევდა მოსაჭრელ ხეთა
და საყვედური მათი თვალების.

არის კი ღირსი ჩვენ შორის ყველა
(თუნდაც ძალიან დიდი წოდების!),
ბუხართან გულს რომ გვილაღებს სითბო
ამ ნაკვერცხლებად ქცეულ ტოტების.

* *

...ჩვენი ცხოვრებაც რიგზეა, რაკი
არ ვეტანებით ღვინოს და ფიქრებს...
ნოკაუტშია რინგზე ასაკი
და კუდს ოთახის ძალლივით იქნევს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მატს ტრაატი

აკვარიუმი

პატარა თევზი,
ოქროსფერი ლამაზი თევზი
(თუ არა ვცდები
ლათინური ჯიშის მოგვარე)
მწვანე შუშიდან იჭყიტება
რაც ნიშნავს:
„მე ვარ შრომისმოყვარე"
ან იქნებ:
„ჩემი მიკრო-კუჭი ცარიელია"
ანდა უბრალოდ:
„მთელი ღამე არ მიძინია"
იქნება გვთხოვდეს:
„ჯარს დახურავთ? სამხრეთელი ვარ"
ან სინანულით:
„ანკესებით რად არ მატყუებთ"
(ცოდვაა ხალხო, ის ფანჯარა მაინც დახურეთ!)
მადლობის გარდა მის თვალებში ყველაფერია,
რადგანაც იცის ვერსადაც ვერ დაიმალება...
ვერ შეიგუა ხელოვნური მწვანე სინათლე
და ამ შუშების მოსაწყენი გამჭვირვალება.

ბანაჩენი

სიცოცხლეს პლიუს ჭეშმარიტება!
იყო ჩვენება ყველა მოწმეთა...
პირველისათვის ჯილდოდ სიკეთე,
მეორისათვის — თავის მოკვეთა!

ვნებიანი სახუმარო

კოცონის ირგვლივ გოგო-ბიჭები
ისე ანცობენ, ისე თბებიან,
რომ მერე მთელი ორმოცი წელი
ნაცარტუტაში იქექებიან.

ელენ ნიიტი

ქარი ჯერ კიდევ
ჩემს სახელს რომ ასწავლის ფოთლებს,
თუ ძველებურად მზის სხივების
ვლამობ დაჭერას..
ეს იმას ნიშნავს
მე ვარ ჯერაც
ბავშვი, რომელიც
თოჯინისათვის ულამაზეს საკაბეს კერავს...
ჩიტის დანახვა
ყველაფერს რომ გაჯავიწყებს,
რაც ბრწყინვალეა
უსათუოდ რომ აიჩემებს...
ბავშვი, რომელსაც
ურჩევნია მიწდვრის ყვავილი
მოლბერტზე გაშლილ
ყვავილების ხელოვნურ ფერებს.

არვი სიიგი

ეზო

ამოკირული ჭაა ოთხსახლშუა მოქცეული ეზო...
აქ დილდილობით ბინდი და სიგ-
რილეა, ხოლო შუადღისას
მზე შემოჯდება მოპირდაპირე სახ-

ლის სახურავზე, როგორც ურჩი ბიჭი
ჭის გვიმზე, ყვითელ ფეხებს რომ აქანავებს
უდარდელად... მისი ურჩობა ხომ ჩვენ-
თვის (ჭაში მცხოვრებთათვის)
იმედის შუქურაა...

ნაშუადღევს... ნაშუადღევს ალბათ სა-
ხურავებიდან თუ ჩამოჩურჩულდებიან ცის-
ფერი ქარები, იმ ზღვას რომ უნდათ მიბაძონ
ხვალ რომ დაიკრავს სულ სხვა ფერს...

ხოლო სალამოს, ალბათ იმავ ქა-
რების ნებით მზე მიდის ზღვისაკენ...
ზღვას, როგორც იცით არ ადგას გვიმი...
იქაა მხოლოდ უსაზღვრო სანაპირო...
მზეა სინათლე და აქვს უფლება თავის-
უფლების... და მზეს იხილავს მხოლოდ კოპიტი
(ძირში უდგამენ სანაგვე ურნას
ვითომდა ჭაში ჩავარდნილ ვედროს) მისი კენ-
წერო მოლაპლაპე ტბის ზედაპირზე
ცახცახებს, როგორც ყვითელი ვარდი.

გვიან სალამოს... გვიან სალამოს სარკ-
მელთან დგება ახტაჯანა პატარა გოგო...
ფანჯრის რაფაზე (ანუ ჭის გვი-
მზე) შემოსკუპდება, როგორც კალია
ხელში გიტარით... (ის ღამღამობით სად-
ღაც დახტის და იკარგება, კა-
ლიაც მხოლოდ მიტომ დაარქვეს)
არის სიმღერა მისი საამო და უცნაურიც,
რადგან სიმღერა ბინდის თე-
მაზე და თავის-თავის-თავის-უფლებაზე
სუყველას ესმის თავისებურად...

მე მას ვუსმენ და ვმუქდები რად-
განაც ვფიქრობ წყალი ვარ... ამ
ჭის წყალი ვარ უბრალო და
არა მგონია უკეთესი იყოს ოთხ-
სახლშუა მოქცეულ ეზოში
დაუწერელი ლექსებივით არა ჩნდეს წყალი.

ჰანდო რუნელი

ძალიან პატარა სევდა

ზაფხულის დღეა,
ქალაქია სავსე ვარდებით,

ინფორმაციით
და ჩვეული დიდი ხმაურით...
ხის ძირას ციყვი
გულმოდგინედ ეძებს რალაცას
დაშინებული ამ ქალაქის აურზაურით.
...ვაი მანქანას
თოვლისფერი მოუკლავს მტრედი!
ახლა სავსეა მისი ფრთები
სისხლის ხალებით...
შესცქერის კატა,
ვერ გაიგებ ცნობისმოყვარე,
მოწყენილი თუ
სამძიმარით სავსე თვალებით.
ზაფხულის დღეა,
ქალაქია სავსე ვარდებით,
ბალი მოგვძახის
თქვენზე იყოს ფერთაქებაო...
მიდი-მოდიან...
ჩაცუცქულა კატა მტრედთან და
კაცი იფიქრებს, კი არა სჭამს —
ეფერებაო.

* *

ადამიანი შეუთანხმდა
ღმერთებს თავიდან
რომ ყოველ ცოდვას
მოსამართლედ ელის სიკვდილი...
მაგრამ რადგანაც
ცოდვა მუდამ გაურბის სასჯელს —
ყოფა ცოდვილი
სამუდამოდ ჩვენ გვაქვს მისჯილი.

პაულ-ეერიკ რუმო

ძება ასიმეტრიისა

ან რა სანდოა სიმეტრია!
შეუხედავია სიმეტრიული:
სახეები, სხეულები,
აზრები, დღეები,
საქმენი და
ყოველივე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რისი ერთი მხარის წარმოჩენაც
გვძალუძს მეორეთი ყოველდღე...
აკი ისინი ურთიერთშერწყმულნი
ქმნიან სიყალბეს უსახურს და
ერთ მხარეს სარკითაც თუ შეცვლით
არც რა დაშავდების ამითი.

მაგრამ სულ სხვაა დალოცვილი ასიმეტრია...
ხალიანია მარჯვენა ლოყა,
ხოლო მარცხენა არის უხალო...
გულია მარცხნივ და მხოლოდ მარცხნივ,
ბრმა ნაწლავი კი მარჯვნივ და ქვემოთ...

რა შეედრება მარადიულ უთანხმოებას
სუფევს რომელიც სიცხადეს და ოცნებას შორის...
თუნდაც იმიტომ — რაც აგვიხდა სულ არ
ველოდით,
და რაც ვინატრეთ—უმეტესად დავშვრით ამაოდ!

აისბერგი რომ აისბერგია,
რაც წყალზედა დგას
წყალქვეშ არის ორი იმდენი!
შეხედეთ მთვარეს,
რკალს სიმეტრიულს,
როგორ გაურბის მუდამ მთოვარე.

სონეტი ხომ მთლად სასწაულია! —
არ უნდა თორემ, მე შენ გეტყვი ვერ მოახერხებს
ორ ტოლ ნაწილად
გაიყოს და გამომზეურდეს!

ძება ასიმეტრიისა (გაგრძელება)

ო ლექსო,
ლექსო თავისუფალო...
სხვაზე რა ვთქვა და
შენ მაინც ხარ თავისუფალი!
ზოგი რომ ფიქრობს გულქვაოო
მე კარგად მესმის
მრავლისმეტყველად ფხიზელი ხარ სამაგიეროდ!
ავადმყოფურად წმინდა გრძნობით
შენ შეგიძლია
მაღალი სიბრძნის პოეზიით გამოგვეცხადო.

მიმქრქალ კალენდრის ფოტოასლებს
ვინც რომ ამრავლებს
გულმოდგინებით,
სასოებით
და იმ შეგნებით
თითქოსდა ერქვას ყოველივეს ამას სიცოცხლე!
თითქოსდა ერქვას ყოველივეს ამას სიახლე...
და თუ შიშობენ ამავე დროს,
თუ ცახცახებენ!
მხოლოდ იმიტომ,
მე გარწმუნებთ, მხოლოდ იმიტომ —
არ შეუბრუნდეთ საბრალოებს მოულოდნელად
გარჯა ამაო სიმეტრიულ პირიქითობით.

* *

შენ დაიბადე დედამიწის ამ სწორ ვაკეზე,
წონასწორობაც უსათუოდ აქ დაგებედა!

მუნამიაგი — ღრუბლებშია მთა ერთადერთი
ღრუბლის ქულაა უთეთრესი დიდი ვირთაგვა...

თუმც გაქვს ბილეთი ქვეყნის ზედა
სამოგზაუროდ —
დაგხვდა მსოფლიო პირობითად ღია აქა-იქ...

ვით მუსულმანი სასოებით შედის მექაში
ყოველცისმარე მიაშურებ ტყეებს მშობლიურს...

შენ გაიზარდე დედამიწის ამ სწორ ვაკეზე,
წონასწორობაც უმშვიდესი აქ დაგებედა.

იური იუდი

გულახდილი სიმღერა

მარცხენა ხელმა საიდან იცის
რა ჩაიდინა მოძმე მარჯვენამ...
ეს უწყის მხოლოდ
მესამე ხელმა!
უნდა ეცადო
სხვებზე ადრე ჩაწვდე ამ სიბრძნეს
თუ გსურს იხილო
გამჭვირვალე სევდის ფანჯარა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც იყო... ახლა
უზარმაზარ გუმბათქვეშეა
და მავანთათვის მზის ნათელშიც შეინიშნება...
მინა ადიდებს ყოველივეს
შიდა ეზოში,
იმხელა როა,
რაის გამოც არის პატარა.

შენ მაინც იცი
ღრუბელი რომ არ იფანტება!..
და დღენიადაგ უცხო სისინი
როგორ ამცირებს ჩვენს დღეგრძელობას...
მაგრამ მესამე გადახნის გუმბათს...
მარცხენა ხელი
უერთდება უმალ მარჯვენას.

კალე კურგი

* *

მწვანედ ხასხასა მდელოზე
ბაბუაწვერების ქარში,
დამინახია რამდენჯერ
გამხდარი, თეთრი რაში,
რომელმაც რამდენჯერ ინატრა
სათამაშო ცხენად ყოფნა!

რამდენჯერ გადაატყდა წნელი,
მათრახიც გადააწყდა ხშირად...
არვის აუთრთოლდა ხელი,
არც ვინ ჩაიყოლა ფიქრად...

და ჰა ზაფხულის ხვატში
წვიმა მოვიდა ცხელი...
აიწყვიტა და უმხედროდ
გაფრინდა, გაფრინდა ცხენი,
რომელმაც რამდენჯერ ინატრა
სათამაშო ცხენად ყოფნა!

თვალმა მომატყუა იქნებ...
მზეს ეზიდებოდა ცხენი!

როგორ გამოთალეს ვიოლინო

ნაძვის ხეო მოწყენილო, მუდამ ფიქრიანო,
ოსტატს ვვედრი ჩემს ნაღველზე ნურას იტყვიანო...
ასე მარტო და ეულად როგორ უძლებ ბიკვირს —
ხან თოვლის თეთრ მდუმარებას, ხან ქარების ქირქილს...

არყის ხეო ტანკენარო, მოშრიალე ხეო,
ქარმა მითხრა რა აცეკვებს რატომ არ კითხეო...
ვუპასუხე—ცას შეეხარის, იქ მთოვარეს სიზმარს
უთვალთვალებს და საკუთარ ფოთლების ხმას უსმენს...

ნაძვი ზუზუნებდა,
არყი შრიალებდა...
ოსტატს ჯერ არ სურდა ფიქრების გამხელა,
მიწა დარდიანი,
ზეცა მომღერალი....
მათ შორის კი სიცოცხლეა რამხელა!
და ხე იზრდებოდა
მიწიდან ცისაკენ...
ადგა ოსტატი, მიეახლა როგორც სალოცავს!
ნაძვი თუ წიოდა,
არყი კისკისებდა
და საჭრეთელი მელოდიას წერდა საოცარს!

**

...ჰა ვიოლინო გამოითალა!
და როცა იგი გულს დაემგვანა
დასრულდა დიდი ოსტატის გარჯა...
ერთ მხარედ ნაძვი,
მეორედ არყი და...
გული კი, გული მათ შორის დარჩა!

ანდრეს ეჰინი

* *

თუ შავ ტილოზე დაილვრება
ალისფერი სისხლი მწერების
თუ ჭიანჭველას თავს გაუსივებს
გაანჩხლებული კატის კნავილი

თუ ჰორიზონტი ქაფმორეულ ზღვაში ჩაიქცა
თუ ჩვენმა ჩრდილმა მიგვატოვა ქარაფშუტულად
თუ ხის ტოტებზე შემოსკუპდნენ კიბორჩხალები
თუ ჩამავალ მზეს შეჰყურებენ და არ უნყიან
რომ საკუთარ თვალს შეჰყურებენ

კვლავინდებურად

ხომ შეიძლება ამ თუებმა
გასძლონ ერთ საათს
რათა მოვიდეს დრო ახალი
დრო თ უ ს ა ა თ ი ს
თ უ ს ა ა თ შ ი კი ცა შავია
მიწა ცისფერი
ო რამდენი თ უ
ციმციმებს და ბრნყინავს ზეცაში
ყველაზე დიდი და ელვარე
თ უ ს ახლომახლო
ხ ო ლ ო რ ო გ ო რ ც კ ი დ ა ს რ უ ლ დ ე ბ ა
ი ს თ უ ს ა ა თ ი
აციმციმდება უთვალავი
ფერმკრთალი მ ა გ რ ა მ
დაუბრუნდება ცა და მიწას ფერი თავისი
ცაში იელვებს ბუმბერაზი სასტიკი მ ა გ რ ა მ
ყველა თ უ სა და
ქარაფშუტა ჩრდილის პატრონი

□

სადეყ ჰედაიათი

ისფაჰანი ნახევარი მსოფლიოა[1]

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპარსულიდან თარგმნა თენგიზ კეშელავამ

ერთხელ, მთელი წლის ერთფეროვანი ცხოვრების შემდეგ ოთხი თავისუფალი დღე რომ მოვიხელთე, გადავწყვიტე ისფაჰანში წავსულიყავი და იმ ოთხ დღეს მაინც გავრიდებოდი დროის ერთსახოვან მდინარებას.

თვითონაც არ ვიცი, რაღა მაინცადამაინც ისფაჰანი ავირჩიე სამოგზაუროდ. იქნებ იმან გადამაწყვეტინა, რომ ადრე ისფაჰანის ხედების ფოტოები მქონდა ნანახი და ბევრი კარგი მსმენოდა და წამეკითხა ამ ქალაქზე. ალბათ ამიტომ იყო, რომ ისფაჰანი „ათასერთ ღამეში" აღწერილ ზღაპრულ ქალაქად მესახებოდა. მართლაც, მის მიზგითებს, ხიდებს, სახლებს, მინარეთებს, შორენკეცებს, ყალამქარსა და ჩუქურთმებს დღესაც არ დაუკარგავს ოდინდელი ეშხი და ბრწყინვალება. სეფიანთა დროს ისფაჰანი ხომ მსოფლიოს უდიდეს ქალაქად ითვლებოდა და სავსე იყო დახელოვნებული ოსტატებით. სწორედ ამიტომ გამიწია გულმა ისფაჰანისაკენ და თამამად შემიძლია მოგახსენოთ, რომ ნანახმა მოლოდინს გადააჭარბა. მაგრამ სამოგზაუროდ წასვლა იოლი საქმე არ გახლავთ.

ჩემი მეგობრებიდან ოთხი კაცი დამპირდა ისფაჰანში გამოგყვებიო, თუმცა საქმე საქმეზე რომ მიდგა ერთი მეორეს მიყოლებით გაუჩინარდნენ. შემდეგ საშვის ასაღებად მომიხდა სირბილი და წვალება. ყველაზე ძნელი მაინც მანქანის შოვნა გამოდგა. გარდა ამისა, რამელი უნდა გვეყარა იმის გასაგებად, თუ რა დროს უნდა დავძრულიყავით, რომ მოგზაურობა მშვიდობით დამთავრებულიყო. როგორც იქნა ვაჯობეთ ეშმაკს და გარაჟში ექვსი საათის ლოდინის შემდეგ გზას დავადექით.

შოფერმა საყვირი აახმიანა და მანქანა დაძრა. გზაზე ყვითელი მტვრის ბუღი ავარდა და ოკეან დაგვედევნა. ექვსის ნახევარზე შაჰ აბდოლაზიმში ჩავედით, სადაც ხელმეორედ გაგვისინჯეს საშვი.

მანქანა ხტუნვით, ჯაყჯაყითა და ჯანჯღარით კეცავდა გზას. ცოტა ხნის შემდეგ გამოჩნდა მწკრივებად დარგული ხეები და შაქრის ქარხნის მილი. მივხვდი, რომ ქაჰრიზაქს მივახლოვებოდით. აქ კვლავ მოგვთხოვეს საშვი. ქაჰრიზაქს რომ გავცდით, ბინდი ჩამოწვა და მოლურჯო გორაკები ფოლადისფერ ზეცას შეერწყა. მთების ძირში კი ჯერ კიდევ მკაფიოდ მოჩანდა მღაშობი მინის ფართო მოციმციმე ზოლი და ინდისხურმის ხეების მომწვანო-მოყვითალო მწკრივი.

ჰასანაბადში გავჩერდით. ყველას გვშიოდა და ყავახანას მივაშურეთ. საღამოს საამო ნიავი ქროდა. ყავახანის მეპატრონის შეგირდი ქვის სკამზე იჯდა და პრასას ჭრიდა. ჩქაურობა ისე ყარდა პრასის სუნით, ტიფით ავადმყოფთა პალატაში გეგონებოდა თავი.

ჩვენს პირდაპირ, ქვის კიბის საფეხურზე ღია წითელ კაბაში გამოწყობილი ბოშა ქალი იჯდა. ქალმა მკითხაობა დამიწყო — დაზეპირებული სიტყვებით მამცნო, ერთი მაღალი, შავთვალა ქალი შენთვის ჭკუას კარგავს, მაგრამ ვილაც დაბალი, ლურჯთვალა ქალი ჯადოს გიკეთებსო. მკითხავს თურმე ამ ჯადოს ნამალი ხელთა ჰქონია, სხვებს თუმნად ვაძლევ, შენ კი ხუთ რეალად დაგითმობო. სადა ცხოვრობს ის მაღალი ქალიშვილი-მეთქი, — სიცილით ვკითხე ბოშა ქალს, და მანაც მაშინვე დამანება თავი.

ისევ განვაგრძეთ გზა. შოფერმა ყელი გაისველა ყავახანაში და ახლა უფრო ჩქარა მიჰყავდა მანქანა. ზეცას, მინდორს, უდაბნოსა და ბორცვებს მრუმე ფერი ედო. ცაზე მხოლოდ ერთადერთი ვარსკვლავი კიაფობდა. წინ სინათლეები გამოჩნდა. მალე სახლებსა და ყავახანებს ჩავუარეთ. უკვე ყუმში შევდიოდით. მდინარე შურის ხიდს რომ გავცდით,

---

[1] იბეჭდება შემოკლებით.

ცივმა ნიავმა დაბერა. სიბნელეს ჩავაშტერდი, მაგრამ ტბა ვერ დავინახე. ცოტა ხნის შემდეგ ღრუბლებიდან მთვარემ გამოანათა და ყუმში შევედით. ქალაქში სინათლეები ენთო, ყველაზე მაღლა სამი სინათლე კიაფობდა.

ყუმი მიცვალებულთა, მორიელთა, მათხოვართა და მომლოცველთა — ქალაქია. ჩვენი მანქანა გარაჟთან გაჩერდა. აქ ხალხმრავლობა იყო. მე და ჩემი ნაცნობი მოედნისაკენ წავედით. დუქნები ჯერ არ დაეკეტათ. მანქანები საყვირით იკვლევდნენ გზას. მოედანზე მოფუსფუსე ხალხში, აბაში[1] გამონყობილი გრძელკისერა ახუნდები დასეირნობდნენ და თან კრიალოსანს მარცვლავდნენ. მოედანთან მისასვლელი ქუჩებიც ხალხით იყო სავსე. აქ ათას ენაზე საუბრობდნენ.

გამოჩნდა ნათურებითა და მთვარის შუქით განათებული ზღაპრული სილამაზის მინარეთი და გუმბათი. საფლავის ქვებზე ქალები და ბავშვები წამოწოლილიყვნენ. მე ყუმის მორიელები გამახსენდა, ფეხს ავუჩქარე და იქაურობას გავერიდე. ჭიშკარს რომ გამოვცდი, შუაღამის 12 საათის მანიშნებელი ბუკის ხმა მომესმა.

შუაღამე გადასული იყო, როცა ხიდი გავიარეთ. ქალაქი ჩაბნელებული იყო. მხოლოდ ქალაქის განაპირას აღმართული მინარეთის თავზე მოჩანდა სამი კამკაშა ნერტილი და ზღვაში მდგომ შუქურასავით გვიკვლევდა გზას. ღამეულ მდუმარებას მხოლოდ მანქანის თუხთუხი და ფარას ჩამორჩენილი თხის კიკინი არღვევდა.

განთიადი დგებოდა. გრილი, საამო ნიავი ქროდა. რამდენიმე ხიდი რომ გავიარეთ, წინ კედლების ნანგრევები და ხეების კორომი გამოჩნდა. ზეცას თანდათან ლაჟვარდის ფერი ედებოდა. მე თვალები დავხუჭე და ხარბად ვისუნთქავდი მაცოცხლებელ ჰაერს. გულში ვამბობდი, რა კარგი იქნება, რომ არასოდეს გავჩერდეთ, სულ ვიაროთ და ვიაროთ, მთელი ნლობით-მეოქი.

მთიდან ნარინჯისფერი ჩირაღდანივით ამოცურდა მზის დისკო. ქვედა ნაწილი სისხლისფრად მოუჩანდა. წითლად შეღებილმა ღრუბლებმა მიიწ-მოიწიეს და მზეს გზა მისცეს. თანდათან გამოიკვეთა ახოვანი და იდუმალებით მოცული მთების მწვერვალები. შორს, სანამდე თვალი მიუწვდებოდა კაცს, მოჩანდა გორაკები, ხეობები და ნარ-ეკლით დაფარული ველ-მინდვრები.

მანქანა შეჩერდა. დელიჯანში მივსულვართ. აქაური ალიზის სახლები ციხე-სიმაგრის ყაიდაზე იყო აგებული. ქალებს საშინაო ჩადრებით მოებურათ სახე. გუმბათები შორიდან კარგად აფუებულ ნაზუქებს მიაგავდა. იქვე ციხე-სიმაგრე იდგა. ნახევრად დანგრეულ გალავანზე მერცხლების გუნდი შემომჯდარიყო. მამაკაცებს ტანთ ბამბაზიის გრძელი ყაბა[2] ემოსათ, ფეხზე — გივე[3], თავზე კი კვერცხიანით წაგრძელებული ქუდები ეხურათ. მათი წინაპრებიც ასე იცვამდნენ და იხურავდნენ, თახთე ჯამშიდის[4] კლდეებზე ამოკვეთილ სპარსელებს სნორედ ასეთი სამოსი აცვიათ. აქაურები ადგილობრივ კილოკავზე ლაპარაკობენ.

ღებრმა გვირჩია მეიმანეში ვისაუზმოთ, იქაური მაწონი და რძე საქვეყნოდ არის განთქმული, მაგრამ ჩვენ მაინც დელიჯანის ყავახანაში შევედით, ცოტათი მოვმაგრდით და კვლავ მანქანას მივაშურეთ. ირგვლივ ძველთუძველესი მთები გვერტყა, ისინი ათასფრად ბრწყინავდნენ ზარდახჩაში ჩალაგებული ძვირფასი ქვებივით — იისფრად, მტრედისფრად, ლაჟვარდისფრად, ყავისფრად, ზურმუხტისფრად, შინდისფრად... მთების მიღმა ცისფერი ზეცა მოჩანდა. მთები დროსა და ჟამს გამოეფიტა, ჩამოემზღვლია და ალაგ-ალაგ წიგნის ფურცლებივით ერთმანეთში ჩალაგებული ქანები გამოეჩინა.

მზემ ფერი დაკარგა, გრილმა ნიავმა დაუბერა. ხელმარცხნივ აღმართული მთები თანდათან დადაბლდა და ბოლოს სულ გაქრა. გამოჩნდა მწვანეში ჩაფლული მეიმანეს გუმბათები, მინარეთები, კოშკები და გალავანი, მაგრამ ჩვენ სწრაფად ჩაეუარეთ გვერდი მეიმანეს ყავახანას („ხორშიდს") და მოხრეშილ შარაგზაზე გავედით.

ისფაჰანამდე დიდი გზა აღარ იყო დარჩენილი. ცოტათი ჩამოცხა. შორს გამოჩნდა ბახთიარის მთების მწვერვალები და ფერდობები. უცებ საშინელი ხმაური გაისმა და მანქანა გაჩერდა. შოფერმა თქვა, საბურავი გასკდაო.

---

[1] აბა — ბეწვეულის მოკლე მოსასხამი.

[2] ყაბა — მამაკაცის გრძელი სამოსი.

[3] გივე — ქსოვილისაგან დამზადებული ფეხსაცმელი.

[4] თახთე ჯამშიდ — ჯემშიდის ტახტი (პერსეპოლისი) — ძველი სპარსეთის ქალაქი აშენდა VI-V საუკუნეებში ძვ. წ. მისი ნანგრევებია სამხრეთ ირანში ქ. შირაზის მახლობლად.

მანქანის შეკეთებას დიდი ხანი დასჭირდა, ბოლოს, როგორც იქნა დავიძარით. შორიდან გამოჩნდა სახლების სახურავები, ამწვანებული ხეები და მინდორზე მომუშავე გლეხები. შემდეგ შაჰ-აბასის დროინდელ ქარვასლას ჩავუარეთ. ქარვასლას თავზე აგურის ლაკბარდანი ჰქონდა შემოვლებული. აგურები თითოს გამოტოვებით დაელაგებინათ და შუა-შუა ცარიელი უჯრები დაეტოვებინათ.

მურჩეხურში შევისვენეთ. ისფაჰანამდე ცხრა ფარსანგი დაგვრჩა. გასავლელი გვითხრეს — სედეს სეიდ მოჰამედის მთას რომ გადაივლით, ისფაჰანს დაინახავთო. ჩანდა, მურჩეხური წინათ დიდი და კეთილმოწყობილი ქალაქი იყო, დღეს კი ერთი ნახევრადდანგრეული სოფელია.

ერთი თქმულება მომისმენია: თურმე, როცა ისლამის ლაშქარი შემოიჭრა ამ მხარეში, ჭიანჭველებს უბრძანა, რომ ურწმუნოთა ლაშქრის ცხენები შეეჭამათ. ამ დროიდან აქაურობას მურჩეხორს[5] უწოდებენ.

მანქანაში რომ ჩავსხედით, ღებრმა განაგრძო: — მჭედელი ქავე[6] და გოდერძი ისფაჰანელები იყვნენ. ისფაჰანელები ჭკვიანი ხალხია. რაც ქვეყანაზე ჭკვიანი ხალხია, ნახევარი ისფაჰანელები არიან. იქაურები ახლა ხელობას მისდევენ, ადრე კი მეომრები იყვნენ და ამიტომ უწოდეს ამ ქალაქს სეფაჰანი.[7]

ისფაჰანის სანახებიც გამოჩნდა: ამწვანებული მინდვრები, ხეები, ყანები და ბაღები. შემდეგ მტრედისფერი კოშკები ნამოიმართა. ცოტა ხნის შემდეგ ბოსტნების კვლები და წყალმიგდებული ქვიშნარი დავინახეთ. გლეხები მწკრივად გაშლილიყვნენ მზისგულზე და თოხნიდნენ. სახაშხაშე ყაყაჩო უკვე აყვავებულიყო.

როგორც ჩანდა, ისფაჰანის შემოგარენში მიწათმოქმედება მეცნიერულ საფუძველზეა დამკვიდრებული. ამ მხრივ იგი ევროპის იმ ქალაქებს მოგვაგონებს, რომელთა გარეუბნებში მიწათმოქმედებას მისდევენ. ეს ქალაქი სასანიანთა ეპოქის ქალაქების ცოცხალი ნიმუშია. სამის ნახევარზე გარაჟში მივედით. ჩემს თანამგზავრებს დავემშვიდობე და სასტუმრო „ამერიკას" მივაშურე, რომ ერთი კარგად გამომეძინა. ქალაქის დასათვალიერებლად რომ გამოვედი, უკვე ბინდი ჩამოწოლილიყო.

ჩაჰარბაღის ფართო და გრძელი ბულვარი ისფაჰანელების საყვარელი ადგილია. იგი ხუთ რიგად არის დაყოფილი. აქეთ-იქით ქვაფენილი ჩასდევს ფეხით სასიარულოდ, შუაში სასეირნო ხეივანია და ამ ხეივანს ორივე მხარეს ეტლების და ფორნების სავალი გზა აკრავს. ბულვარს ოთხ რიგად ჩასდევს ბებერი ჭადრები და რუები. ეს ბულვარი ისე ჰგავს ბერლინისა და პარიზის საუკეთესო ბულვარებს, რომ კაცი იფიქრებს, სეფიანთა ბატონობის დროს ევროპელებმა მისი გეგმა გადაიღესო.

ისფაჰანი მდინარე ზაიანდე რუდის პირმშოა. ამ მდინარის ტოტები და ფშანები მთელ ქალაქს ასულდგმულებს. ისფაჰანელებმა მითხრეს, მდინარე მლაშე წყაროებითაც იკვებება და ძალიან წყალუხვიაო. მისი ტოტებისა და ფშანების ნაპირები ხეებით, ბაღებითა და სახლებით არის დაფარული. ნაპირებზე, აქა-იქ, თვალწარმტაცი კორომები მოჩანს, თვითონ მდინარეს კი ალაგ-ალაგ სვლა შეუნელებია და მწვანე წყალმცენარეებით დაფარული ტბორები წარმოუქმნია: სწორედ ამ ტბორების ნაპირებზე რეცხავენ ყალამქარებს, გარეცხილ ყალამქარებს ქვებსა და ქვიშაზე ფენენ გასაშრობად.

ნაპირზე გაფენილი ყალამქარების დარაჯმა მითხრა, ნამდვილი ყალამქარის გაკეთება შემიძლიაო და დანვრილებით აგვიხსნა, როგორ უნდა მოიხატოს ქსოვილი: თურმე ჯერ რკინის ჟანგით მოხატავენ, შემდეგ თანმიმდევრობით წითელი, ლურჯი და ყვითელი საღებავით და ყოველი ფერის დადების შემდეგ კარგად რეცხავენ წყალში, რომ საღებავი გაუჯდეს და აღარ გამოხუნდეს.

ქუჩაში ერთი ამხანაგი შემხვდა. იგი უკვე რამდენიმე წელია ისფაჰანში ცხოვრობს. ერთად წავედით სიოსე ჩეშმეს ხიდის სანახავად. ეს აგურით მკვიდრად ნაგები ხიდი გახლავთ. მდინარე ხიდქვეშ მდორედ მიაგორებდა ტალღებს.

იქიდან ჩაჰარბაღის მედრესესაკენ ავიღეთ გეზი. მედრესეს ნატიფად მოჩუქურთმებული ცისფერი გუმბათი ახურავს თავზე, ისე ახლად გამოიყურება, გეგონება ოსტატებს დღეს

---

5 მურჩეხორ — ჭიანჭველებისაგან შექმნული.

6 მჭედელი ქავე — საგმირო ეპოსის „შაჰ-ნამეს", გმირი.

7 სიტყვიდან სეფაჰ — სპა, ლაშქარი.

დაუმთავრებიათო მუშაობა. კარები ვერცხლის ფირფიტებითა აქვს მოჭედილი და ზედ მშვენიერი ორნამენტები და ნახატებია გამოყვანილი. მედრესე შაჰ სოლთან ჰოსეინის დროს არის აშენებული. იგი გვიანდელი სეფიანების ეპოქის არქიტექტურის საუკეთესო ნიმუშად გახლავთ. აქ ყველაფერი სრულყოფილია — ჩუქურთმა გინდა, ნახატი თუ გაჯით ნაკეთები ორნამენტები. აშურას[8] იყო და მედრესესთან უამრავ ხალხს მოეყარა თავი. ეზოში ალმართულ მემბარზე მწვანე ჩალმიანი სეიდი ასულიყო და თორას, სახარებასა და ყურანს ადარებდა ერთმანეთს. ხალხი აუზის ნაპირებზე ისხდა და უსმენდა. მედრესეში, მგონია, სხვა მეჩეთებისა, ოთხი შემაღლებული კუთხე და მრავალი თაღიანი ნიში იყო. ნიშებს მბრწყინავი გაჯით გამოყვანილი ლამაზი ორნამენტები ამკობდა. ორნამენტები მჭიდროდ იყო ჩამსხდარი ერთმანეთში, მაგრამ ნაყბითა და ფერით განსხვავდებოდნენ.

ისფაჰანის მოსახლეობა სამ ნაწილად იყოფა: პირველ ჯგუფში შედიან ძველი მკვიდრი მცხოვრებლები — სპარსელები, მეორეში — ბახთიარები, ისინი მეტწილად მინათმოქმედები, ხელოსნები და მუშები არიან, მესამეში — ებრაელები.

ერთი გერმანელი პროფესორი ამტკიცებს, ქერმანი და გერმანია ერთი და იმავე ძირიდან წარმოსდგებაო და დაასკვნის, რომ გერმანელები ირანელები იყვნენ და ქერმანიდან გადმოსახლდნენ გერმანიაშიო.

ერთი გერმანიაში მცხოვრები ებრაელი პროფესორი კი ცდილობს დაგვარწმუნოს, თითქოს ისფაჰანი მისი წინაპრების დაარსებულია. ენას ძვალი არა აქვს, ფაქტი კი ის არის, რომ დღევანდელ ებრაელებს მხოლოდ ორი ბინძური რაიონი უჭირავთ: ჯუბარე (ჯიბარუ) და დარედაშთი. ამბობენ, ეს ებრაელები იმათი შთამომავალნი არიან, რომლებიც ყუროშმა[9] შეიფარაო. ისინი ვაჭრობასა და ზარაფობას ეწევიან.

ჩემი დაკვირვებით, ისფაჰანელები ნამდვილად ცოცხალი და თავაზიანი ხალხია. რა თქმა უნდა, სამ-ოთხ დღეში ხალხის ავკარგიანობას ვერ მიხვდები. მე ხომ პირველად ჩამოვედი ისფაჰანში და ამიტომ დარწმუნებით ვერაფერს ვიტყვი. ერთი ამბობს:

ქვეყნად ისფაჰანი რომ არ ყოფილიყო,
ღმერთი ქვეყნის მფლობელი არ იქნებოდაო.

მაგრამ ისფაჰანს დიდი მტერი ჰყავს თრიაქის, ალკოჰოლისა და სნეულებების სახით.

ისფაჰანი ძალზე საინტერესო სანახავია. მრავალი ამერიკელი მოგზაური ჩამოდის ქალაქის დასათვალიერებლად. ამას ხელი შეუწყო ლონდონის გამოფენამ და სარეკლამო წიგნებმა, მაგრამ კეთილმოწყობილი სასტუმროს უქონლობა აბრკოლებს ტურიზმის განვითარებას.

ნავედი ჩეჰელსოთუნის დასათვალიერებლად. ჩეჰელსოთუნის სასახლე ბაღში იდგა. სასახლემ პერსეპოლისი მომაგონა. წინ ხის ოცი წითელი სვეტი აქვს შედგმული. ეს მაღალი სვეტები სასახლის წინ მდებარე ოთხკუთხედ აუზში ირეკლება და ამიტომ ეძახიან ამ სასახლეს ორმოცსვეტიანს. ეს ისფაჰანელ ხუროთმოძღვართა მახვილგონიერებაზე მეტყველებს. თუმცა იმასაც ამბობენ, რომ წინათ ამ სასახლეს ორმოცი სვეტი ედგა, მაგრამ შაჰ სულთან ჰოსეინის დროს ცეცხლი მოედო და მთლიანად დაიწვაო. შემდეგ ხელახლა ააგეს დღევანდელი სახით. სასახლის წინ რამდენიმე ტანაშოტილი და თაქოჩორა კვიპაროსი დგას. სასახლის სვეტი ქვის ლიბოებზეა დადგმული. ლიბოებზე ფრთოსანი ლომებია ამოკვეთილი. ამ სვეტების შუა, შესაძლებელია წინათ აუზი იყო გაკეთებული. კედლებზე ნახატების კვალი ჩანს. ნაწილი ზელე სულთანის დროს გაჯით შეულესავთ, ნაწილი ჩამოუფხეკიათ. ზოგი თავისით გაფუჭებულა და ლურჯი საღებავით დაუფარავთ. ნახატები მხოლოდ ორ ოთახში და ამ ოთახებზე მიდგმულ აივნებზეა შემორჩენილი. ოთახის კედლებსა და ჭერზე შემონახული მხატვრობა ფრიად საინტერესოა. იგი დღესაც მეჩუქურთმეების, მოზაიკის ოსტატების, მქარგავებისა და ხალიჩის მქსოველთა შთაგონების წყაროა. ჩეჰელსოთუნის სასახლის აივნის ჭერი თითქმის ხელუხლებლად არის შემონახული, მხოლოდ კედლების ლავგარდანები და ნასრ ედ-დინ შაჰის პორტრეტია დაზიანებული. ეს პორტრეტი სეფიანთა დროის მხატვრობის უბადრუკი ანარეკლია. დარბაზის გუმბათი ისე ნატიფად არის მოხატული და მოჩუქურთმებული, რომ დიდხანს ვერც კი შეძლებ ყურებას. დარბაზის კედლებზე რამდენიმე ფერწერული ტილო ჰკიდია. ერთზე შაჰ

---

8 აშურა — მუსლიმანი შიტების სამგლოვიარო დღე.

9 ყუროში — კიროსი — სპარსეთის მეფე VI საუკუნეში (ძველი წ.).

ისმაილის რომელიღაც ბრძოლაა გამოსახული, მეორეზე ნადირ შაჰის ლაშქრობა ინდოეთში, მესამეზე — შაჰ აბასის კარზე მოწყობილი მეჯლისი. შაჰ აბასს ულვაშები ყურებამდე სწვდება. იგი შემაღლებულ ადგილზე ზის. ირგვლივ უცხოელი ელჩები და სპარსი დიდებულები უსხედან და ღვინოს შეექცევიან. შუაში მუტრიბები უკრავენ და მოცეკვავეები როკავენ. ამ სურათს რომ უყურებ, შარდენის მიერ აღწერილი მეჯლისები გახსენდება. ამბობენ, ეს სურათები ნადირ შაჰმა დაახატვინა, რათა ხეფიანებისათვის სახელი გაეტეხა ხალხის თვალში — აქაოდა, ქეიფს იყენენ გადაყოლილნი, მე კი ომებსა და ბრძოლებზე ვარ გადაგებულიო.

ამ ტოლოების ქვეშ გაჯი ჩამოცვენილია და კედლებზე პატარ-პატარა ნახატები მოჩანს. მათი უმეტესობა დიდი ხელოვნებით არის შესრულებული. აქ მეტწილად ცნობილი ლიტერატურული ნაწარმოებების გმირებია გამოსახული: ერთგან შეყვარებული ქალ-ვაჟი ღვინოს შეექცევა, მეორეგან ხის ჩრდილში სხედან, ფიალები უჭირავთ და ერთმანეთს ღვინით უმასპინძლდებიან... სასახლეში გამოფენილი ნახატების სტილი სხვადასხვანაირია — ზოგს ჩინური მხატვრობის გავლენა ეტყობა, რამდენიმე ნახატი კი ჰოლანდიურს მივამსგავსე — თემები ევროპულია და მხედრებიც სპარსელებს არა ჰგვანან. ნახატები დაძველებული და მოუვლელია და ზოგ მათგანზე მნახველებს თავიანთი სახელი მიუჯლაბნიათ. ისფაჰანელები, ალბათ, დღესაც ჩეჰელ-სოთუნის კედლებზე გამოსახულ მიჯნურებს ბაძავენ, როცა უქმე დღეს მდინარის ნაპირას ატეხილ ჭალებში გადიან სატრფოსთან ერთად და ხეების ჩრდილში მიირთმევენ ღვინოს.

ამ ნახატებში სამასი წლის წინანდელი ცხოვრების სუნთქვა იგრძნობა. შეყვარებული მხატვარი ყალმით გადმოგვცემს თავის გრძნობებსა და ტკბილი ოცნებების ბურანში გვახვევს. ამ ნახატების ნახვის შემდეგ ვხვდებით, თუ რა მაღალი სულიერი კულტურა იყო იმდროინდელ ირანში, რადგან დროის გამოცდას მხატვრობის, ხუროთმოძღვრების, მუსიკისა და ლიტერატურის მხოლოდ ისეთი ჭეშმარიტი შედევრები უძლებს, რომლებიც ადამიანის გულში ამაღლებულ გრძნობებს აღძრავს.

ირანული მხატვრობის სტილი და მანერა არასოდეს არ ჰკარგავს საკუთარ ელფერსა და მომხიბვლელობას და სწორედ ამით სჯობს ევროპულს, რომელიც ყოველ საუკუნეში იცვლებოდა. რასაკვირველია, ირანული მხატვრობაც განიცდიდა გარკვეულ ცვლილებას, მაგალითად თანამედროვე ინდოელი მხატვრის ნუნდელან ბუსაქის შედევრები ირანული მხატვრობის სახესხვაობას წარმოადგენს, მაგრამ ამ მხატვრობის არსი სასანიანთა დროიდან დღემდე არ შეცვლილა.

ჩეჰელსოთუნიდან ზაჰიბის საქსოვ-საბლებრო ფაბრიკაში მივედით. აქ ოსტატურად იყენებენ ძველებურ ირანულ ორნამენტებს, ხალიჩის ქარგებსა და ბუნებრივ საღებავებს. ამ ფაბრიკაში მშვენიერ ხალიჩებს ქსოვენ.

ხალიჩებს 6-7 წლის ბავშვები ქსოვენ. ერთი მათგანი თავისთვის ბუტბუტებდა: უკვე თორმეტია, უკვე თორმეტია... უკვე თხუთმეტია... ბუტბუტებდა და საოცარი სიმარჯვით უყრიდა ძაფებს მოსაქსოვ ხალიჩას, დრო და დრო თარგს დახედავდა, შალის ფერად ძაფს ამოუყრიდა, გაკვანძავდა და იქვე მიაჭრიდა. ბავშვებს იმიტომ ქირაობენ ხალიჩის საქსოვად, რომ მათ წვრილი თითები აქვთ და ადვილად ართმევენ თავს ამ აზიზ საქმეს.

ვინ იცის, რამდენი ბავშვის შრომა და ჯაფაა ჩაქსოვილი ამ თვალწარმტაც ხალიჩებში, რამდენი ბავშვის აუხდენელი ოცნება! რამდენი ფილტვი დახრულა ჭლექით, ვიდრე ხალიჩა დაზგიდან ჩამოვიდოდა.

დღესდღეობით ისფაჰანი ირანის ყველა ქალაქზე მაღლა დგას ხელოსნობით, მინანქრის დამზადებითა და ოქრომჭედლობით.

შაჰის მოედანი. ალი ყაფუს დათვალიერების ნებართვა ავიღე და შაჰის მოედანზე მივედი. თურმე ამ ადგილს წინათ ნაყშე ჯეჰანის მოედანი ერქვა — იმ კოშკის სახელი ამ მოედანზე რომ იდგა. ამ კოშკში, რომელიც შაჰ აბას მეორემ დაანგრევინა, ძვირფასი ნახატები ინახებოდა. შაჰის მოედანი საკმაოდ დიდია და სამი მხრიდან ისფაჰანის ყველაზე მაღალი შენობებით არის შემოფარგლული. მოედნის თავში მეჩეთი დგას, მის პირდაპირ — ყეისარიეს ჭიშკარია, საიდანაც ისფაჰანის ბაზარი იწყება, გვერდებზე კი ალი ყაფუ და შეიხ ლოთფოლლაჰის მეჩეთი აღმართულა. ამ მოედანზე წინათ ჩოგანბურთს თამაშობდნენ

და ის ორ-ორი ქვის სვეტი, მოედნის თავსა და ბოლოში რომ დგას, ბურთის გასატანი კარების ნაშთია. სეფიანთა დროს ჯერ კიდევ ერთობოდნენ ჩოგანბურთით. ხელმწიფეები ალიყაფუს სასახლის აივნიდან ადევნებდნენ თვალს ცხენოსან მობურთაველებს.

შაჰის მეჩეთი. ისფაჰანში ჩასულს ამ მეჩეთის ადგილმდებარეობის კითხვა არ დასჭირდება — იგი ქალაქის ყოველი კუთხიდან მოჩანს. თვალახვეული რომ ჩავეყვანე ვინმეს ქალაქში და მერე აეხსნათ ბანდი, მაინც ვიპოვიდი, რადგან ამ მეჩეთის მრავალი სურათი მინახავს და ქებაც ბევრი მსმენია. ყველაზე კარგი სანიშნო ის არის, რომ შესასვლელი კარი გუმბათისა და მინარეთის შუაში კი არა, გვერდზეა გაჭრილი, ფასადი და ცისფერი გუმბათი თითქოს ლაჟვარდ ცას ეჯიბრება სიმაღლეში. პირველი დანახვისთანავე გრძნობ, რომ შენს წინაშე ხელოვნების უბადლო ნიმუშია. ეს მეჩეთი შეიძლება გვერდში ამოვუდგინოთ კაცობრიობის მიერ შექმნილ საუკეთესო ხუროთმოძღვრულ ძეგლებს.

მთელი მეჩეთი, შიგნიდან და გარედან, ლაჟვარდისფერი შორენკეცებით არის მოპირკეთებული. მხოლოდ ზეძირკველი აქვს ჩასმული მარმარილოში. ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, თითქოს აქ აგური და კირი არ უხმარიათ და მთელი მეჩეთი ერთი მთლიანი შორენკეცისაგან ჩამოუსხამთო.

მაგრამ მეჩეთი მოუვლელია. გული მოგიკვდება დახეთქილი თაღისა და ჩამოცვენილი შორენკეცების დანახვაზე. შორენკეცები მხოლოდ იმ ორ კედელს არ აკლია, რომლებიც მოედანზე გამოდის. დანარჩენზე მოუპარავთ და გაუყიდიათ. ახლა ეს კედლები ყვავილით დაკენკილ მზეთუნახავს წააგავს.

რა სიდიადეა! რა მშვენიერებაა! თვალს ვერ მოაშორებ აქაურობას! თითქოს ირანელთა შემოქმედებითი სული და გემოვნება, დათრგუნვილი და გათელილი არაბთა შემოსევების შედეგად, კვლავ აღორძინდა სეფიანთა დროს, ახალი ძალით გაბრწყინდა და გონებით წარმოუდგენელი შედევრები შექმნა.

წიგნების გამყიდველმა მითხრა, ეს მეჩეთი შაჰ აბასის ბრძანებით არის აშენებული. თურმე, როცა საძირკვლის თხრა დაუწყიათ, მარმარილოს ქანს წაწყდომიან და სწორედ ამ მარმარილოთია მოპირკეთებული მეჩეთის ზეძირკველი.

როგორც ჩანს, ხუროთმოძღვრება, შენობების მოპირკეთება, მხატვრობა და ფეიქრობა სასანიანთა შემდეგ მხოლოდ ისფაჰანში შემორჩა, სეფიანთა დროს კი თავის უმაღლეს საფეხურს მიაღწია. იმ დროს შექმნილი შედევრები ისლამური ხელოვნების საუკეთესო ნიმუშებად არის მიჩნეული. ის კი, რასაც ინდურ, მონღოლურ და არაბულ ხელოვნებად თვლიან ევროპაში, ფაქტიურად ირანულია. რაც შეეხება არაბებს, ისინი ახლაც ფეხშიშველა დასდევენ უდაბნოში ხვლიკებს და აბა როგორ შეიძლებოდა იმ დროს ხელოვნებაზე ეფიქრათ. ყოველივე, რაც არაბული ხელოვნების სახელით არის ცნობილი, სხვა ერების კუთვნილებაა. დღევანდელი არაბული არქიტექტურაც ირანულის უნიჭო მიბაძვაა მხოლოდ. ახლა, რასაც აშენებენ, არც ირანულია, არც ევროპული. შენობის ყოველ ნაწილს თავისი სიტილი აქვს. — სვეტები ბერძნულ ყაიდაზეა აგებული, თაღი ირანულია, ფანჯრები — ინგლისური. ყველა თავის მხარეს იწევს, გინდა ხელი მოხვიო შენობას, რომ ნაწილ-ნაწილ არ დაიშალოს.

ალი ყაფუ შორიდან ერთმანეთზე გარკვეული პროპორციით დადგმულ სამ ვეება კამათელს წააგავს. წინ ისეთივე აივანი აქვს, როგორიც ჩეჰელ-სოთუნში ვნახეთ. აივანს წითლად შეღებილი სვეტები უდგას. მაგრამ ამ შენობას ასეთი სახელი არ შეეფერება. გადმოცემით, მისთვის სელჯუკიდებს ჩაუყრიათ საძირკველი, შემდგომში კი საფუძვლიანად გადაუკეთებიათ სეფიანებს. ისფაჰანი მთლიანად სპარსული ქალაქია და აქაურები თურქულ ენას ძნელად ითვისებენ. არსებობს თქმულება, რომ ერთი ისფაჰანელი რამდენიმე წელიწადს ცხოვრობდა თავრიზში. როცა უკან ბრუნდებოდა, გამოსაცდელად ჰკითხეს, აქლემს თურქულად რა ჰქვიაო? უპასუხა „დუუჰიო". შემდეგ ჰკითხეს აქლემის შვილს რას ეძახიანო? ისფაჰანელი დაფიქრდა და მიუგო, არაფერსაც არ ეძახიან, დაიცდიან, სანამ არ გაიზრდება და მერე დუუჰს დაუძახებენო.

შეიხ ლოთფოლ-ლაჰის მეჩეთი ალი ყაფუს პირდაპირ არის აშენებული. მეჩეთი ოთხკუთხედი და ერთგუმბათიანია. კედლები გასაოცარი სილამაზის კარგად შემონახული შორენკეცებით არის მოპირკეთებული. მეჰრაბზე წერია: „ოსტატი მოჰამედ რეზა, ოსტატ ჰოსეინის შვილი, ისფაჰანის მკვიდრი. 1208 წელი". მაგრამ შენობის წინა, მთავარ მხარეზე სხვა ოსტატი — ალი რეზაა მოხსენებული და სხვა თარიღია — 1012 წელი. ასეთი ბრწყინ-

ვალე შენობების აგებას, რასაკვირველია, უამრავი წელი დასჭირდებოდა. მეჩეთს ორპერანგიანი გუმბათი ადგას თავზე. შიდა მხარე და კედლები გუმბათისა ჩამოყოლებაზე სიმეტრიულად გამოკრული შორენკეცებით და ლამაზი ნახატებით არის დაფარული. ეტიკმა გვითხრა, ეს მეჩეთი შაჰ აბას დიდმა თავის სიძეს შეიხ ლოთფოლ-ლაჰს აუშენაო. მეჩეთს ქვეშ სარდაფი ჰქონია, სადაც თურმე ზაფხულში სიგრილე დგას, ზამთარში კი — სითბო.

ხაჯუს ხიდი ქარვანსარაის წააგავს. თავში და ბოლოში თაღებია ქვა-სამი სართულის სიმაღლისაა და სულ ცოტა თვრამეტ ბურჯიანია. ქვედა სართულში მკვრივად არის ნაგები ქვით. ყოველი ბურჯის წინ ქვის შვერილებია, რომლებშიც ფიცრებს აწყობენ და წყლის დონეს მაღლა სწევენ, რომ ნავებით ისეირნონ. ამბობენ, ზელე სულთანი ხშირად გადააკეტინებდა ხოლმე მდინარეს, მაშხალებს გააშვებინებდა და ნავით დასეირნობდა თავის ჰარამხანასთან ერთადო.

მეორე დღეს წავედი ჯამეს, მთავარი მეჩეთის დასათვალიერებლად. ქალაქში მრავლად ნახავთ პატარ-პატარა, დანგრევის პირას მისულ მეჩეთებს. ძველებური აბანოების ფასადზე კიდევ არის შემორჩენილი როსტომის, აფრასიაბის, ფარჰადისა და შირინის[10] გამოსახულებანი. მიზეზი ვიკითხე და ერთმა კაცმა ამიხსნა, ისფაჰანელები დილაადრიან დადიან საბანაოდ და ეს სურათები იმიტომ დახატეს, რომ დილიდანვე ჩაუნერგონ გულში ძველი ირანის ზღაპრული გმირების პატივისცემა და სამშობლოს სიყვარული. ამავე მიზნით კითხულობენ „შაჰ ნამეს" ყავახანებსა და სასაუზმეებში. ჯამეს მეჩეთი თითქმის ბაზრის ბოლოში დგას, ქალაქის ძველ უბანში. ამ მეჩეთის ხუროთმოძღვრება და გაფორმება გაცილებით საინტერესო და ძველი ჩანს, ვიდრე სხვა მეჩეთებისა — სულ ცოტა 1200 წლისა იქნება. ცნობილია,, რომ თავიდან ამ ადგილას ცეცხლთაყვანისმცემელთა ტაძარი იდგა, რომელიც რამდენჯერმე დაუნგრევიათ და ხელახლა აუშენებიათ. ერთ-ერთი თაღი ხოჯა ნეზამ ოლ-მოლქის აგებულია. ეს მეჩეთი ირანული ხელოვნების სხვადასხვა სტილის განვითარების ნიმუშია, მაგრამ სამწუხაროდ, დანგრევის პირას არის მისული. შორენკეცების უმეტესობა დაუტაციათ, მაგრამ დარჩენილების მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ ისინი უჩვეულო სილამაზითა და განსაკუთრებული სტილით გამოირჩეოდნენ. აქ ვხედავთ შორენკეცების მოზაიკას,, უბადლო სილამაზის მხატვრობას, თაბაშირის ორნამენტებს, ქვაზე და აგურზე ამოკვეთილ ჩუქურთმებსა და ბარელიეფებს.

ისფაჰანის ძველი ბაზრის ერთ-ერთ ვიწრო ქუჩაბანდში დგას ჰარუნვილაიეთი ანუ მედრესე „ჰარუნიე". იგი შაჰ ისმაილის დროინდელი ნაგებობაა და მნახველს კარგ შთაბეჭდილებას უქმნის იმ ეპოქის არქიტექტურაზე. კარის თავზე ორი ფარშევანგია გამოხატული ქაშანურ ფილებზე. იქვე, ფრიზზე, წარწერაა: „შაჰ ისმაილ ბაჰადორ ხანი" და თარიღი 918.

შიგნით საკმაოდ ძველი აკლდამაა, რომელშიც თითქოსდა ვილაც ებრაელია დაკრძალული. ამ მედრესეს უფრო მდაბიო ხალხი ეტანება — ღმერთს შემწეობას სთხოვენ და აღთქმას დებენ. სულთან სანჯარის მეჩეთის წინ ერთი მთლიანი ქვისგან გამოთლილი ღორის ტანიანი ლომის ქანდაკებაა. თავი სასანიანთა ეპოქაში გამოქანდაკებულ ლომს მიუგავს. კისერზე საყელური აქვს, პირით კაცის თავი უჭირავს, კაცს დანაოჭებული სახე და იმპერატორ ვილჰელმის ულვაშები აქვს. ლომს მარცხენა მხარზე გრავირებული ხმალი ჰკიდია, კუდი მარჯვენა ფერდზე აქვს მიკრული, მაგრამ ბოლო ზედ ხმლის პირდაპირა აქვს მოტეხილი. კუდი თავდაპირველად, ალბათ, მხრამდე უწევდა და ფოჩით ბოლოვდებოდა. ეს ლომი უცნაური სტილით არის გამოქანდაკებული. თანამედროვე ევროპულ ნამუშევრებსაც წააგავს და მექსიკის მიწაზე ნაპოვნ ძველთაძველ ქანდაკებებსაც.

სულთან სანჯარის მეჩეთს ალის მეჩეთსაც უწოდებენ. მისი მაღალი, სანახევროდ დანგრეული მინარეთი თლილი აგურით არის ნაგები. შორენკეცები აქა-იქ უხმარიათ შესამკობად. ეს მეჩეთი ტაშკენტისა და თურქესტანის ნაგებობებს წააგავს. ახლა მისგან ბევრი აღარაფერი გადარჩენილა — სანახევროდ დანგრეულია.

იმამზადე ისმაილის აკლდამა აქედან კარგა მოშორებით მდებარეობს. იქ მისასვლელად ვიწრო, მტვრიანი ქუჩების გავლა მომიხდა.

იმამზადე ისმაილის მეჩეთის ფასადი ძუნწად არის შემკული შორენკეცებით, ზედა ნაწილზე შაჰ სეფის სახელია წარწერილი. კარი მოოქროვილი რკინის ფირფიტებითა აქვს

10 „შაჰ-ნამეს" გმირები.

შეჭედილი, მაგრამ უკვე საკმაოდ დაძველებულია. შიგნით სიცარიელე სუფევდა, ძეხორ-ციელისთვის არ მომიკრავს თვალი. მეჰრაბზე[11] 11000 წელი აწერია. პატარა ოთახი, სადაც აკლდამაა მოთავსებული, სწორუპოვარი სილამაზისაა. კედლები შუამდე დაფარულია მწვანე, ექვსკუთხა, რელიეფური შორენკეცებით, ზედა ნაწილი თაბაშირის ძველებური, სათუთი ჩუჭურთმებით, ოქროს საღებავით დახატული ფიგურითა და ყვავილოვანი ორნამენტით არის შემკული. თაღს ზემოთ, გუმბათში გამოკვეთილი პატარ-პატარა თარჩების ნატიფი ორნამენტი და ოქროთი დაფერილი მოხატულობა თვალს ჩეჰელსოთუნის სვეტების მხატვრობასავით იტაცებს. შესაძლებელია, სჯაბნის კიდეც მას. ტალანში განსაცვიფრებელი სილამაზის მოზაიკაზე ამოტვიფრულ წარწერებს მცენარეული ორნამენტი აქვს შემოვლებული.

დარულ-ბოთი ანუ დარობლ-ბათიხი თითქმის ქალაქის ბოლოს, ფაჩინარშია აგებული. ისფაჰანელების მთავარი სასეირნო ადგილი ჩაჰარბაღია, მაგრამ რვა საათზე ხალხი შეთხელებას იწყებს და თერთმეტ საათზე კაციშვილს ველარ დალანდავ. მხოლოდ ნოვრუზის[12] დღეებში ჩამოდის ისფაჰანში მრავალი ტურისტი.

ნაშუადღევს მე და რეზავი ჯულფის სანახავად წავედით. ჯულფა ზაიანდე რუდის გადაღმა ნაპირზეა გაშენებული, სიოსეჩემეს ხიდიდან იწყება და მარნენის ხიდთან მთავრდება. ჯულფის ვიწრო ქუჩებს ჩინარები ამშვენებს, ისეთივე მაღალი და ლამაზი ჩინარები, როგორიც ჩაჰარბაღის ხეივანში დგას. ჩემმა ამხანაგმა მიამბო, რომ შაჰ აბასის დროს ღამღამობით ახალდარგულ ჩინარებს იპარავდნენ. ეს ამბავი ხელმწიფის ყურამდე რომ მივიდა, ბრძანა, ყარაული დააყენეთ და ქურდი დაიჭირეთო. გამოირკვა, რომ ხეებს სომხები იპარავდნენ. შაჰ აბასმა ბრძანა, თუ შურიხ და მტრობით იპარავენ და წვავენ, დასაჯეთ, თუ დასარგავად უნდათ, ხელი არ ახლოთო. თურმე ამ ხეებს სწორედ იმიტომ იპარავდნენ, რომ ჯულფა გაემშვენიერებინათ.

ეკლესიის კოშკი და საათი შორიდანვე მოჩანს. ალაყაფის კარი ახალშებმულია და ეკლესიაზე მიდგმული სახლიც ახალმიშენებული ჩანს. ეკლესიის ზედა ნაწილზე სომხური წარწერა და თარიღია. მე მარტო თარიღის 1606-1654 — ამოკითხვა შევძელი.

თუმცა ეკლესია გაჰკიოდა, მაშ აბასის ოსტატების ხელითა ვარ შექმნილიო, ჩვენი სომეხი მეგზური თავგადაკლული გვიმტკიცებდა, შენობა სულ ჩვენი აგებულია, მხატვრები კი ევროპიდან მოვიწვიეთო. ალბათ, ეგონა ეს კაცი(იმიტომ)ჩამოვიდა ისფაჰანიდან, რომ დაამტკიცოს, ეკლესია სომხების აშენებული არისო! ცოტაც და,. იტყოდა, ჩეჰელსოთუნიც ჩვენი აშენებულია და ისიც ევროპიდან ჩამოყვანილ ოსტატებს მოვახატვინეთო.

ეკლესიის პირდაპირ პატარა მუზეუმი აუგიათ, რომელშიც თავმოყრილია ექსპონატები სპარსეთში სომხების გადმოსახლების შესახებ, რელიგიური რელიქვიები, წიგნები და სხვა ნივთები. სხვათა შორის, აქ მრავლად ნახავთ სეფიანთა ეპოქის მატერიალური კულტურის ნიმუშებს.

მუზეუმის ბოლო ოთახში ეკიდა ჩარჩოში ჩასმული ყველა ფირმანი, რაც შაჰ აბას დიდისა და ეერიმ ხანზენდისდროიდან ნასრედ-დინ შაჰის დრომდე გამოუციათ. ეს ფირმანები სხვადასხვა შეღავათს ანიჭებდა ირანში გადმოსახლებულ სომხებს.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, მუზეუმი თუმცა დიდი არ არის, მაგრამ სუფთაა და კარგად არის მოწყობილი. კარგი იქნებოდა, ირანში ეროვნული ძეგლების დასაცავად მიწვეულ რომელიმე უცხოელს, თუნდაც პატარა, მაგრამ საქმის ცოდნით მოწყობილი მუზეუმი გაეხსნა ჩვენში.

მუზეუმის კანცელარიაში საგანგებო წიგნი იდო, რომელშიც შემოწირულებების თანხასა და შემწირველის სახელს წერენ. მეგზურმა თაგორის, დინშაჰისა და იაპონიის კონსულის ჩანაწერები გვიჩვენა.

ეკლესიიდან სომხების სასაფლაოზე წავედით. შემდეგ მუსლიმანთა სასაფლაოს მივადექით. იქ მისვლამდე გზის პირას მდგომი მტრედების კოშკიც დავათვალიერეთ. კოშკი ჭადრაკულ ყაიდაზეა აგებული, შიგნით ყველაფერი მინგრეულ-მონგრეული იყო. მტრედებს დიდი სარგებლობა მოაქვთ ისფაჰანის მიწათმოქმედებისათვის. იქაური მიწა მწირია, თვი-

---

11 მეჰრაბ — ნიში მეჩეთში, რომელიც მექასკენაა მიმართული და შიუთითებს მუსლიმანებს, საით იბრუნონ პირი ლოცვის დროს.

12 ნოვრუზი — ახალი წელი ირანში, იწყება მზის ბუნიოსის დღიდან — 21 ან 22 მარტს.

თონ ისფაჰანელები ამბობენ, ჩვენი მინა შევახშესავით გაუმაძღარია, აურაცხელ შრომასა და ჯაფას თხოულობსო.

ქალაქში შებინდებისას დავბრუნდით. ამხანაგმა შინ მიმიპატიჟა. აივანზე ავედით და სავარძელში ჩავსხედით. რეზავის მეუღლემ, ირლანდიელმა ქალმა, — ჩაი და ტკბილეული მოგვართვა და ხმოვან ფილმზე დამინყო საუბარი. მე რამდენიმე ფილმი დავუბახელე. ქალმა ამოიოხრა და დაინუნუნა, ისფაჰანის ჰავა უფრო მრგებს, მაგრამ აქ გასართობები ნაკლებად არისო.

მეორე დილას, იმამ ჰოსეინის მოკვლის დღეს, მე, რეზავი და ბარნი ეტლში ჩავსხედით და მოქანავე მინარეთის სანახავად წავედით.

მეეტლემ სოფელ ქოლაჰდუნში (იგივე გარდალანში) მისვლამდე ეტლი გზისპირას გამართულ ჩარდახის ჩრდილში გააჩერა. აქ ნასრაბადის პორტალი იდგა, 600 წელს აშენებული და ფრიად ლამაზი შორენკეცებით შემკული. ეტლიდან ჩამოვედი და პორტალს მივაშურე დასათვალიერებლად, მაგრამ, შავ ჩადრში გამოხვეულმა დედაბერმა სისინით მითხრა:

— ბარემ ძაღლიც ნამოგეყვანა! აბა, დაიკარგე აქედან, აქ საშენო არაფერია!

მალე ქოლაჰდონში მივედით. მოედანზე მომტირალთა ჯგუფი დავინახეთ. იქვე ორი პატარა მინარეთი იდგა. შორენკეცები აქა-იქ ჰქონდა მიკრული. თითოეული მინარეთიდან ოთხი მოულოდნელი კოჭი იყო გამოჩრილი. ეს იყო ცნობილი მოქანავე მინარეთი. თაღიან ტერასაზე ამ ორი მინარეთის შუაში, ოთხკუთხედი, მიწიდან ერთ წყრთაზე აცილებული აკლდამაა. გვერდებზე არაბული წარწერა მოჩანს, კედელში ჩაშენებულ ქვაზე კი იკითხება: „აბდ ოლ — ლაჰ მოჰამედ ბენ საყლავი, 716 წელი". შემდგომში ერთ წიგნში ამოვიკითხე: „აბდოლ-ლაჰ სეიყალანი, რომელიც მოქანავე მინარეთთან არის დასაფლავებული, ხოდაბენდეს დროს ცხოვრობდა". მე და ჩემი ამხანაგი მინარეთზე ავედით. ასასვლელი ვიწრო და მოუხერხებელი იყო. შევამოწმეთ და დავრწმუნდით, რომ მინარეთი მართლა საგრძნობლად ქანაობდა. აქედან მშვენივრად მოჩანს ისფაჰანი და მისი შემოგარენი: ამწვანებული მინდვრები, მტრედების კოშკები და ხაშხაშის ნათესები, რომელიც შორიდან ახალმოსული თოვლი გეგონება. ხალხის თქმით მინარეთს აქ დასაფლავებული აბდოლ-ლაჰ მოჰამედის ლოცვა აქანავებსო.

აქ მეტი აღარაფერი იყო სანახავი და ცეცხლთაყვანისმცემელთა სამლოცველოს სანახავად წავედით.

ეტლი მთის ძირში, ყანის ნაპირას გავაჩერებინეთ და ჩამოვედით. მთა პატარა და წვეტიანი იყო, ადვილად ასასვლელი ჩანდა, მაგრამ ბილიკი ვერ ვუპოვეთ. მთის წვერზე შენობის დანგრეული კედლები მოჩანდა. სამლოცველოს ასაგები ადგილი დიდი გემოვნებით შეურჩევიათ. ზევით რომ ავედით, ფეხზე მდგომი მხოლოდ ერთი მრგვალი, რვაკარიანი შენობა „ჰაშთდარი" ვნახეთ. ახლომახლო სხვა შენობების ნანგრევები ეყარა. ყველა შენობა ვეება ალიზებით იყო აგებული. ალიზებში მოზელისას ლერწმის ღეროები ჩაეტანებინათ რაც არ დაენგრიათ, მკვიდრად იდგა და ალიზებიც ისე გამოიყურებოდა, თითქოს გუშინ ამოუღიათ კალაპოტიდანო. ამ მთიდან შესანიშნავად მოჩანს ისფაჰანი. ჰაშთდარი სხვა ნაგებობებზე მაღალი უნდა ყოფილიყო. იგი ზედ მთის წვერზეა აღმართული და რვა სულმთლად ერთნაირი კარი აქვს შებმული. ყოველ კარს თავზე სარკმელებივითა აქვს ამოჭრილი მოზრდილი ნახევარმთვარეები. შიგნიდან თითოეული კარის თავზე პატარა თაღჩენია შეჭრილი, ისეთი, ძველებურ სახლებში რომ იციან, ოღონდ ზედა ნაწილი გაშლილ კუთხეს მიუგავს. ჰაშთდარის შუაში ოთხკუთხედი მეჰრაბია. იგი მეჩეთის მეჰრაბს ჰგავს.

მთაზე, ცოტა მოშორებით უფრო დიდი ნაგებობა მდგარა, მაგრამ ახლა ძირიანად დანგრეულია და ნანგრევები ბორცვივით არის დაზვინული ერთ ადგილზე. გადმოცემით, ქალაქი ფაჰლე ამ მთის ძირას იყო გაშენებული. როგორც მთის სახელწოდებიდან ჩანს, წინათ, ალბათ სასანიანთა დროს, მთაზე ათეშქადე[13] იდგა. აქაურები ამბობენ, აქ ახლაც ამოდიან ცეცხლთაყვანისმცემლები.

სიცხემ და სიარულმა დაგვაოსა. მდინარის ნაპირას მივედით და ხის ჩრდილში დავსხედით დასასვენებლად. მთისძირას ვილაც წვერშევერცხლილი გლეხი ნათესებს რწყავდა. ცოტა ხნის შემდეგ მოგვიახლოვდა და ჩვენს გვერდით ჩაცუცქდა. ჩემმა ამხანაგმა მთაზე მიანიშნა და ჰკითხა, წითლად რომ მოჩანს რა არისო? გლეხმა მიუგო, მაგ ადგილს ჩეშ-

13 ათეშქადე — ცეცხლთაყვანისმცემელთა ტაძარი.

მეიე მანზარი ჰქვია, წითლად რომ იხედება, ყვავილები. ყვავილები ცხვარს რომ მოუსვა რქაზე, გაასუქებს, ხეხილს რომ მოუსვა, ტოტები ნაყოფით დაიხუნძლება. ალიხა და ტალახი თხებით აჰქონდათ მთაზე.

ბოლოს ეტლს მივაშურეთ, რომ დათქმულ დროზე მივსულიყავით მოქანავე მიხარეთებთან, სადაც მოსასვენებელ ადგილს დაგვპირდნენ. ბარნიმ იბანავა, ტანსაცმელობა გადაიყარა, მაგრამ ეტყობოდა, წყალი მაინც არ ეთმობოდა და ნამისფლისწინ ეტუნვა და სირბილი ატეხა, აქეთ და ცოტა ხანს კიდევ დავრჩეთო.

ჩაჰარბაღის ხეივანს შელამებისას მივალწიეთ. ჩაჰარბაღის მედრესესთან ერთი ყვირილი და კივილი იდგა — ჰოსეინს დასტიროდნენ. მთვარე რონინით ამოდიოდა ცის კაბადონიდან.

არდადეგების ბოლო დღე იდგა და აქაურობა უნდა დამეტოვებინა. ამხანაგს დავემშვიდობე, ისფაჰანის სამახსოვროდ „ჰავაის გიტარები" გამოვართვი და გარაჟს მივაშურე, გარაჟის კედელზე კალენდარი ეკიდა, თაეზე თახთე ჯამშიდის სურათი ეხატა, დაბლა კი ჩეჰელსოთუნი და ალი ყაფუ.

შემთხვევით ის შოფერი ვნახე, ისფაჰანში რომ ჩამომიყვანა. მომესალმა და მითხრა:

— ასე მალე რატომ ბრუნდებით უკან? შირაზში წადით, იქ ბევრი რამ არის სანახავი. ახალი ხეივნები გააშენეს, წყალი და ჰაეაც სხვანაირია.

პირობა მივეცი, მომავალ წელს აუცილებლად წავალ-მეთქი და ჩაჰარბაღის ხეივნისაკენ გავსწიე, რომ ისფაჰანს გამოვთხოვებოდი. განა კაცს სამი-ოთხი დღე ეყოფა ისფაჰანის გასაცნობად — ქალაქისა, რომელსაც სეფიანთა დროს ქვეყნის შუაგული უწოდეს, სადაც ლაჟვარდისფერი შორენკეცებით შემკული გუმბათები და მინარეთები ახარებენ თვალს; ქალაქისა, რომელიც სასანიანთა დედაქალაქს — თესიფუნს არ უდებდა ტოლს და ახლაც გვახარებს თავისი ჯადოსნური სილამაზითა და სიდიადით.

ახლაც, თვალს რომ დავხუჭავ, გონების თვალით ვხედავ ბრწყინვალე ორნამენტებითა და ნახატებით შემკულ შორენკეცებს. კაშკაშა მთვარეს, მინარეთების სილუეტებს, გუმბათებს, თაღებს, შაბესთანებს,[14] თვალუნვდენელ ველ-მინდვრებს, ამწვანებულ ყანებსა და ბაღ-ბოსტნებს, ხაშხაშის თეთრ ყვავილებს, ქვებზე მოხტუნავე ზაიანდე რუდს... ყველაფერი ერთიმეორის მიყოლებით კინოლენტივით ჩამიელის თვალწინ. აი, მდორედ ტრიალებს ფირფიტა და ჰაერში „ჰავაის გიტარების" ნერვიანი ბანგები იფრქვევა. ამ დროს, არ ვიცი რატომ, მახსენდება მთაზე აღმართული ათეშქადე და ყურში ის მელოდია ჩაშესმის, რომელსაც უხსოვარ დროში მღეროდნენ ცეცხლთაყვანისმცემლები. ეს პატარა, ბებერი გორა ხომ რაღაც ჯადოქრობით სწორედ იმიტომ ამოზრდილა მინიდან, რომ ზედ ცეცხლთაყვანისმცემელთა სამლოცველო აეგოთ! სწორედ ამიტომ აღმართულიყო ეს სამლოცველო ასე განმარტოებით — ქალაქს, ხალხს, ცხოვრების ორომტრიალს განრიდებული. დღისით თვალისმომჭრელად ბრწყინავდა მზეზე ეს რვაკუთხიანი თოლიივით თეთრი ალიზის ტაძარი, ღამით კი, როცა ირგვლივ სიჩუმე და სიმარტოვე დაივანებდა, შუა ტაძარში ცეცხლი აგიზგიზდებოდა, გაყინულ გულებს სითბოს ანიჭებდა და ყოველდღიური ჭირ-ვარამით დამაშვრალს ზეცასთან ალაპარაკებდა. ცეცხლი ხომ ყველაფერს წმენდს და ასპეტაკებს ამ ქვეყნად!

გიტარაზე დაკრული ჰავაის ჰანგებიც თითქოს გარდასულ დღეებს დასტიროდნენ და მეც ალბათ ამიტომ მახსენდებოდა ეს ძველთუძველესი სამლოცველო. უნდა დავტოვო აქაურობა! ერთმა დიდმა პოეტმა თქვა: „გამგზავრების ჟამის მაუწყებელი ხმის გაგონება ერთგვარი სიკვდილია". როცა ადამიანი საყვარელ ადგილს ემშვიდობება, თავისი არსების ნაწილს ტოვებს იქ და სანაცვლოდ იქაურობის სიყვარული მიაქვს. ახლა, როდესაც ამ ქალაქის დატოვებას ვაპირებ, ვგრძნობ, რომ რაღაცა დავკარგე, რაღაცა მაკლია, მაგრამ რა? ალბათ სულისა და გულის ნაწილი, რომელიც მთაზე აღმართულ პატარა სამლოცველოში დავტოვე.

□

[14] შაბესთან — ღამის ლოცვისათვის განკუთვნილი სენაკი.

თომას მანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელოვანი და საზოგადოება (1952)

გერმანულიდან თარგმნა ლია თაქვარელიამ

ხელოვანი და საზოგადოება! — ნეტა ვინმემ თუ იცის, ვეკითხები ჩემს თავს, რა საჩოთირო თემის წინაშე ვდგავარ ახლა. ოითქოს ეჭვიც არ მეპარება, რომ ეს ყველას ძალიან კარგად მოეხსენება, მაგრამ ზოგიერთს რატომღაც მიამიტური პოზა მიუღია. რატომ ამთავითვე არ უნდა ვუწოდოთ ამ თემას „ხელოვანი და პოლიტიკა". სიტყვა „საზოგადოებაში" ხომ პოლიტიკური აზრი იმალება და იმალება ძალიან ცუდადაც, რადგან ხელოვანი, როგორც საზოგადოების კრიტიკოსი, პოლიტიკას მიდევნებული და, თუ სათქმელს ბოლომდე ვიტყვით, პოლიტიკაში შეჭრილი მორალის მატარებელი პიროვნება უფროა. — ყველაზე სწორი იქნება ამ თემას „ხელოვანი და მორალი" ვუწოდოთ, მაგრამ რა ფერაგულად წამოჭრილი პრობლემაა! აკი შესანიშნავად ვუწყით, რომ ხელოვანის ბუნებაში ოდითგანვე მორალური საწყისი კი არა, არამედ ესთეტიკურია არსებითი, რომ მისი უმთავრესი იმპულსი თამაშია, და არა სათნოება, რომ მას მხოლოდ ნაივურად თუ გამოსდის მორალის პრობლემებითა და ანტინომიებით დიალექტიკური თამაში...

მე სულაც არ მინდა დავამცირო ხელოვანის როლი და ვთქვა, რომ მას უშუალო დამოკიდებულება არა აქვს მორალთან, პოლიტიკასთან და საერთოდ არანაირ საზოგადოებრივ პრობლემასთან. მე ვერც იმ ხელოვანს გავამტყუნებ, რომელიც აცხადებს, რომ სამყაროს ზნეობრივი თვალსაზრისით „გაუმჯობესება" მისი ყაიდის კაცთა საქმე არ არის. ხელოვანი „აუმჯობესებს" სამყაროს არა ზნეობრივი გაკეთილების დახმარებით, არამედ სულ სხვანაირად. იგი თავის პირად ყოფას და მის კვალობაზედ საერთოდ ცხოვრებასაც სიტყვაში, სახეებსა და იდეაში ამკვიდრებს, ფორმასა და შინაარსს აძლევს მას და ეხმარება გონს, რომელსაც გოეთე „ცხოვრების ცხოვრებას" ეძახის, მოვლენათა გულისგულს ჩასწვდეს. ვერ შეედავები ვერც მოსაზრებას, რომ ხელოვნების ამოცანა სხვა არა არის რა, თუ არა ძალთა მოკრება ყველანაირი გაგებით. გოეთე, ვის გამონათქვამებსაც ხშირად ვიშველიებ ხოლმე, რადგან სამყაროს უმრავლეს საგანთა შესახებ მას ყოველთვის მოეძებნება ყველაზე სწორი და ყველაზე მოხდენილი სიტყვები, მოკლედ და ნათლად ამბობს: „საკვლევით შესაძლებელია ხელოვნების ნაწარმოებს მორალური შედეგებიც მოჰყვეს, მაგრამ ხელოვანს რომ მორალური ამოცანები და მიზნები დავუსახოთ, ეგ უკვე მისი საქმიანობის წახდენაა". სიტყვა „საქმიანობა" აქ ეცნაური გაუბედაობით ჟღერს, და რომ ხელოვანისეულ კრძალვაში მორალიზაციის წინაშე გაუბედაობას ხელი ურევია, აშკარად ჩანს გოეთეს სხვა გამონათქვამში. მხცოვანი გოეთე ამბობს: „არასოდეს ჩემი სტიქია არა ყოფილა საზოგადოებრივი ინსტიტუტების წინააღმდეგ გამოსვლა. ასეთი რამ ყოველთვის ქედმაღლობად მიმაჩნდა. იქნებ იმიტომაც, რომ ძალიან ადრე გავხდი თავაზიანი. ერთი სიტყვით, ეს ჩემს ბუნებას ვერ ეგუებოდა, ამდენად მათ მხოლოდ ფრთხილად თუ შევეხებოდი". ამ სიტყვებში საკმაოდ ნათლადაა დახასიათებული ხელოვანის მორალური, პოლიტიკური და საზოგადოებრივი კრიტიკიზმი, ვითარცა დადგენილ საზღვრებს გადაბიჯება და გაუბედაობის უკუგდება. და განა ეს უკანასკნელი ბუნებრივი არ არის ხელოვანისათვის?

მართლაცდა ბუნებრივია და ბუნებრივია არა მხოლოდ თავისი დამოკიდებულების გამო სინამდვილისა და მისი „ინსტიტუტებისადმი", არამედ, თვით ხელოვნებისადმიც, რომლის წინაშე

თითქმის ყველა ხელოვანს მოიცავს საკუთარი არარაობის შეგრძნება, დაუჯერებლობა იმისა, რომ ხელოვნებას სიდიადესთან რაიმე საერთო ჰქონდეს და როგორღაც წვლილი მიუძღოდეს მის შექმნაში. აბა, წარმოიდგინეთ, ხელოვნება ხომ უმნიშვნელოვანესი და უსერიოზულესი სფეროა ცხოვრებისა, ადამიანური კულტურის მოზეიმე ნიჭი, რომელსაც ოფიციალურ პატივს მიაგებენ სახელმწიფოები და მთავრობები. კაცობრიობის ცხოვრებაში მას ისეთივე [illegible] ადგილი უჭირავს, როგორც მეცნიერებას, თვით რელიგიასაც კი. მოკლედ რომ ვთქვა, [illegible] ადამიანის ცხოვრებაზე მაღალ სულიერ ინტერესებს უტოლდება. ფილოსოფია ისე შორს წავიდა, რომ შემოქმედების ესთეტიკური აღქმის პროცესი ადამიანის უზენაეს მდგომარეობად გამოაცხადა, რამდენადაც იგი ნიშნავს მოვლენაში იდეის წვდომას და ხების განთავისუფლებას ნეტარი ჭვრეტის შემწეობით. აქედან კი აშკარაა, რომ ხელოვანი წარმოადგენს კაცთა მოდგმის უდიდეს განმკითხავს, ხოლო მისი შემოქმედება — ადამიანური გენიის ერთადერთსა და სრულ გაცხადებას. ყველაფერ ამის გამო შეიძლება ხელოვანს, ვისგანაც ხელოვნება წარმოიშობა, თავისი უპირატესობის შეგნება მზვაობრული გრძნობა გასჩენოდა, საკუთარი თავის ფხიზლად შეფასების ნიჭი წართმეოდა და თავბრუდამხვევი სიამაყით აღვსილიყო, მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არ ხდება.

სინამდვილეში ხელოვნება საკუთარ ინდივიდუალობათა შექმნა-გამოვლენისას ყველაფერს თავიდან იწყებს ხოლმე და მიამიტად, შეუცნობლად, თუ გაუცნობიერებლად, ან უფრო ზუსტად, საკუთარი თავის უცნობლად ალალბედზე თუ შეიჭრება ცხოვრებაში. მისი გამოშუქების ყველა შემთხვევა არის უღრესად სპეციფიკური და პიროვნულად გამორჩეული სრულიად განსაკუთრებული შემთხვევა, რომლის დაკავშირება ხელოვნების დიდ და ზოგად იდეასთან თავად შემოქმედს უჭირს, უფრო მეტიც, მას ფიქრშიაც კი [illegible] გაუელის ასეთი რამ, საილუსტრაციოდ ერთ პატარა ამბავს გიამბობთ.

1929 წელს, ზამთრის ერთ დილას, სტოკჰოლმში, გამომცემელ ბონიეს სახლში საუბრისას შევხვდი სელმა ლაგერლოფს, დიდ მწერალ ქალს, ნობელის პრემიის ლაურეატს, შვეციის აკადემიის წევრს. იგი ჩვეულებრივი ქალი იყო, ცოტათი დარბაისლური იერისა. მაგრამ გულითადი ბასიათისა. სახეზე გენიოლობის ხიშანწყალიც არ ემჩნეოდა, არც დიდებული პროფილი ჰქონდა, არც პრეტენზიული ქცევები. ჩვენ ვისაუბრეთ მისი „გოესტა ბერლინგ-საგის" შესახებ. ყველა ენაზე და ყველა ქვეყანაში რომ უცნაური ბიოგრაფია ჰქონდა. „ღმერთო ჩემო, თქვა მან, ყველაფერი ეს მართლაც ასეა, მაგრამ არ გეგონოთ, თითქოს ბევრი მეფიქროს. კიდრე მას შევქმნიდი. მე იგი სრულიად უბრალოდ, ჩემი პატარა ძმისშვილებისთვის დავწერე. ისე, თავშესაქცევად, როგორც ყველა დანარჩენი ჩემი ნაწარმოები: ჩვენ გვწამდა რომ იგი სასაცილო იქნებოდა". ამ სიტყვებმა გამახარა, რადგან ზუსტად იგივე დამემართა მეც (და ეს კიდეც ეუთხარი ჩემს თანამოსაუბრეს) იმ წიგნთან დაკავშირებით, რომელმაც ჩემს მწერლურ ცხოვრებაში ისეთივე როლი ითამაშა, როგორიც „გოესტა ბერლინ-საგამ" სელმა ლაგერლოფის შემოქმედებაში. ეს იყო „ბუდენბროკები". ოცდაოდ, წლის უბეწოფარმა ყმაწვილმა ოჯახურ ყოფაში, სალაღობოდ დავწერე იგი და როცა ამ რომანს ჩემიანებს ვუკითხავდი, ყველანი ცრემლებამდე ვხარხარებდით. აბა, ნაშინ ვინ იფიქრებდა, რომ სამყარო ჩემთვის ამ რომანით დაიწყებოდა და სწორედ იგი გახდებოდა მიზეზი ჩემი შეხვედრისა „გოესტა ბერლინგ-საგის" ავტორთან სტოკჰოლმში.

მე და სელმა ლაგერლოფმა ერთმანეთს ვუამბეთ ეს ორი ამბავი, ახლა კი მინდა თქვენ გიამბოთ ისიც, როგორც მაგალითი იმისა, თუ ვით ვერა სცნობს თავის შემოქმედებით ნაყოფში საკუთარ თავს ჭეშმარიტი ხელოვანი. პირიქით, მასში იგი ხედავს უკიდურესად პირადულ და არაჩვეულებრივ თავშესაქცევს, არავითარი კავშირი რომ არა აქვს კაცობრიობის ფრიად საპატიო ცნებასთან, და არც ერთი წუთით არ მოელის საყოველთაო ყურადღებასა და პატივისცემას. ის, ვინც ასეთ გასართობს აწყობს, სულაც არ მიიჩნევს თავის საქმიანობას ზოგადსაკაცობრიო ღირებულების ღირსად. მისი გაგებით (და უძველ ქარგა ზანია, მარტო ის არ ფიქრობს ასე), ხელოვანი ანცობს, რითაც უჩვეულოდ და ავარდნილად ექცევა ცხოვრების სიდარბაისლეს და არ მგონია, უმწიკვლო იყოს მისი სინდისი, ეს განუყრელი წევრი ადამიანთა საზოგადოებისა, რომლის პრეტენზიები მსგავსი ფუქსავატური მიდრეკილებების გამოვლენისას არადაა მიჩნეული. ეს მე მხედველობაში მაქვს ხელოვანის ბოჰემური გაჩნყობილება, რადგან ბოჰემა, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, სხვა არაფერია, თუ არა სოციალური უწესრიგობა, რაც შერეკილებაში, ჰუმორსა და თვითირონიაში გამეღავნებულ შებღალულ სინდისს ნიშნავს მიურგებულ საზოგადოებასა და მის სულიერ მოთხოვნილებებთან მიმართებით.

ხელოვანის თანამდევი ბოჰემური მდგომარეობა სრულად მაინც ვერ განისაზღვრება, თუ არ გავითვალისწინებთ ხელოვანის ინტელექტუალური და მორალური უპირატესობის შეგრძნებასაც

გაჯავრებულ ბიურგერულ საზოგადოებასთან შედარებით, რომელიც მას აქცევს გირდამავალ საფეხურად ხელოვნების ინდივიდუალურად გაუცნობიერებელ სითამამესა და მის პიროვნულობაზე ამაღლებული სიდიადის წვდომას შორის, რასთან ზიარებასაც ლამობს ინდივიდუუმი. აქედან გამომდინარე ბოჰემური ირონია ორნაირი ხასიათისაა, იგი თვითირონიაცაა და ამავე დროს ბიურგერული საზოგადოებისადმი მიმართული ირონიაც. მაგრამ ყოველივეს უფიროსია სჯობნის ხოლმე და ეს ჯობნება ხანგრძლივია, ვგონებ, საუკუნოც, რადგან [illegible] ყაყმაცად მყარი საფუძველი არსებობს.

ხელოვანი, რომელსაც უნებლიე წარმატება ინდივიდუალურად აზიარებს ხელოვნების ზებიროვნულ სიდიადეს, ინსტინქტურად და ამასთან ირონიულად უარყოფს ყველაფერს, რასაც წარმატება და ამ წარმატებით მიღწეული მაღალი საზოგადოების ღირსება-უპირატესობა ჰქვია; უარყოფს, რადგან უსაზღვროდ ერთგულია ხელოვნების ინდივიდუალური, ყოვლად უმიზნო და ადრეული თამაშისებური მდგომარეობისა, როცა ხელოვნებამ ჯერაც არ იცის, რომ იგი „ხელოვნებაა" და დასცინის საკუთარ თავს. არსებითად ხელოვანი ესწრაფვის, ბოლომდე შეინარჩუნოს ეს მდგომარეობა. და საერთოდ უკეთესიცაა, თუ ხელოვნება არასოდეს მიატოვებს საკუთარ თავზე სიცილს. ხელოვანს სწადია, ყოველთვის სწორედ ეს აკეთოს, ნაცვლად იმისა, რომ სადღესასწაულო იერით შეეგებოს პატივსა და დიდებას, ვერ შეელიოს თავისეულ, პირველყოფილ სიჭაბუკეს. მას შიში იპყრობს საკუთარი პიროვნების განდიდებისადმი, მორცხვი შიში, რაც სხვა არაფერია, თუ არა ხელოვანისეული კრძალვა ხელოვნებისადმი.

ეს შიში უთუოდ გასაგებია. ხელოვანი და ხელოვნება რომ სხვადასხვა ცნებები არიან, განსხვავება ხელოვნებასა და მისი ბუნების საოცარ-განუმეორებელ-უკმარსა და ლამის შეუცნობელ გამქღავნების ფორმას შორის მეტისმეტად დიდია და ძნელად თუ მოიძებნება ამქვეყნად ისეთი ხელოვანი, რომელიც ანაზდად სირცხვილით არ დაიწვის ჭეშმარიტი ხელოვნების ქმნილების ხილვისას. ეს იმიტომ ხდება, რომ ხელოვანის ყველანაირი ვარჯიში ნიშნავს ახალ და, თავის მხრივ, პიროვნულითა და ინდივიდუალურით განპირობებულ, ერთობ არტისტულ შეთვისებას საერთოდ ხელოვნებისადმი და თითოეული ინდივიდუუმი, თავის ქმნილებებს სხვა ხელოვანის წარმატებულ და საყოველთაოდ აღიარებულ შედევრებს რომ შეადარებს, საკუთარ თავს ეკითხება: „იქნება კი, ჩემი ნაცოდვილარი შეედაროს ასეთ დიდებულ რამეს?" „იქნება კი?" — ეს კითხვა არის დასტური ხელოვანის ფხიზელი მოწიწებისა ხელოვნების წიხაშე. და როგორ უნდა დაიშრიტოს ეს ბუნებრივი მოწიწება, როცა იგი გულისხმობს არა მის სამოღვაწეო უბანს — ხელოვნებას, არამედ სინამდვილეს, ადამიანთა თანაარსებობას, ბიურგერულ საზოგადოებას.

აქ აუცილებელია ორიოდე სიტყვით შევეხოთ ხელოვნებისა და კრიტიკის თავისებურ ურთიერთდამოკიდებულებას. ცნობილია, რომ ბევრი ხელოვანი ხელოვნების კრიტიკოსიცაა. შეიძლება ითქვას — მას გამბედაობა ჰყოფნის, იყოს ხელოვნების მსაჯული, მიუხედავად იმ მოჩვენებითი წინააღმდეგობისა, რომ ხელოვნების წინაშე საკუთარი არარაობის მხილველი კაცი ხელაღებით აძლევს თავის თავს უფლებას, ხელოვნების კომპეტენტური მსაჯულის როლი იტვირთოს. კრიტიკული ელემენტი მართლაც რომ თანდაყოლილი ნიშანია ყველა ეპოქის ხელოვნებისა. ჭეშმარიტად დისციპლინირებული ხელოვნება მას გვერდს ვერ აუვლის, და, უწინარეს ყოვლისა, იგი ხელოვანია თვითდისციპლინას ემყარება, მაგრამ ძალიან ხშირად სულიერი ჩაღრმავებისკენაც იხრება, სახელდობრ, კრიტიკული ესთეტიზაციისა და მეცნიერული ანალიზ-შეფასებისაკენ. უმეტესწილად მსგავს მიდრეკილებას მწერლობაში უცნაურად, მაგრამ მომეტებული სინათლით ავლენს ლირიკა, ყოფიერების ეს უნაზესი და უწმინდესი ფორმა. ლირიკა ამკარად უფრო ძლიერადაა დაკავშირებული კრიტიკასთან, ვიდრე დრამატურგია და პროზა, და ამის მიზეზია მისი სუბიექტურობა, თქმის არადისტანციურობა და უშუალობა, რასაც ლირიკულ ლექსში იძენს სიტყვა — გრძნობის, განწყობილების, შეხედულების ეს ბარომეტრი.

სიტყვა! განა იგი თავისთავად კრიტიკა, აპოლონის მშვილდიდან ნატყორცნი ისარი არ არის, თრთოლვით რომ ხვდება მიზანს? იგი სიმღერასავითაა და, ვგონებ, სიმღერაში უფრო მეტადაც, ვიდრე სხვაგან სადმე — სიტყვა წარმოადგენს კრიტიკას ცხოვრებისა, რაც, კაცმა რომ თქვას, არასოდეს ყოფილა სასურველი ქვეყნიერებისათვის. ალბათ, გასაგებია, როცა ხელოვანის საზოგადოებასთან დამოკიდებულებას ვიხილავ, უპირველეს ყოვლისა ვგულისხმობ სიტყვია მხატვარს, ხელოვანს, პოეტს, ლიტერატორს და არ შეგიძლია არ აღვნიშნო, რომ ასეთი ხელოვანის არსებობა, სწორედ იმიტომ რომ იგი თავგადადებულად ემსახურება სიტყვას, უეჭველად უკავშირდება მის ასე თუ ისე ოპოზიციურ დამოკიდებულებას სინამდვილესთან, ცხოვრებასთან, საზოგადოებასთან. მწერლის ბედი ყოველთვის დამოკიდებულია იმ პოზიციაზე, რომელსაც იგი, რო-

გორც ინტელექტუალური პიროვნება, იჭერს ჭირვეული, ცუდსულელური ადამიანური ბუნების მიმართ, და რომელიც არსებითად განსაზღვრავს მის მსოფლშეგრძნებას. „ჭკვის სიმაღლიდან", — თქვა ჯერთხელ გოეთემ, — „მთელი ცხოვრება გულს მომწყვლელი სნეულებაა, ხოლო სამყარო — შეშლილთა თავშესაფარი". ეს არის მწერლის მართალი სიტყვა, რომელიც ამ სოფლისადმი მტანჯველ მდგომარეობას გამოხატავს, ამ მდგომარეობისათვის კი ნიშნეულია ტრაგიკული ღელვა და გამარტოების ხალისი. მაინც რა პრინციპები განსაზღვრავენ პოეტის, მწერლის არსს? ესენია: შეცნობა და ფორმა, ორივე ერთდროულად. განსაკუთრებით ანგარიშგასაწევი ის არის, რომ ხელოვნებისათვის ეს პრინციპები ორგანულ ერთიანობას ქმნიან იმგვარად, რომ ერთი განაპირობებს, იწვევს, მოითხოვს მეორეს. ეს ერთიანობაა მისთვის ყველაფერი: ინტელექტიც, სილამაზეც, თავისუფლებაც. იქ, სადაც ეს ერთიანობა არ არის, ყოველდღიური ადამიანური უგუნურება თუღა სუფევს, რაც უსახობასა და უმეცრებაში ვლინდება და ზუსტად იმის თქმაც გაჭირდება, რომელი უფრო მეტად გვიშლის ნერვებს — პირველი თუ მეორე.

ამგვარად, სწორედ აქ და სხვაგან არსად არ მოიძებნება ფესვები ბიურგერულ საზოგადოებაზე ხელოვანის უკვე ხსენებული ინტელექტუალური და მორალური უპირატესობის გრძნობისა. ამ უპირატესობის გრძნობას კი ხელოვანი იმთავითვე ზრდის თავის თავში თვითირონიის საშუალებით. ეს გრძნობა ესთეტიკის საზღვრებიდან გამოდის და მორალის სფეროშიც აცხადებს პრეტენზიას, თანაც მასვე ძალუძს ყოველად უხამსი და კადნიერი შთაბეჭდილების მოხდენა. და მაინც აშკარაა, რომ ხელოვანის თანდაყოლილ კრიტიციზმს რაღაც ზნეობრივიც ახასიათებს, რაც უეჭველად „სიკეთის" იდეას უთვისდება, ერთნაირად რომ პოულობს ნაკთსაყუდელს ესთეტიკაშიც და ეთიკაშიც. მართლაც, ხელოვნების ყველა დარგისათვის სიტყვა „კეთილს" ორნაირი გაგება აქვს, რაშიც ერთმანეთს ემთხვევიან, ერწყმიან და უერთდებიან ესთეტიკური და მორალური საწყისები, წმინდა ესთეტიკის საზღვრებიდან გამოსული რისი არსიც სწვდება ყველაფერს, რაც კი საერთოდ ღირსსაცნობია და სრულქმნის უმაღლეს იდეასაა ნაზიარები.

კეთილი და ბოროტი, კარგი და ცუდი, — რა დიდი ფსიქოლოგიური დავიდარაბა ასტეხა ნიცშემ ამ დაპირისპირებული ცნებების გარშემო, მაგრამ განა „კეთილი" და „ბოროტი" მართლაც ასე განსხვავებული ცნებებია, როგორც ეს მას ეგონა?

ესთეტიკის სამყაროში აუცილებელი არ არის ყოველგვარი ბოროტება. სისასტიკე, ადამიანისადმი დამცინავი და მტრული დამოკიდებულება ცუდად მიიჩნეოდეს. თუკი ეს „ცუდი" დონეზეა შესრულებული, მაშასადამე „კარგია". — მაგრამ ყოველდღიურ ცხოვრებაში, ადამიანთა საზოგადოებაში ცუდი, სულელური, ყალბი — ეს უკვე ბოროტებაა, რადგან იგი კაცთათვის უკადრისი, დამღუპველი რამაა და როგორც კი ხელოვნებისეული კრიტიციზმი გარესამყაროსაკენ შეტრიალდება, უმალ იგი საზოგადოებრივი, მორალური ხდება, ხოლო თვით ხელოვანი სოციალურ მორალისტად იქცევა.

ჩვენ კარგა ხანია ვიცნობთ მის ამ თვისებას. დღეს რომანი ლიტერატურის გაბატონებული ჟანრი და ფორმა გახდა, და, მგონი თავისი ბუნებით, მგონი კიდევ ex ipso[1] სოციალურ, სოციალურ-კრიტიკულ რომანად წარმოგვიდგა. ასეთი იყო იგი ადრეც და დღესაც ასეთად განიგრძობს არსებობას ყველა ქვეყანაში, სადაც კი აყვავების საფეხურზე ასულა: ინგლისში, საფრანგეთში, რუსეთში, ამერიკაში, ასევე იტალიასა და სკანდინავიის ქვეყნებში. გერმანიაში კი საქმე სხვაგვარად წარიმართა. ის, რასაც გერმანელი „Innerlichkeit"[2]-ს ეძახის, აიძულებს მას ზურგი აქციოს ყველაფერ საზოგადოებრივს. ევროპელი სოციალური რომანის გვერდით გერმანიამ, როგორც ცნობილია, შექმნა უფრო ინტროსპექტული ჟანრი ალზრდისა თუ განვითარების რომანისა, მაგრამ რატომ უკავშირდება ეს ჟანრი, როგორც ნაიეურ-ავანტიურისტული რომანის სუბლიმაცია, სოციალურ რომანს, ამას ყველაზე უკეთ მისი კლასიკური ნიმუში — გოეთეს „ვილჰელმ მაისტერი" მოწმობს. სწორედ ეს დიდებული ქმნილება გვიჩვენებს, რა ძალდაუტანებლად და მოულოდნელად გარდაისახება პიროვნულ-ფანტასტიკური თვითგანვითარების იდეა ალზრდისად და თავისდაუნებურად სოციალურსა და პოლიტიკურსაც ერწყმის. გოეთეს არ გააჩნდა პოლიტიკური ინტერესები და მზად იყო ყოყლოჩინობად მიეჩნია საქციელი იმ ხელოვანისა, რომელიც სოციალურ დაწესებულებებს ედგა კრიჭაში. და თუკი ხახდაბან იგი მაინც ღალატობდა თავის ამ ჩვეულებას, ვთქვათ „ფაუსტის" იმ ველურ, ლექსად სამარადისოდ გამოუთქმელ პროზაულ სცენაში, სადაც მრისხანე იმედგაცრუებით აღვსილი მწერალი აიცხავს დაცემული ასული-

[1] თავისთავად (ლათ.).

[2] დაფარული სულიერი სამყარო, შინაგანი არსი, შინაგანობა (გერმ.).

სადმი მიმართულ საზოგადოების სისასტიკეს, მოგეიანებით იგი მუხრუჭს უჭერს თავის ამ სულისკვეთებას. მაგრამ არ შეიძლება ერთი ხელის მოსმით უარვყოთ გოეთეს საზოგადოებრივი ინსტინქტები, მისი დაინტერესება სოციალური პრობლემებით, უფრო კი საზოგადოებათა ბედის ღრმა ცოდნა, როცა იგი „მოგზაურობის წლებში" თავისი უჩვეულოდ მძაფრი და ჭეშმარიტი ნათელხილვით განჭვრეტს XIX საუკუნის სოციალურ-ეკონომიურ განვითარებას, ძველი კულტურის მჭონე აგრარული ქვეყნების ინდუსტრიალიზაციას, მანქანების გაბატონებას, ცხოვრების ტექნიზაციას, ორგანიზებული მუშათა კლასის აღმავლობას, კლასობრივ კონფლიქტებს, დემოკრატიას, სოციალიზმს, იქამდის რომ ამერიკანიზმსაც მთელი თავისი მზარდი სულიერი და აღმზრდელობითი შედეგებით, ჰო, ყველაფერ ამის უარყოფა გოეთეს არსებაში მთლიანად არაფრით არ შეიძლება, ხოლო რაც შეეხება პოლიტიკას...

ღიახ, რაც შეეხება პოლიტიკას, თვით გოეთესაც კი, როგორადაც არ უნდა განერიდებინა მას ამ პოლიტიკისაგან ხელოვანი, არ ძალუძდა გაერღვია გაურღვეველი მიჯნა, და გამოერიცხა ის კავშირი, რომელიც უთუოდ არსებობს ხელოვნებასა და პოლიტიკას, პოლიტიკასა და გონს შორის. აქ უბრალოდ თავს იჩენს ადამიანურობის ასპექტი და მისი უგულებელყოფა არასგზით არ იქნება. მაშ სხვა რა უნდა იყოს თუ არა პოლიტიკა, გოეთეს ბრძოლა რომანტიკოსების, მათ მიერ აქვიატებული პატრიოტიზმისა და კათოლიციზმის, შუასაუკუნეობრივი კულტის, პოეტური პირფერობა-ტარტიუფიზმისა და ყველა ჯურის რაფინირებული ობსკურანტიზმის წინააღმდეგ. ეს არის პოლიტიკა, ესთეტიკურ-ლიტერატურულად გვარიანად შენიღბული, მაგრამ არსებითად მაინც პოლიტიკა pur sang[1] თუნდაც იმიტომ, რომ მისი ანტიპათიის საგანი — რომანტიზმი თვით იყო პოლიტიკა, სახელდობრ ანტირევოლუციური. ამ პუნქტში შეიძლება თავის დაძვრენასაც შეეცადოთ, თუ ისეთ ცნებებს მოვიშველიებთ, როგორიცაა კულტურული და გონისმიერი პოლიტიკა და მათ „საკუთრივ", „ვიწრო გაგებით" პოლიტიკას დავუპირისპირებთ მოჩვენებითად, მაგრამ ყველაფერი ეს მხოლოდ ადასტურებს ჰუმანიზმის პრობლემის მთლიანობას, რომელსაც არსად და არასოდეს გააჩნია „ვიწრო გაგება", პირიქით, იგი თავის თავში მოიცავს ესთეტიკურს, მორალურსა და სოციალურ-პოლიტიკურსაც.

მაგრამ ჰუმანიზმის ამ მთლიანობასთან ერთად აშკარაა აგრეთვე განსაცვიფრებელი არამთლიანობაც, შეუსაბამობა და წინააღმდეგობრივობაც გონისა და მისი გამჟღავნების ფორმას შორის. რაკი გონი მრავალნაპრალოვანია, ამიტომ მისთვის შესაძლებელია ყველანაირი დამოკიდებულება ადამიანისადმი, თვით არაჰუმანიზმი თუ ანტიჰუმანიზმიც კი, გონი როდი წარმოქმნის რაღაც მთლიან, მონოლითურ ძალას, რომელიც ესწრაფვის სამყაროს, სიცოცხლისა და საზოგადოების საკუთარი ბატის მიხედვით გამოჭედვას. მართალია, იყო მცდელობა სულიერი კულტურის ყველა მოღვაწეთა შორის სოლიდარობის გამოცხადებისა, მაგრამ ეს შეუძლებელი გახდა. ძნელია, დაინახო უფრო ღრმა სიძულვილი, ხიზღით აღსავსე ურთიერთანტიპათია და ურთიერთგაუცხოება. ვიდრე ეს არსებობს გონისმიერი ფორმების ნაირსახოვნად გამომხატველსა და სურვილ-ნების უთვალავ გამოვლენას შორის, რაღაც თვითნებურია ისეთი გაგება, რომლის მიხედვით, გონი თავისი ბუნებით, სოციალურ-პოლიტიკური ტერმინი რომ ვიხმაროთ, თითქოს „მარცხენა ფლანგზე" იდგეს; რომ იგი არსებითად თავისუფლების, პროგრესის, ჰუმანიზმის იდეებს შეესაბამება. ეს ერთობ საკამათო შეხედულებაა. გონს ძალუძს „მარჯვენა ფლანგზე" დგომაც და, ასე გასინჯეთ, უზომო ბრწყინვალებითაც. გენიალური რეაქციონერის ჟოზეფ დე მესტრის „Du pape"[2] წიგნის ავტორის შესახებ სენტ-ბიოვმა თქვა, რომ მას მწერლის მხოლოდ ტალანტი ჰქონდაო. ცუდად როდია ნათქვამი, რადგან ამ ნათქვამში ირეკლება წინასწარ აკვიატებული შეხედულება, რის მიხედვითაც, ლიტერატურისადმი საშსახური იდენტურია პროგრესულობისა, იმავდროულად ისიც საცნაური ხდება, რომ დიდი ტალანტისა და მახვილი გონების პატრონი შესაძლოა იყოს მეხოტბე ანტიჰუმანიზმის, ჯალათობის, კოცონის, ინკვიზიციისა და საერთოდ ყველაფერ იმისა, რასაც პროგრესი და ლიბერალიზმი წყვდიადის სამეფოს ეძახის.

კრიტერიუმად ავიღოთ ისეთი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენა, როგორიცაა საფრანგეთის რევოლუცია: რა დიდ უფსკრულს დაუდია პირი რევოლუციის ფენომენისადმი მიმლესა და ტენის პოზიციათა შორის, როცა ეს უკანასკნელი იაკობინიზმის უალრესად სხარტ კრიტიკას გვაძლევს, ანდა მიმლესა და „Reflection on the Revolution in France"[3]-ის ავტორს, ედმუნდ ბურკეს შორის. ეს წიგნი გერმანულ ენაზე თარგმნა ისეთმა პოლიტიკოსმა რო-

[1] წმინდა წყლის (ფრანგ.).

[2] „პაპების შესახებ" (ფრანგ.).

[3] „ფიქრები საფრანგეთის რევოლუციაზე" (ინგ.).

მანტიკოსმა, როგორიცაა ფრიდრიხ ფონ გენცი. რომელმაც უზარმაზარი გავლენა მოახდინა მთელს თაობებზე და მეც პირველი მსოფლიო ომის დროს, ანუ ჩემი ცხოვრების იმ მოხაკვერში, როცა კონსერვატორულ-ნაციონალისტურ და ანტიდემოკრატიულ განწყობილებათა ტყეკრობაში გახლდით, დიდის გატაცებით მომყავდა ციტატები ამ წიგნიდან. ეს არის მართლაც, რომ უმაღლესი კლასის წიგნი და თუკი რომელიმე საქმის ჭეშმარიტებას ის ფაქტი ასაბუთებს, რომ მის შესახებ კარგს რასმე ამბობენ, მაშინ ბურკეს საქმე ჩინებულად ყოფილა.

იმასაც ნუ დავივიწყებთ, რომ სოციალურ-კრიტიკული მისწრაფებები დიდი ეპიკური ტილოების შემოქმედის ბალზაკისა, უპირატესად „მარჯვნივ" იხრებოდა, თუმცა ბარონი ნუსინგენი — ბურჟუაზიულ-კაპიტალისტური საზოგადოების ეს პროდუქტი, შესაძლოა, გავაკრიტიკოთ არა მხოლოდ მუმარჯვენე, არამედ მემარცხენე პოზიციებიდანაც. ჩვენს დღეებში კონსერვატორული ან, თუ გნებავთ, რეაქციული სოციალური კრიტიკის საოცარ ნიმუშს, უსათუოდ პოეტურ პროგრესულობასთან ერთად, წარმოადგენს არც თუ ისე დიდი ხნის წინ გარდაცვლილი კნუტ ჰამსუნის პიროვნება, ლიბერალიზმის რენეგატი, რომლის ფორმირება დოსტოევსკისა და ნიცშეს ზეგავლენით მოხდა, მას სძულდა ქალაქური ცხოვრების ცივილიზაცია, ინდუსტრიალიზაცია, ინტელექტუალიზმი და ბევრი სხვა რამ; იყო ინგლისის დაუძინებელი მტერი და იმდენად კეთილგანწყობილი ყველაფერ გერმანულისადმი, რომ ჰიტლერის მიერ ძალაუფლების დაპყრობისთანავე დიდის გატაცებით ჩადგა ნაციონალ-სოციალიზმის სამსახურში და გახდა ერთი იმათთაგანი, ვისაც სამშობლოს მოღალატედ უხმობენ. ვინც კი კარგად იცნობდა ამ დიდი მწერლის შემოქმედებას, არ შეიძლება არ გაეოგნებინა მხატვრის სულიერ გზას, მის პიროვნულ ბედს. საკმარისია გავიხსენოთ, როგორი კომიზმითა და გესლიანი ირონიით დასცინის ჰამსუნი თავის ადრინდელ წიგნებში ისტორიული ლიბერალიზმის ისეთ ტიპიურ წარმომადგენლებს, როგორებიც არიან ვიქტორ ჰიუგო და გლადსტონი. ის, რაც 1895 წელს საინტერესო ესთეტიკურ პოზიციად, პარადოქსად და კაზმულსიტყვაობად მიიჩნეოდა, 1933 წელს მწვავე პოლიტიკად იქცა, და ამ პოლიტიკამ მძიმე, მტკივნეული, ტრაგიკული ელფერი დასდო მწერლის მსოფლიო დიდებას.

ჰამსუნის ბიოგრაფია ეზრა პაუნდის ცხოვრებას მოგვაგონებს. მისი ცხოვრება წარმოადგენს სულის გაორების მეორე ამაღელვებელ მაგალითს. ეს თამამი ხელოვანი, ავანგარდისტ-ლირიკოსი, როგორც აქტიური პოლიტიკური მოღვაწე ფაშიზმს მიემხრობა და მის პროპაგანდას ეწევა მეორე მსოფლიო ომის დროს, ხოლო დემოკრატიის საომარი გამარჯვება მას თამაშს წააგებინებს. დაპატიმრებულ და სამართალში მიცემულ მოღალატეს ჟიურიმ, რომელიც ერთობ ინგლო-ამერიკელი მწერლებისაგან შედგებოდა, უმაღლესი ლიტერატურული ჯილდო — ბოლინჯერის პრემია მიანიჭა, რითაც პოლიტიკისაგან ესთეტიკური აზრის უმაღლეს დონეზე დამოუკიდებლობის დემონსტრირება მოახდინა. მაგრამ იქნებ ეს აზრი სინამდვილეში ასე შორს არც იდგა პოლიტიკისაგან, ვიდრე ერთის შეხედვით გვეჩვენება? დარწმუნებული ვარ, მაინტ მე არ მაინტერესებს იმის გაგება, მიანიჭებდნენ თუ არა ჟიურის ეგზომ სახელგანთქმული წევრები პრემიას ეზრა პაუნდს, თუ ის ფაშისტი კი არა, არამედ სწორედ რომ ფაშიზმთან დაპირისპირებული პიროვნება იქნებოდა?

ჩემის აზრით, ფაშიზმმა ჯერ თავისი გამარჯვებებით, მერე არცთუ ყველასათვის სასურველი, მაგრამ საოცრად მოსალოდნელი დამარცხებით სოციალური ფილოსოფიის მარცხენა ფლანგზე გადამისროლა და დროდადრო დემოკრატიის მოხეტიალე ქომაგი გამხადა, და სწორედ იმ ზანად, როცა მთელი სულითა და გულით, არნახული გატაცებით ვნატრობ ჰიტლერის დაღუპვას, არ შემეძლო მაინც არ მეგრძნო რა კომიკური იყო ჩემი როლი. ხელოვანის მიერ პოლიტიკური მორალის კითხვაში უსათუოდ არის რაღაც კომიკური, და ჰუმანისტური იდეების პროპაგანდაც თითქმის ყოველთვის აიხლოებს ამ პროპაგანდას (და არა მხოლოდ აიხლოებს) უხამსობასთან. ეს მე შევიცან; და თუ ზემოთ მწერლის საზოგადოებრივად რეაქციული მიდრეკილებები დავახასიათე, როგორც პარადოქსი, როგორც თავისებური წინააღმდეგობა ხელოვანის მრწამსსა და მისი გამჟღავნების სტილს შორის, ახლა კარგად შევიგნე, რომ ამ პარადოქსულობასა და წინააღმდეგობაში შეიძლება იმალებოდეს სულის უზენაესი ხიბლი, ამასთან ფსიქოლოგიურად იგი ბევრად უფრო ზეშთაგონებული იყოს და შეუდარებლად უკეთეს საფარს წარმოადგენდეს ბანალობის თავიდან ასაცილებლად. საკითხავია და იქნება არც იყოს საკითხავი, ვინ უფრო საინტერესო მწერალია პოლიტიკური თვალსაზრისით: ჟოზეფ დე მესტრი თუ ვიქტორ ჰიუგო? და თუ ეს საკითხავი არ არის, მაშინ სხვა პრობლემა წამოიჭრება. რა უფრო მნიშვნელოვანია: პოლიტიკური ქმედების ადამიანური მოთხოვნილება თუ სიკეთე? „Almost too good to be true"[1] ამ სიტყვებით დაახასიათა ინგლისელმა კრიტიკოსმა — ფილიპ ტოინბიმ პოლიტიკური პოზიცია, რომელიც უეკ-

[1] ეს, მგონი, მეტისმეტად კარგია საიმისოდ, რომ მართალი იყოს (ინგლ.).

ნასკნელი ოცდაათი წლის მანძილზე ეეჭირა. ეს აბრი მან გამოთქვა „Observer"-ში დაბეჭდილ სტატიაში «The Isolateed World Citizen»[1].

ეს შვიდასსიტყვიანი წერილი ყველაზე ზედგამოჭრილია იმ თვალსაზრისთა შორის, რაც კი ინგლისში და საერთოდ სადმე გამოთქმულა ჩემს შესახებ. ახალგაზრდა ტიენბი მართალია: ჩემი პოზიცია ჩემ ეჭვს მართლაც იწვევს; საეჭვოა მასში ყველაფერი, რაც კი უკავშირდება ოპტიმიზმს, დემოკრატიზმს, ჰუმანიზმსა და კაცობრიობისადმი რწმენას. იქნებ-რომ საეჭვოა ჩემი „World citiship",[2] რადგან ჩემი წიგნები უსაშველოდ გერმანული წიგნებია და ყველაფერი, რაც კი მათში სოციალურ-პოლიტიკურ პრობლემებს ეხება, გადაიჭრებიან არა მხოლოდ ბუნებრივი სიმორცხვის დათრგუნვით, არამედ შოპენჰაუერის სკოლიდან გამოსული გონისმიერი პესიმიზმის დაძლევითაც, იმ გონისა, რომელსაც ნაკლებ ძალუძს მიიღოს დიდსულოვან-ჰუმანური პოზა. მართალი გითხრათ, მე არც ისე ბევრი რამისა მწამს და იმდენად არც თვით რწმენისა, რამდენადაც სიკეთისა, რომელსაც ურწმუნებლადაც გააჩს თავი, და შესაძლოა, ეჭვის საგანიც იყოს.

ლესინგს „ნათან ბრძენის" შესახებ უთქვამს: სატირული დრამა არ გეგონოთ, დამცინავი ხარხარით რომ ტოვებს ბრძოლის ველს, ის ყველაზე ამაღელვებელი პიესაა, რაც კი ოდესმე დაწერილა. „სატირულის" ნაცვლად მას შეეძლო ეთქვა „ნიჰილისტური" (მაგრამ მაშინ არ ხმარობდნენ ამ სიტყვას), ხოლო „ამაღელვებელის" მაგივრად — „კეთილი", რომ არ გეფიქრა, რაკი იგი სკეპტიკოსია, მაშასადამე ბოროტად მომლიმარე ნიჰილისტიცაა. რაც არ უნდა მკაცრ მამხილებლად მოგეეცლინოს ხელოვნება, რა მწარეც არ უნდა იყოს მისი ურვა ქვეყნიერების სიწამხდრეზე, რა შორსაც არ უნდა წავიდეს იგი სინამდვილისა და, ასე გასინჯეთ, საკუთარი თავის ირონიზაციაში, არამც და არამც მის ბუნებაში არ ზის „დამცინავი ხარხარით დატოვება ბრძოლის ველისა". ხელოვნება ცივად და ეშმაკისეულად როდი უღერებს მუშტს ცხოვრებას, რომლის განსულიერებისთვისაცაა იგი გაჩენილი ამქვეყნად. ხელოვნება სიკეთეს შეთვისებია და სიკეთე ხომ ძირიან-ფესვიანად სიბრძნის თვისტომია, უფრო კი სიყვარულის სისხლი სისხლთაგანია და ხორცი ხორცთაგანი და თუ იგი გულიანად აცინებს ადამიანებს, ეს დამცინავი ხარხარი კი არ არის, არამედ სიძულვილსა და სისულელეში გაბნეული ლხენა, რომელიც გათავისუფლებს და გამთლიანებს. მართობა მას ხელახლა შობს და მის ზემოქმედებას სისავსე მოაქვს. ეს ლხენაა, ილუზიებს რომ ქმნის კაცობრიობის ბედზე თავისი ზეგავლენის შესახებ. უკეთურებას პასიური მოძულე თავის დღეში ვერ იზეიმებს ბოროტებაზე გამარჯვებას. რეფლექსიებში ჩაძირული ხელოვანი გზას ვერ გადაულობავს უკიდურეს სირეგვნეს. ხელოვნება ძალა კი არ არის, არამედ მხოლოდ ნუგეშისმცემელი. და მაინც ეს უჭკვიანესი თამაში, სრულყოფისაკენ ყველანაირი სწრაფვის პარადიგმა, ოდითგანვე კაცობრიობის თანამგზავრი იყო და მას არც როდის შეეძლება შეცოდებებით დანისლული მზერა მოარიდოს მისსავე უცოდველობას.

□

---

[1] „ეული მსოფლიო მოქალაქე" (ინგლ.).

[2] „მსოფლიო მოქალაქეობა" (ინგლ.).

ნუგზარ წერეთელი

მთარგმნელობითი საქმის ოსტატი

(სიმონ ჩიქოვანის მთარგმნელობითი მოღვაწეობა)

ეროვნული ბიბლიოთეკა

1924 წლის აგვისტოს ბოლოს თბილისში სტუმრად ჩამოვიდა და სექტემბრამდის დარჩა დიდი საბჭოთა პოეტი, რევოლუციის უბადლო მომღერალი ვლადიმერ მაიაკოვსკი. ჩვენში მან გამართა პოეზიის საღამოები, შეხვდა და დაუმეგობრდა ქართველ პოეტებს, განსაკუთრებით ქართული ფუტურისტული სკოლის წარმომადგენლებს: სიმონ ჩიქოვანს, ნიკოლოზ ჩაჩავას, ბესარიონ ყღენტს, ნიკოლოზ შენგელაიას, ირაკლი გამრეკელს, ჟანგო ღოღობერიძეს და სხვებს. ამ საყურადღებო ლიტერატურულ ფაქტზე სიმონ ჩიქოვანმა 1963 წელს დაწერა თბილი მოგონება „დაუვიწყარი შეხვედრები".

მაშინ სიმონ ჩიქოვანი ოცდაორი წლის ახალგაზრდა, დამწყები პოეტი იყო. მიუხედავად ამისა, ის აქტიურად მონაწილეობდა ახლადდაარსებული ჟურნალ „მნათობის" მუშაობაში. თვით სიმონ ჩიქოვანი თავმდაბლად იგონებს: „1924 წლის აგვისტოში მხოლოდ ერთი ლექსი და ერთი ექსცენტრული წერილი მქონდა დაბეჭდილი. მიუხედავად ამისა, ჟურნალ „მნათობის" მაშინდელმა რედაქტორმა, ვალია ბახტაძემ, რედაქციაში თანამშრომლად მიმიწვია და ერთი განყოფილება ჩამაბარა". ეს ექსცენტრული წერილი, ჩვენის აზრით, უეჭველად არის მე-4 ნომერში გამოქვეყნებული „სასწრაფო განმარტება"... რომელშიც გადმოცემულია ქართველი ფუტურისტების საბოქმედო პროგრამა, ხოლო მე-5 ნომერში დაბეჭდილი იყო მისი მეტად საყურადღებო წერილი ხელოვნების სფეროდან: „თანამედროვე გერმანეთის მხატვრობა".

მეტად საგულისხმოა სიმონ ჩიქოვანის მოგონებაში გამოთქმული მოსაზრებები მხატვრული თარგმანის შესახებ და უფრო მეტად კი ის, რომ ახალგაზრდა პოეტი უკვე იყო გატაცებული მთარგმნელობითი საქმით. ამ საქმისათვის მას სიცოცხლის ბოლომდე არ უღალატია.

სიმონ ჩიქოვანი სასტუმროში მივიდა მაიაკოვსკისთან, სადაც დახვდნენ ნიკოლოზ ჩაჩავა და ჟანგო ღოღობერიძე. როგორც ჩანს, ეს შეხვედრა მათ სწორედ თარგმანების გასაცნობად ჰქონდათ გამიზნული. ვლადიმერ მაიაკოვსკიმ მთხოვა, — იგონებს სიმონ ჩიქოვანი, — თარგმანები მშვიდად, დეკლამაციის გარეშე წამიკითხე, მე ყურს დავუგდებ და მის ავკარგიანობაა მივხვდები. მეც შევუდექი კითხვას. წავიკითხე „არაჩვეულებრივი ამბავი"; „მარცხენა მარში", „წუნკლები", „ოდა რევოლუციას" და სხვა. იგი ხმაგაკმენდილი, ყურადღებით მისმენდა. როდესაც კითხვა დავასრულე, გავჩუმდი, ერთხანს ისიც გაჩუმებული იჯდა... საერთოდ თარგმანები ძალიან მომეწონათ, — მიპასუხა ლექსების ავტორმა.

სიმონ ჩიქოვანს თარგმნა შემოქმედის საპატიო მოვალეობად მიაჩნდა. 1924 წლის ჟურნალ „მნათობის" მე-5 ნომერში, ე. ი. ვლადიმერ მაიაკოვსკის სტუმრობამდე, მას უკვე გამოქვეყნებული ჰქონდა ანრი მილბოს მძაფრი პოლიტიკური ლექსის, „ქარლ ლიბკნეხტის" საუცხოო თარგმანი.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ დიდი ყურადღება დაუთმო მოძმე რესპუბლიკების ლიტერატურათა რუსულ ენაზე თარგმნის უდიდესი მნიშვნელობის პრობლემას, მძლავრი რუსული კლასიკური თუ საბჭოთა ლიტერატურის ჩვენი დიადი სამშობლოს ხალხთა ენებზე თარგმნას და აგრეთვე მოძმე რესპუბლიკებისა თუ სხვა ეროვნებების ლიტერატურათა ურთიერთგაცნობას მხატვრული თარგმანის საშუალებით. ქართველი მწერლების მოწინავე წარმომადგენლები ეწვევნენ რუსეთს, უკრაინას, ბელორუსიას, აზერბაიჯანს, სომხეთს. საქართველოშიც მრავალჯერ ჩამოვიდნენ თვალსაჩინო ლიტერატორები. მეგობარი რესპუბლიკების ახლოს გაცნობისა და უშუალო შთაბეჭდილებების შედეგად იწერებოდა ლექსები, მოთხრობები, პოემები, ნარკვევები, ლიტერატურული წერილები.

უმდიდრესი ტრადიციების მქონე ქართული კლასიკური თუ თანამედროვე მწერლობით დაინტერესდნენ სახელგანთქმული რუსი პოეტები ბორის პასტერნაკი, ნიკოლოზ ტიხონოვი, ნიკოლოზ ზაბოლოცკი, ცნობილი ლიტერატორები ვიქტორ გოლცევი, იური ტინიანოვი, ოლგა ფორში, უკრაინელი პოეტები მაქსიმ რილსკი, პავლო ტიჩინა და მიკოლა ბაჟანი, ბელორუსი პოეტები იანკა კუპალა და იაკუბ კოლასი, აზერბაიჯანელი სამედ ვურღუნი თუ სომეხი ეღიშე ჩარენცი და მრავალი სხვა. ეს იყო მეტად ნაყოფიერი მოღვაწეობის დასაწყისი.

1931 წელს საქართველოს პირველად ესტუმრა ბორის პასტერნაკი. იგი დაუმეგობრდა ტიციან ტაბიძესა და პაოლო იაშვილს, გაიცნო სიმონ ჩიქოვანი, ბესარიონ ყლენტი და სხვები. პირველივე მეგობრული ვიზიტი ნაყოფიერი აღმოჩნდა. მწერალმა იგრძნო საქართველოს უშრეტი შემოქმედებითი პოტენცია და სულიერი სიფაქიზე. ასე ჩაეყარა საფუძველი მომავალ მთარგმნელობით საქმიანობას. 1933 წელს ბორის პასტერნაკი მეორედ ჩამოვიდა საქართველოში. ამ სტუმრობის დროს იგი განსაკუთრებით დაუახლოვდა სიმონ ჩიქოვანს, გიორგი ლეონიძეს, ვალერიან გაფრინდაშვილს, სანდრო შანშიაშვილს, ლადო გუდიაშვილსა და მათ ოჯახებს.

ბ. პასტერნაკმა გულწრფელად შეიყვარა საქართველო, მისი უძველესი პოეზია და ხელოვნება, ორიგინალური ქართული კულტურა. იგი ღრმად ჩასწვდა ჩვენი მწერლობის საგანძურს და ბევრი სახელოვანი პოეტის შემოქმედება ცნობილი და მახლობელი გახდა როგორც რუსულ ენაზე მკითხველი საზოგადოების ფართო წრისათვის, ასევე მსოფლიოს მრავალი ქვეყნისათვის. მისი თარგმანების წყალობით დიდი პოპულარობა მოიპოვეს ვაჟა-ფშაველას, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ტიციან ტაბიძის, პაოლო იაშვილის, სიმონ ჩიქოვანის, გიორგი ლეონიძისა და სხვების ბრწყინვალე ლექსებმა. ძალზე დიდია პასტერნაკის ღვაწლი, მაგრამ მას რომ არ ჰყოლოდა ისეთი უანგარო, მთარგმნელობით საქმეზე შეყვარებული პიროვნება, როგორიც იყო სიმონ ჩიქოვანი, შეიძლება პოეტური მიღწევები არც ყოფილიყო ასეთი თვალსაჩინო.

როგორც ცნობილია, ბორის პასტერნაკს გენიალური ვაჟა-ფშაველას თარგმნა შთააგონეს ტიციან ტაბიძემ და პაოლო იაშვილმა, ნიკოლოზ ბარათაშვილის დიდებული სამყარო კი რუს პოეტს სიმონ ჩიქოვანმა გადაუშალა. თვით სიმონ ჩიქოვანი აღნიშნავდა, როცა პასტერნაკი ვაჟა-ფშაველას ლექსებს თარგმნიდა, მაშინ მისი სულის მესაიდუმლენი თუ მრჩეველნი ტიციან ტაბიძე და პაოლო იაშვილი იყვნენ, ხოლო ბარათაშვილის პოეზიის თარგმანზე შემოქმედებითი მუშაობა ჩემთან ლიტერატურული ურთიერთობითა და შეხვედრებით დაიწყო.

მთარგმნელობითი საქმიანობა ახალ-ახალ სიმაღლეებს ეუფლებოდა, მას სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა მიენიჭა. იქცა ხალხების კულტურათა ურთიერთგამდიდრების ნაყოფიერ არხად. 1936 წ. თვით ბ. პასტერნაკი აღნიშნავდა:

„ჩვენამდეც ბევრს თარგმნიდნენ, თარგმანი ისეთივე ძველი მოვლენაა, როგორც ლიტერატურა. მაგრამ არასოდეს ყოფილა თარგმნით გატაცება ისეთი მძლავრი, როგორც ჩვენს დროს. ესაა არა მარტო ლიტერატურული, არამედ კულტურულ-პოლიტიკური მოვლენაც. ესაა გამოცდილების ურთიერთგაზიარებაც და ჩვენს რესპუბლიკათა სასიცოცხლო სუნთქვაც. ესაა მონაწილეობა ოდაც მეტად რთულ სამუშაოში, რომელიც ხასიათდება ხშირი და უხვი ბიძგებითა და ძვრებით, ერთდროულად რომ მიმდინარეობენ სივრცეში, მაგრამ დროის სხვადასხვა წიაღსა და ფენას სწვდებიან, ვინაიდან ჩვენი რესპუბლიკების ხალხთა რთული ცხოვრების გახვითარებისა და სიმწიფის დონე დღეს სხვადასხვაა".

მოძმე ხალხთა ენებიდან რუსულ ენაზე ლიტერატურის მასობრივი, კარგად ორგანიზებული თარგმნა განსაკუთრებული მასშტაბურობით დაიწყო 1934 წელს, საბჭოთა მწერლების პირველი სრულიად საკავშირო ყრილობის ჩატარების შემდეგ. ყრილობა მოწვეული იყო მაქსიმ გორკის ინიციატივით, რომელსაც ღრმად ჰქონდა შეგნებული ამ პროცესის გაშლის აუცილებლობა. სწორედ ნაშინ ჩაეყარა მყარი საფუძველი მთარგმნელობით საქმეს. დაიწყო კვალიფიციური ლაპარაკი მოძმე ხალხების მდიდარ ლიტერატურაზე.

რუსი და ქართველი მწერლების შემოქმედებითი მეგობრობის საეკეთესო დადასტურება იყო ის ფაქტი, რომ 1935 წელს მოსკოვში გამოიცა ბორის პასტერნაკის მიერ დიდი პატივისცემითა და რუდუნებით შექმნილი წიგნი „ქართული ლირიკა". ამ კრებულის განხილვისას ქართული ლიტერატურის მეგობარი, ცნობილი კრიტიკოსი ვიქტორ გოლცევი საკავშირო პრესის ფურცლებზე წერდა:

„1933 წლამდე ჩვენში ქართველი პოეტები ძალიან ცოტა და ამასთან წარუმატებლადაც ითარგმნებოდა. მხოლოდ ცალკეულ თარგმანებს თუ ჰქონდა გარკვეული ღირებულება, მაგრამ ისინი ჩვენს მკითხველს თითქმის არც კი შეუმჩნევია...

მხოლოდ ბორის პასტერნაკმა და ნიკოლოზ ტიხონოვმა მოჰკიდეს ხელი საფუძვლიანად ქართველი პოეტების თარგმნას. პირველებმა სწორედ მათ გვიჩვენეს, თუ როგორ შეიძლება გაამდიდრო რუსი მკითხველი ქართული ლექსების მაღალკვალიფიციური თარგმანებით. წიგნი „ქართველი ლირიკოსები" ნამდვილი ლიტერატურული მოვლენაა, რომელსაც უდიდესი კულტურულ-პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. ეს მხოლოდ პროლეტარული რევოლუციის შემდეგ შეიძლებოდა მომხდარიყო. იგი მოწმობს სსრ კავშირის ხალხთა მწერლობის კონკრეტულ მეგობრობას"...

ბორის პასტერნაკისა და ნიკოლოზ ტიხონოვის განსაკუთრებულ დამსახურებას ქართველი

პოეტების მაღალხარისხოვნად თარგმნის საქმეში არაერთი რუსი თუ ქართველი კრიტიკოსი აღნიშნავდა.

1936 წელს ჩატარებულ სსრკ მწერალთა კავშირის გამგეობის მესამე პლენუმზე კრიტიკოსმა დ. მირსკიმ წარმოსთქვა სიტყვა, რომლის სათაურიც იყო „საქართველოს პოეზია". მან აღნიშნა, რომ რუსი და ქართველი მწერლების დაახლოების საქმეში უდიდესი ღვაწლი მიუძღვით ორ შესანიშნავ რუს საბჭოთა მწერალს — პასტერნაკსა და ტიხონოვს, რომელთაც თავიანთი შემოქმედებითი ცხოვრების გარკვეული დრო მოანდომეს ქართული პოეზიის საგანგებო შესწავლასა და რუს მკითხველამდე მიტანასო.

ქართული პოეზიის, ქართული მწერლობის თარგმნა უკვე გაცხოველებულად მიმდინარეობდა. 1936 წელს მოსკოვში სახელმწიფო ლიტერატურულმა გამომცემლობამ გამოუშვა კრებული „საბჭოთა საქართველოს პოეტები". ასორმოცგვერდიანი წიგნის თარგმანი ეკუთვნოდა ბორის ბრიკს. ამ კრებულში სათანადოდ იყო წარმოდგენილი სიმონ ჩიქოვანის პოეზია. ამ წიგნის გამოსელაც თვალსაჩინო ლიტერატურულ მოვლენად იქნა მიჩნეული. კრიტიკოსები ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ პასტერნაკისა და ტიხონოვის მიერ შექმნილ სკოლას მიმდევრები გამოუჩნდნენ.

„უკანასკნელი წლების ლიტერატურული ცხოვრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა ის იყო, რომ რუსმა მკითხველმა „აღმოაჩინა" ახალი პოეტური სამყარო — ქართული პოეზია. ძნელია შეფასდეს ბ. პასტერნაკის, ნ. ტიხონოვის, ხოლო შემდეგ ბ. ბრიკის, პ. ანტოკოლსკის, ს. სპასკისა და სხვათა მთარგმნელობითი მუშაობა. საბჭოთა ლიტერატურაში ქართველმა ოსტატებმა განსაკუთრებული ადგილი დაიკავეს. მათ მკითხველი გააცეს თავისებური „სისხლსავსე" პოეტურობით, აღქმის სიახლითა და ორიგინალობით, მდიდარი და მრავალფეროვანი შემოქმედებითი ინდივიდუალობით, ამავე დროს ტრადიციათა სიმტკიცით, რასაც ძველთაძველი და რთული პოეტური კულტურა უდევს საფუძვლად".

მხატვრული თარგმანის საერთო პროცესის სწორედ ასეთი არნახული გამოცოცხლების დროს, 1935 წელს სახელმწიფო ლიტერატურულ გამომცემლობას ცალკე წიგნად გამოუცია სიმონ ჩიქოვანის ლექსები. როგორც კრიტიკოსი დ. მირსკი აღნიშნავს, მას ფართო გამოხმაურება და განსაკუთრებული ინტერესი გამოუწვევია. სიმონ ჩიქოვანს გაუმართლდა, წერს კრიტიკოსი, იგი ერთ-ერთი პირველი წარსდგა რუსი მკითხველის სამსჯავროს წინაშე საკუთარი პოეტური ინდივიდუალობითო. მართალია, 1934 წელს თბილისში გამოსულა საქართველოს სახალხო პოეტის გალაკტიონ ტაბიძის წიგნი, მაგრამ ეს წიგნი კრიტიკოსს არ მოსწონს, რადგან სათანადოდ ვერ წარმოაჩენს საქართველოს უპირველესი პოეტის შემოქმედებასო.

დ. მირსკი მოკლე, ამომწურავ და იმ პერიოდისათვის საკმაოდ მაღალ შეფასებას აძლევს ქართველი ავტორის პიროვნებას:

„ჩიქოვანი იმის ღირსია, რომ ჩვენს მკითხველს პირველთა შორის გავაცნოთ, რადგან იგი თავისი თაობის მართლაც რომ დიდი პოეტია, თაობისა, რომელიც ლიტერატურაში შემოვიდა უშუალოდ საქართველოს გასაბჭოების შემდეგ და შემოქმედებითად ჩამოყალიბდა აღდგენითი პერიოდის განმავლობაში".

წერილში „ბორის პასტერნაკი და საქართველოს პოეტები" კრიტიკოსი ვიქტორ გოლცევი ზოგადად საუბრობს ქართული ენიდან რუსულად თარგმნის საკითხებზე, ამასთან კონკრეტულად მიმოიხილავს ამა თუ იმ თარგმანის ლიტერატურულ ღირებულებას. მას მთარგმნელობითი შემოქმედების თვალსაჩინო ნიმუშად მიაჩნია სიმონ ჩიქოვანის „უშგულის კომკავშირის" პასტერნაკისეული თარგმანი. ვ. გოლცევი თვლის, რომ ეს თარგმანი პოეტური ძალითა და გამომხატველობით ადეკვატურია ორიგინალისა, აქ ბედნიერად დაემთხვა ავტორის ფიქრები მთარგმნელისას და თითქმის ყველა სახე, ყველა პოეტური ნიუანსი ზედმიწევნითი სიზუსტით იქნა გადმოღებული, ახსნილი და ამეტყველებული რუსულ ენაზეო.

ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი მთარგმნელობით საქმიანობაში უკავია გამოჩენილ რუს პოეტსა და მთარგმნელს ნიკოლოზ ზაბოლოცკის, რომელმაც დიდი ამაგი დასდო ქართული პოეზიის თარგმნა-პოპულარიზაციის საქმეს. იგი ერთგული პასუხისმგებლობით ეკიდებოდა ქართული კლასიკური თუ თანამედროვე პოეზიის თარგმნის საქმეს. როცა ჩვენი ეროვნული კულტურის ამ დიდმნიშვნელოვან მოვლენას ბიოგრაფიული თვალსაზრისით მივუდგებით, დავინახავთ, რომ ეს განუსაზღვრელად სასარგებლო საქმე სიმონ ჩიქოვანის გაცნობითა და მასთან დამეგობრებით დაიწყო. თვით ნიკოლოზ ზაბოლოცკი ამ ფაქტს ყოველთვის მადლიერების გრძნობით იხსენებდა, თითქოს ხაზს უსვამდა სიმონ ჩიქოვანის დამსახურებას მშობელი ერის წინაშე. პოეტმა სიმონ ჩიქოვანმა ჯერ კიდევ სამამულო ომის დაწყებამდე გამაცნო საქართველოს მდიდარი ისტორია, მისი კულტურა, და ყურადღება მიმაპყრობინა ქართული მწერლობისათვისო,—ხშირად იტყოდა ხოლმე

სახელოვანი რუსი პოეტი. სიმონ ჩიქოვანმა უნაკლო პოეტური ინტუიციით იგრძნო, რომ ზაბოლოცკის ტალანტს დიდი სარგებლობის მოტანა შეეძლო საქართველოსთვის. მოგონებაში „ნიკოლოზ ზაბოლოცკი" იგი ასე ახასიათებს დიდი და ნაყოფიერი შემოქმედებითი თანამეგობრობის დასაწყისს: „მართალია, პოეტი გამოხატავდა ჩრდილოეთის დიდი სივრცეების შემცველი ბუნების სურათებს, მაგრამ ვიფიქრე, ეს ქართულ პოეზიაში გამოძერწილ ბუნების სახეებსაც ჩასწვდებამეთქი და ნიკოლოზ ზაბოლოცკის ვთხოვე, გასცნობოდა ვაჟა-ფშაველას პოეზიას და მისი პოემების თარგმნა ეცადა. უსათუოდ ვცდიო, — მიპასუხა, — მისი პოემა „სტუმარ-მასპინძლის" სიტყვასიტყვითი თარგმანი წავიკითხე და განცვიფრებაში მომიყვანია, მხოლოდ ჯერ გრიგოლ ორბელიანის ლექსების თარგმნა უნდა დავასრულოთ და წაგვიკითხა გრიგოლ ორბელიანის „სადღეგრძელოს" ახლა საყოველთაოდ ცნობილი შესანიშნავი თარგმანი".

ნიკოლოზ ზაბოლოცკიმ დიდი პოეტური გმირობა ჩაიდინა, დაამტკიცა, რომ თარგმანი პოეტური შემოქმედების განუყოფელი ნაწილია, მან ქართული პოეზიის თარგმნას თავისი ნაყოფიერი სიცოცხლის უკანასკნელი თხუთმეტი წელი მიუძღვნა. ეს უშრეტი ენერგიისა და მოუდუნებელი შთაგონების ხელოვანი მთელ ცოდნას, ფანტაზიას, გამოცდილებას ახმარდა ქართული ლექსის მუსიკალური ბუნების რუსულ ენაზე გადანერგვას. სიმონ ჩიქოვანი იგონებდა, თუ როგორ გაანდო მას ნიკოლოზ ზაბოლოცკიმ თავისი სანუკვარი ოცნება, მილიონებისათვის გაეცნო უძლიერესი ქართული პოეზია. გამოჩენილ მთარგმნელს ესმოდა დაწყებული საქმის მნიშვნელობა და ძალას არ იშურებდა ამ კეთილშობილური ამოცანის შესრულებისათვის. ერთგან სიმონ ჩიქოვანი წერს: თითქმის თხუთმეტი წლის განმავლობაში ერთად ვმუშაობდითო და ამ სიტყვებში იგრძნობა სიმონ ჩიქოვანის დიდი მამულიშვილობა, პატრიოტული გრძნობა, მოქალაქეობრივი ვალის საუკეთესო შეგნება, რადგან, საკუთარ შემოქმედებაში ყელამდე ჩაფლული და მუდამ საქმით დატვირთული, იგი მაინც ახერხებდა წლების მანძილზე უამრავი დრო დაეთმო მშობლიური მწერლობის თარგმნა-პოპულარიზაციისა და ფართო სარბიელზე მისი გატანის საპატიო საქმისათვის.

სიმონ ჩიქოვანის მთარგმნელობითი მოღვაწეობის შესწავლის დროს დიდ ყურადღებას იქცევს მისი დამოკიდებულება მოძმე უკრაინასთან და მის ლიტერატურასთან, რესპუბლიკის საუკეთესო პოეტებთან.

1935 წლის დამდეგს საქართველოში ჩამოვიდა უკრაინელ ლიტერატორთა დელეგაცია, რომელშიც შედიოდნენ ა. კორნეიჩუკი, მ. ბაჟანი და ი. სენჩენკო. ქართველ და უკრაინელ მწერალთა მეგობრულ შეხვედრებზე განიხილებოდა თარგმანის საკითხები, ხდებოდა იმ ნაწარმოებების შერჩევა, რაც ყველაზე მეტად გამოხატავდა ხალხის სულიერ ცხოვრებას და ეროვნულ თავისებურებას. რაღა თქმა უნდა, ქართული ლიტერატურიდან შეირჩა შოთა რუსთაველის უკვდავი „ვეფხისტყაოსანი", ხოლო უკრაინულიდან ტარას შევჩენკოს „კობზარი". მისი ქართულად თარგმნის ხელმძღვანელობა და რედაქტორობა დაეკისრა სიმონ ჩიქოვანს. ს. ჩიქოვანმა თარგმნა მიანდო ყველაზე საუკეთესო პოეტებსა და მთარგმნელებს. 1936 წლის დასაწყისში იგი საგანგებოდ ჩავიდა კიდეც უკრაინაში.

თვითონ სიმონ ჩიქოვანმა უდიდესი ყურადღებით თარგმნა ქართულ ენაზე უკრაინელი ხალხის დიდი პოეტის ტ. შევჩენკოს მრავალი ნაწარმოები, თარგმნა ისეთი ცნობილი პოემებიც, როგორიცაა „კატერინა" და „ჭოტი". „კატერინა" ცალკე წიგნადაც გამოიცა 1936 წელს, როდესაც ფართოდ აღინიშნა უკრაინის გამოჩენილი პოეტის გარდაცვალებიდან 75 წლისთავი.

1939 წელს მთელს საბჭოთა კავშირში საყოველთაო-სახალხო ზეიმით აღინიშნა გამოჩენილი უკრაინელი მწერლის ტარას შევჩენკოს დაბადების 125 წლისთავი. ეს იყო პოეზიისა და მეგობრობის ნამდვილი ზეიმი. ამ საიუბილეო წელს ქართველმა მკითხველმა უკვე მიიღო „კობზარის" სრული თარგმანი. საიუბილეო გამოცემის რედაქტორები იყვნენ სიმონ ჩიქოვანი და შალვა დადიანი. ამგვარი დიდმნიშვნელოვანი წიგნის თარგმანის განხორციელებაში მონაწილეობდნენ საქართველოს გამოჩენილი პოეტები და მთარგმნელები: ალექსანდრე აბაშელი, ირაკლი აბაშიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, კოლაუ ნადირაძე, ილო მოსაშვილი, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, ვიქტორ გაბესკირია, კარლო კალაძე, შალვა აფხაიძე, ხარიტონ ვარდოშვილი, მიქელ პატარაიძე და სხვები. თარგმანი იმ დროისათვის დიდი ტირაჟით გამოიცა, მაგრამ მალე წიგნი ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა.

ამ პერიოდში სიმონ ჩიქოვანი განსაკუთრებით ბევრს ფიქრობდა თარგმანზე. „თარგმანზე მუშაობაში, — აღნიშნავს იგი წერილში „ნიკოლოზ ზაბოლოცკი", — საჭიროა სათარგმნი მასალისადმი შერჩევითი მიდგომა, საჭიროა დაახლოებით მაინც მოძებნა იმ ნათესაობისა, რომელიც უნდა არსებობდეს მთარგმნელსა და სათარგმნი პოეტის ბუნებას შორის". მისთვის თარგმნა არასოდეს ყოფილა თვითმიზანი ან, უბრალოდ, ხელწამოსაკრავი რამ. ყოველთვის სათარგმნელი მასა-

ლის თუ პოეტის ცხოვრებით ცხოვრობდა, შინაგანად განიცდიდა სათქმელს, რუსული და უკრაინული პოეზია იქცა ს. ჩიქოვანის მთარგმნელობითი შრომის სათავედ. რუსულ ენაზე გამოცემული ლიტერატურული წერილების წიგნს წამძღვარებული აქვს მოკლე ავტობიოგრაფია, რომელშიც პოეტი ხაზგასმით აღნიშნავდა: „ბევრს ვმუშაობდი თარგმანებზეც, მათგან ჩემთვის განსაკუთრებით ძვირფასია „ამბავი იგორის ლაშქრობისა" და ტარას შევჩენკოს ლირიკის თარგმანები".

მე-12 საუკუნის რუსული ხალხური ეპოსის ბრწყინვალე ნიმუში „ამბავი იგორის ლაშქრობისა", სადაც შთამბეჭდავი ძალითაა დახატული რუსული სული და შემართება, ძალა და გამბედაობა, სიმონ ჩიქოვანს იზიდავდა სწორედ პატრიოტულ-ჰეროიკული და სამშობლოს გაერთიანებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მოტივით, ხალხისათვის თავდადებისა და ვაჟკაცობის სულისკვეთებით. ნაწარმოებში მძლავრად ჟღერს რუსული ხალხური ფოლკლორის ხმები, რაც კიდევ უფრო მეტ შთამბეჭდაობას მატებს მას. სიმონ ჩიქოვანმა ბრწყინვალე თეთრი ლექსით თარგმნა „ამბავი იგორის ლაშქრობისა იგორის ძისა სვიატოსლავისა და ოლეგის შვილიშვილისა". თარგმანი საშური სიზუსტით მისდევს ტექსტს, რაც სულაც არ ზღუდავს მთარგმნელს, ქართულ ენაზე დიდებულად აამეტყველოს რუსული გმირული ეპოსის ერთ-ერთი ტრაგიკული ფურცელი, ინტერესმოკლებული არ იქნება გადავხედოთ და შევადაროთ რუსული ტექსტი სიმონ ჩიქოვანისეულ თარგმანს, რათა დავინახოთ, როგორი შემოქმედებითი პასუხისმგებლობით ეკიდება იგი მასალას და როგორი მაღალმხატვრულობით გადმოგვცემს სათქმელს:"

ახლა ვნახოთ რა ბრწყინვალედ თარგმნის პოემას სიმონ ჩიქოვანი:

„როცა იგორმა მაღლა განხედა
თაკარა მზესა, მან დაინახა,
მზით გადმოსული წყვდიადით იყო
ჩამობურული მისი ლაშქარი
და უთხრა ლაშქარს მაშინ იგორმა:
„ძმანო და სპანო, უმჯობესია
აგვჩეხონ, ვიდრე შეპყრობილ ვიქნეთ;
მოვახტეთ, ძმანო, ჩაუქ მერნებსა
და გადავხედოთ ცისფერ დონს, ძმებო
დაიმონავა მთავრის გონება
დიადი დონის ჭაშნიკის ჟინმა
და ამ წყურვილმა გადაავიწყა
მზით მოვლენილი ავი ნიშანი.
წარმოსთქვა: მინდა გადავტეხოო
შუბი ყივჩაღთა მინდორის ბოლოს,
თქვენთან, რუსებო, თავი გავწირო,
ან მუზარადით დავლიო დონი".

«Тогда Игорь взглянул на светлое солнце и увидел, что оно тьмою воинов его прикрыло. И сказал Игорь дружине своей: «Братья и дружина! Лучше убитым быть, чем пленным быть; так сядем, братья, на борзых коней да посмотрим на синий Дон». Страсть князю ум охватила, и желание отведать Дон Великий заслонило ему предзнаменование. «Хочу, сказал, копье преломить на границе поля Половецкого, с Вами, Русичи, хочу либо голову сложить, либо шлемом испить из Дона».

ასეთივე მონდომებითა და პასუხისმგებლობით თარგმნის სიმონ ჩიქოვანი უკრაინული ლიტერატურის მშვენების, დიდი პოეტისა და მოაზროვნის ტარას შევჩენკოს მდიდარი შემოქმედების საუკეთესო ნიმუშებს. ჩვენ არ გვაქვს საშუალება ღრმად შევადაროთ ტექსტები ერთმანეთს, ბევრამ შესაბამისი ადგილების გადაკითხვამ დაგვარწმუნა დედნისა და თარგმანის სტილურ ერთიანობაში, ქართულ ენაზე თარგმანის მაღალხარისხოვნებაში. აი, თუნდაც საყოველთაოდ ცნობილი ლექსი „ანდერძი". ეს პატრიოტული, წინასწარმეტყველური ნაწარმოები ქართულ ენაზე ათამდე პოეტს აქვს ნათარგმნი. სიმონ ჩიქოვანი ახერხებს ტექსტთან სიზუსტით თარგმნოს „ანდერძი" და ქართულ ენაზე გადმოიტანოს უკვდავი პოეტის აზრები:

„როცა მოვკვდე, მიმაბარეთ
მე ყორღანზე სამარხს,
საყვარელი უკრაინის
ფართოდ გაშლილ ტრამალს,
რომ მოჩანდეს ველი ვრცელი,
ხრამი დნეპრის პირას,
შევყურებდე და ვუსმენდე
დნეპრს, მარადის მყვირალს...
დამმარხეთ და დაამსხვრიეთ
ბორკილები რისხვით,
თავისუფალ ბედს ასხურეთ
მტრის ბოროტი სისხლი,
და იმ ახალ დიდ ოჯახში
შვებით თუ დამკვიდრდით,
მეც გახსოვდეთ, მომიგონეთ
სათნო, წყნარი სიტყვით".

სიმონ ჩიქოვანის მიერ თარგმნილ ბევრ ლექსში გაისმის ნაცნობი და მშობლიური მოტივები, რაც კიდევ ერთხელ განამტკიცებს აზრს, რომ გენიოსები რაღაც გადაულახავი სივრცისა და ზღვარის მიუხედავად ხშირად ერთნაირად აზროვნებენ, რადგან ერთნაირად გრძნობენ ხალხის ფიქრებსა და სატკივარს, სურვილებსა და მისწრაფებებს. ერთ-ერთი უსათაურო ლექსის „მიდიან დღენი, მათთან ღამენი" თარგმანში გვხვდება, მაგალითად ასეთი სტროფი:

„ძნელი — იყო ბორკილში,
ციხესა შიგან ლეგბოდე.
უფრო ძნელია, ძილისგან
სამშვიდობოში კვდებოდე".

ეს სტროფი საოცრად გვაგონებს გენიალური ვეფა-ფშაველას პწკარებს, მათში ღერს მშობლიური ინტონაცია და მოქმედებისაკენ აქტიური მოწოდება, რაც ყოველთვის დამახასიათებელი იყო პატრიოტული ტენდენციის ქართული პოეზიისათვის.

როგორც თვითონ ამბობდა, სიმონ ჩიქოვანი ახლოა სათქმელთან, [illegible] მოძებნოს პოეტური სულის ნათესაობა ტარას შევჩენკოს შემოქმედებასთან, [illegible] მიერ აღწერილ ბუნებას, რაც მას ლამაზ ფონად და ადამიანის უკეთ წარმოსაჩენად აქვს გამოყენებული, სიმონ ჩიქოვანი გაიცდის როგორც მშობლიური ბუნების სურათებს:

„ამოვარდება ქარი და ქშენით
თოვლს გადმოაყრის დაბლობს გუნდებად,
არაფერი ჩანს, თეთრდება სივრცე
და ტყე სიღრმეში აგუგუნდება".

უკრაინულ კლასიკურ პოეზიაში მეტად მძაფრადაა გამოხატული პატრიოტული გრძნობა. პოლონელი შლიახტებისა და თათარ-მონღოლთა ურდოების შემოსევები წელში წყვეტდა ხალხს, იწვევდა მათ მუდმივ მობილიზებას ვერაგ მტერთაგან სამშობლოს დასაცავად.

პატრიოტული მოტივის წინა პლანზე დაყენება ნიშანდობლივი იყო მთელი ქართული პოეზიისათვის. სიმონ ჩიქოვანის პოეზიაშიც, როგორც ეს ზემოთ დავინახეთ, სამშობლოს სიყვარულის მოტივი უპირველეს ადგილზე იდგა. სწორედ ამითაც იყო განპირობებული, რომ სიმონ ჩიქოვანი ტარას შევჩენკოსა და ივანე ფრანკოს მდიდარი შემოქმედებიდან ირჩევდა ისეთ ნაწარმოებებს, სადაც მკვეთრად იყო გამოხატული წმინდათა-წმინდა გრძნობა მამულის სიყვარულისა და მისი მარადი სამსახურისა. ვფიქრობთ, ივანე ფრანკოს ლექსმა „მსახური" პატრიოტული მოტივის სრულყოფილი წარმოჩინებით მიიქცია მთარგმნელის ყურადღება. მხატვრული მიგნებებით აქ პოეტი საუბრობს უკრაინელ ხალხზე, რომელიც მუხლჩაუხრელად იბრძოდა, ბევრჯერ აღსდგა მკვდრეთით და მუდამ იმედის თვალით შეჰყურებდა მომავალს.

„ყამთა სვლაში ჩაგვრისაგან იფარავდა მარად
ტრფობას მშობელ მიწის,
უთვალავი მისი პირმშო შეიმუსრა, მაგრამ
ფეხზე დგას და იბრძვის.
ის ბუმბერაზს მიაგავდა ოფლიანი მკერდით —
ძე უძლეველ ერის.
ბევრჯერ იყო დაცემული, მაინც აღსდგა მკვდრეთით
და შეჰყურებს მერმისს".

სიმონ ჩიქოვანის თარგმანების გაცნობა გვარწმუნებს, რომ მაღალ-მხატვრული თარგმანების შექმნასთან ერთად მან გააკეთა მეტად კეთილშობილური საქმე, თვალსაჩინო წვლილი შეიტანა ქართველი, რუსი და უკრაინელი ხალხების სულიერი მეგობრობის საპატიო საქმეში.

სიმონ ჩიქოვანის მოღვაწეობას უკრაინული პოეზიის თარგმნის საქმეში მაღალ შეფასებას აძლევდნენ მოძმე უკრაინის თვალსაჩინო მოღვაწეები. 1973 წელს დიდი უკრაინელი საბჭოთა პოეტი მიკოლა ბაჟანი წერდა: „სიმონ ჩიქოვანი იყო უკრაინელი კულტურის თავგამოდებული მეგობარი, მისი პროპაგანდისტი, მთარგმნელი. ტ. შევჩენკოს, ლესია უკრაინკასა და საბჭოთა პოეტების ქართულ გამოცემათა რედაქტორი".

სიმონ ჩიქოვანისა და მიკოლა ბაჟანის შემოქმედებით მეგობრობას ორივე ერის სულიერი ცხოვრებისათვის დიდი ლიტერატურული ღირებულება ჰქონდა, თავისი მოღვაწეობით ისინი ქმნიდნენ მწერალთა ურთიერთდაახლოების საუკეთესო მოდელს. სიმონ ჩიქოვანის დახმარებით ბაჟანმა ხელი მოჰკიდა გენიალური შოთა რუსთაველისა და დავით გურამიშვილის თარგმნას. ეს სამუშაო უკიდურეს დაძაბვას მოითხოვდა, მაგრამ მთარგმნელს გვერდში ედგა და საპატიო ტვირთის სიმძიმეს იზიარებდა ქართველი პოეტიც. ჩვენის აზრით, ამ პერიოდის უკეთ შესაცნობად ცხოველ ლიტერატურულ ინტერესს იწვევს ქართულ ენაზე გამოქვეყნებული მიკოლა ბაჟანის მოგონებები:

„დილიდანვე მე და სიმონი ცალ-ცალკე ოთახებში დავსხდებოდით და ჩვენ ჩვენს საქმეს ვიწყებდით... მე ვერასოდეს დავასრულებდი რუსთაველის თარგმნას, ქართველი ამხანაგების, განსაკუთრებით — სიმონისა და სოლომონის (სოლომონ-იორდანიშვილი — ნ. წ.) თავდადებული დახმარება რომ არა. მე და სიმონი დილაადრიანვე ხელნაწერებს ჩავკირკიტებდით...

ვიცოდი და ვიცი, რომ ჩემი მთარგმნელობითი შრომა გადაჭარბებით შეაფასეს გულითადმა და კეთილისმყოფელმა ქართველმა მეგობრებმა. მე ვალში ვიყავი და ახლაც ვალში ვარ მათ წინაშე — იმ მხარდაჭერისა და შეკებისათვის, რომელიც მათგან მიმიღია და მომისმენია. ამ ვალის თუნდაც ნაწილობრივ გადახდა მე მხოლოდ ჩემი შემდგომი შრომით შემეძლო. გადავწყვიტე ხელი

მოგეკიდა საქართველოს მეორე დიდი პოეტის — დავით გურამიშვილის ნაწარმოებთა თარგმნისათვის. მის ცხოვრებასა, საქმიანობასა და პოეზიაში იშვიათი გამომსახველობით განსხეულდა სამი ერის მეგობრობის იდეა, რომლის შესახებ შესანიშნავად თქვა სიმონმა თავის „სიმღერაში დავით გურამიშვილზე". მე მეწადა უკრაინელი მკითხველისათვის უფრო მახლობელი, ნაცნობი და გასაგები გამეხადა ეს თავისებური, მთელს მსოფლიო პოეზიაში განუმეორებელი ადამიანი და პოეტი...

სიმონმა მხარი დაუჭირა ჩემს იდეას. საჭირო იყო მომავალშიც გვეშენებინა ბალი, ხალხებს ბალი მეგობრობისა და ურთიერთგაგებისა".

ეს გაცხოველებული მთარგმნელობითი საქმიანობა მიმდინარეობდა 1935 წელს. 1936 წლის დასაწყისში ჩატარდა სსრკ საბჭოთა მწერლების გამგეობის პლენუმი. პოეზიაზე წაკითხული მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობდა მიკოლა ბაჟანიც. მისი გამოსვლის სათაური იყო „მუშაობის სიძნელეები და სიხარული". მ. ბაჟანმა დააყენა საკითხი და მოუწოდა საბჭოთა მწერლების კავშირს ფართოდ გაშლილიყო მოსამზადებელი საქმიანობა, რომ 1937 წელს, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-20 წელს, უმაღლეს დონეზე აღნიშნულიყო ორი დიდი პოეტური თარიღი: შოთა რუსთაველის 750 და ალექსანდრე პუშკინის დაბადებიდან 100 წლისთავი.

თავის სიტყვაში მიკოლ: ბაჟანმა ყურადღება გაამახვილა მხატვრული თარგმანის საკითხზე, შეეხო მის მნიშვნელობას და აღნიშნა, რომ თარგმნა პოეტისათვის არის წყარო საკუთარი შეგნებისა და უნარის გასამდიდრებლად, გონებრივი ჰორიზონტის გასაფართოებლად და ახალი ძალების მოსაკრებად. მ. ბაჟანმა თავისი გამოსვლა ძირითადად ქართული პოეზიის, კერძოდ, უკვდავი შოთა რუსთაველის თარგმნის საკითხს მიუძღვნა. იგი ამბობდა:

„მე უალრესად ძნელი, რთული და პასუხსაგები სამუშაო ვიკისრე — გადავწყვიტე გენიალური პოემის, ქართველი ხალხის სიამაყის შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის" თარგმნა.

რუსთაველს ისევე უნდა იცნობდეს თითოეული საბჭოთა ადამიანი, როგორც ესქილესა და პუშკინს, გოეთესა და შევჩენკოს...

ძნელია რუსთაველის პოემაზე მუშაობა, მაგრამ იგი ამდიდრებს კაცს. ასევე მდიდრდები თანამედროვე ქართველი პოეტების ლექსთა თარგმანებზე მუშაობით".

თარგმნის დაწყებული პროცესი ძლიერდებოდა და ფართოვდებოდა. მიკოლა ბაჟანმა 1935 წელს, როცა იგი საქართველოში იმყოფებოდა და დაესწრო დიდი ქართველი პოეტის ვაჟა-ფშაველას ნეშტის დიდების პანთეონიდან მთაწმინდაზე გადასვენებას, დაწერა ლექსი „ვაჟა-ფშაველას ხსოვნას", სადაც იგი სახალხო მგოსანს „ფშავ მისანსა" და გენიოსს უწოდებს. ლექსი დაუყოვნებლივ თარგმნა სიმონ ჩიქოვანმა და გამოაქვეყნა 1935 წლის 2 ნოემბრის გაზეთ „კომუნისტში".

სიმონ ჩიქოვანმა თარგმნა ვრცელი ნაწყვეტი მიკოლა ბაჟანის საინტერესო პოემიდან „უკვდავება". მანვე პოეტური შთაგონებით თარგმნა მიკოლა ბაჟანის ვრცელი და საკმაოდ რთული ლექსი „ჰოფმანის სერობა". ლექსში ასახულია ძველი ყოფა-ცხოვრების აორაობა, როცა დროის უმეტესი ნაწილი იფლანგებოდა დუქნებსა და კაბარეებში, როცა ღრეობა და თავდავიწყება უიმედობისა და განურჩეველობისაგან თავის დაღწევის ერთადერთი საშუალება იყო. იმ ადრეულ დროში შემოქმედების ნათელი კრედოც იკარგებოდა, ძნელდებოდა დახავსებული სამყაროდან სრული გამოთიშვა.

ეს რამდენიმე ნაწყვეტი თარგმანიდან:

„აანთეთ სპირტი, სასმისია აუტოდაფე,
შიგ იწვის სპირტი, როგორც სული განკიცხულისა.
შეკედლებულნო, თქვენ, ბერლინის ურწმუნო კაფეს,
ველურ ყვირილით დაანთხიეთ შხამი გულისა..."

დაღლილი და უაზრო ცოსტარებას უნებლიეთ მიკედლებული ჰოფმანი განთიადის ხანს ბრუნდება სახლისაკენ. ირგვლივ უნუგეშობის, უიმედობის, რაღაც საერთო-ეპოქალური უმწეობის ნიშნები მეფობს, არ ჩანს დახავსებული ვითარების გამანადგურებელი ძალა:

„წვიმის ეკლები რომ დასძლიოს, კაცი სად არი;
ვინ დასძლევს წვიმას, გადაიტანს წვეთებს გოტიკის,
იგი ქანაობს ტბორთა შორის, თითქოს მთვლემარი,
მოდის ჰოფმანი, ჩურჩულებს და ქარი მოჰკივის.
მიჰყვება ქუჩა, როგორც გამის გაამოძახილი,
მისცურავს გამმა, იგრიხება და ნთქავს წყვდიადი,
მოთესილია მოედანი წვიმით დალვრილი,
ხშირი ტბორები, ნიალვარი და განთიადი".

ბრუნდება პოეტმანი სახლში და თითქოს აქ პოეტს სულიერი სიმშვიდის ერთგვარ ნავსაყუდელს. აქ მას ელოდება სითბო, ზრუნვა, საწერი მაგიდა და კალამი, რაც ხინათლის, იმედის სიმბოლოსავით ჩანს ლექსში:

> პოეტმანის გრძნობას ოჯახური ყოფა ანელებს,
> და მოძველებულ, გაბობერილ საწერ მაგიდას
> ამკობს კალამი ფრთიანი და შუშის სამელნე".

თარგმანზე მუშაობა სიმონ ჩიქოვანს ყველაზე ჭეშმარიტი მამულიშვილის, დიდსულოვანი მოვალეობად მიაჩნდა. მას ახარებდა შესანიშნავი ქართველი ლიტერატორის გურონტი ქიქოძის მეგობრული წვევები ხალხთა სულიერი დაახლოების ამ ერთიანლეს სფეროში.

მსოფლიო ლიტერატურის შედევრის „ტრისტან და იზოლდას" მთარგმნელზე იგი წერდა, რომ „თანამედროვე ქართულით აღადგინა რაინდული ხანის ელფერი და გააცოცხლა შორეული გაზაფხულის დამშვენარი სურნელება. საოცარი ბუნებრიობა დაამკვიდრა თვითეულ პასაჟში და ისეთი შთაბეჭდილება შექმნა, თითქოს ეს ნაწარმოები ქართული ენის წიაღში აღმოცენდა. სიტყვის შესანიშნავმა არტისტმა „ტრისტანისა და იზოლდას" წიგნს თარგმანის იერი აიშორა და იგი ქართული ხატოვანი აზროვნების საუნჯედ გახადა. ამ წიგნის მთარგმნელიც ქართული სიტყვის ბეაბჯრე და მესაიდუმლე გახდა".

სიმონ ჩიქოვანი ყურადღებით ეკიდება გამოჩენილი უკრაინელი პოეტის მაქსიმ რილსკის მოღვაწეობას მხატვრული თარგმანის სფეროში. მეგობარ პოეტზე იგი წერს, რომ რილსკი არის დიდი ოსტატი, ზუსტი მთარგმნელი, შთაგონებული შემოქმედი და, რაც მთავარია, სათარგმნ მასალაზე უზომოდ შეყვარებული ჩელოვანი. სიმონ ჩიქოვანის აზრით, რილსკი არა მარტო თარგმნიდა ა. პუშკინსა და ა. მიცკევიჩს, აოამედ ითვისებდა მათი გენიალური შემოქმედების შინაგან მუსიკას და უკრაინულ ენაზე ორგანულად, ორიგინალურად მღეროდა დიდი რუსი და პოლონელი პოეტების გულისხმიერებს. ვფიქრობთ, ეს არის საუკეთესო შეფასება მთარგმნელისათვის.

სიმონ ჩიქოვანი საბჭოთა პოეზიის მაღალ დონესა და ოსტატობას ხშირად საზღვრავდა თარგმანის ხარისხით. ყველა კარგი თარგმანი მისთვის იყო ახალი გამოვლინება მოძმე რესპუბლიკების ეროვნულ ფასეულობათა გაცნობისა და დაახლოების გზაზე. ამ შემოქმედებითი მეგობრობის განმტკიცებას იგი სასიცოცხლო აუცილებლობად თვლიდა და ლიტერატურულ წერილებში, ესსეებსა თუ საგარო გამოსვლებში ხაზგასმით მიუთითებდა ამ საკითხებზე. 1947 წელს საქართველოს მწერალთა კავშირის პლენუმზე გაკეთებულ ვრცელ და საინტერესო მოხსენებაში „ქართული საბჭოთა ლიტერატურა ეროვნულების „ზვეზდასა" და „ლენინგრადის" შესახებ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1946 წლის 14 აგვისტოს დადგენილების შემდეგ" სიმონ ჩიქოვანი ხაზგასმით აღნიშნავდა:

„...ჩვენ ამჟამად ვამზადებთ რუსული პოეზიის ანთოლოგიას ქართულ ენაზე. ჩვენი პოეტების სასაზელოდ უნდა ითქვას, რომ შესრულებულ იქნა ბევრი კარგი ახალი თარგმანი, რომელთა ნიმუშები დაიბეჭდა ჟურნალ „მნათობში" და გაზეთ „ლიტერატურა და ხელოვნებაში". განვლილ დროის მანძილზე უფრო განმტკიცდა მეგობრული კავშირი რუსეთის პოეტებთან... ამავე დროს ტიხონოვმა, ინტოკოლსკიმ, ზაბოლოცკიმ და მეეიროვმა თარგმნეს ქართველი კლასიკოსებისა და თანამედროვე პოეტების ლექსები. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ნ. ზაბოლოცკის მიერ თარგმნილი გრ. ორბელიანის მთელი კრებული. ეს წიგნი უსათუოდ მნიშვნელოვანი მოვლენაა რუსული და ქართული პოეტური კულტურის დაახლოების საქმეში. იგი საბჭოთა პოეზიის მაღალი ოსტატობის მომაწყვეტელია".

სიმონ ჩიქოვანის ნაყოფიერი, მრავალმხრივი მთარგმნელობითი საქმიანობა ჩვენ მიგვაჩნია ბისი შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობის განუყოფელ ნაწილად. ამ უაღრესად მნიშვნელოვან უბანზეც კარგად გამოჩნდა გამოჩენილი ქართველი პოეტის მაღალი პატრიოტული და ინტერნაციონალური თვისებები, სწრაფვა ძმობისა და მეგობრობისაკენ, რაც მისი მთლიანი შემოქმედების საფუძველს წარმოადგენდა.

მხატვრული რედაქტორი ბ. წერეთელი. მხატვარი ი. ვართაგავა. ტექრედაქტორი რ. იმნაიშვილი

გადაეცა წარმოებას 20/III-81 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 10/IV-81 წ. ქაღალდის ზომა 70×108¹/₁₆ საალრ.-საგამომცემლო თაბახი 26,11. ნაბეჭდი თაბახი 26,25. ტირაჟი 10000. ფასი 1 მან.
შეკვ. № 485.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

Типография изд-ства ЦК КП Грузии, Тбилиси ул. Ленина, 14.

Გ. ᲙᲐᲜᲓᲔᲚᲐᲙᲘ.
ᲓᲐᲚᲘ ᲩᲘᲥᲝᲕᲐᲜᲘ-
ᲒᲐᲮᲢᲐᲫᲘᲡ ᲞᲝᲠᲢᲠᲔᲢᲘ

Ე. ᲐᲛᲒᲝᲯᲐᲫᲔ ᲓᲚᲔᲝᲒᲐ



76132
56/34
Николаишв

ვ. ბაბუნია.
ბანთიადი

ვ. რამიშვილი.
ძველი სანთები